3377-

მარქსიზმი ენათმეცნიერებისათვის

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
1934 • თ ბ ი ლ ი ს ი • 34



Академику Николаю

Яковлевичу Марру

ОТ ЯФЕТИДОЛОГИЧЕСКОГО КРУЖКА
ИМЕНИ АКАДЕМИКА Н. Я. МАРРА
ПРИ ТИФЛИССКОМ ГОСУДАРСТВЕННОМ
УНИВЕРСИТЕТЕ

პაპადემიპოსს

ნიკო იაკობის ძე მარრს

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკად. ნ. მარრის სახელობის
იაფეტიდოლოგიური ფრისაგან

სარედაქციო კოლეგია:

მიხ. ჩიქოვანი
ალ. ლლონტი
მიხ. ჩხენკელი
დ. კარგელაშვილი
ლ. ციხისთავი
ლ. მელიქსეთ-ბეგი



შესავალი

„მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“ წერილების კრებულია, რომელსაც უძღვნის აკადემიკოს ნიკო იაკობის ძე მარრს სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს აღსანიშნავად ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისივე სახელობის საენათმეცნიერო (იაფეტიდოლოგიური) წრე.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ეროვნული ჩაგვრა, რომელსაც ადგილი ქონდა ცარიზმის იმპერიალისტური ნაციონალური პოლიტიკის ბატონობის დროს. უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში მიმდინარეობს ახალი ენობრივი მშენებლობაც. საბჭოთა ქვეყანა „ენის შემოქმედების ლაბორატორიად გადაიქცა“. საბჭოთა ქვეყანაში ახლა, წინად გაყვლეფილ, უუფლებო, უმეტეს შემთხვევაში უმწერლობო 160 ენას ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად მოეპოვება საკუთარი დამწერლობა, საკუთარი ლიტერატურა. ამ ენებზე მიმდინარეობს უდიდესი მასობრივი შემოქმედებითი მუშაობა.

ასეთი ენები სრულიად „გამორჩათ“ მხედველობიდან ენის ბურჟუაზიულ „სწავლულებს“. რა თქმა უნდა, ეს გულუბრიყვილო გულმავიწყობით არ მომხდარა. ბურჟუაზიულ ლინგვისტ-თეორეტიკოსებს არ შეეძლოთ სხვაგვარად მოქცეულიყვნენ; ამას მათ უკარნახებდათ საკუთარი კლასობრივი ინტერესები და ტრადიციული შეზღუდულობა. ისინი სწავლობდენ ორ-სამ ენობრივ სამყაროს და ამ სამყაროშიც შესწავლის მიზანი იყო არა მთლიანი ენა, მთელი თავისი თავისებურებით, არამედ მისი ნაწილი, უმნიშვნელო ზედაპირი.

მატერიალური კულტურის ისტორიიდან ნივთიერ ძეგლებს სწავლობდენ ამ ძეგლების შემქნელ საზოგადოებრივ ფორმაციათა ისტორიისაგან მოწყვეტით. და მათი ანოტაცია-ვაგება ხდებოდა წმინდა წყლის იდეალისტური კონცეპციებით, რასული თეორიის საფუძველზე. ამგვარი მეცნიერების მიმდევრები ცეცხლითა და მახვილით სდევნიდენ ინტერნაციონალიზმს, ნერგავდენ დიდმპყრობელურ შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის შხამიან იდეებს. ბუნებრივია, რომ ასეთი „წმინდა მეცნიერება“ უნდა დაშორებოდა სინამდვილეს და, როდესაც ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ასეთი კარჩაკეტილობა და შეზღუდულობა „ენის ძველი მოძღვრება მოულოდნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას არა მხოლოდ იდეოლოგიური მომზადება არ აღმოაჩნდა ახალი ენების თავის სამკვლევრო ლაბორატორიაში აღსაქმელად, არამედ ჩვენი კავშირის ენების ასე-თუ-ისე ხეირიანი უბრალო სიაც კი, რაც დღესაც არა აქვს“.

აკად. ნ. მარრის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი მოკიდა ცარიზმის იმპერიალისტური ნაციონალური პოლიტიკის მიერ

„არაკეთილშობილურად“ აღიარებულ უმწერლობო ენების სისტემატურ შესწავლას და შემოქმედების ფართო გზაზე გამოყვანას. ჩაუდგა რა სათავეში მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიას, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, მკვიდრ ნიადაგზე დააყენა უაღრესად აქტუალური პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე წინაკაპიტალისტურ ფორმაციათა ისტორიის შესწავლის საქმე.

ადრე მარქსმა და ენგელსმა, ხოლო შემდეგ ლენინმა და სტალინმა ზუსტად მოხაზეს მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების შექმნის გზები. მარქსი და ენგელსი „Die Deutsche Ideologie“-ში, რომლის სრული ტექსტი ამ ცოტა ხნის წინად გამოქვეყნდა, არკვევენ ენათა შემოქმედების, წარმოშობისა და განვითარების პრობლემებს: „ენა ისევე ძველია,—ნათქვამია იქ,—როგორც ცნობიერება; ენა არის სწორედ პრაქტიკული, სხვა ადამიანებისათვისაც არსებული და მხოლოდ მით თვითონ ჩემთვისაც არსებული ნამდვილი ცნობიერება და, ცნობიერების მზგავსად, ენა წარმოიშობა მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილების, გადაუდებელი საჭიროების გამო“, ან კიდევ, სხვა ადგილას მაქსი წერდა: „ენის განვითარება ერთად მცხოვრებ და ერთმანეთთან მოლაპარაკე ადამიანთა გარეშე უაზრობაა“-ო.

მარქსი და ენგელსი დიდ ყურადღებას აქცევდენ ენის წარმოშობის პრობლემის გარკვევას. ყველასათვის ცნობილ „ბუნების დიალექტიკის“ ადრინდელ შესავალში ენგელსი წერს: „როცა მრავალი ათასი წლის შემდეგ, ბოლოს, მოხდა ხელის დიფერენციაცია ფეხისაგან და დამყარდა პირდაპირი სიარული, ადამიანი გამოეყო მაიმუნს და საფუძველი ჩაეყარა დანაწევრებულ მეტყველებას და ტვინის მძლავრ განვითარებას, რის მეოხებით მას შემდეგ შეიქმნა გაუვალი უფსკრული ადამიანსა და მაიმუნს შორის“. როგორც ვხედავთ ენგელსი აქ მკვეთრად განსაზღვრავს ხმიერი, დანაწევრებული მეტყველების წარმოშობის საკითხს. ხოლო წიგნში „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში“ მიუთითებს, რომ ხმიერი მეტყველების წარმოშობა ნაკარნახევი იყო ადამიანების შრომითი კავშირით, საწარმოო ურთიერთობის განვითარებით.

„ამრიგად: ადამიანებმა ფაქტიურად იმით დაიწყეს, —ამბობს მარქსი „კრიტიკულ შენიშვნებში ადოლფ ვაგნერის წიგნზე“,—რომ ითვისებდენ გარეშე ქვეყნის საგნებს, როგორც საშუალებებს თავიანთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ა. შ. ისინი იქამდე მივიდენ რომ სიტყვიერადაც უწოდეს მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებანი, როგორც ისინი უკვე იყვნენ პრაქტიკაში, საგნები, რომელნიც მათ „აკმაყოფილებენ“.

ასე აყენებდენ საკითხს ენის წარმოშობისა და განვითარების შესახებ მარქსიზმის კლასიკოსები.

ლენინმა და სტალინმა ნაციონალურ ენათა მშენებლობის ღრმად შესწავლის საფუძველზე დაასაბუთეს იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციების ეპოქასა და გარდამავალ პერიოდში ენათა მშენებლობის თეორია და პრაქტიკა.

თავის ცნობილ წიგნში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ამხ. ი. სტალინი ამბობს: „...ნაციონალური ერთიანობა წარმოუდგენელია საერთო ენის გარეშე, იმ დროს როცა სახელმწიფოსთვის საერთო ენა არ არის სავალდებულო.—ჩეხის ერი ავსტრიაში და პოლონელი ერი რუსეთში ვერ იარსებებდენ, რომ მათ არ ჰქონდეთ მათთვის საერთო ენა, ამავე დროს რუსეთისა და ავსტრიის მთლიანობას ხელს არ უშლის მათ შიგნით მთელი რიგი ენების არსებობა. მხედველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა, ხალხური სალაპარაკო ენები და არა ოფიციალურ-კანცელარიული. ამრიგად, ენის ერთიანობა, როგორც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი“.

ამხ. სტალინი აქ მკაფიოდ მიუთითებს, რომ სახელმწიფოსათვის საერთო ენა არ არის სავალდებულო, იგი პირველ რიგში აყენებს ხალხურ სალაპარაკო ენებს ოფიციალურ—კანცელარული ენის წინააღმდეგ. ამავე საკითხზე ცნობილია ლენინის მრავალი გამოსვლა. 1913 წელს ლენინი ს. გ. შაუმიანისადმი გაგზავნილ წერილში ამბობდა: „თქვენ რუსეთში სახელმწიფო ენის მომხრე ხართ. ის „აუცილებელია; მას ქონდა და ექნება დიდი პროგრესიული მნიშვნელობა“—გადაჭრით არ გეთანხმებით. მე ამის შესახებ ვწერდი ადრე „პრავდაში“, და აქამდე არავის უარუყვია. თქვენი საბუთები მე სრულიად ვერ მაჯერებენ,—პირიქით, რუსულ ენას, რომ პროგრესული მნიშვნელობა ქონდა მრავალ საწყალ და ჩამორჩენილ ნაციებისათვის,—ეს უდაოა, მაგრამ ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, მას უფრო მეტი პროგრესული მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ის იძულება არ ყოფილიყო?“.

ამრიგად, ლენინისა და სტალინის აზრით, შემცდარი და მიუღებულია სახელმწიფოებრივი ენის შექმნის იდეა; რადგან იგი ნიშნავს იძულებას, სხვადასხვა ენების დაპყრობას, მათი განვითარების შეზღუდვას; ასეთი თეორია კი იმპერიალისტების წისქვილზე უშვებს წყალს.

სწორედ აქედან გამოდიოდა ენის შესახებ ახალი მოძღვრების ფუძემდებელი აკად. ნ. მარრი, რომელსაც იგი აყენებდა ენათა მთლიანი შემოქმედებითი პროცესის, ერთიანი გლოტოგონიური პროცესის, უმწერლობო, ცარიზმის მიერ დევნილი და დაბეჩავებული ენების საფუძვლიანი შესწავლის აუცილებლობას.

ინდოევროპული (ბურჟუაზიული) ენათმეცნიერების მიმდევრები ხელოვნურად თიშავენ ენას აზროვნებისაგან და მათ შორის აგებენ მაგარ კედელს, მათ არ ესმით ენის კლასობრიობა. ბურჟუაზიული სწავლულები ხშირად გულახდილად ამჟღავნებენ თავიანთ კლასობრივ „საიდუმლოებას“. როგორც ანტიური სიძველის, წინა-კაპიტალისტური საზოგადოებათა ისტორიის, ისე ენათმეცნიერების პრობლემების თავისებურება წარმოადგენს ხელსაყრელ ასპარეზს ყოველგვარ ანტიმეცნიერულ, ანტისაბჭოთა კონცეპციებისათვის, რაც იქმნება ბურჟუაზიულ მეცნიერებათა განუწყვეტელი ფაშიზაციის ნიადაგზე. კაპიტალისტური პოლიტიკის გაშიშვლებული ფაშიზაცია თავის მკვეთრ გამოხატულებას პოულობს ბურჟუაზიულ მეცნიერებათა ყველა სფეროში. მით უმეტეს, ეს არა ნაკლები სიმკვეთრით იგრძნობა ენათმეცნიერების დარგში. აბა, რით უნდა აიხსნას, თუ არა ფაშიზმის მიერ მეცნიერების საბოლოო დალუპვით და განადგურებით, ამას წინად ფაშისტურ ბერლინში ანთებული კოცონი,—ფა-

შისტებმა ცეცხლს მისცეს მეცნიერებათა უძვირფასესი ძეგლები. მეცნიერების დარგშიც ჩვენს წინ დგას ორი სისტემა, ერთი დაცემის, ბურჟუაზიული, რომელსაც ეუფლება ფაშიზმი, და მეორე, საბჭოთა ალმავალი, რომელიც მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიის საფუძველზე იბყრობს ორგანიულ და არაორგანიულ სამყაროს აქამდე უცნობ და შეუსწავლელ საიდუმლოებებს.

მარქსისტულ-ლენინური ლინგვისტიკისათვის უცხოა აზროვნებისა და მეტყველების გათიშვა, მარქსისტულ-ლენინური გაგებით ენა უალრესად კლასობრივია, კლასობრივი ბრძოლის მახვილი იარაღია. „ენა უმნიშვნელოვანესი საშუალება არის ადამიანთა ურთიერთობისა“ (ლენინი). ნ. მარრი პირდაპირ აღიარებს, რომ „აზროვნების პრობლემასთან ენის ახალი მოძღვრება უყოყმანოდ მიდის, იძულებულია მივიდეს ყოველგვარი ფარისევლური სიფრთხილის გარეშე. ამას აიძულებს მას ენობრივი ფაქტების ურთიერთობების თავის საწარმოო-საზოგადოებრივ ფესვებამდის ახსნის ძალა“.

კარგად ცნობილია, რომ ბურჟუაზიული ენათმეცნიერებისათვის არ არსებობს ხელის ენა, მაშინ როდესაც, როგორც მდიდარი ენობრივი მასალების ხანგრძლივი შესწავლის შედეგად დადასტურდა ხელის ენამ და ხელის აზროვნებამ ენის შემოქმედების (გლოტოგონიურ), განსაკუთრებით აზრის შემოქმედების (ლოგოგონიურ) პროცესში დიდი როლი შეასრულა. კაცობრიობის სტადიური განვითარების მანძილზე, ხელის ენის არსებობის მრავალ საუკუნოვან ეპოქაში, აზროვნების წინსვლასა და დაზუსტებაში გადამწყვეტი ძვრები მოხდა; შეიძლება გაბედულადაც ითქვას, მისი მეოხებით ჩამოყალიბდა აზროვნება. ხელის ენამ გაიარა ხანგრძლივი ეპოქა და მეტად გვიან, ცხარე ბრძოლით დაუთმო ადგილი ხმიერ მეტყველებას.

ნ. მარრმა მისი თითქმის ნახევარ საუკუნოვანი მოღვაწეობის განმავლობაში კონკრეტული ენობრივი მასალების გაბედული ილუსტრაციით ნათელყო ენის შემოქმედების მონისტური პროცესი. საჭიროა არა მარტო ხმიერი მეტყველების სხვადასხვა სისტემის შესწავლა, არამედ წარმოების იარაღების მიხედვით სხვადასხვა ენის, ხელის ენის, ხმიერი მეტყველების შესწავლა, რომლებიც მხოლოდ ცალკეული რგოლებია მეტყველების შემოქმედების მონისტური პროცესისა,—ასე დაისვა საკითხი პალეონტოლოგიურად.

შემთხვევითი არ არის ის, რაც პარტიის ცენტრალურ ორგანო „პრავდაში“ ამ ცოტაბნის წინად იყო აღნიშნული: „ნ. ი. მარრის მოძღვრება ენის შესახებ, რომელიც ამსჭვრევს ბურჟუაზიული ლინგვისტების იდეალისტურ და ვულგარულ მატერიალისტურ თეორიებს, არის ჩვენი საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა, იგი ენათმეცნიერების სფეროში შორს იტოვებს სულთმობრძავ კაპიტალისტურ მსოფლიოს მეცნიერებას. ახალი მოძღვრება, რომელიც წარმოიშვა ბურჟუაზიული ენათმეცნიერების წიაღიდან, თავისი განვითარების პროცესში დაუპირისპირდა მას. იგი დიალექტიკურად მიდის მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებთან. იაფეტური თეორია, რომელიც ენას უკავშირებს საზოგადოებრივი ფორმების ისტორიას, მატერიალური კულტურის ისტორიას, დაადგა მარქსისტული მეთოდოლოგიის გზას. ამ თეორიის თანახმად ენა არის ზედნაშენი, შეპირობე-

ბული საბოლოო ანგარიშით საზოგადოების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით“,—ასე აფასებს აკად. ნ. მარრის მოძღვრებას ბოლშევიკური საზოგადოებრივი აზრის მეთაური, „პრავდა“.

აქ, აკად. ნ. მარრის გამარჯვება იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი მოკიდა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის საფუძვლიან შესწავლას და დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის მიყენებით ენობრივი სინამდვილის შემეცნებას. რასაკვირველია, ამის გარეშე შეუძლებელი იყო საბჭოთა მეცნიერების შექმნა, მისი აყვანა სოციალიზმის პერიოდის გაზრდილ მოთხოვნილებათა სიმაღლემდის. ცნობილ წერილში „მეცნიერება მასებს“ ლენინი ამბობდა: „ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერავითარი ბუნების მეცნიერებანი, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ აიტანს ბრძოლას ბურჟუაზიული იდეების მოწოლის წინააღმდეგ და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ“. ლენინის ეს მითითება, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ენათმეცნიერებასაც ეხება.

ენის შესახებ ახალი მოძღვრება, რომლის სახელი დაკავშირებულია აკად. ნ. მარრის სახელთან, განუწყვეტლივ ვითარდება და იზრდება. იგი ეუფლება ენის შემოქმედების ყველა კუნჭულს. მეტყველების პალეონტოლოგია არის ის მეთოდი, რომლის გამოყენებით იხსნება ბურჟუაზიული ენათმეცნიების მიერ მაგრად ჩარაზული სიტყვათა წარმოების ლაბირინტი. აკად. ნ. მარრის მოძღვრების სახით ჩვენ გვაქვს საბჭოთა მეცნიერება. ნ. მარრის მოძღვრება ენის შესახებ არის ინტერნაციონალური. სწორედ ამით აიხსნება ის დიდი მასობრივი აღტაცება, რომელიც გამოიწვია ნ. მარრის იუბილემ. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველს ენაზე ითარგმნება და იცემა მისი საუკეთესო შრომები, აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ უკანასკნელ ხანებში უცხოეთშიც როგორ ძლიერდება ინტერესი ნ. მარრის მოძღვრებისადმი. სამწუხაროდ, დღემდის ქართულად ნ. მარრის ორიოდე ბროშურა თუ მოიპოვება, იუბილესთან დაკავშირებით ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განიზრახა ამ ნაკლის შევსება. უახლოეს მომავალში გამოიცემა ნ. მარრის რჩეული შრომები ქართულად, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი, ამასთან ერთად საჭიროა ენის შესახებ ახალი მოძღვრების ფართო პროპაგანდა, პირველ რიგში მისი გავრცელება სკოლებში. თუ აქამდე მას ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენტები სდევნიდენ, მომავალში ძირშივე უნდა აღმოიფხვრას ამგვარი განწყობილებები; ამ მიზნით ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ აკად. ნ. მარრის სახელობის საენათმეცნიერო შემოქმედებით წრეს, რომელიც აწარმოებს ფართო მუშაობას ენის შესახებ ახალი მოძღვრების შესწავლისა და პროპაგანდისათვის.

მეორე ხუთწლედის პოლიტიკური ამოცანა, კაპიტალისტური ნაშთების გადალახვა ადამიანთა შეგნებაში და მე-17 პარტყრილობის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები დიდ ამოცანებს უყენებს მეცნიერების ყველა სფეროს. უდიდესი ამოცანების წინაშე დგას ახალი ენათმეცნიერებაც:

ენის პოლიტექნიზმის პრობლემა, წერის გაუმჯობესებისა და რეფორმის ჩატარება, საწარმოო და სალიტერატურო ენის პრობლემა, ნაციონალური ენებისა და საერთო საკავშირო ენის პრობლემა, რუსული ენისა და წერის პრობლემა, ენის შესწავლისათვის ტიპიური სახელმძღვანელოს შექმნის პრობლემა, უცხო ენების შესწავლის პრობლემა—ასეთია პრაქტიკული საკითხები, რომელთა გადაჭრას კარგა ხანია რაც ხელი მოკიდა ახალმა ენათმეცნიერებამ აკად. ნ. მარრის მეთაურობით. ამ მხრით ჯერ კიდევ ბევრ რამეს ჩალრმავება და გაფართოება ესაჭიროება. ყველა ამათ გადაწყვეტას ჩვენ შევსძლებთ, რადგან გზას გვინათებს მარქს-ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორია, რადგან ჩვენ შოგვეპოება დიდძალი ენობრივი მასალები და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. ამას შევძლებთ კიდევ იმითაც, რომ ახალ ენათმეცნიერებას სათავეში უდგას მეცნიერული აზრის ტიტანი, დიდი მეცნიერი-რევოლუციონერი, ბოლშევიკი აკადემიკოსი, ნიკო იაკობის ძე მარრი.

* * *

ამ კრებულს თან დაურთეთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გამონათქმები ენისა და აზროვნების შესახებ. ქართულ ენაზე ეს პირველი ცდაა, ამასთან აქ წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელი ძირითადი საკითხი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი დიდ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ მოსწავლე ახალგაზრდობას იმის შესასწავლად თუ როგორ აყენებდენ საკითხს ენისა და აზროვნების პრობლემების შესახებ მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ კრებულში მონაწილე ზოგიერთი ავტორი არ არის მარქსისტი, ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მაგრამ მათ წერილებიდან აშკარად იგრძნობა, რომ ავტორები ცდილობენ დაეუფლონ ამ თეორიას და გამოიყენონ ის საკუთარ სპეციალობაში, რაც, რასაკვირველია, კარგი და მისასალმებელია.

ი. მეშჩანინოვის წერილის „ახალი მოძღვნება ენის შესახებ“ თარგმანი შესრულებულია—შ. ღოღობერიძის მიერ; ფრანკ-კამენეცკის „მადლიერი მკვდარი“—ვ. დონდუას; იურ. მარრის „ვეფხის ტყაოსნის ერთი ადგილის განმარტებისათვის“—ვ. ფუთურიძის, ხოლო ა. პრიგოჟინის წერილი „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის წარმოშობა“—ე. წულაძის მიერ.

რედაქცია

30.IV 34 წ.
ტფილისი.

საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

დ. ჩარგელაშვილი

ნიკო იაკოვლის ძე მარრი

(ბიოგრაფია იაფეტიდოლოგიის განვითარების მთავარ მომენტებთან დაკავშირებით)

აკადემიკოსი ნ. ი. მარრი დაიბადა 1864 წლის 28 დეკემბერს ქ. ქუთაისში, მდ. რიონის ნაპირზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო სკოლის შენობაში, რომლის გამგედ მაშინ მისი მამა იაკობი იყო. იაკობ მარრი, ეროვნებით შოტლანდიელი, საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო, სპეციალობით აგრონომი. თავისი წილი მამის ქონებიდან ფულად მიიღო და მოგზაურობა დაიწყო. ასე მოხვდა იგი ქუთაისში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სკოლის გამგედ დაინიშნა. ცოტა ხნის შემდეგ გურიის მთავარმა, მამია გურიელმა მიწა უბოძა ს. დაბლაციხეში (ჩოხატაურის რაიონი), სადაც გააშენა სახლი და შეუდგა მეურნეობას: მოაწყო ჯიშიანი საქონლის ფერმა, შემოიტანა პირველად ა/კავკასიაში ჩაის კულტურა, გააუმჯობესა მაღლარის მოშენება, სახლების აშენების სისტემა, მიჰყო ხელი მებაღეობას და სხვ.; ამავე დროს გლეხების ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა რუსულ წერა-კითხვას, საერთოდ დიდი სიყვალული, ნდობა და პატივისცემა მოუპოვებია გლეხთა შორის, არა მარტო გურიაში, არამედ იმერეთშიც. პირველი ცოლი რომ გარდაეცვალა (თან მოყოლილი, ტომით ესპანელი), შეირთო შარაშიძის ქალი ახალგაზრდა ა ღ ა თ ი, რომლისგანაც ეყოლა ნიკო.

პირველდაწყებითი განათლება ნ. მ. მიიღო ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში. დამთავრების შემდეგ შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში (სახაზინო ხარჯზე მამის — იაკობის დაშსახურების გამო), რომელიც 1884 წ. გაათავა ოქროს მედალზე. მისწრაფება ენებისადმი პატარაობიდანვე ეტყობოდა: ბავშვობაშივე იცოდა რუსული, ინგლისური, ფრანგული და გიმნაზიაში ყოფნის დროს კი შეისწავლა: გერმანული, იტალური, ლათინური; მეტადრე გატაცებული იყო ბერძნული ენით, რომლის შესწავლა ძირფესვიანად სწადდა; ხოლო 1884 წ. უნივერსიტეტში შევიდა ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ე ნ ა თ ა ფაკულტეტზე; უნივერსიტეტში ნ. მ. სპეციალდებოდა ენებზე ოთხი განხრით; ა. არაბულ-სპარსულ-თათრული, ბ. არაბულ-ებრაულ-სირიული, გ. სომხურ-ქართული, დ. სანსკრიტული. ჯერ კიდევ მეორე კურსზე იყო ნ. მ., როცა კარგა ხნის დაკვირვების და კვლევა-ძიების შემდეგ გამოაქვეყნა „ბუნება და თვისება ქართულის ენისა (მცირე შენიშვნა)“ გაზეთ „ივერიაში“ [1].

[1] 1888 წ., 21/IV, № 86.

ეს ნაშრომი დღემდის სათანადოდ ვერაა დაფასებული. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ამ ნაშრომს აღნიშნავენ, როგორც ნ. მ. სამეცნიერო კვლევა-ძიების დასაწყისს, უკეთეს შემთხვევაში მას მიაკუთვნებენ კავკასიის ენების იზოლაციიდან გამოყვანას და ზოგადი გლოტოგონური საკითხის მომავალი გამწვავების ფუძის ჩაყრას: „უარი თქვა რა კავკასიის ენებთან იზოლირებულად მისვლაზე, რომელთაც იაფუტური უწოდა, ნ. მარრმა ამითვე საძირკველი ჩაუყარა ზოგადი გლოტოგონური საკითხის მომავალ გამწვავებას“.[2] ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასახელებული ნაშრომი უფრო მეტს შეიცავს, უფრო მნიშვნელოვანს და ვინც მას სათანადოდ ჩაუკვირდება, იგი ადვილად გაითვალისწინებს იმ გზებს, რომლითაც გაიშალა ენის ახალი მოძღვრება (იაფეტიდოლოგია) და დღევანდელ, მარქსისტულ საფეხურზე ავიდა.

იმ დროსთვის (1888 წ.) ინდოევროპულ „ენათმეცნიერებაში“ უკვე ჩამოყალიბებული იყო გარკვეული დებულებანი; ერთი მათგანი შეიცავდა ენების კლასიფიკაციას, რომლის თანახმად მსოფლიო ენები იყოფა ოჯახებად (ინდოევროპული, სემიტური, ჰამიტური...) გარკვეული ნიშნების მიხედვით (ფონეტიკური, მორფოლოგიური და სხვ.) და განსხვავება ენათა ოჯახებს შორის ემყარება ამ ენებზე მოლაპარაკე ანთროპოლოგიური ტიპების განსხვავებას, ე. ი. ინდოევროპული „ენათმეცნიერება“ თეორეტულად ამაგრებდა რასულ თეორიას, ხალხთა დაყოფის იდეას კეთილშობილ ანუ კულტურულ (kulturvölker) და არაკეთილშობილ ანუ ბუნებრივ (Naturvölker) ერთეულებად (რასებად) და ენებსაც, მაშასადამე, კეთილშობილ (რომელშიც უპირველესად ინდოევროპული ენათა ოჯახი იყო ჩათვლილი და ყველა ზოგად თეორიულ დებულებათა საფუძვლად თითქმის განსაკუთრებით მას მიიჩნევდენ) და უკულტურო, ველური, განვითარების უნარმოკლებულ ოჯახებად.

მაშასადამე, ენათა შორის თეორიული დებულებებით „ფუძეგამაგრებული“ ჩინური კედლები იყო ამართული და ისე მკვიდრად მათი აზრით, რომ თითეული გაბედული მკვლევარიც კი ან იძულებული იყო იგი აღეარებინა და უსიტყვოდ დამორჩილებოდა გაბატონებულ აზრს, ან თავისი შეხედულებანი მეტად მოწიწებით და სიფრთხილით გამოეთქვა და ამითვე თავისი credo უფრულთა და უჩინართა წიაღში შესატანად გაეწირნა.

კავკასიის ტერიტორიაზე თავმოყრილ ენათა პლეადა და კერძოდ ქართული ენა ინდოევროპეისტების წინაშე თავიდანვე ისეთს სფინქსად აღიმართა, რომელიც არც ინდოევროპულ ენათა საზომით იზომებოდა, არც სხვა ერთეულებს უდგებოდა და არც ცალკე, განსაკუთრებულ ერთეულსა ქმნიდა. იყო აზრთა სხვადასხვაობა, ქაოსი, რაც დღესაც უბოროკავს ხელებს გადაღმელ მკვლევარებს.

ქართულის რაობის და ამა თუ იმ ენათა ერთეულზე მისი მიმაგრების შესახებ ბევრი რამ დაწერილა: 1. ქართული ინდოგერმანულ (resp. ინდოევროპიულ) ენათა ჯგუფს ეკუთვნისო (ლეიბნიცი, ბოპი, ბროსე), 2. ქართული თურანულ ურალ-ალტაურ ენათა ჯგუფის მონათესავეაო (მ. მიულერი, დე-

---

[2] И. Мещанинов, Введение в яфетидологию, გვ. 22, 1929.

მორგანი), 3. ქართული თავისი დიალექტებით და კავკასიის ზოგიერთი ენათა ცალკე ჯგუფს შეადგენსო (კლაპროტი, პოტი, ფრ. მიულერი, ბენფეი, შპიგელი, ცაგარელი) და სხვ... იყო ცდებიც ქართული ენის ცალკეულ ერებთან დანათესავებისა, მაგ.: 1. ფრ. ლენორმანით და სეისით—ქართული ვანურ ლურსმულ წარწერების ენას უახლოვდება, 2. ფრ. ჰომელით—ელამურს, სუზურს, ხეთურს... და სხვ.

ამგვარად, ქართული ენის ცოდნის გარეშე თავს იმტვრევდენ ინდოევროპელი „ენათმეცნიერნი“, როგორმე სადმე მოეთავსებინათ ქართული ენა და მათ გაოცებას საზღვარი ეკარგებოდა, როცა მათს quasi-მეცნიერულ შრომას ნაყოფი არ მოჰქონდა; რასაკვირველია, აქ მიზეზი მხოლოდ ქართული ენის უცოდინრობა არ იყო. ჰ. შუხარდტმა ხომ იცოდა, და სამართლიანად აღნიშნა (1895 წ.), რომ, ვისაც სურს ქართული რომელიმე ენას შეუდაროს, ქართული მაინც ხეირიანად უნდა იცოდესო; თვით მას რალა უშლიდა ხელს, რომ საკითხის გარშემო დაგროვილი ბურუსი გაეფანტა? თვითონ ბუნდოვანად რად ამბობდა, შესაძლებელია ყველა ამ ენებს (ქართული-იბერული-ბასკური) ერთი ფესვი ქონდეთო? ცხადია, შუხართს ხელს უშლიდა ქვლივის ის მეთოდი, რომელიც მაშინ გაბატონებული იყო და რომელიც დანარჩენთა მსგავსად შუხათსაც ისე მკვიდრად აწვა, რომ ტრადიციით „ნაკურთხ“ გზას ისიც apriori მისდევდა.



ნიკო დედასთან ერთად

მაშასადამე, ერთი მხრით ცალკეული ცდები გვაქვს ქართული ენის ბუნების გამორკვევის მიმართულებით და მისთვის ადგილის მონახვისათვის, მეორე მხრით, მსოფლიოს ენების გარკვეულ ჯგუფებად (ოჯახებად) დაყოფა, ერთმანეთისადმი სრული იზოლაციით და ენათა თითოეული ოჯახის მჭიდროდ დაკავშირება ამა-თუ-იმ რასასთან, ე ი. ინდოევროპული„ ენათმეცნიერება“ ბურჟუაზიის სოციალურ დაკვეთას მშვენივრად ასრულებს, მის ხელში იგი ექსპლოატაციის გამმართლებელი საიმედო იარაღია.

ამგვარ გარემოცვაში გამოქვეყნდა „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“, რომელშიც, მოყავს რა სხვადასხვა მკვლევართა აზრები ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის შესახებ, ნ. მ. ასკვნის: „ქართული ენა ნათესავია

ხორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებით და გრამატიკით, სემიტურის ენათა ჯგუფისა, მაგრამ იგი არ არის იმდენად დაახლოვებული ხსენებულს ენებთან, რამდენადაც ის ენანი ურთიერთშორის, და, სჩანს, ქართული ენა (საკუთრათ ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური) წარმომდგარია ერთის მამამთავრის ენისაგან, რომელიც თითქმის ისევე ჰგვანებია სემიტურს ენებს, როგორც ეს სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთს"-ო. მართალია, აქედან ჩანს, რომ ნ. მარრი იმ დროს ჯერ კიდევ წინარეენის იდეას იზიარებს, მაგრამ აღნიშნული განცხადებით აფეთქებულია ის ჩინური კედლები, რომელიც ინდოევროპეისტიკამ ააგო ენათა სისტემებს შორის და წინ წამოყენებულია, მართალია, ჯერ კიდევ არა მთელი თავისი სისრულით, მსოფლიო კავშირის იდეა, კერძოდ ხიდია გადებული ქართულსა და სემიტურ ენათა შორის, საერთოდ წინა აზიასთან. ისიც მართალია, რომ აღნიშნული დებულება მარქსიზმის ღუმელში არაა გატარებული, მაგრამ იგი თვით ენობრივი მასალების ზედაპირზე ამოტივტივებული რკინისებური ფაქტია, რომელსაც წარბშეუხრელად შეხედა მარრმა მას შემდეგ, რაც"... მივიკვლიე ქართულის ენის ბუნებისა და თვისების კვალი. არაბულის ენის გაცნობის შემდეგ სრულებით დავემყარე იმ აზრს, რომ ჩვენს ენას დიდი მსგავსება აქვს სემიტურ ენებისა. რაკი ეს აზრი მივიკვლიე, მაშინვე ებრაულისა და სირიულის ენის შესწავლას მოვკიდე ხელი. მას უკან დღითი დღე მიგროვდება მასალა და მემატება საბუთები ამ აზრის დასამტკიცებლადა და გასამართლებლად".

აღნიშნული ნათესაობის აღმოჩენა და დადასტურება თვითნებურად კი არაა ნაწარმოები, გარედან მიტანილი უცხო კანონების მიხედვით, არამედ იმ კანონზომიერების შედეგად, რაც მარრმა ამ ორივე სისტემის ენებში დაინახა, სახელდობრ: 1888 წელში გამოთქმული დებულება 1908 წელშია დაკონკრეტებული და ნათესაობა მონახულია და ცხადყოფილი: ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და სიტყვის ძირებში.

ამიტომ, დასკვნა თავის-თავად ღალადებს, რომ თვით ენაშია ისეთი კანონზომიერებანი, რომელთაც ამოხსნა სჭირია, და თუ ეს ამოხსნა სწორადაა ნაწარმოები შედეგებს მივიღებთ ისეთს, რომელსაც იქნებ არც კი ველოდით. მარრი აწარმოებს კვლევა-ძიებას, გამოდის თვით ენის ბუნებისაგან, მასში ჩამარხული კანონზომიერებიდან, ქართულის და სემიტური ენების ნათესაობას ცხადყოფს და ამით ვი მსოფლიო კავშირის იდეას ამზეურებს. ასევე მოუხდა მას 1925 წელს, როცა მეთოდებში იაფეტიდოლოგია დაემთხვა მარქსიზმს და მარრი გაოცებული დარჩა. მარქს-ენგელსი გამოდიოდენ რა არსებულ სოც-ეკონომიურ ურთიერთობათა წიაღიდან, სწორად უდგებოდენ რა საზოგადოებათა (კერძოდ კაპიტალისტური საზოგადოების) შიგნით არსებულ კანონზომიერებას, სავსებით სწორ და კატეგორიული ჭეშმარიტების შემცველ დასკვნებს იღებდენ. მაშასადამე, აკად. მარრს თავიდანვე სწორი და მეცნიერულად გამართლებული მიდგომა ახასიათებს და აღნიშნულ პატარა სტატიაში სავსებით იჩინა თავი ამ ფაქტმა, სახელდობრ, დაწყებულია მსოფლიო კავშირის იდეის დასაბუთება ენათმეცნიერებაში და მისი სისტემატიური და ჩაღრმავებული კვლევა შემდეგ ხანებში.

აქვე თავი იჩინა შემდეგმაც: მართალია, ჯერ კიდევ აშკარად არ გამიჯვნია მარრი ინდოევროპეისტიკას (ეს მოხდა 1912 წელს), მაგრამ ისეთი დებულებებია წამოყენებული, რომ გზების გაყრა დასახულია და შინაგანი ძალების დაგროვებაც გამოზომილია გადამწყვეტი იერიშის მისატანად ინდოევროპეისტიკაზე, რომლის წიაღში ჩაისახა იაფეტიდოლოგია და რომელსაც დიალექტიკური აუცილებლობით გამოეყო და მის ანტითეზად იქცა.

უნივერსიტეტი ნ. მ. დაამთავრა 1890 წ. ვერცხლის მედლით შრომისთვის „Историко-литературный обзор грузинских повестей, написанных в прозе в XI и XII веках“ და იმავე წელს დატოვებული იქნა სომხური სიტყვიერების კათედრასთან, 1891 წლიდან კი ლექციებს კითხულობს პრივატ-დოცენტის თანამდებობით სომხური სიტყვიერებიდან. ქართულ, სომხურ და ალმოსავლურ (სპარსულ, არაბულ და სხვ.) ხალხურ შემოქმედების ნიმუშებზე მუშაობამ ნ. მ. დაარწმუნა იმაში, რომ ერთი ხალხის შემოქმედება მეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული; ეს ფაქტიც იმას ადასტურებს, თუ რა გაბედულება იყო საჭირო იმის სათქმელად, რომ სალიტერატურო სიუჟეტების შესწავლა იზოლაციაში კვლევა ძიებას უკარგავს მეცნიერულ ხასიათს. ამ ფაქტშიც იგივე მიმართულებაა და მსოფლმხედველობა მოჩანს, რაც ქართული ენის და სემიტურ ენათა ნათესაობის გამომზეურებაში. ამას გარდა, ამის გამომჟღავნებით მარრმა სწორ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა სიტყვიერების და ლიტერატურის შესწავლის საქმე, რაც დღემდის ურყევადაა მიღებული. მაშინ კი, 80-იან და 90-იან წლებში, ყველა ამის საჯაროდ გამოტანა ასე ადვილი არ იყო გაბატონებული დიდმპყრობელურ—შოვინისტური გარემოცვის პირობებში. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვით ნ. მ., თუ რა აურზაური დაატეხა თავს ყველა ამის მჭის სინათლეზე გამოტანამ: „კურსის (საუნივერსიტეტო კურსის. დ. კ.) დამთავრების წინ, ევუშაობდი რა ქართულ ლიტერატურაში სამედალო თემაზე, მასალებმა ჩემთვის გასაოცარ ფაქტის პირისპირ დამაყენეს. სპარსელების, მუსლიმანური, ლიტერატურული სიუჟეტები აღქმული იყო, როგორც მშობლიური, ნაცნობალური, მათთან ნათესაობაში არ მყოფი ხალხის მიერ, ამასთან ქრისტიანი ხალხის მიერ,—სახელდობრ, ქართველი ხალხის მიერ, საკუთრივ მისი ფეოდალური ფენის მიერ. ხალხურ მასურ ფენებში კი იგივე სიუჟეტები პირდაპირ გადახლართული აღმოჩნდენ,— თითქოს საკვირველი შეუღლება იყოს! – ქრისტიანულ ლეგენდებთან და ადრინდელ მშობლიურ ქართულთან, უფრო სწორად, კავკასიურთან, სახელდობრ, იაფეტურთან,—ეპოსთან, რომელიც გადახლართულია ერთ მთლიან შემოქმედებაში შეუღლებული თქმულებების წარმოშობის რასულ, რელიგიურ და კლასობრივ ნაირგვარობის ყურადღების მიუქცევლად. უნივერსიტეტში ჩემი ეს სამედალო ნაშრომი გაწბილებული იქნა, როგორც არამეცნიერული იმ პროფესორის მიერ, რომელსაც იგი მსჯავრისთვის წარედგინა; სამშობლოში კი, საქართველოში, ძველმა საზოგადოებრიობამ ქართული კულტურის უარისმყოფელთა პროსკრიფციულ სიაში შემიტანა, ქართული ნაციის მტრების სიაშიც კი, ისეთი წარმატებით, რომ საუკეთესო ჩემი მოწაფენი, რომელნიც თავდაბირველად თვით იბრძოდენ ამ ცილისწამების წინააღმდეგ, ბოლოს და ბოლოს—უკვე ამ უკანასკნელ წლებში იმავე აზრის მოხალისე დამც-

ველნი შეიქმნენ, ჩათრეულნი იყვნენ რა მათ გარემომცველ გარეშოში მძლავრი ნაციონალისტური მიმდინარეობით"[1].

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მაროი შეუდგა სამაგისტრო დისერტაციის დამუშავებას საშუალო საუკუნეთა სომხურ ენიდან და ლიტერატურიდან (რისთვისაც ისევ ქართული და მისი მონათესავე ენებიც დასჭირდა); ამ მიზნით იგი მივლინებული იქნა ეჩმიაძინსა და სევანში 1890 წლის ზაფხულს, სადაც მუშაობდა საშ. საუკუნეთა სომხურ ლიტერატურულ ხელნაწერებზე. ამასთან დაკავშირებით ყურადღება მიაქცია მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლასაც, ვინაიდან ამ უკანასკნელს, როგორც ადამიანის ნახელავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენის და ლიტერატურის კარდინალური პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მხრით ქართული და სომხური წარსულის კულტურული ურთიერთობის საკითხის გამორკვევაში, კავკასიის და წინააზიის ისტორიული პერსპექტივის კვლევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა უპირველესად მატერიალური კულტურის ძეგლების რკვევას. აი, ამიტომ იყო, რომ ქ. ანისის ისტორიულ წარსულს ასეთი ბეჯითი ყურადღება დაუთმო ნ. მ. და მთელი რიგი კომპანიები ჩაატარა წარმართული სამარხების გათხრების ჩათვლით (სულ 16): 1—2 (1892—1893) და 3—16 (1904—1917).

1894 წ. მარრმა მიიღო სამეცნიერო მივლინება დას. ევროპაში,—იქ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების დაყენების გასაცნობად და იმავე დროს უსმენდა ქ. სტრასბურგში (გერმანია) ვინდელბანდს—ძველ ფილოსოფიაში, ჰაუბშმანს—ძველ სპარსულსა და ბერძნული ენის შედარებით გრამატიკაში და ნელდეკეს—სირიულსა, მანდეურსა და სპარსულ—ფირდოუსის ენაში. 1896 წ. ზაფხულში ვენაში, რომში, ვენეციასა და ინსბურგში მუშაობდა ძველ ხელნაწერებზე და სამ. საუკუნეების ლიტერატურის ნიმუშებზე, მეტადრე ყურადღებით სწავლობდა ხალხურ შემოქმედებიდან იგავ-არაკებს და მოთხრობებს.

1898 წ. მონაწილეობა მიიღო ნ. პ. კონდაკოვის ექსპედიციაში ათონის მთაზე, სადაც მუშაობდა ბიბლიურ და ჰაგიოგრაფიულ ქართულ ტექსტებზე, რომლებიც ნაწილობრივ გამოაქვეყნა შემდეგ წლებში, ხოლო 1926 წ.—ქართული სვინაქსარის დასაწყისი. ნაწილი. 1899 წ. ზაფხულში მუშაობდა ტფილისში ქ. შ. წ.-კ. გ. საზ-ბის ბიბლიოთეკაში და საეკლესიო მუზეუმში—ქართულ ხელნაწერებზე და შემდეგ ეჩმიაძინის მდიდარ ბიბლიოთეკაში.

1899—1902 წლები მარრის სწრაფი წინსვლის წლებია, სახელდობრ 1899 წელს მოიპოვა მაგისტრის ხარისხი პირველი დისერტაციის დაცვითშემდეგ თემაზე: „Сборник прит Вардана" და სხვ; 1900 წელს დანიშნული იქნა ექსტრაორდინარული პროფესორის მოვ. აღ. სომხური და ქართული სიტყვიერების კათედრასთან; 1901 წელს მოიპოვა სომხური სიტყვიერების დოქტორის ხარისხი მეორე დისერტაციის დაცვით შემდეგ თემაზე: „Ипполит. Толкование песни песней" და 1902 წელს დანიშნული იქნა ორდინარულ პროფესორად სომხური და ქართული სიტყვიერების კათედრაზე.

1902 წ. ა. ვასილიევსა და ი. ჯავახიშვილთან ერთად ექსპედიციაში იყო სინას მთაზე, სადაც დაწვრილებით აღწერა ეკატერინეს მონასტრის ქართული

[1] Н Марр. Основные достижения яфетической теории, 1925 წ. ПЭРЯТ, გვ. 257.

ხელნაწერები და მუშაობდა არაბულ-ქართულ და სირიულ ქრისტიანულ ხელნაწერ ძეგლებზე; აღმოაჩინა ქალკედონური ვერსია წმ. გრიგოლის (სომეხთა განმანათლებლის) „ცხოვრებისა“ არაბულ ენაზე, რომელიც გამოიცა 1905 წ. ამავე ზაფხულში წავიდა იერუსალიმში, სადაც ხელნაწერებზე მუშაობისას ხელმერვედ აღმოაჩინა დაკარგულად ჩათვლილი ქართული შესანიშნავი ჰაგიოგრაფიული ძეგლი გიორგი მერჩულისა „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელისა“, რომელიც გამოსცა 1911 წ.. ძველ ხელნაწერთა ენაზე მუშაობამ ნ. მ. დაარწმუნა



ნ. მარრი 900-ან წლებში

იმაში, რომ ძველი მწერლობითი ენა სრულიადაც არაა იმ ზომით არქაულირ ოგორც ეს მოსალოდნელი იყო; პირიქით, ეს ენა ამტკიცებდა ქართული ცოცხალი მეტყველების სიძველეს[1]. სომხური და ქართული კლასიკური ენის ზურგის შებრუნებამ და პირისპირ მიქცევამ ცოცხალ, უწერილო ენებისაკენ—ქართულ, სომხურ, ჭანურ, მეგრულ, სვანურ, აფხაზურისაკენ, ხომ მთლად გამოამზეურა ის

[1] ПЭРИТ, გვ. 259.

ფაქტი, რომ „ფილოლოგიური მეცადინეობა მხოლოდ კავკასიის წერილობით ენებზე, ქართულზე და სომხურზე, მთელ კავკასიის მცოდნეობას ამახინჯებდა და ხელს უშლიდა მის წესიერად დაყენებაში“ [1].

მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მუშაობა ქართულ—სემიტურ ენებზე მაინც მიმდინარეობდა. სტრასბურგში ყოფნის დროს (1894) სცადა თავისი მილწევები ქართულ—სემიტურის ნათესაობაში ნელდეკესთვის გაეზიარებინა, მაგრამ მან არც კი მოუსმინა, და პეტერბურგში კი იგი იძულებული გახდა სრულიად გაჩუმებულიყო: „პეტერბურგში მე გაჩუმების პირობებში ვიყავი ჩაყენებული იაფეტური თეორიის შესახებ თავდაპირველ იოლად მისაღებ ფორმითაც კი, როცა ყველაფერი დაფუძნებული იყო მხოლოდ შედარებით გრამატიკაზე“,— ამბობს ნ. მარრი 1925 წ. [2] და იმავეს იგონებს 1927 წელს: „1888 წელს დაიბეჭდა პირველად ჩემი შრომა „ქართული ენის ნათესაობა სემიტურ ენებთან“; ეს შრომა დაწერილი იყო ფარულად და დაბეჭდილი იყო ქართულ ენაზე გაზეთში შემდეგი სათაურით: „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. მას შემდეგ აკადემიური ცხოვრების საერთო პირობები არ მაძლევდენ საშუალებას საჯაროდ დამემუშავებინა ეს პრობლემა სადოქტორო დისერტაციის დაცვამდის... მხოლოდ 1908 წელს გამოქვეყნდა იაფეტური თეორია შემდეგი სათაურით „წინასწარი ცნობა ქართული ენის ნათესაობისა სემიტურ ენებთან“ [3]. ეს შრომა 20 წლის მუშაობის შედეგია, რომლის განმავლობაში მუშაობა ქართულზე და მასთან კულტურულ-ისტორიულად დაკავშირებულ სომხურ ენაზე არ შეუწყვეტია ნ. მარრს; ამ მუშაობასთანაა დაკავშირებული და მისი შედეგია „სომხურ-ქართული ფილოლოგია“, წარმოშობილი ახალი დანგრეული ორი ცივილიზაციის საერთო კულტურულ საფუძველზე. „სომხურ-ქართულმა ფილოლოგიამ“ თავისი გამოხატულება ჰპოვა მარრის კლასიკურ შრომებში, ცნობილი სერიის: „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“-ის სხვადასხვა წიგნებში, ეს სერია გამოიცა სულ 13 წიგნად (1900—1913 წ.წ.), რომელთაგან 11 ნ. მარრის კალამს ეკუთვნის.

1908 წელს გამოქვეყნდა შრომა: „Основные таблицы к грамматике древне—грузинского языка с предварительным сообщением о родстве груз. языка с семитическими“, სადაც დასაბუთებულია 1888 წლის პირველი ნაშრომის („ბუნება და თვისება ქართულის ენისა“) ძირითადი დებულება ქართულის ნათესაობის შესახებ სემიტურ ენებთან და ეს ნათესაობა გამომჟღავნებულია ფაქტიურ ენობრივ მასალაზე. ქართული, მისი მონათესავე სემიტური ენები, ზოგიერთი შკვდარი ენები (მაგ., ელამური) და ნარევი სომხური ენა ერთ შტოდ დაისახა და ამ შტოს ნ. მ. ამ წელს უწოდა „იაფეტური“, ტერმინი, რომელიც დღემდის ცოცხლობს და ენის მთელ ახალ მოძღვრებას მიეკუთვნა. ამ ტერმინის პირობითობას თვით მარრი ეგრძნობდა, როცა ამბობდა: „ჩემს მიერ წარმოდგენილ მნიშვნელობით ტერმინის შემოღების წინაა-

---

[1] იქვე, გვ. 160; დაწვრილებით, იხ. „Кавказоведение и абхазский язык, ЖМНП 1916, № 5.

[2] ПЭРЯТ, გვ. 259.

[3] ქართული მწერლობა 1927, № 6—7, გვ. 215.

ლმდეგ შეიძლება საფუძვლიანი საპასუხო წამოვაყენოთ ტრადიციულ-გენეალოგიური თვისებისა, მაგრამ მეცნიერებაში ახალ ლინგვისტურ შტოს მაინც იძულებული ვართ ჩვენგან დამოუკიდებლად იაფეტური უწოდოთ, ვიდრე მასთან მონათესავე შტო სემიტიურად იწოდება, და ვიდრე უკანასკნელი ტერმინი, აგრეთვე პირობითი და არსებითად არასწორი, საერთოდ მიღებულია. მოვიგონოთ, სხვათაშორის, რომ უძველესი წარმომადგენლები ისეთი უცილობელი ქართ-ივერ-სვანურ ხალხთა, როგორიც არიან ივერიელები (სპირ-ები, ტიბარ-ენ-ები, ტუბალ-ები) და მესხები (მესეხ-ბი, მოსოხ-ები), სახელდობრ თუბალ და მოსოხ, ბიბლიური გვარტომობითაც (შექმნ. 10,₂)—სიმის ძმის, იაფეტის შვილები არიან".[1] ამჟვარად, ენის ახალი მოძღვრების (იაფეტიდოლოგიის) დასაწყისად 1888 წელს ვიღებთ, 1908 წ. კი მის სახელდების დროდ უნდა ჩავთვალოთ.

სემიტურ ენებთან შედარების ნიადაგზე (მაგ. ძირების ერთიანობა, ბრუნვების დაბოლოებების იგივეობა, პრეფიქსული წარმოება) აღნიშნულ შრომაში გადმოსმლილია ძველი ქართული ენის ბუნება, ძირითადი თვისებები და, ურთულესი ნაწილის, ზმნა-ულვლილების მექანიზმი; აქ მოახდინა ნ. მ. პირველად ქართული ზმნების დაჯგუფება სუბიექტურ-ობიექტური წყობის—მიხედვით და საერთოდ ზმნების კლასიფიკაციაში შეიტანა უდიდესი სიცხადე. ამ მხრივ გრამატიკოსებს ახალი ალარაფერი გაუკეთებიათ დღევანდლამდის და პროფ. ა. შანიძის შრომაც კი „სუბიექტიური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში"—(ტფილისი, 1920 წ.) აკად. მარრის მიერ დადგენილ დებულებებზეა აგებული, მის ერთგვარ დაკონკრეტებას წარმოადგენს, მაგრამ იმ გარჩევით, რომ მასწავლებელმა უკვე დიდი ხანია დატოვა ფორმალური მიდგომა ენისადმი და მოწაფე კი, უკედ, ნამოწაფარი, იმავე ძველ გზას აგრძელებს ამ შრომაში.

ნ. მ. აღნიშნული შრომა ამთავრებს ე. წ. ქართულმცოდნეობის ქვესაფეხურს (1888—1908), როცა მთელი ყურადღება კვლევა-ძიებაში შეჩერებული იყო ქართულზე და მისგან გამოსვლით წარმოებდა ლინგვისტური კვლევა. მაგრამ ეს ისე არ უნდა იყოს გაგებული, თითქოს ამის შემდეგ ქართული ენა ჩრდილში მოიცვა, პირიქით, ნ. მ. მაშინვე აცხადებს, რომ ქართულმა ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიპყროსო; „რამდენადაც ქართულ ენაშია სწორედ წარმოდგენილი უმეტესი არქაულობით და უმეტესი სირთულით ლინგვისტური მასალები",[2] და თავის 1930 წლის შრომაში „რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში" ქართულ ენას ამ ისტორიაში საპატიო ადგილს უთმობს[3]. ამის გარდა, ვინაიდან ნ. მ. აზრით „თვით ქართული ენის სემიტურებთან მონათესაობის ფაქტის აღიარების შემდეგ სწორი და ყოველმხრივი დამუშავებისათვის ამ მეტად რთული საკითხისა უახლოეს ამოცანად ახლა მე მიდგას, რაც შეიძლება მეტი სისრულით

[1] ПЭРЯТ, გვ. 9, სქოლიო 1.
[2] ПЭРЯТ, გვ. 14.
[3] აგრეთვე მისივე, ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით, ჟ. „მნათობი", 1925, № 12, 13—14.

იაფეტურ შ*ოს ენათა თავისებურებათა დადგენა"[1]. ამიტომ ქართული ენა თავისი კოლოკავებით ისევ კვლევაშია მოქცეული დანარჩენ თანამოძმე ენათა შორის, ე. წ. იაფეტური შტოს ენებს შორის.

1909 წლის 7 მარტს ნ. მ ა რ რ ი არჩეული იქნა სამეცნიერო აკადემიის ადიუნქტად და ამ წლიდან მოყოლებული იწყება მისი მოღვაწეობა აკადემიის საერთო მუშაობაში მოქცევით. ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით ნ. მ ა რ რ ს შეტად აინტერესებდა ბედი აღმოსავლური ენების ფაკულტეტისა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომლის მუშაობა მეტად ვიწრო ჩარჩოებში იყო მოქცეული მაშინ და რომელიც კუდში ებისდევდა ინდოეროპეისტიკას.

1911 წელს ნ. მ. არჩეული იქნა ამ ფაკულტეტის დეკანად და ამის შემდეგ ფაკულტეტის მუშაობა თავის სიმაღლეზე დადგა. ალსანიშნავია, რომ სომხური და ქართული ენების სწავლება სულ სხვა სახით ჩამოაყალიბა, მათი გაყოფით კი არა, ვთქვათ ასე: სომხური განყოფილება, ქართული განყოფილება, არამედ დისციპლინების მიხედვით: ენა, ლიტერატურა, ისტორია და ამგვარად, ქართულ-სომხური შესწავლა მთლიანობაში წარმართა.

1909 წელს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ ნ. მ. მივლინებული იყო გარნიში რომაული სტილის წარმართული ტაძრის ნანგრევების გათხრების მოსახდენად. აქ მან, ი. ს მ ი რ ნ ო ვ თ ა ნ ერთად, აღმოაჩინა გელამის მთაში ე. წ. ვეშაპები, ქვაზე ამოჭრილი უხვარმაზარ თევზები. მასთან დაკავშირებით დამზადებული შრომა დაგვიანებით დაიბეჭდა. მხოლოდ 1931,[2] სადაც ენობრივი მასალების მოშველებით დაყენებულია ენის და აზროვნების განუყრელობის საკითხი, თანდათანი განვითარება და გართულება აზროვნებისა, მსოფლმხედველობისა საწარმოო ურთიერთობის და საზოგადოების სტრუქტურის ცვლასთან ერთად. იმავე წელს მიელინებით იყო ოსმალეთის ლაზისტანში ჭანური (ლაზური) ენის შესასწავლად, რომლის შედეგად გამოქვეყნდა „Грамматика чанского (лазского) языка.—1910 წ., გამოც. ИАН-ისა. ეს სეფეხური იაფეტიდოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანია იმით, რომ მოზღვავებულმა მასალებმა ქართულმცოდნეობაზე შეჩერებული მოძღვრება წინ გააქანა, ფართო პერსპექტივი გაუშალა, სახელდობრ, კავკასიის უამრავი, ხელუხლებელი, ნამდვილად შეუსწავლელი ენების შესწავლა. დაიწყო კავკასიისმცოდნეობის საფეხური, რომელიც გაგრძელდა 1914 წლამდ-ს.

1911 წელს ნ. მ. მესამედ წავიდა გარნიში და გელამის მთებში; იმავე წლის შემოდგომაზე კი პირველად ეწვია სვანეთს. 1912 წელს მეორედ გაემგზავრა სვანეთში და გავლით აფხაზეთში აფხაზურს სწავლობდა; სვანური შესწავლის შედეგად გამოქვეყნდა: „Из поездки в Сванию, (летом 1911 и 1912)—ХВ—1913 წ., 1913 წ. ზამთარში აფხაზეთში იყო, იხ. Из лингвистичекой поездки в Абхазию (к этнологическим вопросам), изв. ИАН, 1913, გვ. 302-334 (ჭაბუკიანი). იმავე წელს მესამედ იმოგზაურა სვანეთში; ამავე დროს ადგილობრივ სწავლობდა თუშურს, ჩეჩნურს. 1914 წ. ზამთარში ნ. მ. ისევ აფხაზეთშია—

---

[1] ПЭРЯТ, გვ. 13—14.

[2] Вышапы, გამოც. ГАИМК-ისა.

გუდაუთის რაიონში,—სწავლობს გზიბურ კილოს, ადგენს აფხაზურ ანბანს იაფეტიდოლოგიური ტრანსკრიფციით.

ამგვარად, აუარებელი მასალა დაუგროვდა, როგორც ენობრივ ისე მატერიალური კულტურიდან და ამ მასალებმაც აუცილებლობით მიიყვანეს იგი იმ დასკვნამდის, რომ კავკასია მონოლიტი რამ კი არაა, არამედ კონგლომერატი, სხვადასხვა ეთნიურ და ენობრივ ერთეულებიდან შემდგარი, და ეს ერთეულები ამავე დროს განცალკევებულნი არ არიან, არამედ ერთმანეთთან განუყრელ კავშირში, ერთ სისტემას შეადგენენ, იაფეტურ ენათა სისტემას; მათ დღემდის მოუტანიათ ენის ცხოვრების სხვადასხვა სტადიები, ზოგი თუ გადანაშთების სახით, ზოგი მთლიანად და თვით ეს ენებიც განვითარების სხვადასხვა სტადიაზეა დღეს. მაგრამ ამავე დროს დაისვა საკითხი, ოზისი ხომ არაა იაფეტიური კავკასია მსოფლიოში? თანდათან ირკვეოდა, რომ კავკასია იზოლირებული კი არაა, არამედ მჭიდრო კავშირშია წინააზიასთან და ეს აზრი ბრწყინვალედ დაამტკიცა წინააზიის უძველესი ენების შესწავლამ.

1914 წელს გამოქვეყნდა ნ. მ. შრომა: „Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания"; ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა Chardin-ის შრომა: „Vayages en Pers", სადაც ავტორი იხსენიებს აქემენიდთა ლურსმულ წარწერებს და ამ მეორე კატეგორიის ენას. 1914 წლამდის ეს ენა მთელ რიგ მეცნიერთა წინაშე სფინქსად იდგა, თუმცა თარგმნეს კიდეც და ლექსიკონიც შეუდგინეს. ნ. მ. გაარჩია ენის სტრუქტურა და იგი დაუკავშირა კავკასიის იაფეტურ ენებს, მათ შორის ქართულ-ჭანურ-მეგრულ-სვანურს: მე-2 კატეგორიის ენის ბრუნება წმინდა იაფეტური აღმოჩნდა, რომელსაც იაფეტური გახმოვანება შეუნახავს genitiv-ში. ამ ბრუნვის თანხმოვანი ელემენტით (—in) მეორე კატეგორიის ენა უახლოვდება სვანური ენის ძირითად ფენას; უღვლილება წარმოებს დამხმარე ზმნის man ან an-ის ნამატით იაფეტური ნორმით და სუფიქსური ნამატით შიშინა ჯგუფის ენების ტიპის მიხედვით.

ამ შრომამ გამოიწვია იაფეტიდოლოგიური კვლევა-ძიების წრეში უძველესი ლურსმული ენების ჩათრევა ჭალდურის-წინაინდოევროპულ სომხეთში, შუმერულის-მესოპოტამიაში და ძველი ელამურისა, რომელნიც იაფეტურნი აღმოჩნდენ და ერთ დროს მალალი კულტურის არსებობაზე მიუთითებდენ. აღნიშნული შრომის მნიშვნელოვანი მხარე ისაა, რომ მეტყველების პალეონტოლოგიას, რომელიც დღეს იაფეტიდოლოგიური კვლევა-ძიების და ანალიზის ქვაკუთხედია, ურომლისსოდაც ენობრივი ფაქტები გაყინული რჩებიან, სიტყვათა ეტიმოლოგია თვითნებურად აიგება სრული დამახინჯებით მხოლოდ ერთ თანაბგერობის პრინციპზე,—აქ, ამ შრომაში აქვს წყარო, პირველად აქაა ცდები სიტყვათა პალეონტოლოგიური გაშუქებისა.

1916 წელს პროფ. ი. ორბელმა ვანის კლდეზე აღმოაჩინა ლურსმული წარწერები ჭალდურ ენაზე. მიაქცია რა ამას ყურადღება. ნ. მ. მთელი რიგი შრომებისა უძღვნა ჭალდურს (რიცხვით 10), რომლებშიც საბოლოოდ გააშუქა ეს ენა, როგორც იაფეტური და ამით შესაძლებელი გახადა იმ ენების შესწავ-

ლის და გამოშუქების საქმეც, რომელნიც დღესაც აოცებენ მკვლევარებს. რასაკვირველია, ორბელი პიონერი არ იყო ქალდური ლურსმული წარწერების აღმოჩენაში; ჯერ კიდევ 1825 წელს გერმანელმა მეცნიერმა შულცმა აღმოაჩინა ქალდური წარწერები (გამოქვეყნდა 1840 წელს), მარრმა კი მოაქცია ქალდური ენა იაფეტურ ენათა შესწავლის ორბიტში.

ლურსმული წარწერების ენის შესწავლის შედეგად განმტკიცდა ის აზრი, რომ იგი იაფეტური ჩამომავლობისაა. აქ აღსანიშნავია ერთი კერძო დასკვნა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს: სომხური იქამდის ცნობილი იყო, როგორც შედეგი შეუღლებისა იაფეტელებისა და მოსულ ინდოევროპელებისა ისტორიულ ხანაში, რაც მოჰყვა ძველი ვანის სახელმწიფოს დანგრევას (მე-6 საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალდური ენა, როგორც იაფეტური, უკვე ქრ. წ. მე-8 ს. თავისი სტრუქტურის მთლიანობის დარღვევის პროცესში ყოფილა, რაც უცხო მეტყველების ზეგავლენაზე მიუთითებს უკვე მე-8 საუკუნეში და ამიტომ იაფეტურ ენათა რღვევის თარიღი უფრო შორს იქნა გადატანილი და უფრო ფართე მასშტაბით დაყენებული ყველა იაფეტური ლურსმული ენების ჩათრევით, შუმერულის გამოუკლებლადაც კი[1].

წინააზიის მკვდარ წერილობით ენებზე მუშაობამ ბუნებრივად გამოიწვია ინტერესი პელასგურ-ეტრუსკულ ენებისადმი და ამასთანავე ცოცხალ ბასკურისადმი[2]. პრაქტიკული განხორციელება საკითხმა ჰპოვა საზღვარ გარედ სამეცნიერო მივლინებაში, რომელიც ნ. მ. მიიღო სამეცნიერო აკადემიიდან ეტრურიაში და ბასკეთში 1920 წელს. ამავე წელს გამოქვეყნდა აღნიშნული მივლინების შედეგად „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры". ამ შრომაში ძირეულად და ულმობლადაა გაჩაღებული თვითკრიტიკა, შეფასებულია წარსული მუშაობა, და სრულიად ახალი პერსპექტივებია დასახული: „მე რომ ვიზიარებდე ერთხელ დადგენილი, ოდესლაც სავსებით სწორი, მეცნიერული მიღწევების ურყეობის თვალხედვას, ეს სასიკვდილო ლახვარი იქნებოდა მთელ ჩემს სამეცნიერო წარსულისადმი. იძულებული ვარ თვით მე შევცვალო მთელი ფუძე... ამ მხრივ დღეს, თუ მთელი ჩემი ოცდაათი წლის სამეცნიერო შრომიდან სულს არ ვგლეჯავ, ვანგრევ ყველაფერს მისით გასულიერებულს, არქიტექტურულად შექმნილს, მთელ ნაგებობას პირიქვე ვამხობ, როგორც უძლებს და არა ადექვატურს შემდგომ მოპოებული იაფეტიდოლოგიური მასალების ცოდნის სისავსესთან"[3]. აღნიშნული შრომა ერთ-ერთი ცენტრალურია მთელ იაფეტიდოლოგიურ შრომებს შორის თავისი თვითკრიტიკის სიმახვილით, მთელი მუშაობის შემობრუნებით, ფაქტებთან პარისპირ დადგომით, განუხრელად მათზე პასუხის გაცემით, და რაც მთავარია, გლოტოგონური საკითხის დაყენებით, რომელიც შემდეგში მრავალ ფეროვნად გაიშალა და იაფეტიდოლოგია აყვავების მწვერვალზე აიტანა. მე-3-ე იაფეტური ეთნიური ელემენტი (ორის—ინდოევროპულის და სემიტურის—

---

[1] Надпись Сардура II из раскопок ниш на Ванской скале, Археолог. экспед. 1916 г. в Ван., Изд. Русск. Арх. Об—ва 1922.

[2] ეტრუსკულზე და ბასკურზე მარრმა მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო.

[3] ПЭРЯТ, გვ. 38—39.

გეერდით) აღმოჩნდა იმ სუბსტრატად, რომელზედაც აღმოცენდენ და გაიშალენ ინდოევროპელები; ხმელთაშუაზღვეთის კულტურის საძირკვლები იაფეტელებს ჩაუყრიათ და განუვითარებიათ. აღმოჩნდა, რომ ინდოევროპელები არსაიდან არ მოსულან, არამედ იგინი ახალი საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრებასთან და ახალ საწარმოო ურთიერთობებთან შეგუებული იგივე იაფეტელები არიან და ინდოევროპული ენები იაფეტურ ენების შემდგომი საფეხური, მათი ტრანსფორმაციაა ახალ სტადიაზე. ეს უდიდესი გარდატეხა ნ. მ. დაუკავშირა მეტალების აღმოჩენას და მათ ფართო გამოყენებას მეურნეობაში. ბასკური იაფეტური ჰიბრიდული ენა აღმოჩნდა, მჭიდრო ნათესაურ კავშირში მყოფი კავკასიის იაფეტურ ენებთან, აგრეთვე ეტრუსკულიც. ნაპოვნი აღმოჩნდა, მაშასადამე, თითქოს მეორე ოაზისი იაფეტური ენებისა, მაგრამ ფაქტები უცილობლად ღალადებდენ იაფეტელების განფენას უზარმაზარ ტერიტორიაზე—კავკასიიდან წინააზიასა და ხმელთაშუა ზღვისკენ და აქედან პამირის მთების კალთებისკენ, სადაც ჯერ კიდევ 1916 წ. ი. ზარუბინის მიერ აღმოჩენილი ვერშიკული (ანუ ბურშიკული) ენა აგრეთვე იაფეტური რელიქტი აღმოჩნდა. ამგვარად დადგა იაფეტიდოლოგია უმნიშვნელოვანესი და უზარმაზარი საკითხის წინაშე, რომ ადამიანის მეტყველება გენეტიკურ კავშირშია ბაზისთან და იგი იცვლებოდა იმისდამიხედვით, თუ რა ძვრებს ჰქონდა ადგილი და რა გვარად იცვლებოდა ბაზისი. ამის შემდეგ თითოეულმა ცალკეულმა ენამ იპოვა თავისი ბუნებრივი ადგილი საერთოდ ენის განვითარების პროცესში, თითოეული ენა გამოშუქდა ერთ-ერთ რგოლად იმ უზარმაზარი ჯაჭვისა, რომელსაც გლოტოგონია ეწოდება. ამით კი (და სხვა მრავალითაც, რასაც ქვემოდ აღვნიშნავთ) იაფეტიდოლოგია მარქსიზმის მოძღვრებაზე შედგა და მის დებულებებს ორგანიულად დაუკავშირდა.

ამგვარად, კავკასიიდან კვლევის გატანამ სამხრეთით—წინააზიაში და დასავლეთით—ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისკენ ენის წარმოშობის და განვითარების საკითხი აუცილებლობით ჩააყენა გადაუდებლად გადასაწყვეტ საკითხთა შორის; ენის ზოგადმა რკვევამ კი აიძულა ნ. მ. ისეთი მეთოდი ეხმარა, რომელიც ენის მდგომარეობის უძველეს ეპოქებს გამოაშუქებდა, და სწორედ ასეთი აღმოჩნდა დიალექტიკური მატერიალიზმი, რომლის მთავარი დებულებაა—მოვლენა განხილული იქნეს მის ცვალებადობაში, სახეცვლილების პროცესში, მის დინამიკაში. აქ კი აუცილებელი შეიქმნა პალეონტოლოგიური მიდგომა, ეს ძველი ნაცადი ხერხი, რომელიც ახლა წამყვან ბერკეტად იქცა იაფეტიდოლოგიურ კვლევაძიებაში: ვერტიკალურად ასვლა ენის ისტორიაში, გარდავლილ დროთა სიღრმეში, ე. ი. ეგრედწოდებული „გათხრების“ წარმოება ენაში. მხოლოდ პალეონტოლოგიური ანალიზი, რაც უდრის დიამატის კანონების კონკრეტიზაციას ენათმეცნიერებაში, არკვევს ცალკე სიტყვის მოძრაობის და სახელცვლილების რეალურ გზებს. პალეონტოლოგიური ანალიზი არკვევს ენათა სისტემების ტრანსფორმაციას ერთ უწყვეტ გლოტოგონურ პროცესში პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული დღემდის, მათს შენაცვლებას ერთი მეორეთი, და მაშასადამე, მათ ერთიანობაში ზოგადის და სხვადასხვაობის არსებას; რასაკვირველია, აქ შედარებითი მეთოდი არაა უგულებელყოფილი, არამედ მოხსნილია და ახალი სრულყოფილი თვისობრიობით გვევლინება, როგორც პალეონტო-

ლოგიური ანალიზის ერთერთი ტექნიკური ხერხი. პალეონტოლოგიურ ანალიზს გააჩნია თავისი საკუთარი ტექნიკაც ოთხი ლიგვისტური ელემენტის მიხედვით, რომელთა შემწეობით თითქმის მათემატიკური ნიშანდობლიობით შეიძლება ერთი სემანტიკური ბუდის ცნებათა წრის გამომჟღავნება, მასში წემაყვალი თითოეული სიტყვისაც.

ამის შემდეგ უცბად გაშუქდა მრავალი რამ ისეთი, რაც იჭამდის წვალეკილი იყო და უვარგისი იარაღი კი (ფორმალურ-შედარებითი მეთოდი) წანალექს ვერ აცლიდა დამარხულ საუნჯეს.

ვინაიდან ხმელთაშუა ზღვის ნაპირების მკვდარ (მაგ., ეტრუსკული, პელასგური), და ცოცხალი (მაგ., ბასკური) ენათა კვლევამ ნათელყო იაფეტური მოდგმის განფენილობა უშველებელ ტერიტორიაზე, ამიტომ ბუნებრივად დაიბადა აზრი შეუღვლების შესახებ; პირველ რიგში დგება შეუღვლების საკითხი, როგორც იაფეტური ენებისა ურთიერთ შორის, ისე მათი-არა იაფეტურებთან; კვლეული იქნა შეუღვლება ევროპულ კულტურულ სამყაროში, რის შედეგად გამოირკვა, რომ თუმც სახეცვლილი, მასში შენახული მსოფლმხედველობაც და მეტყველებაც იაფეტური საფუძვლიდან მომდინარეობს, რომელზედაც შეუღვლების პროცესში აღმოცენდენ ელინები, რომაელები და შემდეგ რომანული და სხვა ხალხები—მსოფლიო კულტურის შემოქმედნი.

მაშასადამე, თუნდაც ვიფიქროთ, რომ ინდოევროპელები საიდანღაც „შემოვარდენ“ ევროპაში, მაინც ჰიბრიდიზაციით აღუქვამთ თავის ენის სტრუქტურაში ეს მე-3 იაფეტური ელემენტი და იქ კი, სადაც ინდოევროპელებთან შეხებამ მკვეთრი ჰიბრიდიზაცია ვერ გამოაჩინა, იქ ჩარჩენილია დღევანდლამდის ძველი იაფეტური ფენის ნამსხვრევები. ასეთია, მაგ., თანამედროვე ბასკური ენა პირენეთში, რომელმაც ათასგვარ დევნა-შევიწროვებას გაუძლო ამა ქვეყნის ძლიერთაგან[1]; მის კვლევას ნ. მ. ათიოდე ნაშრომი უძღვნა; მისი ადგილი ლექსიკური მასალით განისაზღვრება, როგორც ერთერთი გადანაშთი წარმომადგენელი სპირანტული შტოსი, უკვე ჰიბრიდული ტიპით, იძლევა რა სვანურის და ძვ. ლიტ. სომხურის მსგავს კონსტრუქციას.

1922 (X)—1923 (VI) ნ. მ. მე-2 საზღვარგარეთის სამეცნიერო მივლინებაშია, ბასკეთში—ბასკურ ენაზე სამუშაოდ. მის შედეგად გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომები, რომლებიც „იაფეტური კავკასია და მე-3 ეთნიური ელემენტი...“-ის გაგრძელებას, იქ დასმული საკითხების ჩაღრმავება-გაფართოვებას წარმოადგენენ და, რასაკვირველია, ახალი პრობლემებიცაა წამოყენებული. ეს პერიოდი (1921-1925 წ. წ.) სტიქიური მარქსტისტულ პერიოდადაა ცნობილი იაფეტიდოლოგიის განვითარებაში. როგორც ავღნიშნეთ, ზოგიერთი მარქსისტული დებულება იაფეტიდოლოგიაში 1921 წლამდისაცაა განაღდებული, მაგრამ მარქსიზმის ნიადაგზე შედგომა ნამდვილად 1921 წლიდან იწყება, თუმცა ისე, რომ მარქსიზმი შეგნებულად არაა გამოყენებული; იაფეტიდოლოგია მარქსიზმის

---

[1] მაგ., 699 წელს ეპისკოპოსი პუატე სწერს გალაქტორი ფორტუნატს: „დევ, მოხეტიალე vaskon -ი (ე. ი. ბასკი), შენი იარაღის წინაშე თრთოდეს და არ ენდოს იმ შველას, რომელსაც პირენეთის კლდეებში პოულობს“.ო (ПЭРЯТ, გვ. 50).

დებულებებს ანვითარებს და ანალდებს ენათმეცნიერებაში მარქსიზმიდან და მარქსიზმის კლასიკოსებიდან გამოსვლის გარეშე, ე. ი. გადამკვეთი ხაზით მოდის მარქსიზმისაკენ. ნ. მ. 1925 წ. დასაწყისში ამბობს—იმის გამო, რომ მოწაფენიც და არამოწაფენიც შენიშნავდენ, რომ იგი ანვითარებს მარქსისტულ დებულებებს: „....იაფეტური ენათმეცნიერება ისევე არაა მარქსიზმი, როგორიც არაა ის თეორეტიული ნაგებობა, და უკეთუ არის დებულებები, რომელნიც მარქსისტულ მოძღვრებას ადასტურებენ, ჩემის აზრით, მით უკეთესი მისთვის და მით უარესი მისი მოწინალმდეგეებისათვის, ვინაიდან იაფეტური ენათმეცნიერების დებულებათა რეალობაში ეჭვის შეტანის ნებას არ გვაძლევენ ენობრივი ფაქტები“ [1].

იმავე წლის ზაფხულში კი: „იაფეტური ენათმეცნიერება.... მჭიდროდ მივიდა საზოგადოებრიობის განვითარების ისტორიასთან, როგორც ენის შემოქმედების ფაქტორთან, და აგრეთვე მოუღლობნელად და მოუმზადებლად (ხაზი ჩვენია. დ. კ.) თურმე ამტკიცებდა დებულებებს ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, ე. ი. მეთოდში მარქსისტულ მოძღვრებას გადაეჭდო“. [2]

აქედან ნათლად ჩანს, რომ 1925 წელი ზღვარია სტიქიურად და შეგნებულად მარქსიზმის გამოყენებისა ენათმეცნიერებაში; ამ ზღვარამდის კი, აი, რა მთავარი დებულებანი იყო წამოყენებული: იაფეტიდოლოგიამ უკვე უარი თქვა მიგრაციის თეორიაზე საერთოდ და კერძოდ, როგორც ერთად-ერთ საშუალებაზე იაფეტელთა გავრცელებაში ევროპის ტერიტორიაზე. ასეთივე მდგომარეობა დაადასტურა ხმელთაშუაზღვის ჩრდილო ეეროპული და სამხრეთ აფრიკული ნაპირების მიმართ და, მაშასადამე, გამოაშზეურა ის ფაქტი, რომ აქ საქმე გვაქვს არა „გადასახლებასთან“, არამედ „განფენილობასთან“ ტომთა შექმნის (ეთნოგენიის) ეპოქიდან მოყოლებული. აქედან კი ის დასკვნა გაკეთდა, რომ ალმოსავლეთი და დასავლეთი, ახლა რომ ვასხვავებთ, ან ქვეყნის მხარეები—ევროპა, აზია და აფრიკა—მაშინ ერთი მთლიანი იყო მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობით: აფრეევრაზია.

მიგრაციის თეორიასთან მჭიდრო კავშირშია რასული თეორია, რომელიც ქვაკუთხედად დაედო ინდოევროპეისტულ კვლევა-ძიებას. ბურჟუაზიულ მეცნიერთა მიერ კაცობრიობის დაყოფა რასებად, და რასების მიხედვით კეთილშობილ და არა კეთილშობილ ჯგუფებად, კულტურულ (kulturvölker) და ბუნებრივ, ველურ, არაკულტურულ (Naturvölker) ხალხებად, უკრიტიკოდ იქნა მიღებული ინდოევროპელ „ენათმეცნიერთა“ მიერ და მასზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეს თავისი დებულებანი. თითქმის არც ერთი სამეცნიერო თეორია არ ყოფილა ისე მკვიდრად დაყენებული ყურადღების ცენტრში და გამოყენებული კაპიტალიზმის მიერ, როგორც რასული თეორია: რასულ თეორიას იყენებდენ, მაგ., ევროპელი მონათმფლობელნი, რომ თეთრების ბატონობის უფლება დაესაბუთებინათ ზანგებზე და სხვა რასებზე.

ენობრივი ფაქტების რკვევით ნ. მ. გამოამჟღავნა რასული თეორიის სრული უნიადაგობა: „ვამტკიცებ,—ამბობს იგი,—რომ რასულად განსხვავებული ინდოევროპულ ენათა ოჯახი არ არსებობს. ხმელთაშუაზღვეთის ინდოევროპული

[1] Основные достижения яфетической теории, ПЭРЯТ, გვ. 249.
[2] Чуваши Яфетиды на Волге, 1925, გვ. 11.

ენები არასდროს და არსაიდან არ გამოჩენილან ერავითარი განსაკუთრებული ენობრივი მასალით, რომელიც რომელიმე რასულად განსაკუთრებულ ენათა ოჯახიდან მომდინარეობდეს ან, მით ნაკლებ, რომელიმე რასულად განსაკუთრებულ წინარენასთან ადიოდეს“ (Индоевропейские языки Средиземноморья. 1924 წ., ПЕРЯТ, 244).

საკითხის ამგვარად დაყენება ადვილად წარმოგვიდგენს გლოტოგონიის პროცესს, ერთი სტადიის გადასვლას მეორეში, იაფეტური სტადიიდან ინდოევროპულ სტადიაში და ამავე პროცესში ადვილად აღიქმებიან ენობრივი ტიპები. აფრიკის, აზიის და ევროპის (აფრევრაზიის) ენები იაფეტურ ენებთან ერთად ალმოჩნდენ მეტყველების საერთო ფუძის განშტოებად, მაგრამ მეტყველების განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე ან შეულვლების პროცესის ნაირ ჩამოყალიბებაში მყოფნი, და მათ შორის კი იაფეტურნი ენები უფრო ძველი სახის ალმოჩნდენ.

ასეთი ახალი მიდგომით ენებისადმი, ინდოევროპული „ენათმეცნიერების“ მიერ დამყარებული შემზღუდველი ჩარჩოების უარყოფით, დაისახა პერსპექტივ წინაისტორიულ სხვადასხვა ტიპის ენათა შესახებ, იმ ეპოქამდის, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ხმიერი ენა, ხელის ენის ეპოქამდის. შესაძლებელი გახდა ენების შესწავლა მათ წინანდელ, თავდაპირველ ეპოქებთან მისვლით, რაშიც დაც ალმოცენდა მეტყველების პალეონტოლოგია.

ცალკეული ენის განხილვა და ამით დაკმაყოფილება ნიშნავს იმას, რომ ერთი მოვლენა ვიკვლიოთ იზოლაციაში, თითქოს მას სხვა მოვლენებთან არავითარი კავშირი არ ქონდეს, ამით კი დასკვნები მეტად ზერელეა, და არა მეცნიერული. პალეონტოლოგიური მეთოდი ზედ გამოჭრილი ალმოჩნდა ენობრივი კვლევა-ძიების საწარმოებლად, რომლითაც გლოტოგონური პროცესი ერთ მთლიან მონისტურ პროცესად იქნა დასახული, ზოგად მსოფლიო საკითხად მეტყველების წარმოშობის და განვითარების შესახებ.

ცხადია, რომ ინდოევროპული ენების საერთოდ ენის განვითარების ერთ ერთ სტადიად დასახვით, საკითხი დადგა წინარენის შესახებაც, რომელსაც ინდოევროპეისტიკაში დღევანდლამდის ცენტრალური ადგილი უკავია. ნ. მარრმა წინარენა ფიქციად ჩათვალა და ლინგვისტური კვლევებითი ცხადჰყო მისი უნიადაგობა. იგი ამბობს: „მთელი რიგი ტომების საერთო ენა, მით უმეტეს ერთიანი ენა, გვიანი მინაღწევია, თუმცა, არა სრულიად განხორციელებული (ხაზი ჩვენია, დ. კ.), არამედ ენათა სხვადასხვა ოჯახების მომცველი. თვით ენათა ოჯახების წექმნა გვიანი სტადიაა მრავალტომიანი კაცობრიობის ენათა განვითარებაში, მათ რიცხვში ინდოევროპული ოჯახის ალმოცენება ჯერჯერობით უკანასკნელი გავლილი ეტაპია ამ გზაზე— ენათა თავდაპირველი მრავლობისა ერთიან ენისკენ, და არა მხოლოდ ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთიანი წინარენა არის ფიქცია, არამედ თვით ამ ოჯახის განსაზღვრა, როგორც რასულად განსხვავებული მეტყველებისა, ასეთივე ფიქცია“[1]. აქ ერთი უმნიშვნელოვანესი, ახალი პრობლემაცაა წამოყენე-

[1] ПЭРЯТ, 194—195, ხაზი ჩვენია, დ. კ.

ბელი, პრობლემა მომავალი ერთი ენის შესახებ, რომელიც ნ. მ. უფრო გაამახვილა მომდევნო შრომებში; რომ ცალკეული ენები, რაც არ უნდა იმპერიალისტურად გააერცელონ, ვერასოდეს ვერ იქცევიან იმ მომავალ ენად, ამის შემდეგ ამბობს: „ყველა წინად არსებული მსოფლიო ენები დაეცენ, დაეცემიან ყველა ახლა აყვავებული ან სრული აყვავებისაკენ მიმავალი, მათზე მოლაპარაკე ადამიანთა მასების რაოდენობის მიხედვით დიდი და მცირე ენებიც, როგორც საზოგადოების მაღალი ფენების მიერ კლასობრივად შექმნილი, ისე თვით მასური დაბალი ფენების უფრო მძლავრი პროდუქციები..... მომავლის ერთიანი ენა— გარდუვალი პოსტულატია მომავლის კლას გარეშე და ნაციონალობის გარეშე ერთიანი ზოგად საკაცობრიო საზოგადოებრიობისა....“[1].



ნ. მარრი მუშაობის დროს

ცნობილია, იაფეტიდოლოგია ჩაისახა და ფეხი აიდგა ინდოევროპული „ენათმეცნიერების“ გარემოში და როგორც ნ. მ. ამბობს: „იაფეტური ენათმეცნიერება სრულიადაც არ გამოფრენილა ზევსის თავიდან ათინა პალადასავით: 1) იგი იშვა იმავე ბურჟუაზიულად აგებულ და გამოჭრილ სამეცნიერო გარეძოში, უფრო მეტიც—ჩაისახა, ცხადია, როგორც ანტითეზა, ინდოევროპული ლინგვისტიკის ნორმებში, ურომლისოდაც ის არც იქნებოდა, 2) წვალებით თავისუფლდება უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიული აზროვნების არტახებიდან და მეთოდოლოგიურად სათანადოდ აგებულ სამეცნიერო მუშაობიდან“[2]. ეს განშორება ინდოევროპული „ენათმეცნიერებიდან“, განთავისუფლება მისი არტახებიდან, უპირველესად ყოვლისა გამოიხატა კვლევის მეთოდებში: იმ დროს, რო-

[1] იქვე, 277.

[2] Классифицированный перечень печатных работ по яфетидологии, 1926, გვ. 3.

ცა ინდოევროპეისტიკა ჯერ კიდევ ფრ. ბოპის მიერ მიღებულ და „ნაკურთხ“ ფორმალურ-შედარებით მეთოდს განუყრელად ადგია დღემდის, იაფეტიდოლოგია, გამოდიოდა რა თვით ენაში ჩამარხული საზოგადოებრივად შეპირობებული კანონზომიერებიდან, თანდათან და შეურყევლად მარქსისტულ მსოფლმხედველობისაკენ მიდიოდა და ამიტომაც აღნიშნული კანონზომიერება მან დღის სინათლეზე გამოიტანა და უჩვენა ის ბაზისი, რომელზედაც ის აღმოცენდა, ის საზოგადოებრივი იდეოლოგია, რომელიც მას უშუალოდ აპირობებს თავის წარმოშობა-განვითარებაში. „წინაისტორიული ენა—ესაა მხოლოდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი აზროვნება, ესაა წინაისტორიული რწმენები და ეპოსი, წინაისტორიული მხატვრული შემოქმედება, სამეურნეო ცხოვრების და პროდუქციის წინაისტორიული ფორმები“[1]. მაშასადამე, კავშირი ენასა და აზროვნებას შორის, რაც 1925 წლის შემდეგ, მარქსისტულ პერიოდში, სისტემატიურად განიხილება, კვლევის ორბიტში ექცევა და სასტიკად ფორმულირდება, ჯერ კიდევ მაშინაა შემჩნეული, როცა იაფეტიდოლოგია წელს იმაგრებდა მარქსიზმის დებულებებზე დგომით. აქვეა კატეგორიულად დასმული საკითხი ენის შეპირობებისა საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრებით, რომელიც თანდათან მკვეთრდება და გარკვეულ სახეს იღებს. ენის ფაქტების პალეონტოლოგიური ანალიზი ურყევად ამზეურებს, რომ ენა საზოგადოებრიობის შენაქმნია, მისი პირმშო, მისი სარკე და მისივე მარეგულირებელი იარაღიც: „ენა—საზოგადოებრიობის ქმნილებაა, აღმოცენებული სამეურნეო-ეკონომიურ მოთხოვნილებათა მიერ გამოწვეულ ტომთა ურთიერთობაში, სწორედ ამ, ყოველთვის მრავალტომიანი საზოგადოებრიობის დანალექია.....“[2], გარდა ამისა, „....ენა არა მარტო ისტორიული საზოგადოებრიობის იარაღია, არამედ იგი—ქმნილებაა წინაისტორიული და პროტოისტორიული საზოგადოებრიობისა“[3].

ამიტომაც ენა თავისში ასახავს საზოგადოებრიობას, მის წყობას, მის მეურნეობას, მის საწარმოო ურთიერთობებს, მსოფლმხედველობას: „ამიტომ თვით გრამატიკული კატეგორიების ფორმებში ენა არეკლავს იმ შორეული შემოქმედებითი ეპოქების საზოგადოებრიობის წყობილებას“[4]. დაწვრილებით აქვს განხილული ნ. მარრს სოციალური რიგის ტერმინები, რომ წოდების აღმნიშვნელი ტერმინები ტომების სახელწოდებებიდან არიან წარმოშობილი, უკანასკნელნი კი სათანადო ტოტემებთან ადიან.

ამავე პერიოდს ეკუთვნის კანეტიკური მეტყველების და ხელის ენის, როგორც პირველის ერთ-ერთი სტადიის, საკითხის წამოყენება. და ეს აუცილებელიც იყო, რამდენადაც გლოტოგონიის პრობლემის დაყენება ამას მოითხოვდა. ამრიგად, მეტყველების წარმოების პროცესი ორ დიდ პერიოდს შეიცავს: ხმიერი ენა—გვიანი, კინეტიკური, resp. ხელის ენა—თავდაპირველი, რომლიდანაც დიალექტიკურად გამოვიდა ხმიერი ენა და მის მასალაზე და იდეოლოგიაზე აღგო.

---

[1] ПЭРЯТ, 193.
[2] ПЭРЯТ, 268.
[3] ibid. 209.
[4] ibid.

1923 წელს ნ. მ. მეცნიერ მუშაკთა 1-ლ საკავშირო ყრილობაზე არჩეული იქნა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ, ხელმეორედ მე-2 ყრილობაზე და მესამედ—მე-3-ზე. 1927—1928 წ. წ. ნ. მ. მესამე სამეცნიერო მივლინებაში წავიდა საზღვარგარეთ. იგი ბერბერებს და ტუარეგებს უმიზნებდა ჩრდილო აფრიკაში. ბერბერულ ენაზე მეცადინეობამ ხიდი გადო ხმელთაშუაზღვეთის, კავკასიის და პამირის კალთების იაფეტურ ენებსა და იაფეტურ ჩრდილო აფრიკას შორის.

1928 წელი ერთ-ერთი ბრწყინვალე გამარჯვებაა ნ. მ ა რ რ ი ს ა სამეცნიერო სარბიელზე: მისი სამეცნიერო შრომა ღირსეულად იქნა დაფასებული საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის მიერ: ნ. მ. მიიღო ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს პ რ ე მ ი ა სამეცნიერო შრომებისათვის.

1929 წელს მეორე გამარჯვება ერგო ნ. მ.—უკვე საზოგადოებრივი მუშაობის ხაზით; იგი არჩეული იქმა საკავშირო ცაკ-ის წევრობის კანდიდატად. იმავე წელს კომაკადემიის წევრად აირჩიეს, სადაც დაარსა მატერიალისტური ლინგვისტიკის ქვესექცია. 1930 წელს ნ. მ. არჩეული იქნა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად და იმავე წელს შევიდა კომპარტიის რიგებში. ეს უკანასკნელი ფაქტი თვით ღაღადებს იმ შინაგან ლოლიკაზე, რამაც აუცილებლობით გამოიწვია უკვე 66 წლის მხცოვან მეცნიერში ამგვარი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ნ. მ., თუმცა არა აქტიურად, მაგრამ მაინც ეხმაურებოდა ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციას (რაც მ. პოკროვსკიმაც აღნიშნა: იხ. труды I всесоюзной конференции историков—марксистов, 1930, ტ. II, გვ. 306 და გაზ. „Известия", 1928, 23/V, № 118 (3352) „Н. Я. Марр" (к 40-летию научной деятельности).

ნ. მ. მთელ მის სიცოცხლეში პირდაპირობა და გულწრფელობა ახასიათებდა და ახასიათებს. იგი თავისი მეცნიერული კონცეპციით, თავისი 45 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის შინაარსეული კანონზომიერი განვითარებით მივიდა მარქსიზმთან, მის დებულებებზე შედგა და ლინგვისტიკაში დაიწყო მათი განაღდება. შეეძლო თუ არა მას სხვანაირად მოქცეულიყო? ვინც თვალყურს ადევნებდა და ეცნობოდა იაფეტიდოლოგიურ შრომებს, იგი დაგვეთანხმება, რომ ნ. მ. სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, ამით მან ის დაამტკიცა, თუ ჭეშმარიტი მეცნიერი, მეცნიერი იმავე დროს საზოგადოებრივი მოღვაწე, როგორ უნდა მოიქცეს.

1931 წელს არჩეული იქნა საკავშირო ცაკ-ის წევრად, რითაც უდიდესი ნდობა გამოეცხადა მხცოვან მეცნიერს პროლეტარულ სახელმწიფოს მხრივ,— ღირსმა მიიღო ღირსეული ჯილდო.

ამავე წელს მე-5 სამეცნიერო მივლინებაში გაემგზავრა საზღვარგარეთ. მუშაობდა გერმანიაში, ქ. ბონში.

1933 წელს ნ. მ. აკადემიკოს ს ა მ ო ი ლ ო ვ თ ა ნ ერთად სამეცნიერო მივლინებაში გაემგზავრა ოსმალეთში. ამ მივლინებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, კერძოდ ოსმალებთან დაახლოვების და თანამშრომლობის მხრივ. ოსმალეთში მან მოიარა ისტორიული ადგილები და დრო იხელთა საბერძნეთის თვალის გადავლებისთვისაც (კუნძ. კიპრი).

მარქსისტულ—პალეონტოლოგიური პერიოდის მე-2 საუკუნიდან დაწყებული (1925 წ.) იაფეტიდოლოგია ერთი მხრით ალრმავებს, აფართოებს და საბოლოოდ აყალიბებს უკვე დადგენილ დებულებებს, უკვე მოძველებულს და უვარგისს ზურგს უბრუნებს და მეორე მხრით—პირველ ადგილს უთმობს და კვლევის ცენტრში აქცევს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ საკითხებს: ენის კავშირი საზოგადოებრივი ფორმების ისტორიასთან და მატერიალური კულტურის ისტორიასთან, ენა და აზროვნება, ენა—ხედნაშენი, ენა—კლასობრივი ბრძოლის იარაღი, ენათმეცნიერება თანამედროვე სოციალისტური მშენებლობის სამსახურში და სხვ.

ენას ნ. მ. იკვლევს პირველ ყოვლისა, როგორც ისტორიკოსი—ლინგვისტი და ამიტომ აუცილებლობით იგი მივიდა იმ შორეულ ეპოქამდის, როცა ენა ის-იყო ისახებოდა და ქცევადობის პროცესში შედიოდა და ეს ქცევადობა მისი ჯი სავსებით დამოკიდებული იყო ცნობიერების ქცევადობაზე. აზროვნება და ენა განუყოფელია, ერთად ალმოცენდენ და როცა არც ერთი არ იყო და არც მეორე,—არ იყო ადამიანიც: ენა წარმოუდგენელია არა მარტო აზროვნების გარეშე და, მაშასადამე, მისი კანონების გარეშე, არამედ მსოფლმხედველობის გარეშეც, ენა ცნობიერების რეალური გამოვლენაა და იგი იცვლება და რთულდება ცნობიერების ცვლასთან და გართულებასთან ერთად. ამიტომ წყალგამყოფ მომენტად ცხოველსა და ადამიანს შორის მან ჩათვალა გაცნობიერება. აუარებელ მაგალითებითაა ნაჩვენები, რომ სიტყვის (სიტყვების) ფორმა და მნიშვნელობა იცვლებოდა მეურნეობის ფორმის და წყობის ცვლის მიხედვით. პალეონტოლოგიური ანალიზით მიიკვლია ნ. მ., რომ ტერმინ 'ცხენს' წინად 'ირმის' მნიშვნელობა ჭონდა და მთელ რიგ სხვა ფაქტების მოშველებითაც ცხადჰყო, რომ სიტყვების მარაგი იზრდებოდა უკვე არსებული მცირეოდენი ხმიერი კომპლექსებიდან (პირველადი სიტყვებიდან) გამოსვლით და მათი მნიშვნელობის ცვლით იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდა მეურნეობაში გამოყენებულ საგანს, ნივთს. ასე აღმოცენდა ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი იაფეტიდოლოგიაში, ე. წ. ფუნქციური სემანტიკა, რაც გრწყინვალედ დაამტკიცა არქეოლოგიურმა გათხრებმაც.

ნ. მ. ძალას უასკეცებს ის სინამდვილე, რომელშიც მარქსისტულ ენათმეცნიერებას (იაფეტიდოლოგიას) უხდება ბრძოლის წარმოება,—ერთი მხრით და ის ღირსეული შეფასება მისი 45 წლის საშეცნიერო მოღვაწეობის და 25 წლის აკადემიკოსად ყოფნის იუბილესთან დაკავშირებით—მეორე მხრით, რაც პარტიის და ხელისუფლების დადგენილებაში გამოიხატა: უდიდესი, მსოფლიო გაჭანების მხცოვანი—მეცნიერი დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით და დამსახურებული მეცნიერის სახელწოდების მინიჭებით.

ჩვენს კავშირში კლასობრივი ბრძოლის გამწვავება უდაო ფაქტია და ეს ბრძოლა თავის უმაღლეს და გადამწყვეტ საფეხურზეა ასული. ამ ბრძოლამ იდეოლოგიურ ფრონტზეც იპოვა გამოხატულება და კერძოდ, მკვეთრად ჩამოყალიბდა საენათმეცნიერო დარგშიც. დღეს ჩვენს სინამდვილეში ორი მიმართულება იბრძვის საენათმეცნიერო ფრონტზე: ერთია—ინდოევროპული (ბურჟუაზიული) „ენათმეცნიერება“, ზოგჯერ თუ გაშიშვლებული რეაქციონეროზის

შემცვლელი, ზოგჯერ კი—სათანადო მარქსისტულ სამოსელით შელამაზებული; მეორეა—იაფეტიდოლოგია, რომელიც მტკიცედ დგას მარქსისტული ენათმეცნიერების პოზიციებზე და ერთი მხრით,—როგორც უკვე ვთქვით,—საბოლოოდ აწესრიგებს და აღრმავებს თავის ძირეულ დებულებებს, ანიშანდობლივებს წარსულ ნამუშევარს, მეორე მხრით—გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს ინდოევროპულ (ბურჟუაზიულ) „ენათმეცნიერების“ წინააღმდეგ.

ინდოევროპული „ენათმეცნიერება“ დღიდან თავისი აღმოცენებისა მხარდამხარ მისდევდა ბურჟუაზიის იდეოლოგიას, მის სოციალურ დაკვეთას ხელმიწევნით ასრულებდა და ენათმეცნიერებაშიც ამტკიცებდა და ამაგრებდა მის საფუძვლებს. ბურჟუაზიის იდეოლოგიის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს მე-19 საუკუნის სიგრძეზე ნიშანდობლივ შეეფარდება ინდოევროპული „ენათმეცნიერების“ განვითარებაც იმავე საფეხურებზე: ინდოევროპული „ენათმეცნიერება“ კაპიტალიზმის გზაზე შემდგარ რუსეთში მექანიკურად იქნა გადმონერგილი; აქ მის იდეოლოგებად გამოდიან: ფორტუნატოვი, შახმატოვი, ბოდუენ-დე-კურტენე, პეტერსონი, პეშკოვსკი, უშაკოვი, პოლივანოვი და უკანასკნელ ხანს მეტეორივით გამოჩენილი და უკვე გამქრალი ე. წ. „იაზიკოფრონტელები“.

საქართველოში ენათმეცნიერებას ორი წყარო კვებავდა: შორეული—ევროპული და მახლობელი—რუსეთის; ინდოევროპეისტიკა ერთადერთ ავტორიტეტად იქნა გამოცხადებული და დღევანდლამდის უხვად ვრცელდება მისი აპოლოგეტების მეხებით.

ჩვენი სინამდვილე ენათმეცნიერებას ახალახალ მოთხოვნილებებს უყენებს, მის წინ უდიდეს თეორეტიკული და იმავე დროს პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემებს აყენებენ, რომელთა შესრულებას კისრულობს იაფეტიდოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმი, კერძოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გამონათქმები ენის შესახებ; ამ გამონათქმებში ნაჩვენებია: 1) ენის და აზროვნების ერთიანობა, 2) ენის განვითარების სტადიურობა, 3) ენის სპეციფიკუმი, 4) ენობრივი მოვლენების სოციალურად შეპირობება, 5) კლასობრივი და ნაციონალური ენის ბუნება, 6) ენობრივი პოლიტიკა და მისი წარმოება.

იაფეტიდოლოგია წარმოადგენს მარქსიზმის გამართლებას და მისი დებულებების დასაბუთებას ენათმეცნიერებაში ენობრივ ფაქტების რკვევით. მოიმარჯვა რა დიალექტიკურ-მატერიალიზმის მეთოდი, იაფეტიდოლოგიამ უკანასკნელ წლებში უდიდესი მნიშვნელობის შემცველი მიღწევები მოიპოვა და ამითვე გადაიქცა იგი მარქსისტულ ენათმეცნიერებად. ეს მიღწევებია:

ა. მოძღვრება ენობრივი მოვლენების განვითარების შესახებ მარტივიდან—რთულისკენ, კონკრეტულიდან—აბსტრაქტულისკენ, პოლისემანტიზმიდან—მნიშვნელობათა დიფერენციაციისკენ, ენების მრავლობიდან—ერთიან ზოგადსაკაცობრიო ენისკენ.

ბ. ერთიანი გლოტოგონური (ენის შემოქმედების) პროცესის დადგენა;

გ. აღწერა ენის მოვლენების და ენათა სისტემების ხასიათის და თვისებების—დამოკიდებით იდეოლოგიისგან და საბოლოო ანგარიშში საზოგადო-

ების ყოფისგან (საწარმოო ურთიერთობანი, ტექნიკის განვითარების დონე და სხვ.),

დ. მოძღვრება ენის დიალექტიკურ განვითარებაზე: ენათა ერთი სისტემა ცვლის მეორეს, წინამავალს, მისი მემკვიდრეობის სათანადოდ გამოყენების გზით.

ე. კლასობრივი საზოგადოების ყველა ენების კლასობრივი ბუნების გამომჟღავნება.

ვ. ენის და აზროვნების ერთიანობის ჩვენება კონკრეტულ ენობრივ მასალებზე, მთელი ყურადღების შეჩერება აზროვნების და მისი ქცევადობის მარქსისტულ ენათმეცნიერულ ანალიზზე, აზროვნების პრობლემის პირველხარისხოვნად ჩათვლა და სამოსამსახურო როლის მიკუთვნება მეტყველების ტექნიკისათვის, ხმიერია იგი, თუ ხელის ენა. აქედან—სიმძიმის ცენტრის გადატანა სემანტიკაზე, პირველ რიგში დაყენება სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობისა, რაც მატერიალური კულტურის და საზოგადოებრივი დამოკიდებულებების და ყოფის განვითარების ფორმებს ასახავს, ე. ი. წინ წამოწევა ფუნქციური სემანტიკისა,

ზ. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების პრობლემის დასაბუთება ენობრივი კვლევაძიებით (Новый поворот в работе по яфетик. теории, ИАН, 1031, გვ. 681 და языки современность—1933, გვ. 33—33) და სხვ.

ამგვარად, იაფეტიდოლოგია თავის განვითარების გარკვეულ მანძილზე, და უკანასკნელ წლებში მეტადრე, მარქსიზმის და ოქტომბრის რევოლიუციის მიღწევების იდეოლოგიური საფუძვლების გამაგრებას ემსახურება; სწორედ ასე გაიგეს დას. ევროპაში ბურჟუაზიის იდეოლოგებმა იგი და იაფეტიდოლოგია ისევე საშიში მეტოქე გახდა მათთვის სპეციალურ დარგში, როგორც მარქსიზმი საერთოდ, ვინაიდან იგი თავისი მიმართებით დაუფასებელ მარქსისტულ-ლენინურ საბრძოლველ იარაღს წარმოადგენს პროლეტარიატისთვის ახლანდელი დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლის დროს. ამიტომ, ნ. მარრის სიტყვით,[1]—ვინც აყოვნებს, და მით უმეტეს, ვინც დაბრკოლებას უქმნის ენის ახალი მოძღვრების (იაფეტიდოლოგიის) დაუყოვნებლივ გამოყენების საქმეს, იგი აყოვნებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მასურად გაცნობიერების ტემპს.

---

[1] Язык и современность, გვ. 36. 1932.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ

საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

ი. ი. მეშჩანინოვი

ახალი მოძღვრება ენის შესახებ

მეტყველების განვითარების ერთიან პროცესის გამოკვლევით არსებულ ენობრივ დაჯგუფებათა მის მრავალფეროვან გამოხატულებაში ნ. ი. მარრმა ბოლო მოუღო წინანდელ იზოლაციას მეტყველების იმ ახლანდელ წარმომადგენელთა შესწავლაში, რომელთაც უკავშირებენ თეორიულად აღდგენილ წინარენებს. ამის გამო გართულდა, ან, უკეთ, უფრო მეტის სიმკაფიოთი გამოვლინდა ისტორიზმის პრობლემა ენაში,—აუცილებლობა ყოველი ენობრივი მოვლენა განხილულ იქნეს მის მოძრაობის პროცესში, მის ცვლაში განვითარების თანდათანობითი სვლის დროს.

ისტორიზმის იმავე პრობლემამ საჭირო გახადა იმ სხვადასხვა სტადიური ნორმების გამოკვლევა, რომლებიც თავის წინააღმდეგობაში თანარსებობენ ყოველი ენის სინქრონისტულ მდგომარეობაში მის შესასწავლ ყოველ განსაზღვრულ დროს. აქედან, ბუნებრივია, წამოიჭრა მთელი გლოტოგონიური პროცესის მისი აუცილებლად მთლიანობაში შესწავლის საკითხი, ცხადია არა ენის სფეროში ცალკეულ მოვლენათა გრამატიკულ კატეგორიების და სხვა განწყობის საკითხების ყურადღების გარეშე დაუტოვებლად, არამედ თვით ადამიანის მეტყველებისაც, როგორც გარკვეულად გამოსახული ისტორიული ხასიათის მოვლენისა.

ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება, ხოლო ცნობიერება არის თავდაპირველი ისტორიული პროდუქტი და ასეთად დარჩება სანამ საერთოდ ადამიანი არსებობს. კიდევ მეტი, ცნობიერება არის კაცობრიობის ისტორიის პროდუქტი, ე. ი. იმ ისტორიის, რომელსაც, ცხოვრებისაგან განსხვავებით, თვითონ ადამიანი ქმნის. ენა არის ადამიანებისათვის პრაქტიკულად არსებული რეალური ცნობიერება და მის მსგავსად იქმნება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საჭიროების გამო[1]. მაგრამ, რამდენადაც შრომამ უზრუნველყო პრიმატის გაადამიანება, ამდენადვე მან შეაპირობა აზროვნების გაფორმება, მაშასადამე რეალური ცნობიერების, ე. ი. ენის გაფორმებაც.

ცხოველებისათვის მათი წარმოშობისა და თანდათანობითი განვითარების ისტორია მიმდინარეობს მათი ცნობისა და მათი სურვილის გარეშე,

[1] Архив Маркса и Энгельса, I, изд. 1928, О Л. Фейербахе, стр. 220.

„ადამიანები კი, რაც უფრო შორდებიან ისინი ცხოველებს ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, მით უფრო თვით შეგნებულად იწყებენ თავისი ისტორიის შექმნას, მით უფრო ნაკლები ხდება გაუთვალისწინებელ ფაქტორების, უკონტროლო ძალების გავლენა ამ ისტორიაზე, და მით უფრო შეესაბამება ისტორიული მოქმედების შედეგი წინდაწინვე დასახულ მიზანს“[1]. და რაგინდ შორს არ უნდა წავიდეთ ადამიანის არსებობის წარსულში, ყველგან შეგვიძლია გავაწყოთ ცოტად თუ ბევრად ცხოველისაგან იგივე განსხვავებული შეგნებული დამოკიდებულება ადამიანისა თავისი შრომითი აქტისადმი. ასეთ პირობებში, ცხადია, ადამიანის მოქმედების ყოველ პერიოდს შეგვიძლია მივაკუთვნოთ კ. მარქსის კარგად ცნობილი სიტყვები, რომ „...არის ერთი გარემოება, რომელიც იმთავითვე უმდარეს ხუროთმოძღვარს საუკეთესო ფუტკარზე მაღლა აყენებს: ესაა ის, რომ ადამიანი, ვიდრე ფიჭის უჯრედს გააკეთებდეს, ჯერ თავის თავში გააკეთებს მას. შრომის პროცესი ისეთი შედეგით თავდება, რომელიც მის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, ე. ი. იდეალურად, უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით არის მოცემული, ადამიანს მარტო ფორმის ცვლილება კი არ შეაქვს, არამედ ამასთანავე მასში იგი ანხორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და რომელ კანონსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს“[2].

ახალ მოძღვრებას ენის შესახებ, რომელიც მტკიცედ ეყრდნობა ენობრივ მოვლენათა სოციალურ დასაბუთებას, ბუნებრივია, რომ არ შეეძლო დუმილით აეხვია გვერდი ადამიანის მოქმედების ამ დამახასიათებელ მხარისათვის და ამიტომ გარდუვალად მივიდა იმის მტკიცებამდის, რომ შეუძლებელია ენის შესწავლა აზროვნებისაგან მოწყვეტით.

შეგნებულმა აქტმა გამოიწვია იარაღების ხელოვნურად დამზადებაზე გადასვლა, იმავე შეგნებულმა შრომითმა აქტმა გამოიწვია აგრეთვე ადამიანის მეტყველების მათ შორის ბგერითი მეტყველების, ორგანოების განვითარება.

ჩვენ არ უარვყოფთ ბგერის თავდაპირველ გამოყენებას კინეტიკური მეტყველების საერთო კომპლექსში, მაგრამ ამავე დროს არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვალიაროთ, რომ ყველა ამჟამად შემჩნეული განვითარებული არტიკულაციური შესაძლებლობა პირველდასაბამითია. ბგერითი მეტყველების მოძრაობა არის უკვე ისტორიული პროცესის პროდუქტი, ისევე როგორც კაცობრიობის ისტორიის პროდუქტს წარმოადგენს თვით ბგერითი მეტყველების გადაქცევა ურთიერთობის გაბატონებულ საშუალებად. „მოთხოვნილებამ შექმნა თავისთვის ორგანო: მაიმუნის განუვითარებელი ხახის გარდაქმნა წარმოებდა ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ, თანდათანობით გაძლიერებულ მოდულაციების გზით, და ხახის ორგანოებმა თანდათანობით ისწავლეს დანაწევრებული ბგერის ერთიმეორეზე წარმოთქმა“[3].

---

[1] Старое введение к „Диалектике природы“. Диалектика природы, изд. 6, 1932, стр. 96.

[2] კაპიტალი, I, 1930 წ. ქართული თარგმ., გვ. 139. რედ.

[3] Роль труда в процессе очеловечения обезьяны, Диалектика природы, стр. 52.

ამრიგად, დანაწევრებული ბგერითი მეტყველების პირველდასაბამობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, და ბგერა, თავდაპირველად გამოყენებული, არ შეიძლება რომ არტიკულაციურად მრავალფეროვანი ყოფილიყო. ბგერა, ჯერ კიდევ ცხოველურ-დიფუზური, ამ მდგომარეობაში ვერ წარმოდგებოდა მეტყველების გაბატონებულ იარაღად, რაც უნდა შეგნებულად ყოფილიყო იგი გამოყენებული და აგრეთვე ჰქონოდა უკვე სოციალური მნიშვნელობა, რაიც წარმოადგენდა იმის საწინდარს, რომ შემდეგში თანდათან განვითარებულიყო და პირველი ადგილი დაეჭირა კინეტიკური ურთიერთობის სხვა შესაძლებლობათა შორის.

ენობრივი მასალა მის პალეონტოლოგიურ ანალიზში, ე. ი. მისი განვითარების დიალექტიკური სვლის ისტორიულ განხილვაში, მიუთითებს ხელზე როგორც ურთიერთობის უძველეს საშუალებაზე. ხელზე, მის ამ ფუნქციაში, მიუთითებს კაცობრიობის განვითარების საერთო პროცესიც, რომელმაც ხელი ჩააყენა განსაკუთრებულ მდგომარეობაში მისი მოქნილობისა და სიმარჯვის ხარისხის მხრივ და ამრიგად იგი გამოყო ადამიანის სხეულის სხვა ნაწილებს შორის.

ადამიანის წინაპრის ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ, ხელი გათავისუფლდა, მას საშუალება მიეცა განევითარებია მემკვიდრეობით გადაცემული მოქნილობა. ამრიგად ხელი აღმოჩნდა არა მარტო შრომის ორგანო, არამედ მისი პროდუქტი. მაგრამ ხელი არ ყოფილა რაღაც თვითკმარი. იგი იყო მხოლოდ მთელი, არაჩვეულებრივად რთული ორგანიზმის ერთერთი წევრი, და ის, რაც ხელისთვის სასარგებლო იყო, სასარგებლო იყო მთელი სხეულისთვისაც[1]. ფ. ენგელსის ამ სიტყვებიდან შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ხელის განვითარება, ასევე მის, როგორც მეტყველების ორგანოს, ფუნქციაშიც, იწვევდა შემდგომ განვითარებას ბგერისას, რომელიც თანდათან გამოდიოდა თავის წინანდელ ერთფეროვან მდგომარეობიდან. ამის შედეგად უნდა ვალიაროთ, რომ შემდეგში გაფორმებული ბგერითი მეტყველება დაფუძნებულიყო ხელის მეტყველების მემკვიდრეობაზე. ამ დასკვნამდე მიდის სწორედ ნ. ი. მარრი[2].

ამრიგად, ნ. ი. მარრი, რომელიც ბგერით მეტყველებას აკუთვნებს ადამიანთა საზოგადოების განვითარების შემდგომ სტადიებს, ამავე დროს კატეგორიულად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ხელის ენა იქნეს გამორიცხული ლინგვისტის კვლევის ობიექტთა რიცხვიდან. უფრო მეტი, ხელის ენის პერიოდების უყურადღებოდ დატოვებამ შეიძლება არამართებული წარმოდგენა შექმნას არა მხოლოდ ბგერითი მეტყველების განწყობილობის მომენტებზე, არამედ მისი შემდგომი განვითარების ცალკეულ მომენტებზედაც. ნ. ი. მარრის სიტყვით, „ენათმეცნიერი, რომელიც გვერდს უვლის ენის წარმოშობის პრობლემას, როგორც არა თავისი პირველი რიგის საქმეს თეორიულ კვლევა-ძიებაში, მით თავისთავს ამოშლის ენათმეცნიერთა რიცხვიდან“[3].

---

[1] იქვე, გვ. 50—51.
[2] Яфетическая теория, Баку, 1927, стр. 98 და სხვ.
[3] Н. Я. Марр. Язык и современность. Изв. Акад. ист. мат. культ., вып. 60, 1932, стр. 11.

მეორეს მხრით, თვით ენისა და აზროვნების დაკავშირების პრობლემაც ძალზე ცალმხრივი იქნება, თუ ამ პრობლემას მოწყვეტილად გავშლით მხოლოდ იმ ეპოქიდან, როდესაც ბგერითი მეტყველება სავსებით ჩამოყალიბდა, და გაჩნდა თავისთავადი ბგერითი სიგნალები, ელემენტები[1].

ბგერითი მეტყველება, რომელიც,—როგორც კრომანიონის ანთროპოლოგიური ტიპის დაკვირვებიდან ჩანს, ყალიბდებოდა მხოლოდ ზედა პალეოლითის სტადიებში და არტიკულაციების საგრძნობ განვითარებას აღწევდა,—უკან იტოვებს კაცობრიობის არსებობის ასეულ ათას წლებს და იქმნება უკვე საგრძნობლად განვითარებული ცნობიერების დროს. ნ. ი. მარრის დამოწმებით, ბგერითი მეტყველება აღწევს უკვე კოსმიურ მსოფლ-წარმოდგენას, რაც ემყარება მაგიური აზროვნების ნორმებს[2].

მაშასადამე, თვით ბგერითი მეტყველება, როგორც აგებული წინამავალ ხანგრძლივ პერიოდის მემკვიდრეობაზე, არ შეიძლება გაგებულ იქნეს უმისოდ, რომ თუ ჩვენ უფრო სრული წარმოდგენა არ გვქონდეს მიღებულ მემკვიდრეობაზე. გარდა ამისა, ხელის მეტყველების გაუთვალისწინებლად ჩვენი მხედველობის არედან ქრება აზროვნებისა და მეტყველების განვითარების არა ნაკლებ საინტერესო მომენტები ყველა პერიოდში, თვით ადამიანის ქმნადობიდან მოყოლებული.

ამასთან დაკავშირებით, ახალ მოძღვრებას ენის შესახებ უნდა წამოეყენებია განწყობადობის პრობლემაც. ამ პრობლემის წამოყენებისას, მთავარი ყურადღება მაინც უკვე არსებულ განვითარებულ ენების ფაქტებისათვის უნდა მიგვექცია, რადგან ნამდვილად პრიმიტიული ენები ლინგვისტის განკარგულებაში არ აღმოჩნდა[3]. ამიტომ პარალელურად წინ წამოიწია ისტორიზმის პრობლემა ენაში, და ამასთან გაძლიერდა პალეონტოლოგიური ანალიზი, რაც ცხადჰყოფს საგრძნობ სიღრმეს ქრონოლოგიურად არც ისე ძველ ენებში, მათ შორის თანამედროვე ენებშიც.

ენობრივი მასალის ხანგრძლივი ანალიზის შედეგად, რაც რეტროსპექტიულად ასახავს წარსულის დადასტურებებს, ნ. ი. მარრი მიდის შემდეგ მტკიცებამდის: აზროვნება და ენა, მაშასადამე ხელის ენა, წარმოიშვა ერთს და იმავე დროს, ხოლო როდესაც ისინი არ არსებობდენ, არც ადამიანი იყო. მაგრამ მაშინაც (როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ადამიანი) ისინი, აზროვნება და ენა, არსებობდა ცხოველის „წარმოებაში“, ცხოველურ-კოლექტიურ „წარმოებაში“. ხოლო როდესაც არ იყო კოლექტიური, ე. ი. პირველადი ხელის წარმოება, არ იყო არც ის აზროვნება, არც ის ენა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ვინაიდან მანამდის—ეს იყო ბუნებით-წარმოებითი აზროვნება, ბუნებითი—წარმოებითი ენა. ეს არის აზროვნება შეუგნებლად[4].

---

[1] Н. Я. Марр. Яфетическая теория, стр. 98.

[2] Н. Я. Марр. Язык и мышление, 1931, стр. 52 сл.

[3] ენათმეცნიერებმა საუცხოოდ იციან, რომ ეგრეთწოდებულ პრიმიტიულ ხალხთა ენები მეტად რთულია თავისი სტრუქტურით.

[4] Н. Я. Марр. К семантической палеонтологии языков не яфетических систем, Изв. Акад. ист. мат. культ., VII, вып. 7—8, 1931, стр. 37.

ამრიგად, ნ. ი. მარრი სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ ცხოველებს აქვსთ მატერიალური ფორმები წარმოებისა და აზროვნებისაც კი. მაგრამ მაინც, მისი სიტყვით, ცხოველთა გასაოცარი მიხვედრილობის მრავალი ფაქტი სრულიადაც არ გამოხატავს აზროვნების ფუნქციას, როგორც მიღებულს განსაკუთრებული ზედნაშენის წარმოების გზით. ცხოველებისათვის ეს იქნება თავიანთი მოქმედების არსი და ფუნქცია, რასაც ბუნებრივი ფაქტორები განსაზღვრავს. ამიტომ ნ. ი. მარრი ცხოველთა აზროვნებას ახასიათებს როგორც „წარმოებით აზროვნებას ცხოველთა მოცემული სახის წარმოების სახისაგან მოუწყვეტლად". ცხოველები, ნ. ი. მარრის სიტყვით, თავის წარმოებაზე უფრო ძლიერად არიან მიმაგრებულნი, ვიდრე ყმები იყვნენ მიმაგრებულნი მიწაზე, ვინაიდან მათი დამამაგრებელი რგოლები ბუნებრივია და არა საზოგადოებრივი, და ამ წარმოებით აზროვნებაში არ არის დაგროვება მისი დინამიკით, მაშასადამე, არ არის ტექნიკური შესაძლებლობანი და მისწრაფება თვით წარმოების შეცვლისაკენ[1].

ცხოველებს, განაგრძობს ნ. ი. მარრი, აქვსთ „მატერიალური კულტურა", ამასთანავე მეტად მრავალფეროვანი. "ცხოველთა შორის მოიპოებიან ისეთი მწარმოებლები, როგორიც არიან დამწვნელები, ბამბის მანუფაქტურისტები, ცვილის ჩამომსხმელები, ბორცვების, ხიდებისა და გზატკეცილების მშენებლები და სხვ. მაგრამ ყველა ამ იგავისებურად დასახელებულ წარმოების სახეში არ იცვლება საწარმოო იარაღები და საშუალებები თაობიდან თაობაში. მაშასადამე, არის „მატერიალური კულტურა" მისი ფართო გაგებით, რომელიც შეიცავს წარმოებითი მოქმედების დაწყებით პერიოდებსაც კულტურის, როგორც ასეთის, გამოყოფამდე, მაგრამ არ არის მატერიალური კულტურის ისტორია, ისევე როგორც არ არის სოციალური ურთიერთობაც წარმოებაში[2]. სწორედ ამიტომაც ნ. ი. მარრი ძირითადად ანსხვავებს შეუგნებელ აზროვნებას შეგნებულ აზროვნებისაგან.

ახსნა ენის განვითარებისა ადამიანის შრომის პროცესებიდან მტკიცდება ცხოველებთან შედარებითაც. „ის მცირე რამ, რაც ამ უკანასკნელთ, მათგან ყველაზე უფრო განვითარებულებსაც, აქვთ ერთმანეთისათვის გადასაცემი, შეიძლება გადაცემულ იქნეს დანაწევრებული მეტყველების დაუხმარებლადაც. ბუნებრივ მდგომარეობაში,—აღნიშნავს ფ. ენგელსი,—არც ერთი ცხოველი არ განიცდის უხერხულობას იმის გამო, რომ არ შეუძლია ლაპარაკი ან ადამიანის ენის გაგება. სულ სხვაა, როდესაც იგი მოშინაურებულია ადამიანის მიერ. ძაღლმა და ცხენმა, ადამიანებთან ურთიერთობის მეოხებით, განავითარეს ისეთი ყურმახვილი სმენა დანაწევრებული მეტყველებისადმი, რომ მათთვის ჩვეულ წარმომადგენელთა წრეში ისინი სწავლობენ ყოველგვარი ენის გაგებას"[3]. მაგრამ ეს იქნება უკვე მოშინაურებული ცხოველი, ე. ი. ცხოველი, რომელმაც განიცადა ადამიანის სოციალური ზემოქმედება მასზე. ამ ზემოქმედების გარეშე ცხოველი არ მიდის ასეთ მდგომარეობამდის.

---

[1] Н. Я. Марр. Язык и мышление, стр. 55 сл.

[2] იქვე.

[3] Роль труда в процессе очеловечения, стр. 52.

შინაური ცხოველები კი, მონაწილეობენ რა შრომით აქტში, ასრულებენ ადამიანის ნებისყოფას, და თუ ისინი ფიზიკურად იცვლებიან, აქაც საქმე გვაქვს იმავე ადამიანის პირდაპირ თუ არა პირდაპირ ზემოქმედებასთან. ცხოველები მოშინაურების პროცესში იცვლებიან არათავისთავად. მხოლოდ ადამიანთა კოლექტივი ცვლის თავის თავს ფიზიკურად და ტექნიკურადაც.

კაცობრიობის ამ სპეციფიკურ ისტორიაში, რომელსაც თვითონ იგი ქმნის, მთელ მის სიგრძეზე შემჩნეულია დინამიკა ადამიანის აზროვნებაშიც და ენაშიც განსაზღვრული სტადიური რიგრიგობით, რაც უნდა გამოირკვიოს მკვლევარმა არა მხოლოდ ლინგვისტური შტუდიების ინტერესებისათვის. მისი მართებული ანალიზისაგან არის დამოკიდებული მართებული მიდგომა მთელი ისტორიული პროცესისადმი, მაშასადამე მატერიალური კულტურის ისტორიისადმიც. მართლაც, უამისოდ ლინგვისტიკა კარგავს მისთვის დამახასიათებელ ისტორიზმს, ისევე როგორც კარგავს მას არქეოლოგიც, რომელიც თავისი ტიპოლოგიური სქემებით ემყარება მხოლოდ მატერიალურ კულტურას და არა მის ისტორიას, რითაც უზრუნველყოფს მის მიერვე უარყოფილ ძველ ნივთთამცოდნეობის ცხოველმყოფელობას.

ნ. ი. მარრი, რომელმაც გარდაქმნა მეცნიერული მიდგომა ლინგვისტიკისადმიც და მატერიალური კულტურის ისტორიისადმიც, ორთავე დისციპლინაში არსებულ ძველი მიმართულებისაგან მკვეთრი განსხვავებით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცნობიერების ნორმებს მათ თანდათანობით ტრანსფორმაციაში და ენის სტადიებსაც და არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაციასაც უკავშირებს საზოგადოებრივი განვითარების ფორმების თანმიმდევარ ცვლას. ამგვარად ხდება იმ კვლევითი მუშაობის სპეციფიკუმის დასაბუთება, რის ობიექტსაც შეადგენენ ადამიანები, რომლებიც ანვითარებენ თავის მატერიალურ წარმოებას და თავის მატერიალურ ურთიერთობას, და ამ თავის მოქმედებაში იცვლიან აგრეთვე თავის აზროვნებას და თავისი აზროვნების პროდუქტებს.[1] ამ მიმართულებით გაკეთებულ მობრუნებას უზრუნველყოფს ადამიან-„არქიტექტორის“ მოქმედების თავისებურების გამოვლინებას, და მისი ნაკვთი „ფუტკრის ნაკეთთან“ ერთ ჯგუფში აღარ ხდება. სწორედ ამ ამოცანით განსაკუთრებულ ყურადღებას ნ. ი. მარრი აქცევს შეგნების მომენტებს, რაც წარმოადგენს წყალგამყოფს ადამიანსა და პირუტყვს შორის.[2]

აზროვნების პირველად მდგომარეობას ნ. ი. მარრი განსაზღვრავს როგორც შეგნებას კოლექტიური წარმოებისა კოლექტიურ იარაღითა და წარმოებითი ურთიერთობითურთ. ენა კი იმავე პირველად სტადიაზე განისაზღვრება, როგორც კოლექტიური შეგნების კოლექტიური გამომჟღავნება გაფორმებასა და მოცულობაში აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ტექნიკის მიხედვით.[3]

ამრიგად, მყარდება აზროვნების პირველადი ფორმა როგორც კოლექტიური შეგნება კოლექტიური წარმოების და მის მიერ შეპირობებულ წარმოებითი ურთიერთობათა, რომლის რეალურ გამოვლინებას წარმოადგენს ენა.

---

[1] Архив Маркса и Энгельса, I, стр. 216.
[2] Н. Я. Марр. Язык и мышление стр. 45. сл.
[3] იქვე.

დადგა რა ამ პოზიციაზე, მატერიალისტურ ენათმცოდნეობას აღარ შეუძლია განიხილოს ენა თვით ადამიანთა საზოგადოების განვითარების სვლისაგან განცალკევებით, და რამდენადაც ადამიანის აქტი შეპირობებულია ცნობიერებით, იმდენადვე განვითარების პროცესების შესწავლაც დაუკავშირდა აზროვნების განვითარების მსვლელობაზე კვლევითი მუშაობის პრობლემას. აქედანვე აუცილებელია, დასკვნა იმის შესახებ, რომ მეტყველება, რომელიც ისევე წარმოადგენს ადამიანის აქტს, ყველა თავის ელემენტში ცნობიერების ნორმებითაა გამსჭვალული.

ნ. ი. მარრის მტკიცებით, არ არის არამც თუ სიტყვა, არამედ არც ერთი ენობრივი მოვლენა, თუნდაც მეტყველების წყობიდან ან მის მატელიალურ მოვლინებიდან გრაფიკასა, ხელის ენასა და ბგერა'ში, არ არის ბგერითი მეტყველების არცერთი ნაწილაკი, რომელიც წარმოშობისას არ იყოს მოფიქრებული. არ არის არც ერთი ენობრივი მოვლენა, რომელიც ღებულობდეს რაიმე ენობრივ ფუნქციას აზროვნებამდის, შეიცავდეს წარმოშობასთან ან გაფორმებასთან დაკავშირებულ რაიმე თავისებურებებს, რომლებიც წარმოადგენს ბუნებრივ და *გრძნობით მოვლენებს, როგორც ფაქტორებს.*[1]

მა'მასადამე, ენაში მისი გამომავლინებელ ორგანოებისაგან დამოუკიდებლად არ მოიპოება არც ერთი ენობრივი მოვლენა, არც სიტყვის ძირის განვითარების ნაწილში, მორფოლოგიური გაფორმების ნაწილში, არც სინტაქსის დამნორმირებელ ნაწილში, რომელიც შეგვეძლოს მთლიანად ავხსნათ მხოლოდ ლინგვისტური მასალის ვიწრო ჩარჩოებში. მეორეს მხრით, თვით ლინგვისტურ მასალასაც, მის მიმართ ახალი მიდგომით, ენიჭება წინად გამოუმჟღავნებელი ღირებულება ისტორიული წყაროსი.

ძველმა ჩვეულებრივმა მიდგომამ ენისადმი მკვეთრად გამიჯნა ისტორიკოსი ლინგვისტისაგან. პირველი მიმართავს იმდენად არა თვით ენას, რამდენადაც მის გრაფიკულ გამოვლინებას წერილობით ძეგლში. ენა, ამ ვიწრო ჩარჩოებში, გამოყენებულია მხოლოდ იმისათვის, რომ წაკითხულ იქნეს დამწერლობით აღნიშნული ისტორიული თქმულება. ლინგვისტები კი ჩაღრმავდენ მეტყველების ფორმალურ ანალიზში, ისინი საგრძნობლად ცხადჰყოფდენ გრამატიკულ კატეგორიათა სხვადასხვა სახეების ცრუ-სტატიკურ მდგომარეობას და მიდიოდენ გრამატიკისა და სინტაქსის ცალკე გადმოცემამდის. ასეთ პირობებში წარმოიშვა დამოუკიდებელი მოძღვრება ფორმების შესახებ, რაც თავის ისტორიზმში შეპირობებულია მხოლოდ Lautgesetz-ის ჩარჩოებით. ასეთ პირობებში ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება თვით ენობრივი მასალის, როგორც სიცხადის მხრით პირველ ხარისხოვანი ისტორიული მოწმეს გამოყენების შესახებ, რის გამოც ლინგვისტური მუშაობა გარდუვალად მოექცა მხოლოდ ფორმალური ანალიზის ფარგლებში.

არანაკლებ ბუნებრივია ისიც, რომ ენობრივი სიმდიდრე დღემდის ვერ შეჭრილა მატერიალური კულტურის ისტორიკოსის შეგნებაშიც კი, როგორც თანამგზავრი მისი საკუთარი ძიებითი ცდებისა ადამიანის წარმოჩენისათვის მის მიერ გამოსაკვლევ ძეგლების მიხედვით. აქაც საქმე გვაქვს იმავე ჩაღრმავებასთან მხოლოდ ფორმალურ ანალიზში, რაც ხშირად აღწევს თვითკმარ ნივთთამცოდნეობამდის.

---

[1] იქვე, გვ. 44.

ჩვენ საუცხოოდ ვიცით მრავალი მაგალითი, როდესაც არქეოლოგმა მართებულად გამოარკვია რა ადამიანის არსებობა იქ, სადაც მან აღმოაჩინა ადამიანის მიერ ხელოვნურად დამზადებული იარაღები, ამავე დროს უმწეო მდგომარეობაშია იგი თავის ცდებში რომ ისტორიული პერსპექტივა გაშალოს. ხოლო, როდესაც მას ამისათვის აიძულებენ, იგი შორეულ წარსულის ეპოქების სურათს აღადგენს ხოლმე, ზოგჯერ მხოლოდ საფლავის ინვენტარის მიხედვითაც კი. სწორედ აქ ენის მონაცემები აზროვნების ნორმებთან დაკავშირებით წარმოადგენს საუცხოო დახმარებას არქეოლოგის მიერ მიღებული სურათების უფრო სრული რეკონსტრუქციისა და თვით ძეგლების უკეთ გაგებისათვის. მაგრამ მცდარმა წარმოდგენებმა ლინგვისტზე, როგორც ენათმცოდნე განდეგილზე, გამოიწვია არა ნაკლებ მცდარი უარყოფა იმის, რომ ენა ისტორიული ელემენტების შემცველია. ამიტომ კონტაქტი არ იქნა მიღწეული.

მიდის რა თავისი გზით ამჟამადაც, მატერიალური კულტურის ისტორიკოსი ახლოსაა ადამიანის მოქმედების დამახასიათებელი მომენტის დაკარგვასთან და სათანადოდ ვერ ითვალისწინებს შეგნებული შრომითი აქტის პრობლემას. ამავე დროს, წარმოების განსაზღვრული სახეები ცხოველებსაც აქვსთ, ისევე როგორც არაა უარყოფილი ისიც, რომ მათ აქვთ გეგმაშეზომილი განზრახული მოქმედების უნარიც.[1] „მაგრამ ყველა ცხოველის ყველა გეგმაშეზომილმა მოქმედებამ ვერ დაასვა ბუნებას მათი ნებისყოფის ბეჭედი, ეს შესძლო მხოლოდ ადამიანმა. ცხოველი სარგებლობს მხოლოდ გარეგანი ბუნებით და იქ ახდენს ცვლილებას მხოლოდ თვისი ყოფნის გამო; ადამიანი კი თავისი ცვლილებებით აიძულებს მას ემსახუროს თავის მიზნებს, ბატონობს მასზე."[2]

არქეოლოგი და მატერიალური კულტურის ისტორიკოსიც კი ვერ ამაღლდენ იმ შეგნებამდე, რომ საჭიროა თავის კვლევა-ძიებაში დაეყრდნონ შეგნებულ დაგეგმილ შრომით აქტს, და ისინი არც იმდენადაც შორს არიან ერთნაირი მიდგომისაგან ფუტკრის სკისა და „არქიტექტორის" ნახელავისადმი.

მეორეს მხრით, პირიქით, ლინგვისტი და არქეოლოგი არაჩვეულებრივად დაშორებული არიან ერთმანეთს, უკანასკნელი კი იმდენად შეეჩვია დაინახოს პირველში მისთვის სრულიად გარეშე ადამიანი, რომ არც კი დაფიქრებულა მათ უკიდურეს სიახლოვეზე, რაც გამოწვეულია საერთო კვლევითი ამოცანით—ისტორიულად მიუდგენ სიტყვასაც და ნივთსაც, როგორც განვლილი პროცესის მოწმეებს.

იკვლევს რა ცალკე აღებულ რაიონს, იქ არსებული ძეგლების აღწერის მიზნით, არქეოლოგი უკეთეს შემთხვევაში სასურველად სთვლის იცოდეს ადგილობრივი ენა მხოლოდ იმისათვის, რომ უშუალო ურთიერთობა ექნეს გარშემო მყოფ მოსახლეობასთან. თვით ენის ანალიზის საჭიროებას კი ლაპარაკის ამოცანების გარეშე სრულიად არ გრძნობს. იგი სიტყვაში ვერ ხედავს სოციალურ ღირებულებას, სიტყვა მას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ როგორც ხელოვნურად შექმნილი საიდუმლო იეროგლიფი. მაგრამ, ეს არაა მართებული შეხედულება.

---

[1] Роль труда в процессе очеловечения, стр. 56.

[2] იქვე, გვ.57.

თუ სპეციალისტებმა-ენათმეცნიერებმა არ ცხადყვეს სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა და არ გაშორდენ სიტყვას, როგორც პირობითი ნიშნის აღთქმას, სამაგიეროდ, როგორც ნ. ი. მარრი აღნიშნავს, საუცხოვოდ ზუსტი განსაზღვრა მოცემულ იქმნა ჯერ კიდევ კ. მარქსის მიერ ღირებულების ცნების საერთო აზრობრივი გარკვევის დროს. „ადამიანი,—წერს მარქსი,—თავისი შრომის პროდუქტს იმიტომ კი არ უპირდაპირებს სხვისას ღირებულების სახით, რომ მისთვის ეს ნივთი ადამიანის ერთგვაროვანი შრომის მხოლოდ ნივთიერ გარსს წარმოადგენს. პირიქით. როდესაც ის სხვადასხვაგვარ პროდუქტებს ღირებულების სახით ერთმანეთს უთანასწორებს გაცვლის პროცესში, ამით ის უთანასწორებს ერთმანეთს სხვადასხვა შრომას. მან ეს არ იცის, მაგრამ ასე იქცევა... კიდევ მეტიც: ღირებულება შრომის ყოველ პროდუქტს საზოგადოებრივ იეროგლიფად ხდის. შემდეგში ადამიანი ცდილობს იეროგლიფის ამოცნობას, ცდილობს განსჭვრიტოს თავისი საკუთარი საზოგადოებრივი პროდუქტის საიდუმლოება, ვინაიდან მოხმარების საგნების გარდაქმნა ღირებულებად ისეთსავე საზოგადოებრივ პროდუქტს წარმოადგენს, როგორც, მაგალითად, ენა“ [1]. კ. მარქსის ფორმულირება ეხება მატერიალური წარმოების ღირებულებას, მაგრამ, ამბობს ნ. ი. მარრი, ენაც წარმოების ზედნაშენია, მაშასადამე იგივე ითქმის ენობრივ ღირებულებაზედაც, მათ შორის სიტყვების მნიშვნელობაზედაც [2].

ახალმა მოძღვრებამ ენის შესახებ ისინი ფაქტიურად არა მხოლოდ მიაკუთვნა მათ, არამედ, ამ მოძღვრების მეოხებით, კონკრეტული ენობრივი მასალა რთული კომბინატის ყველა ფორმით, ყველა მოლეკულით ნათლად მოწმობს ამასვე. ისინი წარმოადგენენ ლინგვისტური გამოკვლევის პროცესში დამოუკიდებლად შემუშავებულ საჩვენებელ პრეპარატებს ზოგადი დებულებისათვის ღირებულებაზე საერთოდ.[3] და თუ ღირებულებაზე სრულიად არ არის აღნიშნული, თუ რა არის იგი, ის მაინც პირველდასაბამიდან სრულიადაც საიდუმლო იეროგლიფს არ წარმოადგენს. ასევე, არც სიტყვა არის ასეთი, თუმცა მისი გენეზისი თანამედროვე ენებში იმდენად იკარგება, რომ მკვლევარები ცდილობენ გამოიტანონ ეს „იეროგლიფი“, ჩაწვდენ თავისი საკუთარი პროდუქტის საიდუმლოებას, ისევე როგორც ცდილობს ასე მოიქცეს მოხმარების საგნების განსაზღვრების მიზნით. „საიდუმლო იეროგლიფის“ ჭეშმარიტი აზრი აშკარავდება მეტყველების პალეონტოლოგიური ანალიზით, ამიტომაც ახალი მოძღვრება ენის შესახებ სწორედ ამას აქცევს მთავარ ყურადღებას.

პალეონტოლოგიური ანალიზი ითვალისწინებს ძირითად დებულებასაც შრომის დასაბამობის შესახებ. ჯერ შრომა, ხოლო შემდეგ მის გვერდით დანაწევრებული მეტყველება წარმოადგენდენ ყველაზე უფრო მთავარ სტიმულებს, რომელთა გავლენის ქვეშ მაიმუნ-პრიმატის ტვინს შეეძლო თანდათანობით გადაქცეულიყო ადამიანის ტვინად, რომელიც ყველა მგზავსებასთან ერთად ძირითად სტრუქტურაში აღემატება პირველს სიდიდითა და სრულყოფილებით[4].

---

[1] კაპიტალი. ტ. I, ქართ. თარგმანი, გვ. 40. რედ.

[2] Н. Я. Марр. Язык и современность, стр. 26—27.

[3] იქვე, გვ. 26—27.

[4] Роль труда в процессе очеловечения, стр. 53.

საკითხი, რა უფრო ადრე იყო—აზროვნება თუ ენა?—ნ. ი. მარრის მიერ დასმულია მათი განუყრელად შესწავლის გარკვეულ სიბრტყეში, და ენობრივი მასალის საფუძველზე წარმოებს ნიადაგის გამონახვა მსჯელობისათვის აზროვნების განვლილ უძველეს ეტაპის შესახებ. „იაფეტიდოლოგიამ,—ნ. ი. მარრის მტკიცებით,—ააფეთქა ყველა საფუძველი არა რეალური საკითხის განსაგრძობად ცხოველურ ბგერების გაადამიანების შესახებ სპეციალურად ენის შექმნისათვის და ბგერით მეტყველებასა და ცხოველურ მდგომარეობას შორის წამოაყენა ხაზური ენა. იაფეტიდოლოგიამ დასტოვა ის პოზიციებიც, როდესაც შესაძლებელი იყო დაკმაყოფილება წინალოგიურ აზროვნების აღიარების მოთხოვნით. ენობრივი ფაქტებიც აბათილებენ უარყოფითის ტერმინის—«წინალოგიურ»-ის საკმარისობას, როგორც მატერიალური კულტურის ისტორია აუქმებს ტერმინ «წინაისტორია»-ს შეგნებას[1].

„ბგერითი მეტყველების პალეონტოლოგიური ანალიზი,—განაგრძობს ნ. ი. მარრი,—ყველა სტადიალური გადანაშთის, მათ შორის ხაზური, განსაკუთრებით კი უკვე სალაპარაკო ხელის ენის ბატონობის მხედველობაში მიღებით... [ცხადჰყოფს, რომ] არამცთუ ენა არ იწყება ბგერითი მეტყველებით, არამედ არც ბგერითი მეტყველება, არც მისი წინამავალი ხელის ენა, მით უფრო საერთოდ ხაზური, კერძოდ გრაფიული ენა, წარმოშობიდანვე არ ყოფილა სალაპარაკო ენა, იგი იყო ჯერ წარმოებითი“[2].

მეორე მხრით, ახალი მოძღვრება ენის შესახებ სრულიადაც არ აერთიანებს დანაწევრებას ბგერით მეტყველებასთან. ამ უკანასკნელს გადასწევს რა შედარებით გვიან სტადიაზე, ამავე დროს დანაწევრებასაც სრულიად არ სწევს უკან. პირიქით, საგრძნობი მიღწევები დანაწევრების ნაწილში აქვს ჯერ კიდევ ხელის ენას. სხვათა შორის ამით არის შეპირობებული თვით ბგერის გახლეჩა, რომელიც იზრდება კინეტიური ენის საერთო ბაზაზე. ამასთან დაკავშირებით მტკიცდება, რომ ბგერის დანაწევრება, ე. ი. მისი ფონემატური დაშლა, შედეგია ხმის აპარატზე ხანგრძლივი სოციალური ზემოქმედებისა და მას ერთბაშად სრულიადაც არ გამოუყვია ფონემები მათი გაგებით ჩვენს მიერ. ფონემების გაფორმება ხდებოდა თანდათანობით ბგერითი სახესხვაობათა გამდიდრების საჭიროების მიხედვით. მაშასადამე, თვით ფონემის მოძრაობა მხოლოდ ბიოლოგიური ხასიათის მოვლენა არ არის. პირიქით, ფონემის მოძრაობა შეპირობებულია სოციალური დაკვეთით.

მოძრაობის პროცესი, ამ მიმართულებით, ნ. ი. მარრის მიერ წარმოდგენილია შემდეგი სახით: „ბგერითი მეტყველება იწყება არა თუ ბგერებიდან, არც სიტყვებიდან (ან) მეტყველების ნაწილებიდან, არამედ წინადადებიდან“[3].

მართლაც, მეტყველების ნაწილების (მათი გრამატიკულ კატეგორიათა ჩვეულებრივი გაგებით) წარმოშობის თანამიმდევრობაზე ლაპარაკი კონკრეტუ-

---

[1] Н. Я. Марр. К семантической палеонтологии языков не яфетических систем, стр. 36 сл.

[2] იქვე.

[3] Н. Я. Марр. Почему так трудно стать лингвистом-теоретиком. „Языковедение и материализм“, „Прибой“, 1929, стр, 37.

ლად შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება მათი გაფორმება, რაც ანმტკიცებს მათ ფუნქციას, როგორც ფუნქციას მეტყველების ამა თუ იმ ნაწილისას[1]. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო არა მარტო ფონემის გამოყოფა ფონეტიკური ენის წყობაში, არამედ ბგერების ან ბგერათა კომპლექსების სპეციალური ფუნქციური განმტკიცებაც მათი, როგორც მომსახურე ნაწილების როლში, რომლებიც განსაზღვრავენ სიტყვის შინაარსს ან მის ურთიერთობას სხვა სიტყვებთან ფრაზაში. მაგრამ სწორედ ამას აღწევენ უკვე განვითარებული ენები მათი მორფოლოგიური გაფორმების ფართო უნარში.

ამ დრომდე არ შეიძლებოდა ყოფილიყო გრამატიკული კატეგორიები, მაგრამ მეტყველების კატეგორიები მაინც იყო. ამ უკანასკნელთ, რომელთაც არ გააჩნდათ ფორმალური მაჩვენებლები სიტყვაში, ე. ი. რჩებოდენ ამორფულნი, აშკარავდებოდენ ფრაზაში სინთეტიური გზით. ამრიგად, გრამატიკულ კატეგორიებამდის იყო იდეოლოგიური კატეგორიები, რომელთა არსებობამ გამოიწვია სწორედ განსაკუთრებულ ფორმალურ განმასხვავებელთა შემუშავება. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ზმნა იდეოლოგიურად არსებობდა მაშინაც, როდესაც ფორმალურად იგი არაფრით არ განირჩეოდა სახელისაგან. მოქმედება, მეტყველების ამ მდგომარეობაში, განისაზღვრებოდა სიტყვის ადგილით ფრაზაში, რაც, მალლერის დაკვირვებით, ახასიათებს ხელის ენასაც.[2] ხელის ენით მეტყველ ინდოელს, დასახელებული ეთნოგრაფის სიტყვით, ჟესტების ენაში აქვს უკვე ძალზე განვითარებული სინტაქსი, რომლის მეშვეობით გადასცემს ხოლმე იდეოლოგიურად შემეცნებული მეტყველების ნაწილებს, რასაც ჯერ კიდევ არა აქვს გრამატიკული გამოვლინება. ასეთ სტრუქტურას ვპოულობთ ამორფულ-სინთეტიურ წყობაში. მაშასადამე, გრამატიკული კატეგორიების შემდგომი დადგენისათვის საჭიროა საერთოდ მეტყველების კატეგორიების შემეცნების ხარისხის გამორკვევა საერთოდ.

თავდაპირველად არ ყოფილა არც ზმნა და არც სახელი. სანამ არ იყო მეტყველების სხვა ნაწილების ზუსტი შეგნება, სანამ ფაქტიურად არ იყო ზედსართავები, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, კავშირები, ზმნები—არ შეიძლებოდა ყოფილიყო არსებითი სახელიც იმ, ზუსტად განსაზღვრული, ფორმალური ნიშნებით გამოხატული ფუნქციებით, რომლებითაც იგი ახლა განუყრელად ხასიათდება ჩვენს წარმოდგენაში მის შესახებ. საერთოდ არ იყო მეტყველების ნაწილები, არ იყო სახელიც, არამედ იყო მხოლოდ ბგერითი კომპლექსი[3].

ამ პირველადი ბგერითი კომპლექსის შინაარსს ნ. ი. მარრი განსაზღვრავს ამნაირად: ეს ბგერითი კომპლექსი, გადადის რა ხელის სიგნალიზაციიდან, მიეკუთვნება ჯერ კიდევ თავის კოლექტიურობაში დაუნაწილებელი, კოლექტიური შრომით შეკავშირებული შემეცნებული საზოგადოებრივი კავშირის აღსანიშნავად. ასეთ სოციალურ-საწარმოო კავშირს პირობით უწოდებს რა ტერმინს

---

[1] Н. Я. Марр. Яфетическая теория, Баку, 1927, стр. 126.
[2] G. Mallery. Sign language among North American Indians, 1881.
[3] Н. Я. Марр. Яфетическая теория, стр. 126.

„ტოტემს“, ნ. ი. მარრი აღიარებს სიტყვის პირველად „ტოტემურ“ შინაარსს მის, როგორც თვით საწარმოო კავშირის, ისე მისი საწარმოო მოქმედების აღნიშვნით.

უკვე გაფორმებული ბგერითი მეტყველების ამ ისტორიულ პროცესში ჯერ კიდევ სუსტ ფონემატურ დიფერენციაციის განსაზღვრულ სტადიაზე,—ნ. ი. მარრი აღნიშნავს მის მიერ დასახელებულ ძირითად ლინგვისტური ელემენტების არსებობას, რომლებიც შემჩნეულია თავის საკუთარ დინამიკასა და გლოტოგონიის მთელ შემდგომ პროცესში.

ეს ელემენტები, რომლებიც გაფორმდენ ბევრად უფრო გვიან, უკვე განვითარებულ ფონემატურ მდგომარეობაში ორთანხმოვან ფუძეებად, თავის პირველადი, ჯერ კიდევ დაუშლელი დანაწევრების გზაზე, შერწყმულ „დიფუზურ“ ბგერაში, წარმოადგენენ არტიკულაციური ხმის აპარატის ბგერითი კომპლექსების უძველეს ფორმებს. მაინც და მაინც არსებულ ენობრივ მასალაში ისინი გეხვდებიან უკვე დანაწევრებული სახით თავის რთულ აფრიკატობაში ბგერების გამმიჯნელი ხმოვანობით. ნაწილობრივ მათი დაფუძნება ხდება სწორედ ამ სახით მონოსილაბურ (ერთმარცვალოვან) ენებში, უმეტეს შემთხვევაში კი ისინი უკვე აღარ არიან დამოუკიდებელი სიტყვები და წარმოადგენენ სიტყვის უფრო გართულებული ძირის სიტყვა-ძირებს.

როდესაც ამ ელემენტებს ვეცნობით მათ ისტორიზმში, ჩემის აზრით, მოგვიხდება მათი საფუძველი დავინახოთ იმ ჯერ კიდევ დაუნაწევრებელ ბგერაში, რომელიც, ტონალობით ვარირებული (რაც ცხოველებსაც შეუძლიათ), პირველდასაბამიდანვე არსებობს კინეტიური მეტყველების შედგენილობაში, როგორც ხელის ენის თანამონაწილე. მაგრამ ეს პირველადი ბგერა არ არის ელემენტი, ისევე როგორც არ არის ელემენტი უფრო განვითარებული ენების სიტყვის მერმინდელი ძირი. ჩვენ აქ ვამჩნევთ სრულიადაც არა მდოვრულ დენას ბგერის სახისცვალებაში, პირიქით, აღნიშნულია ძვრა, რამაც გამოიწვია ბგერის დანაწევრება. მაშასადამე, ნ. ი. მარრის მიერ აღნიშნული ძირითადი ლინგვისტური ელემენტები წარმოადგენენ უკვე დანაწევრებული ბგერის და სრულიადაც არა საერთოდ ბგერის პირველად სახეებს, ამიტომ ისინი შეადგენენ დანაწევრებული ბგერითი მეტყველების საფუძველს.

ამნაირად, ბგერის მოძრაობის ისტორია ასე წარმოგვიდგება: ჯერ ბგერა, კინეტიური მეტყველების თანამონაწილე, მაგრამ ჯერ კიდევ გაუხლეჩელი; შემდეგ ელემენტი როგორც გახლეჩის პირველადი მდგომარეობა; შემდეგ ფონემა, როგორც თვით ელემენტის დანაწევრების შედეგი. ამასთან ელემენტი თავისი შინაარსით, ისე როგორც ფორმით, სხვადასხვანაირია სხვადასხვა გლოტოგონურ პერიოდში. ელემენტი იყო სიტყვა, შემდეგ, სიტყვა-ძირის მერმინდელ განვითარების დროს, შეიძლება სიტყვის ნაწილად გადაქცეულიყო, იგივე გადაიქცა დამხმარე სიტყვად და მისი მეშვეობით დამხმარე ნაწილაკად, გრამატიკული მაჩვენებლის ახალი ფუნქციის მიღებით ან კლასიური ენობრივი მრკვეველის (დეტერმინატივის) მნიშვნელობაში განმტკიცებით და სხვ.

და მთელი ეს მოძრაობა სრულიადაც ბიოლოგიური ფაქტორით არ არის შეპირობებული. პირიქით, გავიხსენოთ ახალი მოძღვრების უკვე ზემოდ მოყვა-

ნილი მტკიცება, რომ ბგერის დანაწევრება, მისი დაშლის ფონემატურობის აზრით, შედეგია ხანგრძლივი სოციალური ზემოქმედებისა ხმის აპარატზე მოდულაციების თანდათანობითი გაძლიერებით და დანაწევრებული ბგერის ერთიმეორეზე წარმოთქმასთან თანდათანობითი შეფარდებით.[1] გავიხსენოთ აგრეთვე ნ. ი. მარრის სიტყვები: „არ არის არამცთუ სიტყვა, არამედ არც ერთი ენობრივი მოვლენა, თუნდაც მეტყველების წყობიდან ან მისი მატერიალური გამოვლინებიდან გრაფიკასა, კინეტიკურ ხაზსა და ბგერაში, ფონეტიკაში, არ არის ბგერითი მეტყველების არც ერთი ნაწილაკი, რომელიც წარმოშობისას არ იყოს შეგნებული, ღებულობდეს რაიმე ენობრივ ფუნქციას აზროვნებამდე, ატარებდეს წარმოშობასთან ან გაფორმებასთან დაკავშირებულ რაიმე თავისებურობებს, რომლებიც დაყვანილი იქნენ ბუნებრივ და გრძნობით მოვლენებამდე, როგორც ფაქტორებამდე".[2]

ნ. ი. მარრის მიერ გამოყოფილი ძირითადი ლინგვისტური ელემენტები წარმოიშვა გარკვეული სოციალური დაკვეთით. საზოგადოებრივი მოთხოვნილება რომ არ ყოფილიყო, წინანდელი შერწყმული ბგერაც არ დანაწევრდებოდა. ამის წყალობით გამორკვეულია, რომ ელემენტი შეპირობებულია განსაზღვრული სოციალური მნიშვნელობით. იგი სემანტიურია. მაგრამ, ამავე დროს, კაცობრიობის ისტორიის იმ სიღრმეში, რომელსაც აღწევს ელემენტური გაფორმება, არ შეიძლებოდა ყოფილიყო დაქსაქსულ საზოგადოებრივ კავშირთა ურთიერთშეთანხმება მათ მიერ გამომუშავებულ ელემენტების ერთობლივი მნიშვნელობის დადგენაში. ამრიგად, უნდა ვაღიაროთ, რომ ელემენტი სემანტიურიცაა და ნაირსემანტიურიც. იგი გარდა ამისა, მრავალსემანტიურიცაა, რამდენადაც მეტყველების განვითარების ძრვადი პროცესი ადიდებს სემანტიური ნიშნების რიცხვს და ტერმინი იხლიჩება სემანტიურ სახესხვაობებად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ელემენტი მრავალმნიშვნელოვანია თავის საფუძველში, და ამავე დროს სავსებით კონკრეტულია მის გამოყენებაში მოცემულ საზოგადოებრივ წრეში.

ელემენტის პირვანდელი სოციალური მნიშვნელობა განისაზღვრება მარრი სეული ტოტემის ზემოდ მოცემული შინაარსით. და რამდენადაც ელემენტი მიმაგრებულია სოციალურ—საწარმოო კავშირის შემეცნებულ კოლექტივსა და მის მოქმედებაზე, ე. ი. თვით მის წარმოებაზე, იმდენადვე ელემენტის ცნება ემთხვევა ტოტემის ცნებას. ელემენტი სრულიადაც „საიდუმლო იეროგლიფი" არ არის, იგი წარმოადგენს ტოტემის, ე. ი. საზოგადოებრივი კავშირისა და მისი მოქმედების, შეგნების რეალურ გამოვლინებას.

აქ გამოთქმული დებულების უფრო ზუსტი ფორმულირებისათვის საჭირო იქნება კვლავ მივუთითოთ კვლევითი მუშაობის სახელმძღვანელო ღერძზე, აუცილებლობაზე მისადმი განუწყვეტლად მიდგომისათვის ენისა და აზროვნების მხედველობაში მიღებით. ჩვენი აზროვნების ნორმები ვერ თავსდება იმ შორეული წარსულის ჩარჩოებში, რომელმაც ბგერითი მეტყველების გაფორმების სტადიაში მოუსწრო შეცნობადი კოსმოსის მაგიური აღქმის ნორმებს. ამ სტადიასთან

---

[1] შეად. აგრეთვე «Роль труда в процессе очеловечения», стр. 52.

[2] Н. Я. Марр. Язык и мышление, стр. 44.

ბეკრად უფრო ახლოს იქნება, მაგალითად, მსოფლწარმოდგენა ჩრდილოეთ ბრაზილიის ტომის ბოროროსა, რომელიც, ფონ-დენ-შტეინენის დაკვირვებით, თავის თავს არარასთან აიგივებს. ბრაზილიელი ინდიელი სრულიადაც თავის თავს წითელი თუთიყუშის შთამომავლად არ სთვლის, იგი თანასწორობის ნიშანს ავლებს თავის თავსა და მთელ თავის ტომსა და ამ თუთიყუშს შორის [1].

გადავდივართ რა ჩვენს მასალაზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ელემენტი, მის ასეთ მდგომარეობაში, არის სწორედ ტოტემი, ე. ი. თვითონ საწარმოო საზოგადოებრივი კავშირი. და თუ ჩვენ შეგვიძლია ლაპარაკი იმ დროს საზოგადოებრივი კავშირის რეალურ შეცნობაზე თვით მეტყველების ელემენტი, როგორც რეალური შენობის ელემენტი, სწორედ იმავე ტოტემად აღმოჩნდება. აქედან, გვიან, ჩნდება სატყვის მაგია, მისი ტაბუ, მაგალითად ღვთის (იეგოვას) სახელის წსენების აკრძალვა და სხვ.

ელემენტის ასეთი პირველადი მნიშვნელობა გვევლინება მხოლოდ მისი განსაზღვრული პერიოდისათვის; შემდეგში იგი იცვლება, რადგან ელემენტი, ისე როგორც ყველაფერი ენაში, სრულიადაც არ არის სტაბილურ მდგომარეობაში. ელემენტი იცვლებოდა თავის შინაარსშიც (მნიშვნელობაში—სემანტიკაში) და თავის ფორმაშიც. ახალი შინაარსი ცვლიდა ფორმას, და ახალი შინაარსი სახეშეცვლილი ფორმით ღებულობს თავის გააზრებას ენაში.

ასე, მაგალითად, სიტყვათა მზარდ რაოდენობაში ხდება მათი თვისებითი განსხვავება, ჩნდება მომსახურე სიტყვები, რომლებიც თანდათან კარგავენ სიტყვების დამოუკიდებელ მნიშვნელობას. დამხმარე სიტყვებიდან მუშავდება დამხმარე ნაწილაკები.

ელემენტების ასეთ მოძრაობას ზუსტად განსაზღვრავს თვითონ ნ. ი. მარრი. მისი სიტყვით, იცვლებოდა ენის ფუნქცია, მასთან ერთად იცვლებოდა მისი მოსამსახურებელი წრე, რომელიც ფართოდ განიბნეოდა დასახლებული სივრცეზე. იცვლებოდა მეტყველების მიერ დასახელებული საგნების მოცვა, იცვლებოდა მეტყველების კულტურის საწარმოო იარაღი, იცვლებოდა მისი დამუშავების ტექნიკა. და რაც უფრთ მეტად იცვლებოდა იგი, მით უფრო რთული ხდებოდა ეს იარაღი ზედნაშენი ბგერითი გაფორმებით, იცვლებოდა აზროვნება. ამასთან დაკავშირებით, ნ. ი. მარრი აღიარებს, რომ ოთხი ლინგვისტური ელემენტიც კი ვერც რაოდენობრივად და ვერც თვისობრივად ვერ აცდებოდა იმ კანონზომიერ-გარდუვალ ძირითად ცვლილებებს, რომლებიც ახასიათებს სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურს და რომლებიც თავისი მხრით, მიუხედავად ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული პროცესის სირთულისა, საბოლოო ანგარიშით წარმოებისა და სოციალური კულტურის შესაბამის ზრდაზე იყო დამოკიდებული. ამ მატერიალური ბაზის აღშავლობა, განაგრძობს ნ. ი. მარრი, გადაიქცა სწორედ გარდატეხის ეტაპად ენის დაძვრისათვის თავისი განვითარების წინანდელი საშუალებებიდან, როდესაც იგი იყო კინეტიური (ხელის), ახალ საშუალებათა და შესაძლებლობათა გზაზე, როდესაც ენა გახდა ბგერითი [2].

---

[1] Karl von-den-Steinen. Unter den Naturvölkern Zentralbrasiliens, Berlin, 1894, Л. Леви-Брюль. Первобытное мышление, Москва, 1930, стр. 48 сл.

[2] Н. Я. Марр. Язык и письмо, стр. 13—14.

ელემენტის მოძრაობა წარმოებს სემანტიკის გზითაც და მორფოლოგიური ხასიათის მოვლენათა მომსახურეობის ხაზითაც. ელემენტის ამ მზარდ მრავალფუნქციალობასთან დაკავშირებით რადიკალურად იცვლება მისი ფორმაც. ელემენტის დინამიკის აღნიშნული პროცესი მის მნიშვნელობაშიც და მის ფუნქციაში ხასიათდება ნ. ი. მირრის შემდეგი სიტყვებით: „იდეოლოგიური ცვლანი განსაზღვრავენ ბგერით ცვლილებებს, რის გამო ენის განვითარების პროცესში პირველადი ლინგვისტური ელემენტებიც, რიცხვით ოთხი, განიცდიან მრავალ ცვლილებას სულ იმავე დაპირდაპირებათა კანონის გზაზე და თავის განვითარებაში აღწევენ ერთი ბგერის, ხმოვან ან თანხმოვან, მდგომარეობამდე".[1]

ამასთანავე ცვლილება ხდება ფუნქციის ხაზითაც. ასე, მაგალითად, ინდივიდის შეცნობა კოლექტივის შედგენილობაში მათ დაპირდაპირებაში გამოყოფს მხოლობით რიცხვს მრავლობითისაგან. და თუ კოლექტივის შერწყმული აღქმა ერთიანობას წარმოადგენდა, იგივე მრავლობად აღმოჩნდა მისი დანაწევრებული ნაწილების მიმართ. ამრიგად, მხოლობითი რიცხვი წინად არ ყოფილა, მაგრამ მრავლობითიც შემუშავდა მხოლობითთან გაფორმებით[2].

ინდივიდის, როგორც კოლექტივის ნაწილის, შეცნობამ გამოავლინა მესამე პირის დაპირდაპირება პირველ პირისადმი. მანამდის კი, მთელი საზოგადოებრივი კავშირის ჯერ კიდევ შერწყმული აღქმის დროს, მისი თითოეული წევრი შეიცნობდა ხოლმე თავის თავს კოლექტივის საერთო სახეში, თავის თავს არ უპირისპირებდა მას და მასთან ერთად წარმოადგენდა ერთ პირს. როდესაც გართულებულმა წარმოებამ დაანაწევრა კოლექტივის აღქმის მთლიანობა, პირთა დაქუცმაცებაც გამოაშკარავდა, რამაც მოითხოვა თავისი გამოსახვა ენაშიც.

კოლექტივის აღქმის მთლიანობის ასეთი დანაწევრება იწვევდა მეტყველების იდეოლოგიური ნაწილების გამოვლინებას. მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ არ შეიძლება რომ გრამატიკული კატეგორიები ყოფილიყო მათი სპეციალური გარეგნული გაფორმებით, მაშასადამე არ იყო არც სახელი მისი დაპირისპირებით ზმნისადმი მათ გარეგნულ ფონეტიკურ განსხვავებაში.

ამ მდგომარეობის განსაზღვრებაში ნ. ი. მარრი უბრუნდება ტერმინ „ტოტემ"-ს. სახელი არ ყოფილა, მაგრამ „ტოტემი" იყო. ეს ტოტემი გამოხატავდა სახელსაც და მოქმედებასაც. მაგრამ თვითონ კავშირის, ე. ი. „ტოტემის" დანაწევრების პროცესმა დაუპირისპირა მას ტოტემის მოადგილე ჯერ იდეოლოგიურად, ე. ი. შეცნებაში, ხოლო შემდეგ გრამატიკულადაც, ე. ი. ფორმაში. ამ უკანასკნელმა, როგორც უკვე დამხმარე სიტყვამ, შეასრულა მდგომარეობისა და მოქმედების გარჩევის სოციალური დაკვეთა. ამნაირად აღმოჩნდა ფორმატივის ერთიანობა ორთავე შემთხვევაში. ამ დასკვნამდე მიდის სწორედ ნ. ი. მარრი, რომელიც ამტკიცებს, რომ „შემჭმნელი ელემენტები ბრუნებასა და უღლილებას ერთნაირი აქვსთ, მაგრამ ერთ შემთხვევაში ისინი ააშკარავებენ მიმართებას სივრცეში (უღლილება), მეორე შემთხვევაში [გამოხატავენ მიმართებას] დროში, ე. ი. მოძრაობაში, მოქმედებაში (ბრუნება)"[3].

---

[1] Н. Я. Марр. Язык и мышление, стр. 22.

[2] იქვე, გვ. 19.

[3] იქვე.

ფუნქციის დანაწევრებამ გამოიწვია ფორმების დანაწევრება. ახალმა შინაარსმა აქაც ააფეთქა ფორმა, რის გამო სიტყვის დამახასიათებელი ნაწილაკები სახელის გაფორმებაში დაშორდა სიტყვის დამახასიათებელ ნაწილაკებს ზმნის გაფორმებაში. გაჩნდა ცალკე ბრუნვათა დაბოლოვებანი და *ცალკე პირთა* და დროთა დაბოლოვებანი ზმნაში. გარდა ამისა, იგივე გაყოფა გამოჩნდა უკვე გამოყოფილ სახელებშიც მსაზღვრელისა და ზღვრულის ხაზით და მივიღეთ ზედსართავის განსაკუთრებული ფორმატივი. აქ ჩვენ გვაქვს უკვე მეტყველების გრამატიკული კატეგორიების გამოყოფის პროცესი, ე. ი. უკვე არსებული იდეოლოგიური განსხვავების გამოვლინება ფორმაში.

არსებული ენობრივი მასალა საუცხოო მაგალითებს გვაძლევს მეტყველების განვითარების დასახული მსვლელობის საილუსტრაციოდ. ასე, მაგალითად, ქურთულ ენაში, როგორც ამ ცოტა ხნის წინად მოვისმინეთ[1], ზედსართავს შეიძლება არ ჰქონდეს არავითარი განსაკუთრებული გაფორმება და მისი, როგორც მსაზღვრელის, მნიშვნელობა მყარდებოდეს მის მიერ ფრაზაში დაჭერილი ადგილით, ე. ი. სინტაქსის გზით. აქ ჩვენ გვაქვს იდეოლოგიური განსხვავება გრამატიკული გაფორმების გარეშე, რაც ცხადდება სიტყვის ადგილით ფრაზაში[2].

შემდეგ, ამიერკავკასიის იაფეტურ ენებში მთელი რიგი ზედსართავები იქმნება ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოების ფუძეზე მიმატებით, მაგალითად ჭანური ordo-ші (სადაც ші არის ნათეს. ბრუნ. დაბოლოება) 'დილის' და სხვ. ამ შემთხვევაში გვაქვს იგივეობა ფორმატივებისა არსებით სახელებში (ბრუნვათა დაბოლოებანი) და ზედსართავებისა გრამატიკულ გაფორმებისას ორთავეში.

ძველი ვანის ქალდურ ენაში ობიექტური ნაცვალსახელობრივი სართი ზმნაში (—ni) წარმოადგენს აგრეთვე დაბოლოებას მიცემითის resp. შემასმენელობითის ბრუნვისას სახელებში: karu-ni Murinu-ni' (იგი) დაიპყრო—იგი მურინი'. ამიერ-კავკასიის სხვა იაფეტური ენებიდან პარალელების მოყვანით, შეიძლება დაუშვათ, რომ შემთხვევითი არაა ქართულსა, მეგრულსა და ჭანურში მიცემითი (იგივეა შემასმენელობითი) ბრუნვის დაბოლოების sa—→s დამთხვევა მესამე პირის ასეთსავე დაბოლოებასთან ზმნაში და სხვ.

ეს იქნება ენებში შერჩენილი მაგალითები ფორმატივის ერთიანობისა სახელებსა და ზმნებში. ბრუნვების დაბოლოებათა ზმნების პირებთან სრული დაშორების შებრუნებული მაგალითების მოყვანა ზედმეტია. ისინი ისედაც კარგადაა ცნობილი მთელ რიგ ენებში.

არა ნაკლებ თვალსაჩინო შემთხვევებს ვამჩნევთ მესამე პირის პირველ პირთან არევაშიც. ასე, მაგალითად, ქართულში მესამე პირის ნაცვალსახელის არაპირდაპირი ბრუნვები (m-is, m-as, m-an და სხვ.) წარმოსდგება ერთი ფუძიდან პირველ პირთან (m-e). გარდა ამისა, იმავე ქართულში ნაცვალსახელების (mi, ma) არაპირდაპირი ბრუნვები, ზმნასთან მათი აფიქსაციის დროს, წარმოადგენს პირველი პირის ნაცვალსახელობრივ სართებს, თუმცა შეიძლება

---

[1] ქურთი სტუდენტების მოხსენება ენისა და აზროვნების ინსტიტუტში 1933 წ. თებერვალს.

[2] ასეთი მაგალითები შემჩნეულია ბევრ ენაში.

მათი დამოუკიდებლად გამოყენება (mis, mas→mi,ma), ისინი მოასწავებს მესამე პირის არაპირდაპირ ბრუნვებს. ასევე ქალდურშიც გვაქვს თავისთავადი ნაცვალსახული mei 'მისი' და ზმნისსართი me 'მე': tim mei 'სახელი მისი' და aru-me 'მოიყვანა (მომცა)—მე' და სხვ.

ამრიგად, ლინგვისტური მასალის ანალიზის დროს, უნდა აღვნიშნოთ სხვადასხვა ფორმები ერთი შინაარსით, მაგრამ სხვადასხვა შინაარსიც მსგავს ფორმებში. ეს იქნება სწორედ მეტყველების განვითარებაში დიალექტური სვლის ერთ-ერთი გამოვლინება.

აქ ჩვენ ვიწყებთ იმ რთულ ენობრივ სტრუქტურათა ანალიზს, რომლებიც იმუშავებენ უკვე თავისთავად ფორმებს მათ ფუნქციურ დავალებაში მომსახურება გაუწიონ მეტყველებას. და მაინც, ადამიანის განვითარებული ენებიც კი არ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მათდამი სტატიკური მიდგომით, მხოლოდ აღწერითი გრამატიკით. პირიქით, როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს ენა, იგი მაინც ხშირად მეტად ღრმა არქაიზმების გამოვლინების შესაძლებლობას შეიცავს, რაც მოწმობს ენისა და აზროვნების განვლილ ეტაპებს.

ამ მხრით, ენა მართლაც წარმოადგენს განსაკუთრებით ძვირფას ისტორიულ წყაროს. უწინარეს ყოვლისა, ნ. ი. მარრის სიტყვით, ბგერებიც კი არ იცვლებოდა თავისთავად. ბგერითი სახესხვაობა იყო იდეოლოგიური სახესხვაობაც, და ახლა არ არის არც ერთი ფორმალურად აღრიცხული ბგერითი მოვლენა, რომელსაც არ ჰქონდეს არა მოხმარებისაგან, არამედ საზოგადოებრიობის დაკვეთისაგან იდეოლოგიურად დამოკიდებული ფუნქცია. ბგერათა მრავალფეროვნება—ეს საზოგადოებრივი ფუნქციის მრავალფეროვნებაა.[1] და მეორე ადგილას: „ენა ადამიანის ისეთივე ქმნილებაა, როგორც კულტურის შედგენილობაში შემავალი ყველა დანარჩენი ნაწილი იმ განსხვავებით, რომ ენა იმავე დროს ასახავს შემოქმედებისა და ევოლუციის ყველა ეტაპს კაცობრიობის განვითარებაში და ასახავს ზუსტ ფორმულებში, სიტყვებში, ისე, როგორადაც აგებულია ისინი და როგორადაც იყენებენ მათ ამათუიმ აზრით. სიტყვების ფორმაცა და მნიშვნელობაც ზუსტად მიგვითითებენ იმ ადგილზე, რომელიც უჭირავს გარკვეულ სიტყვას, და ჩვენ არ გვიხდება თავისტეხა მისახვედრად, უფრო მეტი, იგივე ლექსიკური მასალა საშუალებას გვაძლევს მოუნახოთ ადგილი არა მარტო სიტყვას, არამედ მით აღნიშნულ საგანსაც, არის ეს მატერიალური კულტურის ძეგლი, თუ მოვლენა საზოგადოებრივ მოვლენათა და რელიგიურ მსოფლმხედველობათა სამყაროდან. ისაზღვრება დრო და ადგილი არა წლების ან ტერიტორიის მიხედვით, არამედ სოციალური წყობისა და სამეურნეო ფორმების ეპოქების მიხედვით კაცობრიობის ცხოვრებაში. და ყოველივე ეს ასახულია ენაში"[2].

ამასთან დაკავშირებით, ენას ვიყენებთ როგორც არა მარტო ენობრივი ისტორიის განვლილ პერიოდების მოწმეს. ასე მაგალითად, საკუთრების ცნებას

[1] Н. Я. Марр. Язык и мышление, стр. 20—21.
[2] Н. Я. Марр. Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении, стр. 8.

ნ. ი. მარრი უდგება აგრეთვე ენობრივი მისადმი სიგნალიზირების მხრით. ენობრივი მასალების პალეონტოლოგიური ანალიზის დამოწმებით, „საკუთრება იწყება ადამიანთა კოლექტივების საწარმოო-სოციალური დაჯგუფების წინაგვაროვნული მდგომარეობიდან მოყოლებული. მაგრამ მაშინ საკუთრება, ჩვენი გაგებით, სრულიადაც საკუთრება არაა, ეს არის აბსოლუტურად ტოტემური საკუთრება, საკუთრების ამათუიმ ჯგუფურ ბუნებაზედაც კი რაიმე წარმოდგენის გარეშე... და მაშინ არ იყო არამცთუ ნაცვალსახელები, არამედ ბგერითი მეტყველებაც საერთოდ". შემდეგში „საკუთრება იცვლის თავის შინაარსს, ხდება რა საერთო კოლექტივის ამათუიმ ჯგუფის კუთვნილებად, და უფრო მეტად იცვლის თავის შინაარსს, როდესაც იგი იქცევა კერძო ან ინდივიდუალურ საკუთრებად. მაგრამ ყველა სტადიაზე საკუთრება ინარჩუნებს თავის სახელწოდებას: ჯერ „ტოტემი", შემდეგ შესაფერისად ენაში ჩნდება ნაცვალსახელები, იწყება უკუქცევითი ან პირადი საერთო მე-3 პირით და გაივლის ჯერ კოლექტიურ და შემდეგ ინდივიდუალურ-პირად ან კერძო პირველ ორ პირს"[1].

ისტორიული გადართვის იმავე სქემას ვამჩნევთ ნათესაობის ტერმინებშიც. თავდაპირველად მათ არაფერი ჰქონდათ საერთო არც სისხლთან და არც სქესთან, წარმოადგენდენ რა საწარმოო-საზოგადოებრივი ურთიერთობის ტერმინებს, კლასობრივ ენობრივ მაჩვენებლებს. ტერმინები ეხებოდა განსაზღვრულ კლასებს მათი სოციალური მნიშვნელობის მიხედვით, რის მაგალითიც დღესაც გვაქვს კავკასიის ბევრ ენაში ტერმინების დაყოფით აქტიურსა და პასიურზე, ძველი ტერმინოლოგიით გონივრულსა და არაგონივრულზე, მათი როლის მიხედვით მეურნეობაში. მხოლოდ შემდეგში, ახალ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში, მოხდა განსხვავება სქესის მიხედვით, რაც ასახავს მატრიარქატისა და პატრიარქატის განვლილ სტადიებს. ყველა ეს მომენტი გამოაშკარავდა სიტყვების სემანტიკასა და მორფოლოგიურ ნაწილაკებში, რომლებიც გადაიქცა სქესის მაჩვენებლებად, და გამოაშკარავდა ისევ არა მათ სინტაქსში, არამედ მათ დინამიკაში, ე. ი. სემანტიურ გადასვლებსა და ფორმატივების მნიშვნელობის გადართვაში.

შინაარსის ცვლა მის ურთიერთმიმართებაში ფორმასთან უფრო ნათლად გამოაშკარავდა სიტყვების მნიშვნელობის შეცვლაში. ასე, მაგალითად, ლინგვისტური ანალიზით მტკიცდება, რომ თითეული ხალხის სახელწოდება, ეგრეთწოდებული ტომობრივი სახელწოდება, იქმნებოდა საწარმოო-სოციალური დაჯგუფების სახელ-ტოტემიდან, ხოლო ეს სახელ-ტოტემი კაცობრიობის სტადიური განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე (მისი კოსმიური მსოფლგაგების დროს) იყო 'ცა', კერძოთ 'მზე', ან უფრო გვიან დაზუსტებით 'ცის შვილი'. ამავე დროს ღია ფერის ლითონი, ვერცხლი, იწოდებოდა მზის მიხედვით, როგორც ეს დამტკიცებულია არა მარტო მეტყველების პალეონტოლოგიით, არამედ 'ვერცხლის' იდეოგრაფიული მოხაზულობითაც დამწერლობაში,

---

[1] Н. Я. Марр. Право собственности по сигнализации языка в связи с происхождением местоимений. „На боевом посту", 1930, стр. 383 сл.

კერძოდ ლურსმულ დამწერლობაში, რომელიც თავის დასაბამს ღებულობს ოთხი ათასი წლის წინედ ქრისტიანულ ერამდის[1].

ტერმინის ასეთივე მიმოძრაობა გადმოგვცემს იმ საგნების ცვლას, რომლებიც ასრულებენ იმავე ფუნქციას, მაგალითად „თოფის გასროლა", როდესაც თოფის ახლანდელ შედგენილობაში არ არის ისარი, ან მიმოსვლის საშუალებათა ცვლას, რაც ერთ ფუძეში აერთებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ძაღლი, ირემი, ცხენი, ურემი, ხომალდი და სხვა[2]. სიტყვათა მთელი მარაგი სხლტება თავისი ჰორიზონტალური ჭრილის გარეგნულად მოჩვენებითი მდგრადობიდან და აშკარავებს მოძრაობის მდგრადობას და არა ერთ ადგილზე დგომას.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ლექსიკური მასალის უმაგალითო სიცხადემ მის სემანტიკაში გამოიწვია მთელი რიგი იაფეტიდოლოგიური შრომები ამ მიმართულებით და მძლავრად წამოაყენა დინამიკის მომენტი უნებლიედ მოძალებული სტატიკის საწინააღმდეგოდ. „იაფეტური თეორიის წმიდა ლინგვისტურ ვიღწევათა ძირითადი სფერო—ეს არის, ნ. ი. მარრის სიტყვით, სემანტიკა და პალეონტოლოგია. საკითხი მდგომარეობს არა ტერმინების სიახლეში, არამედ იმის სიახლეში, რაც ფაქტიურ მასალათა ზეგავლენით უკვე შეტანილ იქნა მათ გაგებაში, ე. ი. საკითხი დგას მათი რეალური შინაარსის შესახებ. ეს არის სიტყვების მნიშვნელობათა უაღრესად კანონზომიერი ცვალებადობა და თითეული მათგანის უაღრესად კანონზომიერი დადგენა არა ემპირიული გზით, რაც დამოკიდებულია მათი ხმარების პრაქტიკისაგან ამათუიმ წრეში, ამათუიმ ავტორის მიერ, ან ცოტად-თუ-ბევრად შემთხვევითი კოლექტიური სანქციით ყოფა-ცხოვრებაში, არამედ სამეურნეო-საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის იმ მოთხოვნილებებთან მნიშვნელობათა დაკავშირების ნორმებით, რომლებიც კანონზომიერად იცვლება სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ამასთან განუყრელად არის დაკავშირებული მეტყველების პალეონტოლოგია, რომელიც აშკარავებს იმავე სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურის სემანტიურ გადანაშთებს, სიტყვაწარმოების განსაკუთრებული ნორმებით თითეული მათგანისათვის. მით იცვლება ბგერითი მეტყველების არა მარტო აზრობრივი მხარე, ამრავლებს და აზუსტებს რა მნიშვნელობებს ლექსიკაში წარმოების ამაღლებულ დონის მოთხოვნილებისა და ზედნაშენ მსოფლიოს დაგროვებათა შესაძლებლობის მიხედვით, არამედ იცვლება სიტყვების შექმნის ტექნიკაც, და მასში ისახება წარმოების ტექნიკურ მიღწევათა შეცნობა, წარმოების, რომელმაც მოასწრო შესაბამისად გაემდიდრებია აზროვნება და შეეცვალა იგი" [3].

ნ. ი. მარრის ამ მტკიცებაში ჩვენ ვხედავთ უკვე გამოსავალს წინანდელი ყურადღების გამახვილებიდან მხოლოდ სიტყვის ძირის მნიშვნელობაზე. და რამდენადაც სოციალური დასაბუთება ეძლევა სიტყვის არა მხოლოდ შინაარსს,

---

[1] Н. Я. Марр. Первая выдвиженческая яфетидологическая экспедиция по самообследованию марнев, 1930, Изд. Марийского научн. общ. Краеведения, стр. 9.

[2] Н. Я. Марр. Средства передвижения, орудия самозащиты и производства в до-неторин, Ленинград 1926.

[3] Н. Я. Марр. Актуальные проблемы и очередные задачи яфетической теорин, Москва, 1929, стр. 15 сл.

არამედ მის ფორმასაც, ამდენადვე ეს უკანასკნელიც წინა რიგშია წამოწეული როგორც ისტორიის თანასწორუფლებიანი მოწმე.

ამრიგად, იაფეტიდოლოგიურ ძიებათა წინანდელი მიზანსწრაფვა, რომელმაც მკვეთრად წამოსწია წინ სიტყვების სემანტიკა მის მოძრაობაში სემანტიურ რიგებისა და გადასვლების გამოკვლევით, ახლა საგრძნობლად გაფართოვდა იმით, რომ იმავე ისტორიული ამოცანებისათვის იყენებს სიტყვების მორფოლოგიურ გაფორმებასაც და სიტყვების მორფოლოგიურ შეცვლასაც სემანტიური მიზნებისათვის და შესასწავლი ენის მთელი სტრუქტურული მდგომარეობის ანალიზისთვისაც კი. მართლაც, თუ Lautgesetz არ არის თვითკმარი და თუ ფონემატიურ მაჩვენებლებს იგივე სოციალური ღირებულება აქვსთ, მთელი მეტყველება მთლიანად, და არა მხოლოდ სიტყვათა სემანტიკა, უმდიდრეს პერსპექტივებს შლის.

მე ვფიქრობ, რომ ამის საკმაო საბუთები მოგვეპოება. ავიღოთ თუნდაც ფრაზების სტრუქტურა მის სხვადასხვა სტადიურ მდგომარეობაში. ავიღოთ ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელი, რომელიც გამოიკვლია ულენბეკმა[1]. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელის ენა, დასახელებული მეცნიერის დაკვირვებით, ნათლად ასახავს ტოტემს, რომელიც მოქმედებს საქმის რეალური შემსრულებლის—ინდიელის მეშვეობით. მოქმედების მიზეზი (Urheber), ე. ი. ინდიელი, აღქმულა როგორც ტოტემის ნებისყოფის ამსრულებელი და სწორედ ამ სახით არის გაფორმებული ენაში. ინდიელის ფრაზის სიტყვა-სიტყვით გადათარგმნა ასეთი იქნება: „ჩემის მეშვეობით მოკლა მან ირემი". მოლაპარაკე პირი ფიქრობს, რომ „მან", ე. ი. ტოტემმა, მოკლა ირემი ინდიელის ხელით, ან ინდიელისათვის.

თუ ულენბეკი მართალია, რომელიც ამტკიცებს, რომ მოლაპარაკე პირის აზროვნება შეესაბამება ფრაზის სტრუქტურას, მაშინ ინდიელის მეტყველებაში ჩვენ გვექნება აქტიური წყობა, თუნდაც რომ მომქმედ პირად აღმოჩნდეს არა თვითონ ინდიელი, არამედ მისი აზროვნების ნორმებით შექმნილი ტოტემი. აქ, სხვათაშორის, დამახასიათებლად არის აღნიშნული ენისა და აზროვნებაზე ერთად დაკვირვების აუცილებლობა, რაზედაც ამყარებს თავის უკანასკნელს შრომებს ნ. ი. მარრი წინააღმდეგ დანარჩენი ლინგვისტებისა, რომლებიც უყურადღებოდ სტოვებენ ამ თვალსაზრისს. ამავე დროს, ცნობიერების განუყრელი კავშირი მის რეალურ გამოვლინებასთან ენაში (ენა არის რეალური ცნობიერება) იმდენად ორგანიულადაა დასაბუთებული, რომ აზროვნების ნორმები, თვით მკვლევარის სურვილის გარეშეც კი, ინერგება მის შრომაში, ისევე როგორც ინერგება მის დასკვნებში. მაგრამ თუ ეს დასკვნები მოცემულია მათდამი ისტორიული მიდგომის გარეშე, მათ ანალიზში შეაქვს სხვადასხვასტადიური აღრევა და აბნეულობა. ასე მოუვიდა ულენბეკსაც.

საქმე ისაა, რომ ულენბეკმა მხედველობაში არ მიიღო ეს ერთიანობა და ენობრივ მასალას მიუდგა ცალმხრივად. მაგრამ, სრულიად უნებლიედ, ულენ-

---

[1]. C. C. Uhlenbeck. Le caractère passif du verbe transitif ou du verbe d'action dans certaines langues de l' Amérique du Nord. Rév. internat. des études basques, XIII, № 3, juillet—septembre 1922; შად. აგრეთვე A. Hasba. Die passiven Konstruktion des abkhasischen transitiven Verbums. Яфетич. сборник, VI, 1930.

ბეკი მაინც დაეყრდნო აზროვნებასაც, თუმცა ინდიელის მიერ წარმოთქმულ ფრაზების შეფასებას მიუდგა თავისი საკუთარი შეგნების თვალსაზრისით, და ამიტომ ინდიელის მეტყველებას მან უწოდა პასიური და მთელ თავის შრომას მისცა სათაური: „Le caractère passif du verbe transitif ou du verbe d'action dans certaines langues de l'Amérique du Nord" [1].

ეს ფრაზა რომ თვითონ ულენბეკს წარმოეთქვა, მისთვის იგი აღმოჩნდებოდა პასიური, მაგრამ ინდიელის აზროვნებაში იგი სავსებით აქტიურია. აქ მოქმედობს ტოტემი, ე. ი. მესამე პირი, რომელიც გამოხატულია ნაცვალსახელობრივ ნაწილაკში 'ის'. ასე ესმის მოცემული სტრუქტურა თვითონ ინდიელსაც.

ავიღოთ მეორე მაგალითი თანამედროვე უდთა (უდურ) ენიდან აზერბეიჯანში [2]. უდი მოგვითხრობს ზღაპარს და ამბობს: bilidin-en ɸe-ne nahrƟ-in gar-en vi ɸaƟшahləgah aqal-le, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: 'ბრძენით (ბრძენის მეშვეობით) თქვა—მან: მწყემსით (მწყემსის მეშვეობით) შენ სამეფოს წაიღებს-ის'. აქ ჩვენ გვაქვს ინდიელის ზემოდმოყვანილი ფრაზის ანალოგიური სტრუქტურა. მოქმედი პირი, ფორმალურად, ე. ი. გრამატიკული ანალიზის მიხედვით, არის 'ის', რომელიც ლაპარაკობს ბერძენის მეშვეობით და ღებულობს მწყემსის მეშვეობით. ეს ფრაზა რომ ინდიელს წარმოეთქვა, მისთვის იგი აღმოჩნდებოდა აქტიური. მაგრამ უდის მიერ ეს ფრაზა სულ სხვანაირადაა აღქმული: მომქმედი პირი მას გადააქვს უკვე საქმის რეალურად შესრულებებზე, ბერძენსა და მწყემსზე, რის გამო აღნიშნულ ფრაზას ის ლოგიურად თარგმნის სხვანაირად: ბრძენმა თქვა: მწყემსი შენ სამეფოს წაიღებს'.

უდი ვერ გრძნობს, რომ ის ამ კონტექსტში მოქმედებით ბრუნვას ხმარობს Nominativ'-ის ნაცვლად, თუმცა მოქმედებითი ბრუნვა სწორედ მისი მოცემული გაფორმებით არის მისსავე ენაში Ablativ'-ის მნიშვნელობით. ამასთან დაკავშირებით, ნაცვალსახელობრივი ნაწილაკი ზმნებში 'ის' (-ne) დაუკავშირდა სუბიექტს, რომელიც თუმცა არაპირდაპირ ბრუნვაში დგას. აქ ჩვენ გვაქვს ფრაზის ფორმის დაშორება მის გააზრებასთან. ამ წყობას შეიძლება ვუწოდოთ პასიური.

რამდენადაც ინდიელის ფრაზაში ნაწილაკი 'ის' გადმოგვცემს ტოტემს, მასში ჩვენ გვაქვს კიდევ თვითონ ის. მაგრამ ჩრდილო ამერიკელ ინდიელის იმავე ენაში ცხადდება უკვე ნაცვალსახელთა სხვა პირებიც, და ტოტემის მაჩვენებელი ასევე გადაქცეულია ნაცვალსახელობრივ ნაწილაკად, ტოტემის მოადგილედ. ედინის ფრაზაში კი ტოტემის მოადგილე 'ის' გადაქცეულია სულ სხვა რაიმეს აღმნიშვნელად, ღებულობს სულ სხვა სოციალურ მნიშვნელობას.

ტოტემის ნაცვალმა, ნაცვალსახელობრივმა ნაწილაკმა, ახალი შინაარსის შედეგად, რაც გამოიწვია აზროვნების ნორმების შეცვლამ, დაკარგა თავისი ტოტემური შინაარსი, გადაიქცა რა უბრალო ნაცვალსახელად, და დირრის აღ-

---

[1] წინანდელი შენიშვნა.

[2] მაგალითი აღებულია ა. მ. დირრის შრომიდან, Грамматика удинского языка, Тифлис, 1903, стр. 84 сл.

წერილი, ფორმალური გრამატიკა მართებულად განსაზღვრავს ზმნის სართს-ne როგორც მესამე პირის ნაცვალსახელობრივ დაბოლოებას უდური ენის ზმნაში [1]. აქ ჩვენ გვაქვს მკვეთრი გადასვლა ერთი ენობრივი მდგომარეობიდან მეორეში და გრამატიკული ფორმა იცვლება.

კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითის მოყვანა შეიძლება ვანის ლურსმული დამწერლობის (ქალდური ენის) სფეროდან, სადაც იმავე სურათს ვამჩნევთ უფრო ბუნდოვანი სახით. ავიღოთ ორი ფრაზა: nuna-bi Murini-ni და ie-ше Luqiuni-ni qau-bi [2]. ორთავე ფრაზაში ჩვენ წინაშე არის ერთი-და-იგივე ნაცვალსახელობრივი ბოლოსართი-bi ზმნებთან: nuna-bi და qau-bi. მაგრამ პირველი მათგანი გადაუვალია, რომელიც ქალდურ ენაში ქმნის ფრაზების სრულიად სხვანაირ სტრუქტურას. გადაუვალ ზმნებს აქვსთ ფრაზის აქტიური წყობა, ხოლო გადამავალს პასიური, რის გამო სუბიექტებიც მათთან ღებულობენ სულ სხვანაირ გაფორმებას. გადამავალი ზმნის დროს სუბიექტი მუდამ ისმება მხოლოდ ნათესაობით (resp. მოქმედებით) ბრუნვაში ше (ie-me)-ზე [3].

საკმაოდ ზუსტი თარგმანი პირველი ფრაზისა nuna-bi Murini-ni მისი გადაუვალი ზმნით იქნება: 'მოვიდა ის მურინი'. მომქმედი პირი აქ არის მურინი, ზმნას კი აქვს ნაცვალსახელობრივი ბოლოსართი (-bi), რომელიც გამოხატავს სუბიექტის მესამე პირს, ე. ი. იმავე მურინის. მაშასადამე, ნაწილაკი-bi დასმულია როგორც მესამე პირის ნაცვალსახელობრივი სართი.

გავუკეთოთ ახლა ანალიზი მეორე ფრაზას ie-ше Luqiuni-ni qau-bi. აქ გვაქვს იგივე ნაცვალსახელობრივი სართი-bi (qau-bi) და სუბიექტი არაპირდაპირ ბრუნვაში (ie-ше). ამიტომ გრამატიკული ზუსტი თარგმანი იქნება 'ჩემით (ჩემი მეშვეობით) ქალაქი ლუხიუნი დაიპყრა-მან'. აქ კვლავ ჩნდება იგივე ტოტემი, ან უფრო სწორად მისი მოადგილე—ნაცვალსახელობრივი ნაწილაკი, რომელიც მოქმედობს „ჩემი" მეშვეობით, სრული ანალოგიით ზემოდმოყვანილ უდურ ფრაზასთან 'მწყემსით (მწყემსის მეშვეობით) წაიღებს-ის'. მაგრამ, ისე როგორც უდურში, ნაცვალსახელობრივმა ნაწილაკმა დაკარგა ქალდურშიც თავისი ტოტემური შინაარსი. ხოლო რაკი მომქმედი აქაც აღმოჩნდა გადატანილი ლოგიურ სუბიექტზე ('ჩემ'-ზე, ie-ше), ნაცვალსახელობრივი ნაწილაკიც დაუკავშირდა მასვე, და ამ შემთხვევაში ქალდური ენისავე წყობაში პირველ პირად აღმოჩდა.

ამრიგად ორთავე ფრაზამ, ერთნაირი ნაცვალსახელობრივი სართით-bi, მისცა მას სხვადასხვა შინაარსის იმავე ფორმის დატოვებით. პირველი ფრაზა nuna-bi Murini-ni ნიშნავს 'მოვიდა-ის მურინი', ხოლო მეორე ie-ше Luqiuni-ni qau-bi ნიშნავს არა 'ჩემით (ჩემ მიერ) ლუხიუნი აიღო-მან', არამედ 'მე ლუხიუნი ავიღე-მე'.

---

[1] ა. მ. დირრი, დასახ. შრომა, გვ. 48.

[2] პირველი მაგალითი აღებულია სარდურის მატიანედან (II, 36), მეორე კი ტა'შბურუნის წარწერიდან (I,19).

[3] ქალდური ენის სტრუქტურის უფრო დაწვრილებითი ანალიზი მოცემულია ჩემ მიერ შრომაში „Язык ванской клинописи", რომელიც იბეჭდება.

ენის ასეთი თავისებური წყობა შეიძლებოდა აგვეხსნა ნ. ი. მარრის მითითებით, რომ გადაუვალი ზმნა უფრო გვიანაა შექმნილი, ვიდრე გადამავალი ზმნა. ამ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, გადაუვალმა ზმნამ ქალდურში მიიღო თავისი გაფორმება უკვე აქტიური წყობის ნორმების მიხედვით, ფრაზების ჯერ კიდევ პასიური აღქმის დროს გადამავალი ზმნით. მაგრამ ლოგიურმა აზროვნებამ გავლენა მოახდინა გადამავალი ზმნის სტრუქტურაზედაც, მისი ნაცვალსახელობრივი ნაწილაკი გადაიტანა პირველ პირზე და მით ერთ ფორმაში შეახვედრა კვლავ მე-3 და 1-ლი პირი.[1]

ამას გარდა, არა ნაკლებ საინტერესო მოვლენას ვამჩნევთ იქვე არსებულ ბრუნვათა დაბოლოებებში. მაგალითად, ჯერ ერთი, სუბიექტის იდეოლოგიურმა შინაარსმა გამოყო იგი პასიური წყობის ფრაზებშიც და შეინარჩუნა ბრუნვის დაბოლოების ფორმა. და რამდენადაც უდის ზემოდმოყვანილ ფრაზაში გვქონდა ჩვეულებრივი მოქმედებითი ბრუნვა სუბიექტის აღნიშვნაში, ქალდურში, პირიქით, სუბიექტის ბრუნვა წარმოადგენს უკვე არაჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვას. ქალდურში სუბიექტისა და ობიექტის ორნაირმა შინაარსმა ააფეთქა ფორმა, და არა პირდაპირი ბრუნვის მნიშვნელობაში გამოდის უკვე შეკვეცილი ფორმა მხოლოდ გახმოვნებით-e/i. სრული ფორმა (-ше) შენარჩუნებულია სპეციალურად ფრაზის პასიური წყობის მოქმედი პირის გამოხატვის ფუნქციაში. ეს უკვე არის სუბიექტის ბრუნვა თავისი შინაარსით, მაგრამ ობიექტიური ბრუნვაა ფორმით, მასთან თავის წარსულში, და არა იმავე ქალდური ენის ახლანდელ მდგომარეობაში, რადგან ქალდურ ენაში მას უკვე არავითარი ობიექტიური მნიშვნელობა არა აქვს.

ვიწრო ფორმალური ანალიზის ამ თვალსაზრისით ფორმათა მოქმედ ურთიერთობაში, ვანის ლურსმული დამწერლობის ცნობილ მკვლევარს J. Friedrich ეგების საფუძველი ჰქონდა იგი Nominativ'-ად ჩაეთვალა[2]. მაგრამ ეს მაინცადამაინც სპეციალური „სახელობითი“ ბრუნვა იქნება პასიური წყობის ზმნის დროს და იგი არსად არ იქნება ხმარებული აქტიური გადამავალი ზმნის დროს, რაც სავსებით მართებულად აღნიშნა გერმანელმა მეცნიერმა.

მაგრამ, ამავე დროს, არც J. Friedrich-ს გაუტარებია ისტორიული ანალიზი ენისა და აზროვნების ნორმების მხედველობაში მიღებით, რის გამო წმიდა ფორმალურმა ანალიზმა მიიყვანა იგი სახიფათო დასკვნებამდის. ასე, მაგალითად, მან მხედველობაში არ მიიღო ის, რომ პასიური წყობა მის ლოგიურ-აქტიურ აღქმაში გამოყოფს განსაკუთრებულ ვნებით გვარს, რომელიც კარგავს მესამე მოქმედი პირის—ტოტემის ყოველგვარ გარეგნულ გაფორმებასაც კი. ვნებით ფუძეში შენდება, მაგალითად, აორისტი ქართული ზმნისა, რომელიც მიდის ფრაზის პასიური წყობით[3]. ამიტომ ქართულ ფრაზას spasalar-

---

[1] იხ. ზემოდმოყვანილი მითითებანი ნაცვალსახელების 1-ლ და მე-3 პირის არევაზე საეროდ და მათ არევაზე ზმნისსართებში.

[2] J. Friedrich, Beiträge zu Grammatik und Lexikon des Chaldishen, Caucasica, VII, 1931, 57.

[3] Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка. Мат. по яфетич. языкознанию, XII, 1925, стр. 146.

man kriba lawqari ნ. ი. მარრი სიტყვა-სიტყვით თარგმნის: 'მხედართმთავარის მიერ (სიტყვა-სიტყვით მხედართმთავარს) შეკრებილია ლაშქარი', თუმცა ქართველი მას ლებულობს უკვე აქტიურად 'მხედართმთავარმა შეკრიბა ლაშქარი'. ასევე ქალდურიც karu-ni Murinu-ni ნაშნავს 'დაპყრობილია-ის მურინი'. აქ ობიექტი დგას იმავე ბრუნვაში, როგორშიც გადამავალი ზმნის აქტიური წყობის სუბიექტი—'მოვიდა-ის მურინი' (nuna-bi Murini-ni).

ამნაირად ჩვენ გვაქვს გრამატიკულ გაფორმებაში იგივეობა გადაუვალი ზმნის აქტიური წყობის სუბიექტისა (მივიდა-ის მურინი) გადამავალი ზმნის პასიური წყობის ობიექტთან (დაპყრობილია-ის მურინი). მაშასადამე, ფრაზის პასიური წყობის ობიექტი დგას იმავე ბრუნვაში, როგორშიც აქტიური წყობის სუბიექტი. აქედან ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ პასიური წყობის დროს, რომელიც უკვე აზროვნების ლოგიური ნორმების ზეგავლენით გადადის ვნებით გვარში, სრულიადაც არა გვაქვს სპეციალური გაფორმება შემასმენელობითი ბრუნვისათვის. ხოლო რაკი ქალდურ ენაში გადამავალი ზმნა ყოველთვის იწვევს ფრაზის პასიურ წყობას, ამის გამო უნდა დავასკვნათ, რომ ქალდურ ენაში სრულიად არ არის შემასმენელობითი ბრუნვა. მაგრამ J. Friedrich-მა აღადგინა სწორედ ეს ბრუნვა, გამოყო განსაკუთრებული Akkusativ-ი მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იმავე ფრაზის 'დაიპყრო-ის მურინი' აქტიურ აღქმის დროს უკანასკნელ სიტყვაში გვაქვს პირდაპირი დამატება[1].

ამავე დროს, აქტივობასთან პასივობის წინააღმდეგობა გამოიხატა აქტიური სუბიექტის (მოვიდა-ის მურინი) პასიურ ობიექტთან (დაპყრობილია—ის მურინი) ერთნაირ გაფორმებაში, რის გამო ორთავე შემთხვევაში საკუთარ სახელს მურინის აქვს ერთი-და-იგივე სუფიქსი-ni. J. Friedrich-მა არ გაითვალისწინა შინაარსის ეს წინააღმდეგობა ფორმის ერთიანობის დროს და ერთ შემთხვევაში (გადაუვალი ზმნით) სუფიქსში-ni აღიარა სახელობითი ბრუნვის მნიშვნელობა, ხოლო მეორე შემთხვევებში (გადამავალი ზმნით) იმავე სუფიქსში შემასმენელობითი ბრუნვა[2].

სწორედ ამაში მდგომარეობს საფრთხე ვიწრო ფორმალური მიდგომისა, რაც უსათუოდ საჭიროა კვლევითი მუშაობაში, მაგრამ იმავე დროს სახიფათოცაა თავის საბოლოო დასკვნებში, როდესაც ისინი აგებულია ისტორიული პერსპექტივის გაუღრმავებლად და ფრაზისა და მისივე გაფორმების გაგებაში შესაძლებელ დაშორებათა მხედველობაში მიუღებლად. მხოლოდ ფორმალურ-აღწერილობითი განსაზღვრება ასეთ შემთხვევებში სრულიად არ კმარა.

მოყვანილ მაგალითებში, ფორმის ერთიანობისას, ჩვენ მაინც გვხვდება მისი უკვე განმტკიცებული დაშორება. ასეთი დაშორება გვაქვს ბრუნვათა გაფორმებაში, აგრეთვე ზმნის ნაცვალსახელობრივ სუფიქსაციაში, ამასთან ბრუნვის დაბოლოებანი უკვე წყდება მათ იგივეობაში ზმნათა დაბოლოებებთან თუ ყველგან არა თვით ფორმაში, იდეოლოგიურად მაინც ყველგან, ე. ი. ამ ფორმის აღთქმაში.

ფორმალური გრამატიკა ამჩნევს არსებულ განსხვავებას და აღნიშნავს მას, როგორც დავინახეთ, სავსებით მართებულად, მიუთითებს რა ენობრივი მოვ-

[1] Caucasica, VIII, გვ. 114და შემდ., და Ztschr. f. Assyr., N. F., VI, გვ. 265 დასხვ.
[2] Caucasica, VII, 53—61, და VIII, 114.

ლენის ამ აღთქმაზე მის სინქრონიზმში. ამ მხრით, თითქოს, ფორმალური ანალიზის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის. საჭიროა ფორმის ცოდნაც და შესწავლაც, მაგრამ ფორმა სრულიადაც არაა სტაბილური. იმისათვის, რომ გავიგოთ ფორმა, უნდა გავიგოთ მისი მოჩვენებითი სტატიკა დინამიკის პროცესში და მისი მოჩვენებითი სტატიკური გარემოცვა მოძრავ წინააღმდეგობათა ყველა მომენტში.

ასევე ამ შემთხვევაში. მაგალითზე karuni Murini-i დაიბყრო-იგი მურინი', ჩვენ ვხედავთ ფორმის დამთხვევას ბრუნვის დაბოლოებაშიც და ზმნის სუფიქსშიც. ფორმის აღნიშნული დამთხვევა სრულიადაც არაა შემთხვევითი, რადგან ზმნისსართი, ამ ქალდურ მაგალითში სუფიქსი -ni, გამოხატავს ობიექტს. იგივე არის ობიექტიური ბრინვითი დაბოლოებაც. მაგრამ მაინკადამაინც, ფორმის მთელი იგივეობისას, აქ გვაქვს ცალკე ბრუნვის სართი და ცალკე ნაცვალსახელობრივი ზმნის შემქნელი ნაწილაკი. ეს წინააღმდეგობა ფორმის ერთიანობაში იწვევს მათ განკერძოებას იმავე ფორმალური ნიშნის ფარგლებში, რის გამო ვღებულობთ სახელებისა და ზმნების გამოყოფილ, ე. ი. ფორმის ერთიანობის ამფეთქებელ, ფორმატივებს, რომლებიც უკვე აშკარად შორდებიან ერთმანეთს საკვლევ ენათა უშრავლესობაში.

განვითარების დიალექტიკური სვლის ეს პროცესი სრულიადაც არ თავდება დღევანდელი დღით. მაშასადამე, ლინგვისტის მუშაობაც მის ისტორიულ ასპექტში მოითხოვს 'მეგნებულ მიდგომას დღევანდელი მომენტის ენობრივი მშენებლობის აქტუალური პრობლემების გადაჭრისადმი, როგორც ანბანთა შემუშავებაში, ისე სტრუქტურულ თავისებურებათა განსაზღვრებაში ლიტერატურული ენების დადგენის დროს და სხვ.

ისტორიზმის მომენტის გაბდევნა ლინგვისტის კვლევითი მუშაობიდან ენათმცოდნეობას აქცევს სქოლასტიკად, და, პირიქით, ისტორიულ ნიადაგზე დადგომით, ლინგვისტი ენის იტორიის ღებულობს მთელი მისი მოკულობით, ე. ი. ადამიანიის ისტორიის მთელი მოცულობით, და აქ ლინგვისტი აწყდება გლოტოგონიის ერთიანი პროცესის მრავალფეროვანი გამოვლინების განსაკუთრებულ სირთულეს.

ამ მიმართულებით მუშაობის დროს ისმება სტადიურობისა და სისტემების მიხედვით ენობრივ დაჯგუფებათა პრობლემა. ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ გადაუჭრია ახალ მოძღვრებას ენის შესახებ, თუმცა ვგრძნობთ, რომ არაა დამაკმაყოფილებელი არსებული ტიპოლოგიური კლასიფიკაციები ენების პირვანდელი დაყოფით ზუსტად დასახულ ჯგუფების მიხედვით, რომელთაც მაგრად უჭირავთ თავის შედგენილობაში მკვლევარის მიერ განსაზღვრულ ოჯახზე მიკუთვნებული თითეული ენა. ამ სქემის თანახმად ენა, მოხვდა რა სათანადო ოჯახში, სამუდამოდ უნდა დარჩეს იქ და თავის ურთიერთობაში სხვა ენებიდან უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სესხებით.

ახალი მოძღვრება ენის შესახებ, წინააღმდეგ ამ დებულებისა, ითვალისწინებს სტადიურ გადასვლებს და ეძებს მათი მიზეზების დასაბუთებას. სწორედ ამიტომ ახალი სკოლის ლინგვისტს არ შეეძლო არ ეწარმოებია კვლევითი მუშაობა თვით მოაზროვნე ადამიანის ცხოვრების რეალურ პროცესზე. მით წი-

ნასწარ განსაზღვრულია დამოკიდებულებაც ენისადმი, როგორც რეალური ცნობიერებისადმი, რომელიც წარმოიშვა ურთიერთობის მოთხოვნილებიდან.

აქედან გამომდინარეობს მკვლევარ-ლინგვისტის ამოცანის დასაბუთებაც, კერძოდ აუცილებლობა გავერკვეთ განვითარების ერთიანი პროცესის მრავალფეროვნებაში. ამ მიმართულებით მწვავდება სწორედ საკითხი იმის შესახებ, რომ მართებულად გატარდეს საკლასიფიკაციო სქემა და არა მხოლოდ აღწერითი გრამატიკის სტატიკაში. მაგრამ ამისათვის საჭიროა კონკრეტულ ენათა კონკრეტული ცოდნის გაღრმავება.

ზოგადი ენათმცოდნეობა აგებულია ენობრივი მასალის უაღრესად ღრმა ანალიზზე. და მან, ვინც ზოგად დებულებებს აგებს, თითეული მათგანი უნდა შეამოწმოს თავისი სპეციალობის ენაზე. ენებმა კი ერთობ გაამწვავეს თავისი დაშორება ერთმანეთისაგან და ამავე დროს სრულიად არ შეანელეს დაშორებანი თავის შიგნით. ამ ახრით მთლიანი ენების არსებობა შეუძლებელია, რადგან თვით დაშორებებში გვაქვს მძრავი ძალა. მაგრამ ეს დაშორებანი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი და ქმნიან ენის მომქმედ ჩონჩხს. ამიტომ ზოგად-ლინგვისტურ სქემების ასაგებად საჭიროა არა მოწყვეტილად აღებული, არამედ ენობრივ წრეში ანალიზირებული მაგალითები.

ამან გააძნელა ამ ჩემი სტატიის ამოცანა, შეამცირა ენობრივი დადასტურებანი ჩემი, ძალზე შეზღუდული, ჰორიზონტით და გააფართოვა იგი ნ. ი. მარრის შრომებიდან ამოღებული ციტატებით. მაგრამ ჩემთვისაც ცხადია, რომ თუ ისტორიული პროცესი განიხილება მიზანსწრაფვით მომდევნო პერიოდებისაკენ, საითკენაც იყურება თვითონ წარსულიც, ვიკვლევთ რა ენის აწმყოს მის წარსულში, ჩვენ ამით ვაწარმოებთ აქტუალურ მუშაობას და ვითვალისწინებთ მის მომავალს.

ამ აზრით შესმის მე სწორედ ნ. ი. მარრის სიტყვები: „ჩვენთვის არ არსებობს მეცნიერება ენის შესახებ ენის წარმოშობის პრობლემის აქტუალობის აღიარების გარეშე; უფრო მეტი, შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე მეცნიერულ მეთოდზე, როდესაც მკვლევარს შეგნებული აქვს, რომ იგი მუშაობს უსინათლოდ, რომელიც ბგერითი მეტყველების სტრუქტურის ყოველ წვრილმანს, ყოველ შტრიხს, მის ეგრეთწოდებულ ზოგად ადგილებს ან ეგრეთწოდებულ თავისებურობებს აშუქებს თუ არ საკითხის მართებულად გადაჭრით, ენის პრობლემის მართებულად დაყენებით მაინც[1].

ამ თვალსაზრისით გამართლებულია ენის წარსულზე მუშაობაც, რამდენადაც ეს წარსული მიუთითებს მომავალზე. სხვა საქმეა, თუ როგორ უნდა მივუდგეთ თვით ენის შესწავლას და როგორ გამოვავლინოთ ის განსაკუთრებული მრავალსირთულე, რომელი გვხვდება ჩვენ კვლევის ობიექტში. ამ მხრით ენათმცოდნეობის ამოცანა მეტის-მეტად პასუხსაგებია, და ენათმეცნიერს სავსებით აქვს შეგნებული, რომ იგი მასალას ამუშავებს არა მარტო თავისთვის. სიტყვა.ძირის (სემანტიკის) მოძრაობა, მორფოლოგიის და მთელი იმ ერთობლივობის მოძრაობა, რომელიც ენის წყობას ქმნის, მოითხოვს დამაჯერებლობას თავის ანალიზში, რაც შესაძლებელია მხოლოდ მისი მეთოდოლოგიური დასაბუთების სისწორით გამოყენებით.

(თარგმანი რუსულიდან).

---

[1] Н. Я. Марр. Предисловие к сборнику „Языковедение и материализм", „Прибой" 1929, стр. V—VI.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

ლ. მელიქსეთ-ბეგი

თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის

(ხრამჰესის მშენებლობის გამო)[1]

თრიალეთ-წალკა საქართველოს ერთერთი უმეტესად საინტერესო კუთხეთაგანია, სადაც, შედარებით პატარა ტერიტორიაზე, თავმოყრილია მატერიალური კულტურის ნაშთები როგორც პირველყოფილი ადამიანის დროისა, ისე საგვარო-ტომობრივისა და ფეოდალური ეპოქებისა: გამოქვაბულებსა და ნაპრალებს მისდევენ თაბუთები (ყორღანოები) და ე. წ. არქაიო-მეგალითური სადგომები მენჰირ-ვეშაპ-ვეშაპოიდ-ფალუს-ერატიბებით, ამ ძეგლებს — საგვარო-ტომობრივი სადგომები „ციკლოპიური" სისტემისა, შემდეგ — წინარფეოდალური ნაკიხვარ-ნაქალაქევები ასეთივე სისტემისა, და ბოლოს ქრისტიანული ბაზილიკები უძველესი ტიპისა (VI—IX ს. ს.), ერთის მხრივ, და ცენტრალურ-გუმბათიანი ჯვარის რიგის ეკლესიები (XI ს.), მეორეს მხრივ. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ ქვემო-წალკას ანუ ზურტაკეტს (ყარაბულახს) და თავ-ფარავანში მოიპოვება ძველი ჭარვასლების (ფუნდუკების) ნანგრევებიც, რომლის მსგავსი შენობები საქართველოში სხვა არსად გვხვდება, თუ, რასაკვირველია, გრემისა და სხვა ადგილების ჭულბაქებს მხედველობაში არ მივიღებთ. აქვე, წალკაზე, უნდა გვეგულებოდეს ობსიდიანის საბადოები[2]. ერთი სიტყვით, მატერიალური კულტურის ნაშთები და კერძოდ სახუროთმოძღვრო ძეგლები ისეთი მოცულო-

[1] წაკითხულ იქმნა მოხსენებად ტფილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კადედრათა გაერთიანებულ სხდომაზე 1933 წ. 26 მაისს.

[2] საქართველოს ობსიდიანის შესახებ იხ.: Труды V археологического с'езда в Тифлисе 1881, М. 1887, стр. LXXXV (ბუაროვის მოხსენება და კომაროვის შენიშვნა); А. Грен, Отчет по археологической поездке в Цинцкаро,—„Изв. Кавк. Отд. Моск. Арх. О-ва", т. II, Тфл. 1907, стр. 30; Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. IV, Тфл. 1913, стр. 1; Второй Краеведческий С'езд Черноморского побережья и Западного Кавказа, Батум 1925, стр. 40—41 (ბოტაპოვის მოხსენების თეზისები); Е. Пчелина, Археологическая разведка в районе Триалетского хребта,—„საქართველოს მუზეუმის მოამბე", ტ. VI, 1930, გვ. 162; ვ. პ., არქეოლოგიური აღმოჩენა,—„კომუნისტი" 1931 წ. № 129.

ბით, როგორც ისინი თრიალეთ-წალკაზე არიან წარმოდგენილნი, საქართველოს ფარგლებში სხვა არსად გვხვდება. ეს გარემოება კი მატერიალური კულტურის ისტორიკოსებს ავალებს გაამახვილონ ინტერესი ამ ძეგლებისადმი, მეტადრე იმ საშიშროების გამო, რომელიც ზოგიერთ მათგანს საფრთხეში აყენებს ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, როდესაც მომავალი ჰიდროსადგურის საგუბარმა რამდენიმე სოფელი უნდა მოაქციოს წყლის ქვეშ: ერთი ვარიანტით—7 (ჰუნია ყალა, დარაქევი, სანომერი და შეპიაკი მთლიანად, ხადიკი $^{2}/_{3}$-ად, წინწყარო ნახევარზე მეტი, და ბეშთაშენი ნახევრად), ხოლო მეორეთი—3 (სანომერი და შეპიაკი მთლიანად და ხადიკი ნაწილობრივ).

თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის შესწავლას დიდი ისტორია არა აქვს. რაც გაკეთებულა აქ, მხოლოდ შემთხვევით, ხოლო რაც შეგროვილა და მუზეუმში გადაცემულა, ესეც მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას. არსებული ლიტერატურაც საკმაოდ მოძველებულია[1].

ჩვენ პირადად თრიალეთ-წალკაზე რამდენიმეჯერ მოგვიხდა ყოფნა. პირველად იქ გახლდით მარტოოდენ 1924 წ. ოქტომბერში, სიძველეთა დაცვის საქმის მოსაგვარებლად, რომლის დროსაც პირველად ვინახულეთ, სხვათა შორის, წალკის მეგალითური შენობები; ხოლო თვით მივლინებას მოყვა 2 წერილი: 1) „ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში (საქართველოში ახლად აღმოჩენილი ციკლოპიური შენობების გამო)“ (მნათობი 1925 წ. № 2 [10], გვ. 211—225); და 2) „Из материалов поездки на Цалку в 1924 г.“ (Изв. Кавк. Ист.-Арх. Инст., в IV, Тфл. 1926, стр. 131—133). მეორედ მოგვიხდა იქვე ყოფნა ტბისყურიდან თავ-ფარავნისაკენ გავლით, 1929 წ. ივლისში, ა/კ. კომუნივერსიტეტის სამხარეთმცოდნეო კაბინეტის ექსპედიციაში მონაწილეობით, სადაც მე, ფოტოგრაფ აღასი ბლუზიანთან ერთად, არქეოლოგიური მუშაობა მქონდა დაკისრებული; ამ ექსპედიციის ვრცელი ანგარიში, რომელიც მოხსენებული იყო იმავე კაბინეტის საჯარო სხდომაზე 1930 წ. 21 აპრილს, გამოუცემელი დარჩა[2]. მესამედ და უკანასკნელად კი იქვე მოგვიხდა ყოფნა და, ამასთანავე, პირველად ზურტაკეტ-ყარაბულახს, პროფ. გ. ჩუბინაშვილთან ერთად, 1932 წ. აგვისტოში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და მატერიალური კულტურის სექციის დავალებით, რათა წინა წლებში შემთხვევით

---

[1] იხ.: И. Я. Иоакимов, Выписка из дневника археологических работ на Цалке,—„Изв. Кавк. О-ва Ист. и Арх.“, т. I, в. 1, Тфл. 1882, стр. 7—9; А. В. Комаров, Краткий обзор археологических находок в Кавказском крае за 1882 год, с картою местности Цалка и рисунками,—იქვე, т. I, в. 2, 1884, стр. 41—42; Труды V. археологического с'езда, М. 1887; П. Уварова, Коллекции Кавказского Музея, т. V. Археология, Тфл. 1902, стр. 98, 100—102; А. Грен, Отчет по археологической поездке в Цинцкаро,—„Изв. Кавк. Отд. Моск. Арх. О-ва“, в. II, 1907, стр. 27—46; Е. С. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. III, 1907, стр. 96—117; в. IV, 1913, стр. 1—123.

[2] ამ მოხსენებას ჰგულისხმობს, სხვათა შორის, აკად. ნ. მარრი თავის ნაშრომში Вишапы, Лнгр. 1931, стр. 10 и прим. 2; შდრ. აგრეთვე თვით ექსპედიციის მოკლე ანგარიში: Г. Чурсин, Краеведческая экспедиция ЗКУ (письмо из Ахалкалаки),—„Заря Востока“ 1929 წ. 9 VIII № 180.

დაგროვილი მასალა მეგალითების შესახებ გარკვეულ სისტემაში მოგვეყვანა ხელახალი შემოწმებით და ახალი ცნობების დართვით, რასაც მოყვა წინასწარი ანგარიში, რომელიც წაკითხულ იქმნა სექციის სხდომაზე 1932 წ. 17 ოქტომბერს. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ პირველი და უკანასკნელი მივლინების შედეგად ტფილისში იქმნა ჩამოტანილი წალკის ყველა ხელნაწერები, რომლებიც თავის დროზე აღწერილი იყო ე. თაყაიშვილის მიერ[1]. კერძოდ კი, უკანასკნელი მივლინების შედეგად საქართველოს მუზეუმის დირექტორსა და სიძველეთა დაცვის კომიტეტს მოხსენებითი ბარათი წარუდგინეთ ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით წალკაზე საარქეოლოგიო გათხრის მოწყობის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ, ხრამჰესის მშენებლობის გარდა, სხვა გარემოებაც მოითხოვს, რომ თრიალეთ-წალკაზე საარქეოლოგიო გათხრები და სიძველეთა დაცვა იქნეს მოგვარებული: ცნობილია, რომ საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით, ახლო მომავალში უნდა აღდგენილ იქნეს წალკა-ფარავანას გზატკეცილი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თრიალეთ-ჯავახეთის ეკონომიკის განსავითარებლად, და სიძველეთა დაცვის ორგანოებს, ამის გამო, ეკისრება მოვალეობა—დაცვის საქმე წალკაზე მოაგვარონ ისე, რომ მატერიალური კულტურის არცერთი ძეგლი როგორც ხრამჰესის, ისე ხსენებული გზატკეცილის მშენებლობის რაიონში არ განადგურდეს ან არ დაზიანდეს.

თრიალეთ-წალკას (ისევე, როგორც ჯავახეთს) ამჟამად ძველი მოსახლეობა არ გააჩნია, ვინაიდან ეს უკანასკნელი მე-XVIII—XIX ს. ს. მოხრებათა შედეგად აქა-იქ მიიფანტა ან გაწყვეტილ იქმნა. ამ მოსახლეობის დახასიათება კი მე-XVIII ს. პირველი მეოთხედისათვის ვახუშტი წარმოგვიდგენს შემდეგ სიტყვებში: „თრიალელნი მოსილნი ვითარცა დბანის-კეველნი, სიმკნე-ჰაეროვნებითაცა ეგრეთნი, განა ესენი უმჯობესნი ყოვლითა“[2]. ახლა კი თრიალელთ ნაცვლად წალკაზე ცხოვრობენ 1829 წ. და შემდეგ ოსმალეთიდან გადმოსახლებული მერძნები (26.312, მათ შორის 25.660 თურქულად და 2.652 მერძნულად მაუბარი), სომხები (11.615) და თურქები (2.400), აგრეთვე გერმანელები (1.088) და სხვ[3].

ის გარემოება, რომ თრიალეთ-წალკის ძველი მოსახლეობა განადგურებულია, ძალიან უშვირებს საქმეს მატერიალური კულტურის ისტორიკოსს, ვინაიდან ვერცერთი ძეგლის ნამდვილი სახელი და მისი ფუნქციის აღწერა ძველ ლეგენდებთან და გადმოცემებთან დაკავშირებით ახალმა მოსახლეობამ არაფერი იცის: ერთი სიტყვით, თრიალეთ-წალკის სიძველეთ მოუღწევიათ ჩვენამდე. შეიძლება ითქვას, უპასპორტოდ, რაც, კავკასიონის მთიულეთთან (სვანეთი, ოსეთი, ხევსურეთი, თუშეთი და სხვ.) შედარებით, აყენებს მკვლევარს არახელსაყრელ პირობებში. არახელსაყრელ პირობებშია, კერძოდ, ქრისტიანული მო-

[1] Е. Такайшвили, Археологические экскурсии. в. III, стр. 96—117.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციით, ტფ. 1904, გვ. 55.

[3] განსახლების მიერ ჩვენდა მოწოდებული სტატისტიკური ცხრილის თანახმად (1932 წ.). შდრ. აგრეთვე: И. Трайнин, По бывшей „Сибири“ грузинских царей,—„Заря Востока“ 1930 წ. 4. X № 268.

ნუმენტალური ძეგლების მკვლევარიც, როდესაც იგი დარწმუნებულია, რომ თრიალეთ-წალკის ასეთი ნაშთების, ე. თაყაიშვილის თქმისა არ იყოს, ერთ-მეათედ ნაწილსაც არ მოუღწევია ჩვენამდე: „Население [Цалки],—ამბობს ე. თაყაიშვილი,—теперь состоит главным образом из армян и греков, выведенных из окрестностей Эрзерума и поселенных здесь в 1829—1831 г. г. Прежнее исключительно грузинское население начало редеть в XVIII веке и в конце его почти все выселилось вследствие постоянных нападений лезгинских шаек и татар. Новые пришельцы, греки и армяне, нашли готовые храмы, иногда даже с пергаментными церковными книгами, и обратили их в свои приходские церкви, в первое время без всякой переделки. Но затем постепенно начали приспособлять, расширять, переделывать, а иногда на место их строить новые, некрасивые и неуклюжие, но более просторные. Конечно, до нас не сохранилось и десятой части того, что было, и только остатки показывают, что вся Цалка была покрыта каменными церквами и храмами, так что на каждую деревню их приходилось по нескольку“[1].

თრიალეთ-წალკა ცნობილია საისტორიო წყაროებში ძველ დროიდანვე.

პლინიუსი წერს:

Praevalent oppida Albaniae Cabalaca, Hiberiae Hermastus juxta flumen Neoris, regio Thasie et Triare usque ad Parihedros montes[2].

მთავარი ქალაქებია—ალბანიაში კაბალაკა[3], იბერიაში ჰერმასტი[4], რომლებიც მდინარეზე არიან, [აგრეთვე] ნეორის. [შემდეგ] ოლქი თაზი და თრიარი ვიდრე პარიადრის მთებამდე.

„ოლქი თაზი“ (Thasie) უნდა იყოს იგივე „ტაშ-ირ-ი“ ‖ „ტას ირ-ი“, რომელიც ცნობილია როგორც ქართულ, ისე სომხურ წყაროებში, და წარმოებულია სუფიქს -ირ'ით, როგორც „ისპ-ირ“, „ჩალდ-ირ“, „არმავ-ირ“ და სხვ. (აქედანაა, სხვათა შორის, ბორჯომის ხეობის შესავალი ნაწილის სახელწოდებაც „ტაშის-კარი“ ‖ „ტასის კარი“). უთუოდ, ამ სახელწოდების კვალს უნდა წარმოადგენდეს „თეზი“ და „თეძამი“, რომელთაგან პირველი ჰფარავს სახელწოდებას ნასოფლარისას აწინდელის. ავრანლუს ჩრდილოეთით და ქციის ხეობისას ხსენებულ სოფელთან, რომელსაც ვახუშტი „თეზის კრამს“ უწოდებს, ხოლო მეორე ცნობილი სოფელი და ხეობაა ქართლში, თრიალეთის მთებს გამოღმა.

ხოლო პლინიუსის „თრიარ“ იგივე „თრიალ-ეთ-ი“ უნდა იყოს ქართული წყაროებისა (მატიანე ქართლისა, სუმბატის ქრონიკა და სხვ.)[5], რომელიც სომხურ წყაროებში ცნობილია *Թաւղ*-ად (ანონიმის „გეოგრაფია“ და სხვ.), ხოლო არაბულში Ṭaryalit-ად (ბალაძორი)[6], ვითარცა კანონზომიერი

[1] Е. Тавайшвили, ц. с., в. IV, стр. 3—4.
[2] Historia naturalis, lib. VI, cap. 2, § 31.
[3] იგივეა, რაც ქართ. „ყაბალი“=სომხ. *Կապալակ*.
[4] იგივეა, რაც ქართ. „არმახი“.
[5] ი ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, ტფ. 1914, გვ. 294.
[6] H. Hübschmann, Die altarmensichen Ortsnamen, Strassburg 1904, s. v.

ფორმები იმავე „თრიარ“-ისა: 1) „თრიარ“→ „თრიალ“ (შდრ. „პარხარ“→ „პარხალ“, „ბარარეთი“→ „ბარალეთი“ და სხვ.), ხოლო „თრიალ“→ „თრელ“ (კონტრაქციოს გზით, შდრ. *մարիալ* ←→ მარიალ)→ *Թռել* + *ք* (გენეტივი *Թռելքաց*); და 2) „თრიარ“ ‖ „თრიალ-ეთ-ი“→ „თარიალიტ“.

სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ უსახელო სომეხი ავტორის გეოგრაფიით (VII ს.?) *Թռելք*-ი ნაგულისხმევია როგორც ერთერთი იმ 9 ოლქთაგანი, რომლებიც შედიოდენ გუგართა ქვეყანაში (ძოროფორ, კოლბოფორ, წობოფორ, ტაშირ, **თრელქ**, კანგარქ, ჯავახქ, არტაჰან, კლარჯქ)[1]. მაშასადამე, „გუგარქ“= Գաგարդ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „თრიალეთი“, და მის კანონზომიერ ქართულ ფორმად „გუგარეთი“ უნდა ყოფილიყო, რომელიც ამ სახით არაა შემონახული და რომლის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს სახელწოდება „გუჯარეთი“ (აქედანაა „გუჯარეთის ხეობა“), როგორც თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა ჯერ ნ. ადონცმა[2], ხოლო შემდეგ ივ. ჯავახიშვილმაც[3].

რომ „გუგარქ“=„გოგარენე“ (გუგარეთი) და „თრიალეთი“ სავსებით ერთმანეთს არ ჰფარავენ, ვინაიდან ერთი უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა, ხოლო მეორე ვიწრო, ჩანს იქიდან, რომ „თრიალეთი“ ძველად „წალკა“-ს მნიშვნელობით იყო ცნობილი: *յերկիրն Թռելից, որ և Ծաղկաց*—„ქვეყანა თრელთა, ესე იგი წალკთა“,—ვკითხულობთ ქართლის ცხორების მე-XII—XIII ს. სომხურ თარგმანში[4].

ხოლო რომ „თრიალეთი“ და „წალკა“ სემანტიკურად ერთიმეორეს ჰფარავენ, ამას თვის სახელწოდებათა ანალიზიც ადასტურებს.

„თრიალეთი“ იმ სახელწოდებათა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც წარმოებულია ფუძიდან „თრ“←→„თორ“. ეს ფუძე კი კარგადაა შემონახული სომხურში (და ქართულშიც), რამდენადაც მისგანაა ნაწარმოები ყველა ის სიტყვები, რომლებიც **წვეთა, დენა, დაღვრა, დასველება**-ს გამოხატავენ:

1. *Թոռ.* **სველი, ნესტიანი**; *Թոր→ Թորել* **გამოდენა, გამოხდა, წვეთა, დენა**; *Թորեցնել* **გადაღვრა**; *Թորում* **დესტილირება, დესტილაცია.**

Թուրջ→Թրջել **დასველება.**

2. **Ծոր,* შდრ. ქართ. „წურვა“; *ծորակ* **ბოჭი**; *ծորան* **ნაწვეთი**; *ծորել* **გამოდენა**; *ծորենի* **მადინებელი**; *ծորում* **გამოდინება**; *ծոր* ‖ *ձոր* (→ *ծործոր* ‖ *ձորձոր*) **ხევი, ხეობა.**

3. *Ցող,* შდრ. ქართ. „ცვარი“.

და სხვ.

„თრ“←→„თორ“-იდანაა წარმოებული, სხვათა შორის, „თორ“-ი და „თორ-თუმ-ი“ („თორთუმ-ისპირი“), რომლებიც ცნობილია საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურიდან, და „თორ-დან“ ‖ „მითრო-დან“ სომხეთის ნომენკლატურიდან. უკანასკნელი მდებარეობდა ე. წ. დარანალის ანუ კამახის მხა-

---


[1] *Աշխարհացոյց Մովսէսի Խորենացւոյ*, հրատ. Սուքիասեան, Վեն. 1881, გვ. 34.

[2] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Спб. 1908, стр. 425, прим.

[3] ივ. ჯავახიშვილი, სჭ-ართველოს საზღვრები, ტფ. 1919, გვ. 16.

[4] *Համառօտ պատմութիւն վրաց*, Վենետիկ 1884, გვ. 28.

რეში, სადაც ძველ დროს ზევსის ტაძარი იყო აგებული. თ ა დ ე ო ს ა ვ დ ა ლ ბ ე კ ი ა ნ ს მოყავს 15-იოდე სახე მონათესავე სახელწოდებებისა, რომლებიც მას ამოუკრეფია ძველი სომხური სამწერლო ძეგლებიდან, სადაც გვიჩვენებს, რომ *Մ ի ր ք*-ი გვაძლევს არა მხოლოდ *Մ ե հ ր* ‖ *Մ ո հ ր* ანუ *Մ ա ռ ր*-ს, არამედ აგრეთვე *Մ ր ո*-ს, ხოლო *Մ ի ք ք*-ი გვაძლევს *Մ ի ք ք ե ր* → *Թ ո [ր]*-ს, აქ დართული სქემის თანახმად:



ამისდა მიხედვით, თ. ა ვ დ ა ლ ბ ე კ ი ა ნ ს კანონზომიერად მიაჩნია *Թ ո ր დ ա ն*-ის დაკავშირება *Մ ի ք ր ո ւ ա ն*-თან[1]. ზოლო თორდანი ის ადგილია, სადაც, გადმოცემით, გრიგოლ პართელმა ქრისტიანობა მიიღო[2].

რაც შეეხება სახელწოდებას „წალკა“, იგი შეჯვარედინებულ ტერმინს წარმოადგენს, რომელიც შესდგება 2 ფუძისგან: „წალ + კა“ ‖ „წალ + კალ“. პირველი მათგანი „წალ“ იგივეა, რაც ქართ. „წყალ“, „წყარო“, (შდრ. სომხ. *ծ ա ո. ხე, ძელი, ծ ա ղ ի կ ყვავილი; ծ ա ր ա ւ ս მწყურვალი, ծ ա ր ա ւ ո ւ մ უწყლო*, აგრეთვე *ծ ա ո ւ կ ա յ ս* — „წალკოტი“, და სხვ.). და იგია, რომ თავს იჩენს მრავალ გეოგრაფიულ სახელწოდებებში, სხვათა შორის „წავკის“-შიც („წავკისი“ ← „წალკისი“)[3].

---

[1] *Թ. Ա ւ ե տ ի ս ե ա ն, Մ ի ր ը հայոց մէջ, Վ ի ե ն ն ա* 1929, გვ. 4—10, 18.

[2] შდრ. „დენ“ ‖ „დან“-ისგან ნაწარმოები მდინარეთა სახელწოდებები: „დონ“, „არდონ“, „დანუბი“ და სხვ.

[3] შდრ. А. Цагарели, Грамоты, т. II, в. 1, стр. 18; т. II, в. 2, стр. 246. აგრეთვე, „კავთიხევი“—„კალთიხევი“, resp. „კალთიხეა“ (ა მ ბ რ ო ზ ი კ ო ნ ტ ა რ ი ნ ი თ, „მოამბე“ 1894 წ. № XI, გვ. 49), „ქვაშვეთი“—„ქ[ვ]იშლეთი“, ქართველი—ქართლელი (ქართველი ← ქართველრი ‖ ქართ-[ი]ვერი).

ხოლო „წალ" ბოლოსდაბოლოდ არსებითად იგივე „თორ-ი"-ა. და მართლაც, თუ „თორ" წყლის ცნებასთანაა დაკავშირებული, „წალ" ‖ „სალ"-იც იგივე წყალია[1]. რაც შეეხება მეორე ნაწილს სახელწოდებისას—„კა"-ს, იგი შეკვეცილი ფორმა უნდა იყოს „კალ"-ისა, რაც აგრეთვე **წყალს** ჰნიშნავს და გარკვეულ შემთხვევებში **წყლის ცხოველს**, თევზსაც (ტოტებს), რაც ნათლად ჩანს იქიდან, რომ, ჯერ ერთი, მდინარეთა სახელწოდებები რუსეთში ხშირად ამ „კა" ‖ „გა"-თი ბოლოვდება ან იწყება: Ока, Вятка, Волга, Ладога, Луга, Кама და სხვ., აგრეთვე река, балка და სხვ., და მეორე, რომ ალს რუსულად русалка ჰქვიან (ру-сал-ка). ესევე „კა" ‖ „კალ" ქართულშიცაა შემონახული თევზის სახელად: „**კალ**-მახ[2]; აგრეთვე ამირანის თქმულებაში თვით ამირანის მამის სახელწოდებაა—„სუ**კალ**მახ", რამდენადაც ამირანი, ოსური ვერსიით, ვეშაპთნაშობია (ზარნა**კალ**მა)[3].

ამრიგად, ორივე სახელწოდება—როგორც „თრიალეთი", ისე „წალკა"—როგორც გარკვეული გეოგრაფიული ერთეულის აღმნიშვნელი, ერთმანეთს ჰფარავს, რამდენადაც ორთავეს საფუძვლად უდევს ერთიდაიგივე ცნება სემანტიკური კონიდან: წყალი+თევზი, ანუ: წყალი+თევზი+ქალი (ცნობილია, რომ „ვეშაპ"-„ვეშაპოიდები" ფალუსის კულტის ობიექტებია).

ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი დებულებაა, ვინაიდან თრიალეთ-წალკა სწორედ ის კუთხეა **წყლის დაუშრეტელი საცავითურთ, რომელიც იწრიტება, ერთის მხრივ, თავ-ფარავნისა და ტბისყურის აუზებიდან და, მეორეს მხრივ, გარშემო ალყად მორტყმული მთებიდან, სადაც წალკის წყაროები ჰსჩქერს.** და ეს—დაუშრეტელი საცავია (რეზერვუარი), რომ საფუძვლად დადება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიურ კეთილდღეობას, ვინაიდან საგრძნობლად ხელს შეუწყობს საწარმოო ძალთა განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, სავსებით ნათელია, რომ **წყლის-თევზის-ქალის კულტის გამომხატველი მატერიალური კულტურის ნაშთები არხად საქართველოში ისე არაა გავრცელებული, როგორც თრიალეთ-წალკაზე** (და ჯავახეთში). თუ მენჰირ-ვეშაპ-ვეშაპოიდ-ფალუს-ერატიპებს ჯერჯერობით თავს დავანებებთ, საკმარისია აღინიშნოს, რომ წალკაზე რამდენიმე პუნქტია, სადაც სალოცავები (ხატები) ზედ წყალზეა გაშენებული, მაგ. აიაზმას (ვახუშტით—თეთრწყაროს) და ყიზილ-ქილისას, რომელთაგან პირველს ამიტომაც „წმიდა წყარო" ეწოდება, ხოლო მეორეს „ქალის ეკლესია". ქალის კულტთან დაკავშირებულად სთვლის ატრპეტი, სხვათა შორის, ს. ედი-ქილისას სახელწოდებასაც, რომელიც თუმცა თურქულად „შვიდ ეკლესია"-ს ჰნიშნავს, რომლის ნაშთები იქ, მართლაც, დღემდე შემონახულია, მაგრამ არსებითად წარმართული დროის ბომონთა ადგილზე უნდა იყვენ აგებული და ანაჰიტის კულტის გამომხატველნიო.

---

[1] ნ. მარრი, რა წილი აქვს ქართულსე ნის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში, ტფ. 1910, გვ. 8.

[2] აქედანაა გეოგრაფიული სახელწოდებაც „კალმახი", „კალმახის ციხე", სომხ. *կա[լ]մախ—կամախ*.

[3] შდრ. Я. Н. Марр и Смирнов, Вишапы, стр. (მარრის სტ.).

წყლის ცნების შემცველია, სხვათა შორის, ისეთი სახელწოდებებიც, როგორიც არიან „წყურვეთი“ და „ტაბაცყური“, რომლებიც ენათესავებიან „აწყური“ || „წყურ“ || „კურ“-ს წყლისავე მნიშვნელობით[1]. პირველი მათგანი ძველი სახელწოდებაა იმ მეგალითური ნაქალაქევისა, რომელიც მდებარეობს ქციის მარცხენა ნაპირზე გამოქვაბულთა გვერდით, ს. ხანდოდან 2—3 კილ. დაშორებით. ხოლო მეორე —სახელწოდებაა ცნობილი ტბისა ქციის სათავეში, რომელსაც ვახუშტი „ტბის-ყურ“-ს უწოდებს და რომელიც გააზროვნებული ფორმა უნდა იყოს ძველი სახისა, რომელიც დღესაც „ტაბაცყურ“-ად გამოითქმის; ეს უკანასკნელი კი, უთუოდ, „ტბა-აწყურ“-ის გაღამახინჯება უნდა იყოს, რომელიც თვის მეორე ნაწილში ენათესავება „წყურ-ვ-ეთ“-ს[2].

თრიალეთ-წალკის წარსულის, კერძოდ მატერიალური კულტურის ნაშთების, შესწავლას წინ უნდა უსწრებდეს, უთუოდ, ძველი ტოპონიმიკის გარკვევა. ეს კი ფრიად რთული საქმეა, ვინაიდან მისი (ისევე, როგორც ჯავახეთის) გეოგრაფიული ობიექტების, ე. ი. დაბა-სოფლების, მთების, მდინარეების, ტბების ძველი სახელწოდებები, მცირე გამონაკლისით, მივიწყებულია და ახლებით შეცვლილი, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში თურქული, ბერძნული და სომხურია, ყ. ოსმალეთის ანალოგიური სახელწოდებების გამეორებად ახალი მოსახლეობის მიერ სამშობლოდან გადმოტანილი. ერთი კია, რომ რადგანაც ჩვენ ვახუშტის რუკა მაინც მოგვეპოება, თრიალეთ-წალკის თანამედროვე სახელწოდებებს მე-XVIII ს. პირველი ნახევრის შესატყვისები მოუძებნოთ.

ამისდა მიხედვით სურათი თრიალეთ-წალკის ტოპონიმიკის ცვლილებისა ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ვახუშტის რუკით	თანამედროვე
რეხა (რეხი)	რეხა
საპიტიახჩო (საპიტიახშო)	საპიტაღჩი
თეზი	ავრანლუ
აბიბოს-მონასტერი	ავრანლუს მეგალითური ნაქალაქევი
წალკა	ჰუნია-ყალა
თეთრი წყარო	აიაზმა
ოლთისი	ნარდვანი
ბარეთი	ბაშკოვი
ბეშკენაშენი	ბეშთაშენი
ეძანი	ბარმაქსიზი (წალკა)
ახალქალაქი	ტაშ-ბაში
ერანი, თურანი	ირან-თურანი
ანდრაფი	ტაქ-ქილისა
მერეკანი	ედი-ქილისა (?)
ფარეხა	აშიყ-ყალა
შუასოფელი	ბაშკოვი
გველფარეხა, არწივანი	გიუმბეთი
ტამალია	ხადიკი
უწყლო	სანთა
სამეხრეო	წინწყარო
კუკია, საბატე	სანომერი, შეპიაკი
მეთრევანი	იმერა
ხევლრმა	ლუშჩის ხეობა
ბეჟანო	ბურნაშეთი.

[1] შდრ. „კურცხალი“—ცრემლი.

[2] შდრ. „ტაფარავან“ || „თავფარავან“ ← „ტბა ფარავანი“, სადაც „ფარ“ იგივე „ფორ“-ია (იხ. სომხური საისტორიო წყაროებში ცნობილი“ კოლბო ფ ო რ“, „ბოლნო ფ ო რ“, „წობო ფ ო რ“, „მანგლიაც ფ ო რ“).

მე-XVIII ს. უწინარეს საბუთთაგან, სადაც თრიალეთ-წალკის ტოპონიმიკა ნაწილობრივ მაინც არის წარმოდგენილი, აღსანიშნავია 1392 წ. თარიღით შედგენილი მცხეთის საეკლესიო მამულების სია, სადაც, სხვათა შორის, მოხსენებულია: „**თრიალეთს** სოფელი ბარეთი და ცოტა-ბარეთი; ქედის-უბანი; მილისს სოფელი წითელი-საყდარი; ზურის-უბანი; ახალ-შენი; კლონა; ბეშქენა-შენი; ზემო-ანტრავს ოცი კომლი კაცი და ეკკლესია; სოფელი მაჩუთა; ეძანი; ახალ-ქალაქი; ნადვალევი# ორომა-შენი“[1].

თრიალეთ-წალკის ძველი ტოპონიმიკის აღსადგენად ფოლკლორული მასალის გამოყენებაც შეიძლება, თუმცა ეს მასალა ძალიან ღარიბია, და ორი ან სამი სახელწოდების ხსენების გარდა იგი არაფერს იძლევა.

ეს მასალა, პირველ ყოვლისა, გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ, რომელია თრიალეთ-წალკის უკიდურესი პუნქტი დასავლეთით, ქციის ხეობით:

ფაშა ჩამოხტა **ხანდოსა**,
[ხანდოსა, არა ნიჟგორსა];
კარგისა მასპინძლისასა
ხან მაწონს სჭამდა, ხან დოსა[2].

მეორე ლექსი კი პირდაპირ მიგვითითებს თრიალეთ-წალკის სულ ცოტა სამ სახელწოდებაზე მაინც:

თავს **რეხავ**, ბოლოს **ეძანო**!
შუაში **ბეშკენაშენო**!
თუ მტერმა ასე გვირია,
სახლი როდის ავაშენო;
გინდა სახლი ავაშენო,
შიგ როდის-ღა მოვისვენო?[3].

თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურისა და ტოპონიმიკის შესწავლის ერთერთ ძირითად ამოცანათაგანს წარმოადგენს საკითხი ნაქალაქევ რეხას ანუ რეხის შესახებ, აბიბოს ნეკრესლის ცხორების ერთერთ მითითებასთან დაკავშირებით.

აბიბოს ნეკრესლის ცხორების ალმწერელი, აღნიშნავს რა იმ ფაქტს, რომ აბიბოსი „მსხვერპლად [იქცა]... კელითა უსჯულოჲსა მარზაპნისაჲთა“, მიგვითითებს, თუ როგორ სპარსელებმა „მიწერეს [იგი] ზენა სოფლად მეფისა მათისა მარზაპნისა თანა“. ხოლო „ვითარცა მიიყვანეს იგი მარზაპნისა მის ზენა სოფლად ქალაქსა[4], რომელსა ჰქუიან რეკი“, „შეკრბა მუნ სიმრავლე ებისკოპოსთა და მღუდელთა და ერის მთავართა, და თეატრონი დიდი იქმნა წინაშე მარზაპნისა“[5]. შემდეგ მოყვანილია დიალოგი მარზპანსა და აბიბოსს შორის, და

---

[1] თ. ჟღრდანია, ქრონიკები, II, 1997, გვ. 196.

[2] ხალხური სიტყვიერება, საქ. საისტ.-საეთნ. სახ. გამ., I, 479. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 107.

[3] ზ. გულისაშვილი, „ივერია“ 1903 № 155.

[4] დედანში: სოფელსა (sic). შესწორებულია ივ. ჯავახიშვილის თანახმად (ქართველი ერის ისტორია, ნ. I, მესამე გამ., ტფ. 1928, გვ. 333, შენ. 1), ვინაიდან სხვაგან ესევე რეხი ქალაქადაა მოხსენებული.

[5] ს. კაკაბაძე, ასურულ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, ტფ. 1928, გვ. 42—44.

ჰაგიოგრაფი მიგვითითებს იმ სასჯელზე, რომელიც გამოუტანეს აბიბოსს ქრისტიანული პროპაგანდისათვის: „მაშინ განრისხნა ფრიად მარზპანი იგი მეფისა,—ვკითხულობთ ცხორებაში,—და შემდგომად მრავლისა გუემისა და საკვირველთა სატანჯველთათა ქვთა განტეხნეს იგი ნეტარი აბიბოს და მოკლეს და განათრიეს ქალაქსა და შცველნი განეწესნეს მის ზედა, რათა მკეცთა და მფრინველთა შეჰამნეს კორცნი მისნი“. ყველა ამას ჰაგიოგრაფი დასძენს: „მაშინ მოვიდეს რომელნი იგი [მყ]ოფ იყვნეს ჭუაბსა მას, რომელი იგი მათვე წმიდათაგან სავანესა ალეშენა მონასტერი, და აღიხუნეს ნაწილნი წმიდისა [აბი]ბოსნი, [და] დიდითა პატივით[ა და]ჰკრძალნეს ადგილსა [მას]“[1].

ტრადიციული შეხედულებით, რომელიც საკმაოდ დამკვიდრებულია არსებულ ლიტერატურაში, მარზპანის რეზიდენციად—**რეხად**—მიჩნეულია ცნობილი ს. **რეხა** შიდა ქართლში რეხულის (ლეხურის) ხეობაში სამთავის—ჭალას ზევიდან, რომელთან დაკავშირებით ლეგენდაც კი არის შეთხზული თითქოს აბიბოსი მახლობელს სამთავისში იყოს დასაფლავებული.

ჩვენ არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა მ. საბინინი, როდესაც 1872 წ. წერდა: „Г. Рехи находился в средней Карталинии на речке Рехис-Цкали; он служил иногда местопребыванием персидских правителей Грузии; на месте существовавшего города ныне маленькое селение; оно находится в Тифлисской губернии, почти на границах Горийского и Душетского уездов, недалеко от нынешнего местечка Чала“[2].

მაგრამ როდესაც ჩვენ აბიბოს ნეკრესლის ცხორების ტექსტის მითითებებს ვუდარებთ ვახუშტის გეოგრაფიის ზოგიერთ ცნობას, აგრეთვე მისაგე რუკებს, სადაც „სოფელი რეხა“ და „აბიბოს-მონასტერი“ ერთიმეორის მახლობლადაა ნაჩვენები ქციის მარცხენა ნაპირას, სწორედ იმ ადგილას, სადაც უკანასკნელი ზემო-წალკის ზეგანზე (შთაბარზე) გამოდის, არ შეიძლება ეჭვი არ მივიტანოთ იმაზე, თუ რაფერ ღა შეიძლება მარზპანის რეზიდენციის ძებნა შიდა-ქართლის ს. რეხაში, როდესაც ყველა რეალია და, ამასთანავე, ტოპონიმიკაც ზემო-წალკის რეხას სასარგებლოდ მოწმობს. ვახუშტი პირდაპირ ამბობს: „თეზის-კრამსა შინა არს მონასტერი კლდესა შინა, წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცალიერი“[3]. და მართლაც, იმ მეგალითურ ნაციხვარ-ნაქალაქევში, რომელიც ს. აერანლუს მახლობლადაა ცნობილი ქციის ხეობაში და რომელიც სამ-საფეხურიან უზარმაზარ კომპლექსს წარმოადგენს, პირველი (ე. ი. ქვედა) საფეხურის გალავანსა და მის გარეშეც დღესაც დიდი ნამონასტრალი ემჩნევა გამოქვაბულებით, რომელსაც აბიბოსის ცხორება უნდა ჰგულისხმობდეს.

---

[1] იქვე, 45.

[2] М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. II, Спб. 1872, стр. 51, пр. 2.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 43.

სხვა საკითხია, თუ აბიბოსის ცხორებაში, სადაც აღწერილია ამბები 571—591 წ. წ. მე-VII ან, შეიძლება, მე-IX საუკუნის ავტორის მიერ, რაფერ არის მოხსენებული მარზპანი, მაშინ როდესაც თრიალეთ-წალკა იმ ხანებში (V—VI ს. ს.) გუგარქ-გოგარენეს (გუგარეთის) საპიტიახშოს ტერიტორიის შემცველ ნაწილს შეადგენდა, რაც ჩვენ პირადად ვხსნით ასე: ჰაგიოგრაფს, რასაკვირველია, მხედველობაში ჰყავს გუგარეთის პიტიახში, რომელიც მას მარზპანად მიაჩნია, ვინაიდან ტერმინი „პიტიახში“ (პიტაქსი) ეუცხოვა. და რომ ეს, მართლაც, ასედაც უნდა ყოფილიყო, ამის სასარგებლოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ის გარემოება, რომ აბიბოს-მონასტრის მახლობლად იმავე ვახუშტის ატლასში (რუკები №№ 10, 11, 12 და 13) ნაჩვენებია „საპიტიახჩო“, რომელიც იგივე „საპიტიახშო“ უნდა იყოს, და ამისდა მიხედვით აღნუსხულია როგორც ივ. ჯავახიშვილის რედაქციით 1924 წ. გამოცემულს „საქართველოს ისტორიულ რუკა“-ზე, ისე პ. ინგოროყვას რედაქციით 1927 წ. გამოცემულს ტფილისის ყ. მაზრის „ადმინისტრატიულ რუკა“-ზე, სწორედ იმ პუნქტისადმი მიკუთვნით, სადაც სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების ძველ რუკებზე Забатагджа-ა ნაჩვენები. ეს უკანასკნელი სახელწოდება კი, რომელიც ჩვენ ადგილობრივ შევამოწმეთ, განისმის „საპიტაღჭ“-ად, რაც საუცხოოდ ჰფარავს ქართულ „საპიტიახშო“-ს (ვახუშტის „საპიტიახჩო“-ს). მეტსაც ვიტყვით: ეს „საპიტაღჭ“-ი ამჟამად სომეხთა ს. ყიზილ-ქილისას იაილადაა გადაქცეული, სადაც დღესაც დაცულია ძველი ბაზილიკა (შეიძლება, მე-XII—XIII ს.) ქართული ასომთავრული წარწერითურთ: „ქ̃ე შ̃ე ე̃აე კ̃თლძე“ (ქრისტე, შეიწყალე ერასტე [ან ეგნატე] კეთილაძე), აგრეთვე ორი მენჰირი, რომელთაგან ერთი, პატარა, გალავნითაა შემოზღუდული და, როგორც ეტყობა, საკულტო ადგილად (ხატად) ყოფილა ცნობილი, ხოლო მეორე ე. წ. „ერატიპის“ ფუნქციით ყოფილა აღჭურვილი (რამდენადაც იგი ერთს კუთხეში გახვრეტილია). რაც შეეხება „აბიბოს-მონასტერ“-ს, იქ ამჟამად ძველ სამონასტრო კომპლექსის ნაცვლად მხოლოდ ახალ ბაზილიკას ვპოულობთ, რომელიც მეგალითური სისტემის გალავანშია მოქცეული, ხოლო ამ ბაზილიკის დასავლეთით იმავე გალავანსა და მის გარეშეც სტიქიის ნგრევისაგან გადანარჩუნებული გამოქვაბულების ოდნავი ნაშთებიღაა დაცული. ხანდოს პირისპირ, ქციის მარცხენა ნაპირზე, წყურვეთად წოდებულ ადგილს გამოქვაბულებთან ერთად დღემდე დაცულია მეგალითური სისტემის ნაჭალაქევი.

მაგრამ რეხა-საპიტაღჭის მნიშვნელობა თრიალეთ-წალკის ისტორიისათვის სავსებით შეფასებული არ იქნებოდა, თუ ჩვენ, მასთან დაკავშირებით, ანგარიშს არ გავუწევდით გუგარქის საპიტიახშოს ანუ ბდეშხატის ცნობილი ცენტრის—ცურტავის—ადგილმდებარეობის საკითხს, რომელიც დღემდე ჯერ კიდევ გამორკვეული არაა. ამიტომაც ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქ ამ უკანასკნელზედაც გავჩერდეთ. სანამ კი ორიოდე სიტყვა თვით სახელწოდება „რეხა“ ‖ „ხეხი“-ს შესახებ.

„რეხა“ ‖ „რეხი“ იმ სახელწოდებათა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც ნაწარმოებია მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელ „ხ“-ს საშუალებით, როგორიც არიან, მაგ., „კოლხ“, „ტაოხ“, „ჯავახ“, „ჰენიოხ“, „კა[ს]ხ“ ‖ „კა[ჰ]ხ“, „მოსოხ“ ‖ „მესხ“

და სხვ. მაშასადამე, ფუძედ რჩება „რე“, რომელიც სხვადახსვა გახმოვნებით, პირველ ყოვლისა, საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში წყლის ცნებასთან დაკავშირებითაა ცნობილი (შდრ. „ხე“ → „ხე-ვი“).

ასეთია, მაგ., რV (რა ‖ რე ‖ რი ‖ რო ‖ რუს)-ს შემცველი შემდეგი სიტყვები:

1. [რა]?
2. **რეხა ‖ რეხი, რეხულა ‖ რეხული** (→ ლეხური); **რეცხვა, სარეცხი** და სხვ.
3. **რიონი; რიყე.**
4. **წყარო.**
5. **რუ, რუისი, რუისპირი, რუისთავი** → **რუსთავი.**

ასევეა სხვა ენებშიც:

1. ‘Pā **Ra** ვოლგას ძველი სახელწოდება; ა-**რაქსი** (→ **არეზი**) ‖ **ერასხი**: овраг.
2. **Renos ‖ Reyn**; **Рехы** (→ ნათეს. ***Рехъве**); **Мерефа**; **река, берег, море**; **mare.**
3. **rivus ‖ rivulus**; **rivière.**
4. **Rona**; **озеро.**
5. **ручей, русло**; **русалка**; **ruisseau**; **ирл.**
6. **рыба**[1]; თათრ. „**арҗ**“ (**არხი**).

ამასთანავე საინტერესოა, რომ სანსკრიტშიც **ri** → **rina** დენას ჰნიშნავს.

ჩვენის აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ყველა რთული გეოგრაფიული სახელწოდებები საქართველოში, რომლებიც „**რეხი**“ ‖ „**რეხა**“-ს შეიცავენ, თრიალეთ-წალკის ირგვლივაა თავმოყრილი: **შუარეხი, წინარეხი, გუდარეხი**, ისევე, როგორც „**ვერ**“-ის შემცველი სახელწოდებები სომხითში: **მაშავერი, შულავერი, კალავერი, გელავერი** და სხვ.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იგივე ფუძე „რე“ ‖ „რუ“, რომელსაც ენათესავება სომხური **шире** და თათრული „**арҗ**“ **арҳи**-ს მნიშვნელობით, თავს იჩენს ერთი ძველისძველი ნაქალაქევის სახელწოდებაში ქციის ქვედა ნაწილში, რომელიც ამჟამად თათრების სოფლადაა გადაქცეული: „**арҗлы**“ ‖ „**арҗлу**“,—ვახუშტისეული რუკის „ნახიდური“-ს ადგილას. და თუ ზემო-წალკის **рехa ‖ рехи** და ეძანი ქართული ფოლკლორით იმავე წალკის თავსა და ბოლოს წარმოადგენენ, იგივე „**рехa**“ ‖ „**рехи**“ და „**арҗлы**“ ‖ „**арҗлу**“ იმ წერტებს ალნიშნავენ, რომელთა შორისაც მოქცეულია ქციის ხრამი,—ერთი იმავე წალკაზე, როგორც **иаилаҗи**, ხოლო მეორე სომხითში როგორც **ჭიშლაღი.**

ცურტავის ადგილმდებარეობის შესახებ სხვადასხვა ავტორთა მიერ ჯერ კიდევ მე-X საუკუნიდან მოყოლებული სხვადასხვა აზრი იყო გამოთქმული.

მე-X ს. სომეხ ისტორიკოს უხტანესით, იგი მაშინ „გაჩიან“-ად (გაჩენქ) ყოფილა ცნობილი; მისი მდებარეობა ნაგულისხმევია „მდინარის ნაპირას, რომელსაც გაჩიანის-წყალი (გაჯენაგეტ) ეწოდება, ოლქში, რომელიც ქართველთა

[1] შდრ. А. Соболевский, Русско-скифские этюды,—„Известия Отд. Рус. яз. и слов. Р. Акад. Наук“, т. XXV, 1923, стр. 280; К. Державин, Меч Роланда,—„Изв. Акад. Наук ОГИ“, 1931 № 3, стр. 352; აგრეთვე ნ. მარრის სხვადასხვა ნაშრომები.

ველად (ვრაც-დაშტ)[1] იწოდება... კავკასიონის მთის პირისპირ, რომელიც მოსაზღვრეა... დიდი დედაქალაქ ტფილისისა"[2].

„გაჩიან"-ად (გაჩენქ) სთვლიდა ცურტავს, „რომლის ეპარქია აწ ახპატს ეკუთვნისო", მე-XIII ს. სომეხი ისტორიკოსი სტეფანე ორბელიანიც[3].

ვახუშტი ეძებდა ცურტავს „პირისპირ ახტალისა, აღმოსავლეთით, ბერდუჯის[4] მთასა შინა"[5].

მ. ბროსე კი ეძებდა ცურტავს „à l'E. d'Akhtala, sur le Berdoudj, la Kamenka de Russes"[6].

ბროსეს მისდევდა თ. ქორდანია, რომლის სიტყვითაც „ცურტავი, აწინდელი გადშენკი (sic. ლ. მ.-ბ.), ვახუშტის გაჩიანი (ახტალას ახლო, რუსების სოფელი Каменка) მდებარეობდა გუგარკში (sic. ლ. მ.-ბ.), ცერეთის და ქართლის სამზღვარზე"[7].

ხოლო თ. ქორდანიას სიტყვებს იმეორებდა ალ. ხახანაშვილი[8].

მ. ჯანაშვილი, ჩერდება რა სახელწოდება „ზურტაკეტ"-ის ეტიმოლოგიაზე, უკავშირებს მას ცურტავს: „ზურტაკეტი ანუ ზორტა-კეტი წარმოსდგება სიტყვებიდან კეტა ანუ კეტვა (შეად. ფანას-კეტი) და ზორტი—გრძელი შესაკრავი. შესაძლებელია, შუშანიკის ჭალაჭი ცურტავი (=ცორტავი) შემდეგ გადარჭმეულიყოს ზურტაკეტად"[9]. რადგანაც ზურტაკეტი იგივე ყარაბულახია ანუ ადრაბადაგანი ვახუშტის რუკისა, მაშასადამე, მ. ჯანაშვილით, ცურტავი აწინდელ ყარაბულახში უნდა ვეძიოთო.

ლ. ალიშანისა[10] და ნ. ჰაკობიანის[11] თანახმად, ცურტავი მდებარეობდა „ბოლნისის ხეობის (ბოლნოფორის მხარის) სამხრეთით მდებარე მდაბლობის წვერზე", „ნახევარი დღის დაშორებით მხოლოდ ტფილისიდან".

ს. კაკაბაძე 1912 წ. იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ „პიტიაშხის რეზიდენცია იმყოფებოდა ახლანდელ მანგლისის დასავლეთით ცურტავში"[12].

---

[1] ამ სახელწოდების შესახებ იხ.: ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქვემო ქართლის ზოგადი მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის ძველად (თეზისები მოხსენებისა)—„ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული", I—II, გვ. 357.

[2] *Ուխտանէսի Պատմութիւն բաղմանուն վրաց ի հայոց, վաղարշապատ* 1871, გვ. 34=ლ[ეონ] მ[ელიქსეთ]-ბ[ეგი], Гадженк'—Гачиан, „Христ. Восток", т. VI, в. I, стр. 94—95.

[3] *Պատմութիւն Տանն Սիւնեաց, Տփղիս* 1911, გვ. 105.

[4] ე. ი. საგიმის; შდრ. უამთააღმწერელი: „...წყალსა ზედა ბერდუჯასა და აწ საგიმად წოდებულსა" (ქ. ც. მარიამ დედოფლის ვარ., გვ. 560, ვახტანგისეული, ბროსეს გამ., 347).

[5] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 43.

[6] M. Brosset, Deux historiens Arméniens, p. 295—296, n. 2; მისივე Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, p. 109, n. 3.

[7] თ. ქორდანია, ქრონიკები, I, გვ. 320, შენ. 42.

[8] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, кн. III, М. 1901, стр. 265, прим. 1.

[9] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 51, შენ. 12.

[10] *Ղ. Ալիշան, Ծուխիկք հայրենեաց Հայոց*, I, 375.

[11] *Ն. Ակինեան, Կիւրիոն կաթողիկոս վրաց, Վիեննա* 1910, გვ. 199, შენ. 1.

[12] ს. კაკაბაძე, წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, ტფ. 1912, გვ. 8.

ივ. ჯავახიშვილი 1914 წ. წერდა: „ჰერეთში ითვლებოდა „ცურტავი", ...მაგრამ ნიშანდობლივ სად იყო იგი, არ ვიცით; როგორც სჩანს, არც ვახუშტს სცოდნია"-ო[1].

სპეციალ სტატიაში „К вопросу о местоположении Цуртава" ჩვენ 1916 წ. ამავე საკითხზე გამოვთქვით შემდეგნაირად: „Цуртав нужно искать либо по-близости нынешней Ахталы, в районе ущелья реки Дебеда-чая (Каменки), либо на месте древнего Гачиана, по правому берегу реки Кции или Храма; но где именно—вопрос остается не разрешенным"[2].

ს. ყაუხიშვილი 1924 წ. ჩვენს სტატიაზე დაყრდნობით აღიარებდა რა, რომ „ცურტავის მდებარეობა ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის", თავის მხრივ ზოგიერთ ახალ გარემოებაზე მიგვითითებს, პირველ ყოვლისა იმაზე, თუ როგორ „ბროსსე იხსენიებს უშაკოვის მიერ პასკევიჩის ლაშქრობათა შესახებ შედგენილ რუკას, რომელზედაც ვახუშტის არქევანის ახლოს და მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე ნაჩვენები ყოფილა ხაჩინ და ზროუტ". ამის გამო იგი დაასკვნიდა: „საფიქრებელია, რომ ეს სახელები შემცველი უნდა ყოფილიყო პირველი გაჩიანის და მეორე—ცურტავის სახელისა, რომელთაგან პირველი სომხურ ჩვეულებრივ სახელის ხაჩინ-ის ანალოგიით უნდა იყოს გადმოკეთებული გაჩიანიდან. საყურადღებოა, რომ ვახუშტიც აქვე, არქევანთან მაშავერის შესართავში უჩვენებს გაჩიანს. შესაძლებელია, ამიტომ, ვიფიქროთ, რომ მაშავერი უნდა იყოს უხთანესის გაჯენაგეტ, და გაჩიანის მდებარეობაც ამის მიხედვით უნდა გამორკვეულად ჩაითვალოს მაშავერის შესართავთან ხრამის მარჯვენა ნაპირას, ებლანდელი ჭოშა-ჭილისას რაიონში და მის დასავლეთით"[3].

ამასვე ცოტაოდენ შეცვლილი რედაქციით იმეორებს იგივე ს. ყაუხიშვილი 1928 წ. რუსულად: „Эквивалент названия Гачиан-и—Цуртав (Ухтанес, как известно, считает эти названия идентичными) находит об'яснение на арм. яз., именно *цирт* холодный (само слово иранского происхождения) с суффиксом—ав, встречающимся и в других древних географических названиях на Юго-Кавказе (например, Тел-ав, Ман-ав, Зан-ав, Парт-ав и пр.). В этом-же значении Гачиан-и при сопоставлении с аварским коачан—холодный вполне покрывает термин Цурт-ав, который, таким образом, представляется простым переводом термина Гачиан-и в его аварском, так сказать, аспекте. Гачиан-и—Цуртав, повидимому, находился в районе нынешнего Хоша-Килиса на правом берегу р. Храма (притока Куры), у слияния с ним р. Машавер"[4].

დასასრულ, ივ. ჯავახიშვილი იმავე 1928 წ. კვლავ შეეხო ამავე საკითხს შემდეგი მოსაზრების გამოთქმით: „იაკობ ხუცესის თხზულებიდან ჩანს, რომ ცურტავი მე-V საუკუნეში ჰერეთის საერისთავთ-ერისთაოსა და

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, II, 307—308.

[2] Изв. Кавк. Отд. Рус. Геогр. О-ва, т. XXIV № 3.

[3] ს. ყაუხიშვილი, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები,—„საისტორიო მოამბე", 1924 წ., I, 74—75.

[4] С. Какабадзе, К истории названия города Тифлиса,—„საისტორიო კრებული", II, 67.

საპიტიახშოს ეკუთვნოდა და იმ დროს თუმცა ქალაქად-კი არა, არამედ დაბად იწოდებოდა, მაგრამ მაინც ჰერეთის მთავარი ადმინისტრატიული ცენტრი და ჰერეთის მთავართა, პიტიახშების საჯდომი ადგილი ყოფილა... ამგვარად ცურტავის საეპისკოპოზოც უნდა ჰერეთში ვიგულისხმოთ“ [1].

1928—32 წ. წ. განმავლობაში ჩვენ საშუალება გვქონდა მოგვეველო თიმის მთელი გუგარჭი (გუგარეთი)—ჯავახეთი ფარავნითურთ, თრიალეთწალკა, ზურტაკეტ-ყარაბულახი, ლორე-ტაშირი და სხვ., და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ცურტავი იგივე ნახიდური უნდა იყოს ვახუშტის რუკისა, სადაც აშჟამად თათრების სოფელ არჭხლო, არჭხლუ მდებარეობს, ხრამის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე; ხოლო, ამისდა მიხედვით, უხტანესის გაჯენაგეტიც იგივე ხრამი უნდა იყოს.

ამ ჩვენი დებულების სასარგებლოდ მოწმობს მთელი რიგი გარემოებებისა. არჭხლო—ნახიდური თავისი ადგილმდებარეობით ძალიან მოგვაგონებს ავრანლო—რეხას ადგილმდებარეობას, ვითარცა ისეთი პუნქტისას, სადაც მდ. ქცია ღრმა ხრამიდან ბარზე გამოდის და დასაწყისს აძლევს რუების მთელ სისტემას, სხვათა შორის, მე-XVIII საუკუნეში ცნობილ „ვახტანგის არხს“. ამიტომაცაა, რომ კ. ჰანი გვიხსნის: „Арыглы тат. от арых-канал и частицы лу (=ли) местность, пересеченная оросительными каналами“ [2]. ხოლო „არჭხლო“ ისეთივე წარმოებისაა, როგორც „მუღანლო“, „ამბარლო“, „ჭამარლო“, „ავრანლო“, „ბორჩალო“, „მეჩიტლო“ და სხვ.

რომ არსხლო-ნახიდური ოდესღაც, მართლაც, მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა, ამის სასარგებლოდ მოწმობს მასში დაცულ ნასაყდრევთა სიმრავლე (შვიდიოდე), რომელთა შორისაც ყურადღებას იქცევს ძველი კათედრალი ეჯმიაწინს ახლოს მდებარე წმ. გაიანეს ტაძრის ტიპისა (ოთხსვეტიანი კვადრატი გუმბათით), ხოლო ერთერთ პატარა ეკლესიათაგანში მოიპოვება ძველი ქვის ჯვარი მანგლისის „მარიამჯვრის“ ტიპისა. აქვეა, სულ ½—1 კილ. მანძილზე, ის ძველი ნაციხვარი, რომელიც საბარათიანოს ცენტრად ითვლებოდა და რომელიც უკანასკნელად მე-XVIII ს. დამლევს განახლებულ იქმნა დარეჯან დედოფლის მიერ: მას თათრები „აღ-ყალა“-ს უწოდებენ, ხოლო ქართულ წყაროებში „ქოლაგირ“-ადაა ცნობილი[3].

ანგარიშ გასაწევია აგრეთვე არჭხლო-ნახიდურის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც სწორედ „ქართველთა ველზე“ (ვრაცდაშტზე) არის გაშლილი და, მაშასადამე, **მოქცეულია იმ სავაჭრო გზების კვანძში, რომელიც გადიოდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ,** შემდეგ სადარაჯოთა შორის: დუმანისით—სამხრეთით, სამშვილდით—დასავლეთით, და რუსთავით აღმოსავლეთით.

ხოლო არჭხლო-ნახიდურის ანუ, რაც იგივეა, ქოლაგირის ეკონომიურ მნიშვნელობას საუკეთესოდ გვიმოწმებს ზემოხსენებული დარეჯან დედოფლის

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, მესამე გამოცემა, 349—350.

[2] К. Гав, Опыт об'яснения кавказских географических названий, Тфл. 1911, стр. 17.

[3] „ქოლაგირი“ ნაქალაქევს უნდა ნიშნავდეს, შდრ. „ქოლაგი“ კახეთში, ს. ვეჯინს ახლოს.

მიერ შედგენილი ნუსხა 1801 თარიღით, რომელშიც ნათქვამია შემდეგი: „ქოლაგირი ასის წლის ხარაბა იყო, განსვენებულმა ჩემმა მეულლემ, მეფემ ირაკლიმ, ხან ვის უბოძა და ხან ვის, ძაგრამ იმის აშენება ვერ შეიძლეს, კელი არავინ მოჰკიდა; მასუკან მე მიბოძა, უცხოს ქვეყნებიდამ ქრისტიანენი მოვაყვანინე და დავასახლე კომლი ნე... ამავ ქოლაგირში **ვენახი** გავაკეთებინე,... აქავ **ბრინჯის გამოსავალი**,... აქავ **შარბაბის აბრაშუმის გამოსავალი**,... აქავ **ბანბის გამოსავალი**,... აქავ **ბოსტნის გამოსავალი**... ამავ ქოლაგირს ქვიტკირის დიდი ციხე და გალავანი ავაშენე, ამაზედ რაც ჩემი თეთრი დახარჯულა, ამისი ნუსხები თვითოეულად და სახელდობ დაწერილი მჭონდა და ქალაქის წახდენაში დაიკარგა... იმ ჟამად ახალ-ციხის ფაშა ჩვენზედ აშლილი იყო და დალისტნისა დიდი ჯარები ჰყვანდა. დიად მრავალჯერ მოიწადინა ფაშამ და ჯარები გამოუსია **იმ ციხის მუშაობის მოსაშლელად**, მაგრამ მეც ჯამაგირით და ულუფით ჯარები დავაყენე... აქავ ქოლაგირს თაფრები თორმეტი კომლი დამხვედრია და უცხოს ქვეყნებიდამ დაფანტული კაცნი მომიყვანია... აქავ ქოლაგირში **ორი თვალი წისქვილი**,... ამავ ქოლაგირის **საწყლის-პირო, სათევზო გაიცემოდა იჯარით**; ... ამავ ქოლაგირს **სამღებრო გაიცემოდა წლის იჯარით**“[1]....

არეხლო-ნახიდური არაა ბევრად დაშორებული სამშვილდისაგან, რომლ[ი]ც პიტიახშთა რეზიდენციის ერთ-ერთ მთავარ სადარაჯო ციხე-სიმაგრეთაგანი იყო. ხოლო ამ პიტიახშების ბატონობის კვალი თუ არის სადმე აღბეჭდილი ეპიგრაფიკულ ძეგლში, მხოლოდ-და-მხოლოდ ამ სამშვილდეში, სახელდობრ მისი კათედრალის ალმოსავლეთის კედელზე, სადაც იკითხება: „[მო]წყალებითა ღმრთი[საჲთა, კაცთმოყუარებითა... [სა]ყოფელი ესე... [ნ]ათესავით **პიტიახშნი** წელსა ქ´ მეფობასა კოსტანტიჲსა დიადვა საძირკველი“...[2]. პროფ. გ. ჩუბინაშვილის აზრით (პირადად გამოთქმულით), ეს წარწერა მე-VIII ს. უნდა ეკუთვნოდეს, რამდენადაც მასში მოხსენებული „მეფე კოსტანტი“ აფხაზთა მეფე კოსტანტი I უნდა იყოს, ხოლო ტაძარიც თავისი არქიტექტურით არაუგვიანეს VIII საუკუნისა უნდა იყოს. „ნათესავით პიტიახშნი“ კი იმას გვიჩვენებს, რომ აქ პიტიახშთა საგვარეულოზეა საუბარი, ე. ი. იმ საგვარეულოზე, რომლის მფლობელობაში იყო მოქცეული როგორც სამშვილდე, ისე არეხლო-ნახიდურის ადგილას მდებარე ძველი ქალაქი.

რომ ცურტავი სწორედ ხრამზე უნდა ყოფილიყო აგებული არეხლო-ნახიდურის ადგილას, ამის სასარგებლოდ მოწმობს 506 წ. დვინის კრების მონაწილეთა სია, სადაც, სხვათა შორის, მოხსენებული არიან ქართლის ეპისკოპოსები შემდეგი თანამიმდევრობით: დავით **ბოლნელი**, იაკობ **ცურტაველი**, სტეფანე **რუსთველი**, საჰაკ **ტფილელი** და ელაგე **მანგლელი**[3], ე. ი. ცურტაველი ბოლნელსა და რუსთველს შორისაა მოხსენებული, რაც საუცხოოდ უდგება იმ

---

[1] ვ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, 299—300.

[2] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. II, 1905, стр. 42—43.

[3] *Գիրք Թղթոց*, 182—183.

ფაქტიურ მდგომარეობას, რომ ცურტავი ჰერეთს კი არ ეკუთვნოდა, რომელშიც რუსთავი შედიოდა, არამედ მისი მოსაზღვრე იყო—ბოლნისს, მანგლისსა და ტფილისს შორის. თუ ტფილისი და რუსთავი მტკვრის ხეობაში იყვნენ მოქცეული, ხოლო ბოლნისი ბოლნისის ანუ ფოლადაურისაში და მანგლისი ალგეთის ხეობაში, მაშინ ცურტავისათვის მხოლოდ-და-მხოლოდ ხრამის ხეობაღა რჩება რომ ვიგულისხმოთ.

ამასთანავე, ცურტავად მიჩნეული არცერთი პუნქტი—არც „ახტალის პირისპირ ბერდუჯის მთაში“ მდებარე მონასტერი, არც ქამენკა და არც ზურტაკეტი არ შეეფერება იმ აღწერილობას, რომელსაც, კლიმატიურ თვისებათა აღნიშვნით, იძლევა იაკობ ხუცესი: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მკურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი; რომელსა მკჳდრნიცა მის ადგილსანი სავსენი სენითა, წყლითა განსიებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამშრშალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“ [1].

ამრიგად, ცხადია, რომ თუ ცურტავი სადმე უნდა ვეძიოთ, მხოლოდ-და-მხოლოდ ქციის-ხრამის ხეობაში, სახელდობრ იმ ადგილას, სადაც ძველად ნახიდური-ქოლაგირი იყო, ხოლო აწ არეხლო-აღყალა მდებარეობს. და თვით სახელწოდება „ცურტავ“-იც უშუალოდ სიტყვიდან *ციცრი* **ცივი** კი არ უნდა იყოს წარმოებული, არამედ ძირიდან „ცურ“ (→ „ცურ-ვა“), რაც, **წყლის** ცნებასთან დაკავშირებით, იმასვე უნდა ჰნიშნავდეს, რაც „არეხლო“; უკეთ—„არეხლო“ სემანტიკურად იგივე „**ცურ-ტავ**“-ი უნდა იყოს (შდრ. **რუის**-თავი), ე. ი. წყლის ანუ რუების ადგილი.

ერთად-ერთი დაბრკოლება, რომელიც შეიძლება დაეღობოს ჩვენს მიერ წამოყენებულ დებულებას ცურტავის იდენტიფიკაციის სასარგებლოდ აწინდელ არეხლო-ქოლაგირთან, გახლავს ის, რომ ეს დებულება თითქოს ეწინააღმდეგება ყველა იმას, რაც ჩვენ ზემოდ გამოვთქვით ზემო-წალკის რეხასა და საპიტაღჩის სასარგებლოდ. მაგრამ აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რამდენადაც საპიტიახშოს, თუ მისი მეურნეობა უმთავრესად მესაქონლეობასა და, ამავე დროს, საირიგაციო სისტემაზე იყო დამყარებული, შეეძლო ორი ცენტრი ჰქონოდა: ერთი—საზამთრო ანუ **ქიშლაღი**—ბარსა, აწინდელი არეხლო-ქოლაგირის ადგილზე, სადაც ჩვენ ცურტავი გვეგულება, ხოლო მეორე—საზაფხულო ანუ **იაილაღი**—მთაში, აწინდელი ავრანლო-რეხა-საპიტაღჩის რაიონში, სადაც ვახუშტის რუკით „სიპიტიახშო“ ყოფილა, რომელსაც ნაწილობრივ მხარს უჭერს აბიბოს ნეკრესლის ცხორებაში არსებული ზოგიერთი რეალიები გარკვეული გაგებით. ხოლო, რაც მთავარია, ყველა ტერმინები, როგორც „თრიალეთი“ და

---

[1] იაკობ ხუცესი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი, ს. გორგაძის რედ., ქუთაისი 1917, გვ. 17.

„წალკა“ (ასევე „ფარავანი“) ერთის მხრივ, და „რეხა“=„რეხი“ და „ცურტავ“-„არეხლო“ მეორეს მხრივ, წყლის ცნებასთან დაკავშირებით პოულობენ თავის ახსნა-განმარტებას.

* * *

ჩვენ ჩვენს წერილს დასკვნას არ ვუკეთებთ, ვინაიდან ჩვენი აზრი სრულიად მარტივია და გასაგებიც: დაკვირვება თრიალეთ-წალკას წარსულზე, გუგარჭის-გოგარენეს (გუგარეთის) საპიტიახშოს საკითხთან დაკავშირებით, ტოპონიმიკური მასალებისა, აგრეთვე საისტორიო წყაროებისა და საარქეოლოგიო რეალიების გამოყენებით, საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, რამდენადაც **საპიტიახშოს მეურნეობა მესაქონლეობასა და საირიგაციო სისტემაზე იყო აგებული**, მას ორი ცენტრიც უნდა ჰქონოდა ერთსადაიმავე ქცია-ხრამის ხეობაში. ხოლო ამ ორი ცენტრის არსებობის გაგება შეუძლებელია **ჭიშლალ-იაილალური სისტემის** გარეშე.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ

საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

მ. ჩხაიძე

ენის პალეონტოლოგია და პალეონტოლოგიური მეთოდი

პალეონტოლოგია ბერძნული სიტყვებისაგან შესდგება და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: მოძღვრებას (-ლოგია) სიძველეთა (პალე) არსის (ონტა) შესახებ.

პირველად ეს ტერმინი გეოლოგიაში იქნა გამოყენებული, სადაც ის ნიშნავდა და ნიშნავს მოძღვრებას გეოლოგიური სიძველეების შესახებ. შემდეგ სიტყვა პალეონტოლოგია შემოტანილ იქნა არქეოლოგიაში და დაბოლოს ენათმეცნიერებაში. ამ უკანასკნელში ის თავდაპირველად აღნიშნავდა მოძღვრებას საზოგადოდ ენის ძველი არსის შესახებ[1].

მიუხედავად იმისა, რომ, ერთის მხრით, თვით სიტყვა „პალეონტოლოგია" თავისი შემადგენელი ნაწილებით არ გვაძლევს იმის საბუთს, რომ ის მეცნიერების რომელიმე კერძოობითი დარგის საკუთრებად გამოვაცხადოთ (მისი ეტიმოლოგია გვეუბნება, რომ ის მოძღვრებაა საზოგადოდ სიძველეების შესახებ), და, მეორეს მხრით, ის ფაქტიურადაც გამოყენებულ იქნა მეცნიერების არა ერთ დარგში,—ტრადიციული მეცნიერება ამ ტერმინს მაინც გეოლოგიას აკუთვნებს. მაგალითად, 1933 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ პალეონტოლოგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მეცნიერებას გათხრების საშუალებით აღმოჩენილი ცხოველებისა და მცენარეების შესახებ, რომლებიც ცოცხლობდენ წარსულ გეოლოგიურ ხანებში".

ენათმეცნიერებაში ეს ტერმინი ორი მოპირდაპირე მნიშვნელობითაა გამოყენებული; ერთია მისი მნიშვნელობა ენის შესახებ ძველს მოძღვრებაში (ინდოევროპეისტიკაში) და სულ სხვაა მისი მნიშვნელობა ენის შესახებ ახალს მოძღვრებაში (იაფეტიდოლოგიაში). ინდოევროპეისტიკა ბოლომდე პირნათელი დარჩა ამ ტერმინის ეტიმოლოგიის წინაშე: მან პალეონტოლოგიის არე სწორედ ენის სიძველეების შესწავლით განსაზღვრა[2]. იაფეტიდოლო-

---

[1] ნ. მარრი, Язык и современность, ГАИМК, 1932, გვ. 29.

[2] ნ. მარრი, К семантической палеонтологии, ГАИМК, 1931, გვ. 2.

გიამ კი პალეონტოლოგია აქცია მოძღვრებად ენის სტადიალური განვითარების შესახებ უძველეს დროიდან დაწყებული მომავალ კომუნისტურ საზოგადოებამდის[1].

პრინციპიალური განსხვავება ტერმინის ამ ორ ხმარებას შორის იმაშია, რომ იაფეტიდოლოგიური პალეონტოლოგია შეისწავლის ენას მის ისტორიულ განვითარების პროცესში, მაშინ როდესაც ინდოევროპეისტიკის პალეონტოლოგია ენის ძველ სახეს იკვლევს და მასაც სტატიურად, ე. ი. არსებითად განვითარების ისტორიის გარეშე.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი მოვლენა: ზოგიერთ ინდოევროპეისტს პალეონტოლოგია დაკავშირებული აქვს ენის ევოლუციურ განვითარებასთან[2]. არსებობენ პალეონტოლოგიური ჰიპოთეზები ენის ამათუიმ ტიპის განვითარების ისტორიის შესახებ. მაგრამ რანაირი პროგრესიული ვარიანტიც არ უნდა ვეძიოთ პალეონტოლოგიისა ინდოევროპეისტიკაში, მისი პრინციპიალური მეთოდოლოგიური დანაკლისი მაინც ნათელი რჩება: მას უგულებელყოფილი აქვს ცვლები (смены) ენის განვითარებაში.

მაშინაც კი, როდესაც ინდოევროპეისტიკის პალეონტოლოგია ენის ევოლუციას შეეხება, მხედველობაშია მიღებული მარტო ერთი, კერძოდ აღებული სტადია, გენეტიურად წინა სტადიებთან დაკავშირების გარეშე, და განვითარებისას კი კვლევა-ძიება შეეხება ენის ანუ ენათა ჯგუფის მხოლოდ წინარენიდან თანამედროვე ფორმებამდი ევოლუციას.

იაფეტური თეორია კი უკუაგდებს წინარენის თეორიას, როგორც ბურჟუაზიულ მითოსს, და გამოსავალ წერტილად მეტყველების სტადიალური ცვლები აქვს აღებული.

იაფეტიდოლოგიამ კვლევა-ძიების ცენტრი ენის შინაარსის შესწავლაში გადაიტანა. ენის შინაარსის შესწავლამ ის იძულებული გახადა გამოემუშავებია ენათმეცნიერებაში სპეციალური დარგი; ეს არის სემანტიკა ანუ მოძღვრება სიტყვისა და სიტყვის ნაწილების შინაარსის სტადიალური ცვლების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „სემანტიკა“ ენის შესახებ ძველს მოძღვრებაშიც გვხვდება; მაგრამ აქაც, „პალეონტოლოგიისა“ არ იყოს, ის სქოლასტიკურადაა გაგებული,—მისი მარტო სტატიკაა ნაგულისხმევი და არა დინამიკა.

მოკლედ: იაფეტიდოლოგიის პალეონტოლოგია უნდა ითვალისწინებდეს ენის როგორც ფორმის, ისე შინაარსის სტადიალურ ცვლებს. და ეს ასეცაა; მეტი სიცხადისათვის მოვიყვანთ თვით აკად. ნ. მარრის განმარტებას: „მეტყველების პალეონტოლოგია არის მოძღვრება ენობრივი მოვლენების არა მარტო შინაარსის, არამედ აგრეთვე ფორმის ძირითადი, იდეოლოგიურად დასაფუძვლიანებული ძვრებისა და ცვლების შესახებ“[3]. მეორე ადგილზე ნ. მარრი ამბობს: მეტყველების პალეონტოლოგია „მოძღვრებაა ენის ორთავე მომენტის—

---

[1] ნ. მარრი, Язык и современность, გვ. 23.
[2] ნ. მარრი, იქვე, გვ. 30.
[3] ნ. მარრი, იქვე, გვ. 29.

შინაარსისა და გაფორმების—თვითონ კანონზომიერებათა ცვლების შესახებ"[1].

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, იაფეტიდოლოგია ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ კანონზომიერ ცვლებს ჰქონდა ადგილი არა მარტო ენის განვითარებაში საზოგადოდ; ეს კიდევ ცოტაა: საგულისხმო ისაა, რომ თვით კანონზომიერებაში ჰქონებია ცვლებს ადგილი, ე. ი. ენის განვითარების მთელი მანძილზე ცვლების ერთი კანონზომიერება კი არ ყოფილა, არამედ მეტი.

სტადიალური ცვლების საკითხი მეტად რთულია. მით უფრო ძნელი ხდება მისი ყოველმხრივი გაშუქება, რომ ძველს ენათმეცნიერებას ამ საკითხის შესახებ ხმა არ დაუძრავს.

სტადიალობაზე მოძღვრების საგანია მეტყველების განვითარების პროცესში მომხდარი სტადიალური ცვლები. ახალს ენათმეცნიერებაში ბევრი რამ გაუგებარი დაგვრჩება, თუ სათანადოდ ვერ გაეერკვიეთ ენის ისტორიული ცვალებადობის მომენტებში. ამ მხრივ, უპირველესად ყოვლისა, უნდა შევითვისოთ ის აზრი, რომ, როგორც იაფეტიდოლოგია ამტკიცებს, ერთი სტადიიდან მეორე სტადიაში გადასვლისას მეტყველებაში მეტად სერიოზული ცვლილებები ხდებოდა; მეტყველება იმ დროს ისე კარდინალურად იცვლიდა სახეს, რომ ხშირად მას ახალ სტადიაზე წინანდელთან შედარებით სულ საწინააღმდეგო ელფერი ეძლეოდა. მასთან იცვლებოდა ენის როგორც შინაარსი, ისე გაფორმება და ენის ტექნიკაც. ნ. მარრი ენის ასეთ სტადიალური ცვლის სიძლიერეს შემდეგნაირად აღნიშნავს: „მეტყველებამ თავის განვითარებაში განიცადა მთელი რიგი სტადიებისა, რომლებიც თავის მხრივ სცვლიდენ ენის ყველა განაკვეთში მის იდეოლოგიას, გაფორმებას და ტექნიკასაც იმდენად, რომ ენობრივ მოელენებს მოპირდაპირე მნიშვნელობაც კი ენიჭებოდათ"[2].

რასაკვირველია, ენის სტადიალური განვითარება დამოკიდებულია ბაზისის-საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის—განვითარებასთან; ენის სტადიალური ცვლები, საბოლოო ანგარიშში, ეკონომიკის სტადიალურ ცვლებთანაა შეპირობებული[3].

იაფეტიდოლოგია ენას განიხილავს აზროვნებასთან მთლიანობაში; და ამდენად მის ამოცანას შეადგენს აზროვნების სტადიალური ცვლების გამოკვლევაც. დებულება, რომ ენა და აზროვნება წარმოადგენს დიალექტურ მთლიანობას,—ეკუთვნის მარქსიზმს. ეს მთლიანობა ცხადი გახდა ენგელსის სიტყვებს შემდეგ, რომელიც „გერმანულ იდეოლოგია"-ში ამბობდა: „ენა რეალური ცნობიერებაა"[4]. ნ. მარრმა გააღრმავა ეს აზრი კონკრეტ ენობრივ მასალაზე, და აღმოჩნდა, რომ აზროვნების განვითარების ისტორიაშიც იმგვარივე

[1] ნ. მარრი, იქვე, გვ. 30.

[2] ნ. მარრი Язык и современность, გვ. 5.

[3] მარრი, Доистория, преистория, история и мышление, ГАИМК, 1933, გვ. 12 და შემდ.

[4] მარქსი და ენგელსი, Немецкая идеология, თხზულებები. IV, გვ. 21; შეადარე ლენინი, Лен. сб., IX, 15, მისი კომენტარიები მოცემული აქვს ნ. მარრს: Язык и современность-ში, გვ. 3.

ლრმა სტადიალურ ცვლილებებს ჰქონებია ადგილი, როგორიც ენის ისტორიაში შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან სტადიებს რომ თავი დავანებოთ, ორი სტადია განსაკუთრებული სიდიადითაა წარმოდგენილი აზროვნების ისტორიაში: ერთია ადრინდელი,—მას იაფეტიდოლოგია აზროვნების კოსმიურ სტადიას უწოდებს; მეორე გვიანდელია და ეწოდება აზროვნების ტექნოლოგიური სტადია.

პირველყოფილ ტომთა აზროვნების შესწავლის ისტორია გვიჩვენებს, რომ მეცნიერთა აზრი სრულიად სამართლიანად იყო მიმართული იმ მხრივ, რომ იმ პირველყოფილ ტომთა აზროვნების შესწავლისას თვითონ მეცნიერებს თავი დაეღწიათ თანამედროვე ევროპული აზროვნების ნორმებისაგან, ვინაიდან ეს ნორმები, როგორც სჩანდა, ხელს უშლიდა მათ ძველი დროის აზროვნების შესწავლაში. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი ბურჟუაზიულ მეცნიერებას მაინც გადაუჭრელი დარჩა, ამ გარემოებას ორი მთავარი მიზეზი ჰქონდა. ერთი ისა, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება პრინციპიალურად უგულებელყოფდა აზროვნების ისტორიაში მომხდარ რევოლუციურ მომენტებს, ლრმა სტადიალურ ცვლებს; მისთვის ყველაფერი ამ ქვეყანაზე ევოლუციურად მიმდინარეობდა, მეორე მიზეზი ის იყო, რომ პირველყოფილი ტომების შესწავლისას ბურჟუაზიულ მეცნიერებას ეგონა, რომ ნამდვილ პირველყოფილ ხალხთან აქვს საქმე, ე. ი. დღეს არსებული (ჩრდილოეთ ამერიკაში, აფრიკაში და სხვაგან) ჩამორჩენილი ტომების ეკონომიურ-კულტურული განვითარების დონე მიიჩნიეს იმ საფეხურად, საიდანაც დაიწყო საზოგადოდ კაცობრიობის განვითარების ისტორია. მაგრამ, დღეს უკვე ნათელია, რომ თანამედროვე ჩამორჩენილი ტომები, კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურთან შედარებით, განვითარების საგრძნობლად მაღალ საფეხურზე დგანან. მასთან, რაც მთავარია, აზროვნების ნორმები იმჟამად არსებული პირველყოფილი ტომებისა,—განვითარების გამო,—არ არიან ტიპიურნი პირველ საფეხურზე მყოფი კაცობრიობის აზროვნებისათვის.

აზროვნების პირველი ისტორიკოსი, რომელმაც სცადა საბოლოოდ დაეღწია თავი თანამედროვე აზროვნების ნორმებისაგან, რომ ჯეროვნად გაეგო პირველყოფილ ტომთა აზროვნების შინაბუნება,—არის ლევი ბრჯული[1]. სამაგიეროდ მან ფრიად საყურადღებო შედეგებიც მიიღო კვლევის პროცესში. აღმოჩნდა სწორედ ის, რასაც იაფეტიდოლოგია არა ერთხელ აღნიშნავდა მეტყველების შესწავლის საფუძველზე. აღმოჩნდა, რომ პირველყოფილ ტომთა აზროვნება არსებებს არა ცალკეულად, დანაკუწებულად, არამედ ის არსებობს როგორც განსაზღვრული სისტემა, რომელსაც თავისი სპეციფიკური, თანამედროვე აზროვნებისაგან განსხვავებული კანონზომიერება აქვს[2]. ამაშია მთელი სიძლიერე ლევი ბრჯულის ნარკვევისა. მაგრამ, ჩვენის აზრით, ლევი ბრჯული ნაწილობრივ მაინც ტყვე გახდა თანამედროვე ბურჟუაზიული აზროვნების ნორმებისა. უმთავრესად ისაა ამის მიზეზი, რომ აზროვნების სტადიალურ შეცვლათა კანონზომიერების საკითხი მისთვის დაუძლეველი დარჩა;

---

[1] ლევი ბრჯული, Первобытное мышление, Атеист-ის გამოცემა, 1930.

[2] იქვე, წინასიტყვაობა რუსული გამოცემისათვის.

ლევი ბრძული ლაპარაკობს აზროვნების სხვადასხვა სტრუქტურაზე, მაგრამ უშვებს მათი იმთავითვე თანაარსებობის შესაძლებლობას[1].

ენა მეტად რთული სოციალიური ზედნაშენია, და თუ თეორეტიული პერსპექტივები მრუდად გვაქვს დასახული, ვერავითარ შედეგს ვერ მივიღებთ. მთავარია ერთი სტადიის დიამეტრალური მოპირდაპირეობა მეორე სტადიის მიმართ. მთავარია ის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური სტადია ენისა და აზროვნებისა დიამეტრალურ მოპირდაპირეობამდია დაშორებული წინამორბედ კოსმიურ სტადიისაგან. ამ საკითხთან დაკავშირებით აქვე გადმოვცემთ მოკლედ ნ. მარრის აზრს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა ხდებოდა ენისა და აზროვნების სინამდვილეში სტადიიდან სტადიაში გადასვლის დროს და როგორ უნდა იქნეს განრიგებული სტადიების თანმიმდევრობა.

ბგერით ენამდის არსებობდა ხელის ენა. იმდროინდელი აზროვნება ტოტემისტურის სახელითაა ცნობილი იაფეტიდოლოგიაში. შემდეგ ხდება ნახტომისებური გადასვლა კოსმიურ სტადიაზე (ტოტემიზმი როგორც კულტობრივი თვალთახედვა ძალაში რჩება ამ სტადიაზეც დიდხანს). კოსმიური აზროვნება საკმაოდ ძირგამაგრებული იყო, როდესაც ბგერითი ენა წარმოიშვა[2], უფრო სწორად რომ ვთქვათ, გახდა სალაპარაკო ენად. რანაირად ხდებოდა ეს გადასვლა ერთი სტადიიდან მეორეში? ნ. მარრი ამბობს: „მატერიალური ბაზისის განსაზღვრული საფეხურიდან ფართოვდებოდა მსოფლმხედველობა, კეთდებოდა ნახტომი ახალ საფეხურზე, საბოლოო ანგარიშით,—ნახტომი აზროვნების მსოფლიო მასშტაბით განვრცობის საფეხურზე,—კოსმიურ საფეხურზე, და მაშინ გამოსავალი წერტილი [მოვლენის] ამოცნობასა და სახელის დარქმევაში ძირითადად იცვლებოდა მოპირდაპირეობამდი დაყვანის სახითაც კი"[3]. შემდეგ განვითარება მიმდინარეობს მასალათა დაგროვების ფარგლებში, ჩნდებიან ახალი წინააღმდეგობები, რომელთა ბრძოლა უნდა გადაწყდეს შემდეგ, ტექნოლოგიურ საფეხურზე. ამ განვითარებას საფუძვლად უდევს წარმოების გართულება, წინანდელი კულტობრივ-წარმოებითი პროცედურა რელიგიასა და მისტერიაში გადადის: „წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობის ასეთი გართულების გამო,—ამბობს მარრი,—მზადდებოდა და კეთდებოდა ნახტომი, და იმ დროს ზედნაშენშიც თავის მხრივ ხდებოდა აზროვნების თვისობრივი ამაღლება საგანთა ტექნოლოგიურ შემეცნებამდის. და აქ ჩვენ უკვე ვეშვებით კლასობრივ საზოგადოებაში, რომელსაც უკვე გააჩნია რელიგია, სამართალი, ფილოსოფიის ჩანასახი და სხვ."[4]

ტექნოლოგიურზე ადრინდელი აზროვნება, კოსმიური, იყო სინთეტური; მასთან, ის იყო უფრო თვალსაჩინო მატერიალურ ბაზასთან კავშირგაბმულობის თვალსაზრისით. ის აზროვნება დაბალი საფეხური იყო დიალექტურ-მატერიალისტური აზროვნებისა, და ამრიგად ეკონომიური განვითარების მაშინდელი

[1] იქვე.
[2] ნ. მარრი, В тупике ли история материальной культуры? ГАИМК, 1933, გვ. 25.
[3] ibid.
[4] ნ. მარრი, Язык и современность, გვ. 39.

საფეხურის—პირველყოფილი კომუნიზმის—შესატყვისი იყო[1]. ტექნოლოგიური აზროვნება კი არსებითად ფორმალურ-ლოგიკური აზროვნებაა, ის უკვე ანალიტურია, „მსოფლიოს ანალიტურად აღიქვამს, რამდენადაც ის ეცნობა ტექნიკას მსოფლიო ნაგებობისას და ჰკარგავს მთლიანობის, სინთეზის გრძნობას“[2]. ტექნოლოგიური აზროვნობის ანტითეზისად ხდება ახალი საფეხურის დიალექტურ-მატერიალისტური აზროვნება, რომელიც შემდეგ საფეხურზედ საბოლოოდ იმარჯვებს.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ აზროვნებისა და ენის წარმოშობა და განვითარება საჭიროა ისტორიულად მთლიან, მონისტურ პროცესად წარმოვიდგინოთ; აქ ადგილი არა აქვს ენისა და აზროვნების გეოგრაფიულ ტერიტორიებად დაყოფას, ვთქვათ, აფრიკის ველური ტომების ენა და აზროვნება არაა იმთავითვე გათიშული ევროპული კულტურული ენისა და აზროვნებისაგან. ეს კი პრინციპიალური საკითხია. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული ენათმეცნიერება ენის მონისტურ პროცესს უგულებელყოფდა (არ შეიძლება მონისტური პროცესის მომხრედ გამოვაცხადოთ ინდოევროპეისტები მარტო იმის გამო, რომ მზთ თეორია ჰქონდათ, რომლის თანახმად ყველა თანამედროვე ენები წარმოშობილი არიან ერთი ენისაგან; თვით ეს დებულებაც ისე მცდარია, როგორც მასზეა აშენებული „მონიზმი“). პირიქით, მონისტური პროცესის სწორედ საწინააღმდეგო თეორიაზეა აგებული მთელი ინდოევროპეისტიკა, ეს სინამდვილის საწინააღმდეგო თეორია მდგომარეობს ენათა ოჯახებად დაყოფაში. ინდოევროპეისტიკის თვალსაზრისით ერთია ინდოგერმანული ოჯახი ენისა, კულტურული და პროგრესიული ოჯახი, და სულ სხვაა, მაგ., პალეოაზიურ ენათა ოჯახი, უკულტურო და „განვითარების უნარმოკლებული“. მასთანვე ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა სამსახური გაუწია ამ თეორიამ იმავე ევროპელ კოლონიზატორებს აღმოსავლეთის ჩამორჩენილი ტომების დაპყრობაში.

ენათა ოჯახების თეორიის თანახმად ერთ ოჯახში შემავალი ენები წარმოშობილი არიან ერთი წინარენისაგან. ესაა და ეს ინდოევროპეისტიკის ენის „სტადიალობის“ მთელი „თეორია“. წინარენის თეორიას კი სარჩულად აუცილებლად რასიული თეორია აქვს დადებული. ეს ის თეორიაა, რომლის ძალით ფაშისტურმა, ჰიტლერულმა გერმანიამ ერთ დროს „საწყალი“, ყვითელი რასის წარმომადგენელი. იაპონია დღეს არიულ (ე. ი. კეთილშობილ) რასად სცნო ოფიციალურად. ასეთი სასაცილო „დიპლომატიური“ სახელი მოიხვეჭა ინდოევროპეისტიკის „მეცნიერულმა“ რასიულმა თეორიამ.

ენობრივი ფაქტები ხშირად ინდოევროპეისტის ხელშიაც ოჯახების თეორიის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობდა. ისინი ამჩნევდენ, მაგალითად, რომ მთელი რიგი სიტყვებისა და ფორმების საერთო აქვსთ სხვადასხვა ოჯახთა წარმომადგენელ ენებს. ამის ასახსნელად კი ინდოევროპეისტიკამ გამოიმუშავა სესხების თეორია, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თუ ერთ ენას

---

[1] ნ. მარრი, Язык и современность, გვ. 13.

[2] ნ. მარრი, Родная речь. могучий рычаг культурного подема, ლენინგრადი 1930, გვ. 25.

აქლია რომელიმე სიტყვა, მას შეუძლია ისესხოს ის მეორე ენისაგან. ამრიგად ყველაფერი იმისკენ იყო მიმართული, რომ ენათა ოჯახები ერთი მეორისგან ისტორიულად გაეთიშათ.

ნ. მარრი ამბობს: „მთავარია მონისტური მოძღვრება ენის შესახებ“[1]. ამ შემთხვევაში მარრი პირდაპირ ანვითარებს მარქსის დებულებას, რომელიც „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“-ის შესავალშია გამოთქმული: „თუმცა ყველაზე მეტად განვითარებულ ენებს ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ენებთან საერთო კანონები და განსაზღვრებები გააჩნია, მაგრამ სწორედ ამ-ზოგადისა და საყოველთაოსაგან მათი განსხვავება არის ის, რაც მათ განვითა-რებას შეადგენს“[2].

განვითარების მონისტური პროცესი გააჩნია არა მარტო ენას, არა მარტო აზროვნებას, არამედ კაცობრიობის კულტურას მთლიანად, ისევე როგორც მის ეკონომიურ ბაზისს. ეს აზრი ნათლად აქვს ნ. მარრს გადმოცემული შემდეგ სიტყვებში: „ეთნიური კულტურა არ არსებობს. კულტურა მთლიანია თავისი წარმოშობით, ყველა მისი სახესხვაობები ნაწარმოები არიან შემოქმედების მთლიანი პროცესისა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე“[3].

ეთნიურ კულტურათა თეორიას მკვლევარი მიჰყავს ცალკე ტომების კულ-ტურების წინარესამშობლოს აღდგენამდის; სწორედ ისე, როგორც ენათა ოჯახების თეორიამ წინარენამდის მიიყვანა ბურჟუაზიული ენათმეცნიერება! როგორც ერთი, ისე მეორე მონისტური მოძღვრების საწინააღმდეგო თეორიაა. ამიტომ იყო, რომ ნ. მარრმა ენობრივ ფაქტებზე დაყრდნობით ჯვარი გადაუს-ვა წინარესამშობლოს თეორიას: „ამაოა წინარესამშობლოს ყოველგვარი ძებნა; ის ისევე არ ყოფილა, როგორც არ ყოფილა თავდაპირველად სამოთხე, რო-გორც არ ყოფილა ღმერთი. სადაც ჰგონიათ წინარესამშობლო იყო, იქ ცალი-ერი ადგილია“[4].

ეთნიური ანუ რასიული კულტურის თეორია იმდენად არის ბურჟუაზიუ-ლი მეცნიერებისათვის ძვირფასი, რამდენადაც ის იცავს ევროპულ ბურჟუა-ზიულ კულტურას (და თვით ბურჟუაზიასაც) იმ პრეტენზიისაგან, რომელიც შეუძლია განაცხადოს ამ კულტურაზე ჩამორჩენილმა ერებმა. მაგრამ, ამისა-თვის ამ თეორიას დასჭირდა დამატება: საჭირო დარჩა იმის დამტკიცება, რომ ეს კულტურა სუფთაა, არაა არეული დაბალი რასის კულტურაში. აქედან წარ-მოიშვა მოძღვრება ჩამორჩენილი ტომების ეთნიური სიწმინდის, მათი სხვა ტომებთან მეტნაკლებ შერეულობის შესახებ. ამიტომ არ შეიძლება სხვა-ნაირად დახასიათება ამ თეორიისა, თუ არ ისე, როგორც ეს ნ. მარრმა მოგვ-ცა: ტომების და ერების სიწმინდე, მათი სისხლის აურევლობა იდეალისტური ფიქციაა, იმ კლასების ათასწლობით ბატონობის პროდუქციაა, რომელთაც სა-

---

[1] ნ. მარრი, Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении, ჟურნ. Краеведение, 1927, № 1, გვ. 7.

[2] მარქსი, К критике политической экономии, ГИЗ, 1930, გვ. 58.

[3] ნ. მარრი, Значение и роль изуч. нацмен., გვ. 7.

[4] ნ. მარრი, Избранные работы, ტომი I, გვ. 241.

კუთარი თავის იზოლიაციაში შენახვა სურდათ“ [1]. ასეთი ძაფია გაბმული ბურჟუაზიულ მეცნიერებასა და ბურჟუაზიულ პოლიტიკას შორის!

ენის არევის საკითხი ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში აქტუალური საკითხია. ზოგიერთები ჩვენშიც ცდილობენ არევის, ანდა ერთი ენის მეორე ენაზე ზეგავლენის ფაქტი გადააქციონ ერთერთ ფაქტორად ენის განვითარებისა, და ამით განსაზღვრონ, მაგ., ის, თუ რამდენად შესაძლებელია საბჭოთა სინამდვილეში ისტორიულად ჩამორჩენილმა ერმა ააყვავოს ეროვნული კულტურა მშობლიურ ენაზე. საშიშროება აქ იმაშია, რომ ამ მიდგომით ზოგ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი დიდმპყრობელური შოვინიზმის სასარგებლოდ წყდება. აქვე მოვიყვანთ მარქსის აზრს ენების ზეგავლენის საკითხის გარშემო. მარქსი ირონიულად უპასუხებს ე. ბაუერის შენიშვნაზე: „ინგლისური ენა «არაფრად არ ვარგა», სავსებით გაროზმაულებულიაო (ამბობს ბაუერი. ჩ.). მე დავაწყნარე იგი—სწერს მარქსი ენგელსს—იმით, რომ ჰოლანდიელები და დანიელებიც ამასვე ამბობენ გერმანული ენის შესახებ, რომ ირლანდიელები არიან ერთ-ერთი ნამდვილი გერმანელები, რომლებსაც არ გაქვრიათ სამხრეთის უცხო ენათა გავლენა მეთქი“ [2].

ენის განვითარება წარმოადგენს შინაგან პროცესს. ის, როგორც ზედნაშენი, ვითარდება შინაგანი ბაზისის საწარმოო ძალების და წარმოებითი ურთიერთობის საფუძველზე. ამიტომ, მაგალითად, გერმანული ენის განვითარების ასახსნელად არ არის საჭირო ინდოეთში გავიქცეთ, როგორც ამას ინდოევროპეისტები შვებიან, არამედ საჭიროა გერმანიაშივე მოვნახოთ ამ განვითარების მიზეზები. მაგრამ ინდოევროპეისტებს ეს არ შეუძლიათ, რადგან მათი თეორიის ძალით ინდოევროპული ენები სანსკრიტიდან წარმოიშვენ, და სანსკრიტის სამშობლო კი ინდოეთში იყო [3]. კიდევ მეტი. ვინაიდან ენის განვითარებაში სტადიალური ღრმა ცვლილებები მათთვის გაუგებარი იყო, საჭირო დარჩა რითიმე ახსნა იმისი, თუ როგორ მოხდა, რომ ერთ ადგილზე ისტორიულად ცნობილი იყო ერთი სახელწოდების ერი და დღეს კი სულ სხვა სახელწოდების ერია იქ? ამ მოვლენის ასახსნელად გამომუშავებულ იქნა მიგრაციის თეორია. სტადიალური ცვლების მაგიერ ისტორიული ცვლილებები ხალხთა გადასახლების თეორიით იქნა განმარტებული. სინამდვილეში, ახალი ნაციონალური ალმონაქმი იმავე ტერიტორიაზე (უმთავრესად) და იმავე ეთნიურ მასალაზე შენდებოდა ყოველთვის [4]. ამრიგად თვითეული კონკრეტული ენის გამოკვლევას ინდოევროპეისტები იწყებენ იმით, რომ მას ჯერ საძირკველს გამოაცლიან. ეს მშვენივრად აქვს გადმოცემული ნ. მარრს: „ტომობრივ ალმონაქმს მის მეტყველებასთან ერთად გვიხსნიდენ როგორც მასივს, რომელსაც ფესვებიც თავისთავს გარეშე აქვს (სადღაც წინარე სამშობლოში), ურ-

[1] ნ. მარრი, Значение и роль изучения нацмен., გვ. 13.

[2] მარქსი, Письмо Ф. Энгельсу, 14/IX 1855. იხ. Письма, 1932, გვ. 87; შეადარე ნ. მარრი, Вишапы, ლენინგრადი, 1931, გვ. 25, შენიშვნა მეორე.

[3] ადგილის უქონლობის გამო არ ვეხებით გერმანული ენის წარმოშობის სხვა თეორიებს.

[4] ნ. მარრი, Доистория, преистория, история и мышление, 1933, გვ. 12.

თიერთ კავშირის წყაროც (მიგრაცია) და შემოქმედებითი ფაქტორების (სხვისი ზეგავლენა და სესხები)“ [1]. სინამდვილეში კი მეტყველების გაგება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განვითარების მონისტურ პროცესს მივიღებთ მხედველობაში და ყურადღების ცენტრს განვითარების შინაგან წყაროებზე გადავიტანთ: „არა მარტო სხვადასხვა სისტემები ბგერითი მეტყველებისა,—ამბობს მარრი,—არამედ მისი საწარმოო იარაღის მიხედვით სხვადასხვა ენებიც, ხელის ენა, ბგერითი ენა, მხოლოდ ცალკე რგოლები არიან ენის შემოქმედების ამ ბუმბერაზი მონისტური პროცესისა“ [2].

სტადიალური ცვლები, რომლებიც ჩვენ მეტყველებაში დავინახეთ, სიტყვებში ფუნქციონალური გადატანის სახითაა წარმოდგენილი. ამ კანონის ნიმუშად იაფეტიდოლოგიაში ხშირად გამოიყენება „ძაღლის“. სახელის „ცხენზე“ ფუნქციონალური გადატანა. დამტკიცებულია, რომ „ძაღლის“, როგორც უფრო ადრინდელ გამწევი ძალის, სახელი შემდეგ ფუნქციონალურად გადავიდა „ცხენზე“, როგორც კი ცხენი იქნა ძაღლის მაგიერ გამწევ ძალად გამოყენებული საზოგადოებრივ მეურნეობაში [3]. იაფეტიდოლოგიაში მთელი მოძღვრება არსებობს ფუნქციონალური სემანტიკის სახელწოდებით. ტერმინების სტადიალური ცვლილებები განსაზღვრული კანონზომიერებით ხდებოდენ, და ამ კანონზომიერების გაშუქებას ემსმხურება ფუნქციონალური სემანტიკა. ის შემადგენელი ნაწილია იაფეტიდოლოგიური პალეონტოლოგიისა.

საჭიროა აქვე გავეცნოთ ამ მოვლენის მეორე მხარეს. სიტყვების ფუნქციონალური გადატანა გულისხმობს იმას, რომ ადამიანები საგნებზე სახელის დადების დროს ჭვრეტითი მსოფლმხედველობით კი არ ხელმძღვანელობდენ, არამედ იმ მატერიალური მოთხოვნილებებით, რომლის ძალითაც ამათუიმ საგანს განსაზღვრული საწარმოო ფუნქცია ენიჭებოდა; საგანი მხოლოდ ამ წარმოების პროცესში ამოიცნობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების გარეშე დარჩენილი საგნები და მოვლენები ადამიანისათვის მიუწვდომელი იყო,—მან იცოდა ის, რაც მის ხელში გამოიარდა. ეს აზრი პირველად მარქსმა წამოაყენა. ის ამბობს, რომ „ადამიანები სდებდენ ცალკე სახელებს მთელ კლასებს იმ საგანთა, რომლებიც მათ თავიანთ გამოცდილებით გაარჩიეს დანარჩენ გარეშე მსოფლიოსაგან“ [4]. ასევე მარქსი სპეციალურად ჩერდება ფუნქციონალური სემანტიკის საკითხზე (სიტყვა „ფუნქციონალური სიმანტიკა“ მარქსს ნახმარი არ აქვს, მაგრამ ეს არ არის მთავარი) და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ განყენებული ცნებები კონკრეტული ცნებებიდანაა წარმოშობილი ფუნქციონალურადო [5]. იაფეტიდოლოგიაში ეს აზრი გაღრმავდა, და, კერძოდ იაფეტიდოლოგია მესაფლავედ

---

[1] Бретонская речь, გვ. 25

[2] ნ. მარრი, Язык и мышление, ლენინგრადი, 1931, გვ. 57—58.

[3] მარრი, В тупике, გვ. 52, აგრეთვე, Избранные работы გვ. 259.

[4] კ. მარქსი, Архив, V, 1930, მარქსის კრიტიკული შენიშვნები ა. ვაგნერის წიგნზე. გვ. 387.

[5] კ. მარქსი, წერილი ენგელსს, 25/III 1866 წ. იხ. Маркс и Энгельс, соч., ტ. XXIV გვ. 34. შეადარე ნ. მარრი, ენგელსის შესახებ. В тупике..., გვ. 127.

გახდა ე. წ. ბგერათმიმბაძველობითი თეორიისა[1]. კლასობრივ საზოგადოებაში ტერმინები კლასთა ბრძოლის კანონზომიერებაზე ვითარდება. ამ აზრის ნათელსაყოფად ლენინის ერთ ადგილზე მივუთითებთ: „ჩვენ ბრჭყალებში ვსვამთ სიტყვა გლეხობას, რომ ამით აღვნიშნოთ სრულიად უდავო ფაქტი წინააღმდეგობისა: თანამედროვე საზოგადოებაში გლეხობა, რასაკვირველია, აღარაა უკვე მთლიანი კლასი“[2].

ენობრივი მოვლენების გამოკვლევისას იაფეტიდოლოგია პალეონტოლოგიური მეთოდით სარგებლობს. პალეონტილოგიური მეთოდი არსებითად იგივე დიალექტურ-მატერიალისტური მეთოდია, მხოლოდ სპეციფიკური, ენობრივი მასალის კვლევა-ძიებაში გამოყენებული და ამ მასალაზე დაკონკრეტებული. ამდენად ის დიალექტური მატერიალიზმის კერძოობითს, სპეციალურად ენობრივი მოვლენების საკვლევ მეთოდს შეადგენს.

დიალექტური მატერიალიზმისა და პალეონტოლოგიური მეთოდის ურთიერთობის საკითხში ერთი რამე თავიდანვე უდავოა: პალეონტოლოგიური მეთოდი არაფრად არ ივარგებდა, რომ ის დიალექტურ-მატერიალისტური არ იყოს. მაგრამ პალეონტოლოგიური მეთოდის ძალაც სწორედ იმაშია, რომ ის დიალექტურია. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და ამიტომ მას ზოგად ხაზებში აქვე შევეხებით.

პალეონტოლოგიური მეთოდი მოითხოვს, რომ ენა გაგებულ იქნას როგორც ზედნაშენი. მაგრამ ენის გარდა, როგორც ვიცით, ზედნაშენები კიდევ არსებობენ. მაშასადამე, საჭიროა მოინახოს ენის თავისებურება სხვა ზედნაშენებთან შედარებით. პალეონტოლოგიურმა მეთოდმა საშუალება მოგვცა ეს თავისებურება გაგვეგო. ენის ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის ბაზისის და აგრეთვე დანარჩენი ზედნაშენების ყველა მომენტების ზედნაშენია. მარრი სწერს: „ენა წარმოადგენს ზედნაშენს წარმოებისა და წარმოებითი ურთიერთობის ყველა მხარეებისა და ყველა მომენტებისა“[3]. „ენაში პოულობენ თავიანთ მთლიან ზედნაშენურ გამონაკრთომს თვით ზედნაშენთა სხვა კატეგორიებიც“[4]. პალეონთოლოგიური მეთოდი მოითხოვს, რომ ენა და აზროვნება მათ მთლიანობაში იქნას განხილული. ენა და აზროვნება, იაფეტიდოლოგიის თანახმად, ორი მომენტია ერთი მთელის. ენა წარმოადგენს არა უბრალო ბგერათა შეკოწიწებას, როგორც ეს ინდოევროპეისტებს ჰგონიათ, არამედ ამავე დროს აზროვნებასაც[5]. მაგრამ ენა აქაც შესაფერის სპეციფიურობას იჩენს: „ენა წარმოადგენს აზროვნების სტადიალური ცვლების შენაგროებებს (накопление)“[6]. აზროვნებას არ გააჩნია ისეთი საღარო, რომელშიც ყველა დრომოჭმული ნორმების შემონახვა და ტარება შეეძლოს; ენა კი ამ მხრივ თვითონ საგანძურია ყოველგვარ ისტორიულ-

---

[1] ნ. მარრი, Язык и мышление, გვ. 43.
[2] Хрестоматия по языку, ლენინგრადი, ГАИМК, 1933, 75, გვ. 114.
[3] *В тупике ли...*, გვ. 43.
[4] იქვე, გვ. 35.
[5] იქვე, გვ. 9.
[6] ibid.

კულტურული საბუთებისა. გარდა ამისა, ენა აზროვნებისაგან იმით განსხვავდება, რომ ის უშუალო გამომჟღავნებაა აზროვნებისა[1].

ამ მომენტებით განისაზღვრება ენობრივი მოვლენების კუთვნილი ადგილი ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში.

პალეონტოლოგიური მეთოდის მთავარი მოთხოვნილება კი ისაა, რომ გახილულ იქნას ენის დიალექტური განვითარება. პალეონტოლოგიურმა მეთოდმა ენის განვითარებაში იმდენად თვალსაჩინო დიალექტური კანონები აღმოაჩინა, რომ მათ გაუთვალისწინებლად ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ ენათმეცნიერებაში. მთავარია მოპირდაპირეობების მთლიანობის კანონი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ყოველთვის განვითარება არა მარტო სიტყვებისა, არამედ ენის ყოველი მოვლენისაც. ჩვენ ახლა აღარ გვიკვირს ენაში ისეთი ფაქტების არსებობაზე, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ სიტყვა („ხელ"), რომელიც სომხურში „აზრიანს" და „ჭკვიანს" ნიშნავს (სომხ. *խել-ացի*) ძველს ქართულში „უაზროსა" და „გიჟს" ნიშნავდა. ახლა ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეს მოპირდაპირე ცნებები და ტერმინები ერთი დიფუზური წარმოდგენისაგან წარმოიშვენ, რომლის არსებობის დროს ჭკვიანი და გიჟი ადამიანის ცნობიერებაში არ განირჩეოდა. დიალექტიკის ეს კანონი მოქმედებს ენის განვითარების ყველა მომენტებში და ენისავე ყოველ შემადგენელ ხაზილებში.

მიუხედავად ამისა, პალეონტოლოგიური მეთოდი მაინც ვერ იქნებოდა კვლევა-ძიებისათვის დამაკმაყოფილებელი, რომ მას ენის ბაზისთან ურთიერთკავშირი სწორად არ გადაეწყვიტა, ამ მხრივ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილება მარქსიზმისა ისაა, რომ ბაზისისა და ზედნაშენების განვითარება მთლიანად აღებული უნდა განიხილებოდეს როგორც მონისტური პროცესი. „გერმანულ იდეოლოგიაში" ჩვენ ამის შესახებ ვკითხულობთ შემდეგს: „წარმოების განსაზღვრული წესი ანუ განსაზღვრული სამრეწველო საფეხური ყოველთვისაა დაკავშირებული განსაზღვრულ თანამშრომლობის წესთან, განსაზღვრულ საზოგადოებრივ საფეხურთან,... ადამიანთათვის ხელმისაწვდომ საწარმოო ძალთა შეერთებულება (совокупность) პირობებად ხდება საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის, და, მაშასადამე, „ადამიანობის ისტორია" უნდა შეისწავლებოდეს და მუშავდებოდეს ყოველთვის მრეწველობისა და გაცვლა გამოცვლის ისტორიასთან დაკავშირებით"[2].

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივ მოვლენათა მონისტური განხილვის აუცილებლობა გამომდინარეობს მარქსიზმის იმ დებულებიდან, რომლის თანახმად ამ მოვლენათა წარმოშობა და განვითარება მთლიან პროცესს წარმოადგენს: მაგრამ ეს მთლიანობა დიალექტურია ყველა მომენტებში; ეს არის მთლიანობა მრავალფეროვანობაში. პალეონტოლოგიური მეთოდიც სწორედ ამ მოსაზრებებიდან გამოდის.

---

[1] ნ. მარრი, Язык и мышление, გვ. 45.

[2] ქრესტომატია: Маркс, Энгельс, Ленин, Сталин о проблемах языка и мышления ГАИМК, გამომც. 75, გვ. 13 (ხაზი ჩვენია, ჩ.).

უნდა ითქვას, რომ ნ. მარრმა მთელი საფეხურით მაღლა აიყვანა ამ საკითხის დამუშავების საქმე. მან ენობრივი მოვლენების კვლევაში ყურადღების ცენტრი პირველად მათ წარმოშობის საკითხში გადაიტანა. და აღმოჩნდა, რომ ბაზისისა და ზედნაშენების მთლიანობა განსაკუთრებული სიცხადით მოსჩანს წარმოშობისა მომენტში. მეორეს მხრით, ნათელი გახდა, რომ ყოველ შემთხვევაში დასაბამი საფეხურის მიმართ არაა სწორი, როცა ვამბობთ: ბაზისმა ზედნაშენი წარმოშვაო; ბაზისი და ზედნაშენები თავდაპირველად წარმოადგენდენ დიფუზურ, განუკვეთელ ერთეულს. მაშასადამე, იმ დროისათვის არ შეიძლება გამოიძებნოს, თუ რომელი იყო ბაზისი და რომელი ზედნაშენი, რადგანაც ისინი იმთავითვე სინთეზში იყო მოცემული და ხარისხობრივად სრულებითაც არ წააგავდენ დღევანდელ საზოგადოებრივ კატეგორიებს, რომლებიც შემდგომი სტადიალური ცვლების შედეგად იქნა მიღებული. ამ დიფუზური მდგომარეობიდან ბაზისი და ზედნაშენი წარმოიშვა მთლიანის ორ მოპირდაპირეობად გაპობის წესით[1].

პალეონტოლოგიური მეთოდის მიხედვით ენობრივი ფაქტები, ისე როგორც სხვა ისტორიული ფაქტებიც ცალკე აღებული არავითარ ღირებულებულებას არ წარმოადგენენ. ფაქტები რაიმე დებულების საბუთებად მაშინ ხდება, როდესაც ისინი გარემოცვასთან მიზეზობრივ კავშირში არიან განხილული: „არც თარიღებს, არც ფაქტებს,—ამბობს მარრი,—არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, თუ ისინი თავიანთ მატერიალისტურ და დიალეტურ მიზეზობრივობაში არ არიან გაშუქებული“[2]. სამაგიეროდ, ენობრივ ფაქტებს ბევრის თქმა შეუძლიათ, თუ ისინი შემოწმებული არიან მატერიალური კულტურის ისტორიით. ამიტომ, აუცილებლად სამართლიანია მარრის განცხადება; „თუ არამატერიალური კულტურის ისტორია, რასაკვირველია, მთელი ენათმეცნიერული შენობა დიდი ხანია დანგრეული იქნებოდა და ვერავითარი ჟანგბადი მას ვერ უშველიდა“[3]. ენობრივი ფაქტების კვლევა-ძიებაში იაფეტიდოლოგია მოიშველიებს მეზობელ დისციპლინებს, და სხვადასხვა მეცნიერული დარგების ფაქტებს ერთიერთმანეთზე ამოწმებს, რომ ამით მიაგნოს მათი წარმოშობის მიზეზობრივ კავშირს[4].

ასეთია, მოკლედ, პალეონტოლოგიური მეთოდის უნარიანობა.

ინდოევროპეისტიკა კვლევა-ძიების მეთოდად შედარებით-ისტორიულ მეთოდს აღიარებს[5]. სიტყვა ისტორიული ამ მეთოდის მიმართ არაა სწორი; ისტორიასთან ამ მეთოდს, როგორც ვიცით, მხოლოდ ის კავშირი აქვს, რომ ის ისტორიის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე წარმოიშვა (ჩვენ ვამბობთ ნამდვილ ისტორიაზე). არსებითად ინდოევროპეისტიკის მეთოდია შედარებითი მეთოდი ანუ კომპარატივისტიკა. პალე-

---

[1] ნ. მარრი, В тупике ли..., გვ. 48—49 და 127. „უკვე ნათელი გახდა... ენა-აზროვნება-შეგრძნებისა და მატერიალური წარმოების მთლიანობა“.

[2] Вестник Ак. Наук СССР, 1932, № 10, გვ. 12.

[3] Доистория, преистория..., გვ. 34.

[4] ნ. მარრი, Языковая политика яфет. теории и удм. язык, 1931, გვ. 4.

[5] არნ. ჩიქობავა, მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში.

ონტოგიური მეთოდი ინდოევროპეიზმის კომპარატივისტულ მეთოდს უპირისპირდება. მათი შეთავსება ყოველად შეუძლებელია. ამიტომაც ჩვენ ოდნავადაც არ გვაკვირვებს სარნ. ჩიქობავას სიტყვები პალეონტოლოგიაზე: „პალეონტოლოგიას ჩვენ დიდი ნდობით არ ვუცქერით; არის ამის საკმაო საფუძვლები“-ო [1]. ცხადია, რომ აქ ჩვენ ორ მოპირდაპირე მეთოდოლოგიურ პრინციპებთან გვაქვს საქმე. შედარებით მეთოდს შეუძლია მხოლოდ ენის გარეგანი ფორმები აგვიწეროს; შინაარსი მისთვის დაუძლეველია. ამ აზრს ასე თუ ისე აკ. შანიძეც იზიარებს, რომელიც თავის „ქართული ენის გრამატიკის“ შესავალში წერს, რომ გრამატიკის საგანია ენის ფორმების შესწავლაო.

იაფეტიდოლოგიამ კვლევა-ძიების ცენტრი ენის ფორმებიდან ენის შინაარსში, იდეოლოგიაში გადაიტანა. ეს—იდეოლოგიაში ცენტრის გადატანა—არ იყო ადვილი ამბავი. ამისათვის უნდა გადასინჯულიყო ინდოევროპეისტიკის მთელი მონაპოვარი და ახალ მასალაზე დაყრდნობით უნდა პირველად მონახულიყო ენის შინაარსიის ცვლილებათა მთავარი კანონზომიერებანი. იაფეტიდოლოგიაში ყველაფერი ეს უცბად არ გაკეთებულა [2]. იაფეტიდოლოგიის ისტორიაში იყო დრო, როდესაც ენის ერთი მომენტის კვლევა-ძიება ისევ ინდოევროპეისტიკის თეორეტიულ საფუძვლებზე წარმოებდა. საბოლოოდ პროგრესიულმა მომენტებმა დასძლია და ენათმეცნიერებაში მარქსიზმმა გაიმარჯვა.

ორიოდე სიტყვას პალეონტოლოგიის მნიშვნელობაზედაც ვიტყვით. ნიკო მარრს თავის Родная речь-ში (გვ. 13) ნათქვამი აქვს: „ენის პალეონტოლოგიამდის, როგორც ის ეხლაა აგებული, ენათმეცნიერებაში არ შეიძლებოდა არაფრის არც დამტკიცება და არც უარყოფა უაღრესად ძირითად საკითხებში“. ამ დებულებით პალეონტოლოგიური მეთოდის მნიშვნელობის საკითხი ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. რა იყო ის ენათმეცნიერება (ინდოევროპეისტიკა), რომელსაც ენათმეცნიერებაში არაფრის არც დამტკიცება შეეძლო და არც უარყოფა! იყო განა ის მეცნიერება? განა ჭეშმარიტება არ არის ამის შემდეგ მარრის განცხადება: იყვენ ლინგვისტები, მაგრამ მეცნიერება ენის შესახებ დღევანდლამდის არ არსებობდაო? [3]

პალეონტოლოგიური მეთოდის ძლიერება ბგერითი კანონების საკითხშიც არანაკლებ ნათელია. პალეონტოლოგიის შემწეობით იაფეტიდოლოგიამ კვლევა-ძიების სპეციალური ტექნიკა გამოიმუშავა [4]. ამ ტექნიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის არ უშვებს ორ შესაძლებლობას; შეიძლება ასე იყოს და შეიძლება ისეო—ასეთი ორჭოფობა გამორიცხულია იმთავითვე ამ ტექნიკაში. ეს იმიტომ, რომ ეს ტექნიკა ბგერით მოვლენებს ყოველ-

---

[1] მიმომხილველი, ტფილისი, 1926, გვ. 308.

[2] იმის შესახებ, თუ როგორ თანდათან ინთავისუფლებდა თავს იაფეტიდოლოგია ინდოევროპეიზმისაგან, ნ. მარრს ბევრ ადგილას აქვს თქმული: К семантической палеонтологии, გვ. 2—3; Языковая политика გვ. 4; Яфетические языки, იხ. БСЭ, გვ. 311, იქ, სადაც ლიტერატურა აქვს ნაჩვენები.

[3] კრებული: Языковедение и материализм, 1929, გვ. 28.

[4] К семантической палеонтологии. გვ. 15.

თვის იდეოლოგიურ საფუძველს უძებნის. ამ გარემოებით კი ენათმეცნიერება, მოკლედ რომ ვთქვათ, პირველად იქცა მეცნიერულ დისციპლინად. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ იაფეტიდოლოგიის ტექნიკა იდეოლოგიურია. ყველა მის შემადგენელ ნაწილში (ანალიტური ანბანი, ოთხი ელემენტი და სხვ.), და თუ ოდნავად კი დავივიწყეთ მისი იდეოლოგიურობა, მაშინათვე ჩამოვშორდებით იაფეტიდოლოგიის მატერიალისტურ პოზიციებს, როგორც ეს მოუვიდა იაფეტიდოლოგიის არა-ერთ თანამგზავრს. კერძოდ, ამ ტექნიკის ერთერთი შემადგენელი ნაწილი, ლინგვისტური ელემენტი, იმდენად საყურადღებოა, რომ მას აქ ცალკე შევეხებით.

ოთხი ლინგვისტური ელემენტი არის არა მარტო მეტყველების კათეგორია; ის აგრეთვე აზროვნების კატეგორიაც არის [1]. ის არა მარტო მეცნიერობითობის ელემენტია, არამედ აზროვნებისაც [2]. ამიტომ მისი მნიშვნელობა, როგორც საკვლევი ერთეულის, განსაკუთრებით საგრძნობია. აქვე ვიტყვით: სიტყვებში ელემენტების გამოძებნით კი არ თავდება კვლევა-ძიება, არამედ იწყება მხოლოდ. წინააღმდეგი აზრი „იაზიკფრონტელების" მოგონილი ცილისწამებაა იაფეტიდოლოგიაზე. ეს ელემენტი არის ერთგვარი ლინგვისტური პროტოპლაზმა [3], უჯრედი. მისი გამონახვა ანალიტიური ხერხით ხდება (სიტყვების ელემენტებად დაშლა); მაგრამ მეორე მხარე ანალიზისა—სინთეზი—აშარმოებს ამავე დროს მიღებული ელემენტის იდეოლოგიის გამონახვას. იდეოლოგია ელემენტისა (სიტყვისა პირველ საფეხურზე), როგორც დავინახეთ, უაღრესად მრავალმხრივია: ის ელემენტის მნიშვნელობათა სტადიურად დასაფეხურებას მოითხოვს, და, ამიტომ, სიტყვის ელემენტებად დაშლის პროცესში კვლევა-ძიების გეზი ელემენტის სტადიალური მრავალმნიშვნელოვანებისაკენ უნდა იყოს მიმართული. სიტყვის ან ფორმანტის კვლევა-ძიება თავდება იქ, სადაც ნათელი გახდება მისი იდეოლოგია მთლიანად მიზეზობრივ კავშირში აღებული.

ოთხი ლინგვისტური ელემენტი აუცილებელი ტექნიკური საშუალებაა იაფეტიდოლოგიისა. მისი შემწეობით ნათელს ვფენთ ენობრივი მოვლენების სტადიალურ ცვლებს. სტადიალური კვლევის პროცესი მეტად რთულია. ნ. მარრიც იძულებული იყო ამ სირთულეს შეხებოდა, ეს სირთულე ორმაგდება იმ გარემოებით, რომ ენისა და აზროვნების ტექნიკა, როგორც ასეთი, არ იყო მიღებული ძველი ენათმეცნიერების მიერ მხედველობაში კვლევა-ძიების დროს, და იაფეტიდოლოგიას პირველად უხდება ამ პრობლემის დამუშავება [4]. მარრის შრომიდან ერთ ადგილს მოვიყვანთ ამ სიძნელის ნათელსაყოფად: „სიძნელეს წარმოადგენს ის, რომ ცვლა ხდება არა მარტო ორ განაკვეთში, იდეოლოგიურსა და ფორმალურში, არამედ კიდევ ორში ტექნიკის მიხედვით—აზროვნების ტექნიკაში და ფორმალური ნაგებობის ტექნიკაში. ამ ოთხი ლინგვისტური ელემენტის და, მასთან ერთად, მთელი ენათშემოქმედების

---

[1] Язык и современность, გვ. 18.
[2] ნ. მარრი, იქვე, გვ. 4.
[3] იგივე, Избранные работы, გვ. 258.
[4] მარრი, Язык и современность, გვ. 12.

პროცესის აღქმის სიძნელე მრავალგზისად იზრდება იმის გამოც, რომ მეტყველებამ თავის განვითარებაში განიცადა მთელი რიგი" სტადიებისა[1].

მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ რა რთულ იდეოლოგიურ საკითხების რიგში აყენებს ნ. მარრი ელემენტების პრობლემას. ეს იმიტომ, რომ ელემენტები „არაა ფორმალური, არამედ იდეოლოგიურია, აზროვნების ტექნიკასთანაა გადაკავშირებული"[2]. აქედან ცხადია, თუ რა შედეგი მოჰყვება ელემენტების უგულებელყოფას კვლევის დროს. სამწუხაროდ, ეს არაა ცხადი ზოგიერთი იაფეტიდოლოგისათვისაც, რომლებიც ფიქრობენ, რომ გრამატიკული და მორფოლოგიური კატეგორიის კვლევის დროს შეიძლება უელემენტებოდ მუშაობაც. პრაქტიკულად ამ უგულებელყოფას იქამდის მიჰყავს ისინი, რომ ელემენტების მიხედვით ენობრივი მოვლენების ახალიზს არ წარმოადგენენ და ამით ხელოვნურად ჩლუნგავენ პალეონტოლოგიური მეთოდის ბასრ მახვილს.

დაბოლოს, პალეონტოლოგიური მეთოდის მონაპოვარზე შევჩერდებით.

პალეონტოლოგიური მეთოდით გაშუქებული ენობრივი მოვლენები კაცობრიობის ისტორიისათვის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს[3].

იმის შესახებ, თუ რა როლი ითამაშა პალეონტოლოგიური მეთოდით გაშუქებულმა ენობრივმა ფაქტებმა სხვადასხვა ზედნაშენების (აზროვნების და სხვ.) საკითხების გამორკვევაში, ჩვენ ნაწილობრივ ზევითაც აღვნიშნეთ. მაგრამ ის ცოტაა. უნდა ითქვას, რომ პალეონტოლოგიური მეთოდით იაფეტიდოლოგიამ გადასწყვიტა აზროვნების მთელი რიგი საკითხებისა, აზროვნების ზოგიერთი საკითხი ახალ მატერიალურ საფუძველზე დააყენა (მაგ. სუბიექტ-ობიექტის პრობლემა, დროსა და სივრცის პრობლემა). ასეთივე სინათლე შეიტანა მან კერძოდ ისტორიის პრობლემებში. საკუთრივ კავკასიის ისტორიის შესახებ იაფეტიდოლოგია საკითხს სრულებით ახალ თეორიულ ნიადაგზე სვამს[4].

ამავე დროს პალეონტოლოგიური მეთოდი ძირითადად ენათმეცნიერებას ემსახურება. ენის განვითარების გამოკვლევაში კი პალეონტოლოგია აუცილებელი იარაღია. მისი შემწეობით ნათელი მოეფინა ენის როგორც წარსულს, ისე მომავალს. მისი შემწეობით სავსებით ნათელი გახდა, მაგალითად, ენის ეგრეთწოდებული არათანაბარი განვითარების კანონი, რომლის თანახმად ადრინდელი სტადიის ენის პატრონ ერებს შეუძლიათ გააკეთონ ნახტომი ენის განვითარების უახლეს სტადიაში, შუამდებარე სტადიების გაუვლელად[5]. ამ დებულებას კი უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს ჩვენს კავშირში ისტორიულად ჩამორჩენილ ეროვნებათა ენების მომავალი პერსპექტივების დასახვის საქმეში.

ტექნიკურად შეუძლებელია, რომ იაფეტიდოლოგიის ყველა მონაპოვარს აქ შევეხოთ; მათი რიცხვი ერთეულებით არ განისაზღვრება. შევჩერდებით მხო-

[1] იქვე, გვ. 5.

[2] ნ. მარრი, კრებული: Язык и мышление, 1933, წინასიტყვაობა.

[3] იგივე, В тупике ли..., გვ. 127.


[4] სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილია ნ. მარრის შრომა: К истории Кавказа по данным языка, ტფილისი, 1933.

[5] ნ. მარრი, Язык и современность, გვ. 33.

ლოდ ერთ მაგალითზე, რომელიც ერთხელ კიდევ ნათელყოფს, იაფეტიდოლოგიის მეცნიერულ სილრმესთან ერთად, ინდოევრობეისტიკის უსუსურობას. საკითხი ერთი ქართული ობიექტური წყობის ზმნის ისტორიას შეეხება.

ნიკო მარრს ერთერთ თავის, გერმანულად დაბეჭდილ შრომაში (Verba impersonalia etc. ИАН, 1933, № 8, გვ. 722), სხვათა შორის, ქართული ობიექტური ზმნის „მშია"-ს პალეონტოლოგიური ახსნა აქვს მოცემული. განსაკუთრებით საინტერესო ამ ახსნაში ისაა, რომ მასში მოცემულია სიტყვა „მშია"-ს ყველა ის მნიშვნელობები, რომლებიც მას გააჩნდა განვითარების სხვადასხვა სტადიებზე. თუ ამ მნიშვნელობებს ჩავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ მნიშვნელობათა შორის უშველებელი წყვეტილებია,—ისინი ერთმანეთს თითქმის არაფრით არ წააგავან, და, მაშასადამე, მათი გამოძებნა შეიძლებოდა არა ინდოევროპეისტული შედარებითი მეთოდით, არამედ მხოლოდ პალეონტოლოგიით, რომელიც ენის ღრმა სტადიალურ ცვლილებებს ითვალისწინებს და ამტკიცებს, რომ სიტყვის მნიშვნელობა ერთ სტადიაზე დიამეტრალურად მოპირდაპირეა მისივე მეორე სტადიაზე მნიშვნელობის მიმართ. მარრის აქ მოცემულ ახსნაში პასუხია გაცემული იმ საკითხზეც, თუ კონკრეტულად რა მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვა „მშია"-ს განვითარების ამათუიმ კონკრეტულ სტადიაზე.

წარმოვადგენთ აქ მარრის აზრს სქემის სახით:



ამ სქემას, რასაკვირველია, სათანადოდ ვერ გავიგებთ, თუ ზემოთქმულს გარდა ორ გარემოებას არ გავუწიეთ ანგარიში: 1) როცა რ კ ო ზ ე ა ლაპარაკი, იგულისხმება, რომ რკო იყო ერთერთი უმთავრესი საკვები ადამიანისა განვითარების ადრინდელ საფეხურზე და, ამავე დროს, მაშინდელი ა ნ ი მ ი ს ტ უ რ ი მსოფლმხედველობის თანახმად, პირველყოფილ ადამიანს რკო (ისე როგორც ყველა სხვა საგნები) ს უ ლ ი ს მქონედ წარმოედგინა (კულტობრივი გაგებით); 2) ამნაირად, ერთია ის, თუ მოცემული საგანი რას წარმოადგენდა მატერიალურად (ამ შემთხვევაში რკო) და სულ სხვაა ის, თუ რა თვალთახედვით აღიქვამდა მას პირველყოფილი ადამიანი (ამ შემთხვევაში ანიმისტურად—სული რკოისა). ამასთან ერთად, თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ დღეს როცა ვამბობთ «მე მშია»-თქო, ამ დროს არც რკო გვაქვს აზრად და არც რკოს სული,—ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აზროვნების უკვე სხვა სტადიასთან. ამას გარდა, ჩვენ აქ მოცემული გვაქვს ერთგვარი შესიტყვება: (მ—ში—ა). სტადიების სხვაობის მიხედვით ეს შესიტყვებაც სხვადასხვანაირად აღიქმებოდა. თავდაპირველად თუ ის ნიშნავდა იდეოლოგიურად, 'მე თანავეზიარები სულს რკოისასო', ანდა პალეონტოლოგიურ-მატერიალურად (იხ. სქემა) 'მე ვსაჭიროებ რკოსო'; დღეს ეს შესიტყვება ყველა ამ მატერიალური საფუძვლებისაგან (რკო და სხვ.) დაცილებულს განყენებულ კატეგორიას წარმოადგენს და ნიშნავს, 'საზოგადოდ ჩემს შიმშილს აწყოში'. დღეს ის უკვე ზმნა არის ობიექტური.

აიღეთ და შეადარეთ ეხლა სიტყვის ისტორიის ასეთი დაზუსტებული გაგება ინდოევროპეისტიკის ჩვეულებრივ სიტყვის ეტიმოლოგიებს! მაგალითისათვის, შორს ნუ წავალთ, მოვიგონოთ, თუ როგორ ხსნის სიტყვა «წელიწადს» აკაკი შანიძე[1]. ავტორი ცდილობს სიტყვა «წელიწადის» წარმოშობის ახსნას (უნდა ითქვას, რომ სხვა ქართველი ინდოევროპისტები არც ამას შვებიან). მაგრამ რა ირკვევა ბოლოს-და-ბოლოს? ირკვევა, რომ «წელიწადი» «წელითი წლადიდან» ყოფილა წარმოშობილი. ერთი სიტყვით მტკიცდება, თითქოს სიტყვა «წელიწად»-ს განვითარების ყველა საფეხურზე ერთი-და-იგივე მნიშვნელობა ჰქონებოდეს; ცოტა ბგერები შეიცვალა კი, ისიც ანალოგიის და არა შინაარსეული კანონების ძალით (იქვე).

ვფიქრობთ, საკმარისია ორ ენათმეცნიერებას შორის მეთოდოლოგიურ განსხვავებაზე ლაპარაკი. დარწმუნებული ვართ, რომ ამის შემდეგ მკითხველისათვის გასაგებია, თუ რა შინაარსის უნდა ყოფილიყო ის პალეონტოლოგია, რომელიც ინდოევროპეისტებს გააჩნდა.

«ლინგვისტური პალეონტოლოგია» ამ სახელწოდებით პირველად ჟენეველ მეცნიერს პ ი ქ ტ ე ს აქვს ხმარებული[2]. პიქტეს კვლევა-ძიების წესი ასეთი იყო: „უნდა ვიწყებდეთ ყოველთვის სანსკრიტული სიტყვიდან, თუ ასეთი არსებობს, რომ მისი მეშვეობით მივიდეთ პირველყოფილი ფორმის აღდგენამდის ანდა ნათელვყოთ მისი საეგებიო ეტიმოლოგია“[3]. ამრიგად, პიქტეს აზრით, მეტყველე-

[1] კრებული: წელიწდეული, „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“.

[2] Les origines Jndo-européenes ou les Aryas primitifs essai de paléontologie linguistique, პარიზი, 1877.

[3] იქვე, გვ. 23, კურსივი ავტორისაა—ჩ.

ბის მთელი ისტორია იწყება სანსკრიტული წინარენიდან და თავდება თანამედროვე კონკრეტული ინდოევროპული ენებით. ენის პალეონტოლოგია კი ამ ისტორიაში წინარენის აღდგენის საქმეს ემსახურება მხოლოდ. ამაზე განსხვავებული მნიშვნელობა პალეონტოლოგიისათვის არც ერთს ინდოევროპისტს არ მიუნიჭებია. ო. შრადერსაც პალეონტოლოგიის ამოცანად ის მიაჩნია, რომ მოგვცეს „ლინგვისტური ახსნა-განმარტება პირველყოფილი ინდოგერმანული ყოფაცხოვრებისა"[1].

ეს შეეხება ინდოევროპეისტიკის პალეონტოლოგიას, როგორც მოძღვრების მეტყველების სიძველეების შესახებ. მეთოდი ინდოევროპეიზმისა კი ყოველთვის შედარებითი იყო; ამას არც პალეონტოლოგიის მომხრენი უარყოფენ. პირიქით, საზეიმო ფიცსაც სდებენ შედარებითი მეთოდის წინაშე[2].

იაფეტიდოლოგიურ პალეონტოლოგიას, როგორც მოძღვრებას, მისი შესატყვისი, პალეონტოლოგიური, მეთოდიც გააჩნია.

ჩვენი პალეონტოლოგიური მეთოდი არ არის ისეთი რამ, რომლის ჯიბეში ჩადება შეიძლებოდეს, რომ ამოიღო და მოიხმარო როცა დაგჭირდება. ის არ არის დოქტრინა, სქოლასტიკურ დებულებათა ჯამი. პალეონტოლოგიური მეთოდი მოქმედებისათვის სახელმძღვანელოა. მისი ყოველმხრივი ათვისება მხოლოდ ენობრივ პრაქტიკაში შეიძლება. პალეონტოლოგიური მეთოდი კვლევით პრაქტიკაში მახვილდება თანდათან, ღრმავდება უფრო და უფრო. ის განსაკუთრებით ძლიერია ცოცხალი ენების ცოცხალი მასალის ისტორიულ გაგებაში. ენობრივ მშენებლობის ახალი ამოცანების დასაძლევად საჭიროა პალეონტოლოგიური მეთოდი დიალექტური მატერიალიზმის მომარჯვებით კიდევ უფრო გავამახვილოთ და გავაღრმავოთ.

25/I 34 წელი,
ლენინგრადი.

---

[1] Сравнительное языкознание и первобытная культура, თარგმანი, პეტერბურგი, 1886, გვ. 22.

[2] იქვე. გვ. 218.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

მ. ჩიქობავი

საიდუმლო ხალხური ენა[1]

I. ქართულ ენას მრავალი კილო და კუთხური თქმები მოეპოვება. ყველასათვის ცნობილი ნაციონალური ენა ბევრი თავისებური შენაკადების შემცველია. დღევანდელ ლიტერატურულ ენაში თითქმის ყველა კილო-თქმათა წვლილია შეტანილი, ზოგ შემთხვევაში ერთი დიალექტის სიტყვაა გაბატონებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მეორე დიალექტისა. დიალექტთა და, საერთოდ, ყველა კუთხის მცხოვრებთა მონაწილეობა ქართული სალიტერატურო ენის შემოქმედებით პროცესში თანაბარი არ ყოფილა და დღესაც არ არის. თითეული კუთხე მეტ-ნაკლები უფლებით სარგებლობდა, ეს იმის მიხედვით, თუ რომელი კუთხის რომელი ფენა იყო კლასობრივ ბრძოლის არენაზე გამარჯვებული და რომელი დიალექტის წარმომადგენელთა ჯგუფი »უხელმძღვანელებდა« ლიტერატურის განვითარებას.

ცნობილია ქართლური დიალექტის გაბატონებული მდგომარეობის ამბავი სალიტერატურო ქართულში. რა იყო ამის მიზეზი? რითი იყო გამოწვეული ეს მოვლენა? ახსნა უდავოდ პოლიტიკურ-ეკონომიურ სფეროში უნდა ვეძიოთ. ქართლის თავად-აზნაურობა, ქართლის ფეოდალური არისტოკრატია მე-19 საუკუნის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური წყობილების მოწინავე რაზმს წარმოადგენდა; მის ხელში იყო ლიტერატურული სიმაღლეები, და ამის გამო საერთო სახელმწიფოებრივ ენას დაემჩნა იმათი გავლენა, ვინც ქართლურ დიალექტზე იყო აღზრდილი და გაბატონებული კლასის კულტურის შექმნაში წამყვან როლს თამაშობდა.

მე-60 წლებში დასავლეთის და აღმოსავლეთის მოწინავე წოდებათა გარკვეულმა დაკავშირებამ გაამწვავა ბრძოლა ორი კუთხის დიალექტის უფლებათა შესახებ. ბრძოლის შედეგად იმერულს და საერთოდ დასავლურ დიალექტებისათვის სემაფორი გაიხსნა და ლიტერატურულ ენას მრავალფეროვნება დაეტყო. 60-იანი წლების ლიტერატურული ენის „რეფორმა“ 60-იან და 70-იან წლების სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე თავად-აზნაურობის და წვრილი ბურჟუა-

[1] წაკითხულია მოხსენების სახით ტფილისის სახ. უნივერსიტეტის აკად. ნ. მარრის სახელობის იაფეტიდოლოგიური წრის საჯარო სხდომაზე 1934 წ. 9 თებერვალს.

ზიის ენის დემონსტრაცია იყო და არა დაჩაგრული, ყმა-გლეხობის სასაუბრო ენის ლიტერატურაში შესვლა.

ქართული ენის დიალექტები მეტად თავისებურია, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურობებით, არამედ ლექსიკოლოგიური შესატყვისობითაც. არის სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა დიალექტებში სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია.

ავიღოთ რამდენიმე მაგალითი:

გურული	იმერული	სალიტერატურო ქართული
ცავ, ციცა|ი	გოგო, ძლაბი	ქალიშვილი
მეჩხერი	ქარაფი	თხლად ამოსული სიმინდი ან სხვ. მცენარე
ელანძე	ამ წუთას	საჩქაროდ
ოჩე	ახო	ახო
ცეხლი	ცეცხლი	ცეცხლი
ფსორი	გუბია	გუბე
ფილი, ქვიჩა	ქვასანაყი, როდინი	ფილთაქვა
მოხრანგული	მოწმენდილი	ნატყეური
ბადიში	შვილისშვილი	შვილისშვილი
თხლენაჭამი	შუბლგატეხილი	შერცხვენილი

ნიმუშების გამრავლება დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკმარისია.

II. ჩვეულებრივი, ყველასათვის გასაგები ენის გარდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ხშირად მიმართავენ თავისებურ ბგერათშედგენილობის მქონე საიდუმლო ენას. ასეთ საიდუმლო ლაპარაკს მცხოვრებლები მიმართავენ მაშინ, როდესაც სურთ მათი ნათქვამი სხვამ არ გაიგოს... ამგვარი ფარული ენა უწინ უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო.

საიდუმლო ანუ კონსპირაციული ხალხური ენის თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვის ყოველ მარცვალს, ან ანბანს ან რამდენიმე მარცვალს ერთად ემატება ახალი მარცვალი: **გ-ა, დ-ა, ფ-ა, წ-ა, ც-ა, ჯ-ა, ჩ-ა** ორთანხმავანი **შტ-ო** და მთელი სიტყვები „**უნდურ**“ და „**ინდრე**“. იმისდა მიხედვით, თუ რომელი განმასხვავებელთაგანი ანუ საიდუმლოთმქცევთაგანი ჩაისმის სიტყვაში, ჩვენ ვუწოდებთ: **გან-იან, დონ-იან, ფარ-იან, წარ-იან, ცან-იან, ჯარ-იან, ჩან-იან, შტო-იან, უნდურ-იან,** და **ინდრე-იან** თქმებს. ორი მათგანი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილია: მ. ჯანაშვილის მიერ ინგილოურსა და არაგვის-ხეურში, ხოლო პროფ. გ. ახვლედიანისაგან ოსურში.

მოსე ჯანაშვილი ფარ-იან საიდუმლო ენას შემდეგი სახით გადმოგვცემს: „ინგილოებმა ჩვეულებრივ კილოს გარდა იციან აგრეთვე აგრედ-წოდებული ყვავის ენა. ეს ენა იხმარება ზოგიერთთაგან (ხაზი ჩემია-მ. ჩ.) მხოლოთ და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ თავისი აზრი გადასცენ სანდო პირს სხვათა ფარულად. ეს იგივე ჩვეულებრივი ენაა ყოველი ხმოვნის შემდეგ ახალი მარცვლის ჩასმით ფ-ს შემწეობით, ასე:

მამა	ყვ.	ენაზედ:	მაფამაფა
დედა	„	„	დეფედაფა
ძმა	„	„	ძმაფა
და	„	„	დაფა
ხე	„	„	ხეფე
მერე	„	„	მეფერეფე
მინდა	„	„	მიფინდაფა
ტირილი	„	„	ტიფირიფილიფი
სოკო	„	„	სოფოკოფო
სოლი	„	„	სოფოლიფი....

არაგვის ხეობაში „ჭაჯურ ენაში" ფ-ს მაგივრობას ეწევა წ. კაფაციფი—კაწაციწი—კაცი.

ფ		წ
აფათაფასაფად	ათასად	აწათაწასაწად
გვაფარიფი	გვარი	გვაწარიწი
დაფაფასდაფა	დაფასდა	დაწაფაწასდაწა...

აფარაფა კაფარაფა ვაფარგაფა ფეფელოფოს სოფოფელიფი დაფა სოფოფელს კიფი აფარაფა აფარგოფოს=აწარაწა კაწაწა ვაწარგაწა თეწელოწოს სოწოფეწელიწი დაწა სოწოფეწელს კაწი აწარაწა აწარგოწოს“ [1]. პროფ. გ. ახვლედიანს მოყავს სიტყვაში ჳდ-ის ჩამატების მაგალითები. საიდუმლო ხმიერი ენა ოსეთში ცნობილია „ჩჳზჯჳთჳ ჳვზაგ“-ის სახელით, რაც ნიშნავს „ქალების (გოგოების) ენას“. „მართლაც მით საუბრობენ მხოლოდ ქალები, როცა ვაჟებისათვის საიდუმლო რამ აქვთ სათქმელი ურთიერთშორის. იშვიათად იპოვით ვაჟს, რომელსაც ეს საიდუმლო საუბარი ესმოდეს“ ამბობს პროფესორი და იქვე იძლევა რამდენიმე მაგალითს.

ერთმარცვლოვანი სიტყვები

1. ბ-ჳდ-sხ=ბsხ=ცხენი
2. გ-ჳდ-ალ=გალ=ხარი

ოთხმარცვლოვანი სიტყვები

1. დ-sდ-ჳვ-ჳდ-არ=დჳვარ=კარი
2. ლ-ჳდ-sპ-sდ-უ=ლsპუ=ბიჭი

[1] „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფ. 1911—13 წ., მ. ჯანაშვილი, საინგილო აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, ტფილისი, 1926 წ. გვ. 129.

ყოველ მარცვალს დაერთვის „ɜდ“ და ქმნის საიდუმლო მეტყველებას. ოსურში გ. ახვლედიანისვე მოწმობით „ɜდ“ შეიძლება „ѕდ“-ით შეიცვალოს, სიტყვა შედგენის იმავე პრინციპის დაცვით[1].

საიდუმლო ანუ კონსპირაციული სასაუბრო ენა ფართოდ გავრცელებულია ლეჩხუმში. ცაგერის რაიონში საშუალება მქონდა შემემოწმებია რამდენიმე სოფელში, სადაც ფარული ენით საუბრობენ არა მარტო მწყემსი გოგო-ბიჭები, არამედ ხანში შესული ქალები და კაცებიც (სოფ. ცხუკუშური, ცაგერი, ლუხვანო, ზუბი, ისუნდური, ნაკურალეში). მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში.

1. გან-იანი

ხე=ხე-გე
ქალი=ქა-გა-ლი-დი
ჭამა=ჭა-გა-მა-გა
ვირი=ვი-გი-რი-გი
წყალი=წყა-გა-ლი-გი
მამა=მა-გა-მა-გა
დედა=დე-გე-და-გა
მამალი=მა-გა-მა-გა-ლი-გი

2. დონ-იანი

ხე-დე
ქა-და-ლი-დი
ქა-და-მა-და
ვი-დი-რი-დი
წყა-და-ლი-დი
მა-და-მა-და
დე-დე-და-და
და-და-მა-და-ლი-დი

3. ფარ-იანი

ცა=ცა-ფა
ძმა=ძმა-ფა
მოდი=მო-ფო-დი-ფი
შენ=შე-ფე
იმას=ი-ფი-მა-ფას
კაცსა=კა-ფა-ცსა-ფა
შოთა=შო-ფო-თა-ფა

4. წარ-იანი

ცა-წა
ძმა-წა
მო-წო-დი-წი
შე-წე
ი-წი-მა-წას
კა-წა-ცსა-წა
შო-წო-თა-წა

5. ჯარ-იანი

რა=რა-ჯა
ბავშვი=ბავ-ჯა-შვი-ჯი
რაში=რა-ჯა-ში-ჯი
ქორი=ქო-ჯო-რი-ჯი
კვიცი=კვი-ჯი-ცი-ჯი
ია=ი-ჯი-ა-ჯა
კანაფი=კა-ჯა-ნა-ჯა-ფი-ჯი
თხიპე=თხი-ჯი-პე-ჯე
ფიწალი=ფი-ჯი-წა-ჯა-ლი-ჯი

6. ჩან-იანი

რა-ჩა
ბავ-ჩა-შვი-ჩი
რა-ჩა-ში-ჩი
ქო-ჩო-რი-ჩი
კვი-ჩი-ცი-ჩი
ი-ჩი-ა-ჩა
კა-ჩა-ნა-ჩა-ფი-ჩი
თხი-ჩი-პე-ჩე
ფი-ჩი-წა-ჩა-ლი-ჩი

7. ცან-იანი

შენ=შე-ცე
მოდი=მო-ცო-დი-ცი

8. შტო-იანი

შე-შტე
მო-შტო-დი-შტი

[1] იხ. „ჩვენი მეცნიერება“, № 11—12, 1924 წ., გვ. 80.

წაიღე=წა-ცა-ი-ცი-ღე-ცე — წა-შტა-ი-შტი-ღე-შტე
რა=რა-ცა — რა-შტა
იცი=ი-ცი-ი-ცი — ი-შტი-ცი-შტი [1]

საიდუმლო მეტყველება ჩემს მიერ შეთხზულია არა მარტო ქართულ ენაზე (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა, ლეჩხუმი), არამედ მეგრულსა და სვანურშიც. სამეგრელოში მხოლოდ **წარ** და **ფარ** ბგერაჩამატებულ ენას შევხვდი, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იქ უნდა არსებობდეს ფარული მეტყველება სხვა ბგერების მიმართაც.

ქართული	მეგრული	წარ-იანი	ფარ-იანი
ძროხა	ჩხოუ	ჩხო-წო-უ-წუ	ჩხო-ფო-უ-ფუ
ხარი	ხოჯი	ხო-წო-ჯი-წი	ხო-ფო-ჯი-ფი
ქორი	ქირი	ქი-წი-რი-წი	ქი-ფი-რი-ფი
ლორი	ღეჯი	ღე-წე-ჯი-წი	ღე-ფე-ჯი-ფი
დანა	ხამი	ხა-წა-მი-წი	ხა-ფა-მი-ფი
კაკალი	კოჩი	კო-წო-ჩი-წი	კო-ფო-ჩი-ფი
ცხენი	ცხენი	ცხე-წე-ნი-წი	ცხე-ფე-ნი-ფი
ძმა	ჯიმა	ჯი-წი-მა-წა	ჯი-ფი-მა-ფა
დედა	დიდა	დი-წი-და-წა	დი-ფი-და-ფა
მოდი	ქუმორთი	ქუ-წუ-მო-წო-რთი-წი	ქუ-ფუ-მო-რთი-ფი

საიდუმლო ენას როგორც ქართულ, ისე მეგრულ ოჯახებშიც ხმარობენ. ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათში ფარული ენით ოჯახის წევრები საუბრობენ მაშინ, როცა სტუმარი მოუვათ და ქმარს სურს წვეულს შეუმჩნეველად გაუმასპინძლდეს.

ცალკე ბგერათა ჩამატების გვერდით ლეჩხუმში აგრეთვე გვხდება მთელი სიტყვის **„უნდურ“**-ის ჩამატება, რომლის ხმარება სამგვარია, სახელდობრ: 1. **„უნდურ“** მიერთვის თითეულ ბგერას. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა სურთ საუბარი სრულიად გაუგებარი გახადონ. 2. **„უნდურ“** მიერთვის ყოველ მარცვალს პრეფიქსურად და 3. **„უნდურ“** მიერთვის ორ მარცვალს ერთად. თითეული ეს შემთხვევა დადასტურებულია, მაგრამ უკანასკნელი ორი უფრო გავრცელებულია. საერთოდ, უნდურსიტყვიანი საუბარი ნაკლებად იხმარება ისე, როგორც **ჯარ**-იანი და **ჩან**-იანი. უნდურსიტყვიანი საუბარი ყველაზე ძნელია და გაუგებარი. აი რამდენიმე ნიმუში:

I. უნდურ'ბგერიანი სიტყვები

1. ხე=უნდურ-ხ-უნდურ-ე
2. და=უნდურ-დ-უნდურ-ა
3. ცუდი=უნდურ-ც-უნდურ-უ-უნდურ-დ-უნდურ-ი
4. ქალი=უნდურ-ქ-უნდურ-ა-უნდურ-ლ-უნდურ-ი
5. არ=უნდურ-ა-უნდურ-რ

[1] გურიაში (ლანჩხუთის რაიონი, ჩიბათის თემი, სოფ. ჯომახური) საიდუმლო ენისათვის სპეციალური სახელწოდებაც აქვსთ „ი ნ გ რ ე უ ლ ი“. ინგრეული ითქმის **ფ**-ახე, **წ**-ახე, **ც**-ახე, **შტ**-ახე და **ინდრე**-ხე. უკანასკნელი სამი ჩემს მიერ ჯერჯერობით მხოლოდ გურიაშია დადასტურებული.

II. უნდურ'მარცვლიანი სიტყვები

ა. უნდურ'ერთმარცვლიანი

6. გუშინ=უნდურ-გუ-უნდურ-შინ
7. ცუდი=უნდურ-ცუ-უნდურ-დი
8. ამინდი=უნდურ-ა-უნდურ-მი-უნდურ-დი
9. იყო=უნდურ-ი-უნდურ-ყო
10. და=უნდურ-და

ბ. უნდურ'ორმარცვლიანი

11. ცხვარი=უნდურ-ცხვარი
12. გარეთ=უნდურ-გარეთ
13. დარჩენილიყვნენ=უნდურ-დარჩე-უნდურ-ნილი-უნდურ-ყვნენ
14. საქონელი=უნდურ-საქო-უნდურ-ნელი
15. დაუკვირდი=უნდურ-დაუ-უნდურ-კვირდი
16. მეგობარო=უნდურ-მეგო-უნდურ-ბარო
17. ტყვილი=უნდურ-ტყვილი
18. არ=უნდურ-არ
19. წამოგცდეს=უნდურ-წამო-უნდურ-გცდეს
20. ლახეფა=უნდურ-ლახე-უნდურ-ფა
21. თავსაპირი=უნდურ-თავსა-უნდურ-პირი
22. ჯამბარა=უნდურ-ჯამ-უნდურ-ბარა

სიტყვის საიდუმლოთმქცევი **„უნდურ“** გურიაში მოგზაურდებისას **„ინდრე“**-მ შესცვალა. ლანჩხუთის რაიონის ჩიბათის თემში „ინდრე“ „ინგრეულ“ ენაში ხშირად იხმარება. ინდრე'ელემატიანი ყოველთვის ერთმარცვლოვანია, ამით ის განსხვავდება უნდურ ელემენტიანი ენისაგან. საიდუმლო ანუ კონსპირაციული საუბარი, რომელსაც აქ „ინგრეულს“ უწოდებენ, ყველამ იცის. სახლში მას უმთავრესად სტუმრიანობის შემთხვევაში მიმართავენ და ოჯახის ყველა წევრი ლაპარაკობს მით. ერთმა გურულმა ამხანაგმა ლანჩხუთში ინგრეულის შესახებ ასეთი ახსნა მომცა: გურული გლეხი ყოველთვის ცდილობს დამალოს თავისი შინაბუნება და გარე ეფექტი გამოსცეს. ღარიბი თავს უცხოს მდიდრად აჩვენებს... როცა გურულ კაცს სტუმარი მოუვა და გასამასპინძლებელი არასფერი აქვს, რალაც უნდა იღონოს, ამისთანა შემთხვევისათვის მას ინგრეული (დამახინჯებული, გადასხვაფერებული) ენა შველის. სტუმრის გაუგებრად უფროსი ოჯახის წევრებს დავალებებს მისცემს და სადმე გააგზავნის... ინგრეული გურულების მიერ სირცხვილის ასაცილებლად არის მოგონილიო. ცხადია, ასეთი ახსნის უმართებულობა, მაგრამ ის მაინც საინტერესოა, რადგან ხალხის გაგებას გამოხატავს.

ზემოდ მოყვანილი მაგალითები ნათელყოფენ, რომ კონსპირაციული ენა იმდენად განსხვავდება ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან, რომ ის სრულიად გაუგებარია უცხო პირისათვის. ის საკუთარ წესებს ექვემდებარება, რომელიც შირად რთულ ფონეტიკურ მოვლენებს იწვევს. მაგალითად **„უნდურის“** მიმატე-

ბის დროს, როცა რამდენიმე თანხმოვანი ერთად ჯგუფდება, თავს იჩენს ისეთივე მოვლენები, რომელიც ქართული ენის თვისებას შეადგენს.

1. რა=უნდურ-[რ]-ა
2. ცუდი=უნდურ-ც[უ]-უნდურ-დი და სხვ.

საიდუმლო მეტყველების სხვა წესიც არსებობს ხალხში.

1. სიტყვების მოგრუნება

A 1. ტრამვაი=ვაი-ტრამ
2. დიდი=ი-დიდ

Б 3. სისწრაფით=სწრაფით-სი
4. მოდიოდა=დიოდა-მო
5. დღეს=ეს-დღ
6. ცუდი=უდი-ც
7. ხასიათზე=სიათზე-ხა
8. ვარ=არ-ვა

C 9. ვცდილობ=ვლობ-ცდი
10. ბევრი=ვრი-ბე
11. დავსწერო=ვსწერთ-და
12. ძალიან=ლიან-ძა
13. პეტრე=ტრე-პე
14. ილარიონ=ლ-იონ-ი-რ-ა
15. მიხეილ=ხე-მი-ილ

2. სიტყვებში ბგერების შეცვლა

1. შენ რომ იცი,
შენ რო იგნი,
მ→0, ც→გნ.
2. ხომ არ წახდა.
ხომ არ წაგნა.
ხდ→გნ,
3. შაფათს ვნახე,
შაფათ ჩაგნა,
ს→0, ვნ→ჩ, ხ→გნ, ე→ა.
4. გულს იამა,
გუნიას აგნა
ლ→ნია, ი→0, მ→გნ.

ლექსი აღებულია ქურდების ცხოვრებიდან. მთქმელმა ასე გადმომცა: რაჭაში შეკრებილების დროს ქურდები ერთმანეთს შეხვდენ, რომლებსაც თურმე ხარი მოუპარავთ, დაუკლავთ და ხორცი-პალატში შეუნახავთ; ხალხის თვალის ასახვევად საიდუმლო ენა გამოიგონეს და მის მოლმა ეს ლექსი ხარებასავით მოგზაურობსო.

ზემოდ მოყვანილი მასალების მიხედვით ქართული საიდუმლო ხალხური მეტყველების პრინციპები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. **გ'ანი, დ'ონი, ფ'არი, წ'არი, ც'ანი, ჯ'არი, შტ'ო,-უნდურ'** და **ინდერ'ე** დღეს ცალკეულად შინაარსს არ ატარებენ და მხოლოდ ჩასართავ ელემენტებს წარმოადგენენ.

2. საიდუმლოდმქცევი ელემენტების სიტყვაში ჩართვა იწვევს ქართული ენისათვის ცნობილ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ მოვლენებს.

3. **გ'ანი, დ'ონი, ფ'არი, წ'არი, ჯ'არი, ჩ'ანი და შტ'ო** სიტყვას ემატება ყოველ მარცვლის შემდეგ, დამატებით ელემენტებს მუდამ წინ უსწრებს ძირეული სიტყვის მარცვალი.

4. საიდუმლოდმქცევი ელემენტები ყოველთვის საკუთარ მარცვალს შეადგენენ. მარცვლის შედგენა ხდება ასეთ პრინციპზე: რა ხმოვანიც უსწრებს წინ: ა, ე, ი, ო თუ უ, იმის მიხედვით ჩნდება ახალი მარცვალიც: **გ'ა, გ'ე, გ'ი, გ'ო, გ'უ; დ'ა, დ'ე, დ'ი დ'ო, დ'უ; ფ'ა, ფ'ე, ფ'ი, ფ'ო, ფ'უ; წ'ა, წ'ე, წ'ი, წ'ო, წ'უ; ც'ა, ც'ე, ც'ი, ც'ო, ც'უ; ჯ'ა, ჯ'ე, ჯ'ი, ჯ'ო, ჯ'უ,; ჩ'ა, ჩ'ე, ჩ'ი, ჩ'ო, ჩ'უ,** და **შტ'ა, შტ'ე, შტ'ი, შტ'ო, შტ'უ.**

5. უნდურ'ელემენტიანი სასაუბრო ენა უფრო ძნელი და თავისებურია. მისი ხმარება სხვადასხვანაირია. უნდურ'ელემენტიანი საიდუმლო ენა არის: A—უნდურ'გგერიანი, და B—უნდურ'მარცვლიანი. ეს უკანასკნელი იყოფა: ერთმარცვლიანად, ორმარცვლიანად და სამმარცვლიანად.

III. დღევანდელ ეტაპზე საიდუმლო ენა ფართო ცნებაა, მასში ჩვენ მარტო გგერით მეტყველებას არ ვგულისხმობთ. ლეჩხუმში და საერთოდ ყველა კუთხეში შესამჩნევია ეგრეთწოდებული სახის მოძრაობის საიდუმლო ნიშნები. როგორც იაფეტიდოლოგიური ენათმეცნიერების მონაღწევები გვიჩვენებს, ის დიფუზური ხელის ენის დანაწევრებით არის მიღებული. ლეჩხუმში სახის საიდუმლო მეტყველებაში მთავარ როლს **თვალი, წარბი და ცხვირი** თამაშობს. პირველის შესახებ იტყვიან „თვალი უქნაო", „თვალი ჩაუქნიაო", ხოლო მეორეზე კი „ცხვირი აუბზუაო"[1].

„თვალის ჭნა" თუ თვალის ენა მდიდარია. მისი საშუალებით მრავალი ცნების გამოხატვა შეიძლება, მათგან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დაკასახელებთ.

1. **„წადი!"** თვალების მარჯვნივ გადახრა, წარბების ეშველებით, და თავის ოდნავ გარხევა.

2. **„რა გინდა!"** წამწამების ზევით აწევა და თვალების ოდნავ გაღება.

3. **„მოიტანე!"** თვალების გვერდზე გადახრა და მარჯვენა თვალის ქუთუთოს შევიწროება (სტუმრიანობის შემთხვევაში).

4. **„თანახმა ხარ?"** მარჯვენა თვალის სწრაფი მოხუჭვა (ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ყრილობაში მით არშიყობენ; თუ ქალმაც იგივე ნიშანი მისცა, საქმე დამთავრებულია).

---

[1] ჟურნ. „მნათობის" 1933, № 8—9-ში ი. მეგრელიძე, „იაფეტური სიახლეები...", სადაც მოკლედ მითითებულია თვალის ენაზე იეზიდ და სომეხ ქალებს შორის, გვ. 149—50.

5. „**რას შვები!**“ (გაწყრომა). წარბების შეყრა. თვალების ერთ წერტილზე დაცქერება.

6. „**ეს**“. მარცხენა თვალ-წარბის შეთანხმებული მოძრაობა.

7. „**არ გეშინია?**“ (გულის მოსვლისას). ორივე თვალის ზომაზე მეტად გაღება, „გადმოქაჩვა.“

8. „**მეძინება**“. თვალების ერთდროული დახუჭვა.

9. „**ალბათ**“. ტუჩების წინ გამოშვერა, წარბების ზევით აწევა და თვალების შეთამაშება.

10. „**კი!**“. მარჯვენა თვალის ჩაკვრა, თავის ოდნავ წინ დახრით.

11. „**არა!**“ მარჯვენა თვალის ჩაკვრა და თავის მარჯვნივ გაქნევა.

თვალის ენა ერთი დიდი გვაროვნობა არის ხელის ანუ კინეტიური ენისა. თვალთან დაკავშირებული ცნებები ლეჩხუმში ძალიან გავრცელებულია, რომელსაც ზემოქმედებით უნარს მიაწერენ მცხოვრებლები. მაგალითად: „თვალი უჭრის“, „გათვალვა“ (გაღალვა, თვალმავნე), „თვალი გადმოუბრუნა“, „ორთვალა“ (ჭინკა, ქაჯი, ორთვალა მოდისო ბავშვებს აშინებენ).

თვალის ენასთან დაკავშირებული არის ტერმინი „ცხვირის აგზუება“, რომელიც ვისმეს აგდებას, არ მოწონებას ნიშნავს. ცხვირი აუგზუაო, ე. ი. არ მოიწონა, არაფრად ჩააგდოო,—ამბობენ სოფ. ცხუკუშერში; უმთავრესად გასათხოვარ ქალებზე და პატარძლებზე იტყვიან ამას.

IV. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს ფარული სასაუბრო ენა საქართველოს ყველა კუთხეებშია გავრცელებული და მას მიმართავენ მოსახლეობის დაბალი ფენები. ამჟამად ის ნაკლებხმარებაშია, მაგრამ არის იმის მოწმობა, რომ მას მიმართავდენ ხანში შესული მამაკაცებიც და უფრო გავრცელებული იყო. ჩვენის აზრით საიდუმლო ანუ კონსპირაციული ხალხური ენა გლეხური წარმოშობისაა და მით ლაპარაკობდენ დაჩაგრული კლასები.

საინტერესოა ფარული ენის წარმოშობის ახსნა. ამ საკითხზე თითქმის არაფერი დაწერილა და ამდენად დღეს ის საკვლევ პრობლემას წარმოადგენს. საიდუმლო, ფარული მეტყველების წარმოშობა სოციალური საჭიროების ნაყოფია. მის შექმნაში კლასობრივი პრინციპი უდაოდ პირველ როლს თამაშობს. ფარული ენა არ შეიძლება დამახინჯებული ქართული ან ოსური იყოს, როგორც ამას ფიქრობდა იოსებ ვლადიკავკაველი, რუსულ-ოსურ ლექსიკონის (გამოცემულია ვლადიკავკაზში 1884 წ.) ავტორი, რომელიც საიდუმლო მეტყველებას ამჩნევს ოსურში დამას ბავშვებისაგან გადამახინჯებულ ოსურად თვლის. ეს დებულება კრიტიკის ღირსია იმდენად, რამდენადაც უშუალოდ გამომდინარეობს ინდოევროპეისტიკის ენათმეცნიერულ სალარადან! ინდოევროპეისტიკას (საქართველოში პროფ. გ. ახვლედიანი[1] და სხვ.) ენის ცვალებადობის ერთ ძირითად ფაქტორად ბავშთა დამახინჯებული მეტყველება მიაჩნია. ენის განვითარებისა და ცვალებადობის ამ პრინციპით ახსნა შემცდარია. ენის განვითარება ნაყოფია სოციალურ გარემოთა ცვალებადობის, ახალი პირობების შექმნისა და მასზე აღმოცენებულ განსხვავებული აზროვნებისა.

1 პროფ. გ. ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი (ლექციები), I, 1920, გვ. 10.

საიდუმლო ანუ კონსპირაციული ენის წარმოშობა ახსნილი უნდა იქნეს იმ პრინციპის მიხედვით, რომელსაც იძლევა აკადემიკოსი ნ. მარრი თავის იაფეტურ თეორიაში[1]. ჩვენ გვჯონია, რომ საიდუმლოთმქცევნი, დღეს უმნიშვნელო ბგერები, ლინგვისტური ელემენტებიდან ერთერთს განეკუთნებიან.

V. დასასრულ მინდა აღვნიშნო თვით სახელწოდების შესახებ. ქართულ საეროთმეცნიერო ლიტერატურაში საიდუმლო ხალხური სასაუბრო ენის აღსანიშნავად ორი ტერმინი გვხვდება: „ყვავის ენა“ და „ქაჯური ენა“. ჩემის აზრით ორივე მიუღებულია და არც ერთი მათგანი არ გამოხატავს საიდუმლო მეტყველების შინაარს. მართლაც, გასაკვირია, რა შუაშია აქ „ყვავი“ ან „ქაჯი“! ორივე მითოლოგიური ტერმინია და სოციალურად შორსდებული საიდუმლო ენის შინაარსიდან. უმართებულო იქნებოდა აგრეთვე მიგვეღო გურული სახელწოდება „ინგრეული“, რადგან ამგვარ გაგებაში ჩადებულია მცდარი აზრი, თითქო ის გადამახინჯებული, დანგრეული იყოს და არა ნამდვილი მოქალაქეობრივი უფლების მქონე ენა. რადგან მოქალაქეობრივ უფლებაზე ჩამოვარდა სიტყვა, საჭიროდ მიმაჩნია ავღნიშნო ის ფაქტი, რომ საიდუმლო ანუ კონსპირაციული ენა ფართოდ არის გავრცელებული ტუსაღთა შორისაც. ალბად, მკითხველს მრავალჯერ ჭონია შემთხვევა ძველ პოლიტკატორღელებისაგან მოესმინა ანდა მემუარულ ლიტერატურაში ამოეკითხა ამის შესახებ მრავალი მეტად საინტერესო ცნობა. ჩვენის აზრით, და ეს აუცილებლად მიზანშეწონილია, ფარულ მეტყველებას, ვინაიდან ის არ წარმოადგენს რომელიმე „სხვა“ ენას, არამედ არის ქართული, ოსური, სვანური, მეგრული... თავისებური წესით შედგენილი და ამავე ენებზე მოლაპარაკეთათვის მაინც გაუგებარი, უნდა უწოდოთ „საიდუმლო ანუ კონსპირაციული ქართული, ოსური, მეგრული, სვანური... ხალხური ენა“.

---

[1] По этапам развития яфетической теории. сб. статей Н. Я. Марра, стр. 286, „О происхождении языка“, და სხვა გამოკვლევები, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე ხსნიან ენის წარმოშობას.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

ალ. ღლონტი

რატომ შეირყა წერილობითი წყაროებისა ავტორიტეტი

(ფურცლები იაფეტიდოლოგიიდან)

I

ამუშავებდა რა ენობრივ პრობლემებს, აკად. ნ. მარრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლინგვისტი, რომელიც დუმილით უვლის გვერდს ენის წარმოშობის საკითხს, როგორც არა მის ნამდვილ საქმეს თეორიულ მუშაობაში, თავისთავს საკუთარი ხელით რიცხავს ენათმეცნიერთა რიგიდან[1].

სწორედ ამიტომ ნ. მარრმა ხელი მოკიდა მეტყველების განვითარების ერთიან პროცესის, ენათა შემოქმედების გლოტოგონიური პროცესის შესწავლას. ამრიგად, ნ. მარრმა მოსპო ის კედელი, რომელიც აღმართა ინდოევროპეისტიკამ ენობრივი პრობლემების შესწავლის დარგში ისტორიზმის გამოყენების საწინააღმდეგოდ და მთელი თავისი მოძღვრება ენის შესახებ ააშენა ენის წარმოშობის, განვითარებისა და შემოქმედების შესწავლის საფუძველზე. ეს იყო უდიდესი რევოლუცია ენათმეცნიერებაში, რითაც საბოლოოდ დაიმსხვრა ინდოევროპეიზმის რასიული და ფანტაზიური წინარების თეორია, რომელიც ასე ბატონობდა ენათმეცნიერთა წრეში უკანასკნელ წლებამდეც კი.

ენებისა და დიდძალი ენობრივ მასალების შესწავლის შედეგად ნ. მარრმა დაამტკიცა, რომ ენისა და აზროვნების წარმოშობა ერთსა და იმავე სტადიას ეკუთვნის. ამ სტადიაზე ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო გადასული ბგერით მეტყველებაზე, იგი მაშინ მიმართავდა ე. წ. ხელის ენას, ხოლო, როცა არ არსებობდა აზროვნება და ენა (ხელის ენა), არ არსებობდა არც ადამიანი. ეს ორივე მომენტი, აზროვნება და ენა მაშინ არსებობდა ცხოველურ-კოლექტიურ ე. წ. „წარმოებაში“ („в производстве“). მაგრამ ხელის წარმოების შექმნამდე, კოლექტიურ ურთიერთობამდე არ ყოფილა არც ის აზროვნება და არც ის ენა, რომელზედაც ახლა ლაპარაკობს ადამიანი, იყო მხოლოდ წარმოებითი აზროვნება, ბუნებრივ-წარმოებითი ენა (природно-производствен-

[1] ნ. მარრი, „Язык и современность“, 1932 წ. გვ. 11.

ный язык)[1]. აქედან, გასაგებია, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ენის წარმოშობისა და განვითარების პრობლემის წამოწევას, ურომლისოდ ადამიანთა მეტყველების გაგება ისევე შეუძლებელია, როგორც ეხლანდელ ხალხთა შესწავლა მათი ისტორიის გათვალისწინების გარეშე.

უკვე დამტკიცებულია, რომ ადამიანის აზროვნება და ენა ვითარდებოდა სტადიების მიხედვით. ამ დასკვნამდე ნ. მარრი მიიყვანა მატერიალური კულტურის ძეგლებისა და ისტორიის საფუძვლიანმა შესწავლამ. რასაკვირველია, შეუძლებელი იყო ენის წარმოშობა-განვითარების განხილვა ადამიანთა საზოგადოების განვითარების საერთო ისტორიის გარეშე. თუ „ენა არის ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალება" (ლენინი), მისი შესწავლა შეუძლებელია ადამიანის აზროვნებასთან მოწყვეტით. ენის განხილვა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარეშე შეუძლებელია კიდევ იმიტომ, რომ ენის განვითარება მთლიანად უკავშირდება საზოგადოების განვითარებას. „ენის განვითარება ერთად მცხოვრებ და ერთმანეთთან მოლაპარაკე ადამიანთა გარეშე უაზრობაა" (მარქსი).

მარრმა ამ საკითხს მიუყენა მეტყველების პალეონტოლოგიის მეთოდი, რითაც მან შესძლო ენობრივი ფაქტების დადგენა და ისტორიის ბევრი ურთულესი საკითხის გარკვევა. ბგერითი მეტყველების პალეონტოლოგიურმა ანალიზმა ყველა სტადიების გადანაშთების (отложений), მათ შორის ხელის ენის მხედველობაში მიღებით ცხადყო, რომ ენა არ იწყება ბგერითი მეტყველებით; ბგერითი მეტყველება ისე, როგორც ხელის ენა, რომელიც წინ უსწრებდა ბგერით მეტყველებას,—პირველყოვლისა იყო წარმოებითი[2].

აკად. ნ. მარრი აღიარებს, რომ მეტყველების ნაწილების ის დიფერენციაცია, რომელიც ამჟამად ჩვენ გვაქვს, გაცილებით ახალია, თავდაპირველად ეგი არ ყოფილა. მეტყველების იმ ნაწილს, რომელსაც მაშინ მიმართავდა ადამიანი ნ. მარრი უწოდებს—ბგერათა კომპლექსს[3], რომელიც უკავშირდება ტოტემს, საზოგადოებრივი კავშირის ამ განსაზღვრულ სახეს. ამ ბგერით კომპლექსების არსებობამ ტოტემურ საზოგადოებაში ხელი შეუწყო გარკვეულ სტადიაზე გარდატეხის დაწყებას კინეტური მეტყველებიდან ბგერითი მეტყველებისაკენ[4].

მეტყველების პალეონტოლოგია იძლევა სიტყვის წარმოშობის გასაღებს. პირველყოფილ ადამიანს, რომელიც თანდათან ეჩვეოდა გარემოს და შინაურდებოდა, ყველაზე მეტად ბუნების მოვლენების შიში ჰქონდა. მეხი, ელვა, ჰექა-ქუხილი მისთვის თავზარდამცემი იყო. ამას დაუმატეთ ნადირები, რომლე-

---

[1] ნ. მარრი, К семантической палеонтологии языков не яфетических систем. Известия Акад. Ист. Мат. Культ. VII, 1931 წ., გვ. 37.

[2] ნ. მარრი, Ксемантической палеонтологии... გვ. 36, აგ ნახე Вопросы языка в освещении яфетической теории. „Избранные отрывки из работ акад. Н. Я. Марра", сост. В. Б. Аптекарь. ლენინგრადი, 1933 წ. გვ. 183.

[3] ნ. მარრი, Яфетическая теория. ბაქოს კურსი, გვ. 126.

[4] ნ. მარრი, Язык и письмо,—გვ. 14.

ბიც ასე მუსრს ავლებდენ სუსტ არსებათ, და აშკარა გახდება, რომ ადამიანს ამ სტადიაზე ღვთაებრივ ძალად ქონდა წარმოდგენილი არა თუ მარტო ბუნების მოვლენები, არამედ მხეცები, მასზე უფრო ძლიერი არსებანი, ამასთან ერთად თვით ხეც, მინდორიც, ქვაც, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რასაც შეეძლო ადამიანის ძალა დაეპყრო, შეეშინებია.

ბუნებრივია, რომ ადამიანი ამ სტადიაზე ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული მრავალფეროვანი მეტყველებისათვის. მისი ლექსიკა გამომდინარეობდა ტოტემისა და მასთან ახლო მდგომ სხვა ცალკეულ მოვლენებიდან.

მეტყველების პალეონტოლოგია „გვიკარნახებს 'სივრცის' და 'დროის' ერთი-და-იგივეობას პირვანდელ კაცობრიობის წარმოდგენით". ნ. მარრმა დაამტკიცა, რომ ადამიანს თავის დროზე ამ ორი ცნების გამოსახატავად ერთი სიტყვა გააჩნდა: „ცა" ერთის მხრით აღნიშნავდა 'ძრავას',—'მსვლელობას',—'სივრცეს', მეორეს მხრით 'წელიწადს'—'დროს' ('ჟამს') [1]. ეს კი შემთხვევითი არ არის, იგი ბუნებრივია. ადამიანს განვითარების ამ სტადიაზე არ შეეძლო მისულიყო სხვა მდგომარეობამდე. ენის განვითარება და ამ განვითარების ტენდენცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრულ სტადიაზე ადამიანმა ყველა ობიექტურ მონაცემს თავისი სახელი უწოდა არა თუ ერთი, ხშირად მრავალი. გამდიდრდა ლექსიკონი. ენის განვითარების ისტორიის ეს პროცესი დღეს ყველასათვის აშკარაა.

თანამედროვე კულტურული ადამიანი აღშფოთდება, როდესაც გაიგებს, რომ ქართული ენის განვითარების განსაზღრულ სტადიაზე „წელი"—ადამიანის სხეულის ის ნაწილი, სადაც ვირტყამთ სარტყელს და „წელ-ი"—'წელიწადი'—ერთი-და-იგივე სიტყვა იყო. ნ. მარრმა ცხადყო, რომ ეს ორივე სიტყვა დაკავშირებულია „ცასთან". „ერთი სახელდობრ „წელ" 'წელიწადი' ცის ტრიალ ბრუნვასთან და მობრუნებასთან მინამსგავსი... და „წელ" რუს. талья, ფრანგ. ceinture, სხეულის შუა ადგილი, სადაც სარტყელი (ფრანგ. იგივე ceinture) ირტყმება, ცის სიმრგვალესთან შეთანაბრებული: ასეთ მნიშვნელობათ ისტორიის მიზეზია,—წერდა, მარრი,—რომ ქართულში ჩვეულებრივ ხმარებული „ქამარ-ი" 'სარტყელი' და „კამარ-ა" voûte, arc, 'ცის კამარა' ერთნაირად წარმოადგენენ 'ცას', უკეთ მის მრავლობით სახეს 'ცანი' ან 'ცები', რადგან ორივე სიტყვაში დაბოლოება „არ" მრავლობითის ნიშანია"-ო[2].

მაშინდელი ადამიანის ლექსიკა ძალზე ღარიბი იყო. ცნობილია, თუ „ხელი" რამდენი ობიექტური მონაცემის მნიშვნელობას გამოხატავდა. არა თუ მარტო ხელი, ბევრი იყო აუარებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა. იაფეტური თეორიის უდიდესი თეორეტიკოსი ამ მდგომარეობას ასე განმარტავს:

„პირვანდელ ენას არც ესაჭიროებოდა სიტყვების სიმრავლე, იმიტომაც, რომ ერთი სიტყვით პირვანდელი ადამიანი ჩვენი ლოგიკური აზროვნებით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საგნის გამოხატვას ახერხებდა. კაცობრიობის შემდეგ მოვლენილ განვითარების ხანებში სიტყვის შექმნის ამ პირვანდელ სისტემას მოყვა ის, რომ, როგორც იაფეტური პალეონტოლოგია გვიჩვენებს,

[1] ნ. მარრი, ნაპერწკლები და შენიშვნები იაფეტური თეორიის შესახებ.

[2] იქვე.

ერთი სიტყვა ათას, ათიათას სხვადასხვა საგნის აღმნიშვნავი გამოდის. ერთი ასეთი უბრალო სიტყვა, როგორიც გახლავს „ხელი", იაფეტურ ენებში ასიოდე და მეტსაც სხვადასხვა მთავარ მნიშვნელობის ტარებას ძლებულობს"[1].

მეტყველების პალეონტოლოგიის მეთოდით მუშაობამ ნ. მარრი მიიყვანა მეტად საინტერესო დასკვნებამდე. აღმოჩნდა, რომ სიტყვა „თესლი"-დან, რომელსაც სპარსულად ტომის მნიშვნელობაც აქვს, იწარმოება 'ნათესავი', სიტყვა 'ქმარი' წარმონაშობია 'ძმა'-დან, როგორც ნ. მარრი წერს, თავის დროზე „ოჯახის აღორძინების ადრე 'ძმა' ქმრის ვალდებულებას ასრულებდა. თვით ლათინური სიტყვა „tribu-s" პირვანდელი იაფეტური სახით „et-rem-on" 'ძმობილობას' ან 'მოძმეობას' ნიშნავს".

თესლი და მისგან ნაწარმოები ნათესავი კი ტოტემის სახელწოდებაა, წარმოადგენს ტოტემის თავისებურ ვარიაციას.

დამახასიათებელია, რომ ენობრივი კულტურის განვითარების ეხლანდელ სტადიაზე, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ფორმით ნაციონალურისა და შინაარსით სოციალისტური კულტურის ფართოდ განვითარებასთან—ადვილადაა შესაძლებელი პირვანდელი ენობრივი თავისებურებების აღდგენა. სხვათა შორის ამას ნათელჰყოფს სიტყვა „ქარი"-ს ანალიზიც. ამ სიტყვის წარმოშობა უდავოდ პირველყოფილი ადამიანის აზროვნებას ეკუთვნის[2]. 'ქარი' სულ სხვა მნიშვნელობას ატარებს, 'ქრის' კიდევ სხვას. პირველი არ შეიძლება იყოს წარმოშობილი მეორედან; საფიქრებელი კია, რომ მეორე პირველის პროდუქტს წარმოადგენს.

'ქარის' გენეზისის შესწავლით დამტკიცდა, რომ იგი მნიშვნელობით დაკავშირებულია 'ცასთან'. 'ცა' იდენტურია 'მზის', ხოლო 'მზე' resp. 'მთვარე' და 'თვალი'—'მრგვალის', 'ბორბლის'[3] და სხვ. ის ადამიანი, რომლისათვის მომაბეზრებელია ლინგვისტთან საუბარი, აღშფოთდება, გამეტებულად შეიჭმუხნავს წარბებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ ამის ახსნით ირკვევა ჩვენი უძველესი წინაპრების არა მარტო აზროვნების ჰორიზონტისა და მეტყველების კულტურის დონე, არამედ ენის სპეციფიკური მხარეები და მისი განვითარება

სიტყვა 'ქარი-'ს გენეზისის შესწავლა ამას გარდა კიდევ სხვა ფრიად საგულისხმო დასკვნებსაც გვაძლევს. 'ქარი' ადამიანის წარმოდგენაში გულისხმობდა გარკვეულ პროცესს 'ქროლას' ან 'ბერვას'. აქედან ნაწარმოები სიტყვაა და-**ბერ**-ა, სა-**ბერ**ველი, გა-**ბერ**-ა და ა. შ. ეს ზმნა „**ბერ**" ელემენტი B-დან უნდა იყოს მიღებული, „ბერ" აგრეთვე იმავე მნიშვნელობით გვხდება რუსულშიც[4]. შაგალითად „**буря**", რომლის მსგავსი სიტყვა ქართულშიც მოიპოვება. მაგალითად, 'ბუქი'. ყველა ეს მწკრივები კი დაკავშირებულია და მომდინარეობს „ციდან".

---

[1] ნ. მარრი, ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით.

[2] ნ. Марр, Почему так трудно стать лингвистом-теоретиком კრებულში „Языковедение и материализм". ლენინგრადი, 1929 წ., გვ. 51.

[3] იქვე, გვ. 52. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 'ბორბალი' ამ შემთხვევაში ჩვენ მოტანილი გვაქვს რუსული 'колесо'-ს სინონიმად, რაც გურულ 'გოგორ'-ას ნიშნავს. ა. ღ.

[4] იქვე, გვ. 53.

ქართული სიტყვების 'ქარი', 'ქრის'—კავშირი „ცასთან" მტკიცდება იქიდანაც, რომ, მაგალითად, სომხურად kar-q—'повозка', ქართულად გორ-ავ-ს, გო-გორ (გოგორა, ბორბალი) ალნიშნავს ბასკურ goy—>go, 'ცას'. ყველაფერი ეს კი აგრეთვე დაკავშირებულია „თავთან". მაგალითად, სომხურად „gl-u-q. (kol+O—q), რუსულად „гол+о+ва" და ა. შ. ხოლო აქედანვე მომდინარეობს ქართული გორ-ა (გორაკი), მეგრული gor—e (პატარა მთა), აგრეთვე რუსული „гор-а" [1],—ერთი-და-იგივე ობიექტური მონაცემის აღმნიშნავი სიტყვები.

როგორც ვხედავთ, პალეონტოლოგიური კვლევა-ძიება იძლევა საიმედო. გასაღებს ენის სიძველის თავისებურებების და უწინდელი ადამიანის მეტყველების კულტურის დონის შესწავლისათვის. უკვე დადასტურებულია, რომ სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა, ე. წ. პოლისემანტიზმი, ენის განვითარების განსაზღვრულ სტადიას წარმოადგენდა, მაგრამ ყველაფერი ამით როდი სწყდება, ამ საკითხში, სწორედ იმაში, რომ დამტკიცებულია სიტყვის პოლისემანტიზმი, ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ენის განვითარების ტენდენცია.

ენისა და საზოგადოდ მეტყველების კულტურის განვითარების მსოფლიო ისტორიაში, ენის შესახებ ახალი მოძღვრების უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ პირველმა მან დაასაბუთა ენის განვითარების ბუნება, სიძლიერე და თავისებურება. მაგრამ განვითარების ამ ტენდენციის აღმოჩენისა და შესწავლისათვის როდია საკმარისი ვიწრო ნაჭუჭში მოქცევა; არც მხოლოდ რამდენიმე ენის შესწავლით თვითკმაყოფილებისათვის მიცემა, არამედ ყველა ამასთან ერთად საჭიროა ენათა ცალკეული დიალექტების, ეგრეთწოდებული „კეთილშობილი" და „არაკეთილშობილი" ენებისათვის ანგარიშის გაწევა. რასაკვირველია, თუ ეს მომენტი დავიწყებულია, თუ ენათმეცნიერი ეყრდნობა მხოლოდ ერთ ან ორ „კეთილშობილ ენას", რომელზედაც შექმნილია, თუ გნებავსთ, მდიდარი სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა, გვერდს უვლის ე. წ. „არაკეთილშობილ"-უმწერლობო ენას, ნამდვილად ვერასოდეს ვერ შესძლებს ენის მეცნიერულ შესწავლას, მისი ყველა თავისებურებების ნამდვილ ანალიზს.

II

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტყველების პალეონტოლოგიის საშუალებით ენის შესახებ ახალი მოძღვრება არკვევს მეტყველების განვითარებას, ცვალებადობის სტადიების მიხედვით. ენის უდიდესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ადვილად უღებს მკვლევარს კარს ენობრივ ფორმებში ჩამარხულ საიდუმლოებათა ლაბირინტში შესასვლელად. ენას შემონახული აქვს ბევრი ისეთი თავისებური სიტყვა, რომლის პალეონტოლოგიური ანალიზი მთელი თავისი სიცხადით ააშკარავებს ამ გარემოებას. აკად. ი. ი. მეშჩანინოვი, მაგალითად, პირდაპირ აღიარებდა, რომ „ჩვენ შეგვიძლია ამ სიტყვის ანალიზი მოვახდინოთ და მასში დავინახოთ ისეთი ეპოქების ანარეკლი, რომლებიც ადამიანის

[1] იქვე, გვ. 52.

მიერ შექმნილ და არქეოლოგთა მიერ ამონათხარ ძეგლთა სტადიებზე უფრო ძველია".

საღად მოაზროვნე ადამიანისათვის, რასაკვირველია, სიტყვა განყენებულ ცნებას არ წარმოადგენს. მხოლოდ ფილისტერს შეუძლია ამტკიცოს სიტყვის თავისთავადობა, მისი დამოუკიდებლობა, „ღვთაებრივი, ზეგარდამო იდუმალი ძალა".

წინააღმდეგ დიდი და მცირე ყალიბის ინდოევროპეისტებისა, ნ. მარრი ამბობდა: „ენის შესახებ ახალი მოძღვრება, იაფეტური თეორია, პირველ ყოვლისა დამყარებულია ალმოცენებისა და განვითარების კანონზომიერებაზე ჯერ მეტყველების, შემდეგ სიტყვების, როგორც სოციალური ღირებულებისა; ისინი წარმონაშობია საწარმოო ურთიერთობიდან თავის დიალექტიკური განვითარების პროცესში და გაფორმებულია სათანადო სტადიების აზროვნების მიერ"[1].

წინააღმდეგ ყველა ჯურის მეტაფიზიკურად მოაზროვნეთა, ნ. მარრი ამტკიცებდა: „ენა ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედების და მისგან ჩასახულ შინაგანი ცხოვრების გამოცხადება არის. ენა ცარიელი ბგერა არ გახლავს, არც სიტყვა მხოლოდ მისი მნიშვნელობა. ენა სიტყვა და საქმეა. თავდაპირველად განუყოფელი სიტყვა და საგანია ერთად შედნობილი. ასე, რომ სიტყვა თავდაპირველში საგნის გამომხატველია, მისი ცოცხალი სურათია"[2] ამიტომაა, რომ სიტყვის შესწავლის საქმეში ენის შესახებ ახალმა მოძღვრებამ წინა პლანზე წამოსწია მისი (სიტყვის) სემანტიკის გაგება, მნიშვნელობის გამორკვევა.

ცნობილია, რომ ადამიანი თავის განვითარების ცალკეულ სტადიებზე აფართოებდა, ასხვაფერებდა და ცვლიდა სიტყვის მნიშვნელობას. ერთი სიტყვიდან იქმნებოდა მთელი მწკრივები და ეს მწკრივები ჯგუფდებოდენ პირვანდელი სიტყვის მნიშვნელობის ნაირსახეობად. ეს ე. წ. სემანტიკური მწკრივები ანუ მნიშვნელობათა მწკრივები, რასაკვირველია, მთლიანად დაკავშირებული იყო ერთ ძირითად მნიშვნელობასთან. ამის შესახებ ჩვენ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი უკვე მოვიტანეთ. ერთი მაგალითი კიდევ.

ახალი მოძღვრება აღიარებს ენებს შორის ნათესაური ურთიერთობის არსებობას; მაგალითად, უკვე დამტკიცებულია ქართული ენის გარკვეული ნათესაური კავშირი ე. წ. ბერბერულ ენასთან, ეს კავშირი, თავისთავად ცხადია, სათანადო სტადიით ისაზღვრება. ებლაც, დღევანდელ სალიტერატურო ქართულსაც შემონახული აქვს ცალკეული სიტყვები, რომლებიც იმავე მნიშვნელობით გვხვდებიან ბერბერულ ენაში. ქართულში წყალის აღსანიშნავად ჩვენ მოგვეპოვება სიტყვა, 'სუ'[3], რომელიც წყალის სინონიმად იხმარება თურქული სისტემის ყველა ენებსა და თვით ბერბერულშიც. 'სუ' სიტყვიდან ქართულში ნაწარმოებია ზმნა 'სუ-მა', სმა დაღევა' 'წუ-მა', (წვი-

[1] ნ. მარრი, Язык и мышление.

[2] ნ. მარრი, ქართული ერის კულტურული წუბლი ენათმეცნიერების მიხედვით. „მნათობი" № 5 (13), 1925, გვ. 289. კურსივი ჩვენია. ა. ღ.

[3] ნ. მარრი, რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნისა და განვითარების მსოფლიო ისტორიაში, ტფილისი 1930, გვ. 8.

[4] იქვე.

მა)-ე. წ. ბაგის მიერ გახმოვნება, ამ სიტყვას აკუთვნებს შიშინა ჯგუფს, ანუ უნდა დაუშვათ, რომ თავის დროზე 'სუ-ს' ნაცვლად არსებობდა 'შუ', იმავე წყალის აღსანიშნავად. მართლაც, ამას ადგილი აქვს შიშინა ჯგუფის ენებში ჭანურსა და მეგრულში. მაგალითად, ჭანურში გვხვდება 'ო შუ-მუ'—სმა,—მეგრულში 'შუ-მა-ფა', რაც აგრეთვე იმავე მნიშვნელობას ატარებს[1]. ხოლო ჩუვაშურში კი 'შუ' აქამდე ატარებს პირდაპირ წყლის მნიშვნელობას[2]. აშკარაა, რომ „შუ", „სალ" ელემენტის (A) თავისებურ სახეობას წარმოადგენს, ხოლო მისი უძველესი სახე კი იყო „წყალ".

ამრიგად, როგორც ჩანს, ამ ე. წ. სემანტიკური მწკრივების ახსნა და თვით სიტყვის ცვალებადობის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ლინგვისტური ელემენტების საშუალებით, რომელზედაც დაიყვანა ნ. მარრმა იაფეტური ენების მთელი ლექსიკური მარაგი.

არკვევდა რა სიტყვის ახსნის საკითხს, ნ. მარრი წერდა: „უმთავრესი საგანი სიტყვების ფორმალურ ახსნაში გახლავს, ოთხ ლინგვისტურ ელემენტის შეგნება და შეთვისება. ახალი სწავლა, იაფეტური თეორია, უკუაგდებს განცალკევებულ ბგერათა ფეტიშურ თაყვანისცემას, მათ გრამატიკულ ფუნქციისაგან დამოკიდებულ სტატიურ განყენებულ მნიშვნელობის უძრაობას და ხელმძღვანელობს შედარებითს ადრე, სემანტიკის პალეონტოლოგიით აღმოჩნილ ფონეტიკურ ცვლილების კომპლექსობას, წარმომდინარეს ამ კომპლექს ბგერების ერთად ერთ მთელ სიტყვად ყოფილობას. ენის სტადიურ განვითარების უძველეს საფეხურზე, და ეს მარტივი სიტყვები შეადგენენ რა ოთხ ლინგვისტურ ელემენტს თავის აგრეთვე ცვალებად მნიშვნელობით ენის განყენებულად მიჩნეულ მოვლენებს უკავშირებენ საზოგადოებრიობას და მის ფუძეს, წარმოებას და თან მატერიალურ კულტურის აგრეთვე ცვალებად ფორმაციას" [3].

რა თქმა უნდა, ერთი-და-იმავე ელემენტისაგან წარმოშობილ სხვადასხვა სიტყვას ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით ახლა, დღეს ერთი-და-იგივე მნიშვნელობა როდი აქვს. უკვე ავტორიტეტულ წყაროებიდან დადასტურებულია, რომ ერთი-და-იმავე ელემენტიდან წარმოშობილ სიტყვებს ზოგჯერ რადიკალურად ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, 'წყალს' და 'ცეცხლს', რომლებიც ელემენტი „სალ"-იდან (A) არიან წარმოშობილი ეხლა სულ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვსთ. აქვე უნდა მოვიგონოთ ელემენტი A-ს თავისებური ვარიაცია 'კურ-ცხალ'—თვალის წყალი; (თუმცა ეს უკანასკნელს ორ ელემენტს შეიცავს). რაც შეეხება „ცეცხლს", იგი წარმონაშობია 'ცხალ-დან', რომელიც თავის დროზე აღნიშნავდა 'ცას', 'ზეცას', 'ქვეცაც', 'ქვესკნელს' ზღვითურთ, მაშასადამე ნიშნავდა წყალსაც[4].

ასეთია მეტყველების პალეონტოლოგიისა და ოთხი ლინგვისტური ელემენტის გამოყენებით ჩაღრმავებული ენობრივი კვლევის ის სისტემა, რომელიც კარგა ხანია რაც ჩამოაყალიბა ენის შესახებ ახალმა მოძღვრებამ.

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 12—13.
[4] იქვე.

იმავე კრებულში აღნიშნულია: „ქართულს გარდა არც ერთს საკუთრივ კავკასურ ენას ისტორია, დამწერლობის ძეგლებში მოცემული, არ მოეპოვება; ამ თანდაყოლილ „ცოდვას“ ვერავითარი „მადლი“ ვერ გამოისყიდის; ამ დანაკლისის მთლიანად ანაზღაურება შეუძლებელია; ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლაც სპეციფიკურ ჩარჩოებშია ამიტომაც გამომწყვდეული და პერსპექტივებიც საკმაოდ შემოფარგლული“ [1].

უმწერლობო ენების თეორიულად გამოუსადეგარობის შესახებ საეჭვო რწმენა იმდენად მძლავრად იყო და არის ინდოევროპეისტებში გამჯდარი, რომ ისინი ასეთ ენაზე მსჯელობას უკულტურობად და ჩამორჩენილობადაც თვლიან. მათი შეხედულებით, უმწერლობო ენები ენათმეცნიერების განვითარებას გზას გადაუღობავს, გასაჭანს არ მისცემს. არნ. ჩიქობავას, მაგალითად, ასეთმა შეხედულებამ შემდეგი სიტყვებიც კი წამოაცდენია: „უმწერლობო ენა ვერასოდეს ვერ მისცემს შედარებით მეთოდს იმ გასაჭანს, რასაც იგი ჰპოებდა ინდოევროპულ ენათა შესწავლისას“ [2].

რასაკვირველია, ამით არც „წელიწდეულის“ პატივცემული თანამშრომლები და მათ რიცხვში არც ჩვენ მიერ მოხსენებული არნ. ჩიქობავა ახალს არაფერს გვთავაზობს. ისინი იმეორებენ იმას, რის შესახებაც უკვე დიდხანია წერენ და ლაპარაკობენ ცნობილი ინდოევროპეისტები (ინდოევროპეისტიკის მეთაურმა, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. მეიემ ამის შესახებ არა ერთხელ მიუთითა თავის მიმდევრებს).

ნ. მარრის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი მოკიდა მეტისმეტად ნაირსახეობის მქონე ენებს, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა. ასეთი ენები კერძოდ ამიერკავკასიაში დაჯგუფულნი არიან ძალიან მცირე ტერიტორიაზე, მაგრამ ხასიათდებიან „აგებულებითა და ლექსიკური მარაგის კოლოსალური სხვაობით“. ამით ნ. მარრმა გააღრღვია ვიწრო ჩიხი და ხელი მოკიდა დიდი მასალის შესწავლას, რითაც იგი საბოლოოდ დაშორდა ინდოევროპეიზმის მეთოდოლოგიას, ტრადიციას[3]. მეიე და გამოუკლებლივ ყველა მისი მიმდევრები აღიარებდენ, რომ ძველია ის ენა, რომელიც თარიღდება უფრო ძველი დროით. ამრიგად, ინდოევროპეისტები ენობრივ სიძველეს მთლიანად უკავშირებენ წერილობითი წყაროების სიძველეს. იაფეტიდოლოგიამ თანამედროვე უმწერლობო ენების და ხალხური მეტყველების საფუძვლიანი შესწავლით ნათელჰყო, რომ ისტორიული თარიღები ენის სიძველის გამორკვევის საქმეში არაფერ შუაშია, „ისტორიული თარიღები არავითარ როლს არ თამაშობენ ამა-თუ-იმ ენობრივი ფორმის ანუ მოვლენის გენეტიური მოვლენის განსაზღვრისას“ [4]. ხანგრძლივი ჩარღმავებული კვლევის

[1] იქვე, გვ. VI.
[2] ზოგადი თვალსაზრისისათვის, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეული“, გვ. 17.
[3] შდრ. ი. მეშჩანინოვი, იაფეტიდოლოგია და მირჭსიზმი, დ. კარბელაშვილის თარგმ. ტფ. 1932 წ.
[4] ნ. მარრი, По этапам развития яфетической теории, 1926, გვ. 202.

შედეგად ნ. მარრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ წერილობითი დოკუმენტები, რომელთაც მოუღწევიათ აქამდე, თუ გნებავთ იგი დათარიღებული იყოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ან სამი და მეტი საუკუნით ადრე (მაგალითად ბაბილონელები, რომლებიც ცხოვრობდენ და კულტურას ქმნიდენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე), ენობრივი აგებულებისა და ფორმის მხრით გაცილებით ახალი თავისებურებების შემცველია, ვიდრე ახლანდელი ხალხური ენები ანუ, უკეთ, იმ ენებში დაცული თავისებურებები, რომელთაც დამწერლობა არ გააჩნიათ. ერთი შეხედვით აქ შეიძლება აღშფოთდეს ადამიანი: როგორ, ათი საუკუნით ადრე, ჩვენს დრომდე, დაწერილი რომელიმე წყარო უფრო ახალია, ვიდრე ახლანდელი ხალხური ენა?, როგორ შეიძლება ვთქვათ მე-7, მე-8 საუკუნეში დაწერილი ძეგლები (ძველი ქართული) ენობრივად უფრო განვითარებულ ფორმებს შეიცავს, ვიდრე, თუ გნებავთ, ახლანდელი ქართული ხალხური მეტყველება, მაგალითად გურული, ხევსურული, აჭარული? ეს ყველაფერი ხომ ზღაპარიაო—და მართლაც ბევრი კიდეც ფიქრობს ასე. მაგრამ მათ ერთი „უმნიშვნელო“ მომენტი ავიწყდებათ, სახელდობრ ხალხურისა და სალიტერატურო ენის ურთიერთობა.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენა მუდამ გაბატონებული კლასის ენა იყო. ამ ენით ძველად სარგებლობდენ მხოლოდ პრივილეგიური კლასები, რომელთაც თავიანთი წოდებრივი მდგომარეობის გამო საქმე ქონდათ სახელმწიფოებრივ აპარატთან, ხოლო ხალხი, მშრომელი მასები დაშორებული იყო მისგან, ხალხური მეტყველება ვითარდებოდა სალიტერატურო ენასთან დამოუკიდებლად. სალიტერატურო ენა ძეგლებში ინახავდა მმართველი კლასის მიერ ენაში შეტანილ ცვლილებებს, ხალხური მეტყველება კი ტრადიციულად არ ივიწყებდა „დასაბამიდან“ წამოსულ სიტყვებს და ფორმების თავისებურებებს. ამდენად სალიტერატურო ენა უფრო მოქნილი იყო, იგი უფრო მეტად და სწრაფად ვითარდებოდა, ხოლო ხალხური მეტყველება კი ინარჩუნებდა მეტ კონსერვატიულობას, ნაკლებად იმჩნევდა განვითარებას.

მე-6, მე-7 საუკუნის ტექსტებში მოცემული ენა ქართული ფეოდალური კლასის სალიტერატურო ენაა, თუმცა მეღავნდება, რომ იგი არ იყო მარტო ქართლელ ფეოდალთა და წარჩინებულთა კაპრიზების ენა, მის შექმნაში (ისტორიული ცვლილებების შედეგად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსთან უფრო დაახლოების გამო) მონაწილეობა მიუღიათ, როგორც იმერელ, ისე გურულ და სხვა თავადაზნაურებს. ოდესღაც ნ. მარრს დაუწერია: „მე-6 და მე-7 საუკუნიდან ამ სალიტერატურო ენის განვითარებაში მიიღებენ მონაწილეობას ქართლელ ქართველებს გარდა სხვა ქართველთა ტომებიც, იმერლები, მეგრელები, სვანები, ჭანები და სხვანი. და ამათ საზოგადოდ ქართულ ლიტერატურაში ერთობით შეაქვთ, რასაკვირველია, უფრო დიდი განძი, ვინემ თვით ქართლელებს და ამგვარად ტომობრივი ლიტერატურა მათი გარდაიქმნა ნაციონალურად და სალიტერატურო ენა ქართლულ დიალექტურისაგან ზოგად ქართველთა ენათ. აი ამის გამო მრავალი ადგილი ქართველთათვის უძვირფასესი პოემის „ვეფხის-ტყაოსნისა“ უფრო კარგად ესმით, მაგალითად გურულებს ან იმერ-

ლებს ვინმე თვით ქართლელებს, ვიდრე თვით ეთნოგრაფიულ საქართველოს სხვა შვილებს"[1].

მაგრამ ეს ენა ხომ არ ყოფილა ხალხის კუთვნილება, მით ხომ საზოგადოების უმცირესი ნაწილი სარგებლობდა.

ძველი ქართული, რომელიც წარმოდგენილია აქამდე მოღწეული ძეგლებით, მძიმე და მაღალფრაზოვანია, თანაც ძნელი ასათვისებელი. ესეც, რასაკვირველია, ცალკეულ მოწმობს, რომ იმით სარგებლობდენ მხოლოდ მაღალი, წარჩინებული კლასები და არა ფართო მოსახლეობა, მშრომელები. მშრომელთა მასების ენა კი ხალასია, სადა, მსუბუქი, მრავალფეროვანი და ადვილად ასათვისებელი.

მაგრამ ყველაფერი ეს შესამჩნევია არა მარტო ქართულში, კერძოდ ძველი ქართულის ხალხურთან შედარებისას, არამედ ეს დადასტურებულია ყველა ენაში. ნ. მარრმა დაამტკიცა, რომ ევროპის კონტინენტზე დაცული ე. წ. ახალი ენები: ფრანგული, გერმანული, ინგლისური, რომელზედაც ახლა მოიპოვება მდიდარი ტექნიკურ-ეკონომიური და მეცნიერული ლიტერატურა, გლოტოგონიურად უფრო ძველებია, ვიდრე ევროპის მკვდარი კლასიკური ენები: ლათინური და ბერძნული[2]. ახლა თვით ინდოევროპეისტებისათვისაც აშკარა უნდა იყოს, რომ ევროპის ე. წ. ახალი ენების, მათ რიცხვში განსაკუთრებით გერმანულის, წარმოშობა იაფეტური სისტემის ენათა გეოგრაფიულ ტერიტორიას ეკუთვნის.

სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ იაფიტიდოლოგიის მამამთავრის ჯერადლება უკანასკნელ ხანებში მიიპყრო გერმანულისა და იაფეტური სისტემის ენების, კერძოდ სვანურის, ახლო ენოვნებამ კავშირმა. საგულისხმო ისაა, რომ ხმოვანთა გამოთქმის ის თავისებურება (ფონეტიკა), რომელიც გააჩნია სვანურს, იმგვარადვეა მოცემული გერმანულში, ასევე ზმნებიდან ძირის ცვლა, დაბოლოვებათა მიმართება, ზმნის წყობა[3] და მთელი რიგი სხვა ისეთი თავისებურებები, რომელიც გერმანულ ენას საკუთრებით აკუთვნებს ინდოევროპულ ენათა „ოჯახს", თითქმის იმავე სახით მოცემულია არა თუ მარტო სვანურში, მთელ რიგ შემთხვევებში ქართულშიც[4]. რა თქმა უნდა, ამის გამორკვევა კიდევ უფრო აფართოებს ენის შესახებ ახალი მოძღვრების ჰორიზონტს და აჭარწყლებს ინდოევროპეიზმის რასიულ თეორიას ევროპულ ენების წარმოშობის შესახებ.

აქედან მტკიცდება აგრეთვე, რომ იაფეტური სისტემის ენებმა, კერძოდ ამ ენებმა, რომლებიც მდებარეობენ კავკასიაში, აქამდე „მეტყველების უფრო ძველი სტრუქტურა, მისი უფრო ძველი აგებულება შეინარჩუნეს, რომლიდანაც შემდეგ გამოვიდენ ის ენები, რომელზედაც ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები და რუსები ლაპარაკობენ. მაშასადამე, ის, რაც ახლა შენახულია კავკასიის

---

[1] ნ. მარრი, ქართველთა ეროვნება, ჟურნალი, 1905 წ., გვ. 5, აგრ. „Рассвет" № 68 და 69, 1905 წ. 14 და 15 მაისი.

[2] ნ. მარრი, Язык и мышление.

[3] ნ. მარრი, Избранные работы, т. I., „Новый поворот в работе по яфетической теории" (из результатов научной командировки в Германию, გვ. 323. Ленинград, ГАИМК, 1933 წ.

[4] იქვე.

მცირე უბნის ფარგლებში და რაც შენახულა თვით ინდოევროპეისტების მოწმობითაც უფრო მცირე ფარგლებში დასავლეთში, სახელდობრ პირენეთში, საფრანგეთის სამხრეთით და ესპანეთის ჩრდილოეთით,—მთელ ევროპაში და აზიაში, წარმოადგენს საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მეტყველების ნაშთს, ნაშთს იმისას, რომ წინანდელი უცვლელი სახით შეინახა, იმ დროს, როდესაც გარშემო ყველაფერი წინ წაიწია და აღმოაცენა ის ენები, რომლებსაც ინდოევროპული ენები ეწოდება"[1].

ამას გარდა, რომ გერმანულ-სვანურის ურთიერთ კავშირის საკითხის გარკვევას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპული ენების წარმოშობის საკითხის შესასწავლად, არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება მას სხვა მხრითაც. კერძოდ, ეს ყველაზე მკაფიოდ ამახვილებს ჩვენს ყურადღებას კოლონიალურ, ნახევრად-კოლონიალურ და ყოფილ კოლონიალურ ხალხების ენათა შესწავლის საკითხის შესახებ, ვინაიდან სწორედ ამ ხალხთა ენებს, რომელთაც უგემიათ გაბატონებული კლასების უმოწყალო დამცირება და რომელთაც არ მოეპოვებათ საკუთარი დამწერლობა, საკუთარი (ხალხური) ენის მთელი სიმდიდრე შემოუნახავსთ ზეპირმეტყველების სახით; მათ აქამდე თავიანთი ზურგით მოუტანიათ ენის მთელი სიძველე და, რაც მთავარია, მისი წარმოშობის შესწავლისათვის საიმედო გასაღები.

ამიტომაცაა, რომ ენის შესახებ ახალი მოძღვრება უდიდეს ყურადღებას აქცევს ასეთი ენების შესწავლის საქმის წინა პლანზე წამოწევას, მათთვის დამწერლობისა და საკუთარი ლიტერატურის შექმნას.

მაგრამ ჩვენი დებულება იმის შესახებ, რომ ახლანდელ სალაპარაკო ხალხურ ენებში შემონახულია უფრო მეტი სიძველე, ვიდრე ძველ, თუ გნებავსთ მკვდარ, ან ჩვენგან საუკუნოებით დაშორებულ, წერილობითი წყაროებით წარმოდგენილ ენებში, ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს ჩვენ ერთბაშად უარვყოფთ წერილობითი წყაროების დანიშნულებას საზოგადოდ და ვაღიარებთ ახლანდელი ხალხური მეტყველების დგომას პირვანდელ სტადიაზე. არა. წერილობით წყაროებს როგორც სხვა მეცნიერებათა დარგებში, ისე ენათმეცნიერებაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უძველეს ფორმებისა და ზოგჯერ ენობრივი სტურქტურის შესწავლის საქმეში იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ავტორიტეტულ დოკუმენტად. ამ მხრით საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს ხალხური მეტყველება, რომელსაც შემონახული აქვს სიძველენი, ცალკეული ფორმების, სტრუქტურისა და სიტყვების სახით. „როგორც ცალკეული ნამსხვრევები თავისი ძირითადი განვითარების გამო უკვე შეცვლილ სამეტყველო აგებულებებში".

ამ დებულების საილუსტრაციოდ ორიოდე მაგალითს მოვიტანთ ჩვენი დაკვირვებიდანაც, ძველი ქართულისა და ქართულის ახლანდელ დიალექტებიდან.

IV.

აკად. ი. მეშჩანინოვი სამართლიანად ამბობდა: „ხუთი ათასი წლის გაქანებამაც კი ვერ შეარყია და ვერ გააქრო ის დაკვირვება, რომელიც მან (მარრმა. ა. ღ.) ჯერ კიდევ ძველი ქართული ენისა და თანამედროვე ენის შედა-

[1] ი. მეშჩანინოვი, იაფეტიდოლოგია და მარქსიზმი, გვ. 29.

რებისას მოახდინა. კერძოდ, ჩვენგან ათასეული წლობით დაშორებულ შუმერულ ენაში მან უფრო მეტად განვითარებული მეტყველება იპოვა, ვიდრე ის მეტყველება, რომელსაც ის ვოლგას მხრის მოსახლეობაში სწავლობდა, კერძოდ ჩუვაშებში". მართლაც, ძველ ქართულში გვხვდება ბევრი უფრო განვითარებული სიტყვები და სიტყვათა წარმოება, ვიდრე ახლანდელ ხალხურ მეტყველებაში.

ძველ ქართულში, კერძოდ, იმ წერილობით წყაროებში, რომელსაც აქამდე მოუღწევიათ, ხმოვნით დაბოლოებული სახელების მთელი რიგი ბოლოს იმატებენ ჲ-ს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ „ჲ"-ს ხმარება ძველ ქართულში არც ისე იშვიათია, იგი გვხვდება სიტყვების როგორც ბოლოში, ისე შუაში, მაგრამ მას გარკვეული სისტემა მაინც შემოუნახავს. სახელებში განსაკუთრებით ეს ადვილად შესამჩნევია ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში. ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება „ისა" და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება „ითა" ძველ ქართულში ე. წ. ხმოვნით დაბოლოებულ სახელებში სხვაფერდებიან. აქ „ი" ხმოვანი სუსტდება, კარგავს მარცვლიანობას და იქცევა „ჲ"-ად. მაგალითად, სიტყვა „უდაბნო" ნათესაობით ბრუნვაში უნდა იყოს „უდაბნოის(ა)", ნამდვილად კი ეს ასე არ არის, ამ სახელის ბოლოხმოვნის გავლენით ბრუნვის ხმოვნით დაწყებული ნიშანი (დაბოლოება) გადასხვაფერებულა: „ი" გამხდარა უმარცვლო, და აქედან იქნა მიღებული „უდაბნოჲს(ა)". ასეთივე მაგალითებია „იოვანეჲს(ა)", პავლეჲს(ა) და ასე შემდეგ. მოსალოდნელი კი იყო „იოვანეის(ა)", „პავლეის(ა)", და სხვ., რაც ქართულის ბევრ ახლანდელ დიალექტში მართლაც ასეა წარმოდგენილი.

ძველ ქართულში ახლანდელი სალიტერატურო ქართულის მიხედვით ხმოვნით დაბოლოებული სახელები დაირთავენ „ჲ"-ტს. ზოგ შემთხვევაში იგი მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებშიც გვევლინება. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი მე-8—10 საუკუნის წყაროებიდან. „რომელმაც ღმერთებისა ნათლითა აღავსო ცაჲ და ქოვეყანაჲ სავსებითოვრთ"[1], „რომელმან დაჰჭსნა მტრობაჲ პირველი და ახარა მშვდობაჲ შორეულთა და მახლობელთა", „საცნაოვრ ჰყავ თვთებაჲ ორთა ბოვნებათა", „და დღეს იშევ ბეთლემს ქალწოვლისაგან, ნათლად წარმართთა მზეჲ ეგე სიმართლისა", „ვითარმედ ქალწოვლმან გვშვეს ყრმაჲ", „ყოველად წმიდაჲ ქალწული", „და ღმერთ ჰყავ ბოვნებაჲ კაცობრივი კაცთ მოყოვარებათ", „ჟამთა მიცვალებისა შენისას, ინებე მეორედ შობაჲ ჰოვრისა მის", „სიბრძნეჲ სოვლისაჲ და განათლებაჲ გონებისა თოვლაჲ მომეც", „რომელმაც შექმნა ზღოვაჲ ესე დიდი და ვრცელი" და სხვადასხვა.

როგორც ჩანს, ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები სხვადასხვა კონტექსტში ირთავენ „ჲ"-ტს. ჩვენის აზრით, ეს „ჲ"-ტი არ შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე გრამატიკული კატეგორიის ნიშნად. ამ დასკვნამდე მივყევართ იმ მოსაზრებას, რომ როგორც ძველი ქართული ტექსტების შესწავლიდან ირკვევა, იქ სახელები განუსაზღვრელ მდგომარეობაში სწორედ ამ ფორმით გვევლინებიან. ამრიგად უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული „ჲ"-ტი, ძირეულია და არა გრამატიკული კატეგორიის აღმნიშვნელი ფორმანტი.

[1] ამოღებული გვაქვს პ. ინგოროყვას „ძველი ქართული სასულიერო პოეზია"-დან, იგი I, ტექსტები VIII—X საუკუნეები, ტფილისი, 1913 წელი.

ახალ სალიტერატურო (სასოციალისტურო) ქართულში იგი აღარ გვხვდება, ახლა არც ერთ კულტურულ ადამიანს არ წამოცდება „შობაჲ“ ან „ზღოვაჲ“. ასეთ სიტყვებში „ჲ“ წინახმოვნის გავლენით (ასიმილაცია) სავსებით დაკარგულა, და სიტყვები წარმოდგენილი გვაქვს „შობა“, „ზღვა“...

მაგრამ, იბადება კითხვა, არის თუ არა ფორმები „შაბაჲ“, „ზღვაჲ“... უძველესი ფორმები? (ჩვენ აქ უკვე აღარ ვჩერდებით ამ სიტყვების პალეონტოლოგიურ ანალიზზე, გვაინტერესებს მხოლოდ ფორმათა სიძველე). ჩვენი დაკვირვებით, ისინი უფრო ახალი სტადიის ფორმებია.

მისი უძველესი სახე ჩვენამდე წერილობითი წყაროების მიხედვით არ მოსულა. სამაგიეროდ, მისი აღდგენა შეიძლება ხალხურ მეტყველებაში, რომელსაც შემონახული აქვს იმაზე უფრო მეტად შორეული წარსულის სიძველე, ვიდრე მეხუთე საუკუნის სახელგანთქმული მწერლის იაკობ ხუცესის ჩვენამდე მოღწეულ თხზულებას „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“.

რას გვეუბნება ხალხურ ენაზე დაკვირვება? პირველ ყოვლისა, ხალხური მეტყველების შესწავლით აშკარავდება, რომ „ჲ“-იანი სიტყვები ძველ ქართულში გაცილებით ახალი სტადიისაა. ხოლო ამ სიტყვათა წარმოების უძველესი ფორმა-თავისებურების აღდგენა შეიძლება მხოლოდ ხალხურ მეტყველებაში. ამის დადასტურება შეიძლება საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, როგორც გურიაში, იმერეთში, ქართლში, კახეთში, ისე ხევსურეთში, აჭარისტანში და სხვ.

ჩვენ მაგალითებს მოვიტანთ ზოგიერთ ამ დიალექტიდან.

ახლანდელი სალიტერატურო ქართული ენის ნორმების მიხედვით ხმოვნით დაბოლოებული სახელები (მამა, დედა, და, ცა, ქვა, მთა, ხე, რკო, ბუ...) გურულში, აჭარულში და სხვაგანაც თავისებური ფორმით არის წარმოდგენილი. როგორც ბევრი სხვა ენის, ისე ქართული ენის ბუნება იმაშიც მდგომარეობს, რომ აქ, საზოგადოდ, სახელები ყოველთვის წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, მაგ. ქალი, შვილი, ხელი, ადამიანი, მდივანი... მაგრამ ყველა სახელს როდი აქვს სახელობითის ნიშანი. სახელდობრ, ე. წ. ხმოვნით დაბოლოებული სიტყვები სახელობითი ბრუნვის მანიშნებელ „ი“-ს არ დაირთვენ და ამ ბრუნვაში გვევლინებიან უცვლელი ფუძით. მაგ. მამა, ხე, ბუ, რკო... უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სიტყვებს თავის დროზე ასეთი ნიშანი ჰქონდათ. როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული ტექსტების მიხედვით, ხმოვნით დაბოლოებული ბევრი სიტყვა ბოლოს ირთავს „ჲ“-ტს. აქედან მტკიცდება, რომ გარკვეულ სტადიაზე სატყვას გააჩნდა ესა თუ-ის-ფორმალური თავისებურება. განსაზღვრულ სტადიაზე ეს თავისებურება გადაიქცა ენის განვითარების შემაფერხებლად და დაიკარგა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, განდევნა ენამ. მართალია, სალიტერატურო ენამ იგი განდევნა, დაკარგა, მაგრამ ხალხურ მეტყველებაში ასეთი ფორმები შემოინახა.

ეს მდგომარეობა ყველაზე მკვეთრად მოჩანს გურულში. გურულში ჩვეულებრივია ძმაი, დედაი (ნენაი), დაი, ხეი, ბუი... „შენ მოკალი ჩემი ძმაი, ამით დამიწყლულე გული, საწვალებლად ეს გეყოფა, ქე ხარ თოლზე გაგდებული“,

„ჩემი ძმაი ლამაზათ მყავს ლოგინზე დასვენებული“[1] და სხვ. „ბზეი ბრწყინავს, ცაი ღრუბლავს, თოლია დაზავებული“, ან კიდევ „ფალასკა გამომეცალა, ტყვია დავხარჯე ყველაი, კაბალახი მათ უჩვენე, დაჯექი თავშიშველაი, სანამ მჭონდა პატრონაი, ქე ვისროდი ცალხელაი ვკტები და გემშვიდოდები, მე ნიკოლოზ, მოხუზლაი“[2].

ამავე რიგს ეკუთვნიან გურული სახელები: აბდალაი, ბალანაი, ბზღარტუაი (დაბალი ტანის კაცი), გაიდონაი (ბულბული), კერიეი, კოჭობაი, კურკანტელაი (ეკლის ნაყოფია), გზაი, ბუსუნიკაი (უვარგისი), უზანდარაი (განჯინა), ნენაი, პაწაი, ფუხარაი (ლატაკი), შავრიოზაი (ძლიერ შავი), ციცაი, წიწიეი (ხორცი), ბლუი, ყრუი, ცრუი, პკეი, ჭლეი, ღრეი, ფხოი, ხფოი (ხბო), დროი, ჯორკოი, შტოი (ხის ტოტი), ლელოი, და მრავალი სხვა.

ამ სახელებში ბოლო „ი“ მარცვლოვანია. იგი ჩვეულებრივ მეტყველებაში მოისმის როგორც ნამდვილი „ი“. ძველი ქართულის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ მაგ. სიტყვა „ძეჲ“-ში „ჲ“-ტი ძალიან სუსტად, ხოლო ზოგ სიტყვაში ძლივსღა ისმის. „ჲ“—დასუსტებული უმარცვლო „ი“-ა[3].

ზემოდ მოტანილი მაგალითები გურულისათვის ბუნებრივია. იქ უკანასკნელად სალიტერატურო ენის ძლიერი გავლენით თუ წამოაცდენინებ ვისმე გზას, ღრეს, თორემ ჩვეულებრივ მეტყველებაში ყველა ლაპარაკობს გზაი, ღრეი, რვაი, ცხრაი და ა. შ. არა თუ ქართულ სიტყვებს აწარმოებს ამგვარად გურული, არამედ ამგვარადვეა ნაწარმოები ხმოვანზე დაბოლოებული უცხო სიტყვებიც, მაგალითად, კარაბინა-კარაბინაი, კანტორა-კანტორაი, ბოლერა-ხორიალაი, ბომბა-ბომბაი, ბროშურა-ბროშურაი და სხვ.

ამრიგად, ჩანს, რომ გურულში ახალი სალიტერატურო ქართულის მიხედვით ე. წ. ხმოვნით დაბოლოებული სიტყვები წარმოდგენილია მისი პირვანდელი, სრული ფორმით, ძველ ქართულში კი შედარებით განვითარებული ახალი ფორმით.

ვნახოთ, რა მდგომარეობაა აჭარულში. გურულის მსგავსად, აქაც „ი“-ს ხმარება ჩვეულებრივია. როგორც აჭარულ ხალხურ მეტყველებაზე დაკვირვება, ისე ჩანაწერი ხალხური ტექსტები გვიჩვენებს—ეს მართლაც ასეა. ლამბაი (ლამპარი), ესაკიაი, რიზმანაი, ყველაი, ძმაი, დაი, ცაი, გზაი[4] აჭარულში ჩვეულებრივია. ორიოდე მაგალითი ხალხური ჩანაწერი ტექსტებიდანაც.

---

[1] ლექსი ჩაწერილია გურიაში ამბ. მიხ. ჩიქოვანის მიერ. იხ. ამავე კრებულში „ფირალის ეპოსი გურიაში“, გვ. 113, 114.

[2] იქვე, 115.

[3] თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფიქრობენ წინააღმდეგიც. სვანურში „ჲ“-ტი თითქოს ქმნის მარცვალს. ბევრი ფიქრობს, მაგ., ებზე (ცოლი) სიტყვაში „ე“ თითქოს მარცვლოვანი იყოს. ეს ძნელი დასაჯერებელია. კერძოდ, სომხურში „յ“ (ი) არ არის ხმოვანი, არ ქმნის მარცვალს და არც იღებს მაბვილს.

[4] მაგრამ მრავლობით რიცხვში აჭარულში ეს სახელები კარგავენ ძირეულ „ა“-ს. მაგ. ძმაი, მრავლობითში იქნება ძმი-ები, დაი—დი-ები, ცაი—ცი-ები, გზაი—გზი-ები (იხ. მაკ. ხუბუა, ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა, ბათომი 1932 წ., გვ. 13).

„ერთი ღორი, ერთი დათვი და ერთიც მელაი დაძმობილებულან", „ილიასაი ღელე გალმა გაკრულ იყო შით ფურღუნში", „ერთი მაღლა შევიხედე, ფაითონისა ხმაი ჩანდა", „კედიაი იძახოდა გაგვიწყვიტა დიდპატარა", „შენისთანაი უსვინდისო არა კაციც არ იქნება", „თვალჭუჭუნაი, თეთრფეროვანი თვარესავით გამსილი"[1].

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში გურული და აჭარელი ერთისა-და-იმავე დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს. ერთიც და მეორეც მიუთითებს იმას, რომ ხალხურ მეტყველებას ჩვენ მიერ მოტანილი ფორმები უფრო ძველი სახით შემოუნახავს, ვიდრე, თუ გნებავსთ, ჩვენგან 15 საუკუნით დაშორებულ, აქამდე წყაროებით მოღწეულ ძველ ქართულ ენას.

საგულისხმო სურათს შლის ჩვენს წინაშე ხევსურული ხალხური მეტყველების შესწავლაც. აქაც დასტურდება არქაიზმები. მიუხედავად ტერიტორიალური დაშორებისა, გურული და აჭარული ხევსურულს დიდად წააგავს ამ მხრით. ხევსურები ამბობენ: „ძმაი ურუმებმ მამიკლეს, შინ მიოლ სირცხვილიანი"[2] (გვ. 69), „სადილობისად ცხენ-კათა ხვად(თ) სნოი (სოფლის სახელია. ა. ღ) მოგალიანო" (გვ. 69), „ბევრას დედაი იტირებს, ბევრა დაქვრივდა ქალიო (გვ. 91), „იონას არ სცილდებიან ძმის გარსიაის თვალნია" (გვ. 107), „ახალა მგელაის შვილი კაც დაიბადა რაფერი?" (გვ. 108), „ამდინარ-ჩამომდინარი წყემსი, მუშაი ძლებისა" (გვ. 109), „დედავ არ მინდა ბაჩანაი, მინდა გიგაიგიგაური" (გვ. 293), ან კიდევ—„ეს რომ მანდიაის, მამას გაუგავ, გაულანძღავ შვილი..."[3] (გვ. 183), „ჩაუვლავ არხოტის ჭალაი, ჩასულას საძროომთ"... (იქვე, გვ. 184), „ვმკით ყანას და შამაჩინდეს თოფ-იარაღით მართულნი გრარჯაიდ წვრილაი" (გვ. 191), „მარიემი და თინაი ტყვედ წაიყვანეს ქალნია" (გვ. 214), „ჯურამ გადეზა ლურჯაი, ეგ მუკლით ნიავ-ქარია" (გვ. 215).

ჩანს, რომ ხევსურული ხალხური მეტყველებიდან მოტახილი მასალებიც იმასვე მიუთითებს, რასაც გურული და აჭარელი.

იმავე მასალას იძლევა იმერულიც[4]. იმერული: გაგანიაი (ძლიერი სიცხე, პაპანაქება), ბოხოჭიაი (მწერის სახელია), მეგორდიაი (ჭიდაობის ფანდია), გუნტაკიაი (თამაშია), ჩაბუტიაი (ღარიბად ჩაცმული), სახახანაი, ჭორობიაი, ქინჩქინიაი,—ფორმით იგივეა, რაც გურულა ნენაი, აჭარული ილიასაი, ხევსურული დედაი და სხვ. მაგრამ იმერულის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ბევრს ე. წ. ხმოვნით დაბოლოებულ სახელებს ბოლოში ემატება „ე", რაც მოქმედებს „ი"-ზე და ამ უკანასკნელს ასუსტებს, აქცევს „ჲ"-ტად. მაგ. ერცუცქუნაე-ჲ, ვაცაე-ჲ, თხიპაე-ჲ., კერკეტაე-ჲ... მოსალოდნელი კი იყო ერცუცქუნაი, ვაცაი, თხიპაი (გურული თხიაპაი), კერკეტაი და ა. შ.

---

[1] ამოღებულია მაკ. ხუბუას მიერ ზემო-აჭარაში ჩაწერილი ტექსტებიდან. იხ. მისი—ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა.

[2] პროფ. აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, ხევსურული. ტფილისი, 1931 წ.

[3] ბეს. გაბუური, ხევსური მასალები, პროფ. აკ. შანიძის რედაქციით„ წელიწდეული".

[4] შდრ. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, იმერულ-რაჭული თქმათა"... С. Петербург, 1912 წ.

როგორც ძველი ქართულიდან, ისე ახლანდელი ხალხური სალაპარაკო ენიდან უკვე მოტანილი მაგალითებიდან მტკიცდება:

ა) წერილობით წყაროებში წარმოდგენილი ძველი ქართული, მიუხედავად მისი თარიღის სიძველისა, ზოგჯერ უფრო წინ წასულ ცალკეულ ფორმებს შეიცავს, ვიდრე ახლანდელი სალაპარაკო ენა, კერძოდ ხალხური მეტყველება. ეს გასაგებიცაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ. მწერლობით სარგებლობდა საზოგადოების ის ნაწილი, რომლის ხელშიც იყო საზოგადოების მართვა-გამგეობა... სალიტერატურო ენა მუდამ ეკუთვნოდა გაბატონებულ კლასს, რომელიც ამცირებდა და დევნიდა ხალხურ მეტყველებას. სამაგიეროდ ავსებდა სალიტერატურო ენას ამ კლასის ინტერესებიდან გამომდინარე გემოვნების მიხედვით. მე-7, მე-8 და სხვა საუკუნის წერილობითი წყაროების მიხედვით წარმოდგენილი ენა, ქართული—ფეოდალური, მემამულეთა კლასის ოფიციალური ენაა, რომლის პარალელურად განაგრძობდა არსებობას მშრომელთა სალაპარაკო ენა, უფრო გასაგები, მიმზიდველი და მდიდარი, რომელიც წარმოადგენდა ხალხის, დაჩაგრულთა კლასის ენას; სალიტერატურო ენა კი პრივილეგიური კლასების საკუთრებას შეადგენდა.

ბ) საჭიროა ხალხური მეტყველების საფუძვლიანი შესწავლა. კერძოდ იმ ენების განვითარების ფართო გზაზე გამოყვანა, რომელთაც ოქტომბრის რევოლუციამდე არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა. ასეთ ენას შემოუნახავს წარსული სიძველის ბევრი უძვირფასესი სიმდიდრე, რომელიც ფარდას ხდის არა თუ ენის, არამედ მატერიალური კულტურისა და ადამიანთა ისტორიის ბევრ საინტერესო საკითხს, რომლის შესწავლას აქამდე არ მიკარებია მეცნიერის ხელი.

ამიტომაა, რომ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკა მიმართულია ველიკორუსული ნაციონალისტების მიერ დაჩაგრული ენების განვითარებასა და ფართო შემოქმედების გზაზე გამოყვანისაკენ. ამხ. სტალინმა მე-XVI პარტყრილობაზე ულმობლად გააკრიტიკა რა ანტიმარქსისტული თეორიები ნაციონალურ საკითხში, კერძოდ ენების უნიფიკაციის შესახებ სოციალიზმის პერიოდში, თქვა: სოციალიზმის პერიოდში „ნაციონალური ენები არა თუ ქვდებიან და ერთდებიან ერთ საერთო ენად, არამედ პირიქით, ნაციონალური კულტურები და ნაციონალური ენები ვითარდებიან და ყვავიან. განა აშკარა არ არის, რომ თეორია ნაციონალური ენების გაქრობისა და შეერთებისა ერთ საერთო ენად **ერთი** სახელმწიფოს ფარგლებში ფართოდ გაშლილ სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის არსებობის პერიოდში არის უმართებულო, ანტიმარქსისტული და ანტილენინური თეორია“ [1].

---

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1933 წლის გამოცემა, გვ. 670.

სოციალიზმის პერიოდში უმწერლობო, ნაციონალური ენისათვის ანგარიშის გაუწევლობა, მისი დავიწყება, როგორც არა „კეთილშობილი“ ენის, რასაც აქამდე მაგრად აქვს ფესვი გადგმული ბურჟუაზიული ენათმეცნიერების მიმდევრებს შორის, ნიშნავს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის ხელის შეშლას. ეს ნიშნავს აგრეთვე ხელის აღებას ნაციონალური კულტურის ლენინ-სტალინური თეზისის შესრულებაზე. როგორც ვხედავთ, ეს ჩვენი კლასობრივი მტრის იდეოლოგიას წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგ პირველყოვლისა გაილაშქრა არა სხვა ვინმემ, არამედ ლენინმა და სტალინმა და ლენინ-სტალინის პარტიამ.

ამხ. სტალინი ამბობდა: „თეორია ყველა ენის შედუღებისა, ვთქვათ საბჭოთა კავშირში საერთო ველიკორუს ერთად-ერთ საერთო ველიკორუსულ ენად არის ნაციონალურ-შოვინისტური თეორია, ანტილენინური თეორია, რომელიც ეწინააღმდეგება ლენინის ძირითად დებულებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნაციონალური განსხვავებანი არ შეიძლება მოისპოს უახლოეს პერიოდში, რომ ისინი ჯერ კიდევ დიდხანს უნდა დარჩენ — პროლეტარული რევოლუციის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგაც კი. რაც შეეხება ნაციონალური კულტურების და ნაციონალური ენების უფრო შორეულ პერსპექტივას, მე ყოველთვის იმ ლენინურ აზრს ვადექი და ახლაც ვადგავარ, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როდესაც სოციალიზმი გამტკიცდება და შევა ყოფა-ცხოვრებაში, ნაციონალური ენები უნდა შეერთდენ ერთ საყოველთაო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება არც ველიკორუსული, არც გერმანული, არამედ იქნება რაღაც ახალი ენა“[1].

აი საიდან გამოდიოდა ენის შესახებ ახალი მოძღვრების მამამთავარი აკად ნ. მარრი, როდესაც იგი აყენებდა საკითხს სწორედ ნაციონალური ენების შესწავლისა და მისი სოციალისტური თვითმოქმედების ფართო გზაზე გამოყვანის შესახებ.

ბ) ბოლოს ჩვენ მიერ მოტანილ მაგალითებიდან ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ენობრივი სიძველის მხრით აქამდე მოღწეულ წერილობით წყაროებს ავტორიტეტული მნიშვნელობა არა აქვთ. ენობრივ სიძველეს, როგორც არავინ, ინახავს ხალხური მეტყველება, რაც საფუძვლიანად არყევს წერილობითი წყაროების ავტორიტეტს...

დეკემბერი 1933 წ.
ტფილისი.

---

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 668—669. კურსივი ამხ. სტალინისაა, ა. ღ.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

მ. ჩხენკელი

გაკვრით სადაო საკითხებზე

I

ენათმეცნიერება მოძღვრებაა ენის წარმოშობის, განვითარების და მისი არსის შესახებ.

ენა კი, ადამიანთა ურთიერთობის, აზრის გაგებინება-გადმოცემისა და კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი იარაღია.

ენა არ არის მუდმივი, ერთხელ და საბოლოოდ დამდგარი, სტატიკური, არამედ იგი განუწყვეტლივ იცვლება და ვითარდება, ამიტომ ენათმეცნიერება „კუდში არ უნდა მისდევდეს ამ განვითარებას, არამედ უნდა უსწორდებოდეს მის ტემპებს და ხელმძღვანელობდეს მას".

ენათმეცნიერება თეორეტიული დისციპლინაა, მაგრამ ის ამავე დროს უაღრესად პრაქტიკული მოხმარების დარგიცაა.

ენათმეცნიერებას, როგორც მეცნიერულ-თეორეტიულ სისტემას, არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. ის სულ ერთეული საუკუნის გამონაკვეთია. მან ფრთები აისხა მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ფეოდალიზმმა, როგორც გარკვეულმა ფორმაციამ, ასპარეზი დაუთმო კაპიტალიზმს. უმართებულო იქნებოდა იმის თქმა, თითქოს საენათმეცნიერო მუშაობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არ იყო მე-19 საუკუნემდე. მაგრამ სწორედ მე-19 საუკუნე არის მიჯნა წინა საუკუნეებთან შედარებით, ამ დროს ყალიბდება ენათმეცნიერება, როგორც მეცნიერული სისტემა, რომელიც ემყარება იმ კლასობრივ პროცესს, რომელმაც თვით ეს მიმდინარეობა შექმნა.

ენათმეცნიერული სისტემა, რომელიც კაპიტალიზმთან ერთად აღმოცენდა, ევრეთწოდებული ინდოევროპული თუ „ინდოგერმანული" ენათმეცნიერებაა.

ყოველი ფორმაცია გარკვეულ პერიოდში, როცა ის ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევ სადავეებს იგდებს ხელში, შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულ მოვლენად. მონათმფლობელური პერიოდი ფეოდალურმა ფორმაციამ შესცვალა, ფეოდალური კი წარმოების კაპიტალისტურმა წესმა. მონათმფლობელურ მეურნეობასთან შედარებით ფეოდალური წყობილება პროგრესიულია, ამ უკანასკნელთან შედარებით კი კაპიტალიზმია პროგრესიული. მაგრამ ეს ხომ

არ ნიშნავს მარადიულ პროგრესიულობას? რასაკვირველია, არა. ეს ასე რომ იყოს, მაშინ განვითარება ისტორიისა მოხსნილი იქნებოდა.

მეცნიერება, ხელოვნება და სხვა იდეოლოგიური მონაცემები ყოველთვის ემსახურებოდა და ემსახურება გაბატონებულ კლასს. ის ყოველთვის ასრულებდა და ასრულებს თავისი კლასის სოციალურ თუ პოლიტიკურ დაკვეთას.

როგორც აღნიშნული იყო, ინდოევროპული თუ ინდოგერმანული ენათმეცნიერება კაპიტალიზმის ღვიძლი შვილია. ის ბურჟუაზიის იდეოლოგიური დასაყრდენია და მეთოდოლოგიური დასაბუთება. ეს რომ სინამდვილეში ასე არ იყოს და ინდოევროპეისტიკას ბურჟუაზიულ-რეაქციონური იდეები არ დაედვა მუშაობის საფუძვლად, მაშინ კლასობრიობაზე ლაპარაკი ფიქცია იქნებოდა. ინდოევროპეისტიკამ „ანგარიში გაუწია" კაპიტალიზმის „ღვთიურ" მოთხოვნილებებს და „წმინდათა წმინდა მაღალ-გვაროვანი რასიული" თეორიის სქელტანიანი ტომები „უკულტურო", „ყვითელ კანიანი" და „დაჩაგრული რასის" „ველური სისხლით" აავსრადა.

სხვა გამოსავალი ინდოევროპულ ენათმეცნიერებას არც კი ჰქონდა. მან შეასრულა ის, რასაც ავალებდა ეროვნულ განხეთქილებათა, გვარტომობის მაღალ-დაბლობის და კაციჭამია ნაციონალურ-შოვინისტური თეორიების არსენალი—ბურჟუაზია.

მაგრამ, როგორც ისტორიულად დადასტურებულია, „წმინდათა წმინდა" ბურჟუაზია უცილობელ სამოღვაწეოდ არ დარჩენილა. ის (კაპიტალიზმი) „წარმოშობიდანვე თავის წიაღში თავის მოწინააღმდეგეს ატარებდა"[1].

მოწინააღმდეგის მოთხოვნილება სხვა იყო, ვინემ მისი მმართველის. მმართველი დაბალ ფენათა ექსპლოატაციით ეძებდა გამარჯვების გზას. მსოფლიო ისტორიის განვითარების მთლიანი ჯაჭვი არა ერთხელ შერყეულა, მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროს ლაქია მჭედლებმა თავი ისახელეს როგოლების გამთლიანებაში. მხოლოდ 1917 წლის ოქტომბერში ლენინის პარტიის ფოლადის ჩაქუჩით დამსხვრეულმა როგოლებმა სამუდამოდ გათიშა ამ ჯაჭვის მთლიანობა.

კაპიტალიზმიდან თავდაღწეულმა ქვეყანამ ძველის ნანგრევებზე ახალი ეკონომიური საფუძვლების ამოშენება იწყო. შექმნა საკუთარი მეცნიერება, ხელოვნება და სხვა, მაგრამ დანაშაული იქნებოდა გვეთქვა: გაჩნდა თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა, მან მაშინვე სრულიად დამოუკიდებლად შექმნა თავისი მეცნიერება, ხელოვნება და სხვ. არა, ეს ეწინააღმდეგება საკითხის ლენინურ გაგებას. „შეცდომა იქნება, თუ იფიქრებთ, რომ საკმარისია შეითვისო კომუნისტური ლოზუნგები, კომუნისტური მეცნიერების დასკვნები, იმ ცოდნის შეუთვისებლად, რომლის შედეგს თვით კომუნიზმი წარმოადგენს".[2]

---

[1] ფ. ენგელსი, ანტიდიურინტი, გვ. 2.

[2] ლენინი, თხზ., ტომი XVII, გვ. 314.

ლენინი გარკვევით გვასწავლიდა, რათა შეექმნა კომუნისტური მეცნიერება, საჭიროა იცნობდე, იცოდე და შეისწავლო ის, „რისი შედეგსაც თვით კომუნიზმი წარმოადგენს".

მხოლოდ ამ თვალსაზრისით უდგებით ჩვენ ინდოევროპულ ენათმეცნიერებას. სხვა. არც პრინციპები და არც მეთოდები მისი არ გვაინტერესებს, რადგან ჩვენს საენათმეცნიერო ალმავლობას მათი სესხება, ხელის შეშლის გარდა, არაფერში დაეხმარება.

შედარებითმა მეთოდმა, რომელიც წარმოადგენს ინდოევროპეიზმის ძირითად დასაყრდენს, ვერ უზრუნველყო მეცნიერების საბოლოო გამარჯვება, რადგანაც რომელიმე მოვლენა მეცნიერულად რომ დაასაბუთო, საჭიროა არა მარტო შედარება და ჰასიური ქვრეტა, არამედ მისი დინამიკისა და დიალექტიკური ცვალებადობის გამოკვლევა, ამას კი მოკლებული იყო ბურჟუაზიული მოძღვრება ენის შესახებ.

„კულტოროსან რასებზე" ჩაბლაუშება მსოფლიოს ენათა მისუღებელი კლასიფიკაცია, „უკულტურო" ენების უცოდინარობა, ენობრივ მასალებზე წმინდა თეორეტიული ვარჯიში, კაბინეტური კარჩაკეტილობა, ენის პრაქტიკული მოხმარების ნაკლები ცოდნა,—აი კიდევ ძირითადი ნაკლი ინდოევროპული ენათმეცნიერებისა.

„ინდოევროპული განყენებული ენათმეცნიერება არა თუ მოსწყდა ამ ერთგვარ უკვდავების წყაროს, გემოიანად არც დაწაფებია მას. ამ განცალკავებულებაში ტექნიკის განვითარება ინდოევროპულ ენათმეცნიერების მიერ და ინდოევროპულ ენებში ჩალრმავება უფრო აშორებდა თვითონ მას ახალ-ახალ საკულტურო ისტორიო საკითხებს.

„პირიქით, მათი კომპენტენციის მასალით შემოფარგლულ ვიწრო სარბიელზე უწინალმდეგოთ ბურთის გატანით გამარჯვებაზე მიჩვეულნი და უნივერსიტეტებში და აკადემიებში როგორც ერთად ერთი ზოგად ენათმეცნიერების წარმომადგენელნი, მეინდოევროპელე ენათმეცნიერნი სხვა ოჯახის ენებში გართულთ დამართებით გულგრილობის ან ძალდატანების კვალს დაადგენ და ინერციულათ ყოველ გვარ სამეცნიერო ახალ სულის კვეთებათ მოწინალმდეგეთ შეიქნენ, წმინდა და შეუბღალველი სამეცნიერო თეორიის სახელით შეჩვეული აზრების და გათელილი გზების ბერწი მოსარჩლენი გახდენ"[1].

კლასიკური სისწორით აღნიშნავს ნ. მარრი მეინდოევროპიელნე ენათმეცნიერების თავგასულობას და მათი აზრების ერთხელ და სამუდამოთ დადგენის აუცილებლობის უვარგისობას, რომელიც გამომდინარეობდა წინასწარ დაკანონებული იდეებიდან. ჰეშმარიტი აზროვნების ისტორია გვასწავლის, რომ თუ გვინდა მოვლენაში ვეძიოთ ჰეშმარიტების მარცვალი, ე. ი. ის მეცნიერულად დავასაბუთოთ, ამისათვის არაფრად არ ვარგა პარლამენტებში წინასწარ დაკანონებული აზრები, პირიქით, ის ბურუსში ხვევს და უკან აქანებს მეცნიერული აზროვნების განვითარებას.

---

[1] აკად. ნ. მარრი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, გვ. 12, 1933 წ.

„წმინდა თეორეტიკა“, „წმინდა ენა“, „სუფთა სისხლის რასა“, ერთი ერის მეორე ერისაგან უფლებრივი გამოყოფა შეადგენდა და შეადგენს ბურჟუაზიის საოცნებო იდეალს, და ამ ნებასურვილის უნაკლოდ განხორციელებაში ინდოევროპეისტიკას არ დაუზოგავს თავი. „ერთი ერის მეორე ერისაგან უფლებრივი გამოყოფის იდეა, რეაქციონური იდეაა“[1], კომენტარიები ზედმეტია. სწორედ ასეთმა მეცნიერულმა პრაქტიკამ მოიყვანა ინდოევროპული ენათმეცნიერება კრახამდე.

ნიკო მარრი მეცნიერული სიზუსტით ასაბუთებს ინდოევროპულ ენათმეცნიერების დაქვეითების მიზეზებს. შემთხვევითი არ იყო ის, რაც 1911 წელს კოპენჰაგენელმა პროფესორმა Möller-მა გაკვრით აღნიშნა. „ინდოგერმანული ენათმეცნიერება დამწყვდეულა რა თავის კედლებში, ვალდებულია დაუგვიანებლად ეცადოს კედლის გამოტეხას ერთერთ ადგილას“[2]. ეს სიტყვები ითქვა 23 წლის წინ, მაგრამ მას აქეთ ინდოევროპულმა ენათმეცნიერებამ, არამც თუ კედელი გამოტეხა, არამედ თავის კლასის საშინელ კრიზისის გამო კიდევ უფრო ჩაიკეტა კედელთა შორის.

იმის მტკიცება, თითქოს არსებობს წმინდა თეორეტიული დისციპლინა, ცაში გამოკიდული, პრაქტიკის მილმა—ბურჟუაზიული აზროვნების ნაყოფია. როგორც აღინიშნა თეორეტიულსა და პრაქტიკულს შორის დიდი უფსკრული და გამთიშველი ზღვარი არ ძევს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი—მეორე არ არის, და მეორე—პირველი.

„...ენათმეცნიერება ვერ იქნება მეზობელ დისციპლინებისგან დამოუკიდებელი, მაგრამ იგი უსათუოდ უნდა იყოს თავისთავადი“.

„მისი თავისთავადობის საფუძველი და საკმაო პირობა მისი ძირითადი მიზანია (დანაწილებულ ბგერებში მოცემული მეტყველების ანალიზი და ამ მეტყველების სტრუქტურის აზრისადმი მიმართების ძიება) და ამ მიზნით განსაზღვრული თვალსაზრისი“[3].

განვიხილოთ ეს დებულება. მოსაზრება ეკუთვნის პროფ. ჩიქობავას.

აქ საინტერესოა შემდეგი: ჩვენ ავტორს ვეთანხმებით იმაში, რომ ენათმეცნიერება მეზობელ დისციპლინებთან დამოუკიდებელი ვერ იქნება, მაგრამ მეორე ნაწილში დათანხმება ყოვლად შეუძლებელია. სახელდობრ, ენათმეცნიერების თავისთავადობის (და არა მარტო ენათმეცნიერების!) მტკიცება ნიშნავს აღიარო დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლობის აღიარება ნიშნავს სინამდვილიდან მოწყვეტას, რასაც აუცილებლად მოჰყვება სტატიურობის აღიარებამდის მივყავართ, მოვლენის, სტატიურობაში განხილვა კი, მარქსიზმის თვალსაზრისით მიუღებელია. ავტორის მესამე დებულება უფრო საეჭვოა: ენათმეცნიერების თავისთავადობის დადგენის შემდეგ, მის საგნად მხოლოდ და მხოლოდ დანაწევრებულ ბგერით ენას თვლის. მართალია, დანაწევრებულ ბგერითი მეტყველებას ენათმეცნიერება შეისწავლის, მაგრამ ყველაფერი ამით არ ამოიწურება.

[1] ლენინი, თხზ., ტომი XVII, გვ. 244.

[2] ამოღებულია ნ. მარრის შრომიდან, რით ცხოვრობს იაფეტ. ენათმეცნიერება.

[3] არნ. ჩიქობავა, წელიწდეული, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ორგანო, 1923—24 წ., გვ. 20.

მაშინ უყურადღებოდ რჩება მეტყველების წინაპერიოდი, ე. ი. კინეტიური მეტყველების პერიოდი. ენის შესახებ ახალი მოძღვრების მიხედვით ენათმეცნიერება შეისწავლის, როგორც დანაწევრებულ ბგერით ენას, ისე ხელის ენასაც. ეს არავისთვის არ უნდა იყოს სადაო, და მით უმეტეს ლინგვისტისთვის. ზევით მოყვანილ დებულებებზე დაყრდნობა ნიშნავს, რომ ლინგვისტური მუშაობა ხელოვნურად შევზღუდოთ და ისედაც, ჯერ კიდევ ნაკლებად გაშუქებული ისტორიული წარსული, კვლავ ბნელით მოცული დავტოვოთ. ხელის ენის პრობლემა, რომელიც რატომღაც ნაკლებად აინტერესებს ბევრ მკვლევარს, გარკვეული დროიდან ყურადღების ცენტრში დააყენა ენის შესახებ ახალმა მოძღვრებამ (იაფეტიდოლოგიამ), და მართებულადაც გააშუქა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრი საკითხი მუშაობის ჩაღრმავებას საჭიროებს.

შეუძლებელია ენის მეცნიერული დამუშავება, თუ მისი ისტორიული წარსული არ გავითვალისწინეთ და როცა ისტორიული წარსულის გათვალისწინებაზე შევთანხმდებით, მაშინ არაფერი დარჩება სადაო ხელის ენის პრობლემის ენათმეცნიერების საგნად გამოცხადების შესახებ.

ზევით ვლაპარაკობდით „წმინდა“ მეცნიერების შესახებ, რომელსაც სა-ზღვარგარეთ ბურჟუაზიული მკვლევარები ასე ეთაყვანებიან. უბედურება იმაშია, რომ ასეთ აზრებს ზოგჯერ ჩვენშიც გვთავაზობენ.

„ენათმეცნიერება წმინდა თეორიული დისციპლინაა, პრაქტიკული მიზანი ვერც ერთ მის ნაბიჯს ვერ შებორკავს“[1].

სწორედ ამ „ზოგად თვალსაზრისში“ ბევრი არა ჩვეულებრივი თვალსაზრისია გატარებული. განა შეიძლება ასე მექანიკურად დააცილო ერთმანეთს თეორია და პრაქტიკა?! პროლეტარიატის რევოლუციონური თეორიისათვის ასეთი „თვალსაზრისი“ უცხოა. ამხ. სტალინის თქმით: პრაქტიკა, რომელსაც გზას არ უნათებს რევოლუციონური თეორია, ბრმაა, ისე როგორც თეორია, რომელიც არ უკავშირდება რევოლუციონურ პრაქტიკას, უსაგნოა. ლენინი წერს: «„წმინდა“ მოვლენა არც ბუნებასა და არც საზოგადოებაში არაა, არც შეიძლება იყოს, სწორედ ამას გვასწავლის მარქსის დიალექტიკა; იგი გვიჩვენებს, რომ თვით ცნება სიწმინდისა, არის ერთგვარი სივიწროვე, ერთგვარი ცალმხრივობა ადამიანის შეშეცნებისა, რომელიც საგანს მთელ მის სირთულეში ბოლომდე ვერა სწურავს»[2].

როცა ლენინი არჩევს ჰეგელის ლოლიკის კატეგორიებს, იქ, სადაც ჰეგელი ლოლიკის წმინდა თავისთავადობაზე ლაპარაკობს, იგი შენიშნავს: „ჰეგელი ამბობს ლოლიკა არის წმინდა მეცნიერება, ე. ი. წმინდა ცოდნა თავის განვითარების სრულ მოცულობაში.

1-ლი სტრიქონი სისულელეა, მე II გენიალურია.

საიდან დავიწყოთ? „წმინდა მეცნიერება? (20)—არაფერს არ გულისხმობს დასაწყისი. არ შეიცავს თავის'ში არავითარ შინაარსს“[3]. კომენტარიებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ლენინის გენიალური აზრი უკვე ყველაფერს ლაპარაკობს.

[1] ა. ჩიქობავა, წელიწდეული, ზოგადი თვალსაზრისისთვის, გვ. 20.
[2] ლენინი, ტომი XVIII, გვ. 316—317.
[3] ლენინის მე-IX კრებული.

II

პალეონტოლოგიური თუ აღწერითი კომპარატიული მეთოდი? საკითხის ამგვარად დაყენება მიუღებელია, მაგრამ როცა მისაღების საწინააღმდეგოდ მავნე აზრები არსებობს, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ ამ საკითხებზე.

წერილობითი დოკუმენტები ყოველთვის ვერ გადმოსცემენ ენაში მეცნიერულად სრულყოფილ მოვლენას, მის თავისებურებასა და სიძველეს[1].

რომ გავიგოთ განვითარების ისტორიული მსვლელობის სხვადასხვა საფეხურები, ამისათვის არ კმარა მარტო წერილობითი დოკუმენტები, თუმცა ბევრი ისტორიკოსის მიერ აღიარებულია, „რომ ისტორიული პერიოდი ის პერიოდია, რომელიც წერილობითი აქტებითაა გაშუქებული".[2]

ამ მოსაზრებას სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს აკად. ე. მეშჩანინოვი.

ცნობილია, რომ გარკვეულ დროიდან საზოგადოება კლასებად დაიწილდა და, როცა დამწერლობა განვითარდა, მას ყოველთვის მოსარჩლედ და მბრძანებლად ყავდა გაბატონებული კლასი, საზოგადოების მცირე ნაწილი. მწერალი ყოველთვის თავისი კლასის სოციალურ დაკვეთას ასრულებდა, მის ნაწერებში საზოგადოების მცირე ნაწილი გამოშუქდებოდა და სხვა, უმრავლესობა ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი, და თუ გაშუქდებოდა, როგორც აკად. მეშჩანინოვი აღნიშნავს, „ამაში იგი, რასაკვირველია ყოველთვის კეთილსინდისიერ მოწმედ ვერ ჩაითვლება", რადგან სამოღვაწეოდ გამოსული გაბატონებული კლასი თავს ახვევდა მოწინააღმდეგე კლასს თავის მისწრაფებებს.

„დამოუკიდებელი" წმინდა თეორეტიული ენათმეცნიერების ავტორებს რომ დაეკითხოთ ამის შესახებ, ისინი ისტერიულ ხარხარს ასტეხენ და გეტყვიან: როგორ შეიძლება ენათმეცნიერება გასცილდეს წერილობით ძეგლებს? მაშინ ხომ ენათმეცნიერებას დაეკარგება თავისთავადობის და წმინდა თეორეტიული დისციპლინის ხასიათი? საქმე სწორედ ამაშია, აქაა უფსკრული ენის შესახებ ახალ მოძღვრებასა და ძველ ლინგვისტურ სკოლას შორის. ახალმა მოძღვრებამ ენის შესახებ უარყო ენათმეცნიერება, როგორც თავისთავადი და დამოუკიდებელი, და აღიარა ენათმეცნიერება სხვა დისციპლინებთან დიალექტიკურ კავშირსა და ნათესაობაში.

სწორედ აქაა პალეონტოლოგიური მეთოდის უდიდესი ღირსება. მან ენის ისტორიულ სტადიურობას მოფინა შუქი და ამით გადალახა ბურჟუაზიული ენათმეცნიერების მიერ ამართული სიძნელეები.

ერთად-ერთი სწორი მეთოდის გვერდით კიდევ შევხვდებით სხვა მეთოდების შემოთრევის ტენდენციას და პალეონტოლოგიის, როგორც ენის კვლევის უაღრესად აქტიური საშუალების, უარყოფას.

---

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ამხ. ალ. ღლონტის წერილი ამავე კრებულში.

[2] აკად. ი. ი. მეშჩანინოვი, იაფეტიდოლოგია და მარჭვიზმი, გვ. 45.

მოუსმინოთ: „პალეონტოლოგიას ჩვენ დიდი ნდობით არ უცქერთი: არის ამის საკმაო საბუთები[1].

„ენათა ისტორიის რკვევაში გამარჯვებული მეთოდი ეთნიურ ერთეულთა, ერთა ისტორიის ბნელი საკითხების სარკვევად მოიმარჯვეს: ლინგვისტური პალეონთოლოგია ამის შედეგია"[2].

საკითხი გარკვეულია, პატივცემული მკვლევარი უარყოფს პალეონტოლოგიურ მეთოდს. ერთის უარყოფა მეორის აღიარებას ნიშნავს. ალბად ინდოევროპეიზმის საენათმეცნიერო არქივში მოიპოვება დოკუმენტები პალეონტოლოგიის ნაცვლად სხვა უკეთესი მეთოდების და პრინციპების შესახებ!

ინდოევროპეიზმის რეაქციონური ბუნების შესახებ საკმაოდ ვილაპარაკეთ, მაგრამ თუ ახლა კვლავ მოვიგონებთ, იმიტომ რომ ანალოგიურ ფაქტებთან გვაქვს საქმე. ინდოევროპეიზმის ჭართულ სინამდვილეში დაკანონებას ცდილობს ზოგიერთი მკვლევარი, რასაც, ცხადია შესაფერისი პასუხი სჭირდება.

„ინდო-ევროპული ენათმეცნიერება ერთად ერთი ენათმეცნიერებაა, რომელსაც შეუძლია სხვა ენების დამუშავებისას იკისროს მეთოდოლოგიური ბაზის საპასუხისმგებელო როლი. შეფის როლში გამოდის იგი სხვა ენათმეცნიებათა (სემიტურის-ჰამიტურის) მიმართ. ქართველურიც(?) ენათმეცნიერებაც პატივისცემით მიიღებს მისგან სახელმძღვანელო პრინციპებს. მაგრამ შეცთომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ინდო-ევროპული ენათმეცნიერების ყველა ძზა-მზარეული პრეპარატები ჩვენს პირობებში გამოდგებოდა: ქართული ენობრივი სინამდვილე შეუდარებლივ უფრო რთული და თავისებურია, ვინემ ინდო-ევროპული. ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიხელმძღვანელოთ მისი მეთოდით, დავეყრდნოთ მის პრინციპებს."[3]

შემდეგ თითქო ამ მკვეთრად გამოთქმულ მოსაზრებას ამსუბუქებს და შერბილებული ტონით ამბობს; „შეიძლება ყველაფერი უთაკილოთ ვერ გადმოვიტანოთ" და სხვა, რაც რასაკვირველია საქმეს ოდნავადაც არ შველის; ეს მხოლოდ მოფიქრებული მანევრია და ხვრელის დატოვებაა. ჩვენ პირადი პატივისცემის აკრძალვის უფლება არ გვაქვს, მაგრამ მეცნიერება მარტო პირადი საკუთრება რომ იყოს, ის მასის საკუთრებაა. შეიძლება ავტორმა გვითხრას, ექვსი წლის უკან ვთქვი და ახლა ეს იდეები მოძველებულიაო. ჩვენ კი მოვაგონებთ: იდეები ნაკლებად მოძველდებიან და მით უმეტეს, ამ სფის განშავლობაში ეს არსად არ ყოფილა აღნიშნული. ჩიქობავას მოსაზრების წინა ნაწილში საკრიტიკო არაფერი არ არის, გარდა იმისა რომ იგი მთლიანად რეაქციონური და მიუღებელია. რაც შეეხება მეორე ნაწილს, აქაც ძირითადად გალრმავებულია პირველი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ინდოევროპეიზმთან დამოკიდებულების საკითხს ზოგ რამეში სათაკილოთ თვლის. პირველი მოსაზრების გალრმავება იმიტომაა, რომ, რასაც ავტორი სათაკილოთ თვლის მთავარი საკითხი არ არის. ავტორი ამბობს, რომ ინდოევროპეისტიკის ყველა მზამზარე-

[1] არნ. ჩიქობავა, მიმოხილველი, საქ. სსრ. ისტ. და საეთნოგრ. საზ. ორგანო, № 1, გვ. 308 1926 წ.
[2] არნ. ჩიქობავა, წელიწდეული. გვ. 14.
[3] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ჭართულში, გვ. 2. ხაზი ავტორისაა.

ული პრეპარატები არ გამოდგება, რადგანაც ქართული ენობრივი სინამდვილე თავისებური არისო. ეს მოვლენა ჩიჭობავაზე ადრე სხვამ ანიშნა და ამაში საკამათო არავის არაფერი აქვს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მეთოდოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას ერთი ენის თავისებურება არ სწყვეტს დავას. ავტორის შეცდომა ისაა, რომ მან ქართული ენის თავისებურებაზე ლაპარაკის ქვეშ ინდოევროპული ენათმეცნიერების მეთოდოლოგიური იდეალიზმი ორტოდოქსალური შეხედულებად გაასაღა.

საერთაშორისო ბურჟუაზიის იდეოლოგიური აგენტის—ინდოევროპეისტიკის კლასიკურ დახასიათებას აკად: ნ. მარრი იძლევა.

„ინდოევროპეიტიკა არის სისხლ-ხორცით სულის მლაფველ ბურჟუაზიული საზოგადოების, აშენებული ევროპის ხალხთა მიერ აღმოსავლეთის ხალხის ჩაგვრაზე მათი მკვლელი კოლონიალური პოლიტიკით".[1] უდიდეს დანაშაულს ჩავიდენდით, რომ გვეთქვა: ინდოევროპიული ენათმეცნიერება მთლიანად და ხელაღებით გადასაგდებიაო. რასაკვირველია, არა. ინდოევროპეიტიკიდან ჩვენ მივიღებთ იმას, რაც მარქსიზმის თვალსაზრისით მისაღებია; ასეთია უმთავრესად: აღმოჩენილი და დაგროვილი ფაქტიური მასალები. რაც შეეხება „მეთოდებს და პრინციპებს" ამაზე ხელს არ მოვაწერდით. უფრო მეტი, სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებთ იმას, ვინც ინდოევროპეიზმის რომელიმე გზით გაპარებას მოინდომებს ჩვენში.

აი, სანამდე მიიყვანა „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის „ავტორი" პალეონტოლოგიის უარყოფამ, რომელმაც ნათელი შუქი მოჰფინა ენობრივი კვლევის ძირითად პრობლემებს.

III

„იაფეტიდოლოგია გადავარდა პრეისტორიაში!" ასეთი ლოზუნგების კორიანტელი, ეგრეთწოდებული „საენათმეცნიერო ფრონტელების" სადებიუტო ტური გახლდათ.

დანილოვი და კომპანია რუსეთში, მთელი ძალღონით ცდილობდა ენათმეცნიერებაში რევოლუციუნური თეორიის (მარრის თეორიის) მიჩქმალვას და იმის „დამტკიცებას" თითქოს იაფეტურ თეორიის მეთოდოლოგიურ ფუნდამენტს მექანისტური მატერიალიზმი წარმოადგენს! „საენათმეცნიერო ფრონტელები" (დანილოვი, ლოია, ლომტევი, ბოჩაჩერი და სხვ.) სიტყვიერად აღიარებდენ მარქსიზმს, საქმით კი ხელში რჩებოდათ გაშიშვლებული მეტაფიზიკა და სოფისტიკა. დანილოვმა, რომ იაფეტიდოლოგიის მეცნიერული ღირსება დაეჩრდილა, ისტორიის მიერ დავიწყებულ იდეალისტ ლუკაშევიჩს გაუკეთა რეკომენდაცია: აი, ბატონებო! რა საჭიროა მარრი, უფრო ადრე ეს ლუკაშევიჩს დაუმტკიცებიაო!..

„საენათმეცნიერო ფრონტელებმა" ისარგებლეს რა ნდობით, გადაამლაშეს ყოველგვარ საზღვარს. ამის ნაყოფია დანილოვის ლოზუნგი: „канца борьбы

[1] აკად. ნ. ი. მარრი, იაფეტური თეორია, გვ. 1, ენა და თანადროულობა.

с индоевропеизмом".[1] და ლომტევის „საგანთიადო" ძახილი: მარქსიზმის ნილაბის ქვეშ „უკან ჰუმბოლტისაკენ"!

აი, სანამდის მივიდა საენათმეცნიერო ფრონტელების თაეგასულობა. მათ იაფეტიდოლოგიის გაგებაში ერთი რამ, და ძირითადი ავიწყდებოდათ. სახელდობრ, ზოგიერთი იაფეტიდოლოგის შეცდომას მთლიანად აწერდენ ამ თეორიულ სისტემას. ულოლიკო სცენებმა მალე გამოამჟღავნა მათი „მეცნიერული ფრაქციულობის" სრული შინაგანი ბუნება, სიტყვებით აღიარებულ მარქსიზმის ნილაბში რეაქციონური შიდრეკილება და სკოლასტიური აბდა-უბდა.

ერთ-ერთი „ფრონტელთაგანი" წერს: „ისტორიისა და ენის წარმოშობის საკითხის დამუშავების უარყოფა ნიშნავს სახურავის და კედლების უსაძირკვლოდ შენებას, მაგრამ მთლიანად ისტორიისა და პრეისტორიაში გადავარდნა და თანამედროვე საკითხების დავიწყება, ლინგვისტიკას პოლიტიკის გარეშე მდგომ მეცნიერებად აქცევს, რომელიც მოკლებულია კლასობრივსა და პოლიტიკურ შინაარსს".[2]

აქ უკვე ისინი იაფეტიდოლოგიას ისტორიულ კვლევა-ძიებაში სდებენ ბრალს. მართლაც, თუ იაფეტიდოლოგია გადავარდა ისტორიაში და პრეისტორიაში, თუ მან ზურგი შეაქცია თანადროულობას, მაშინ „საენათმეცნიერო ფრონტელები" მართალნი არიან, მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე როდია. ეს მხოლოდ ოინბაზური ფანდია იმ ადამიანების, რომლებიც მხოლოდ სიტყვიერი ვარჯიშით „აშენებენ" მეცნიერებას!

კითხვა ისმება: აკავშირებთ თუ არა რაიმე „საენათმეცნიერო ფრონტელებს" ინდოევროპულ ენათმეცნიერებასთან? პასუხი ერთია: ძირითადში მათ ინდოევროპეისტიკის დაკვეთა შეასრულეს მარქსიზმის ნილაბით.

მარრი პრეისტორიაში არ გადავარდნილა, რადგანაც „არ არსებობს არავითარი პრეისტორია, პრეისტორია იგივე ისტორიაა, მხოლოდ შეუცნობელი" და სწორედ, მეცნიერების მოვალეობაა გამოაშუქოს შეუცნობელი ისტორიის ჯერ კიდევ ბნელით მოცული, საზოგადოებისათვის დიდად საჭირო ფაქტები. „პრეისტორიული საკითხისათვის ზრუნვით კი ენათმეცნიერებას ეუფლება ისეთი პრობლემები, რომელნიც მისი ძირითადი მიზნის გარეშე იმყოფებიან ამ გზაზე შედგომით ენათმეცნიერება ჰკარგავს თავისთავადი დისციპლინის ხასიათს, იგი ისტორიის ancilla (ე. ი. მოახლე მ. ჩ.) ხდება".[3]

აქ პირდაპირ უარყოფილია ისტორიული და შეუცნობელი ისტორიული მოვლენების მეცნიერულად შესწავლაზე ზრუნვა. ეს ხომ ინდოევროპეიზმის გაცვეთილი გზაა: სწორედ, ამ გზის უარყოფამ ჩამოაშორა იაფეტური თეორია ჩასახეიდანვე გაბატონებულ ლინგვისტურ სკოლას.

„მორგანის უდიდესი დამსახურება იმაშია, რომ მან მთავარ ხაზებში აღმოაჩინა და აღადგინა ჩვენი წერილობითი ისტორიის ეს პრეისტორიულის საფუძველი და ჩრდილო ამერიკელი ინდიელების გვაროვნულ კავშირებში იპოვა

---

[1] Данилов, Лингвистика и современность.
[2] ბოჩაჩერი, На лит. посту, 1931 წ. № 5.
[3] არნ ჩიქობავა, წელიწდეული, გვ. 15.

გასალები, რომელიც უძველესი ბერძნული, რომაული და გერმანული ისტორიის უმნიშვნელოვანეს, დღემდე გადაუჭრელ ამოცანებს ხსნის". [1]

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდ როლს ანიჭებს „ისტორიულსა" და „წინაისტორიული" საკითხის დამუშავებას ენგელსი. სინამდვილის გაგება შეუძლებელია ისტორიის გაუთვალისწინებლად. თანამედროვეობის აღიარება არ ნიშნავს ყველაფერს, ეს საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი მხარეა.

მართალია, ნ. მარრი არ დაკმაყოფილდა იმ მინაღწევებით, რაც ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებას შეუქმნია. თავისი მუშაობის გეზი ძირითადად საწინააღმდეგო ხაზებში განავითარა. იაფეტიდოლოგიური პალეონტოლოგიით მიაშურა იმ საკითხებს, რომლებიც ინდოევროპული ენათმეცნიერების „ბერწ-მოსარჩლეებისათვის" ყურადსაღები არ იყო. ამრიგად, ისტორიის საკითხებია: „მაღალ გვაროვანი" რასის რეაქციონური ბუნების გამომჟღავნება, ხელის ენის პრობლემის შესწავლა, ერთი საერთაშორისო ენის პრობლემა. ლიტერატურული და ხალხური ენათა ურთიერთობის გარკვევა, ენის კლასობრიობის, ენისა და თანადროულობის, ენისა და აზროვნების ურთიერთობა—შესწავლა და მწერლობის შექმნა ჩამორჩენილ ერებისათვის... და აქ იძულებული ვართ თავი შევიკავოთ, რადგან ყველა იმ პრობლემების მარტო ჩამოთვლაც კი, რომელიც დაამუშავა მარრმა თავისი მოღვაწეობის გრძელ გზაზე, რამდენიმე გვერდს დაიჭერდა. ეს კი ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს.

„ენა იშენება საზოგადოების მასიური შეგნების მიერ. და რა ენის გაჩენის და ზრდის კანონები დღეს თუ ხვალ ჩვენს წინ უნდა გადაიშალოს ნათლად, ცხადია პრაქტიკული პრობლემა დგება ჩვენს წინაშე—საყოველთაო კაცობრიობის ენის შექმნის პრობლემა, მსოფლიო ენის არა თუ მექანიკურად მიზნის მიღწევის, როგორც ესპერანტო, არამედ ფსიქოლოგიურადაც მთელი კაცობრიობის საენო ლონისძიებათ ნასარგებლის და სულის კვეთებათ გამომეტყველის". [2] ეს თქვა ნ. მარრმა 12 წლის წინ, სადაც ზედმიწევნით გათვალისწინებულია პარტიის ენობრივი პოლიტიკა. ერთი საერთაშორისო ენის შექმნის პრობლემა,—ეს მომავალი სოციალისტური საზოგადოების საქმეა.

ესპერანტო, რამაც ერთ დროს ჩვენში ძალიან დიდი გატაცება პოვა, შეიძლება ითქვას,—მრუხედავად მისი ზოგიერთი დადებით მომენტებისა, მიუღებელია, როგორც ხელოვნურად შექმნილი. „აუცილებელია არა თუ ენის გაცნობა, როგორც ის არის დღეს, არამედ საჭიროა იმის ცოდნა, როგორ შეიქმნა ის ენა, რომელიც დღეს გვაქვს. როგორ წარმოიშვა და როგორ განვითარდა ის და მაშასადამე როგორ შეიძლება გახდეს ის საერთაშორისო საზოგადოებრივ ენათ" (ნ. მარრი).

განა ეს „პრეისტორია" და თანადროულობიდან მოწყვეტაა? არა, პირიქით, ეს ისტორიის მარქსისტული ანალიზია, და ვისაც ამგვარად არ ესმის საკითხი, ის ალბად ინდოევროპული ენათმეცნიერებისადმი ულრმესი პატივისცემისა და გულშემატკივრობის ბრალი იქნება.

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. გვ. 2—3
[2] ნ. ი. მარრი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება. 1933 წ. გვ. 54.

როცა ნ. მარრი არკვევდა საკითხს ენათა გლოტოგონიური პროცესის შესახებ, ის უშუალოდ გამომდინარეობდა მარქსიზმის კლასიკოსებიდან.

დიურინგი ალიარებდა, რომ „მომავალი სახელმწიფოს მოზარდ მოქალაქეს ბევრი არაფერი ექნება თავსატეხი ფილოლოგიის დარგში „მკვდარი ენების შესწავლა სრულიად უარყოფილი იქნებაო... „სამაგიეროდ დედაენის გრამატიკა საფუძვლიანად უნდა გავიზეპიროთო“, ამას კლასიკურად შენიშნავს ენგელსი;—„მაგრამ დედაენის მასალა და ფორმა“ მხოლოდ იმ შემთხვევაშია გასაგები თუ მათი წარმოშობა და თანდათანობითი განვითარება გავითვალისწინეთ-ეს კი შეუძლებელია, ერთი მხრით, დედაენის საკუთარი გარდაცვილ ფორმების შეუსწავლელად, ხოლო მეორე მხრით, მონათესავე ცოცხალი და მკვდარი ენების გაუცნობლად, მაგრამ ამ ასპარეზზე გადასვლაც აკრძალულია ბატონ დიურინგის მიერ“ [1] და ყოველივე ამის შემდეგ რა ფასი უნდა ჰქონდეს მოსაზრებებს, რომლებსაც ასე რიგად გვთავაზობენ ინდოევრლპეისტიკის ეპიგონები?! დაკვირვებული მკვითხველი დაინახავდა, თუ სად არის მარრის წინააღმდეგ დაყენებულ დებულებების სათავე. მას მარქსიზმთან არავითარი კავშირი არ აქვს, პირიქით, ის უშუალოდ გამომდინარეობს მარქსისტულ ტერმინოლოგიით შენიღბულ დორბლმორეულ ბურჟუაზიის იდეოლოგიიდან.

„თვით ენათმეცნიერების სფეროში ამავე გატაცების შედეგად უნდა ჩაითვალოს პრაენის რეკონსტრუქციის ცდა. ინდო-ევროპულ ენათა კვლევის წიაღში გაჩენილი მისწრაფება დოგმატიურად იქნა გადატანილი სხვა ენათა კვლევისას“ [2].

აქ, კვლავ უარყოფაა ისტორიული წარსულის,—აქ უკვე მოსალოდნელი ბრალდებაა იაფეტიდოლოგიის წინააღმდეგ. ამ ამონაწერში პრაენის საკითხის უკუგდება კი არ არის იმდენად საინტერესო, რამდენადაც ახალი ბრალდება,—განსაკუთრებით ის, რომ ახალ მოძღვრებას ენის შესახებ თურმე დოგმატიურად გადმოუტანია ინდოევროპიულ ენათა კვლევის წიაღში გაჩენილი მისწრაფება.

ქართველი ენათმეცნიერების უბედურება სწორედ იმაშია, რომ მათ უკრიტიკოთ და დოგმატიურად გადმონერგეს ბურჟუაზიული მოძღვრება ენის შესახებ და თუ საქართველოში კანტიკუნტად გაისმის ხმა ამგვარი განწყობილების წინააღმდეგ ის შედეგია იაფეტიური თეორიის და მისი უდიდესი თეორეტიკოსის ნ. მარრის მეცნიერული მუშაობისა, რომელმაც ჰეშმარიტი ინტერნაციონალური გაჭანებით გამოაშკარავა ნაციონალ-შოვინიზმი ენაში.

როცა პატივცემული ა. ჩიქობავა „არჩევს“ მარრის „ძველი ქართული ენის გრამატიკას“, ზოგიერთ საყურადღებო საკითხს აყენებს, მაგრამ მისი რევიზია ძირითადად აშენებულია ფორმალისტური სქოლასტიკის ბაზაზე.

ჩვენ მის გარჩევას არ შეუდგებით, ამისათვის თემატიური სივიწროვე ხელს გვიშლის, მხოლოდ როგორც დამახასიათებელ ფაქტს მოვიტანთ.

„და მაინც ვიტყვით: ეს პირველი ნაშრომია, რომელშიაც მთლიანად წარმოგვიდგინა (ლაპარაკია ნ. მარრის შესახებ მ. ჩ.) ძველი ქართულის

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 273.
[2] არნ. ჩიქობავა. წელიწდეული, გვ. 14.

ენობრივი სახეობა. ამდენად „ძველი სამწერლობო ენის გრამატიკის“ მოვლენა ისტორიული ფაქტია.

„იაფეტოლოგიის კოსმიურ და ჰიპოთეზებისათვის მებრძოლ აკად. ნ. მარს მეცნიერება ათას წილ უფრო მეტ მადლობას უძღვნიდა, პროტოისტორიულ ადამიანის დაუდეგარ ცნობიერებაში შეუზღუდველი თარეშის ნაცვლად, ისტორიულ სინამდვილეში არსებულ ფაქტების შესახებ—ამ ფაქტებით განსაზღვრული აზრები წარმოედგინა, თუნდაც „ძველი ქართულის გრამატიკის“ მსგავსად“.[1]

რა გინდ არ უნდა გავამრავალოთ ასეთი ამონაწერები, ყველგან ერთი და იგივე აზრია გატარებული, ყველგან უარყოფილია იაფეტური თეორია.

მეცნიერულათ ჭეშმარიტი ფაქტები, იაფეტურ თეორიას არავითარ მითიურ ქვეყანიდან არ ამოუკრეფია, მან სხვა მეზობელ დისციპლინების დახმარებით გააშუქა ბურჟუაზიის მეცნიერებისაგან ხელოვნურად დაბნელებული უბნები. განა ესეც თანადროულობიდან მოწყვეტაა?

როგორც ლენინი აღნიშნავდა ექლექტიკა და სოფისტიკა ბურჟუაზიის გულის მოსაგებათ ყოველთვის აფუჩეჩებდა კონკრეტულსა და ზუსტს. „საენათმეცნიერო ფრონტელებმა“ სწორედ ინდოევროპეისტიკის გულის მოსაგებათ ექლექტიკის, სოფისტიკის და ფორმალისტური სქოლასტიკის პოზიციებიდან გაითამაშეს, რაც მათი სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. ისინი დაშალეს, როგორც ფრაქციული დაჯგუფება ენათმეცნიერებაში და ობიექტურად კლასობრივი მტრის საქმის გამკეთებლები. ზოგი საენათმეცნიერო ფრონტელთაგანი განცხადებით დაუბრუნდა ენისა და აზროვნების ინსტიტუტს და აღიარა, რომ გულწრფელად იმუშავებენ იქ.

ჩვენი ენათმეცნიერები იმით განსხვავდებიან რუსი „საენათმეცნიერო ფრონტებისაგან“, რომ ისინი უშუალოდ ინდოევროპეიზმის ჭურუმები არიან, რასაც უნდა მიუმატოთ „საენათმეცნიერო ფრონტელების“ გავლენა.

ერთად ერთი სწორი გზა მარქსისტული ენათმეცნიერების შექმნისათვის არის მარქსიზმ-ლენინიზმი, რომლის კონკრეტიზაციას ენობრივ მასალებზე ახდენს ენის შესახებ ახალი მოძღვრება (იაფეტიდოლოგია).

IV

სალიტერატურო ენა სამოღვაწეო ასპარეზე გამოსული კლასის ენა იყო. ენა ყოველთვის იყო გაბატონებული კლასის იარაღი. ფეოდალურ საქართველოში გაბატონობდა „საეკლესიო და საერო მწერლობა“, მაგრამ ის მთელი მასისათვის არ იყო დამახასიათებელი, ის ერთ მუჭა ხალხს ემსახურებოდა. ამის გამო წერილობითი ძეგლები ვერ მოგვცემდა იმ ეპოქის მთლიან სურათს. ამის შემდეგ თუ ვიტყვით, როგორც პროფ. ახვლედიანი ფიქრობს: „ენის ბუნების ყოველმხრივი შესწავლა შეიძლება მხოლოდ ცოცხალ ენებში“,[2] დაუშვებთ დიდ

[1] ჩიქობავა, გვრ. მიმოხილვები, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, 1928 წ. № 1 გვ. 330.

[2] პროფ. გ. ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 6.

შეცდომას, ამ დებულებით პროფესორი იმეორებს იმ თეზისს რომელსაც დ ი ურ ი ნ გ ი ანვითარებდა ცოცხალ ენებზე დაყრდნობის შესახებ. ამას კი როგორც ვიცით ენგელსმა გამანადგურებელი პასუხი გასცა. შეუძლებელია მშობლიური ენის მეცნიერული გაგება, თუ არ გაითვალისწინე მასზე წინ არსებული მკვდარი ენები. ენა, როგორც ხანგძლივი შრომის შედეგი უნდა შეისწავლო და შეიძლება როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც. სწორედ ამ ორი მომენტის ერთი მეორისაგან დაცილებამ არ მისცა საშუალება იწდოევროპულ სკოლის მამამთავრებს გადაეწყვიტათ მრავალი საკითხი.

„ევროპულ მკვლევარებს კი ორკეცი მოუმზადებლობა ხელმოკლედ ხდიდა, რომ მათ თავიანთი აზრი ღრმად შეემუშავებიათ, შესაფერ პრაქტიკულ ცოდნის უქონლობა აბრკოლებდათ".[1]

„თუ რას უწოდებთ ენის საფუძვლიანად ცოდნას ამას შემდეგ გავიგებთ. ვიტყვით მხოლოდ აქ ენის მეცნიერული ცოდნა სრულიად არ გულისხმობს აუცილებლივ მის პრაქტიკულ ცოდნას, თუმცა ეს სასურველია".[2]

ენის პრაქტიკული ცოდნა არამც თუ სასურველია, როგორც პატ. პროფესორი ბრძანებს, არამედ აუცილებელი, უამისოდ მეცნიერულ მსჯელობაზე თავი უნდა შეიკავოთ.

პროფ. გ. ახვლედიანი წერდა: „ჩვეულებრივი ლიტერატურული ენა შეშავდება ენის რომელიმე დიალექტიკის ნიადაგზე, იმ დიალექტის, რომელიც რაიმე მიზეზის ან მოსაზრების ძალით ითვლება იმზომ „უკეთესად", რომ წარმოდგენილია მიბაძვის საგნად".[3] ამ მოსაზრებას ერთი წუთითაც ვერ დავეთანხმებით, აქ ენის ტერიტორიალური დაყოფა არ გამოგვადგება.

შეიძლება რომელიმე დიალექტი დაწინაურებული იყოს, მაგრამ მას რომ ყველა კუთხის დიალექტები დაუქვემდებაროთ, ნიშნავს ენობრივ შემოქმედების ხელოვნურ შეზღუდვას. ჩვენს სინამდვილეში გავრცელებულია მავნე აზრი, თითქოს საქართველოში ყველაზე უფრო დაწინაურებულია ქ ა რ თ ლ უ რ ი დიალექტი და მას უნდა მიბაძოს დანარჩენმა დიალექტებმა. ენა არ იქმნება და არც შეიძლება შეიქმნას ერთ რომელიმე დიალექტის ბაზაზე. სადაც ქ ა რ თ ლ უ რ ი ვაროვისიანობს, რა დააშავა იმერულმა ან გურულმა და სხვამ? რომ შეიქმნას მდიდარი სალიტერატურო ენა, საჭიროა ყველა დიალექტით სარგებლობა და გამოყენება. გ. ახვლედიანის შემდეგი მოსაზრებაც არ მიგვაჩნია მართებულად: „ენათმეცნიერება გამიჯნულია გრამატიკისაგან, რადგანაც ეს მეორე ემსახურება სალიტერატურო ენის ნორმებს".[4]

ენათმეცნიერება მოძღვრებაა ენის შესახებ. ენის ნორმების კვლევას ემსახურება გრამატიკა და ორივეს ხელმძღვანელობს ენათმეცნიერება. ენათმეცნიერება გრამატიკა არ არის და არც გრამატიკა ენათმეცნიერება, მაგრამ გრამატიკა არ არის გამიჯნული. მათ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ.

---

[1] აკად. ნ. ი. მ ა რ რ ი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება. გვ. 20.
[2] პ რ ო ფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ენათმეცნიერების შესავალი.
[3] იქვე. გვ. 8.
[4] პროფ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ქართული მწერლობა, 1928 წ. №8. გვ. 223.

ავტორის მოსაზრება სალიტერატურო და ხალხური ენის დამოუკიდებლობის საკითხში სავსებით ყალბია. „სალიტერატურო ენა არისტოკრატიაა" (ხაზი ავტორისაა, მ. ჩხ.), რომელიც დაცინვით და თუ გნებავთ ოდნავი ზიზღით მაღლიდან დაყურებს ხალხურ კილოებს. სალიტერატურო ენა წარმოადგენს ხელოვნურად მოჩითულ ორანჟერიას, რომელშიც აფუფუნებენ ლამაზ მკენარეებს, ხოლო ხალხური კილოები მინდვრის ველური მცენარეებია, რომლებიც იზრდებიან ბუნებრივად ღვთის ანაბერად"[1]. ამგვარად საკითხის დაყენება წმინდა წყლის ინდოევროპეიზმია. რომელ ველურ მცენარეებზე და ორანჟერეაზეა ლაპარაკი? მექანიკურად სალიტერატურო ენისა და ხალხური მეტყველების დაცილების დოგმატიური თეზა იმპერიალისტური ენათმეცნიერების გულმავიწყარი პედანტობის ნაყოფია. სალიტერატურო ენა შედეგია ხალხის მრავალფეროვანი და ღრმა შინაარსიანი შემოქმედების. მისი ძირითადი მაზა ხალხია, ხალხი მდიდარი ენობრივი მარაგით და მისი ღრმა აზროვანი შემოქმედებით. ამხ. სტალინი სალაპარაკო ხალხურ მეტყველებას ჰაქცევს რა უდიდეს ყურადღებას აღნიშნავს: „ნაციონალური ერთიანობა წარმოუდგენელია საერთო ენის გარეშე, იმ დროს როცა საერთო ენა არ არის საეალდებულო სახელმწიფოსათვის. ჩეხის ერი ავსტრიაში და პოლონელი ერი ვერ იარსებებდენ, რომ არ ქონოდათ მათი საერთო ენა, ამავე დროს რუსეთისა და ავსტრიის მთლიანობა ხელს არ უშლის მათ შინაგან მთელ რიგ ენების არსებობას, მხედველობაში მაქვს რა თქმა უნდა სალაპარაკო ენები და არა ოფიციალური კანცელარიული ენები, ამრიგად ენის ერიანობა როგორც ერთ ერთი დამახასიათებელი ნიშანი".[2] პროფ. ახვლედიანი ალბად, დღეს არ დაიცავს ამ მოსაზრებას, რადგანაც მისი დაცვა ნიშნავს პარტიის ენობრივ პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრებას!

მეცნიერებისათვის, არამც თუ ასე რიგად გავრცელებულ ხალხურ მეტყველებას აქვს მნიშვნელობა, არამედ ნაკლებ გავრცელებულსაც კი.[3]

V

„სიტყვა არის წარმოდგენის სიმბოლო"[4] წერს პროფ. გ. ახვლედიანი, ეს რბილად რომ ვთქვათ, ახირებული მოსაზრებაა. „ენა. ზოგადათ სიმბოლოთა სისტემაა; ის, რისი სიმბოლოც იგი არის, ცნობიერების მდგომარეობაა; დანაწევრებულ ბგერებში მოცემულ სიმბოლოთა სამყარო ენათმეცნიერების საგანია. ამით უკვე განისაზღვრება ენათმეცნიერების ბუნება: იგი თავისთავადი მეცნიერებაა"[5] (ხაზი ავტორისაა).

ეს დებულება თავიდან ბოლომდე მცდარია. ავტორები ამით ცდილობენ სიმბოლოების და იერგოლიფების პრინციპების დანგრევას. აქ ავტორი დაუტყვევებია ფორმალიზმის გარეგან სახეობას. რასაც თან სდევს იდეალიზმისა და მეტაფი-

[1] პროფ. ახვლედიანი, იქვე გვ. 222.
[2] ი. სტალინი. Марксизм и Нац. вопрос, сборник стат. 1920 წ. გვ. 3.
[3] ამის შესახებ იხ. მიხ. ჩიქობავა, საიდუმლო ხალხური ენა. ამავე კრებულში ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 5.
[4] არნ. ჩიქობავა, წელიწდეული, გვ. 15. 1923—24 წ.

ხაკის ბურუსი. ჩვენი ავტორების ეს სიმბოლები საკუთარი ალმოჩენა რიდია. მას ყავს საკმაოდ ცნობილი ავტორები:— ჰელმჰოლცი, შუპპე და სხვა., რომლებიც სუბიექტურ იდეალიზმის საფუძვლებზე იდგენ. მათ წინაალმდეგ გამანადგურებელი ბრძოლა ლენინმა გააჩაღა[1], ენათმეცნიერებაში სიმბოლოების გამოთრევას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს.

ფორმალიზმმა რუსეთში პეტერსონის, პეშკოვსკის, უშაკოვის და სხვათა მეოხებით მე-20 საუკუნის საენათმეცნიერო და საგრამატიკო აზროვნებაც ნამდვილ გზას აცდინა. ფორმალიზმი, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში დგას იდეალისტური. ფილოსოფიის მეთოდოლოგიურ საფუძველზე. ფორმალიზმმა გასაკვირი არ არის, თუ ჩვენს სინამდვილე'შიდაც იჩინა თავი. შეგვიძლია თამამად ვსთქვათ: აქამდე არსებულ ქართული საენათმეცნიერო შეხედუბები წარმოადგენს ფორმალიზმის ფუნდამენტზე აშენებულ შენობას. ამის საილუსტრაციოთ უამრავი მასალა არსებობს, მაგრამ აქ რამდენიმეზე მიუთითებთ, მაგ. „იმანენტიზმისათვის ეს საკითხი მოხსნილია: მისთვის წინადადება გარკვეულ, სახის შესიტყვებაა; მის სტრუქტურის იმანენტი ანალიზი არ საჭიროებს აპელაციას არც მეტყველისა, და არც მსმენელის ცნობიერებისადმი; არა ის, თუ რა პროცესებს გადმოგვცემს შესიტყვება და ვის ცნობიერებაში ხდება ეს პროცესები, არამედ: როგორის აგებულობისაა შესიტყვება,—აი როგორ სხვაფერდება საკითხის დასმა".[2] თითქო ფორმალურ ვარჯიშით გამარჯვებას აღწევს მკვლევარი, მაგრამ ეს მოჩვენებითია. „წინადადება გარკვეული შესიტყვებაა". შემცდარი შეხედულებაა, მაგრამ ამაზე ქვევით. ავტორი აღნიშნავს წინადადების სტრუქტურის იმანენტი ანალიზი არ საჭიროებს მეტყველის და მსმენელის ცნობიერებისადმი აპელაციებს, არამედ საკმარისია ფორმა, თუ როგორი აგებულებისაა წინადადება...

დაკვირვებული ადამიანი უთუოდ შეამჩნევს ფორმალური ლოგიკის ცნობილ ხერხს, რომელითაც ჩიქობავამ მეტყველის და მსმენელის ცნობიერების მიმართება წინადადების გაგებაში ამოშალა. დარჩა წინადადების აღნაგობა, არა შინაგანი, არა სემანტიკა, არამედ მხოლოდ ფორმათა შეხამება და კვლავ საკითხის დაბნელება. რამ გამოიწვია ეს? ეს გამოიწვია წინადადების არა მართებულად განმარტებამ, რომლის გაგრძელებას, შედეგს ეს დებულება წარმოადგენს. მართალი არის პატ. ჩიქობავა ფსიქოლოგიური და ლოგიცისტური გაგების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ერთი უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლა, ხომ არ ნიშნავს მეორის დანერგვას? სრულებითაც არა. ლოგიციზმი და ფსიქოლოგიზმი შემცდარი გზა იყო წინადადების განმარტებაში, მაგრამ ფორმალიზმიც ხომ დალმავალი ხაზით წავიდა და შეიძლება ითქვას, ბევრს რამეში გაუსწრო კიდეც!

თუ ლოგიკოსისათვის წინადადება „აზრი იყო", ფორმალიზმისათვის „წინადადება შესიტყვებაა". აქ ორი უკიდურესობაა. საბოლო ჯამში ორივე ანსაზღვრა, ერთმანეთის საქმეს აკეთებს. არც ერთი მათგანი ობიექტური ჭეშ-

---

[1] ლენინი, თხზ. მე-XIII ტომი, გვ. 137-47.
[2] ა. ჩიქობავა, მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 160.

მარიტების გასაღებს არ იძლევა. თუ ლოგიკიზმმა აზრი წინადადებად აქცია, ფორმალიზმა წინადადება მხოლოდ ფორმად გამოაცხადა. მართლაც „რა დაკარგული და რა შინ არ მოსული“, ან „რა მგელს შეუჭამიხარ და რა მგლის ფერი ძაღლს!“ ხომ უარყოფილად სრულდება პროცესი. „სტრუქტურულ ანალიზისათვის წინადადება სიტყვათა შეხამებაა, სიტყვა-მხოლოდ ფორმაა; სიტყვა კი არ არის ბგერები პლუს მნიშვნელობა, არამედ ოდენ ფორმა, ისევე როგორც წინადადება არ არის სიტყვები პლუს გარკვეული პროცესები ცნობიერებაში, არამედ მხოლოდ შესიტყვება“.[1] ფორმალური სქოლასტიკაა და მეტი არაფერი. რას ნიშნავს წინადადება სიტყვათა შეხამებაა? სიტყვა მხოლოდ ფორმაა? სადაა აზროვნების დიალექტიკური ლოღიკა. სიტყვას აქვს გარკვეული ფორმა, მაგრამ მხოლოდ მარტო ფორმა როდია, ის რაც ერთ-ერთი მომენტია, არ ჩაითვლება თვითონ მოვლენად და მის არსად. მივყვეთ აზრის განვითარებას: წინადადება შესიტყვებაა! რით ამტკიცებს ავტორი რომ წინადადება შესიტყვებაა? „ფაქტებით“, „მაგალითებით“. როგორია ეს ფაქტები და მაგალითები? ვნახოთ. ავტორს მოყავს ახირებული მაგალითი: „ადიდებულმა მდინარემ ბამბის ნათესები წალეკა“. არაფის არ შეეპარება ეჭვი, რომ ეს უნაკლო წინადადებაა; ყველაფერი თავის რიგზეა, ფორმაც და შინაარსიც. მაგრამ თურმე ნუ ვიტყვით და, ამ წინადადების სხვანაირი ოპერაციებიც შესაძლებელი ყოფილა. მაგალითად, „ადიდებულმა ბამბამ მდინარეების ნათესები წალეკა“, და ასკვნის ავტორი: უნაკლო წინადადებაა! რატომ, შეეკითხებით და ისიც გიპასუხებთ: იმიტომ, რომ შესიტყვებაა! ალბად, მკითხველს დაინტერესებს, რა არის ეს შესიტყვება? აი პასუხი: მართვა შეთანხმებაზე აგებული სიტყვები არის შესიტყვება! გულუბრყვილო მკითხველი დაკმაყოფილდება პასუხით, რადგანაც ფორმალურად ყველაფერი თავის რიგზეა. ამ უაზრო წინადადებაში მართვაც არის და შეთანხმებაც; ამის შედეგი კი შესიტყვება. აი თქვენი კლასიკური(!) განმარტება, მაგრამ ჩვენ უფლებას ვიტოვებთ შევეკითხოთ: სად წავიდა სემანტიკა, შინაარსი? ალბად, გვიპასუხებენ: ისინი დამოუკიდებლად განიხილებიან. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ პირწავარდნილი მეტაფიზიკაა, წინადადება არც შეისიტყვებაა და არც მარტო აზრი, არამედ წინადადება არის „სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც სრულდება გარკვეული აზრით“ (მაპირო).

VI

ორიოდე შენიშვნა ენის კლასობრიობის შესახებ, როგორ ესმის იაფეტურ თეორიას. მართლაც, საცილობელია თეზისის დაყენება, თითქოს აქ არსებულიყოს არა კლასობრივი ენა. ჩვენ ვიცით, რომ არსებობდა ენა, მაგრამ არ იყო კლასები... მაგრამ აქ ერთი რამ უსათოდ უნდა გავითვალისწინოთ. ხელდობრ: რა კონტექსტში ხმარობს მარტო სიტყვა „კლასს“ და რა მნიშვნელობას დებს მასში. ამის გარეშე ვერასოდეს ვერ გავარკვევთ საკითხს. საინტერესოა ამხ. მუშიშვილის მოსაზრება, რომელიც პარტიულად მსჯელობს

1 არნ. ჩიქობავა, მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში, გვ. 145.

და იაფეტიდოლოგიას მეგობრულად შენიშნავს. საქართველოში ძველი საენათმეცნიერო სკოლიდან იაფეტოლოგიას ბევრი მეგობარი არ ყავს, რადგანაც იაფეტიდოლოგიის ფუძემდებელი ნაციონალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგი იყო ყოველთვის. ამხ. მუშიშვილი წერს: „მეტი ქიდევ, კლასობრივი ბუნებისაა აგრეთვე ის იარალიც, რომლის საშუალებით იდეოლოგიური სისტემა გამოითქმება—საზოგადოებრივ ადამიანთა მეტყველება. იაფეტური თეორიის ამ თანამედროვე მატერიალისტურ ლინგვისტიკის შემქნელმა აკად. ნ. მარრმა საფუძვლიანად ნათელყო ამ დებულების სრული უშმარიტება". ამ აგილში საესებით ვეთანხმებით ამხ. მუშიშვილს, მაგრამ შემდეგ მისი მსჯელობის განვითარება ვერ არის იმდაგვარად დაზუსტებული, რომ მარრის მოსაზრება რიგიანად იქნეს გაგებული. მუშიშვილი განაგრძნობს „იაფეტიდოლოგიის ცნობილი თეორეტიკოსი აკად. ნ. მარრი ასაბუთებს არა მარტო ენის კლასობრიობის თეზას. მისი აზრით კლასობრივია თვით ენის წარმოშობაც. ნ. მარრი ამტკიცებს: „დღემდე არ არსებობდა ზეკლასობრივი ენა, ეს მომავალი უკლასო საზოგადოების საქმეა. ზეკლასობრივი ენა არ ყოფილა არასოდეს ისევე, როგორც არ ყოფილა არასოდეს ინდივიდუალურად შექმნილი ანუ ბგერითი ენა, რომელიც წარმოიშვა ცხოველთა ენიდან" [1].

ჩვენით ავტორი წერს: „კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, ენაც კლასობრივი ხასიათისაა. ეს ისტორიული მატერიალიზმის ერთ ერთი გამოსავალი დებულებაა. აქ ჩვენ საესებით ვიზიარებთ აკადემიკოსის შეხედულებას, მაგრამ საეჭვოდ და ძალიან საეჭვოდ მიგვაჩნია ენის წარმოშობის კლასობრივი ბუნების მტკიცება. „დღემდე არ არსებობდა ზეკლასობრივი ენა... ზეკლასობრივი ენა არ ყოფილა არასოდეს" აცხადებს აკად. მარრი. ვაყენებთ კითხვას: კლასობრივი იყო ენა ისტორიულ განვითარების იმ საზოგადოებრივ საფეხურზე, სადაც არ არსებობდა საზოგადოებრივი კოლექტივის დაყოფა კლასებად? მაგ. პირველყოფილ კომუნიზმში? შეიძლება პატ. აკადემიკოსი ფიქრობს პირველყოფილ კომუნიზმის ადამიანები იყვნენ მუნჯები, istvumentum mutum, არ გააჩნდათ ენა, ან და მათი ენა იყო კლასობრივი. არც ერთ შემთხვევაში იაფეტიდოლოგიის ეს დებულება არ უძლებს მარქსისტულ დიალექტიკის კრიტიკას". [2]

ამონაწერი გაგვიგრძელდა, მაგრამ ზოგჯერ ესეც აუცილებელია, რამდენადაც საკითხი საკამათოდ გადაიქცა თვით მარქსისტთა წრეშიც. აქ ერთი გაურკვეველობაა, თუ ის არ გავითვალისწინეთ, რაშინ საკითხი უმართებულოდ იქნება გაშუქებული. უთუოდ სწორი არიან ამხანაგები, როცა შენიშნავენ, პირველყოფილი კომუნიზმის დროს ენა კლასობრივი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყოვო, მაგრამ აკად. მარრი „კლასს" იმ შინაარსით, რა შინაარსითაც დღეს ჩვენ გვესმის არ ხმარობს. სიტყვა „კლასი" ყოველთვის, როცა ენის წარმოშობის საკითხებს ეხება ბრჭალებში აქვს ჩასმული, რაც გამოშხატველია გარკვეული დროის საზოგადოებრივი დაჯგუფების ე. ი. არ არსებობდა კლასი, მაგრამ არსებობდა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები. სწორედ სიტყვა „კლასი" ამ ცნების გამოსახატავადაა ხმარებული, თუმცა ეს ტერმინი არ არის მეცნიერულად ზუსტი. თვით აკად. მარრი გრძნობს ამას. ნ. მარრმა მოსკოვში ისტორიკოს-მარქსისტთა ყრილობაზე შემოსულ შეკითხვაზე „კლასის" შესახებ, შემდეგი პასუხი გასცა: ეს ტერმინი უხეიროა და მზათაა რომელიმე სხვა ტერმინით შესცვალოს, სთხოვდათ მიეცათ სათანადო ტერმინი და როცა მას უპასუხეს რომ ამ ნაწილში მარქსიზმს ტერმინოლოგია არ გამოუმუშავებიათ, მანაც ირჩია ჯერჯერობით ძველი ტერმინის დატოვება, მხოლოდ ბრჭალებში. მაშასადამე აქ საკამათო არ არის რა, ვინაიდან ამ ტერმინის არა

[1] Н. Марр, К дакинской дискуссии о яфетидологии и марксизме. ბაქო, 1932 წ. გვ. 10. შეად. გვ. 40—41.

[2] გრ. მუშიშვილი, მატერიალისტური დიალექტიკა, გვ. 323—324, მეორე გამოცემა.

სწორად ხმარებას და მის პირობით ხასიათს ჩვენ გვრძნობთ, ამას თითეული იაფეტოდოლოგი აღიარებს.[1] აი, მხოლოდ და მხოლოდ ამდაგვარად უნდა იქნეს გაგებული საკითხი. ამდენად იაფეტურ თეორიაზე ამ საკითხში თავდასხმა მართებულად არ მიგვაჩნია.

მარქსიზმი ენათმენიერებაში იაფეტიდოლოგიით მართლდება. იაფეტიდოლოგია დღეს უდიდესი თეორეტიული სახის დისციპლინაა და არა მარტო თეორეტიული, არამედ უაღრესად პრაქტიკულიც. მხოლოდ და მხოლოდ ლენინის ნაციონალურ პოლიტიკას ენის კვლევაში იაფეტიდოლოგია ატარებს. აკად. მარრის გზა, არის სწორი გზა, გზა რომლითაც ყოველთვის მიდიოდენ: მარქს-ენგელსი და ლენინი“ [2], ლინგვისტიკის ფარგალში ის აკეთებს იმას, რაც გააკეთა მარქსიზმა ფილოსოფიისა და სოციალოგიის სფეროში. დღევანდელ ეტაპზე იაფეტიდოლოგიის—„არსი მდგომარეობს იმაში რომ, გამომდინარეობს რა ისტორიიდან ბევრ სტადიალურ ენებით ის იძლევა იდეოლოგიურად აგებულ დიალექტიურ მატერიალისმის მეთოდით შეძლებას ენის შესახებ. გამოამჟღავნა სიტყვის ერთეულობის ჩანასახი და მათი განვითარება სიტყვებათ. შექმნა სახეობა ახალ მეურნეობასთან ერთად. არსი იმისა იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატის ბრძოლისა და გამარჯვების ნაწარმში მიმართოს სიტყვა-აზროვნება ერთეულ მსოფლიო მეურნეობის ბაზაზე“. [3]

იაფეტიური თეორია დიდი ოქტომბრის პირმშო შვილია. ბურჟუაზიული ინდოევროპეისტიკა, ბურჟუაზიის ოფიციალური აგენტი, დიდად ჩამორჩა იაფეტიდოლოგიის ტემპებს. ეს ადვილი ასახსნელიცაა, ინდოევროპეისტიკა თანამგზავრია დალმავალი, კრიზისებში ჩაფლული კლასის; იაფეტური თეორია კი პროლეტარიატის, რევოლიუციონურ მუშათა კლასის და მისი პარტიის თეორიაა. თითეული ენათმეცნიერი უნდა გამოვიდეს იაფეტურ თეორიის მინაღწევებიდან, რადგანაც იგი გამარჯვებული კლასის ახალი საენათმეცნიერო მოძღვრებაა.

დღეს, იაფეტიოლდოგიის როგორც თეორიტიული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა, ნიშნავს კომუნისტური პარტიის ენობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას.

დღემდე იაფეტიდოლოგიის „პაექრებს“ არავითარი საბუთი არ გააჩნდათ, გარდა ინდოევნოპული ენათმეცნიერების ლრმა პატივისცემისა. ეს მოწინააღმდეგენი ასე მსჯელობენ: რატომაა იაფეტური თეორია მიუღებელი? ამაზე სომხეთის უთუოდ დიდი მეცნიერი აჭარიანი უპასუხებს: „ვინაიდან შეხედულება იაფეტურ ენათა ჯგუფის, მეცნიერებაში (ბურჟუაზიული მ. ჩ.) მიღებული არაა, ამიტომ ჩვენ კატეგორიულად უარყოფთ ზემოაღნიშნული სიტყვების ნათესაობას“ [4] (ხაზი ჩვენია). ყველაფერი გამოირკვა. თურმე, რადგანაც კაპიტალისტურ ქვეყნებში არაა მარრის თეორია მიღებული, ამიტომ ყოფილან ესენი კატეგორიული წინააღმდეგი იაფეტიდოლოგიისა. აი „ფაქტებზე“ დამყარებული მეცნიერული ავლა-დიდება! ჩვენ დარწმუნებული ვართ ლენინის პარტიისა და ბრძენი სტალინის მეთაურობით დღეს თუ ხვალ გაიმარჯვებს მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია, რომლის შემდეგ “იაფეტური თეორიის მზე სიმართლე სავსებით ამობრწყინდება მსოფლიო მეცნიერების ცის კამარაზე“ (მარრი).

---

[1] ი. ი. მეშჩანინოვი, იაფეტიდოლოგია და მარქსიზმი. 1932 წ. გვ. 49.
[2] Поржезовский, Языковедение и материализм, გვ. 41.
[3] Марр, Язык и современность. გვ. 40. 1932 წ.
[4] აჭარიანი, რეცენზია. Марр'ის „Грамматика чанского (лазского) языка“. სომხური ჟურ. „არარატი“ 1911 წ. მაისი. გვ. 416.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

მ. ჩიქობავი

ფირალის ეპოსი გურიაში

ფინასიტყვა

ქართული პოეტური ფოლკლორი მდიდარი და მიუვალი ტყეა. ფოლკლორს ლიტერატურის რჩეული ადამიანები ყოველთვის დიდად აფასებდენ, რადგან ძვირფას ტყეში შესული უკან ხელცარიელნი არასოდეს არ ბრუნდებოდენ. ხალხური შემოქმედება მჭიდრო და ახლობელ კავშირში იმყოფება ყოველდღიურ ცხოვრებასთან; ის-მახვილი, მოსწრებული და უცენზუროთ სწორად გამომხატველია იმ კლასობრივი ბრძოლებისა, რომელიც კი კაცობრიობამ იცის.

მასაში გაბნეული ლექსები, შაირები, ზღაპრები, ანდაზები, სიმღერები, არაკები, გამოცანები კუთხიდან კუთხეში და ხელიდან ხელში გადადიან, ილესებიან, მახვილდებიან და სახეს იცვლიან. ხალხში ბევრი კარგი მთქმელი მოიპოვება, რომელსაც არა მარტო სიუჟეტის კარგი გადმოცემა და მეხსიერების იშვიათი უნარი ახასიათებს, არამედ, ამაყე დროს, სიტყვის საუკეთესო ოსტატი და შემომქმედიც არის. მათ ხელში მოხვედრილი სიუჟეტები იხვეწებიან, გარემოს ეფარდებიან და, ზოგჯერ, ახალ მასალობრივ ხასიათს იღებენ. ამდენად დამწერლობით ლიტერატურას აუცილებლად უნდა აინტერესებდეს ლიტერატურის მეორე, არა-დამწერლობითი უბანი, რომელიც, პირველთან ერთად, ერთ მთლიან შემოქმედებით საგანძურს შეადგენს.

არსებობს ორგვარი მეტყველება: ერთი, ოფიციალური, მოწინავე კლასის ლიტერატურული ენა, რომელიც გაბატონებულ მდგომარეობაშია, გაწაგებს და ფლობს მთელ პრესას; მეორე, არა-ოფიციალური, ხალხური შემოქმედების ლიტერატურული ენა, დამწერლობას მოკლებული, მაგრამ მასიური და ამდენად „გაბატონებული", რადგანაც ის ყველასათვის გასაგები და მასის სულისკვეთების სწორად გამომხატველია. ორი ლიტერატურული ენის გავლენა შესამჩნევია მე-19 საუკუნის კლასიკოსების შემოქმედებაში. აკაკი წერეთლის პოეზია ამ მხრივ ორ დიდ შენაკადს შეიცავს: ერთი, როცა ის ეხებოდაფებ მისდევს ხალხს, მის სტილს („ჩონგური", „შუშის ნატვრა", „ალმართ-ალმართ" და სხვა ლირიკული ლექსები), და მეორე, როცა პოეტი ფეოდალური არისტოკრატიის მაღალი ენით სწერს („თორნიკე ერისთავი", „გამზრდელი",

„ჩემი თავგადასავალი“). პირველი უფრო ცოცხალი, მასის გულთან ახლო მისული არის, მეორე უფრო მძიმე და „ლიტერატურული“!

ხალხური შემოქმედება მრავალმხრივია, მას თითქმის იმდენივე ყანრი გააჩნია, რამდენიც დამწერლობით ლიტერატურას. ფოლკლორში მხატვრული პასუხი არის გაცემული ყველა საკითხებზე, რომელთაც კი რაიმე მნიშვნელობა ქონდათ გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასთა ურთიერთობაში.

ჩვენს მიერ ჩაწერილი გურული ლექსები ყაჩაღობას—ფირალობას შეეხება. „ფირალის ეპოსი“ ძვირფას მასალას წარმოადგენს: როგორ იბრძოდა გლეხობა განთავისუფლებისათვის, როგორ სტიქიურ და ერთობლივ ბრძოლას აწარმოებდენ გლეხები თავად-აზნაურობისა და მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ 80—90-იან წლებში, სანამ ისინი თავის შედრობაში, ქალაქის პროლეტარიატს ორგანიზაციულად შეუკავშირდებოდენ.

„ფირალის ეპოსი გურიაში“ შეიცავს ლექსთა კრებულს, რომლის გამოქვეყნება ქვემოთ მოყვანილი ნიმუშებით იწყება; მისი დასტამბვა მრავალმხრივ არის საინტერესო, მათ შორის: 1. ის წარმოადგენს გლეხთა მოძრაობის სანდო მასალას, 2. ის არის მასის პოეტური შემოქმედების საუკეთესო ნიმუში, 3. იგი გვეხმარება ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებითი მეთოდის გამორკვევაში, და 4. მას აქვს ენათმეცნიერული მნიშვნელობა გურული კილოს შესწავლის მხრივ. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ამ სერიის ლექსების გამოქვეყნებასთან ერთად დავსტამბოთ ვრცელი წერილი, სადაც გარჩეული იქნება თითოეული ეს მხარე. ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე მომენტს.

ქართულ ლიტერატურაში მრავალი მაგალითი მოიპოვება იმისა, რომ მწერლები ინდივიდუალურ შემოქმედებას საფუძვლად ხალხურ სიტყვიერებას უდებენ. საკმარისია დავასახელოთ: 1. ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემები: „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მჭამელი“, 2. ეგნატე ნინოშვილის ცნობილი „სიმონა“, 3. ლალიონის მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან „ფირალი დავლაძე“ და 4. თანამედროვე მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „არსენა მარაბდელი“. თითოეულს უპირველეს მასალად აღებული აქვს ხალხური ზეპირსიტყვაობა. პირველს, ფშავ-ხევსურული თქმულებები და ლექსები, მეორესა და მესამეს ფირალის ეპოსი გურიაში და მეოთხეს ცნობილი არსენას ლექსი.

1891 წელში დაწერილ მოთხრობა „სიმონა“-ს ეგ. ნინოშვილმა საფუძვლად მთლიანი ფირალის ეპოსი დაუდვა, რომელიც იმ ხანად განვითარების უმაღლეს საფეხურზე უნდა ყოფილიყო გურიაში, და არა რომელიმე ცალკე ფირალის ცხოვრება, როგორც ამას ამტკიცებენ ნინოშვილის მკვლევრები[1]. მწერალმა ღრმად შეისწავლა გლეხური მოძრაობის ეს ფორმა-ფირალობა და მოგვცა სიმონა ძალაძის ტიპი. ამ მიზეზით უმართებულო და არა სწორად მიმაჩნია აწ განსვენებული სიმონ ხუნდაძის მტკიცება, თითქოს „ავტორი (ე. ნინოშვილი. მ. ჩ.) არ ცდილა ის მდიდარი მასალა 80-იანი წლების გურულ ფირალთა თავგადასავლიდან, რომელიც მის ხელთ იყო და რომლის ცნო-

[1] სიმონ ხუნდაძე, „რედაქტორის შენიშვნები“, ე. ნინოშვილის თხ. პირველ ტომში, 1932 წ. გვ. 356—86.

ბაც მას ქონდა, უფრო ფართო სახეში აესახა"[1]. ჩვენ პირიქით გვგონია. ფირალის ეპოსის გამოქვეყნება და შესწავლა საშუალებას მოგვცემს სრულიად გამოვარკვიოთ სიმონა ძალაძის რეალური სახე და გავიცნოთ, როგორ შეიმარა ემპირიული მასალის მხატვრულ გარდაქმნაზე ჩვენი ლიტერატურის სახელოვანი ადამიანი.

ლექსები ჩემს მიერ ჩაწერილ იქნა სხვადასხვა დროს გურიის სხვადასხვა ადგილებში და მის გარეშე. პირველად, რამდენიმე ლექსი ჩავიწერე სოფ. ნაგომარში (მდ. სუფსის მარცხენა ნაპირი), ამბაკო მამალაძისაგან 1933 წლ. მარტს; მეორედ, იმავე წლის 10 მარტს დაბა ჩაქვში, თომა ხავთაძისაგან; შესამედ, 1934 წლის 6 იანვარს, ლანჩხუთის რაიონის ს. ჩიბათში ვალერი ჭყონიასაგან. „ქ. დადიშქელიანის ლექსი" ორჯერ მაქვს ჩაწერილი, ერთხელ 1927 წელს ლეჩხუმში სოფ. დერჩში და მეორედ ჩაქვში. ქვემოთ ნაჩვენები იქნება ორივე.

ახლა, რამდენიმე ცნობა იმ პირების შესახებ, ვინც მე დახმარება გამიწია და კარგ მელექსე-მოშაირეებათ არიან ცნობილნი.

ამბაკო მამალაძე 64 წლის საშუალო შეძლების კოლმეურნეა. წ.-ქ. იცის, „პაწას ხელს მოვაწერო", მითხრა თავმდაბლად. ამბაკოს ბევრ ქალაქებში უელია, როგორიცაა: ერევანი, ტფილისი, ბაიაზეთი, იგდირი, ჯულფა, ალექსანდრეპოლი (აწ ლენინაკანი), ბათომი და ქუთაისი. 1905 წელში მონაწილეობდა ნასაკირალის აჯანყებაში და ამ ჟამად კომპარტიის წევრია. ამბაკოსთან ერთად ლექსების ჩაწერაში დამეხმარა ნაგომარის სას. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლავრენტი ღლონტი. მამალაძე ამჟამად ნაგომარში ცხოვრობს.

თომა ხავთაძე 40 წლის, არაფრის მჭონე პროლეტარია. 14 წელიწადია, რაც თვალში სინათლე დაკარგა და შავი ზღვის რკინის გზაზე მატარებლებს დაყვება, ამბობს ლექსებს და მსმენელებისაგან ნაჩუქრით ირჩენს თავს. თომა ხავთაძე ჩამომავლობით სვანია, დაბადებულა სოფ. ქულბაქში, ლეჩხუმში, მდ. ცხენის-წყლის მარცხენა მხარეზე. წერა-კითხვა სცოდნია,—„საშა გიგეჩკორის ბიძაშვილმა, ზურაბმა მასწავლა ქუთაისის სასტუმროში მოსამსახურეთ ყოფნისას"-ო, მითხრა „ბრმა მელექსემ". თომას გადაწყვეტილი აქვს ახლო ხანში შეიძინოს გარმონი და მასზე მომართოს რამდენიმე საგმირო ლექსი. ლექსები თომას შეთხზული არ არის. რკინის გზის მგზავრები ხავთაძეს კარგად იცნობენ, მეც ნატანებიდან გასული შევხვდი ვაგონში ლექსის თქმის დროს და ჩაქვში მთელი დღე ერთად გავატარეთ.

ვალერი ჭყონია სოფ. გომახურის (ლანჩხუთის რაიონი) მცხოვრები, 63 წლის ჭარმაგი კაცია. წ.-ქ. იცის, უელია ბათომში, ფოთში, ტფილისსა და ქუთაისში. ჭყონიას ხალხური ლექსების მოგონებაში ეხმარებოდა სიმონ ჯორბენაძე. სიმონმა ბოლოს საკუთარი ლექსიც ჩამაწერია გურიელის შესახებ, რომელიც ქვემოთ მოგვყავს.

20 იანვარი, 1934 წ.
ტფილისი.

[1] იქვე, გვ. 386.

1. ლექსი ნიკოლოზ მოხუზლას, წყლიდან რომ ჯარი დახოცა

ათას რვაას ოთხმოცდა ცხრაში, რიცხვით თუთხმეტ იანვარში,
ისეთი ზამთრობა იყო, კაცი ვერ გამოვიდოდა კარში.
ფირალები მოიჩიხენ მაუჭაძის ქუხნა-სახლში,
ტარიელ რაცხას მასხრობდა სადილის მომზადებაში.
ნიკოლოზა ეუბნება: „სულ შენი მასხრობა არის,
ტარიელავ, მოგხვდა თოფი მაგ ხარხარში!“.
ასრულდა მისი სიტყვები, ჯარი შემოადგათ კარში.
გულადობაც კარგი ჭირდენ, ქეც ვარგოდენ ბიჭობაში.
დათუნაიშვილმა უთხრათ:—წინ წინ მე გამიშვით კარში!
თოფის ტუჩი კარებსა კრა, თოფი გასცა თოფის ხმაში,
გასვლისა და უმალესად ტყვია მოარტყეს ბარკალში.
ექვსი უცბათ არტყეს, იქვე დააწვინეს წამში,
მოხუზლა გაცეცხლებული, ელვასავით გახტა კარში;
ერთი ისე შეტრიალდა, როგორც შევარდენი ცაში,
ამხანაგის მწუხარებით ცრემლი მოსდიოდა თვალში.
შვიდი-რვაი იქვე მოკლა, მეცხრესაც გაარტყა მხარში.
მთელი ჯარი მიატოვა, წინაც ბევრი შეხვდა გზაში.
ვინც რომ შეხვდა შიშისაგან თოფი გაუარდა ხელში,
ორი ვერსი გადირბინა არშინახევრიან თოლში.
როგორც კვირკობის თვის სიცხე, ისე შეენთო ტანში,
თებზივით წყლის ქენ მიძვრება, შაფაქიძე შეხვდა გზაში.
„ნუ ჩამაგდებ შენი ცოლშვილის ცოდვაში.
—„შენ მომშორდი შაფაქიძევ, თავს ნუ მაკლავ ამდენ ჯარში,
„რადგან აღარ მომშორდები, ერთ პატრონას გავცვლი შენში!“
გამეტებულათ ესროლა, პირდაპირ გაარტყა თავში.

* * *

მთელი ქვეყანა აინძრა, ყველა ადევნიდა თვალსა,
დიდიან პატარიანათ ყველა უძებნიდა კვალსა.
ქალები მას უკივოდა, როგორც ცოფიან ტურასა,
უცხო ქვეყანაში იყო-რაფერ უშველიდა თავსა.
ისთევე წყალში შევიდა, ჩხუბი დოუპირა ჯარსა,
ირგვლივ ჯარი შემოერტყა, ყველა ჩაუჯდა საფარსა.
დილიდან დალამებამდი მუდამ აძლევდენ ზალპსა,
მოხუზლა გაცეცხლებული სულ არ აქანებს ფაფარსა.
ახირებულათ არ ხარჯავს თავის ტყვიას და წამალსა,
თითოს როცა გაისვრის, კიდეც მოარტყამს ლიშანსა.
როცა ტყვია დაელია, თქვა რომ—მოვაკვლიებ თავსა!
ისთევე ფეხზე წამოდგა, ორი ტყვია მოხვდა თავსა.

საწყალს ისე დიესიენ, როგორც ძაღლები ღორსა,
ზოგი ლიველზე ეტაკა, ზოგი აფრინდება თოფსა;
ზოგი ჯიბეს უძებნიდა, ზოგი ეძებდა ფულებსა.
წყლიდან ამოათრიეს, უპატრონოთ დადვეს თოლსა,
ტანზე არ გამოუცვალეს, ახლის ნებაც არ მისცესა,
უკურთხ მიწაში ჩააგდეს, ნაკურთხიც არ ალირსესა.
პრისტავები იძახიან: „ეი ბოლუ მალადეცა"!
სტრაჟნიკებსა ჯავრისაგან გულზე ხაფრა ეცა,
ცხენმა ფეხი წამოკრა, ერთი ერთქვანეთს დაეცა.
მეგრელები იხახიან:
„ცვანა-ცვანა ყოფეთენა,
თექ წყარს მუჭო გარზუ,
მუჭო თექი მინმართენა.
კისერიშა წყარს მითოხე,
ირი კოს მოშკურუნა,
ჯარი საფარს თიზმა ვარე,
მუზმა კოჩი დოლურელე!"
დადეშქელაინი უნობს:
ვინ არის, ან ვინ ყოფილა ნეტავი ერთი მაჩვენა,
ვინც რომ პასუხი მოეცით ყველას დედა მოგვაგონა.
მე იმ ღმერთს ვმადლობ მოწყალეს, რა ღმერთმა გადამარჩინა,
ვინც რომ მისკენ გიექანა ყველა თოლში დამიწვინა!

მოგზაურობას ცოლის ტირილი

„ჩემო ექვსი წლის ფირალო,
„რათ დამტოვე დაჩაგრული.
„შენზე ამდენ წვალებასა,
„ვერ აიტანს ჩემი გული.
„ნეტავ თუ ვინმე დატოვე,
„ჩემსავით დამწუხრებული.

შრიადნიკ შაფაძისა დაი

„შენ მოკალი ჩემი ძმაი,
„ამით დამიწყლულე გული,
„საწვალებლათ ეს გეყოფა,
„ქე ხარ თოლზე გაგდებული.
„ჩემი ძმაი ლამაზად მყავს,
„ლოგინზე დასვენებული;
„ლამაზათაც გავასვენებ,
„დაამშვენებს მას კრებული!

მოხუცლას ცოლის პასუხი

„უსინდისოს ლაპარაკობ,
„რაც რომ ენით არ ითქმება,
„ჩემთვის რა საჭირო არი
„ამნაირი ხანჭკისრება [1].
„დღეს ლამაზად გისვენია,
„აგი კი დაგეჯერება,
„მაგრამ მოიკითხე, ნახე
„მერე როგორ გეყოლება!
„შენს ძმას უნდოდა მისი ლალატით,
„რომ მიეღო სისხლის ჯვარი;
„მაგრამ კი ალარ აცალა,
„დეილოცა მისი გვარი.
„ქალო, როგორ შეეძლო შენს ძმას,
„რომ მოეკლა ჩემი ქმარი...
„მას ნაგრადის მაგიერად,
„შეუყენა სისხლის ღვარი
„და მიიღო ხისა ჯვარი!

* * *

გზეი გრწყინავს, ცაი ღრუბლავს, თოლია დაზვავებული,
საათის რა მოგახსენოთ, შვადღეზე გადარებული;
ჩვენ სადილზე გიახელით, არ იყო გამზადებული,
როგორც ღორის მონადირე ვიყავით მომზადებული.
სამარიდან წერილს მოგწერთ, თუ ამითავდა ქალალდი,
რა უბედობა მეწვია, ტერებო როგორ გახარდით.
ცოლშვილი სარჩენი მყავდა, სხვა ბევრი გადასახადი,
ყველგან ყოჩალად ვიყავი, სანამ ვეთრიე აქამდი.
პირველ შეკვეთილს [2] ვივაჭრე, იმან არ მომცა ხელია,
კონტრაბანდობას ვეჩვიე, ცოტ-ცოტას გიახელია;
იმასეც მალე მოვცილდი ცოლშვილს მოვკიდე ხელია,
ენით არ გამოითქმება, თავზე რაც გადამხდენია.
ყანის თოხნა, რომ დაეიწყე, ოფლი დამასკდა ცხელია,
ვიმუშავე და ვეცადე, ვერ მოვიწიე საყოფათ.
უბრალო ცილის-წამებით ციხე ვაჩვენეს სამყოფათ.
ოთხწელიწადს ისე მახჩვენ, სიკვდილს ვნატრობდი საოხარს,
ქურდობა-რაზბონიკობა იქ შევისწავლე სულ ოხრათ.
იქიდან მოკიდებული შევყევი ზემო ქვეყნებში,
იქ ბევრი რამე ვიშოვე, დავხარჯე ამხანაგებში.

---

[1] ხანჭკისრება—შანის მოგება, დაყვედრება.
[2] შეკვეთილი—საეაჭრო ადგილი შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ნატანების შესართავთან.

ბევრმა კიდეც მილალატა გამამაყლავნა მონაგებში,
დავიფიცე და ასე ვთქვი,—არ შევეხები სულ ჩვენში!
რადგან კატორღას მიწყევტდენ, ქე შევიქენი ფირალი,
მაინც მწუხარე ვიყავი, დღე-ღამე მუდამ მტირალი.
გადმოვიარეთ უჩხუბი, დავტიეთ ნასაკირალი,
დიდი თოლი მოგვეწია, გვიჩვენა გასაჭირალი.
ნაკალანდევი შეიქნა, ყველგან ახდენდენ ყრილობას.
ვთქვი, ერთი ტარიელია,—ის მიზამს ავთანდილობას,
მაუჭაძისას მივედი, კარგად უქებდენ ზრდილობას,
ჩვენ უნებურად შევედით, არ უყურებდით პირობას.
დავჯექით და დავისვენეთ, ოხერი ხუთშაფათია,
პარმაღზე[1] ფეხი შემოდგა, თურმე რუსის სალდათია;
დიდ-კაცობა წინ მოუძღვის, ეგეც მათი ადათია,
ერთი მეორეს უკივიან,—არიქა მაქით დახთია!
ბიჭობაში მოვიშალე ტარიელ რომ გამიგორეს,
გავიქეცი დამედევნენ, ვეხვეწე, არ გამიგონეს.
წალმა-უკუღმა ვისროლე, ვინც მიყურა—მომიწონეს,
ყვირიან: „კაცი გასწყვიტა“, მე მეგონა მომიგონეს.
ფალასკა გამომეცალა, ტყვია დავხარჯე ყველაი,
კაბალხი მათ უჩვენე, დავჯექი თავშიშველაი;
სანამ მჭონდა პატრონაი, ქე ვისროდი ცალ-ხელაი,
მომკლეს და გემშვიდობებით, მე ნიკოლოზ მოხუხლაი.

2. ფირალი სისტანაი დარჩია ამხანაგის ცოლმა რომ ულალატა

ათას რვაას ოთხმოცდა რვაში,
რიცხვით თორმეტ სექტემბერში;
მოვიღალე და მომწყინდა,
მუდამ ჯდომა ზაფხულ-ჟვერში.
უშიშრად ვიარებოდი
საბატონო ბაილეთში,
ისე უშიშრად ვიყავი
თოფიც არ მჭიროდა ხელში.
თურმე ნამუსს ვერ გაიტანს,
ვერც დიდი და ვერც პატარა;
ამხანაგის ცოლმა გაგვცა,
დაგვაყარა სტრაჟის როტა.
არჩეული მაგრამ ხთისმიე,
დავინახე უმალ მოკეტა.

[1] პარმაღი—ბალკონი.

სისონამ უწინ შეიტყო—
ერთი რომ შიგნით ჩამოხტა.
— გაგვიკეთეს გამცემლებმა,
ჩვენ სადილი მშვენიერი,
და ღვინისა დალევაზე,
არ დაგვაკლეს არაფელი.
დალამებულს გვიღალატენ,
დაგვაცემეს თავზე მტერი.
ალათია განგებ კივის,—
რომ არ უთხრან არაფელი.

* * *

ისთე გაიქცა სიმონაი
ვერ გაარჩევდი ფრინველში,
ვასილაც ახლოს მიზდევდა,
გქგონებოდა თვით გვერდში.
მაგრამ მოარტყეს თოფები
შვიდი და რვაი ბეჭებში.
მიკვირს როგორ-ღა გაიქცა,
აჩრ წაქცეულა ერთ ვერსში.
მე მეორეთ გამოვედი;
შეეშინდა მაშინ ყველას,
ვაი, მიხელა ნინიძე
ჩვენ ძმასავით გვეპყრობოდა,
ვახშამს რომ ერთად ვჭამდით,
ნავახშმებს გაგვყობოდა!
თურმე ჩვენს ღალატს აწყობდა,
მაგრამ რაში ეტყობოდა!
იმ სულ-ხორცით წაწყმენდილსა,
ჯვარ-მენდალიც ეყოფოდა.
სულ ყველა უკან ძვრებოდა,
ვისაც უსტვინე ხმაია,
მივრბოდი დაკოჭლებული,
მე არ ვიცოდი გზაია.
მოგეხსენებათ სუყველას,
კაცი უცხოზე ბრმაია,
შიშისგან ზარდაცემული,
ყველამ მიტია გზაია.
მე თავი კარგათ მეგონა,
ტყვია კოჭში მომხვდომოდა,

მე კი მერჩია იმ ყოფნას,
რომ სულიც ამომხდენოდა.
ბატონიშვილმა მესროლა,
მაგრამ სროლა არ სცოდნოდა;
ორმოში არ ჩავმტრეულიყავ,
ორი სხვაი დამრჩენოდა.
თოფი შორს გადამივარდა,
რადგან ხრამში ჩავიმტვერი;
ხელში მჭონდა და გამიტყდა,
კაზიონი ლიველველი.
რა ეცვა ჩემსა იმედსა,
მაგრად შეეხვია წვერი.
დიდხანს ახლოს ვერ მობედეს,
ეს კი იყო საკვირველი.
ჩემი აზრით გადავწყვიტე,
ამ საათში მოვკტე უნდა:
მოდით და ამომიყვანეთ—
ხედავთ, ლომი დაძაბუნდა!
გიო ლლონტი გამოიქცა,
ლალატი მასაც უყვარდა.
ისიც იქინე ჩეიმტრა,
მიეწია ძველი ცოდვა,
ლოგინით გამოასვენეს,
მორჩებოდა ვინ იცოდა!

* * *

ვაი, დალოცვილი სისონაი,
ნაქებია კაცობაში;
შევიდა და ძმა იტირა,
არ შეშინდა იმდენ ჯარში.
ცალხელში თოფი ეჭირა,
ცრემლიც მოზდიოდა თვალში:
„შენ მკტარი ხარ, მე ცოცხალი,
„როგორ გევიარო გზაში.
„ადი, ბიჭო! შემომხედე,
„თოფი არ მკრას ვინმემ თავში.
„მალე შენსა მოლალატეს,
„გავაგზანი მალლა ცაში!

—

3. ლექსი პოლიტიკური დათიკო შევარდნაძის, მოსე ჯელიძემ რომ მოწამლა

დეკემბრის თოთხმეტს, ორშაფათს,
გამითენდა ცუდი დილა,
მტერი, რასაც მექადნოდა,
განგებამ არ ამაცილა!
ნუ ენდობი ჯელიძესო,
ბრევლმა მითხრა, გამაფრთხილა,
ღალატი და საწამლავი,
ვაი დედავ, რა ყოფილა.
შვიდობით დედავ, ცოლშვილო;
ალარ გყავთ თქვენი დათიკო,
თუ აგრე მიგატოვებდით
ჩემს გულში ფიქრი არ იყო.
დღეს კი მიმუხთლა, ცამ რისხვით
და მიწამ პირი დამიღო.
მადლობას გწირავ ასკანავ,
თქვენი ძმა, თქვენი აღზრდილი,
დატკბით, სიამით შეირგეთ,
ჩემი ღალატით სიკტილი.
გრცხვენოდეთ კაცის გაყიდვა,
ვინც იუდა ხართ ნამდვილი.
მე მოვკვდი მტერთან ბრძოლაში,
მხოლოდ თქვენ დაგრჩათ სირცხვილი.
დანაშაულობა ჩემი
მოიგონეთ, აბა კარგათ,
როს ერთობას ღალადებდით,
შემითვისეთ ამხანაგათ.
მეც დასტური მეგობრობით,
რაზმში გავერიე მარდათ,
ეკალს ძირს მითვის უთხრიდი,
ხალხს რომ შევხდომოდი ვარდათ.
მსურდა ხალხზე შემეწირა
ჩემი ღონე, ჩემი აჯა.
მაგრამ ჩემდა უბედურათ,
შემომაკვდა ერთი სტრაჯა,
მას უნდოდა ჩემი მოკლა.
იმან ტყეში მიდარაჯა,
ტყუილად სხვისი მოხერხებით,
ვწუხვარ, ხალხი დეიტანჯა.
ამას გარდა, ვერ დავმალავ,

რაზედაც რომ გულს მაკლია.
ვწუხვარ სიამაიშვილმა,
თავი ძალათ მომაკლია.
(სიამაიშვილი ვექილი იყო).
ჩემზე ძვირი ლაპარაკი,
შევეკითხე, ვინ გათქმია?
მან ბოდიშის მაგიერათ,
ცხვირში მუშტი გამიქნია.
რადგან მეტი ალარ იყო,
მოთმინების ჩემგან ღირსი,
ჯერ პირადათ წაუკითხე—
ცდომილების პარაკლისი:
მერე ტყვიით გაუსწორე
დანაშაულობა მისი.
მთელ ჯაშუშებს შეემატოს,
მისი დღეი დანაკლისი!
მაგრამ მაინც მეცოდება,
საწყალი და საბრალისი.
ჩემთვის მაინც, სულ ერთია
ვის შერჩება ეს ქვეყანა,
ყოფილა და ალარ არის,
ბევრი ვინმე ჩემისთანა!
ამ საქმესა მოელოდა,
ცუდი დრო და ცუდი ხანა.
მე დიდი ხნიდან ვიცოდი,
მიღალატებდა ასკანა.
ავისა კარგი ნუ გინდა,—
ანდაზა არის ნათქვამი,
შენ დეილოცე ჰელიძევ,
რომ გამიმართე ვახშამი.
ხმელი ხილი ბევრი მჭონდა,
ძველი ღვინო და ქათამი,
საწამლავი შემაპარე,
როცა შევიქენ ნასვამი.
მეგონა, ვოტკა დავლიე,
ვერ მივაქციე თვალ-ყური;
სტაქანი რომ გამესინჯა,
მე არ ვიყავი დოხტური!
თურმე, ჩემი მასპინძელი
ეშმაკია და მაცდური,
ავიღე და გადავკარი
ვითომც ღვინოა კახური.

თურმე, საწამლავი არი,
მოტყუებით შემაცდინა,
გულზე ცეხლი შემომენთო,
მთლათ სხეული ამატკივნა,
შევატყვე, ძალა არ მქონდა,
სულ მუხლები წამეხდინა.
ავდექი და წამოვედი,
დავიბიჯე თოფი-რკინა.
ვაძაგებ მხოლოდ იმას,—
შერცხვეს მისი ვაჟკაცობა,
დიდი ხნიდან სდომებია,
თურმე ჩემი ღალატობა.
ამ შემთხვევას, წამკითხველო,
თვით გაცნობებს, ეს მოთხრობა.
მიველიოლი, თუმცა გზაში,
თვალით არა მქონდა ცნობა.
თვალით ვერაფერს ვხედავდი
პრისტავი რომ შემხვდა გზაზე.
ხმამაღლა დაუყვირე,
გადადექით ყველამ განზე!
ყველა შეკრთა და შეშინდა,
პირველ ჩემი დანახვაზე.
მხედველობამ მიღალატა,
ჩემი გამცემის იღბალზე.
ბაჯელიძემ დაიძახა,
დათიკოა შევარდნაძე!
გადმოიღო და მესროლა
პოლიტიკური წესია,
ჩვეულებრივ შევტრიალდი
მტერი რომ შემომესია.
ერთი ხმა მაღლა შევყვირე,
ვითა ვაჟკაცის წესია,
კაცი ძალ-ღონე მიხდილი
მოკვეტეს მით უკეთესია!
ვხედავ, რომ სროლას მიბედავს
მეგრელი თხაი მწყესია!
შენ იფიქრე, რას ვიზამდი,
მწუხარე და ავათმყოფი;
სტრაჟნიკს ფეხი მოვამტვრიე,
როცა გავისროლე თოფი.
ამხანაგი იქ არ მყავდა,
არც მოყვარე—განაყოფი,

სროლა კი აღარ შემეძლო,
ტყვია ქე მჭონდა საყოფი.,
ჩემი ასეთი სიკვდილი
ჩემთვის ვიცი საძრახია,
მაგრამ რაც რომ საქმე მოხდა,
უიღბლოთ არ დამმართია.
მთავარი სული არ მჭონდა,
მე რომ წელში მომხდა ტყვია,
საწამლავით გულ მოხარჩულს
სიკვდილიც არ შემიტყვია.
მშვიდობით ამხანაგებო,
თქვენ ველარ გნახავთ აწია,
ნახეთ, სიცოცხლის წუთების
აღსასრულმა მოახწია.
მე მტერისა მოხერხებამ,
მიწის ქვეშ ამომაქცია;
ჩემი ამფერი მოღალატე,
აბა, კითხეთ რა კაცია!

ქდ. შევარდნაძე ასკანელი რევოლუციონერი იყო, მისი მოქმედება 1905 წელში ობურგეთსა და მის მახლობლად, ყველასათვის ცნობილია. შევარდნაძე ასკანაში მოკლეს. ქელიძე შვილებს უნათლავდა და მოატყუა. პრისტავად იყო კალანდია. ერთხელ კანცალარიაზე დაცემისას პრისტავი ბუჯარში შეძვრა დასამალავად. დათიკომ კარგი სროლა იცოდა, აბრეშუმის ძაფს არტყამდაო,—ამბობს „ბრმა მელექსე").

4. ლექსი ღალატით მოკლული სიმონა დოლიძის, გიჟაშვილმა რომ უღალატა.

ყოველის მხრიდან დაჩაგრული
მე ვარ სიმონა დოლიძე,
ექვსი წელი შემისრულდა
არ მიძინია ლოგინზე.
უბედურად დადგა ჩემთვის
ათას ცხრაას თერთმეტ წელი,
გამიწყდა იმედის ძაფი,
აწ სიცოცხლეს აღარ ველი!
ცხრა ეკენისთვეს შესიზმრა,
ყელს მეხვია ვითომ გველი,
ვეცადე, ვერ მოვიშორე,
ისე შემეშალა ხელი.
პოლიცია დამედევნა

ოცი წლის რომ შევიქენი,
ჩემთვის ხალხი იტანჯოდა,
მაგრამ გევრი კარგი ვქენი.
რაც ფირალად გადავარდი,
შემისრულდა ექვსი წელი,
მოღალატეს თვალებს ეთხრიდი,
მძულდა ხუცესი და გერი.
უდროოთ მოვწყდი სამშობლოს
ვაი ჩემს გედის-წერასა,—
ისე დამდევდენ სტრაჟები
ვით მონადირე მელასა.
ხშირად ტყეში ვიმალოდი
მივწობოდი წიფლის ძირზე,
გამოდიოდენ, მეძებდენ,
სტრაჟები მაღალ გორებზე.
დაბრუნებული, ხალხს სცემდენ,
კლავებს იწვრთიდენ ლონეზე,
მწარეთ გული მომდიოდა
უბრალოდ ხალხის ცემაზე.
შუხლებში ცეხლი გამიჩნდა,
ვით ელექტრონის სინათლე,
შევხედი და ოთხფად გავგლიჯე,
სისხლი გადვივლე ენაზე!
მე, ჩემი ჯავრი მყოფნიდა,
მივდიოდი ჩემსა გზაზე;
მემტერებოდენ, რა მექნა,
ვერ მივდიოდი ბინაზე.
მივიდოდი თუ არა,
ვერ დავჯდებოდი გემოზე.
მინდოდა გამძლარიყავი,
ჩემი ცოლ-შვილის ცქერითა;
დაჯდებიან და სტირიან,
თვალი ევსებათ ცრემლითა.
რაც ამბავი მე გადამხდა,
ყველას ვერ ვიტყვი ენითა.
შპიონები ამესვარა,
ვითა რწყილი და კორიზა,
არ ვფიქრობდი გამცემდა
ჩემი ძმა ანდრო დოლიძე.
მისგან ღალატს არ ვფიქრობდი,
ერთად ვიწექით ლოგინზე.
უსამართლობას ვხედავდი,

ველარ უძლებდი ცქერასა,
მინდოდა, დავთხოვებოდი,
ღვინით და ოტკით თრობასა.
დავლევდი მეტათ მავნებდა,
გზებში ავტეხდი სროლასა.
ნატანებში გავემგზავრე,
ცოტა მუხლები მტკივოდა,
ცოცხალი არ გადავრჩები,
გული სულ ამას ჩიოდა.
იქ შევედი ნალიაში,
ძმის მეტმა არვინ იცოდა,
ერთი ამხანაგი მყავდა
ისიც ჩემსავით იწოდა.
მასა ვთხოვე, გამეგზავნე
ცოტა მიყიდე პურია!
ამოვიღე და მივეცი;
რაც რომ უნდოდა ფულია.
მასთან უთხარ, ჩქარა მოდი,
თან მშია და თან მწყურია!
თურმე თავის ხელით მკლავდა
როგორც იუდა-ურია.
ჯაფარიძე ურიადნიკი,
ცნობილია გურიაში,
ამ ჩემ ძმა-კაცს უთხრობია,—
ფირალი მყავს ნალიაში,
აუცილებლათ იშოვით,
დღეს ვერ გამოვლიან კარში.
უყურეთ, აღარ მოვიდა,
დაგვიგვიანდა სადილი,
გურჯულაძე მეუბნება
გამოვიცვალოთ ადგილი.
გავიხედე და მოვიდა,
გულზე დამესო ნემსია,
სადილათ დავჯექით თუ არა,
სტრაჟები შემოგვესია.
ისე აგვიტეხეს სროლა
ვითა გვინდა და შეხია,
გადმოხტომის დროს მესროლეს,
მომტეხეს ორივე ფეხია!
გურჯულაძეს გაეკიდენ,
ის ურჯული, ის ძაღლები,
ვხედავ ვერას ვეხმარები,

ცრემლით მევსება თვალები.
ერთი აზრი მევიფიქრე,
მასთან ძალა შევიძინე,
ერთი თოფი გევისროლე
გულიანათ გევიცინე.
ჯაფარიძე ურიადნიკი,
იმ ჩემ გვერდში მევიწვინე,
ლომივითა ვაღრიალე,
აფიცრობის მომლოდინე.
თურმე ჯვარ-მენდალს ელოდა,
ჩემს სიკვტილზე ჯაფარიძე,
მაგრამ თავზე წავიკალი,
მე ვარ სიმონა დოლიძე!
საქმე, ისე მომიხერხეს
ჩემით გავედი ბოინზე,
შპიონები წასულია
კეთილაძე და წეროძე.
ბურთის გატანა უნდოდათ,
ვერ გაიტანეს ლელოზე.
აწ მშვიდობით ნაცნობებო,
მივალ მოუსვლელ ადგილზე,
ლექს გიტოვებთ სამახსოვროთ,
დაამღერეთ გიტარაზე.

5. ფირალის ლექსი ღალატით მოკლული ნიკიფორა ართუმელაძე

პარასკევი ღამე იყო, თებერვალი ოცდა რვაი,
დღეს მეწვია უბედობა, ჰირი-ჰირზე დასართავი;
წამკითხველო ყური მიგდე, შეიბრალე ჩემი თავი,
მუდამ ტანჯვა მაწუხებდა და ფიქრები სხვადასხვაი.
რაც ფირალათ გადავარდი, შემისრულდა შვიდი წელი;
ტკბილათ არ მიძინია, თოფზე მედვა მუდამ ხელი.
კახური[1] რომ შევიყვარე, დავტოვე ჩემი სოფელი,
ყველა ისე მეპყრობოდა, როგორც დედა და მშობელი.
თურმე ამით თვალს მიხვევდენ ჯაშუშები-შპიონები.
გამჩენი ღმერთი დალუპავს ბერი გლახუნა ვაშნაძეს;
მეგონა, როგორც მოხუცი პიჯვარს იწერდა ლოცვაზე,
მნახავდა, ნუგეშს მეტყოდა და წამიყვანდა ვახშამზე.
ვაშა იმათ, ხუთი კაცი გაერია ჩემს ღალატში,
მე მომცეს ხელში გიტარა, მათ დაუკრეს ნელი ტაში.

[1] კახური—სოფლის სახელია.

დამათვრეს და დამაძინეს, ჩუმად დამკრეს კეტი თავში.
თავგატეხილი წამოვდექ, იარალს ვეძებდი საწყალი,
ოთხმა ხელები შემიკრა და ერთმა დამკრა ხანჯალი.
„ვყვიროდი, მაღე მომკალით ნუ დამარჩინეთ ცოცხალი,
რადგან ჩემზე მოიგონეთ ურიების სამართალი.
მშვიდობით, აწ ველარ გნახავ, მშობელო ჩემო დედაო,
ვერ მიშველის იარალი, სიკვდილს თვალის წინ ვხედაო.
ერთად ჩემი მოღალატე, ჩიკაშუა კომახიძე,
გლახუნა მარდათ გაიქცა, იმას წაუწყდეს სუნია;
კედიას უთხრა: ფირალი, სახლში მყავს დაჭირულია,
თუ ტყული მოგახსენოთ, რაც გინდა ის მაყავია,
ოღონდ კი უნდა მომცეთ დანაპირები ფულია!
კედია წამსვე აღელდა და შეიკრიბა მაჯები.
ჯერ ოჯახს გამოეთხოვა, მერე ჩაკოცნა ვაჟები:
„საომრათ მივალ, არ ვიცი, როდის ჩამგლეჯენ ჭაჯები!“
კაცი გაგზავნა ჩაჩქაროდ, გამოამზადა სტრაჟები.
გლახუნამ უთხრა: „პრისტავო, შენ რა გაქვს საშიშარია,
გულადად მიდი ნუ შიშობ, თოფს ველარ გესვრის მკვდარია!
შენი წესი აასრულე, გულზე მოიგდე ჯვარია,
ჩემს სახლსა კი ვერ გარეცხავს რიონი, ვერცა წყალია!“

6. ლეჩხი ღალატით მოკლული ფირალ თედორე ღლონტისა

საზიზღარო ჯაშუშებო,
რა გაქვთ კარგი დანათესი,
დღეს პასუხი უნდა გითხრათ
ამხანაგი მოვალთ ეჭვსი.
მასთან საქმის გაკეთება
ღმერთმა ნუ ქნას უკეთესი,
მოძმის სისხლი, რომ ავიღოთ—
ასეთია ჩვენი წესი.
ჯერ ხმელიძეს ვესტუმრეთ,
ოთხშაფათი დილა იყო,
ცოტა აკლდა გათენებას
დაუძახეთ, შინ არ იყო.
ლუკა ვიკითხეთ, არ არის—
შვილი სტრაჟად დამდგარიყო.
ამ დროს ვილაც სახლის უკან
იმალოდა ჩუმად ქვეშე,
დაიჭირეს ყმაწვილებმა.

ჩაატანეს ხელი წვერში.
უთხრეს, შენი წერილია
გიბარებენ ჯოჯოხეთში!
დაიჭირეს, წაიყვანეს,
მოლალატე ძმაი დისას.
არც ქალები შინ არ იყო
რომ შეეველით დოლიძისას.
ბერი კაცს კითხეს, სად არი
განაჩენი შავი დღისა?
ნან გაუძღვათ, წაიყვანათ,
სადაც იწვა მეზობლისას.
გააღეიძეს, ააყენეს,
ქალი ყოვლად უსინდისო.
მოლალატე დედაკაცი
დაარიგეს, არ იკივლო.
მერმე გოგოს დაუძახა,
ადი დედა, ადი შვილო!
გოგო ადგა, ფერ-მოხდილმა,
დედას დაუწყო ცქერა,
თმაზე ხელი გადაისვა,
პრიშოჩკები გაისწორა.
მიყავთ ქალი დაჭერილი,
სულ ტიროდა იგი გზაში.
კითხეს, ვინ ქნა, ეს ღალატი,
გადაისვა ხელი თმაში.
—მე კარგი ქალი ვიყავი
ფირალების შენახვაში.
რა ვქნა, ძალიან გული მტკივა,
იმ ჩემს ძმაზე და ძმის შვილზე.
ეს ღალატი მათ მოაწყვეს
და მე ფული შემახარბეს.
რას ვშობოდი არ ვიცოდი,
აიღელვეს ფულით გული,
სტრაჟნიკებიც კი გამაცვნეს,
პოლიცია დიდებული...
ამ დროს ტყვია გამოვარდა,
ტყვიამ ზალპად იზუზუნა,
ქალსა ტყვია პირში მოხვდა,
სურდა კიდევ რამე ეთქვა!
ლუკაიას შუბლში მოხვდა,
პირუკუღმა გადაბრუნდა.
ეს ჯალათური სიკვტილი

ყველა ჯაშუშს ასე უნდა.
ილიკოც ამ დღეს მოელის,
ვითა მამა და მამიდა,
იგიც ვერ დაიმალება
მონაწილე თუა მისა.

8. ლექსი ვასილა ლომინაძის

ჩვიდმეტი წლის რომ შევიქენ, იარაღი შევიყვარე;
მაუზერი და ლაგანა ჯიბანებს ამოვიფარე.
სალდათობამ მომიწია, პოლიციას დავემალე,
დედ-მამას დავემშვიდობე—რუსეთისკენ გავემგზავრე.
სახარჯო შემომელია, უფულობა არ ვიკადრე,
აზოვის ბანკი გავტეხე, ფული ბლომათ გავიტანე.
გავიხედე, აგერ ზევით, ფაიტონის ხმაი ისმის,
ოზურგეთის მოვაჭრენი ყველა ზედა დამჯდარია.
ავიწიე და გადავჯექ, მეც იმათ გავყე თანა,
ერთ წელიწადს იქა დავრჩი, მოვდივარ სახლისაკენა.
ოცდა ხუთს მარიობისთვეს სტრაჟნიკები მომეპარა,
კარის გატეხას მიკვეთენ; აწი ძილი კიდეც კმარა!
ავდექი და გადავძახე:—თქვენ სტრაჟნიკები ხომ არ ხართ?
„ჩვენ სტრაჟნიკები გახლავართ, კედიამ გამოგვაგზავნა"!
ავიწიე და ავდექი, ფალასკითა შევიმოსე.
წალმა-უკულმა ვისროლე, სტრაჟნიკები გაიფანტენ.
იქიდანა გამოვიქეცი, გურიასა მივემხარე,
გურიაში ჩამოვედი ამ ამბავმაც არ იკმარა;
დიდ-პატარა გაიძახის: „ვასილა ლომინაძემ ფული ბლომათ გაიტანა".
ფეხსაცმელს ვაწმენდინებდი, ურიადნიკმა მომეპარა,
ფულზე რეჩები დამიწყო, ენამ დაუწყო კანკალა.
ასიანი შევაძლიე, ტყუვილა ხელი არ აკარა.
ფულზე რომ საქმე წავიდა, შვიდი-რვაი აღარ კმარა.
პალტო ზურგიდან მოვიძვრე, გავიქეცი ბლუზის ამარა,
სტრაჟნიკები დამედევნენ, მუხლებში აქვენ კანკალა.
კედია გაიძახოდა;—გასწყვიტეთ დიდი-პატარა!
—ბატონო თუ არ მიშპიონებთ, მე გასტავლით ვასილასა,
ვასილა ლომინაძემა ჩემს სახლის წინ გაიარა,
მაუზერი და ლაგანა ორივე ხელში ეჭირა,
იმას თქვენ ვერ დაეწევით, თუ ძლიერ არ დაიღალა!
მთა და ბარი გადვირბინე, ლექსი ვსწერე ხიდის თავში,

ბარიშნებსა გეეედრები, დაამღერეთ გიტარაზე
და ისე მომიხსენიეთ, აღარ დავრჩე ქვეყანაზე.

(ვასილას სიკვდილის შემდეგ სისონა დარჩიამ რვა წელიწადი იყაჩაღა. ბოლოს ფილტვების ანთებით გაუჭინდა და მოკვდა ერთ ოჯახში. ეს გაიგო პოლიციამ. მაშინ ლესაში მაშასახლისად იყო ჰანტურია. მან მკვდარი ქუჩაში გაიტანა და „დაბურიტა", ბატი წააკლა თავზე. მეფის მთავრობამ ჰანტურია ამისთვის დიდათ დაასაჩუქრა და თან დარჩას ნაქონი მოკლე ბერდენაიც არუქა.

სისონა დარჩია ჯუმათის თემის გლეხი იყო. მას ტეხისთავები ემტერებოდენ, ამ ნიადაგზე „პრიგოვორიც" შეუყენეს და გადასახლება მიუსაჯეს. „პრიგოვორების" შედგენა მაშინ ძალიან გახშირებული იყო და ხშირად მას უბრალო ხალხსაც უდგენდენ. ასეთი იყო სისონა დარჩიაც, ის არც ქურდობდა და არც ცუდი კაცი იყო. ამიტომ, უსამართლოდ დასჯილი სისონა იძულებული გახდა თოფისათვის ხელი მოეკიდა და ტყისთვის თავი შეეფარებია.—ასე გადმოგვცემს ჩემი მთქმელი ფირალის ცხოვრების დასასრულს).

8. ჟაჩაღ ალექსა სარჯველაძის ლექსი

ერთი ამდენი ხანია
თავი არ შემიფხანია,
არ მიქნია ცუდი რამე
არ მომიპარავს ხარია.
ჩიბათში სტუმრად მოველი
შემომასიეს ჯარია,
მაგრამ ქე ვიცი
გადასახადი ვალია!

9. ჟაჩაღ ხასანის ლექსი

ბიჭი ვიყავი ხასანი,
კაცი არ მყავდა ბადალი,
გურიაში ჩამოვედი,
ვერსა ვიშოვე ამალი.
გუგუნავას ქალი ვთხოვე,—
გუგუნავამ მომცა ქალი,
ზოგი ყურში მიფურჩულებს,
გიღალატებს შენი ქალი!
გულში რავა გავივლებდი,
რავა მეგონა მართალი.
ცოლის ძმანებს ვესტუმრე,
ლამის ერთის გასათევად.

დავწევი და დამესიზმრა
შემდგომია ვითომ წყალი.
გამომელვიმა, ავდექი,
შემონესია რუსის ჯარი.
გარეთ ძიძგინი შეიქნა,
დამიჯოროგეს მაგრად კარი.
კაი—მაგას ჩემო ქალო,
მოიხმარე შენი გვარი!
ჩემმა ცოლმა შეიცინა,—
კაია ახალი ქმარი!
კაი მაგას დედამთილო,
რას უყურებს ჩემი თვალი!
ძლიერ გაჭირვებული ვარ,
მოდი და გამიღე კარი!
დედამთილმა დამიძახა:
—მე რუსი და შენ თათარი,
უნდა გაგიცხადო შვილო,
გაგითხოვდა შენი ქალი!
გამიჭირდა, თოფი მომხვდა
და ძალით გავხეთქე კარი,
კაი არც მას დავაყენე
თავს დავეცი შიშის ზარი!
იმას შემდეგ არე-მარეს
გზათაც ალარ გავეკარი,
ღმერთო ყველას გოუწყვიტე,
ვისაც ყავდეს ასე ქალი.

10. ლეჩხი ღალატით მოკლული მელიტონ ცინტერაძის

ჴილბლოთ დაბადებული მელიტონ ვარ ცინტერაძე,
ეშმაკი ჩამორევია ჩემი იღბალის წერაზე;
დავტანჯე ჩემიანები შავი კაბების კერვაზე—
ლოყაზე კანი ეწვიან ცხელი ცრემლების დენაზე.
ცხრა ექვნისთვეს მესიზმრა, გველი მეხვია ენაზე,
უცფათა გამომელვიძა ჩემი მურიის ყეფაზე;
გათენდა დილა, ავდექით, მივდექი კარის ღებაზე,
კარებთან ბიჭები დამხთენ ლაპარაკობდენ ცნებაზე,
ერთი კიდეც გაუჯავრდი რათ ჩამოსულხარ დილაზე,
მათი პასუხი ეს იყო:—მოგვშივდა გამოვიარეთ,
ველარ მივედით ბინაზე!

ცოტა ხანი რომ გეცივდა, შემდეგ დავჯექით ჯამაზე,
შეთვრენ ბიჭები ძალიან და ითამაშეს ყირაზე,
ჩუმათ ნამუსი გამანდვეს,—ფული ვიშოვეთ გემოზე!
ფული ძალიან გვჭიროდა, ჩოხა მიგვექონდა დრამაზე,
აედექი, გადვიჩაქურე, ლივერი ვიგდე ქამარზე.
დედას რომ გამოვეთხოვე, კურცხალი მადგა თვალზედა,
ცოლ-შვილი განით მიყურებს, ტირის, მომდგარა კარებზე.
უხომოთ ნუ შემაგინებთ, ყოველი უნდა ზომაზე,
ღარიბს არაფერს ვართმევდი, ვიარებოდი გორებზე.
მიწაში გადამასახლეს სახარჯო ფულის შოვნაზე.
შავი ზღვის პირს რომ მიველდი, ძლივს უძლებდი წვიმა-ქარსა,
მაგრამ სხვას კი რას ვერჩოდი, ვაბრალებდი მე ჩემს თავსა,
ნამუსი რომ გავანდევი თურმე იყო მისი ხასა,
გაიძვერა დედაკაცმა მათში თავი დაიფასა,
აგვიყვანა არტაჟაზე, დაგვიმალა ფულის კასა,
თურმე ლივერველით კაცი ეფარება კარს უკანა,
მაგრამ უწინ ჩვენ ვესროლეთ, ველარ ვიტყვით იმის უარსა,
უკეთესი დამიზნება კი სცოდნია თურმე მასა,
აწი ყველას გაფრთხილებთ, ნუ ენდობით მაგფერ ქალსა,
სირცხვილით ეელარ გამოხვალთ, ველარ გააჭყეტ თვალსა.
მოკვეტი და გემშვიდობებით მე მელიტონ ცენტერაძე,
ბარიშნებს ვსთხოვ სამახსოვროთ დაამღერონ გიტარაზე!

11. ილარიონ დათუნაშვილის ლექსი

ამხანაგათ ავიყვანე ქუთათელაძე დარჩია,
როგორც მე მსურდა საქმები, იმგენმაც ისე არჩია;
უმეცრად შემოვაჯექით პოეზს ეჯიბის თავშია,
ისე მოჰქროდა პოეზი, როგორც ქარი და მეხია.
ქუთათელაძე გადმოხტა, მაგრად იტკინა ფეხია,
მე აკოშკაში გადმოვშპი, როგორც გინახავს ვეფხია.
ხელი დავავლე, წავიღე გზა მწვრილი ათი ვერსია,
გადავხსენ ჩამადანი, ფულები ვნახე ბრეველია,
ამევიღე და დავაწყვე ასიანები მშრალ-მშრალი,
უსამართლობა კი ვქენით, ხომ არ იყო სამართალი.
ურიები არ ვყოფილვართ, ზურგით გვეთრია ფართალი.
ექვს ნაწილად გავიყავით, ჩვენ მეგრელმა და გურულმა,
ათიათასი მანეთი თითოს გვახვედრა სურვილმა.
ერთი კვირა შეგვინახა იმ აჯამეთის ბურულმა,
მეტ ნაწილად შეგვაწუხა იმ დასაქცევში წყურულმა.

12. ლევან გურიელი

თვითმპყრობელობის რეჟიმისგან
მშრომელთ ქონდათ გასაჭირი,
მათ ბანაკში გაისმოდა
საყვედური მუდამ-ხშირი.
გობოქრობდა მთელი არე,
ბრძოლის ტალღა მოგორავდა;
დღეს ანუ ხვალ მეფის ტახტსა,
დაანგრევდა, წალეკავდა.
მებრძოლთ რიგი იზრდებოდა—
ხმა ყიჟინის მოისმოდა,
და ხმა მძლავრი კიდით-კიდეს
გადიოდა, გაისმოდა.
მოუხმობდა ყველა მშრომელს,
იზრდებოდა მშრომელთ გუნდი,
ყველას სურდა შეემუსრა
დამჩაგვრელი, ტანჯვის ხუნდი.
გათომის ხმაც შეუერთდა
ამ საერთო დიად ძახილს,
და აქაურ მუშებშია
პოულობდა გამოძახილს.
დიდი ხნიდან დატანჯულმა
ხელს აიღო მკვეთრი ხმალი,
ბარიკადებს აკეთებდა
და აენთო ბრძოლის ალი.
ქარხნებიდან გამოვიდენ
და მოედნენ ყველა ქუჩებს,
შიშში ქარი შეუყენეს
მეფის აგებულ ბოროტ-ურჩებს,
სტრაჟნიკებსა უფროსობდა
ამ დროს ლევან გურიელი,
მებრძოლ მუშებს დაერია,
ყველას კბენდა როგორც მგელი.
ბევრსა სცემა, ბევრი მოკლა,
მიმოფანტა მშრომელთ კრება,
იარაღით მომზადებულს,
უხაროდა გამარჯვება.
ამნაირი საქმისათვის
მას მიართვეს ჯილდო დიდი,
გულს მედალი ჩამოკიდეს—
გაახარეს მხეცი-ფლიდი.

გათამამდა, მოიწდომა
კიდევ მეტი ამაღლება,
„მეტის მეტი არის ბრეტი“—
ძველი არის ეს თქმულება.
მუშებმა ვერ მოითმინეს,
გურიელის მოქმედება,
დაადგინეს, გადასწყვიტეს,
მოკვლით მისი მოშორება.
ამ საქმისთვის აირჩიეს
ტერორისტნი კაცი სამი,
გურიელმა—არ იცოდა
უდგებოდა ავი დარი!
ცხრა იანვარს გურიელი
მარხილს იჯდა, მოსვენებით
გასცქეროდა არე-მარეს—
ბოროტი თავმომწონებით.
მანთა'შვილის შესახვევში
ლევორველის ატყდა სროლა,
წაამწარეს გურიელსა
ტკბილი ძილი, ტკბილი წოლა.
მოჰკლეს შავი გურიელი
ცხრაიას ხუთსა წელში,
რასაც დასთეს მას მოიმკი
და შეგრჩება იგი ხელში!

(კოლმეურნე სიმონ ნატიფოს-ძე ჯორბენაძის ლექსი).

14. ლექსი სვანეთის მთავრის კოსანდილე დადიშქელიანის

კოსანდილე დადიშქელიანის ქება, განთქმულია ქვეყანაზეო,
წამოსულა სვანეთიდან გამჯავრებული გზაზეო.
ქუთაისში ჩამოვიდა, ფიქრი მიეცა გულზეო,
გაგარენმა დეიბარა, რაღაც სწრაფი საქმეზეო.
—რუსეთში უნდა წახვიდეთ, ნახმობი ხართ რაცხაზეო,
ბრძანებაა ხელმწიფისა, ვერ გადაუხვევთ განზეო,
სამი ცხენი და ტროიკა ეხლა მზად არის კარზეო.
—სვანეთიდან ჩამოვედი, მოვალ პირდაპირ შენთანა,
შვილები მყავს სასწავლოთ, არ ვყოფილვარ არც ერთთანა,
წავალ იმათ ვინახულებ, მალე მოვალ თქვენთანაო.
—მე აქედან ვერ გაგიშობ, ნუ მემდური მაგაზეო,
შენ სვანი ხარ, არ გეძრახვის, გაიპარები გზაზეო.
ეს კოსანდილემ ისმინა, ხელი გაისვა ხმალზეო,

გაგარენს შემოუქნია, თავი მოთალა მხარზეო.
სამი კაცი რომ მოუკლა, ხმალი გადუტყდა შუაზეო,
მივიდა, გულში ჩაიკრა და გადაკოცნა ტარზეო:
—შენ რომ მთელი დამრჩენოდი, შევასრულებდი ცხრაზეო!
მე რომ კაცობა ვიხმარე, აგრე მიქნია სხვაზეო,
ყველა გაფანტ-გამოფანტა, ერთი სტოლ-ქვემ შეუძვრესა.
კოსანდილე გამობრუნდა რიონში უნდა ჩავარდესა.
მე რომ ამაში ჩავარდე, სირცხვილია ჩემ თავზედა!
წავა და ძალად შეტეხავს, ვილაც ბაქრაძის სახლსაო.
ქალები აკივლდებიან, ვინ შემოვარდა ესაო,
დედავ, რა ბედი გვეწვია ჩვენ უბედურებას დღესაო.
—თქვენ, დებო, ნუ გეშინიათ, მე თქვენ არაფერს გიშავებთ,
მტრისგან ვარ გამოქცეული, მალე გაიგებთ ყველაფერს!
ქუდი წყალში გადააგდო, იქნებ დამხრჩვალი ვეგონოთ,
მაგრამ, იმ ურჯულოებმა, იქ მიაყარეს მთლად ჯარი.
მაშინ სთქვა კოსანდილემა,—დამსვა სვანეთის მთაზედა,
ჯარი იმდენი დამახვია, როგორც ბალანი თავზედა!
ასი კაცი ხელს ჯკრაედა, ველარ წაგვიხვალ ვერსადო,
გაგარენის თავის მოჭრა შენ დაგიჯდება ფასადო.
ბრძანებაა ხელმწიფიდან კოსანდილე დახვრიტეთო,
გაიყვანეთ ქალი, კაცი და აჩვენეთ ყველასაო.
გაიყვანეს კოსანდილე და მიაკრეს ხეზედა,
თვალიდან ცეცხლს აფრქვევდა, ძველებურისა ფერზედა.
ხუთი ტყვია შუბლში დაკრეს, ათზე მეტი ფერდზედა,
პირის-სახე უცინოდა, თხილის კაკალი ეგონა.
—უბედურო ჩემო ქალო, საცოდავი ხარ ქმარზედა.
ეხლა უნდა შეგებრალოს სული ხორცის გაყრაზედა!
(უმფროსი შვილი ამბობს):
—ვინ მომიკლა კოსანდილე, მიყვარდა მამის გარზედა,
უსამართლოა რუსეთი, თავსხლაფი დაესხმის თავზედა!

ვარიანტები

1. ილარიონ დათუნაიშვილის ლექსი

(პირველი ვარიანტი)

ათას ცხრაას თორმეტ წელში
რიცხვით თორმეტ სექტემბერში
მოვიღალეთ და მოგვწყინდა
მუდამ ჯდომა ზაფხულ-ქვერში.
უშიშრათ ვიარებოდით
სუფსას გალმა ბაილეთში,
ისთე იმედით ვიყაენით,
თოფიც არ გვეპირა ხელში.
თურმე ნამუსს ვერ გაიტანს,
ვერც დიდი და ვერცა ცოტა,
ამხანაგის ცოლმა გაგვცა,
მოგვისია სტრაჟის როტა.
მაგრამ ჩვენი გამცემელი
გავიცანით, იქვე მოკვტა.
უწინ სისონამ შეიტყო,
ერთი კაცი შიგ შემოხტა.
გამცემელმა გაგვიკეთა
ჩვენ სადილი ძალიანი,
ღვინოს რომი შეურია,
სხვაც არ გვაკლდა არაფელი;
და მთვრალი და გალეშილი,
ადვილია დასაჭერი.
აუარელი ზალპა დაგვირთეს,
მაგრამ ჯერ კი ვზივართ სახლში.
სახლმა ტყვია ვერ იმაგრა,
და ვასილას მოხვდა მკლავში,
რადგან ძელი გლახა იყო,
ვერ დაეწნდვეთ ჩვენ საფარში.
ყველამ ისთე გადავსწყვიტეთ,
გამოვსულვიყავით კარში;
და რომ კარში გამოვარდი
მათ შეეშინდა ყველასა.
ნინიძე გამოვათხოვე

თავის ცოლშვილის მზერასა,
ორი ტყვია პირში ვარტყი
ფიქრობდა ჩემს დაჭერასა.
ორი სხვაიც მივაყოლე,
ეხმარებოდენ იმასა,
მე თავისუფლათ მივრბოდი
და არ ვიცოდი გზაია.
ყველამ კი ასთე გასინჯეთ
უცხო ადგილს კაცი ბრმაია!
ისეთ ხრამში გადვიჭერი
მეც მეზარება თქმაია,
მე რომ ხრამში გადვიჭერი,
საჯენი არის ოცია.
ჩემი მდევრები გარბოდენ,
ამბობდენ გასაოცია,
მე მთელი ტანი ამტკივდა
კაცის სიცოცხლე ხორცია.
და ჩემ აზრში გადავწყვიტე,
ერთ საათში მოეკვეტე უნდა,
მოდით და ამომიყვანეთ,
ხედავთ, ლომი გადაბრუნდა!
გიორგი ღლონტმა გეიგონა,
გამეიქცა, არ დაბრუნდა,
ისიც ჩემთან ჩამოიჭრა,
ძველი ცოდვა დოუბრუნდა.
ამ მამაძაღლს რა ეგონა,
ღალატი თითონ იცოდა,
ნაღალატით რო გაკეთდეს
იმდენი მამა უცხონდა!
ლოგინით წამოიყვანეს,
მორჩებოდა ვინ იცოდა;
რა უდროვოთ სცილდებოდა
მისი ცოლი შემეცოდა.

* * *

დალოცვილი სისონაი,
ნაქებია ბიჭობაში,
მივიდა და ძმა იტირა,
არ შეშინდა იმდენ ჯარში.
შენ მკვდარი და მე ცოცხალი,
რაფერ გეეიარო გზაში,

ცალ ხელში თოფი ეჭირა,
ცრემლიც მოასხამდა თვალში.
შემოგვისიეს ვირები
და მათ დაარქვეს სტრატია,
ღმერთმა დასწყეველოს იგინი,
რა უსარგებლო ხარჯია.
ღამე სისონა დაითქვეს,—
დოხტურს წაართვეს ბაჟია,
ჯუმათს მოკლეს ამბეკ ბერი,
ბაილეთში ჰაკი ცხენი,
ოზურგეთში აფიცერი!...

როგორც ფირალის ეპოსის და 80—90-ანი წლების პრესის მასალების შესწავლა გვიჩვენებს, გურიაში ყველაზე პოპულარული 900-ან წლებამდის სისონა დარჩა, ნიკოლოზ მოხუბლა და ილარიონ დათუნაშვილი ყოფილა, ხალხსაც მათ შესახებ შეუქმნია უფრო მეტი ლექსი. თუ მკითხველი დააკვირდება ვარიანტებს, შეამჩნევს, რომ ხალხს ყაჩაღების სიკვდილის ან მნიშვნელოვანი მომენტის თარიღები არეული აქვს. 1-ლი ვარიანტი ასე იწყება: „ათას ცხრაას თორმეტ წელში", მე-2-ს „ათას რვაში, ოცდა ცხრაში", ხოლო ჩვენს მიერ ძირითადად მიჩნეული „ფირალი სისონაი დარჩიას" ასეთი დასაწყისი აქვს: „ათას რვას ოთხმოცდა რვაში..." სინამდვილეში აღნიშნულ ფირალთა მოქმედება 1892 წელს აქეთ არ სცილდება. ხალხში არეულია აგრეთვე სათაურები, ერთი ყაჩაღის ლექსს მიაწერენ მეორეს და პირიქით, რაც ვარიანტებიდანაც ნათლად ჩანს. უფრო დაწვრილებით სხვა დროს.

მ. ჩ.

2. სისონა და ვასილა დარჩიებისა და ილარიონ დათუნაიშვილის ლექსი

(მეორე ვარიანტი)

ათას რვაში, ოცდა ცხრაში,
რიცხვით თორმეტ სექტემბერში;
დავიღალეთ და მოგვწყინდა,
მუდამ ჯდომა ზაფხულ-ქვერში.
უშეშრად ვიარებოდით,
ჩვენს სამშობლო ბაილეთში;
ასე იმედიც კი გვქონდა,
თოფიც არ გჭერია ხელში.

ახლა ნამუსს ვერ გაიტანს,
ვერც დიდი და ვერც პატარა;
მძაის ცოლმა გვიღალატა,
დაგვაცემა თავზე როტა.

ვასილა

პირველათ სისონამ გეიგო,
ერთი შიგნით რომ შემოხტა.
ყველამ ერთად გადავსწყვიტეთ,
უნდა გამოვიდეთ კარში.
(დედა ბუხარში შესვეს და იმით გადაარჩინეს).

ილარიონი

სახლმა ტყვია ვერ იშაგრა.
და ვასილას მოხვდა კლავში;
პირველ სისონე გეიქცა,
ვერ გავარჩიეთ ფრინველში.
იმას ვასილა მისდევდა,
ასე გვემონა სულ გვერდში;
მაგრამ თოფები მოარტყეს
ოთხი და ხუთი გვერდებში.
მაინც იმდენი გასწია,
სული ამოხდა ოთხ ვერსში.
(დათუნაიშვილმა დაინახა, რომ მოღალატე ნინიძე ნალიის ბარჯგთან ატუზულიყო).

მე რომ კარში გამოვედი,
მაშინ შეეშინა ყველას;
ნინიძე გამოვათხვიე,
თავის ბატონის მზერას,
პირში თოფი მოვახვედრე,
ის ფიქრობდა ჩემს დაჭერას;
ორი მსხვერპლათ გავატანე,
მოეხმარებოდა ვერას.
(დათუნაიშვილი მთვრალი იყო, გზა არ იცოდა).

მე უცხო კაცი ვიყავი
და არ ვიცოდი გზაია,
ყველამ კარგათ მოისმიეთ,
უცხოზე კაცი ბრმაია.
ისეთ ადგილზე ჩავარდი,
მეც მეზიზღება თქმაია.

თოფი შორს გადამივარდა,
რადგან ხრამში ჩევიმტვერი.
ხელში მეჭირა, გამიტყდა,
კაზიონი ლიველველი.

(ვასილა დარჩიას ტირილი გადაუხადეს. გასვენების წინ ცხედართან სისონიაც მოიკრა).

45

დალოცვილი სისონაი,
ნაქებია ბიჭობაში;
შევიდა და ძმაი იტირა,
არ შეშინდა იმდენ ჯარში.
50 ცალ ხელში თოფი ეჭირა,
ცრემლიც მოზდიოდა თვალში;
„შევ მკვდარი ხარ, მე ცოცხალი,
როგორ გევიარო ჯარში!“

(დარჩიას ძალზე სდევნიდენ. პოლიცია მის დამკერს საჩუქარს ჰპირდებოდა. ამ ნიადაგზე გამცემლობა და ღალატი გახშირდა. ერთხელ მიხელა ანთაძემ სუფსის ბოგაზე სისონას სტრაჟნიკები და ნაჩალნიკი დაახვედრა).

მინდა რომ ლექსი გამოვსთქვა
55 ყმაწვილი ქაცის გმობაზე:
ღალატობაში კი ვარგა
ერთოფ მიხელა ანთაძე.
სტრაჟის როტა დამახვედრა
უნაგერაის ბოგაზე.
60 თოფები ბევრი მესროლეს,
ერთი ვერ წამკრეს მე ტანზე.

(გამოცდილი ფირალი დაუპატიჟებელ სტუმრებს მოხერხებულად დაესხლტა. სტრაჟნიკების თვალის ასახვევად ნაბადი სუფსაში გადააგდო და თოფებიც ნაბადს დაუშინეს; თვითონ სისონა ნაჩალნიკს გადაახტა თავზე და მიაძახა: „ჭა ვაბლავარ სისონა დარჩია“-ო).

3. ნიკოლოზა მახუზლას ლექსი

—დილიდან სალამომდე ყანაში იმუშავა, სალამოს ნათოხარი გაზომა, იანგარიშა და ბოლოს გულმოსულმა თოხის ტარი გადანაჭერ ჯირკვზე გადაამტვრია და სთქვა: ამით ცოლშვილს ვერ დავარჩენო და ფირალად გავარდა.

ხალხის წინასიტყვაობა.

საფლავიდან წერილს მოგწერ თუ ამითავდა ქალალდი,
უბედურება მეწვია, ტერებო რათერ გახარდი,
ყველგან ყოჩაღად ვიყავი, სადავ ვეთრიე აქამდი,
უმალ შეკვეთილს ვვაჭრობდი, იმან არ მომცა ხელია.
კარტოფნიკობას ვეჩვიე, ცოტ-ცოტა გიახელია,
ვიმუშავე და ვეცადე, ვერ მოვიწიე საყოფი,
უბრალო ცილისწამებით ციხე მაჩვენეს სამყოფი.
შეგვაწუხა დიდმა თოვლმა, გვიჩვენა გასაჭირალი,
უჩხუბისკენ ჩამოვყევით, დავტოვეთ ნასაკირალი,
მზე ბრწყინავს, ცაი ღრუბლავს, თოლია დაზაეებული,
როგორც ლორის მონადირე ვიყავით გამზადებული.
მაჭუტაძისას მივედით, არ დაგვხვდა დამზადებული,
სწათის რა მოგახსენოთ, შვა დღეზე გადარებული.
მაუჭაძისას მივედით ოხერი ხუთშაფათია,
ვინცხა ბალკონში შემოხტა იყო რუსის სალდათი,
ერთმანეთს ეუბნებოდენ: არიქა მაგრად დახვთია.
იმნაირად ჩასაფრულან, როგორც მათი ადათია.
კაცობაში მოვიშალე, ტარიელ რომ გამიგორეს,
წალმა-უკუღმა ვისროლე, ვინც შემხედა მომიწონეს.
(რვაი სტრაქნიკი მოკლა მაშინ).
ორმოც ლობეზე გადავხტი, მე მომშდევდა სუყველაი,
ფალასკა გამომეცალა, ტყეია დავხარჯე ყველაი.
კაბალახი ლიშნად მივე, დავჯექი თავშიშველია,
მომკლეს და გემშვიდობებით ნიკოლოზა მახუხლაი.

4. სიმონა დოლიძის ლექსი

ძმა-ბიჭებში დაჩაგრული,
მე ვარ სიმონა დოლიძე;
ექვსი წელი შემისრულდა
არ მიძინია ლოგინში.
რაც ყაჩაღად გადავარდი,
შემისრულდა ექვსი წელი,
უსამართლობას ვებრძოდი

მძულდა პრისტავი და მღვდელი.
ნატანებში წამოვედით,
ცოტა მუხლები მტკივოდა;
ცოცხალი ვერ დავბრუნდები
გული წინდაწინ ჩიოდა.
ნატანებში მოუწიეთ
იქ შევედით ნალიაში,
ამხანაგებსა უთხარი
ქეც მწყურია და ქეც მშია.
ანდროს უთხარ, ეხლა წადი,
სადმე იყიდე პურია!
ამოვიღე გავატანე
შვიდი აბაზი ფულია.
დავარიგე, ფრთხილათ იყავ,
გვიცნობს ჩვენ მთელი გურია!
რა ვიკოდი მღალატობდა
როგორც იუდა-ურია!
ჯაფარიძე ორიადნიკი
ნაქებია გურიაში,
ამ ჩემ ძმა-კაცს შეხვდომოდა
სტრაჟნიკებით მერიაში.
ჩემს ამხანაგს ეთხრობია:
—ყაჩაღი მყავს ნალიაში,
უსათუოთ ხელში იგდებთ,
დღით ვერ გამოვლიან კარში.
შუა-ღღე გადავიდა
დაგვიგვიანდა სადილი,
გურჯულაძე მეუბნება,
გამოვიცვალოთ ადგილი.
გადასვლა, რომ დავაპირეთ,
გულზე დამესვა ნეფსია,
გავიხედე, ყოველი მხრით
სტრაჟები შემოგვესია.
ისე დაგვაყარეს ტყვია,
როგორც წვიმა და კოხია;
გადმოხტომისას მესროლეს,
მომტეხეს ორივ ფეხია.
გურჯულაძეს დეედევნენ,
ის ურჯულო და ძაღლები;
ვხედავ, ვერაფერს ვშველოდი,
ცრემლით მეფსება თვალები.

ბოლოს ლონე მოვიკრიფე,
თან გემოზე გავიცინე;
ჯაფარიძე ორიადნიკი,
ამ ჩემ გვერდით მოვიწვინე.
მარჯვენა თვალში მოვარტყი,
უკულმით შევატრიალე;
აფიცროზის მომლოდინე,
დათვივითა ვალრიალე.
ჯაფარიძე ორიადნიკი,
ხომ გამოვშალე გვარშია;
მეტი ველარ მოვასწარი,
მალე მომარტყეს თავშია.
ამხანაგებო, ამასა გთხოვთ—
ჩემი მკვლელი მონახოთო;
ჩემს საფლავზე მოიყვანოთ
და ჩემს გვერდზე დამარხოთო.

5. კოსტანდილე დადიშქელიანის ლეძსი

დადიშქელიანი განთქმულია ქვეყანაზედა.
—ქუთაისში ნახმობი ვარ, ნეტავ ვიცოდე რაზედა.
გაგარენმა მიიწვია საკუთარ ტახტზედა,
სამი ცხენი და ტროიკა წამსვე აახლო კარზედა.
—ხემწიფისაგან ხარ ნახმობი, რუსეთს წადი ამ წამზედა!
—სასწავლებელში შვილები მყავს, მიდგომა შინდა კარზედა!
— შენ გაქცევა არ გრცხვენია, გაპარვა თავის გვარზედა
ის სვანეთში დაიჩემე, რაც ჩვენ გვაჯობო ჯანზედა!
ხანჯალსა ხელი გაისვა, შვიდი გაჰრა შუაზედა.
ჭალაჭი ამოირბინა, ბაჭრაძის სახლში შევიდა.
ლეკურსა ტარზე აკოცა—„შენ რომ იქ მჭონებოდი შევათავებდი ცხრაზედა“.
დადიშქელიანს ცეფი უქნეს, დააკრეს ორთავ ფიცარზედა,
გულზე თაფლი რომ წაუსვეს დააჭამეს ორთავ ფიცარზედა.
ხელმწიფეს რომ წარუდგინეს—ისე გაეხარდა მეფესა—
რომ მომყვანი, ოქროთ დაასაჩუქრესა.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

ს. ცქიტიშვილი

ნ. მარრი—ქართული ენის მკვლევარი

„საბჭოთა საქართველო ცოცხალ საენათმეცნიერო მუზეუმს წარმოადგენს",— ასეთ დასკვნამდე მიიყვანა ნ. მარრი ქართულმა ენობრივმა თავისებურებამ: ერთის მხრით, მდიდარმა დიალექტებმა, ცოცხალმა სალაპარაკო ენამ, და მეორეს მხრით, მრავალ საუკუნოვანმა ისტორიულმა ძეგლებმა.

ნ. მარრი პირველი ჩასწვდა ქართული ენის შინაგან დინამიკას, მის „სულსა და გულს" და ერთ დროს „ძაღლის ენად" წოდებულს მსოფლიო ენათა შორის საპატიო ადგილი მიუჩინა. „ქართული ენა შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია" (ნ. მარრი). ქართული ენის მეცნიერული შესწავლისა და დამუშავების დიდი საქმე მარრმა პირველმა დააყენა მტკიცე ნიადაგზე.

ორმოცდახუთი წლის მეცნიერული შემოქმედების გზაზე ქართული ენა ყოველთვის ნ. მარრის ყურადღების ცენტრში იყო. უფრო მეტი: მისი განცხადების თანახმად „იაფეტური ენათმეცნიერება ქართული ენის შესწავლაზე აღმოცენდა". ამდენად ქართული ენის ბედი განსაკუთრებული აღმოჩნდა.

ქართული ენის ღრმა მეცნიერულმა შესწავლამ და სხვა ენებთან დაკავშირებამ წარმოშვა ის დიდი ენათმეცნიერული პრობლემები, რომლებიც ამჟამად მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებს წარმოადგენენ.

იაფეტური ენათმეცნიერების ავტორის მიერ თავიდანვე სახელმძღვანელოდ მიღებული სწორი პრინციპი ის იყო, რომ რომელიმე ერის ენის ან ლიტერატურის და, საერთოდ, კულტურული ცხოვრების შესწავლა შეუძლებელია იზოლაციაში. საჭიროა არა მარტო იმ სპეციფიური ნიშნების შესწავლა, რომელიც მას ახასიათებს, არამედ აგრეთვე საჭიროა, იმ საერთო ხაზების შესწავლაც, რომლითაც ის სხვა ერის ენას და ლიტერატურას უკავშირდება. სწორედ ნ. მარრი ამ გზით მივიდა მსოფლიოს ენათა ერთიან განვითარების კანონზომიერების აღმოჩენამდე; ამრიგად „როცა ქართველი ერის შექმნილ კულტურაზეა საკითხი,—წერს ნ. მარრი,—ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია საქართველოს რომელიმე საზღვარს გალავანი შემომავლოთ და კარებ ჩაკეტილი შიგ ვეძიოთ მისი შეგნებულების წარმატება".

თუ იაფეტური ენათმეცნიერების აღმოცენება ქართული ენის შესწავლიდან დაიწყო, სამაგიეროდ ის ამ საზღვრებში არ ჩამწყვდეულა. ენების კვლევის ფარ-

გლები გაიშალა, იაფეტური თეორია იაფეტურ ენებზე მოძღვრებიდან მსოფლიოს ყველა ენათა მოძღვრებად გადაიქცა.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე ენის შესახებ ახალი მოძღვრებას უდიდესი მიღწევები აქვს: ერთის მხრით, ენის თეორიული პრობლემების დამუშავებაში მარქსისტულ-ლენინური მეთოდის ნიადაგზე და, მეორეს მხრით, კონკრეტულად ცალკეულ ენების დამუშავებაში, მისი სტრუქტურისა და მექანიზმის შესწავლაში.

ორმოცდახუთი წლის წინედ, 1888 წ. გაზ. „ივერია"-ს № 86-ში დაიბეჭდა ნ. მარრის წერილი: „ბუნება და თვისება ქართული ენისა". ეს იყო მისი პირველი მეცნიერული სიტყვა, რომელიც ითქვა ქართულის ენის „ბუნებისა და თვისების" შესახებ. პატარა წერილში ჯერ კიდევ სტუდენტმა, წამოაყენა ძირითადი დებულება თავისი მომავალი მეცნიერული სისტემისა. ეს წერილი იყო ენათა ერთიან გლოტოგინური პროცესის დამტკიცების პირველი ნაბიჯი და დაპირისპირება ქართული ენის შესახებ მანამდე გამოთქმულ აზრების. როგორ იდგა საკითხი 1888 წლამდე? შედარებითი ენათმეცნიერების ანუ ინდოევროპეიზმის წარმომადგენლები ვერ შეთანხმებულიყვნენ იმაში, რომ ქართული ენისათვის ერთი გარკვეული ადგილი მიეჩნიათ.

ინდოევროპეიზმის შეხედულებები ქართული ენის შესახებ სამი მიიართულების ირგვლივ ჯგუფდება: პირველი მიმართულების მიმდევრები, ქართული ენას ინდოევროპულ ენათა ოჯახს უკავშირებენ, მაგ. ლაიბნიცი, ბროსე, ბოპი. მეორე მიმართულება ქართულ ენას აკუთვნებდა თურანულ ენათა ოჯახს, ამ შეხედულების მომხრე იყო მაქს მიულერი. შედარებით, მეცნიერთა მეტი რიცხვი ემხრობოდა მესამე მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ქართული ენის ნათესაობა უარყოფილ იქნა დღემდე ცნობილ ენათა ოჯახებთან. ქართული და მისი მონათესავე მეგრულ-ჭანურ-სვანური გამოცხადებულ იქნა თავისებური გვარის, იზოლირებულ ენებად. ამ შეხედულების იყვნენ: კლაპროტი, შლაიხერი, ჰოტტი, ფ. მიულერი, გენფეი, შპიგელი, ალ. ცაგარელი[1].

ალ. ცაგარელმა მესამე მიმართულებას, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა, შემდეგი დახასიათება მისცა: : „Грузинский язык (равно как и другие кавказские языки) не имеет генетической связи с индоевропейскими языками, но не может быть причислен и к урало-алтайским. Он, подобно баскскому в Европе, по всей вероятности, есть остаток некогда весьма многочисленной группы языков, распространенной на Кавказском перешейке еще до прихода семитичеких, арийских и урало-алтайских племен на Кавказе и на юг от него".

ნ. მარრმა თავის პირველ წერილშივე უარყო რა ქართული ენის იზოლაციურობა, გამოსთქვა შემდეგი აზრი: „ადრე ქართული ენის სემიტურობა წარმოთქმულა მეცნიერებისაგან. მაგრამ გაკვრით, და ამ აზრის დასამტკიცებლად არავინა ცდილა იმდენადაც რამდენადაც დასჭირდათ ეს ცდა, ოღონდ კი ურა-

[1] А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, 1873 г. И. Джанашов, Обзор теорий и литературы о происхождении гурз. языка, 1908 г. Жур. Мин. Нар. Прос. 83. 243-256.

ლო-ალტაურისა და ინდოევროპულისათვის დაეახლოვებინათ და დაენათესაურებინათ ჩვენი ენა. პირველივე ცდა ამაო არ გამოდგა, მას უკან აგერ სამი წელიწადია, რაც მივიკვლიე ქართულის ენის ბუნებისა და თვისების კვალი. არაბულის ენის გაცნობის შემდეგ სრულებით დავემყარე იმ აზრს, რომ ჩვენ ენას დიდი მსგავსება აქვს სემიტურ ენებისა. რაკი ეს აზრი მივიკვლიე, მაშინვე ებრაულისა და სირიულის ენის შესწავლას მოვკიდე ხელი. მას უკან დღითი დღე მიგროვდება მასალა და მემატება საბუთები. ამ აზრის დასამტკიცებლად და გასამართლებლად" და შემდეგ „ქართული ენა ნათესავია ხორციელად და სულიერად ე. ი. სიტყვის ძიებით და გრამატიკით, სემიტურ ენათა ჯგუფისა, მაგრამ იგი არ არის იმდენად დაახლოებული ხსენებულ ენებთან, რამდენადაც ის ენანი ურთიერთ შორის, და ჩანს, ქართული ენა (საკუთრად ქართული მეგრულ-ჭანურ-სვანური) წარმომდგარია ერთის მამათავრის ენისაგან, რომელიც თითქმის ისევე ჰგვანებია სემიტიურ ენებს, როგორც ეს სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთს"[1].

ამავე საკითხზე ოცი წლის ნიყოფიერი მუშაობის შედეგად 1908 წლ. გამოდის ნ. მარრის კაპიტალური შრომა: „Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими". ეს შრომა უდაოდ ისტორიული მოვლენა იყო, კერძოდ, ქართული ენის შესწავლის საქმეში და, საერთოდ, იაფეტური ენათმეცნიერების განვითარებაში.

ამ შრომის ცხრილებში ღრმა მეცნიერული ანალიზით პირველად ჩამოისა ქართული ენის ბუნება. შუქი მოეფინა ქართული ზმნის რთულ თავისებურებას, მის სტრუქტურას, კლასებად დაყოფას სუბიექტურსა და ობიექტურ წყობად, მის აბსოლუტურობასა და რელატიურობას, და პასიურობასა და სხვ. ამატომაც ამ შრომამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

იმავე წელს დაიწერა ივ. ჯავახიშვილის მიმოხილვა ქართული ენის შესახებ არსებული თეორიებისა, სადაც, სხვათა შორის, ნ. მარრის ახალ თეორიაზე ნათქვამი იყო შემდეგი: „После долгого и бесплодного искания вопрос о генетическом родстве грузинского языка, наконец, попал в руки специалиста; до этого времени были собственно только любительские упражнения ученых, или совсем неумеющих, или с грехом пополам могущих разбираться в грузинской грамоте...

Для всякого грузиноведа не может быть сомнения в обоснованности выставленного проф. Марром генетического родства грузинского языка с семитическими и в том значении, которое имеет этот факт для будущего

[1] როგორც ცნობილია, 1903 წელს იტალიელმა პროფ. ტრომბეტტიმ შუბარდტისადმი გაგზავნილ ლია წერილში ზეპირად გამოთქვა აზრი ქართული ენის ქამიტურ-სემიტურთან ნათესაობის შესახებ. რაც ნ. მარრის მიერ თხუთმეტი წლით ადრე იყო გამოთქმული. ტრომბეტი უმთავრესად ქართული ენის ბგერით შედგენილობას ეყრდნობოდა, მის ხორხისმიერობას და სიბილანტურობას.

нашей отрасли лингвистики; хотелось бы мне высказать лишь пожелание, чтобы и со стороны западно-европейских семитологов, не взирая на препятствия со стороны языка, на котором написана книга, была встречена с тем интересом и признанием, какого заслуживает эта открывающая широкие и заманчивые перспективы, новая работа проф. Н. Марра"[1] (გვ. 257—258).

ერთი წლის შემდეგ ნ. მარრი არჩეულ იქნა აკადემიის წევრად. „ძირითადი ტაბულები" ქართული ენის სემიტურთან ნათესაობის მდიდარი ფაქტიური მასალებით დასაბუთებაა. ავტორი წინასიტყვაობაში ამბობს: „Систематическое и детальное обоснование моей теории входит в содержание самой Грамматики". ავტორს ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაობა შემდეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული: 1. ქართული ენის ფონეტიკა ენათესავება სემიტურ ენათა ფონეტიკას; 2. მორფოლოგიური ნათესაობა ასეთია: ქართულს გააჩნია, არაბულის მსგავსად, სამი ძირითადი ბრუნვა, რომელთა დამახასიათებელი ხმოვნები ერთი-და-იგივეა, სახელობითი ი (უ'დან), ნათესაობითი ი (პირველადი) და მიცემითი ა. როგორც ქართულს, ისე სემიტურ ენებს გააჩნიათ სუფიქსალური და პრეფიქსალური წარმოება; 3. ძირის შემადგენლობაში ორივე ენებისათვის დამახასიათებელია სამ და ორ თანხმოვანობა.

ნ. მარრი მსგავსებასთან ერთად არჩევს განსხვავებასაც, რომელიც ქართულს აშორებს სემიტურ ენებისაგან და რომლითაც არ შეიძლება ქართულის სემიტურად გამოცხადება. „Он лишь родственен с семитическими в известной степени,—წერს ნ. მარრი,—именно тогда как семитические братски родственны друг с другом, наличные представители яфетической ветви, в том числе и грузинский, с семитическими находятся в отношениях двоюродных братьев, детей двух родных братьев" (გვ. 8).

ქართული ენის სემიტურთან ნათესაობის დამტკიცებამ მოითხოვა კვლევა-ძიების ცენტრში ცოცხალი ენების დაყენება. საჭირო გახდა ქართულის მონათესავე ცოცხალი ენების: მეგრულის, ჭანურის, სვანურის შესწავლა-დამუშავება. 1910 წელს გამოდის „ჭანური ენის გრამატიკა", ქრესტომატიითა და ლექსიკონით. 1913 წელს მარრი სწავლობს სვანურ ენას. როგორც ნ. მარრი აღნიშნავს, ცოცხალი ენების შესწავლა მას საშუალებას აძლევდა „ორმაგად შეემოწმებია თავისი ფონეტიკური კანონები". ამით საფუძველი გამოეცალა იმ აზრს, თითქოს მეგრული და ჭანური ქართული ენის კილოები ყოფილიყო და არა დამოუკიდებელი ენები.

თუ 1908 წელს ქართული ენის რთული ბუნება ცხრილებში ჩამოისახა, 1925 წელს, თუმცა დაგვიანებით მისი დაწერიდან, გამოდის „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა", სადაც ნ. მარრმა მეცნიერული სიზუსტით გააშუქა ძველი ქართული ენის ენობრივი თავისებურება. ეს გრამატიკა დაწერილი იყო იაფეტური ენათმეცნიერების Sturm unb Drang-ის ეპოქამდის. ეს ეპოქა გამოიხატა იმაში, რომ მარრმა საბოლოოდ უარყო ინდოევროპეიზმის შედარები-

[1] აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილმა შემდეგ არსებითად შეიცვალა აზრი ნ. მარრის თეორიაზე და ენის შესახებ ახალი მოძღვრების მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოექცია. 1922 წ. „სჭოლასტიკა"-დაც კი მონათლა.

თი-ისტორიული მეთოდი, და ენის კვლევაში მეტყველების პალეონტოლოგიამ დაიჭირა ცენტრალური ადგილი.

1926—1927 წლის ზამთარში და 1928 წლის გაზაფხულზე ნ. მარრის მიერ პარიზის „აღმოსავლურ ცოცხალ ენების ნაციონალურ სკოლაში“ წაკითხულ იქნა ძველი ქართული ენის კურსი; ამ ლექციებზე აიგო 1931 წელს პარიზში გამოცემული წრომა: „ქართული ენა“ ნ. მარრისა და მ. ბრიერის ავტოროობით [1].

ეს წრომა ძირითადად იაფეტური ენათმეცნიერების პრინციპზეა აგებული. ის სინტეზს წარმოადგენს ნ. მარრის ქართულ ენაზე თითქმის ნახევარ-საუკუნოვან მუშაობისა და მიღწევების. „ქართული ენა“ უდიდესი მოვლენაა გრამატიკულ აზროვნების ისტორიაში, თავის შენების პრინციპითა და ენობრივ ფაქტისადმი ახალი მიდგომით. 858 გვერდზე ქართული ენა წარმოდგენილია სრული სახით და ღრმა მეცნიერული ანალიზით. ის დამუშავებულია პალეონტოლოგიური მეთოლით, სადაც უარყოფილია ენის ფორმების ძველი გაგება და ძირითად პრინციპად წამოყენებულია ენის შენების შესწავლა მის განვითარებაში.

იაფეტურმა ენათმეცნიერებამ უარყო „გრამატიკა“ იმ გაგებით, რა გაგებაც ინდოევროპეიზმმა ჩადვა ამ ტერმინში. ნ. მარრი წერს: „Итак, долой грамматику? Зачем? Заменить изпожением динамики языка, его стройки“.

„ქართული ენა“ შემდეგ განყოფილებებს შეიცავს: 1. ფონეტიკა (გვ. 1—58), მორფოლოგია (გვ. 59—226), სინტაქსი პარადიგმებით (გვ. 227—546), ქრესტომატია (გვ. 547—601) და სიტყვარი (გვ. 603—818). „ქართული ენის“ შენების სახელმძღვანელო პრინციპი ისტორიული პრინციპია, რომლის აუცილებლობაზე მიუთითა ენგელსმა. „მატერია და ფორმა დედა ენისა მხოლოდ მაშინ შეიძლება გაგებულ იქნეს, როდესაც გავითვალისწინებთ მის წარმოშობას თანდათანობით განვითარებაში, ეს კი მხოლოდ შეუძლებელია თუ დავტოვებთ უყურადღებოდ პირველად მის მომაკვდავ ფორმებს და მეორე მონათესავე ცოცხალ და მკვდარ ენებს“.

აქვე ბგერით შედგენილობის სრულ სახესთან ერთად წარმოდგენილია დამწერლობის სხვადასხვა სახეები სათანადო ტექსტებით (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური, მხედრული).

სიტყვათა ფორმაციის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ერთ დამახასიათებელ ადგილს: „სიტყვათა წარმოებაში შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე საშუალება, სახელობრ: პოლისემანტიზმი (მრავალმნიშვნელიანობა), შეჯვარედინება, შედგენა, დერივაცია პრეფიქსებისა და სუფიქსების საშუალებით ან თანხმოვანთა შეცვლით ერთ-და-იმავე ოჯახში, და ეს სხვადასხვა საშუალებები შეესაბამება ქართული ენის განვითარების სხვადასხვა მდგომარეობას“ (გვ. 40).

პოლისემანტიზმი ენათა განვითარების ადრინდელი სტადიის დამახასიათებელია, დღეს ის ყველაზედ უფრო იაფეტურ ენებში ჩანს. მაგალ. „და“ შეიძლება იყოს არსებითი სახელი, მგ. „ჩემი და“, ან კავშირი „ძმა და და“, პრევერბი ზმნების წინ და-ნიშნავს „დაბლა“; და—დგმა, ან სუფიქსი ადგილის

[1] N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, Paris 1931.

აღმნიშვნელი სა—და. და აწარმოებს ნამყო უსრულს, მაგ. დებ—და; ასევე ცა-, შეიძლება ნიშნავდეს „მიცემას", მაგ. მი-ს-ცა, „დაცემას"—და-ს-ცა, ცა-ს (неrо"), „მიწას"(მი-წა: წ→ც) და სხვ. (გვ. 41).

სიტყვათა შეჯვარედინებისას ადგილი აქვს ერთ-და-იმავე მნიშვნელობის სიტყვების შეტყუბებას. მაგ., ერთის მხრით თავ, მეორეს მხრით თაველ, რაც ორ სიტყვად იშლება: თა და ველ, თითეული მათგანი კი ნიშნავს „თავ"-ს.

„ქართულ ენაში" სრულიად ახალი ასპექტით არის გაშუქებული რიცხვისა და ნაცვალ-სახელების კატეგორიები.

აუცილებლად დიდად საყურადღებოა ნ. მარრის შრომა „Пособие для изучения живого грузинского языка" (Ленинград 1926 г.), რომლის გარდა მას სპეციალურად ქართული ენის შესახებ დაწერილი აქვს მრავალი თეორიული ხასიათის გამოკვლევა: 1) Грузинский язык, 2) გერმანულ ენაზე: „Die Georgische Sprache (Das neue Russland, 1928 № 5—6), 3) „რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების მსოფლიო ისტორიაში" (ტფილისი, 1930), 4) ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით, (მნათობი 1924 წ. № 4, 1925 წ. № 5—6), 5) „К изучению современного грузинского языка (Петроград 1922 г.) და სხვ. ნ. მარრის დამსახურება ქართული ენის მეცნიერული კვლევის წინაშე არ ამოიწურება მარტო ზემოდ ჩამოთვლილი შრომებით. ნ. მარრის ორმოცდა ხუთი წლის განმავლობაში უხვი მეცნიერული პროდუქცია ამასთანავე გამდიდრებული და გამაგრებულია ქართული ენიდან აღებული მასალებით.

ნ. მარრს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერი ძეგლების აღდგენა-გამოცემის საქმეში. მრავალ ხელუხლებელ ისტორიულ ძეგლს პირველად შეეხო მარრის მზრუნველი ხელი და მისი მეშვეობით გამოიცა „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии"-ის სახით. გამოცემულ ძეგლთა შორის მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის მატარაბელია.

იაფეტური ენათმეცნიერების განვითარებაში ქართულმა ენამ განსაკუთრებული როლი ითამაშა. მის „კულტურულ შუბლზე" ნ. მარრმა ამოიკითხა მსოფლიო ენათა ერთიანი განვითარების კანონები.

რა ადგილი უჭირავს ქართული ენის შესწავლას მსოფლიოს სხვა ენების მიმართ?

„ქართულ ენაში ცხადდება დიახ, უძველესი ხანების, ისტორიაზე წინდასწრებული ხანების, კაცობრიობის კულტურული წინსვლის ყოველი ნაბიჯი. ქართული ენა გაჟღენთილია უძველეს ეპოქების ჩარჩენილობებით, რელიქტური კავშირებით, ელემენტებით, გარდმონაცხოვრით (survivance). ქართული და მის მონათესავე ენებში სხვადასხვა ისტორიაზე წინ დასწრებულ ეპოქების წინალექნი ირკვევიან და მათის გათხრით შუქი ეფინება საზოგადოთ ადამიანის ენის ზრდას მისი გაჩენას დღიდან და მაშასადამე შუქი ეფინება მთელი კაცობრიობის ისტორიაზე წინ დასწრებული კულტურის ზრდასაც".

აკად. მარრმა პირველმა დააყენა დედა-ენის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის პრობლემა, რომლის გარეშე შეუძლებელია გავერკვეთ დღევანდელ ენობრივ მოვლენებში და დავეუფლოთ დედა-ენის მომავალს, გავითვალისწინოთ

მისი განვითარების გზა. ნ. მარრის აზრით ქართული ენის ისტორია არის ისტორია ქართული საზოგადოებრივი ფორმაციისა და ქართული აზროვნების განვითარების. ისტორიული სინამდვილე თავის ღრმა კვალს სტოვებს ენოვრივ მასალებზე. ეს იმიტომ, რომ „ენა ადამიანის საზოგადოებრივი მოქმედების და მისგან ჩასახულ შინაგანი ცხოვრების გამოცხადება არის“ (ნ. მარრი).

„ქართველი ერის ენა მუსაიფში ან ლექსიკონში კი არ განიხილება. სიონი ტფილისში, ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, 864 წლის მრავალთავი სინას მთაზე, პალესტინის საბაწმინდელ ქართველ მამების მიგზავნილნი, ყანების მორწყვის სისტემა, იმერხევის, ტაოკლარჯეთის მთებზე, ხეხილების თუ პურის სხვადასხვა სახის, ასობით ყურძნის ნერგის აღმოჩენა და განვითარება, ვთქვათ მიქელ მოდრეკილის საგალობელთ კრებული, შავთელის ხოტბა-შესხმა, ქართული სიმღერა, ქართველის მიხვრა-მოხვრა—ყველა ქართული ენა გახლავთ“ (მარრი).

ქართული ენის კონკრეტული მასალების დამუშავებამ ნ. მარრის წინაშე წარმოშვა ქართული ენის ნაციონალურობის პრობლემა. ქართული ენა თავის განვითარების ისტორიულ მანძილზე არ წარმოადგენს ერთ მონოლიტურ ენას. მასში შეჯვარედინებულია სხვადასხვა ტომებისა და სოციალური ფენების ენობრივი მასალა: „ის წარმოადგენს თავის შეჯვარედინებით,—წერს ნ. მარრი,—ფენას სხვადასხვა ტომობრივისა და სხვადასხვა სოციალურ ენების-ტომების: ქართველების, სვანების, მეგრელების და სხვა იაფეტურის, სოციალურად—საეკლესიო ფეოდალურისა და დემოკრატიულის“.

ისტორიულად ქართული სალიტერატურო ენა იყო სალიტერატურო ენა არა მარტო ქართველების, არამედ მეგრელების და სვანებისთვისაც: „მეექვსე და მეშვიდე საუკუნიდან,—წერს ნ. მარრი,—ამ სალიტერატურო ენის განვითარებაში მიიღებენ მონაწილეობას ქართველ ქართლელებს გარდა სხვა ქართველთა ტომებიც: იმერლები, მეგრელები, სვანები, ჭანები და სხვანი. ამათ საზოგადო ქართულ ლიტერატურაში ერთობით შეაქვთ, რასაკვირველია, უფრო დიდი განძი, ვინემ თვით ქართლელებს, აი ამის გამო მრავალი ადგილები ქართველთათვის უძვირფასესი პოემის „ვეფხის ტყაოსნისა“ უფრო კარგად ესმით, მაგ. გურულებს, ანუ იმერლებს, ვინემ თვით ქართლელებს, ეთნოგრაფიულ საქართველოს ნამდვილ შვილებს, ამის გამოვე მრავალი ფორმები აზრის გამოხატულებისა და სიტყვები საუკეთესო ქართულის პოზისა, რომელნიც შიდა ქართლის სხვადასხვა ადგილას უცნობნი არიან, სრულიად ჩვეულებრივად მიაჩნიათ ცოცხალ საუბარში ამ ჟამად მაჰმადიანებად მყოფ იმერხეველებს ბათუმის მაზრაში. ამის გამოვე სალმთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრელ და სხვა სიტყვებს“.

გარდა ამისა, ქართული ენის ცხოვრებაზე ღრმა კვალი დაამჩნიეს იმ ერებმა, რომელთაც არა-ერთხელ ქონდათ შემთხვევა საქართველო დაეპყროთ თუ საერთოდ კულტურული გავლენა მოეხდინათ მასზე. ნ. მარრი წერს: „რა კულტურა არ დატაკებია ძველად საქართველოს: ბერძნული ძველი, სპარსული ძველი, ბერძნულ-ბიზანტიური, სპარსული ზენდ-ავესტური და ფეჰლევანური,

არაბული, „საზოგადოთ სპარსულ-არაბული-ისლამური და განსაკუთრებით ისლამის გაეროვნების შემდეგ ერანში—ახალი სპარსული".

მეზობელმა ერებმა უსათუოდ დიდი გავლენა იქონიეს ქართული ენის განვითარებაზე. ნ. მარრი განაგრძობს: „ყოველ მხრით მოწოლილი და ერთი მეორეზედ მძლავრ მსოფლიო განათლების ტალღების უშიშრად შინ მიღებით ქართველ ერს არ დაჰკარგვია კულტურული დამოუკიდებლობა, პირქით, რაღაც უცნაური წყაროსაგან ძალა შეკრებილს, მის თითქოს ჩამყლაპავს, ვეებერთელა მეცნიერების და განათლების სავარჯიშოებში საკუთარი საფეხურები შეუქმნია".

ქართული ენა ტიპოლოგიურად დღეს გარდამავალ საფეხურზე იმყოფება ამორფიულობიდან ფლექტიურობისაკენ. მარრი ძველი ქართული სამწერლობო ენისა და მ. ს პარალელურად არსებული ხალხური მეტყველების კლასიური ბუნების გამორკვევისას არჩევს მათ ტიპოლოგიურ სხვაობასაც.

ნ. მარრი ერთმანეთს ადარებს რა ქართველების ორ ენას—სამწერლობოსა და ხალხურ მეტყველებას—სომხურ ორ ენასთან, მიდის შემდეგ დასკვნამდე: „ამ მსგავსებათა და განსხვავებათა ნათელყოფა ადგენს, რომ სომხური და ქართული ხალხური ენები ტიპოლოგიურად იჩენენ უფრო მეტ მსგავსებას ერთმანეთთან, ვიდრე ქართული ხალხური ენა ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან, ან სომხური ხალხური ენა ძველ სომხურ სალიტერატურო ენასთან. სწორედ ასევე სომხური და ქართული ძველი სამწერლობო ენები უფრო ახლო დგანან ერთი მეორესთან, ვიდრე თვითეული მათგანი ხალხურ ენასთან".

ქართულ და სომხურ ენათა ტიპოლოგიურ შედარებიდან მარრს ასეთი დასკვნა გამოჰყავს: „სხვადასხვა ქვეყნის, მაგრამ ერთი-და-იმავე კლასის ენა სოციალურ სტრუქტურის იდენტივობისას იჩენს უფრო მეტ ტიპოლოგიურ ნათესაობას ერთმანეთთან, ვიდრე ერთი-და იგივე ეროვნების სხვადასხვა კლასის ენები".

საერთოდ ქართული სამწერლობო და ქართული ხალხური ენების ტიპოლოგიური სხვაობა მდგომარეობს მასში, რომ ძველი სალიტერატურო ენა წარმოადგენს სპირანტულ სახეცვლილებას ეურობით, თავისი სტადიალური განვითარებით ეკუთვნის ამორფულ, resp. სინთეტურ ტიპს, რაც ახლოვებს აფხაზურთან, მაგრამ ქართულს განვლილი აქვს ის სტადია, რომელზედაც აფხაზური ახლა იმყოფება.

ქართული ხალხური ენა ძირითადში აგლუტინატიურია, შიშინა ჯგუფის ენათა მსგავსად. ამდენად იგი უკავშირდება შიშინა ჯგუფის ენებს, როგორიცაა მეგრულ-ჭანური. ასეთია მოკლედ ნ. მარრის დახასიათებით ქართული ენის ტიპოლოგია.

ნ. მარრმა, ქართული ენის უდიდესმა მკვლევარმა და მცოდნემ, ქართული ენის რთული ბუნება სწორად გამოიკვლია და დიალექტიურად შეიცნო. ახალი მეთოდით შეიარაღებულმა მეცნიერმა სწორად ამოიკითხა არა მარტო „ქართველი ერის კულტურული შუბლი", არამედ მსოფლიო ენათა ერთიანი განვითარების „კულტურული შუბლიც". ამიტომ გადაჭარბებად არ შეიძლება ჩაითვალოს მარრის განცხადება: „ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება თუ ხვალ ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათ გაუცნობლად ვერც ერთი კაცობრიობის კულტურული სიძველეთ საკითხი ვერ გადაიჭრება".

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ

საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

ლ. მელიქსეთ-ბეგი

ტოპონიმიკური შტუდიები

ხუნანისა და ვარძიის სახელწოდებათა ეტიმოლოგიისათვის [1]

ცნობილია, რომ გეოგრაფიული სახელწოდებები **ხშირად** ამათუიმ ტომობრივ სახელთა გაყინულ ფორმებს შეიცავენ. ამისდა მიხედვით, კავკასიისა და კერძოდ საქართველოს მრავალი გეოგრაფიული სახელწოდება განმარტებული და ნათელყოფილიცაა. და გადაჭარბებულად არ უნდა მივიჩნიოთ აკად. ნ. მარრის ოდესლაც წამოყენებული დებულება, რომ „Кавказ есть житница мировых этнических терминов"[2], არ უნდა მივიჩნიოთ, რასაკვირველია, იმდენად, რამდენადაც კავკასიისა და კერძოდ საქართველოს Ortsnamen-ში ჩვენ, მართლაც, მსოფლიო ისტორიაში ცნობილ ტომთა სახელების გაყინულ ფორმებს ვპოულობთ. ყველა ეს აშკარაა და იმდენად ნათელი, რომ მის დამტკიცებას არც გამოვუდგებით. ჩვენთვის მხოლოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს **ზოგიერთი** გეოგრაფიული სახელწოდება წარმოადგენს ამათუიმ სახეს სამხრეთში ცნობილ სახელწოდებისას ან პირუკუ, როგორც, მაგალითად, „ხალდე" (სვანეთში) და „ქართ" (← „ხალდ"), „მესხ-ეთ-ი" || „სა-მცხ-ე" (←„მეშეხ" || „მესხ" || „მოსოხ" — „მუშ") და სხვა. საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ყველა ასეთ სახელწოდებათა განმეორება შედეგია ერთიანი გლოტოგონიური პროცესისა ან, გარკვეულ შემთხვევებში, ამათუიმ ტომის მიგრაციებისა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, რის დასადასტურებლადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თუგინდ ისტორიული საქართველოსა და ისტორიული სომხეთის გეოგრაფიული ნომენკლატურის ზოგიერთი ნიმუში, როგორიცაა „ბასიანი" (← *Բասեն*), „ერუშეთი" (←ქალდ. Arastoni || სომხ. *Իշտունիք*), Хорзъэнэ || Хорзъаэнэ (← *Խրձեն* || *Խրձեան* || *Խրձաձն*, Орзъэнэ), „ხანძთა" (Хэнзъэ ← *Հանձիթ* || *Անձիթ* || *Անձաւ*) და სხვა. არანაკლებ საგულისხმოა საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურის ზოგიერთი მაგალითი, რომელიც სომხეთისა და

---

[1] მოხსენებულია საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო კრებაზე 1929 წ. 10 მაისს.

[2] Н. Марр, Термин «скиф»,—„Яфетический сборник", I, Петербург 1922, стр. 87.

საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთის სახელწოდებებს ემთხვევა: „კარბი", „კოლბი", „ოზნი", „აბაარანი", „ოროტანი", „ჩორჩანი", „ვანი", „ერან-თურანი", „ყარალაჯი", „გუმბრი", „ბალდათი" etc., რომლებიც ცალკე დაკვირვების დირსნი არიან, აგრეთვე — სამრხეთ-ოსეთის „ედისი", „ერმანი".

საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურა ჩვენ დაგვაინტერესა სხვა მხრივ. ამ რამდენიმე წლის წინეთ დაისვა საკითხი სახელწოდების „ხერთვის"-ის ეტიმოლოგიის შესახებ, რომელიც ახსნილ იქმნა „ხანმეტობის" პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც გამომდინარე „ერთვის" სიტყვიდან. „დღევანდელი **ერთვის**, — ამბობს ა. შანიძე, — იხტორიულად ***ჰერთვის** ფორმისაგან არის წარმოშობილი, როგორც ამას თანკმოვნიანი ზმნების უღვლილების ნორმები გვიჩვენებს. **ჰერთვის**-თან შედარებით **ხერთვის**-ი დიალექტური ფორმაა მხოლოდ: **ჰაე** (* **ჰერთვის** > **ერთვის**) და **ხანი** (**ხერთვის**) მესამე პირის ობიექტური ნაწილაკებია და ერთი მეორის ბგერინაცვალნი"[1]. მაშასადამე, „ხერთვისი" ე. წ. „ხანმეტობის" კვალის მატარებლადაა აღიარებული.

I. ხუნანი

„ხერთვისი"-ს გარდა, საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მრავალი ისეთი სახელწოდებაა არა-პრეფიქსალური **ხ**'ანითა, რომელთა გაგება „ხანმეტობის" ნიადაგზე ყოველად შეუძლებელია, მაგრამ ისინი მაინც თხოულობენ ახსნა-განმარტებას.

რასაკვირველია, ყოველი სახელწოდება, რომელიც **ხ**'ანით იწყება, „ხანმეტობის" ნაშთად ვერ გასაღდება. მაგრამ, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ შეგალითებთან, როგორიცაა „**ოპ-იხა**" (წარმოებული „**ახ-იზა**"-ს მსგავსად) და „**ხოპი**" || „**ხოფი**", „**ოხი**" და „**ხოხი**", „**ახ-იზა**" და „**ხახ-ული**" (წარმოებული „**რეხ-ული**"-ს მსგავსად), „***Ախալქ***" || „***Հախալքի***" და „**ხანძთა**" (შდრ. Χανζίτ), „**ერ-წო**", „***Երևան***" (ერევანი) და „**ჰერ-ეთ-ი**" (შდრ. ***Հեր*** || ***Խեր***, Χέρτ) — „**ხერ-კ-ი**" etc., ამას, ყოველ შემთხვევაში, რაღაცა ანგარიში ხომ უნდა გაეწიოს.

ხოლო თუ ჩვენ ანგარიშს არ გავუწევთ, მაშინ მივადგებით ისეთ შედეგებს, როგორიც იყო აწ განსვენებული კონსტანტინე მიხეილის-ძის თუმანოვის მიერ ტფილისში 1920 წელს წაკითხულ მოხსენებაში „О новых материалах для древней истории Закавказья"[2] წამოყენებული ცდა სახელწოდების „ხუნანი"-ს ახსნისა, რომელიც მისი, თუმანოვის, აზრით, ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციით — „ხუნან"-ითგან უნდა იყოს გადმოსულიო ამიერკავკასიაში ჩინელთა ოდესღაც ბატონობის ნიადაგზე. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ, რომ 1927 წელს გაზეთ Заря Востока-ში (№ 1570) დაბეჭდილ ერთ სტატიაში სათაურით „Китайские выходцы в древнем Закавказьи (Историческая справка)", М. Т.-ს ხელისმოწერით, რომელიც ზემოხსენებული კ. თუ-

---

[1] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის კვალებისა კმოვნების წინ,—„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე" II, 275.

[2] შდრ. Известия Кавказского Отделения Московского Археологического Общества, вып. VI, Тфл. 1921, стр. 60.

მანოვის ძმისწულს, მიხეილ გიორგის-ძე თუმანოვს ეკუთვნის, ასეთივე შეხედულება გამოთქმულია შემდეგ სიტყვებში: „На территории древнего Закавказья имелся город, имя которого не поддается никаким об'яснениям с точки зрения этимологии местных языков. Это имя—Хунан—лишний раз доказывает на присутствие в Армении и Грузии значительных колоний выселенцев из Китая. Закавказский Хунан находился недалеко от владений Орбелияни и, быть может, даже им принадлежал. По-китайски «Хунан» означает «страна бородатых», «бородатыми»-же китайцы именовали своих соотечественников индо-арийского происхождения. Только эти последние и могли занести в Закавказье столь странное и непривычное для грузинского и армянского уха название города, как воспоминание о родных местах".

თუ ამ სტატიას შევადარებთ იმავე მიხ. თუმანოვის ერთ სხვა წერილს სომხურ ენაზე, სათაურით *Մի քանի նկատողութիւն Մասիկոնեանց գաղթականութեան մասին*, რომელიც დაბეჭდილია ვენის მხითარიანთ კონგრეგაციის ჟურნალ Handes Amsorya-ს ფურცლებზე 1911 წელს, დავინახავთ, რომ იგივე აზრი „ხუნან"-ის შესახებ იქაცაა გამოთქმული დაახლოვებით იმავე სიტყვებით: „კავკასიაში არსებობდა ერთი ქალაქი, რომლის სახელწოდება დღემდე გამოურკვეველია. ეს სახელწოდება ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს ჩინეთის ემიგრანტების არსებობას სომხეთსა და მეზობელ ქვეყნებში. იგი—ქალაქი ხუნანია, რომელიც მდებარეობდა ორბელიანთ სამფლობელოთგან არც მოშორებით და ეგების მათვე ეკუთვნოდა. ჩინურად „ხუნან" ნიშნავს „წვერიანთა ქვეყანას" (წვერიანებს უწოდებდენ ჩინელები ინდოევროპიელთ). ხუნანად იწოდებოდა (და იწოდება) ჩინეთის ის პროვინცია, სადაც ცხოვრობდენ ინდოარიელები (მანები) და მხოლოდ მათ შეეძლოთ მოეტანათ კავკასიაში ასეთი უცნაური სახელწოდება, რომელიც მათი სამშობლოს სახსენებელი იყო" [1].

ჩვენ არ ვიცით, რა აზრისაა „ხუნან"-ის სახელწოდების შესახებ ნ. მარრი, რომელიც 1925 წლიდან შეუდგა ჩინურის შესწავლას და სინოლოგიის პრობლემების გადასინჯვას იაფეტური თეორიის თვალსაზრისით [2]. მაგრამ რომ კ. და მ. თუმანოვები „ხუნან"-ის სახელწოდების ჩინეთიდან გადმონერგვის თეორიის წამოყენებაში გატაცებულნი არიან ძველ სომეხთა ისტორიკოსებით, ეს ეჭვს გარეშეა.

გავიხსენოთ ფავსტოს ბიზანტიელის, მოსე ხორენელისა და სებეოსის ცდანი იმის დასამტკიცებლად, რომ ვითომდა მამიკონიანთა საერისთავო გვარეულობა ჩინელი მამგუნისაგან მომდინარეობს, ხოლო მამგუნი,—იმავე თუმანოვების სამართლიანი შენიშვნით,—სიბირის ე. წ. Приморская область-ში მცხოვრები „მამგუნ" ტომის სახელწოდებაცაა. გავიხსენოთ აგრეთვე

---

[1] *Հանդես Ամսօրեայ, 1911, եր.* 527.

[2] Н. Марр: Яфетическая теория и семантика китайского языка,—„Доклады Академии Наук СССР—В. 1926, стр. 39; Китайский язык и палеонтология речи,—ibid., 1926, стр. 93—96, 109—112, 129—132; Египетский, шумерский, китайский и их палеонтологические встречи I,—ibid., 1927, стр. 82—84; და სხვა.

შერმინდელი დროის სომეხ ისტორიკოსების და კერძოდ სტეფანე სივნიელის ცდა იმის დასამტკიცებლად, ვითომდა ორბელნი ჩინური ჩამომავლობისა იყვნენ და მომდინარეობდენ ჰენ-ბაკურისაგან, ვინაიდან ჰენ-ბაკურიხ სახელწოდებაში „ჰენი“ მას „ჩინ“-ელ-ად მიაჩნდა. ამჟამად არმენოლოგიურ ლიტერატურაში მამიკონიანთა და ორბელთა ჩინეთიდან წარმოშობის საკითხი უკვე უკუგდებულია[1], და, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინარე-„სომხური“ ისტორიას ორივე საგვარეულოისას უკავშირებენ ტაო-კლარჯეთს (ჰანეთს ანუ ლაზისტანს). საკმარისია აღინიშნოს მკვლევართა გონებამახვილი მოსაზრება, რომ ჰენ-ბაკური **ჩინ-ბაკურს** ანუ **ჩინელთა** ბაკურს კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ **ჰან**-ბაკურს ანუ **ჰანელთა** ბაკურს, რაიც ორბელთა ჰანურ-ლაზური წარმოშობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ჰანელებად არიან აღიარებულნი აგრეთვე მამიკონიანნიც.

„ხუნან“-ისა და, მასთან ერთად, „გარდმან“-ის სახელწოდებათა გადმოწერგვაში ჩინეთიდან ამიერკავკასიაში უცნაური არაფერი უნდა გვეძია, თუ ეს, რასაკვირველია, რომელიმე ისტორიული წყაროთი ან გადმოცემით დამოწმებული ფაქტის გამომხატველი იქნებოდა. მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ ჩვენებური „ხუნანი“ სულ სხვა წარმოშობისაა, ვიდრე ჩინეთისა; მით უმეტეს შეუწყნარებელია ჩვენებური „გარდ**მანი**“-ს დაკავშირება შორეული აღმოსავლეთის „**მან**გუნ“-თან თუნდაც იმის გამო, რომ ამ „გარდმან“-ში ნაწილაკი „მან“ სრულებითაც „მან“-ის (აქედან „**მამ**გუნ“) ტომის აღმნიშვნელს არ წარმოადგენს, არამედ ფონეტიკური სახეა „ბან“ || „ვან“ — „უბან“-ისა, რაიც **დაბა**-ს, **ხავანე**-ს ანდა, გარკვეულ შემთხვევებში, **ტბა**-ს ნიშნავს[2], რომლის გამოც ჩვენ, მართლაც გვაქვს პარალელური ფორმები „გარდ**მან**“ || „გარდა**მან**“ — „გარდ**ბან**“ || „გარდა**ბან**“, სადაც ტომობრივი სახელის მაჩვენებელი მხოლოდ პირველი ელემენტი შეიძლება იყოს.

რაც შეეხება „ხუნან“-ს, იგი უთუოდ ტომობრივი სახელის შემცველია, მაგრამ არც „გარ“-ისა (?) და არც „მან“-ისა, არამედ კავკასიის ისტორიაში კარგად ცნობილი ერთ-ერთი ტომისა, რომლის საკითხის გამორკვევასაც ახლავე მივმართავთ.

რასაკვირველია, ისეთი ეტიმოლოგია, რომელსაც გვაწვდის მოსე ხონელი, როდესაც ამბობს: „ხუნანი ანუ სახნავნი“[3], ანდა „Хунани—пашни Азии. О древней грузинской хронике.—„Журн. Мин. Нар. Просв.“, 1883, декабрь, отд. II, стр. 250—260; Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Спб. 1908, стр. 403—404; *Մ. Թումանյան, Քրիստոս եւ Հայկ նահապետ, Ազգագրական հետազոտություն, Վաղ. 1910, էջ, եր. իզ—իե, ծանօթ.*; შდრ. Н. Марр, Батум, Ардаган, Карс—исторический узел межнациональных отношений Кавказа, П-гр. 1922, стр. 38; შდრ. აგრეთვე: Труды первой всесоюзной конференции историков-марксистов, т. I, Москва 1930, стр. 478.

[2] Н. Марр, Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания,—„Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. XXII, стр. 66—67 (по оттиску 36—37); Н. Марр, Термин «скиф», —„Яф. Сборник“ I, 93.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია, ტფ. 1904, გვ. 59, შენიშვნა წინა გვერდისა.

(хуна—пахать)"[1], უკუსაგდებია როგორც დაუსაბუთებული. მაგრამ საინტერესოა, რომ ქართულს საისტორიო მწერლობაში „ხუნანი" აგრეთვე „მტკვრის-ციხე"-დ იწოდება. ხოლო არაბულ გეოგრაფთა (მაგ. ბალაძორის, ისტახრის და სხვათა) ტრაქტატებში იგი „ხუნან"-ადაა მოხსენებული და ნაჩვენებია ტფილისის მახლობლად და შამქორიდან 21 ფარსახის მოშორებით, ე. ი. იმ ადგილას, სადაც ქართული წყაროების „მტკვრის-ციხე"-ა ნაგულისხმევი.

რაც შეეხება სომხურ ლიტერატურას, მასში „ხუნანი" იხსენიება *Հնարակերտ*-ის სახელწოდებით.

მოსე ხორენელი, იხსენიებს რა ვინმე არანს, რომელიც სომეხთა მეფის ვალარშაკის მიერ განწესებულ იქმნა მხარეთმართველად ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა (*զարևելից հիւսիսոյ կողմանն*), მახლობლად დიდისა მდინარისა მტკვრისა, რომელიცა ჰყოფს დიდსა ველსა (*առ մեծ գետովն, որ հատանէ զդաշտն մեծ, որ անուանի կուր*), იხსენიებს ალვანის ველსა და ამ ველის მთიანეთსა, მდინარით არაქსითგან ვიდრე **სიმაგრემდე, რომელსაც ეწოდება ჰნარაკერტ** (*զդաշտն Ալուանից և զլեռնակոյտն նորին դաշտի, ի գետոյն Երասխայ մինչև ցամուրն, որ ասի Հնարակերտ*)[2]. ხოლო ვინმე გუშარს, იმავე მ. ხორენელის სიტყვით, ვალარშაკმა უბოძა „მთა მთინ, რომელიც არიկ კანგარჭი, და ნახევარი ჯავახეთისა, კოლბი, წობი, ძორი **ვიდრე ჰნარაკერტის სიმაგრემდე**" (*զլեառն Մթին, որ և կանգարք, և զկես մասին Ջաւախայ, գկողբ, գՇոբ, գՋոր մինչև ցամուրն Հնարակերտ*)[3].

თითქმის იმავე სიტყვებს იმეორებენ „ჰნარაკერტ"-ის ხსენებისას მოსე უტიელი[4], სტეფანე ტარონელი[5] და სტეფანე სივნიელი[6], მხოლოდ ამ განსხვავებით, რომ მოსე უტიელი და სტეფანე სივნიელი ამ „ჰნარაკერტ"-ს იხსენიებენ ერთხელ, სახელდობრ არანის შესახებ საუბრისას, სოლო სტეფანე ტარონელი[7] ორჯელ—როგორც არანის, ისე გუშარის შესახებ საუბრისას; აგრეთვე იმ განსხვავებით, რომ სიმაგრის სახელი მოსე უტიელს მოჰყავს ისევე, როგორც მოსე ხორენელს, *Հնարակերտ*-ის სახით, მაშინ როდესაც სტეფანე სივნიელს, მოსე ხორენელის მსგავსად, *Հնարակերտ*-ის სახით, თუმცა სტეფანე ტარონელის ერთს ხელნაწერში იგივე Ortsname ამოიკითხება *Հոնարակերտ*-ად.

---

[1] Царевич Вахушти. География Грузии. Тфл. 1904, стр. 48, прим. 199.

[2] *Մովսէսի Խորենացւոյ Պատմութիւն Հայոց, խմբ. Մ. Աբեղեան և Ս. Յարութիւնեան, Տփղ. 1913, եր. 113.*

[3] Ibid.

[4] *Մովսէսի Կաղանկատուացւոյ Պատմութիւն Ալուանից աշխարհի, Տփղ. 1913, եր. 14.*

[5] *Ստեփաննոսի Տարօնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն Տիեզերական, Մ. Պ. Բ. 1885, եր 34—35.*

[6] *Պատմութիւն նահանգին Սիւնեաց արարեալ Ստեփաննոսի Օրբէլեան արքեպիսկոպոսի, Տփղ. 1911, եր. 16.*

[7] სხვათა შორის, ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ სტეფანე ტარონელი არსებითად მოსე ხორენელზეა დამოკიდებული, ხოლო სტეფანე სივნიელი—მოსე უტიელზე.

უსახელო ავტორის „გეოგრაფია“-ში, რომელიც მოსე ხორენელს მიეწერებოდა, მტკვრის შესახებ საუბრისას ნათქვამია, რომ იგი მცხეთის ქალაქისა და ბორცვის-ჯვრის შემდეგ მიემართება ქართლის დედაქალაქ ტფილისისაკენ. ხოლო მას „**ჰნარაკერტ** (var: ნარაკერტ) **ქალაქამდე** ერთვის წობოფორის, კოლბოფორისა და ძოროფორის მდინარეები“ (*գՇորափոր և գԿոզրափոր և գՋորափոր հոմպանան գետաւք մինչև զՀնարակերտ* [var.: *Նարակերտ*] *քաղաք*)[1]. იოანე დრასხანაკერტელი კი იხსენიებს **ქალაქ ჰუნარაკერტს**, როგორც მოსაზღვრეს უტის მხარეთა (*գԱւտի գաւառ մինչև ի քաղաքն Հունարակերտ*)[2].

საინტერესოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულს სომხურ თარგმანში (ანდა შემოკლებული „ქართლის ცხოვრების“ თარგმანში), რომელიც მე-XII—XIII-ე საუკუნეებს მიეკუთვნება, სახელწოდება „ხუნან“ ყოველთვის გადმოცემულია „ხუნან“-ადვე და არა „ჰნარაკერტ“—„ჰუნარაკერტ“-ად.

ხოლო სულ ყველაზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ აბრაამის მესამე ეპისტოლეში კირიონისადმი, რომელიც მოთავსებულია „ეპისტოლეთა წიგნში“, სომეხთა ბაბგენ კათალიკოზის მეთაურობით 506—507 წელს შემდგარ დვინის კრების მონაწილეთა შორის ქართლ-კახეთიდან წარგზავნილ 24 მღვდელმთავართა რიგებში იხსენიება „ისააკ ეპისკოპოზი **ჭუნანაკერტისა**“ (*Իսահակ եպիսկոպոս Ջունանակերտ*)[3]. ამ უკანასკნელს კი უხტანესის „ისტორია“-ში შემდეგი სახე მიუღია: „ისააკ ეპისკოპოზი **ჰნარაკერტისა**“ (*Իսահակ եպիսկոպոս Հնարակերտ*)[4].

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სომხურს საისტორიო მწერლობაში ცნობილი *Հնարակերտ—Հունարակերտ—Հոնարակերտ* იგივე *Ջունանակերտ*-ი უნდა იყოს, ხოლო *Ջունանակերտ*-ი იგივე „ხუნანი“. მართალია, ერთისა-და-იმავე სახელწოდების ქართული და სომხური ფორმები თითქოს ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ გენეზისის თვალსაზრისით ისინი ერთმანეთს საკმაოდ ჰგვარავენ, როგორც სრულიად კანონზომიერი ფორმები ერთისა-და-იმავე სახელწოდებისა.

და მართლაც, ქართულ ფორმაში ჩვენ გვაქვს ისეთი სახელწოდება, რომელიც წარმოებულია მრავლობითი რიცხვის და, ამასთან ერთად, ადგილის აღმნიშვნელი სუფიქს „ან“-ის საშუალებით, როგორიც არიან: **არან**, **ალან**, **არმან**, **გურზან**, **ჯურჯან**, **გურგან**, **გილან**, **შირვან** etc.; მაშასადამე, თვით სახელწოდების ფუძედ რჩება „ხუნ“.

ახლა თუ მივმართავთ იმავე სახელწოდების სომხურ ექვივალენტებს, დავინახავთ, რომ იგინი წარმოებული არიან სუფიქს „კერტ“-ის (სპარს. „კერტ“, არაბ. „ჯერდ“, ქართ. „კერტ“ || „კეტ“) საშუალებით[5], როგორც, მაგალითად,

---

[1] A. Soykry, Géographie de Moïse de Corène etc., Venise 1881, სომხური ტექსტით გვ. 28.

[2] *Յովհաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտցւոյ Պատմութիւն Հայոց, Տփղ. 1912, եր. 161.*

[3] *Գիրք Թղթոց, Տփղ. 1901, եր. 183.*

[4] *Ուխտանէս եպիսկոպոս. Պատմութիւն, Վաղ. 1870, եր. 85.*

[5] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. H. Hübschmann, Armenische Grammatik. I Theil, Leipzig 1897, 168—172; მისივე, Iranisch-Armenische Name auf karta, kert, gird,— „Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft“, t. XXX, S. 138—141; *Հր. Աճառեան, Հայերէն արմատական բառարան*, III, *1162—1165.*

Տիգրանակերտ—Վաղարշակերտ—Շամիրամակերտ—Աւշակերտ, აგრეთვე ქარლი წყაროების „ფანასკერტ“, „ვალაშკერტ“, „ხვარაკეტი“ (*Ծաղկերտ*), „ზურთუტაკეტი“ etc. მართალია, პროფ. H. Hübschmann-ს ისე აქვს წარმოდგენილი *Հնաբակերտ—Հուհնաբակերտ*-ი[1], თითქოს ის გამომდინარეობდეს სპარსული სიტყვის hunar-ისაგან, რაც სომხურს *հնար* და ქართულს **ხუნარ**-ს უდრის, ხოლო მთელი სახელწოდება **ხუნარით ნაშენ**-ს, მაგრამ ცხადია, რომ ამ სახელწოდების საფუძვლად „ჰუნარ“—„უნარ“-ი კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ „**ჰუნ**+არ“, სადაც „არ“, თავის რიგზე, როგორც ცნობილია, გეოგრაფიულ სახელწოდებათა მაჩვენებელია: თრი**არ**→თრიალ (თრიალ-ეთ-ი), პარხ**არ**→პარხალ, გუგ**არ**, კანგ**არ**, წან**არ**, წუნ**არ**, თუხ**არ**, ქინძ**არ**, etc.

ამრიგად, ცხადია, რომ *Հնաբակերտ—Հուհնաբակերտ—Հոնաբակերտ*-ი ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებაა, რომელიც წარმოებულია ორმაგი სუფიქსის *ար+կերտ* საშუალებით, ხოლო მისი ფუძეა *հընն||հուն||հոն*, რომლის ძირითად ფორმად, უთოდ, *հուն*-ი უნდა იყოს მიჩნეული, დანარჩენები კი მისი კანონზომიერ ვარიანტებად რედუქციისა და სუბსტიტუციის ნორმების გათვალისწინებით.

რაც შეეხება *Ջուհնանակերտ*-ს, გასაღები მისი ახსნა-განმარტებისა ზემოდასახელებული აბრაამის მესამე ეპისტოლეს ამ post scriptum-ში უნდა ვეძიოთ, სადაც მითითებულია დვინის კრების შესახებ გამოყენებული წყარო—ქალაქ ურჰას (ედესას) დაცული ვერსია ე. წ. *պատմութիւն Նամակ*-ისა, ე. ი. კრების აქტებისა, რომლის სომხური დედანი აჯანყებისას დაიკარგაო. დვინის კრების აქტების დაღუპვის გამო მათი ბერძნული ვერსიის გამოყენებისას აბრაამ კათალიკოზს, რასაკვირველია, ქართლ-კახეთის გეოგრაფიული სახელწოდებები ისე უნდა აღედგინა, როგორც ამას მოითხოვდა ბერძნულ-სომხური შედარებითი ფონეტიკის ნორმები. ხოლო ამ ნორმების თანახმად სომხური *Ջուհնանակերտ*-ი სომხურივე *Հուհնաբակերտ*-იდან კი არ უნდა ყოფილიყო წარმოებული, არამედ „*ხუნან-აკერტ*“-იდან, რომლის პირველი ნაწილი ქართულია, ხოლო მეორე სპარსულ-სომხური, სადაც დასაწყისი ბგერა „*ქ*“ შეესატყვისება ბერძნულ χ-ს, როგორც, მაგალითად, სიტყვებში: χάρτης—*քարտեզ* ქარტა, δίδραχμα—*դիդրաքմայ* დიდრაქმა, μηχανή—*մեքենայ* მანქანა, χαρτοσλάριος—*քարտուղար*, χρονικός—*քրոնիկոն* ქრონიკონი, χάος—*քաօս* ქაოსი, πατριάρχης—*պատրիարք* პატრიარქი (პატრიაქი), χωρεπίσκοπος—*քորեպիսկոպոս* ქორებისკოპოზი, და აგრეთვე მრავალ საკუთარ სახელებში. ერთი სიტყვით, *Ջուհնանակերտ*—ხ უ ნ ა ნ ა კ ე რ ტ განირჩევა *Հնաբակերտ—Հուհնաբակերտ—Հոնաբակերտ*-ისაგან მით, რომ მას საფუძვლად უდევს იგივე ქართული „ხუნანი“, უკეთ რომ ვთქვათ „ხუნ-ან“, სადაც „ხუნ“ შესატყვისია *հընն||հուն||հոն*-ისა.

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ სომხურ-ქართული შედარებითი ფონეტიკის ნორმებს, რომლის თანახმადაც „*հ*“ შეესატყვისება ქართულ ხ-ს, როგორც მაგალითად, სიტყვებში: *հանք*—ხანი (ქანი), *հաշմ*—ხაშმი, *հարկ*—ხარკი, *հարճ*

---

[1] H. Hübschmann, Armenische Grammatik, I, 169; მისივე Die altarmenischen Ortsnamen, Strassburg, 1904, s. n.

—ხარჭა, *հրուղ*—ხულა, *հո*—ხო[მ], *հուբ*—*ხურ (აქედან მ-**ხურ**-ვალ-ე, გა-**ხურ**-ება-ა, ზაფ-**ხულ**-ი), *գրևհրկ*—გლეხი etc. მაშინ ადვილი გასაგებია „**ხუნან**“-ის წარმოშობა „ჰუნან“-ისაგან ან პირუკუ, *რომლებსაც ფუძედა აქვსთ, როგორც ეტყობა, nomen gentile „ჰუნ“—*հուն* || *հոն* || *հրն*, ე. ი. სწორედ ის ელემენტი, რომლის ნაშთი კავკასიის მრავალ სახელწოდებებშია დაცული, სხვათა შორის „**ხუნძახ**“—*„**ჰუნძახ**“-შიც.

მაშასადამე, როგორც „ხუნან“—*Բուհնանակերտ*-ი, ისე *Հնարակերտ—Հունարակերտ—Հոնարակերտ*-ი ისეთივე კატეგორიის Ortsname-დ უნდა მივიჩნიოთ, როგორიც არიან „საკაშენ“ (შექი)—საკების ადგილი ანუ ქალაქი, „ნახჭაევან“—ნახჭათა ადგილი ანუ ქალაქი, etc.

რომ სახელწოდება „**ხუნან**“—*„**ჰუნან**“ („**ჰნ**არაკერტ“—„**ჰუნ**არაკერტ“—„**ჰონ**არაკერტ“), მართლაც, ჰუნთა ბინადრობის ადგილის მაჩვენებელი უნდა იყოს, ამის სასარგებლოდ ჩვენ, რასაკვირველია, პირდაპირი ჩვენება საისტორიო წყაროებში არა გვაქვს; მაგრამ რომ მის რაიონში მე-IV-ე საუკუნეში ქ. შ. ჰუნებს შეეძლოთ გაევლოთ და დროებით მაინც დამკვიდრებულიყვნენ, ამას გვიმოწმებს ამიან მარცელინი (Rerum gestarum, XXXI, 3, 1) და ფავსტოს ბიზანტიელი (*Պատմութիւն Հայոց*, III, 7)[1]. ამიანის სიტყვით, ჰუნები 377 წელს გადაიარეს ალანთა ქვეყნით სამხრეთისაკენ და გზაზე მრავალი ხალხი გაწყვიტეს და გაცარცვეს, დანარჩენებთან კი ზავი შეკრეს. ფავსტოსი კი მოგვითხრობს, რომ მასქუთთა მეფემ სანესანმა, მოისურვა რა შური იძიოს თავის ნათესავზე ხოსრო სომეხთა მეფეზე, შეკრიბა ყოველი ჯარი **ჰონთა** (*հոնաց*), ფოხთა (ფხოელთა), ეგერსვანთა და მრავალთა სხვათა და მოადგა მისსა საზღვარსა **დიდსა მდინარესა მტკვარსა**, ხოლო აქედან შეიხიზნა სომხეთში, etc.

ამ ჰუნებზე უნდა იყოს საუბარი „ქართლის მოქცევის“ დასაწყის ნაწილში, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი[2] მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად... და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მათი მეფესა, და წარვიდა. მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი ქალდეველთა-გან გამოსხმულნი **ჰონნი** და ითხოვეს ბუნთურქთა უფლისა-გან ქუეყანაჲ... და შემდგომად

---

[1] *Փաւստոսի Բիւզանդացւոյ Պատմութիւն Հայոց, Տփղ. 1913, եր.* 24=ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ქრესტომატია etc, I, ტფ. 1920, გვ. 50.

[2] „Бунтурки или турки, иначе туранцы“,—ასე გვიხსნის ამ ტერმინს ე. თაყაიშვილი (Е. Такайшвили, Источники Грузинских летописей—Три хроники.,—(„Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, в. XXVIII, 1900, стр. 1, прим. 2). ნ. მარრის აზრით (Н. Марр, К истории передвижения японетических народов с юга на север Кавказа,—„Известия Акад. Наук“, 1916, стр. 1405; N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, Paris 1931, p. 615), იგი *բուն+թուրք* прародный турок le Turc autochtone-ს ნიშნავს. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ აქ ეგების გრაფიკული შეცდომა იყოს „ჰუნ+თურქ“-ის მაგიერ.


რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრჱ, მეფჱ ყოვლისა ქუეყნისაჲ, და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და **ჰონთა** დასცა მახჯლი“ [1].

ამრიგად, ცხადია, რომ ყველა ზემოდასახელებულ სომხურ და ქართულ წყაროებში ნაგულისხმევია ჰუნთა ტომი, რომელსაც ოდესღაც ეკავა მტკვრის ხეობა, კერძოდ ე. წ. მტკვრის-ციხე, რომელსაც შემდეგ მათ გამო შეეძლო *„ჰუნ-ან“ || „ხუნ-ან“-ი ეწოდებოდა [2].


რაკი სიტყვამ მოიტანა, ზედმეტი არ იქნებოდა აქვე აღგვენიშნა, რომ „ხუნან“-*„ჰუნარ[*ակերտ*]“-ის ანალოგიით შეიძლება განმარტებულ იქნეს სახელწოდება „ხანძთა“-ს ევოლუციაც, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია სამხრეთში ცნობილი იგივე *Անձիթ—Հանձիթ*-ი, რომელსაც ენათესავება Ἄνζιτα—Ἀνζιτηνή || Ἀνζιτηνή—ერთის მხრივ, და Χανζίτ—მეორეს მხრივ [3].

აქვე დართული სქემები ნათლად გვიჩვენებენ როგორც „ხუნან“-ის, ისე „ხანძთა“-ს ევოლუციის სურათს.

1



2



[1] Е. Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», II, Тфл. 1906—1912, стр. 708 = N. Marr et M. Brière, op. cit., 569.

[2] ჰუნნების შესახებ საერთოდ იხ: К. А. Иностранцев, Хунну и Гунны [„Труды туркологического семинария“, I], Лнгр. 1926.

[3] აქ და შემდგომ ყველა ცნობები კლასიკური და ბიზანტიური ლიტერატურიდან ჩვენ ამოკრებილი გვაქვს, სტრაბონის გარდა, პტოლემეოსის გეოგრაფიიდან (III, 1,3), პროკოპი კესარიელის De bello persico (II, 24, 14) და De aedificiis (III,3)-იდან, კონსტანტინე პორფიროგენიის De administrando imperio (cap. 50)-დან, გიორგი კვიპრელის Descriptio orbis Romani (Notitiae-ს № 959, 963)-დან, აგრეთვე იუსტინიანეს Novellae-დან (XXVIII).

II. ვარძია

ახლა გადავიდეთ ვარძიის სახელწოდებაზე.

1926 წელს ჩვენ ვწერდით, რომ „სახელწოდება «ვარძია» აუხსნელია, თუმცა ზოგიერთს ჰგონია, რომ «ვარდ-ციხე»-ს უნდა ნიშნავდეს“; ავრეთვე: „«ვარძია» საქართველოში სამია, ერთი იმერეთში, იმავე სახელწოდების წყალზე, რომელიც ჩხირიმელას უერთდება, ხოლო ორი მესხეთში, რომელთაგან ერთს „ზემო, ხოლო მეორეს—ქვემო-ვარძიას უწოდებენ. დიდებული ვარძია ქვემო ვარძია გახლავთ“ [1].

ხალხურ ეტიმოლოგიას („ვარ ძია“, ე. ი. „ძია ვარ“) რომ თავი დავანებოთ, სახელწოდება „ვარძია“, რასაკვირველია, შეიძლება გან[illegible]ებულ იქნეს „ვარდ“ ან „ვარძ“-ის ნიადაგზე, რომლითაც ცნობილნი არიან ისტორიული პირები ბიზანტიისა და სომხეთის წარსულიდან: „ვარდ“ სკლეროსი, „ვარდ“ პატრიკი—ერთის მხრივ, და „ვარძ“, resp. „ვარძად“ კამსარაკანი—მეორეს მხრივ. მაგრამ სიტყვის წარმოება „ვარდ ციხე“ → „ვარძია“, ანდა „ვარძ-ციხე“ → „ვარძია“ ყოვლად შეუძლებელია. ყოვლად შეუძლებელია ავრეთვე რომ „ვარძია“-ს რაიმე კავშირი ჰქონდეს „ვარდ-ციხე“-სთან 'Ροδόπολις-ის გაგებით (გიორგი კვიპრელის Descriptio orbis Romani-სა და იუსტინიანეს 28 ნოველაში). მაშასადამე, ჩვენ გვრჩება ერთად-ერთი გამოსავალი—„ვარძია“-ს ახსნა-განმარტება რომელიმე ტომობრივ სახელწოდებაში ვეძიოთ.

სტრაბონი (Geographica, lib. XI, cap. XIV, 5), ლაპარაკობს რა სომეხთა სარდალთა არტაჭსიასისა (არტაშესისა) და ზარიადრესის (ზარეჰის) მიერ მე-II-ე საუკუნეში ჭ. წ. სომხეთის „სახელმწიფო საზღვრების“ გაფართოების შესახებ მეზობელ ერთა კუთვნილი ზოგიერთი ქვეყნების წართმევით, აღნიშნავს, რომ იბერებს სომხებმა წამოგლიჯეს მთიანეთი—პარიადრესი, ხორძენე და გარენე. პარიადრესი თითქოს პარხალი იყოს, გოგარენე—გუგარჩი (გუგარეთი → გუჯარეთი), ხორძენე-კი—თითქოს მთიანეთი პარხალსა და გუგარჭს შორის, ე. ი. ძველი სამცხე, მერმინდელი სამცხე-საათაბაგო ანუ მესხეთი, ჯავახეთითა და ტაო-კლარჯეთითურთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა მარტო „ვარძია“-სი, არამედ აგრეთვე „ოძრახე“—„ოძრაე“ („ოცხე“)-ს სახელწოდებათა ახსნა-განმარტება შეიძლება მხოლოდ-და-მხოლოდ „ხორძენე“-ს სახელწოდების ნიადაგზე და მასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ როგორც თვით ვარძია, ისე ოძრახე—ოძრაე—ოცხე ძველი ხორძენეს ფარგლებში იმყოფება.

და მართლაც, თუ რომ სახელწოდებაში „ოძრახე“ ანუ „ოძრაე“ (აქედან „ოცხე“-ც, რომელიც მერმინდელი დროის გამოთქმა უნდა იყოს) ჩვენ გამოვყოთ ფუძე „ოძრ“, ხოლო „ხე“ || „აე“ მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელ სუფიქს „ხ“-ანისა და ო'ნით დამწყებ საკუთარ სახელთა დაბოლოება „ე“-ნის კომპლექსად მივიჩნიოთ (როგორიც არიან, ერთის მხრივ, „ტაო-ხ“, „ჯავა-ხ“, „კოლ-ხ“, „მეს-ხ“, „ჰენიო-ხ“ etc. და მეორეს მხრივ—„ოხვამე“, „ოწინდალე“


[1] „საქართველოს კურორტების ცნობარი“, საქ. კურორტთა მთ. სამ. გამოცემა' ტფ. 1926, გვ. 153—154 (ამ ცნობარის „საისტორიო-საარქეოლოგიო ნაწილის „უმეტესი ნაწილი ჩვენ მიერაა შედგენილი, ისევე, როგორც საბალნეოლოგიო ქართ დ. ჯავახიშვილის, ხოლო სა-ბეტყვო პროფ. ს. ჭურდიანის მიერ, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენთაგანის არცერთის სახელი მთელი წიგნის სივრცეზე არსადაა მოხსენებული).

etc.), მაშინ სრულიად ნათელი გახდება ზემოდასახელებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ურთიერთ შორის გენეტიკური კავშირი.

ყველა ამ სახელწოდებათა ფუძედ შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც „ოძრ", ისე უკანასკნელისგან მეტათეზის გზით მიღებული „ორძ".

თუ „ოძრ"-იდან მომდინარეობს „ოძრ-ა-ხე" და „ოძრ-კე", „ორძ"-იდან უნდა იყოს: 1) *„ორძ-ია" და 2) *ორძ ენ-ე" || „ორძ-იან-ე" (Ὀρζιανή), რომელთაგან პირველი ო'ნის კანონზომიერი გამლით გვაძლევს „ვარძ-ია"-ს (როგორც მაგ. სონი—სვანი, კომლი—კვამლი, ცხორი—ცხვარი; აგრეთვე ოხჭანი—*վախճան*, ორთანე—*Վրկանես*, resp. *Վարկանես*). თვით „ვარძ-ია" ისეთივე წარმოებისაა, როგორც „ივერ-ია", „ალბან-ია", „არშენ-ია", „გურ-ია" etc., ესე იგი ბერძნულ-ლათინური დაბოლოება *ია*-ს მეშვეობით, სწორედ ისე, როგორც იგივე „ვარძ" ქალდურ-სომხური სუფიქსის *უნი*-ს მეშვეობით გვაძლევს „ვარძ-უნი-ქ" (*Վարձունիք*), რომელსაც 1862 წელს ვენეციას ვარდანის ისტორიის გამომცემელი[1] და ცნობილი სომეხი ეთნოგრაფი ე. ლალაიანიც[2] ხმარობენ,—*Ռշտունիք, Արծրունիք, Գնունիք, Գնտարքունիք* და ამათ მსგავსთა ანალოგიით (Etiuni, Arastoni); თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ორს შემთხვევაში, როდესაც ვარძია იხსენიება ძველს სომხურ მწერლობაში, იგი წარმოდგენილია ჩვეულებრივი სახელწოდებით და არა „ვარძუნიქ"-ად: *Վարձիայ խաչն*—ასე იხსენიებენ ვარძიის ჯვარს მე-XIII-ე საუკუნის მწერალნი ვანაკანი და ვარდანი, როგორც ეს ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა წინეთ[3]. ხოლო *„ორძ-ენ-ე"-ს ანუ Ὀρζιανή || Ὀρζιανινή-ს განვითარების შემდეგ საფეხურს წარმოადგენს *„ჰორძ-ენ-ე" → „ხორძ-ენ-ე" ანუ Χορζηνή || Χορζιανή || Χορζιανηνή, რომელიც ისეთივე წარმოშობისაა, როგორც „გუგარ-ენ-ე" (გუგარქი), „კამბიზ-ენ-ე" (კამბეჩოვანი), „საკას-ენ-ე" (საკაშენი—შაქი), „ატროპატ-ენ-ე" (ადრაბადაგანი) etc.

ერთი სიტყვით, ერთი-და-იმავე ფუძიდან ჩვენ გვაქვს შემდეგი სახეები:



[1] *Հատորումն պատմութիւնք Վարդանայ, 69, ծան. 2.*

[2] *ს. Լալայեան, Հատիք—„Ա.պդ. Հանդես" 1, 124,* მისივე *Վարձիս կաշ վարձունիք,—„Հանք. Ամսօրեայ" 1895, էր 23—26.*

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა etc., გვ. 253—254.

შდრ. პროფ. გ. ჯავახიშვილი, კალმასობა, დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამ. ტფ. 1933, გვ. 244 და შენ. იქვე.

„ოძრკე“, resp *„ორძკე“-ს ანალოგიითაა წარმოებული „ვარძხე“-ც, რომელიც „ვარდციხე“-დაა გააზროვნებული და რომელმაც სიტყვა-სიტყვით თარგმანში ქართულიდან ბერძნულად მოგვცა „როდოპოლის“ (Ῥοδόπολις), როგორც ვკითხულობთ გიორგი კვიპრელის Descriptio orbis Romani-ში (საეპისკოპოსოები: ὁ Ῥοδοπόλεως, ὁ τῆς Ἀβισσηνῶν, ὁ Πετρῶν, ὁ τῆς Ζιγανέων)[1] და იუსტინიანე კეისრის მე-XXVIII ნოველაში: De moderatore Helenoponti (ქალაქები: Ἀρχαιόπολις τε καὶ Ῥοδόπολις), თითონ „ვარძია“-კი, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, სომხურ ფოლკლორში „ვარძუნიქ“-ის სახით მიიღო, ე. ი. ქალდურ-სომხურ სუფიქს უნი||ონი-თ.

რაც შეეხება თვით ფუძეს „ოძრ“—„ორძ“—„ვარძ“, იგი შეიძლება ორნაირად იქნეს ახსნილი: ან ჰანურ-ლაზურში ცნობილი ტერმინის „ორძო“ (ვენახის თქმით) ანუ „ორძუ“ (არხაეული თქმათ)[2], ანდა nomen gentile „ვარ“—„ვერ“||„ბარ“—„ბერ“||„mar“—mer“-ის ნიადაგზე.

რადგანაც ჰანურ-ლაზურში „ორძო“—„ორძუ“ **საჯდომს, თრონს, ტახტს** ჰნიშნავს, ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში „ორძ-ენ-ე“—„ჰორძ-ენ-ე“—„ხორძ-ენ-ე“, resp. „ვარძ-ია“, **საუფლო კარის, საჯდომის, დომენის** ანუ curtis dominicalis-ის მნიშვნელობის შემცველი იქნებოდა, რომელსაც სომხურში შეესატყვისება ე. წ. *ციხანძკ*-ი. და ამგვარად ხორძენე—ვარძია—ოძრკე ისეთივე კატეგორიის ცნებად გამოდგებოდა, როგორიც იყვნენ, მაგალითად, სომხეთში სხვადასხვა ფეოდალურ საგვარეულობათა *ციხანძკ*-ები, ე. ი. არშაკუნიანთა—ვალარშაპატი, კამსარაკანთა—ერვანდაშატი, არწრუნელთა—ადამაკერატი, ბაგრატუნიანთა—დარიონქი, რშტუნელთა—„ოსტანი“ etc.[3]. მაგრამ ასეთ ახსნა-განმარტებას წინ ეღობება ერთი ფრიად სერიოზული დაბრკოლება, რომელსაც შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს. ეს დაბრკოლება გახლავს ის ფაქტი, რომ ხსენებული საბელწოდების წარმოშობა გაცილებით წინ უსწრებს ფეოდალური წესწყობილების ხანას, რომლის დამახასიათებელიც არის ე. წ. *ციხანძკ*-ი

მაშასადამე, ჩვენ გვრჩება ერთად-ერთი გამოსავალი, რომ „ხორძიანენე“—„ვარძია“—„ოძრკე“ nomen gentile-დ ალვიაროთ „ვარ“—„ვერ“||„ბარ“—„ბერ“||„mar“—„mer“-ის საფუძველზე, უკეთ „ბერ-ძენ“-ის, ე. ი. „ივერ-ჭან“-ის (ხორძიანე ← [ხ]ორძიან[ენე] ← ვარ+ძენ ← ბერ+ძენ (იბერ+ჭან)-ის საფუძველზე.

საკითხის ასეთ დაყენებას ხელს უწყობს, ერთის მხრივ, კლასიკური მწერლობის ცნობები ტიბარენების (ტი-**ბარ**-ენ-ე) და მესხთა ქვეყნის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ—ლეონტი მროველის ცნობა ქართველ ეპონიმთა შესახებ.

ცნობილია, რომ ე. წ. „ტიბარენები“ მე-V—IV-ე საუკუნეებში ქ. წ. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდენ. სტრაბონი-კი (Geographica, lib. XI, cap. 2,18) პირდაპირ ამბობს, რომ მოსხთა (Μόσχοι) ანუ მესხთა ქვეყანა მის დროს, ე. ი. I ს. ქ. წ. და შ., სამ ნაწილად იყო გაყოფილი, რომელთაგან ერთი კოლხებს ეკავათ, მეორე—იბერებს, ხოლო მესამე სომხებს.

[1] H. Gelzer, Georgii Cyprii Descriptio orbis Romani, Lipsiae 1890, p. 24.
[2] Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, Спб. 1910, стр. 177.
[3] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Спб. 463, прим. 2.

ლეონტი მროველის თხზულებაში ქართველ ეპონიმთაგან **ოძრკოსი, უფლოსთანა** და **ჯავახოსთან** ერთად, **მცხეთოსის** შვილადაა დასახელებული, რითაც მემატიანეს იმის თქმა უნდოდა, რომ „ოძრი", ე. ი. „ოძრ-ი" ← „ვარ-ძ" || ივერ-იბერი, „ჯავახ" — „ჯაოხ" — „ტაოხ"-თან ერთად, „მცხ" — „მსხ" — „მოსხ" — „მესხ"-თა შტოს წარმოადგენს. „ხოლო შვლთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, მეორესა **ოძრაკოს**, მესამესა ჯავახოს. გაბუყო მათ ქვეყანა და ნათესავი მათი ყოველი: **ოძრკოსს** მისცა ტასისკარით-გან ვიდრე ზღვამდე სპერისა, ქვეყანა კლდოვანი. ამან **ოძრკოს** აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, **ოძრკე** და თუხარისი" etc., —აი რას ვკითხულობთ ლეონტის თხზულებაში[1]. ერთი სიტყვით, **ოძრკოსის** ქვეყანა, რომელშიც ქალაქი **ოძრკე** აშენებული იყო და შემდეგ **ვარძიაც** ცნობილი გახდა, ტასისკარით-გან (ე. ი. ტაშისკარით-გან ანუ ბორჯომის ხეობის შესავლიდან) სპერის ზღვამდე (ე. ი. შავ ზღვამდე) იყო გადაჭიმული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს იმასაც ნიშნავს, რომ „ორძენე" — „ხორძენე"-ს ქვეყანა, რომელშიც მდებარეობდა „ოძრკე" და „ვარძია", იმ ქვეყნად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც სამცხე-მესხეთს ჰფარავს ჯავახეთითა და ტაო-კლარჯეთითურთ[2], უკეთ — ვარ-ძენთა, resp. ბერ-ძენთა ანუ იბერ-ჰანთა ქვეყანად.

ამასთანავე ფრიად დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ქართულ წყაროებში გარკვეულ დრომდე „ვარძია" სრულიად არ იხსენიება, მაშინ როდესაც მათში კარგად ცნობილია „ოძრკე" || „ოძრახე".

ასე, ლეონტი მროველის თხზულებაში ნათქვამია, რომ „ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი... დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყუნიან **ოძრკეს**"[3].

„მატიანე ქართლისაჲ"-ში ნათქვამია: „მეფემან [ბაგრატ] უბოძა [სულას] მამული – ციხისჯუარი, **ოძრკე** ბოდო-კლდითა"[4].

ხოლო თამარ მეფის I ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ როდესაც „შეკრბა კრებული ლეთის მბრძოლი... გარდამოვიდეს მთათა ლიხისათა ამწყუედელნი და ამაოკრებელნი ქართლისანი ... და ჩავიდეს ციხისჯუარს და დაწვეს ქალაქი **ოძრკე**"[5].

---

[1] ქართლის ცხოვრება I, 20.

[2] ს. კაკაბაძის (ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები,—„საისტორიო მოამბე" 1924 წ. № I, გვ. 26) აზრით, „ხორძენე" დაბოლოვებას ენე-ს გამოკლებით გვაძლევს ძირს ხ ო რ ძ; ამ უკანასკნელის პარალელური ფორმას წარმოადგენს სირიული გურზ-ან, რომელსაც ხმარობს უკვე მე-6 საუკუნეში ქრ. შ. ბაქარია რიტორი ქართლის სახელწოდებად ამისდა მიხედვით იგივე ავტორი დაასკვნის: „ხორძ უნდა იყოს ბერძნული დაწერილობის ნიადაგზე ქართული სახელწოდებიდან ქართ—თ-ს გადასვლით ც-ში, რის მაგალითი არის თანამედროვე მეგრულშიც და მეგრულ-ჭანურ (ო) ალმოვანებით—წარმოებული ქართ || ქორთ || ქორც || ჭოჩ. უკანასკნელი ფორმის პარალელური არის სტრაბონის ხორძ-ენ-ე და ბაქარია რიტორის გურზ-ან. საყურადღებოა, რომ სტრაბონს ეს სახელი ნახმარი აქვს მეგრულ-ჭანურ ალმოვანებით—ხორძ, რაც წარმოადგენს თანამედროვე მეგრულში არსებულ ქართ-ს—ქართველის სახელწოდების პარალელურ ფორმას. ხორძ-ენე ამიტომაც უნდა ნიშნავდეს ქართუების ანუ ქართველების ქვეყანას – ქართლს".

[3] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამ., 165=ქ. ც. I, ბ რ ო ს ე ს გამ., 149.

[4] ქ. ც., თ ა ყ., 267=ქ. ც. ბ რ ო ს., 228.

[5] ქ. ც., თ ა ყ., 437=ქ. ც., ბ რ ო ს., 294.

ყველა ეს ცნობები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რამდენად სახიფათოა „ოძრკე" || „ოძრახე"-ს იდენტიფიკაცია „ოცხე"-ს ანუ აწინდელ აბასთუმანთან, მით უმეტეს, რომ ლეონტი მროველი პირდაპირ მიგვითითებს, რომ ის ერისთავთა **საზამთრო სადგომად** ყოფილა, ხოლო თამარის ისტორიკოსის თანახმად იგი ცახისჯვარს იქით, ჯავახეთს ახლოს მდებარე პუნქტად არის ნაგულისხმევი. ხოლო ბოდოკლდე, რასაკვირველია, აბასთუმნის მიდამოებში მდებარე პუნქტია მესხეთში.

ამიტომაც ჩვენ გვგონია, რომ, რადგანაც „ხორძენე", „ოძრკე" და „ვარძია" ლინგვისტიურად სავსებით ჰფარავენ ერთმანეთს, შესაძლებელია, რომ ოძრკე-ც ითარცა **საზამთრო სადგომი**, სწორედ ვარძიას ჰფარავდეს; ხორძენე კი იმ ქვეყნის სახელწოდებაა, რომლის ცენტრი ოძრკე-ვარძიაში იყო.

* * *

ამისდა მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია ყველა ზემონათქვამი შემდეგნაირად შევაჯამოთ:

1) საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში რამდენიმე ისეთი მაგალითია, რომელთა გაგებაც მხოლოდ-და-მხოლოდ არა-პრეფიქსალური წინნართი ჰ'აესი და ხ'ანის ბგერინაცვლობის ნიადაგზე შეიძლება.

2) ასეთ სახელწოდებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ხუნანი" და „ვარძია" (შდრ. „ხანძთა"-ც), რომელთაგან პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხ'ანიანი სახეა იმ სახელწოდებისა, რომელიც სომხურ საისტორიო მწერლობაში „ჰნარაკერტ"—„ჰუნარაკერტ"—„ჰონარაკერტ"-ადაა ცნობილი, მეორე-კი ერთი სახეა სხვადასხვა ცნებათა აღმნიშვნელი და ერთმანეთთან მონათესავე იმ სახელწოდებებისა, რომელთა რიგში შედიან, ერთის მხრივ, ვიწრო მნიშვნელობის მქონე ანუ ადგილის (პუნქტის) მაჩვენებელი სახელი „ოძრახე"—„ოძრკე" და „ვარძია" („ვარძუნიქ"), და მეორეს მხრივ—ფართო მნიშვნელობის მქონე ანუ ქვეყნის მაჩვენებელი სახელი „ორძიანე"—„ორძიანენე"—*„ჰორძენე"—„ხორძენე"—„ხორძიანე"—„ხორძიანენე"; მაშასადამე, შემთხვევითი მოვლენით არ უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ორივე სახელწოდების ეტიმოლოგიაზე საუბარი ჩვენ ერთს წერილში გვაქვს მოქცეული.

3) ამ ორ სახელწოდებათაგან ერთმანეთს ტერიტორიალურად და, ამასთან ერთად, ენობრივ-ფონეტიკურად ჰფარავს მარტო პირველი, ე. ი. „ხუნანი" („ქუნანაკერტ") და „ჰნარაკერტ"—„ჰუნარაკერტ"—„ჰონარაკერტ"-ი; „ორძიანე"—„ორძიანენე"—*„ჰორძენე"—„ხორძენე"—„ხორძიანე"—„ხორძიანენე"-კი ერთმანეთს ჰფარავენ მხოლოდ სახელწოდების გენეზისით, ისევე, როგორც „ანძით"—„ანძიტა"—„ანძიტენე"—„ჰანძით"—„ხანძიტ"—„ხანძთა" ერთმანეთს.

4) კერძოდ აღებული, „ხუნანი" ჰნიშნავს ჰუნთა ანუ ჰონთა ბინადრობის ადგილს გინა ქალაქს, ხოლო „ვარძია"—„ოძრკე" ანუ, რაც იგივეა, „ხორძენე" ← „ხორძიანენე" მომდინარეობს nomen gentile-ს „ბარ"—„ვარ" || „ბერ"—„ვერ"+„ძენ" || „ჰან-ისაგან და ჰნიშნავს „ბერ-ძენთა" ანუ „იბერ-ჯანთა" ბინადრობის ადგილს—ქვეყანასა და ქალაქსაც.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

ი. მეგრელიძე

დიდოურ-ქართულ ენობრივ ურთიერთობიდან

I. დიდოური ენის ურთიერთობა ქართულთან მრავალმხრივაა საყურადღებო, მაგრამ ჯერჯერობით ლექსიკის გარკვეულ რიგს ვიღებთ და მათ ურთიერთობას ვარჩევთ შესაფერ ქართულს რიგთან შეფარდებით. დიდოებს არც მწერლობა აქვთ და არც მრავალ რიცხოვნები არიან, მაგრამ აქვთ თავისი საკუთარი ენა, და მრავალფეროვანია იგი.

დიდოები თავის თავს დიდოებს არ უწოდებენ. ისინი ამბობენ ცეზები ვართო და ქართველების მიერ დიდოებად წოდებულებს ლიტერატურაშიც დაუმკვიდრდათ სახელწოდება დიდო, ნაცვლად ცეზი-სა. ქართულ მწერლობაში და ცოცხალ მეტყველებაში მათ დიდებსაც უწოდებენ დაენას დიდურს, ნაცვლად დიდოებისა და დიდოურისა. დიდოეთი მოთავსებულია სსრ ავტ. დაღესტანში და უკავია შაურის რაიონი. აქაც შაური სახელწოდება არაა დიდოური—იგი ავარულია; დიდოები კაიტლის უწოდებენ. შაურის რაიონი მდებარეობს საქართველოდან ყვარელისა და თელავის რაიონების ჩრდილოეთით, კავკასიის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. საქართველოდან დიდოეთს სამგზავროდ ყველაზე უკეთესი გზა არის ყადორის (კოდორი) უღელტეხილით. ეს ყველაზე უფრო კარგი გზაც ცუდი გადასასვლელია ალმართებისა და გზის გაუთხრელობის გამო.

ა. შაურის რაიონი შედგება სულ 8 სასოფლო საბჭოსაგან[1], რასაც უკავია 77.790 ჰექტარი ფართობი; დასახლებული 6690 (1482 კომლი) მცხოვრებით. ამას გარდა, დიდოების ერთი სოფელი შაურის მოსაზღვრე წუმადის რაიონშია[2]. მასში სოფელი ქუშათი დასახლებულია 507 მცხოვრები (117 კომლი) დიდოთი, ე. ი. დიდოურს ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 7197 არ აღემატება.

---

[1] ესენია: კაიტლი (შაური), 2. შატლი, 3. ჭიდირო (ამბობენ (ჭიდირი)-საც). 4. შაფიხი, 5. ასაკ, 6. მოყოყი (ავარ. კაკაბს ნიშნავს, დიდოები ნეო-ს უწოდებენ მოყოყს). 7. თლოცხო (ავარ. თლაცუტა) და 8. საჰდა დიდოურად სოტლო-ს ეძახიან. ყველა ამათში 42 აული შედის.

[2] 1930 წლამდე წუმადის და შაურის რაიონები გაერთიანებული იყო—წუმადისაში.

მათში, მათ ენაზე ვმუშაობდი 1933 წლ. აგვისტოში „საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის“ მივლინებით. ეხლა-ხან დიდოეთში არსებობს 24 პირველდაწყებითი სკოლა, მაგრამ მათში მხოლოდ 2 მესამე ჯგუფია; დანარჩენები პირველი და მეორე ჯგუფებია. ასწავლიან ავარულს ენაზე. დიდოებმა ავარული იმდენად იციან, რომ მოზრდილებს შეუძლიათ მით ურთიერთობა იქონიონ სხვებ მასზე მოსაუბრეებთან. მოწაფეებს კი არ გაეგებათ იგი, და ეს ითვლება დიდ დამაბრკოლებელ მიზეზად მათი სკოლაში ნაკლები მიღწევებისა.

ბ. აგრეთვე გაჭირებით ლაპარაკობენ ქართულადაც. ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობა ახერხებს მცირე პრაქტიკულ საჭიროებისათვის აზრის გადმოცემას. მათი ქართული ენა ძლიერ მოკლებულია ყოველგვარ სისრულეს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათ ესმით იგი.

საინტერესოა ის, რომ ქართულ საუბრისას ქართულ სიტყვებში ძ და ჯ არ აქვთ და მათ ცვლიან ზ და ჟ-თი; ეს ისე, როგორც ინგილოურში[1]. ძ და ჯ იშვიათად გვხვდება თვით დიდოურს ენაში; უკეთ—თითქმის არ არსებობს დიდოსათვის ეს ბგერები, მაგრამ მათ გააჩნიათ რიგი ბგერებისა, რომლებიც ქართულმა სულ არ იცის, ან იყო მასში და გადაგვარდა. სახელდობრ, დიდოებს ქართულ ენაში შემონახული აქვთ პ, ქ და ღ. განსაკუთრებ პ-ს მშვენივრად გამოთქვამენ და ხმარობენ ქართულის მხოლოდ იმ სიტყვებში, რომლებშიც იგი ძველ ფეოდალურ სამწერლობო ქართულით ან ქართულის ცოცხალ კილოებით მოულწევია ჩვენამდის. ამას გარდა, სხვა მოვლენებიც გხვდება დიდოურში, ასევე გადანაცხოვრები ახალ ქართულისათვის, მაგრამ ძველში არსებული,—რაც ერთის მხრივ მიგვითითებს იმაზე, რომ დიდოებმა ქართული უფრო ძველთაგან იცოდენ და არა ბოლო რამდენიმე თაობას შეუსწავლია კახეთთან ურთიერთობის გზით. ეს რომ ავრე არ იყოს, მაშინ დიდოების ქართულ საუბარში არ იქნებოდა შემონახული ის მოვლენები, რაც ძველი ქართულისათვის თუ არა, საშვალოსათვის მაინც რუეგაში მოსულია და ახალში გადავარდა კიდეც. მეტადრე რომ ეს შემოუნახავს უმწერლობო ენას[2].

---

[1] მ. ჯანაშვილი: საინგილო, („ძველი საქართველო“, საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების კრებული, ტ. II, ტფილისი 1913 წ. განყ IV), გვ. 2 ნ. ეს დამახასიათებელია ზოგიერთ თუშურ ქართულზე მოსაუბრე რაიონებისათვისაც და ზოგიერთი სომხური კილოებისათვის ლიტერატურულის მიმართ.

[2] დიდოების ქართული საუბარი ძლიერ ახლოს არის გარე-კ-ხეთთან და ბშირად მეორდება შიგ ისეთი მოვლენები, რაც ხსენებულისათვის დამახასიათებლად არის აღნიშნული. ხტ კრპლექსი მარტივდება და რჩება ტ. ან თავში ემატება ი, და ს იცვლება შ-თ (მაგ. 'სტოლი'→ტოლი ან იშტოლი, 'სტაქანი' ტაქანი ან იშტაქანი. ასევე შტ, 'შტი' → შუტი ან შუშთი, თანხმოვანთ ჯგუფში „სვამენ“ „თანხმოვანთ-გასაყარს“, მაგრამ როცა იშტოლი იხმარება სტოლის მაგიერ, ალარ ისმის შტ-ს შორის ხმოვანი.

თანხმოვანთ ჯგუფში ჩნდება ი ან ო მაგ:

გზა→გიზა
თბა→თიბა
თეთრი→თეთირი
ცეხნი→ციხენი
ცხვარი→ციხვარი
ძმა→ხიმა
წყარო→წიყარო
წრე→წირე

მსუყე→მოსუყე
ქსოვილი→ქოსოვილი ან ჭისოვილი
ღმერთი→ღიმერთი ან ღომერთი
ღრუბელი→ღორუბელი
ღრუ→ღორჯ
ძრობა→ხორობა
ხმა→ხომა და სხვ.

გ. დიდოურის უმწერლობა არ სპობს საშუალებას, რომ მასში გაირჩეს ენობრივი სხვადასხვა ფენები. მით უფრო მას შემდეგ, რაც ენაზე ახალი მოძღვრებით (იაფეტიდოლოგიით) გამონახულია საამისო ხერხები და დადგენილია, რომ არ არსებობს „წმინდა“[1] ენა ერთი მასალისაგან ნაშენი, და არ არსებობს ენა, რომელსაც არ გაევლოს ის საერთო გზა, რომელიც დასახულია მისი აღმოცენების და განვითარების სხვადასხვა საფეხურებისათვის. ურთიერთობა მთლიანი გლოტოგონიური პროცესის ნიადაგზე, რომლის სხვადასხვა საფეხურზე დგას ტიპოლოგიურად განსხვავებული ენები. თითოეულში განსხვავებული ნიშნები, რომელიმე მიმართულებით უფრო განვითარებული და მისი სპეციფიურობის მაჩვენებელი მეორესთან შედარებით. ეს მეტადრე ეხლა, როცა ენაზე ახალი სწავლებით (იაფეტიდოლოგიით) დადგენილია მონისტური თვალსაზრისი ენის წარმოშობაზე.

არც ის ამბავი არის ახალი, რომ დიდოური არის ერთ-ერთი იაფეტური სისტემის ენა და გარკვეულ დამოკიდებულებაშია სხვა ამავე სისტემის ენებთან. ეს უკვე მოცემულია ახალი ენათმეცნიერების, მარქსისტული ლინგვისტიკის საფუძვლმდებლის მიერ არა ნავარაუდებად, დაშვებით, არამედ დაღესტანში სამხელ მოგზაურობის და იქაურ მკვიდრთა ენებზე უშუალოდ მუშაობის შემდეგ[2].

ეს ენა გარდა იმისა, რომ ხასიათდება ბგერათა შედგენილობის უფრო სრული და რთული მწკრივებით, და დგას ქართულზე შედარებით უფრო ძველს საფეხურზე, შესანიშნავია იმითაც, რომ შემოუნახავს სახეობითი აზროვნების რთული ფორმები, რაც ქართულში მხოლოდ პალეონტოლოგიური გზით გვევლინება ღრმა ჩაკვირვებისა და ჩაღრმაებული კვლევის შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართულისათვის არ იყოს დამახასიათებელი სახეობითი აზროვნება, მაგრამ იგი უფრო გარდამავალ საფეხურზე დგას ამ მხრივ და მასში ზოგიერთ მწკრივებში ჭარბობს აზროვნების ლოგიკური ფორმები.

დ. თავად დიდოური ენა არ წარმოადგენს ისეთ სიმკვრივეს, რომ ყოველი ერთი ენობრივი მოვლენა—ყოველ დიდოსთვის ერთი-და-იგივე იყოს. იგი კილოურად მრავალფეროვანია და მათ შორის ისეთი სხვაობებია, რომ ერთი კილო რომელიმე ნიშნის მიხედვით უფრო ახლოს დგას სხვა მეზობელ ენებთან, ვიდრე თვით დიდოურის მეორე კილოსთან. ამ მხრივ ძლიერ განსხვავებულია საერთო დიდოურისაგან საჰადჟური[3], შემდეგ სოფლებს შორის—ასაკის და შაიტლის, ხუპრის, ქიდირის და მოყოყის (დიდინეთ). სხვაობანი ერთი-და-იგივე ელემენტის ორგვარი გაგების საკითხს სვამენ ისეთ ბგერათა შესატყვისობებზე, რაც თავისთავად შედეგია მისი სხვაგვარი

---

[1] ამის შესახებ ქართულ პრესაშიც კი წერდა ნიკო მარრი, იხ. მისი „ნაპერწკლები და შენიშვნები იაფეტური თეორიის შესახებ“ (მნათობი № 5, 1924 წ.), გვ. 234.

[2] ნ. Марри, Неочатый источник истории Кавказского мира (Из третьей лингвистической поездки в Дагестан 24 дек.—12 янв.), დაიბეჭდა ИАН 1917 წ. გვ. 307—338

[3] დიდ. სოტლო.

საზოგადოებრივი ფუნქციის[1], რომ ფორმალისტ ენათმეცნიერის ხელში გახდებოდა საბაბად, ბგერათ გადასვლაზე დასაწერ ცალკეულ ტომების, უბრალოდ—ბგერათა შესატყვისობის. მსგავსად იმისა ბგერათა კომპლექსის" და მისი ბუნების თვალსაზრისით ქართულში **ნაბშირია** უფრო სწორი თუ **ნაშხირი**? თავისდათავად ასეთი ცდები საჭიროა ელემენტობრივ განხილვისათვისაც, რათა ელემენტის სრული სახე იქნეს გაგებული, მხოლოდ ბგერათა კომპლექსის წყობის დასადგენად და მისგან არ არსებული პრაენის პრაფორმების დადგენისათვის ფონეტიკური კანონების დადგენა უნაყოფო შრომაა. დიდოურის კილოური განსხვავებისათვის მოვიგონოთ რამდენიმე მაგალითი დიდოეთის ორ სოფელს შორის აღნიშნული; სიტყვები ერთი-და-იმავე მნიშვნელობისანი:

		ქიმეშო[2]		შაიტლი
ალჯრ	resp.	ალვირ	'წისქვილი'	ალურ
ქეკქ	=	ქეკჩი/ჯ	'კაცი'	ქეკუ
ღვთქუ	=	ღვითქუ	'სახლი'	ღუთქუ
კჯნ	=	კჩინ	'ბოსელი'	კუნ

ე. ი. უ ← ური/ჯ ~ გ (|| [ვი]), მოვლენა, რაც ძველ-ფეოდალურ სამწერლობო ქართულისათვისაც არ არის უცხო და სვამს საკითხს დიდ. ალურ 'წისქვილი' ორ ელემენტიანია <ა-ლურ> თუ მისი პარალელური ფორმის <ა-ლჯრ> resp. <ალვირ> მიხედვით სამიანი—ა-ლ-ვირ, ან კუნ ბოსელი ერთი ელემენტია თუ ორი კ-ჯინ? ასევეა სხვა დანარჩენი შესაფერისი შემოხვევები, როგორც დიდოურის, ისე ქართულის. მაგ: ძვ. ქ. წჯმა ახ. ქ. წვიმა და გურ. წუმა; ღჯნო, ღვინო და ღუნო. ქართულში ვიცით ეხლა რომელი—რომლიდან არის, მაგრამ დიდოურში იგი ჯერ კიდევ საძებნელია.

0. მეორეს მხრივ დიდოური, როგორც უმწერლობო ენა, საინტერესოა მით რომ მას გააჩნია სალიტერატურო ენა—ზეპირსიტყვიერებისა, რომელშიც იპოვება რიგი გადანაცხოვრებ ენობრივ ნაშენობისა და სიტყვებისა. ენა ზე ახალი მოძღვრებით (იაფეტიდოლოგიით) ესეც დადგენილია და არის დამახასიათებელი არა მარტო დიდოურისათვის, არამედ სხვა მის ბედში მყოფთათვისაც, ოღონდ სხვადასხვა ენებში იგი სხვადასხვა ოდენობით გვხვდება. დიდოური ხალხური შემოქმედება: ზღაპრები, იგავები, გადმოცემები, განსაკუთრებით ლექსები, სიმღერები და სხვა მისთანანი, იძლევა ენას შედარებით სხვა ნაშენობისას (და მიშასადამე მასში ჩანს როლი სხვა სოციალური ჯგუფისა), ვიდრე ახლანდელი საიტყველო დიდოური. რადგან ეს აქ საუბრის სპეციალურ თემას არ წარმოადგენს და უფრო ვეხებით ლექსიკას, აქაც განვისაზღვროთ რამდენიმე მაგალითით ლექსიკიდან.

დიდოური <კვარიდოხნო> 'დალონებული', 'მოწყენილი', 'დაფიქრებული', ეხლა მხოლოდ მხატვრულ ზეპირსიტყვაობაში გხვდება და ცალკე აღებულს ველარ გებულობენ. დიდოური ენა ამ ცნებას კი არ მოკლებია, მაგრამ

---

[1] ნ. მარრი, Язык и мышление (მოსკოვი 1931 წ.), გვ. 21.

[2] ასაკის სოფლის საბჭოში შემავალი აულია. ჭართველები და დიდოები ერთმანეთთან საუბარში ქიმეშოს ხშირად ხმარობენ. დიდოურად (ქიმათლ) ამბობენ.

ცოცხალ სამეტყველო ენას მის გადმოსაცემად გააჩნია მეორე სიტყვა <ქუქუ²>. მაგრამ მასაც უკვე მისტირიან მოხუცები და ლექსებში უფრო შემონახულია, ვინემ ჩვეულებრივ ლაბაპაჭი. უკანასკნელში ჩამდგარს. იხმარება <ოკოკუ²>; ნიშნავს როგორც 'დალონებულს', ისე 'მოკუნტულს', 'წელში მოხრილს'.

ლექსში „უაბა უნთის ყოზი", ვინმე გმირი «სიო»-ერთ ვარიანტში არის <ქუქუ²>. „სიო იმხოთლ ლულუ ქუქუ²" (სიო გამოქვაბულში მოკუნტული დალონებული), მეორეში შეცვლილია „კუკუ²"-თი[1].

აგრეთვე ლექსებში გვხვდება <ჰეგრე>—'აგრე', და ყველას ალარ გაეგება იგი. მის ადგილზე <ჰადუა> იხმარება. ან კიდევ <რეტლუ> და <შეტლუ> 'ტანსაცმელი', დიდოური სიტყვა იკარგება და ადგილს იმავე მნიშვნელობის ავარული <რეტელ> იჭერს,—სტუმარი მაინძელს აძოვებს. ასევე ავარული <ჰაბიკან 'მეწისქვილე' ნაცვლად დიდ. <აღუხან>-ისა 'მეწის ქვილე'. სიმღერებში ჯერ კიდევ, ცოცხლობს <აღუხან>, ჩვეულებრივ საუბარში ნაკლებ იხმარება. 'საქართველო'—სახელი, ეხლა აღინიშნება 'კახეთით', და იგი ნიშნავს მათთვის როგორც კახეთს, ისე მთელს საქართველოს. ქართველი კი იწოდება <კაზაკ>-ად. <კაზაკბი>[2] 'ქართველები', ამავე დროს <კაზაკ> ზოგჯერ ნიშნავ საქართველოსაც, მაგრამ ლექსებში და სიმღერებში თითქმის არც გვხვდება ეს სახელი; მის ადგილზე <ჯილეე>, resp. ვილეე>-ა ყველგან. ხშირად მღერიან ხილეულს მონატრებულები[3] „მუჟმართილერ ბიკან ვილეარ"—ჯუმაზე [პარასკევს] წავალ კახეთს"-ო. ქართველზე კი ლექსშიც <კაზაკ> ამბობენ: „იოდა კაზაკ იგუ იოთლ" (ეს ქართველი კარგია).

II. ამის შემდეგ მივყოთ ხელი, ხელისაგან შექმნილ საგნების სახელწოდებას და ვნახოთ ხელი მის შექმნამდე არსებულ მნიშვნელობაში.

დიდოური ღაბ 'ჭიგო', 'სარი', 'ფორჩხი', მთელის მნიშვნელობის ნაწილზე გადატანით იგივეა, რაც ქართული ღობე—თავისი პირვანდელი მნიშვნელობით. დიდ. ღა-ბ ქართ. ღო-ბე, როგორც პირველში, ისე მეორეში ორივე ელემენტი უსრულოდაა წარმოდგენილი, მაგრამ ორსავე შემთხვევაში მათ სხვადასხვა

---

[1] ჩემი მათქვამი ჰაჯი-მურად მაგამალოღლი (მცხოვრები სოფ. შაიტლის, 42 წლის) განსაკუთრებული მცოდნე გამოდგა ზეპირსიტყვიერებისა და იგი ასეთ გადაწაცხოვრებ სიტყვებზე ეკითხებოდა შემდეგ აბალგაზრდებს. ვერ უპასუხებდენ ხშირად და ჩემგან დამოუკიდებლად თვითონ მეუბნებოდა „ძველი სიტყვა"-აო. მე მისთვის საბაბიც არ მიმიცია, რომ მაინტერესებდა ასეთები, და მიკვირდა ეს. ამიტომ ვამოწმებდი მოხუცებთან და სხვებთან და ჰაჯი-მურადი მართალი გამოდიოდა. მე მისგან დიდად დავალებული ვარ და არ შემიძლია განსაკუთრებული მადლობით არ მოვიხსენიო. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დატვირთული იყო თავისი სამსახურებრივი საქმეებით (შაურის რაიონის მიწა-ტყის განყოფილების გამგედ, პროფკავშირის რწმუნებულად, და სსრ დაღესტნის ცაკის წევრად ითვლებოდა). პოულობდა დროს მრავალი რამ ეამბნა ჩემთვის და გაუგებარი განემარტა. სხვათა შორის, ერთად-ერთი დიდოა, რომელსაც მეუღლედ თუშეთიდან წამოყვანილი ქალი ჰყავს. დიდოეთში და მათ მეზობლად <ჰაჯი-მურადი ალი> ყველამ იცის.

[2] ასახში გვხვდება «კაზახ»-იც.

[3] დიდოეთში ხილი იშვიათია და ხშირად ფიქრობენ კახეთში წასვლაზე ხილისათვის. ბავშვები და ქალები ხილისთვის ოცნებობენ კახეთზე. მამაკაცები თამბაქოსათვის უფრო ილტვიან იქით და ხშირად სპეციალურად მისთვის მიდიან კიდეც. აგრეთვე აქვთ სხვა უფრო დიდი საქმეებიც.

ფორმებში შემონახულია მათი სრული სახე. პირველი ღა || ღო ← ღარ ღორ → ყორ — ქართულშივე ნიშნავს 'ღობეს' — 'ქვის ღობეს' — ყორ-ე, ხევსურეთში 'ქვის კედელს'[1]. ღობე ← კედელი, ერთი-და-იგივე სემანტიკური რიგია და აქ არავითარი დაშორება არ არის მნიშვნელობაში, მაგრამ 'ღობე' და 'კედელი' თავად ნაწილია მთელის და უფრო დიდი ცნებიდანაა, სახელდობრ ის ფართოვდება და მიდის 'მთამდე', 'მხარემდე', 'კლდემდე', 'ცამდე' — ზღვამდე და მათ მწკრივებამდე თითოეულის ჩათვლით.

ყორე ფუნქციონალური სემანტიკით კავშირშია ყოველგვარ ზღუდესთან, მთელთან, ან მთელის ნაწილებით ერთი-მეორესთან. ამ მხრივ იგი კავშირშია ღარდა-სა და ქალტა-სთანაც. გურ. ღარ-და 'ხრამი', 'ჩაშვავებული ღელე მცენარეებით ჩაბნელებული' და ქალ-ტა 'მემოღობილი, შემომკედლული ადგილი პირუტყვთა შესარეკი'. ღობის, როგორც ზღვარის, მნიშვნელობას ატარებდა წყალიც და ყორ ← ღორ || ღერ, იაფეტური ენების სპირანტული ჯგუფის დამახასიათებელ ხმოვანთა (ე) და ჭ ← ღ-ით არის მდინარე. ქ. **ლელე** 'პატარა მდინარე', მაგრამ პატარა, რომ დაჰყვება ამ **ლელეს** წყლის, მდინარის მნიშვნელობაში იგი ძველთაგან იყო?!

ენისა და აზროვნების განვითარების შესახებ ახალი მოძღვრება (იაფეტიდოლოგია) ამტკიცებს, რომ ასეთ დიფერენციაციას ადგილი არ ჰქონებია; მთელი და ნაწილი ერთი-და-იგივე სიტყვით აღინიშნებოდა და უფრო ადრე იყო მრავლობითი რიცხვი, მთლიანი ალქმა საგნის, ვიდრე მისი ნაწილების. აკად. ნ. მარრის სიტყვებით რომ ვთქვათ: „როცა ენაში სრულიად არ იყო მრავლობითი რიცხვის ფორმები, საგანზე წარმოდგენა იყო მრავლობითი, როგორც არა ერთი 'კენჭი', არა ერთი 'თმა', არა ერთი 'მტვერუნა', და ა. შ. არამედ საერთოდ 'კენჭები', 'თმები', 'მტვერი', ისე, როგორც არა ერთი 'ხე', არამედ 'ხეები', არა 'ადამიანი', არამედ 'ადამიანები'; უფრო კონკრეტულად 'ტომი' ან 'გვარი'"[2], რის ნაწილებად ალქმა შემდეგ მოხდა.

კიდევ მეტი, სრულიად საწინააღმდეგო ცნებები: 'სიბნელე' და 'სინათლე', 'მთვარე' და 'მზე', 'დღე' და 'ღამე', 'ზამთარი' და 'ზაფხული', 'სიცხე' და 'სიცივე'[3], 'თავი', 'დასაწყისი' და 'ბოლო', 'კუდი', 'ცეცხლი' და 'წყალი', 'თეთრი' და 'შავი', 'ზევით' და 'ქვევით'[4] და ასეთი მოწინააღმდეგე ცნებები გამოვიდა შინაგან წინააღმდეგობით ერთი მთლიანობიდან. აღინიშნებოდა ერთი-და-იგივე სიტყვებით და მათი დიფერენციაცია შემდეგი, უფრო გვიანდელი დროის მოვ-

[1] „აფხაზური მასალები" ბ. გაბუნიას მიერ შეკრებილი პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ (ქართული საენათმეცნიერო საზ-ის „წელიწდეული" ტ. I—II. ტფილისი 1924 წელი), გვ. 309.

[2] ნ. მარრი, Происхождение терминов 'книга' и 'письмо' в освещении яфетической теории („Книга о книге" — ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკასთან არსებული წიგნთმცოდნეობის ინსტიტუტის გამოცემა, ლენინგრადი, 1927 წ.), გვ. 55.

[3] ნ. მარრი, Язык и современность (Изв. ГАИМК, გამოშვება 60, ლენინგრადი—1932 წ.), გვ. 71.

[4] მისივე, Язык и мышление, გვ. 14. აგრეთვე К семантической палеонтологии в языках не-яфетических систем (Изв. ГАИМК, ტ. VII, გამ. 7—8. ლენინგრადი 1931 წ.), გვ. 11.

ლენაა. ხსენებული ღელე კი არ ნიშნავდა მარტო პატარა წყალს, არამედ ყოველგვარ დიდ წყლებსაც, 'ზღვას' და 'მიწას' — 'ცას', ქართ. **ღელე** ჭ. **ღალ-ი**[1], დიდ. ქერ-უ 'ღელე', 'მდინარე' ნიშნავდა არა მარტო მდინარეს[2], არამედ ნიშნავდა ყოველგვარ 'წყალს', 'წყაროს'[3], 'ტბას' და 'ზღვას', წყალს, როგორც ერთ წვეთს, ისე მთელ ზღვას.

ღარ || ღურ ~ გურ შემონახულია ტოპონიმიკურ სახელწოდებაში **ენგურ**, მდინარე სამეგრელოში და დიდ **ჭურ-უ** 'მდინარე', 'ხევი' საერთოდ, და კერძოდ **ახაკ**-ში სახელია გურგია და სხვ. აკად. ნ. მარრის მიერ მათთან კავშირში განხილული მრავალი სახელწოდებები. დიდ. **ქერ-უ** იგივეა, რაც ქ. **ღელ-ე, ღალ-ი; კ → გ → ჭ/ჯ-უ → ღ → ხ** ქ. **ღელე** დ. **ჭერუე**, — ღ ~ ჭ. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ენის შესახებ ახალი მოძღვრებით 'წყალი' და 'თევზი' — ატარებდა ერთ-და-იმავე სახელწოდებას, მაშინ ადვილი გასაგებია, რომ ქართული **ღორჯო** 'თევზის ერთი ჯიში' წყლიდანაა, და ცალკე **ღორ → ღურ — ღელ** იშნავდა წყალს ისევე, როგორც **ჯო** (← **ღორ — ჯორ**). **ჯო ~ ჯორ ← ჯურ** ხომხ. 'წყალი' (ჯուր, ჯურ) 'წყალი' და 'ხევი' პალეონტოლოგიურად ერთი-დაიგივეა სომხურშიც — ჯურ 'წყალი', **ჯ || ძ, უ ← ო**, ძორ (ձոր) 'ხევი', 'ხრამი' თუ 'თევზი', სრულად **ძუ-კნ** (ձուկն) 'თევზი'[4]

ასევეა დ. **ბესურო** (მრ. **ბესურობი**, მე-3 კლასის სიტყვაა)[5] 'თევზი', 'კალმახი'. მათ სხვა თევზი არ იციან, რადგან დიდოეთის მდინარეებში მხოლოდ კალმახები იცის. იგი ამავე დროს ნიშნავს საზოგადოდ ყოველგვარ თევზს, ისე, როგორც სვანეთში კალმახი იცის ყველაზე უფრო და 'კალმახი' ჰქვია როგორც კალმახს, ისე ყოველგვარ სხვა თევზს[6]. დ. ბესურო, რადგან თევზია, პირველად მაინც ყოველგვარი თევზის სახელი იქნებოდა. ა. სტარჩევსკი დიდოურში ალნიშნავს ბესჲურო-ს (бесюро)[7]; ამ ფორმით არ შეგვხვედრია,

---

[1] ნ. მარრი და ი. სმირნოვი, Вышапы („Труды" ГАИМК, ტ. I. ლენინგრადი—1931 წ.), გვ. 37. აგრეთვე ნ. მარრის Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем.—МИЯ, ტ. II. პეტერბურგი, გვ. 200.

[2] მარრი Происхождение американского человека („Восточный сборник", ტ. I) გვ. 185.

[3] მისივე — „origine japhétique de la langue basque, (Notice préliminaire redigée conformément à l'état actuel de dévelloppement de la théorie novelle). „Язык и литература" ტ. I, ლენინგრადი 1926 წ. გვ. 228.

[4] ნ. მარრი, Яфетическая теория, ბაქო 1928 წ. გვერდი 61. აგრეთვე მისივე, Китайский язык и палеонтология речи... IV. 'Рыба' → 'вода' — ДАН. 1926 წ. გვ. 109—112, და „Первая яфетическая экспедиция по обследованию марриев", ლენინგრადი 1930 წ., გვ. 17.

[5] ჩვენ მიერ ნახსენები იქნება კლასი — მხოლობითი რიცხვისათვის; მრავლობითისათვის კლასს არსად არ აღვნიშნავთ, რადგან დიდოურში ყოველი სიტყვა მრავლობით რიცხვში არის მე-4 კლასის. აგრეთვე ზოგიერთი მხოლობითშიც ეტმასნება ამ კლასს. პირველ კლასში შედის უმთავრესად „მამრი" სიტყვები, მეორეში „მდედრი", მესამეში „ცხოველები", „მცენარეები" და „ნივთები", მაგრამ ის შედარებითია, რადგან მათგან ზოგი სიტყვა მოდის პირველ ან მეორე კლასში და პირველ-მეორეში რომ უნდა იყოს, გამოდის მესამეში.

[6] ხსენებული Вишапы, გვ. 19.

[7] ა. სტარჩევსკის შედგენილი „Кавказский толмач", სან.-პეტერბურგი 1891 წ., გვ. 464.

მაგრამ ასეც რომ იყოს, ხელს არ გვიშლის. ასევე მისი მეორე სახე ბესიერ-კაპუჭული ბისა (შრავ. ბისა). ხმოვნების ეს მონაცვლეობა ელემენტს არ ცვლის, სულ ერთია, რომელი ფორმაც არ უნდა იყოს. ბე-სურ-ო—ბე-სირ-უ, ბე<ბერ<მერ—მურ (←მორ) 'წყალი', 'ზღვა' და სურ—სირ იგივეა. თურქ. სუ, ბასკ. ჰურ—შურ, ჩუვაშ. **შურ** 'წყალი'[2]. მეორეს შესახელწოდება და არსება 'თევზი', როგორც კეცების საშუალება უკავშირდება მთელ რიგს მცენარეებისას და ცხოველებს, აგრეთვე მათვე და ფრინველების მნათობებს და სხვათა, როგორც ტოტემი, მაგრამ ამ მიმართულებით აქ არ მივდივართ.

სურ 'წყალი' შეკვეცით შერჩენია სახელებს **ზღვა, ზღვარი** და სხვათა. ისინიც, როგორც საზღვარი, იგივე **ღობეა** (ღობე←კლდე→კედელი←მთა) და წყალი (**ზღვა, ტბა, მდინარე**) არ გაურბიან ერთმანეთს დიდ. იზღოთი (შდრ. იზღობი, 4 კლ.). 'ზვავი', წამოსული წყალი! მათში **ზღ** კომპლექსი შესაძლოა ერთი დიფუზის დანაწევრებულ სახედ იქნეს მიჩნეული, რის მაგვარიც ხშირია იაფეტური სისტემის ენებში. აქ მოყვანილ სიტყვებში ასეც არჩეულა აკად. ნ. მარრი[3] (ზღ-ვა), მაგრამ ჭანური ზუღა უფრო სვან. **დულ-ე** იძლევა საბაბს ითქვას, რომ **ზ**, **ჲ**, ცალკე ელემენტის გადანაშთია და სვან. დულჳა ჯ. **ზულა** არ არის შედეგი ბგერათა უბრალო გადასმის. დუ-ღ-ვ-არის სამ ელემენტიანი სიტყვა (ANB). მესამეს გამოკლებით AN პატარა მდინარის სახელწოდებად სოფ. **ბახვში** (გურია) **დულ-ღან-ა/ჲ** ელემენტების სისრულით შემონახულა.

ზ უკვე მოხსენებული **ზურ←სურ, ღ←ღურ—ღან || ღან** და **ვა←ვარ—მურ** 'წყალი' თავისი სახენაცვლობით **მურ ↔ მორ—მერ,**[4] რუსული **მორე** და მისი რიგია[5]. ეხლა ასე არჩევს მას მარჭისტული ლინგვისტიკის ამაყვავებელი[6]. **ღუნ** და მისი სახენაცვლების ელემენტი C, როგორც აღნიშნული გვაქვს, 'წყლის', მნიშვნელობით გვხვდება, როგორც A ელემენტიც ღურ || ღარ. იგი ნიშნავდა არა მარტო 'ქვედა ცას'—'წყალს', აგრეთვე 'შუა ცას'—'მიწას—ქვეყანას' და 'ზედა ცას'—'ზეცასაც'; ამიტომ ზ-ღ-ვა ძვ. ლიტ. ქართული **ზ-ღა-ჯა-დან ჯა** და **ვა** (←ვარ) ნიშნავდა 'ქვეყანას', 'მხარეს'; რუსული **мир** (мир) და წყალი **мор-е** (море)[6].—აგრეთვე 'ზეცას', ქ. ღურბელ (resp. ღრუბელი), **ღრუ-ბელ**, ღურბელი და ზეცა, როგორც ერთი სემანტიკური რიგი.

---

[1] ა. მ. დირრის, Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы („Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа"), ტ. XXXX, ტფილისი 1909 წ., გვ. 108.

[2] ნ. მარრი, Из Иренейской Гурии (К вопросу о методе). — Изв. КИАИ. ტ. V. ტფილისი 1927 წ. გვ. 25.

[3] მისივე, Сухум и Туапсе (Известия ГАИМК, ტ. IV, 1925 წ., ლენინგრადი), გვ. 303.

[4] ნ. მარრი, В тупик ли история материальной культуры, Изв. ГАИМК გამოშვ. 67, ლენ. 1933 წ., გვ. 7.

[5] ნ. მარრი, Язык и современность, გვ. 23—27.

[6] მისივე Новый поворот в работе по яфетической теории (Из результатов научной командировки в Германию), (ИАН СССР. 1931 წ.), გვ. 664, და „რა წილი აქვს ქართულს ენის შექმნის და განვითარების საფეხურებში ისტორიაში", ტფილისი 1930 წ., გვ. 14, 21 და 22.

ქ. **მი-წა**[1] დ. **მო-ჩი** 'დღიური', 'საყანე მიწა', ისე როგორც **ღურ-ბელ-ი**[2] თითოეული ელემენტი ცალკე აღებული როგორც წყალს, ისე მიწას, მხარეს და მისგან კედელს→ღობეს ნიშნავს როგორც კედელი, სიმაგრე ფრანგ. მურ (le mur) და ქ. 'მორ-ი', 'ხე', 'მისი ნაჭერი—ჯოხი'. თვით ჯოხი ხელიდანაა და იგივე **მურ** კოსმიურად 'ზეცა', მიკროკოსმიურად ნიშნავს ხელს, და მისგან ყოველგვარ ამ ელემენტის შემცველ იარაღს, რადგან ხელის ფუნქციის შეცვლისას იარაღით პირველის სახელი გადავიდა მეორეზე. იგივე **ხელი** სოციალურად **ქალი** დადგენილი სემანტიკური მწკრივით, **ხელი, ქალი, წყალი**—იძლევა მთელ რიგ ახალ მწკრივს, მაგრამ მისი მიმართულებით აქ ალარ მივდივართ.

წყალი—ღობესთან იმ კავშირშია, რომ პირველი როგორც 'ზღვარი', 'გამომყოფი' და 'დამცველი' უფრო ძველთგან არსებობდა და საჭიროებისას გამოყენებული იყო. ღობე—ქვის (**ყორე**) გინდ ხის, უფრო შემდეგი მოვლენაა. წყალი ფუნქციონალურად უფრო ძველად იყო 'ღობე' და მის ადგილზე ღობის, კედლის მოხმარების შემდეგ პირველის სახელი გადმოვიდა მეორეზე იმ კანონით, რომლითაც თვით საგნების სახელწოდებები იქმნებოდა. „განსაზღვრული სიტყვა იმდენად საგანს არ ალნიშნავდა, რამდენადაც იმ როლს, რომელსაც ეს საგანი ასრულებდა ადამიანის მეურნეობაში[3]. ასევე **ღობე** და **კლდე, კედელი, მთა, ტყე, ხე,** და, სხვ. მთელისაგან ღებულობდა სახელს მთელის ნაწილი და ღობე, სარი—ღობის ნაწილი ერთი-და-იგივე სიტყვით იწოდებოდა. აქედან ქართული ღერი 'ტოტი', 'ცალი' არის 'სარი'[4]. უფრო წინედ **ღერ-ი**→**ხე-ლი**, დიდ. **გირ-ი** ნიშნავს ქართულ 'სარსაც', უფრო 'ლარტყას'. მათი დიფუზურ მდგომარეობაში შემონახული სახე **ჩხერ-გი** ჯოხები, ტოტები და ჩხირი იმავე მწკრივს მიჰყვება.

ამავე **ყორე**-ს უდგება ქ. **კარ-ი**, მაგრამ, როგორც ცნობილია, სანამ **კარ-ი** გახდებოდა 'სახლის კარი', გინდ 'ღობეში გასასვლელი' (ჭის-კარი←ბჭის-კარი, ბჭეს, კედლის, ღობის კარი), მანამ იგი ნიშნავდა 'ქვეყანას' და უფრო გვიან 'მიდამოს', 'ეზოს' და 'ციხეს' სახლითურთ (იხ. ქვემოდ).

სარ-ი როგორც 'ხე', როგორც 'ქალი' და 'წყალი' განხილული აქვს აკად. ნ. მარრს[5], და, როგორც ვაჩვენეთ, მასვე აქვს რიგს ენებში ნაჩვენები 'წყლის აღმნიშვნელად მოხმარებული. მისი სახენაცვალია როგორც სომხური ჯურ 'წყალი', ისე დიდ. თლი[ა] 'წყალი', 'მდინარე', ა↗რ, თლიარ სრული A

---

[1] ივივე „რა წილი აქვს ქართულს...", გვ. 15. აგრეთვე იმავე ავტორის „Суомикарельские и сомех-картие языки (Предварительный отчет) (ДАН СССР, 1930 წ.), გვ. 30.

[2] ნ. მარრი, Новый поворт в работе по яфетической теории (ИАН СССР, 1931 წ.), გვ. 650.

[3] ი. მეშჩანინოვი, იაფეტიდოლოგია და მარქსიზმი, დ. კარბელაშვილის თარგმანი, ტფილისი 1932 წ., გვ. 33. რუსული ორიგინალის (ბაქო 1930 წ.) გვ. 21.

[4] ნ. მარრი, Карфаген и Рим, Fas ú jus (Из яфетической Африки—Берберии), Сообщения ГАИМК, ტ. II, გვ 376 და 394.

[5] Ibid. გვ. 406.

ელემენტი შემოუნახავს ავარულს, რომელშიც თ͡ლარ[1] ნიშნავს — წყალს', 'ხევის წყალს', დ. თ͡ლირ — ავ. თ͡ლარ ერთი-და-იგივეა, და მათი ლი დიფუზი **თ͡ლ** არის უფრო ძველი შესატყვისი იმავ ქართული ამავე დროს 'ხის' მნიშვნელობით იგი გვაქვს ქ. **ტარ-ის** სახით 'იარალის ტ 'ხელი'. ტარ გაჟღერებული თანხმოვანით დარ — დერ ↘ ძელ ძვ. ქარ ნიშნავს 'ხეს' → 'ფიცარს'. ოღონდ ეს უფრო ვიწრო მნიშვნელობა მა ახალ ქართულში, უფრო ძველში ფეოდალურ ქართულს სამწერლ ენაში დადგენილია — 'ყოველგვარი ხის', საერთოდ მცენარის მნიშვნელობ ძელ ↘ დელ შედის მისსავე სემანტიკურ რიგის ქართულ კედელში. კე-დელ- ისავე შემადგენლობისაა დიდ. კიდო (მრ. კიდობი, 3 კლ-) *კი-დოლ 'კედელი' პირველი კი დიდ. სრული სახით კალ (მრ. კალ-მი-ბი, 3 კლ.) ნიშნავს 'ხეს', 'შეშას'. მეორეს მხრივ იგივე გვაქვს კვლავ იმავ დიდოურში, **ჭერ-უ** 'ხევი', 'წყალი' ← 'წყალი' || 'მდინარე' და **ყილ** 'ფიცარი', 'ლარტყა', 'ჯოხი' და 'იატაკი'. **ჭერ** (ქ ↖ ყ, ყ → ღ → ხ ↘ ქ) — ყირ ↗ ჭ. **ღალ-ი**, ქ. **ღელ-ე** 'წყალი' არის ის საწყისი, საიდანაც არის ქ. **ღარ-ი**, **წყლის ღარი**, როგორც წისქვილზე, ისე წყაროზე, და იგი არის იმისაგან, რომ ქ. **ღარვა** ნიშნავს ხაზების დასმას. **დაღარა** ღარები გაუკეთა', ხაზები დაუსვა! ღარ-ი იმიდან კი არაა, რომ იგი ღარ დასმულია, არამედ პირიქით **ღარი** არის 'წყალი' 'ხელ'იდან და სანამ **ღარი** აღნიშნავდა ეხლანდელ **ღარს**, წყლის გადასასვლელს, მანამ იგი ნიშნავდა 'წყალს' და 'ხელს'.

იგივე წყლის, კედლის, კავშირით ღობესთან მოდის ახსნაში ფშაური გურაბი[2] 'მორევი', და ქ. ორმო; გურ-ა-ბ-ი პირველი იგივე ელემენტის შემცველი **ორ+მო** ← **მორ+მო** და ღრმა ← *ღურ-მა[3]; **ორმო** — რომელსა იყენებდენ ღობედ, კედლად და ეხლაც ავლებენ საჭიროების ადგილზე საყანეებს. ფუნქციონალურად მას ეს მნიშვნელობა მარტო ეხლა არა აქვს. იგი სახლიც იყო, მას გარდა კედელიც=ეს ქ. კე+დელ-ი მოხსენებული დიდ. კი+დო, დირრის აღნიშვნით ჭიდო[4] და აქვე ავაროული **ყედ** 'კედელი' ქართულ კედელთან მასვე (ა. დირრს) აქვს მოხსენებული[5]; რაკი ეს ყველა კედელს ნიშნავდა, ამავე დროს იგი ნიშნავდა მხარესაც, რაც მართლაც გვაქვს ქ. **კედარ-ო-ში**. კე+დარ+ო 'მხარე' ნიშნავს ქვეყანას, და კე-დელ **'სახლსაც'**, **'მთასაც'** და მის დერივატებს. რამდენადაც არ უნდა ვეცადოთ მორს არ წასვლა, აქ გაჩერება შეუძლებელია, რადგან **მთის** მნიშვნელობა მას ჰქონდა კედელზე უფრო ადრე. იგივე **მთა** და **კლდე** — კედელი იყო. პირველი ელემენტი **კლ** (კლ-დე) ხმოვანით არის ხევსურულში, საცა **კილ**-დე ნიშნავს 'კლდეს'[6]. სომ.

---

[1] ავაროული ა. სტარჩევსკის განმარტებით—mlar 'речка' იხ. ხსენებული „Кавказский толмач", გვ. 320.

[2] ი. ჯუღნია, სიტყვის-კონა (МЯИ. I, ს.-პეტერბურგი 1900 წ.), გვ. 14.

[3] ნ. მარრი,— В тупике ли история... გვ. 4. და მისივე „Напутствие" к сборнику аспирантов ГАИМК, ლენინგრადი, 1928, წ., გვ. 8.

[4] ა. დირრი, Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы, გვ. 11.

[5] იქვე.

[6] კევსურული მასალები,—ბეს. გაბუნურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ (ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეული", ტ. I—II), გვ. 282.

ჭარ 'ქვა' იგივე' კლდე'-ა და დიდ. **ღულ** 'ქვა' (←კლდე). იმავ ხევსურულში **კილ-დელ** 'კლდეს' შემოუნახავს, მისივე სემანტიკური მწკრივის მნიშვნელობა 'ცის ჰორიზონტის', 'ცის ტატნობის'[1] მნიშვნელობით. ამავე მწკრივში შემოდის **კიდე** 'ნაპირი', 'ბოლო', და **კი-დე** არის, როგორც მხარე, მოცემული **კე-დელ**-ში, ისე **კლ-დე** ←**კილ-დე**-ში. **დე** სრული სახით A ელემენტად გვაქვს, როგორც **კედარ-ო-ში**, ისე **კე-დელსა** და ხევს. **კი-დელ** 'ცის ჰორიზონტ', 'ცის ტატნობში'. კოსმიური 'ცის ჰორიზონტი', **კლდე** ←**კილდე**. სოციალურად **სახლი** და მისი ნაწილი **კედელია**, მის შესატყვის ლობითურთ. ცისა და მისი სემანტიკური რიგისა, მთის აღმნიშვნელად გვაქვს. იგივე სიტყვა ტოპონიმიკურს სახელებში ეწოდება როგორც მდინარეებს ისე მთებს.

ქ. **კედელ ~ კოდოლ** || **კოდორ**, უკანასკნელი ფორმით აფხაზეთში სოფელი და მდინარეა, აგრეთვე უღელტეხილი კავკასიის მთაზე თელავიდან დაღესტანს, დიდოეთს გადასასვლელი, რასაც შეედრება დიდ. სოფ. სახელი **ჭიდირო**, resp. **ჭიდირი** და ტფილისის ახლოს არსებული მთა კოჯორი, ასევე **კოტორი** 'წვერვალი' (მთის კოტორი) და ცალკე ცნობილი **კოტორის** ციხე (კოტრის ციხე), იგივე **ყოტორის** ციხე[2]. **კოჯორს** ქ. ჰანი[3] სამართლიანად უკავშირებს ჭართ. ქოჩორს, მაგრამ ვერ უჩვენებს იმ გზას, რომლითაც კავშირშია. მთა იმავ დროს ნიშნავდა ტყეს და ტყე მთის თმას, ისე როგორც ქოჩორი თავის თმას, 'ქოჩორს'. 'თავი' და 'მთა' ისევე ერთი-და-იგივეა სემანტიკური პალეონტოლოგიით, როგორც ტყე და ქოჩორი. ქ. ჰანს სჯერა, რომ კოჯორში კარგი წყაროები იყო კოჯორ ნიშნავს სომხ. <არის წყალი>; კო = სომხ. **კაձ** (*կաց*)—'არის' და ჯური (სომხ. *ջուր*) 'წყალს': სომხ. **კაձ**→**კა**, 'არის' აქ არაფერს შუაშია, როგორც პირველი ელემენტი მთელ მოყვანილ იმ სიტყვებში, ისე მეორეში, ცალ-ცალკე ნიშნავდა—როგორც წყალს, ისე მთას და მათ მწვერვალებს. ადამიანის მიერ ყოფის შემცნობა არც იმდენად ძნელია, რომ ზმნა <**არის**>[4] შესულიყო ტოპონიმიკურ სახელწოდებაში. ეს შედარებით უფრო მერმინდელი მოვლენაა, მსგავსად ნაცვალსახელებისა[5]. ამით, რა თქმა უნდა არავინ არ უნდა მოგვაწეროს ის მცდარი აზრი, თითქოს ვფიქრობდეთ ზმნა '**არის**' უფრო მერმინდელია, ვინემ კოჯორისათვის სახელი კოჯორი. იგი სხვა მის სემანტიკური მწკრივის სახელს აღნიშნავდა და მისგან შემდეგ დღევანდელ კოჯორს დაერქვა. ისე, როგორც საერთოდ ხდება სიტყვათშემოქმედებისას, ძველი სიტყვიერი მასალა გამოყენებული ხდება ახლის სახელწოდებისათვის. სანამ მათ ელემენტობრივ შემადგენლობას განვიხილავდეთ, აღვნიშნავთ, უღელტეხილისათვის სახელწოდება **კოდორი** გეოგრაფიულ ლიტერატურაში

---

[1] იქვე.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით (ტფ. 1904 წ.), გვ. 264.

[3] ქ. ჰანი, Опыт об'яснения кавказских географических названий („Сборник мат. для описания местностей и племен Кавказа", ტ. XXXX), გვ. 85.

[4] ნ. მარრი, Стадия мышления при возникновении глагола ‚быть', ДАН СССР,—1930 წ.

[5] იქვე, გვ. 75.

დამკვიდრებულია რუსული გადმოცემის, წერის, ქართული სახელწოდების მიხედვით—კოდორ (Кодор) ნაცვლად ყოდორი-სა. მცხოვრებლები ოდიშის, ყვარელის და იქვე მეზობელი რაიონებისა, დიდოები, თუშები და სხვები, რომლებიც უველაზე უფრო დაკავშირებული არიან მასთან, უწოდებენ <ყადორს> „ყადორის მთა, ყადორის ციხე, ყადორის წყალი" და სხვა. იგრეთვე თელავის რაიონში ს. ენისელთან არის პატარა მთა, რომელსაც კვლავ ყადორს უწოდებენ. ასე რომ **ყადორი** უნდა იწერებოდეს ქართულში და არა ისე, როგორც დაწყებული ძველი რუკებიდან გათავებული ახლა უველგან **კოდორი** წერია. ეს იმიტომ კი არა, რომ ამჟამად ელემენტობრივ განხილვისათვის **კოდორი** ნაცვლად **ყადორისა** რაიმე დაბრკოლებას წარმოადგენდეს. ენის შესახებ ახალ მოძღვრებას (იაფეტიდოლოგიას) არ სჭირდება **ყ, კ**-ს შესატყვისობაზე განსაკუთრებით წეროს. ეს დადგენილია (**ყ ~ კ**) და ბგერათა ასეთ შესატყვისობაზე თავის ქცევა ფორმალისტებს დიდად კარგახანია. სანამ მთლად არ გამქრალან ფორმალიზმის წარმომადგენლები, შეიქცევენ მასზე თავს და ივარჯიშებენ კიდეც.

ჩვენთვის სულ ერთია—პირველი ბგერა **ყ** იქნება თუ **კ**. გვაინტერესებს, რა წარმოადგენს იგი როგორც ელემენტი, როგორც მნიშვნელობა და არა ბგერა.

ყა-დორ ~ კო-დორ ↗ კო-გორ → ჭოჩორ ~ კო-ტორ → კო-დორ — კე-დელ ~ კი-დე და სხვა მათ სახეებიდან **ყა ~ ჭო — ჭი** (**ყ ~ კ → ჭ**) სრული სახით ცალსახად ნიშნავს როგორც მთას, 'გორ'-ს, ისე წყალს '**ლურ**'-ს, '**ლელე**'-ს, 'მიწა'-ს და მათ საერთო და ცალკეულ სემანტიკურ მწკრივებს: ტოტემიდან დაწყებული ეპითეტით გათავებული მთელ მათ მწკრივებს; დაწყებული—მთა **კოლ**-ა-ტან, ტბა-ქიდან და **კოლე**-ლებისაგან, რაც **ჰეკატეს** მე-VI საუკუნეში მოუხსენებია ქრისტეს წინ,[2] გათავებული **კოლ**-ით, 'ყანაში გაკეთებული გუნდი' 'მიწაში ჩასობილი ჯოხი', უფრო ძველად **კოლ**, ხელით (თურქ. **კოლ** 'ხელი'), დიდ. **კარ** 'მაყოყის დასავლეთით გორაკი, ქ. **კარ** 'სასახლე' ← ქვეყანა და მათგან 'ქვეყანა', 'მხარე', იარაღი—ჯოხი და სხვანი.

მეორე ელემენტი: **დორ → ტორ ~ ჯორ → ჩორ — დელ ~ დე** კვლავ ტოტემია და სტადიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ნიშნავდა რაღაც წყალს (კელტ. დურ, სომხ. ჯურ და სხვ. მის შესატყვისებად აღნიშნულია) ასე მთას, ტოტებს—თავისი სემანტიკური რიგებით, მხარეს და სხვას. ვოტიაკურ (უდმურთული) **დურ** 'მხარე', 'ქვეყანა', ზირიანული (კომური) **დორ** 'მხარე', 'ქვეყანა'[3] და მისი შესატყვისი სომხური **ჯარ** 'გორა-კი'←'მთა', ქ. 'სერ'-ი, 'გორა-კი'←'მთა', ამავე დროს ნიშნავდა მიწასაც — ზეცასაც და — წყალსაც, როგორც ზემო-

---

[1] როგორც ცნობილ „ხეთველიან რუკაზე", ისე სხვებზე და ახალს, ა-ს გეოდეზიკურ სამმართველოს გამოცემულ რუკაზეც (ტფ. 1931 წ.) ა. სერგეპუტოვსკის გორც ეტყობა, ეს სახელწოდება დიდოელების საუბრიდან შეუთვისებია და წერს „ნ (იხ. რუს. გეოგრ. საზოგ., ეთნოგრ. განყოფ.-კრებ. „Живая старина", პეტ 1916 წ. წიგნი მე-IV), გვ. 279.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ხსენებული ნაშრომის გამოცემა, გვ. 223.

[3] ნ. მარრი, Родная речь могучий рычаг культурного д'ема, ლენინგრადი, 1930 წ., გვ. 33.

'მიწა', ბასკ. **სერ-უ** 'ზეცა', ბერძ. **სარ** 'ზეცა', თურქ. **სუ←სურ**, ქ. **სუ (სუ-მა)** 'წყალი' და სხვა ენებში მთელი მათი შესაფერისი სიტყვები, რომლებიც არა ერთხელ გარჩეულა ენის შესახებ ახალი მოძღვრების ჩამომყალიბებლის მიერ.

ასევე **ყორ-ე**, 'ლობე' ნიშნავს 'ქვეყანას', 'მხარეს' 'სახლს', რაც მეგრულად **მუ-ხურ** 'მხარე, 'კუნძული' შემონახულია კიდეც და იგი გურიაშიც ნიშნავს სოფლის ნაწილს', 'კუთხეს', თვით მეგრულში ტოპონიმიკურ სახელს — სოფ. **მუხური**, იმერ. **მუხურჩა** და სხვაგან სხვას, ქ. 'ქვეყანა', 'მიწა' იგივე **ხურ-ით**, სიტყვებში **ა-მ-ყარ-ო** 'ქვეყანა' **მ-ყა-რ-ი**, პირველად მიწის აღმნიშვნელი, ეხლანდელი 'უძრავი', 'მაგარი', თვით ყ → ხ, ყარ აგრეთვე ხელი **მ-ხარ-ი**[1], პირველი მთელი ხელის სახელი და ეხლა მისი ნაწილი, მისგან **მ-ხარ-ე**, 'ქვეყნის კედარო'←'ქვეყანა' და ხელი მ-ხარ, —ა-ე **ხელ-ი**. **ყარ** გამარტივებული **კარ** კელავ ქვეყანაა. ასეთივე მნიშვნელობა აქვს მას დიდოურშიც **ყარ → ხარ || კელ — კოლ || კორ** ნიშნავს მხარეს—სიტყვებში **ე-კორ** 'გალმა' (მდინარის მეორე ნაპირზე. საერთოდ მეორე მხარეზე), **ნე-კორ** 'გამოლმა'. **თე+კორ — ნე+კორ** 'გალმა-გამოლმა'. იგივე ადგილის მნიშვნელობით კიდევ უფრო ნათლად ჩანს სიტყვაში **რეთლ-კორ** 'ვაკე', 'სახნავი' (მიწა) მხარე ← ქვეყანა, იმავე დროს ნიშნავდა სახლს და გვაქვს მართლაც ჭან. **ო-ხორ** 'სახლი', გურ. **ა-ხორ** სახლზე მნიშნებული 'სახლი' ან ცალკე 'სახლი პირუტყვთათვის', სვან. **ხორ** 'სახლი', მეგრ. **ჯი-ხა** 'ციხე', 'სიმაგრე', **ჯი-ხურ ი** 'ხის კოშკი', გურ. **ჯი-ხურ** 'ხის სახლი' არა ფიცრის, არამედ რგვალი ხეებით აშენებული; ციხის მნიშვნელობით ადგილების სახელში **ნა-ჯი-ხურ-ა-ლი** ს. მენეითსა და გირგოლეთში (გურიაში) ნაციხვარის მაგიერ, ამის შესაფერისად დიდ. **ღუ თქუ**[1]. 'სახლი' **ღუ** სრული სახით იმავე დიდ. **ღულ ~ გულ** 'ქვა' **ა-ღულ** 'წისქვილი' (წისქვილის) სახლი. სახლის ნაწილი დიდოური კი-დო 'კედელი' და იმავ მიწიდან ღულ — ყილ იატაკი', 'ფიცარი'←*მიწა. მიწა ← ქვეყანა, ნიშნავდა სახლს, ისე, როგორც **ცა** ნიშნავდა ზეცასა და სახლს. პირველი 'ქვეყანა' როგორც 'სახლი', საცა **ადამიანი** სცხოვრობს, და მეორე 'ზეცა'—საარსებო ქვეყანა ტოტემის, ღმერთის, მნათობების, მათი სახლი და სამფლობელო.

ესეც რომ არ იყოს ქ. მიწის შესატყვისი დიდოური **მოჩი-ა**, რომლის მეორე ელემენტი ზემოთმოყვანილ **დარ, სარ-ის** ხაზით მიდის. ქ. **მიწა**, დ. მ-ო-ჩი (მრ. მოჩიბი, 3 კლ.) ნიშნავს 'ადგილს', 'დღიურს', იგივე **მოჩი** ავარულად 'მიწა',

---

[1] ნ. მარრი, **Карфаген и Рим**, Fas u jes, გვ. 407.

[2] ა. სერჟპუტოვსკი, **Поездка в нагорный Дагестан** (იხ. „Живая старина", რუს. გეოგრ. საზ.-ების, ეთნოგრაფიული განყოფილების" პერიოდული გამოცემა, მე-XXV წელი გამოშვ. მე-IV-ე, პეტროგრადი 1916 წ.), გვ. 207-ზე (სიტყვარში) და წინაც (წერილში) სისტემატიურად სწერს **витку** 'სახლი'. **ვიტკუ** მე არ გამიგონია დიდოეთში და რომ შეცდომაა, იქიდან ჩანს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სიტყვების მრავლობით ფორმებში მრავლობითობის ბ გადმოცემული აქვს ვ-თი. შესაძლებელია **ვითქუ** სხვა ენაში იყოს კიდეც სახლის მნიშვნელობით. იგი საერთოდ ღ-ს ვერ არჩევს სიტყვებში და სულ ღუნიშნელს სტოვებს—მაგ.: **ანაბი** 'ქალი' უწერია ლანაბი-ს ადგილზე (გვ. 293), **ულ** 'ქვა' **ღულ**-ის მაგიერ და სხვა, აგრეთვე ხშირად მრავლობითი რიცხვის ფორმა მხოლობითისად მიუჩნევია.

დ. <ბიტორავ მოჩი> 'ვაკე ადგილი', ყოველგვარი სახნავი მიწა. დიდოურად 'მიწა' **ჰედო**-თ (მრ. ჰედობი, 4 კლ.) იწოდება. ჰიდო 'მიწა' ქვეყანა. მაგრამ **მოჩი**-ც რომ იგივე მნიშვნელობისაა, ნათლად ჩანს მოყვანილი მაგალითებიდან, იგივე მტკიცდება მისი სემანტიკური მწკრივის სიტყვიდან, ქვეყნის, მიწის და მხარეს || მხრის (მხარის, ხელი) კავშირით. დ. **მე-ჩუ** (მრ. მეჩუბი, 3 კლ.) ნიშნავს ხელს, მხარს, მხარეს: <ქეჰოსმეჩუ> (ხურპრი[1]), <ქეჰო-მეჩუ> resp. <ქეჰოს-მეჩუ> (შაური) 'მარჯვენა მხარი', 'მარჯვენა ხელი', იგივე 'მხარე'. ამ შემთხვევაში გვაქვს სხვადასხვა ხმოვნით პირველი ელემენტი, რაც რა თქმა უნდა, დაბრკოლებას არ წარმოადგენს (მოჩი ~ მეჩუ), მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ იმავე გახმიერებით ხელის მნიშვნელობით დიდოურშივე გვაქვს ხელის ნაწილის აღმნიშვნელ სიტყვაში, კიდევ უფრო ძველი სახით შემონახული: დ. მორთ͡ლუ (მრ. მორთ͡ლუბი, 3 კლ.) ნიშნავს 'ფრჩხილს'. მაშასადამე, იგივე 'ხელი' ← მხარი → მხარეა.

ამასვე ამტკიცებს ისიც, რომ სემანტიკური პალეონტოლოგიით 'მიწა' და 'ცა' ერთი-და-იგივე იყო და მოჩი 'მიწა', 'ქვეყანა', მ ~ ბ, ჩ || ც ნიშნავს ცის დერივატს, მთვარეს. დ. **ბუცი** (მრ. ბუციბი, 3 კლ.) 'მთვარე', 'თვე'. ენის შესახებ ახალი მოძღვრებით საბოლოოდ დადგენილია მათი ერთმნიშვნელობა ციოურთ.

კოსმიურად მთვარე ცას კიდევ უფრო ადრე ნიშნავდა და ასევე მიწასაც: არა მარტო მეგრ. თუთა ნიშნავს 'მთვარეს'ა და 'თვეს', არამედ მთელ რიგ ენებშიც იგივე გვაქვს. ბუცი არა მარტო დიდლურშია, არამედ მთელს დაღესტანში ივლის და ზოგ ენებს უფრო სრული სახით-ბურცი შემოუნახავს იმავე დაღესტანში[2]. ქ. **მი-წა-** ელემენტი BA[3] დ. **მო-ჩი** ერთი-და-იგივეა. **მი ~ ნო** ცალკე ნიშნავს მიწას, ქვეყანას. ვოტიაკური (უდმურიც) **მუ** 'მიწა', რუს. **мир** (мир)[4] 'ქვეყანა' ასევე სრული სახით ელემენტი, მათი რიგის შენაცვლებით, თავიდანვე თურქულში სხვაგვარი შეუღლებით ჩა-**მურ** (ადიღ.) 'ტალახი' ← 'მიწა' მურ სრულად ვე **ჯურ** მთვარის მნიშვნელობაშიც ვნახეთ და აგრეთვე მისი სემანტიკური მწკრივის **თავიხ** აღმნიშვნელ სიტყვაშიც (ბასკ. **ბურ**-უ 'თავი', ქ. ბრუთბეურ თავი 'თავ-ბრუ' მისი რიგებითურთ). თურქულში პირველი ელემენტი **ჩა** (ჩა-მურ AB, დიდოურსა და ქართულში მეორე **ჩი ~ ჩუ** || **ნა** (**მო-ჩი, მე-ჩუ, მი-წა**) სრული სახით ცალკე არსებულ სიტყვად გვაქვს, ჯერ იმავ თურქულსა და ჰანგარში — 'მოუშენებელი ადგილი' მიწა და ჭ. **ჩოლ**-ი 'ტალახიანი ადგილი'.[5] ქ. ე-წერ 'მოუსავლიანი ადგილი', 'უნაყოფო მიწა' ძველად საერთოდ მიწა, რადგან ეს დი-

---

[1] ბუპრი ხუპრო — პირველი სოფელია ყადრის ულელტეხილით დიდოეთში ჩასვლისას.

[2] ა. დირრი, Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы, გვ. 99.

[3] ნ. მარრი..., Карфаген и Рим, Fas и jus, გვ. 377.

[4] ავტორი, აქ ზემოდ შენიშვნაში ხსენებული შრომისა (აგ. ნ. მარრი) მასში ამ სიტყვას იხსენიებს და ალარ იხილავს შემდეგ მიწასთან კავშირში, რადგან ქართული და რუსული ტიპოლოგიურად სხვადასხვა სისტემის ენებია (იხ. იქვე, გვ. 337); მაგრამ არაა ზედმეტი აღვნიშნოთ, რადგან კავშირი არა მარტო ფორმალურ შეხვედრებშია, არამედ ყოველმხრივი და რუსულში იგივე აღნიშნავს ხღვას Мир—Море 'ქვეყანა,' 'ხღვა'

[5] ნ. მარრი, Грамматика чанского (лазского) языка, გვ. 211.

ფერენციაცია უფრო შემდეგი მოვლენაა. **ეწერი** ტოპონიმიკურ სახელებშიც საკმაოდ გავრცელებულია სოფლის სახელწოდებებად და ისეც, როგორც გუ-რია-სამეგრელოში, ისე სხვაგანაც. ე-წერ, როგორც 'ზეცა', გვაქვს სომხურ წირ-ს და ქართ. წრეთწერ-ში.[1]

სანამ **ყორ-ეთ** მივიდოდეთ **კარ**-ამდე, ანდა უკვე აღნიშნული **ყარ** (მ-ყარ-ი, სა-მ-ყარ-ოსა) 'ქვეყანა', და მისი გამარტივებული სახე **კარ** მისივე მნიშვნელობაში იქნებოდეს აღნიშნული, მანამ წინ მოხსენებული დ. **ჰიდო** ვნახოთ კიდევ. როგორც ვთქვით, დ. **ჰი-დო** ნიშნავს 'მიწას' და გიდო 'კედელს'. პირველი ელემენტი **ჰი**~**ვი** მრავალ ფორმებში ვნახეთ ცალკე მნიშვნელობით. **ჰი** ⟷ **ჰე** სრული სახით **ჰირ**⟷**ჰერ** ნიშნავს 'ცას'~'მიწას', როგორც მოყვანილ სომხურ **წირ**-იდან, ისე ქარ. **ჰერ**-ით, **ე-წერ-ით**, თურქ, ჰან. **ჩულ**-ით; როგორც ვუჩვენეთ, **ცა** და **მიწა** ერთი-და-იგივე საწინააღმდეგო ცნებები გამოსულია ერთ-და-იმავე საერთო კოსმიური ცნებიდან. მათთან სემანტიკური მწკრივია **იატაკი** და **ჰერი**, 'იმავე მოპირდაპირე ცნებების პირველად იგივეობის ნიადაგზე. იგი სრული სახით ამავე სემანტიკურ მწკრივში არის დიდოურშიც, საცა **ჰი**, უფრო რთული, დიფუზური გგერით და, მაშასადამე, უფრო ძველი სახით წარმოდგენილი, ნიშნავ. 'ბანს', 'აივანს' და უდრის ჭ. „ნაწილაკ" **ზე**-ს. სახელდობ **ტლუ** ემატება სახელებს, რაიმეზე მდებარეობის აღმნიშვნელად და ნიშნავს სახლის სახურავსაცს,— **ტლირი** მეორე სართულს, ზედა სახლს. დიდოების სახლი ზოგჯერ 4 სართულიანიც არის. ზედაში თავად ცხოვრობენ და ქვეშა პირუტყვთათვის აქვთ გამოყენებული. <**ტლირი ლუთქუ**> იმ ზედას ჰქვია, რომელშიც თავად ცხოვრობენ. რაკი **ტლირი** ზედას, მაღლას და ისიც სახლს ნიშნავს, გასაგებია, რომ ამავე დროს იგი ყოფილა ზეცაც და **ტლუ** 'ბანი', 'სახურავი': „ნაწილაკი"-ზე '-**ზე**-**ცა**~-**მიწა**. აგრეთვე წყალი <**ტლ**> ყრუ ბგერის გაფშინვებით <თლ> - **თლი** ← **თლირ**.

მეორე ელემენტი **დო** ცალკე მიწის და მისი მთელი სემანტიკური მწკრივის სიტყვებში, გარდა ჭ. **კე-დელ**~**კე-დარ-ო**, მინ-**დორ**, მ-**დორე** 'ნელი', მდგარი მდინარე', რაშიც ნათლად აქვს **მიწის** მნიშვნელობა, ვნახეთ დამოუკიდებელ სიტყვებშიც ამავე მნიშვნელობით, როგორც მხარეს, 'ქვეყნის მიწის', ისე წყლის და მთის აღმნიშვნელად.

ჳი (ჳი-დო-'კედელი'), როგორც აღვნიშნეთ, იმავე დროს ნიშნავდა 'კლდეს' და 'ქვას' მათი დერივატებით. იაფეტური ენების სიბილანტური ხაზით, შიშინა ჯგუფის **კარ-სალ** ნიშნავს როგორც ქვას, ისე კლდეს. მისი უფრო დიფუზური სახე **კარ ჩხალ** იგივეა, და არის როგორც კლდეების სახელად, ისე მთისაც **იმერხევში**, რასაც ისე გატაცებით უმღერდა პოეტი მამია გურიელი. პირველი **კარ** დიდოეთში ცალკეც არის მთის სახელწოდებად ს. **ახაკში**, აგრეთვე ცალკე

[1] მისივე, Новый поворот в работе по яфетической теории, გვ. 669. მისივე, რა წილი აქვს ქართველს ენის შექმნის და ჯანეთარების მსოფლიო ისტორიაში, გვ. 14 და 21, გიორგ Яфетические зори на украин. хуторе, გვ. 24, 58.

ა-ღულ ნიშნავს 'ქვას', 'ლოდს' და იგივე გვაქვს ქ. ა-გურ-შიც, რომლიდანაც ა არის დანარჩენი ცალკე C ელემენტის' ეს ჩანს იმავ ქ. ან-გურ, resp. ენ-გურ-ის ფორმიდან. დ. გურ საერთოდ ქვას ნიშნავს და ა-ღულ 'ლოდი', გურ 'ქვა' შემდეგი დიფერენციაციის' ნაყოფია. სომხ. ჭარ 'ქვა', კარ-კარ' (*kar-kan*) 'ქვების გუნდი', 'ხოხოლა', ბასკ. არ→'მა'რ ~ კარ 'ქვა'[1], ნიშნავდა, როგორც ქვას და 'ქვებს', 'ლოდს', ისე 'კლდეს', 'კედელს', 'მთას' და 'მიწას'. უფრო ადრე 'ხელს', 'მხარეს', ე. ი. ქვეყანას და მის მწკრივს.

სამყაროს და სახლის მნიშვნელობით შემონახულია ქ. კარ-ი, ეხლანდელი სახლის ნაწილი 'კარი', უფრო ადრე 'სასახლე' და ქვეყანა. სახლის მნიშვნელობით ჯერ კიდევ მოაღწია ძველ ფეოდალურ სამწერლობო ქართულში და თუ არ შევშინდებით იმით, რომ იგივე გვაქვს არა იაფეტური სისტემის ენებში—არაბულ-თურქულსა და იაფეტურის მთელს დაღესტანში (სრულიად შესაძლოა მეორეში პირველისგან დამოუკიდებლივ) ნიშნავს 'ციხეს'-იგივე 'სასახლეს'. ამ მნიშვნელობებიდან გასაგებია, რომ უფრო ძველად იგივე ნიშნავდა 'ქვეყანას', მაგრამ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ კარ გურულში შემონახულა 'ქვეყნის' სახლს გარე ადგილის მნიშვნელობით. მაგ. როცა იტყვიან <კარში დარჩა>, <კარში წავიდა>, ან ქალაქში მოსამსახურეზე რომ იტყვიან <კარშია>-ო, არ ნიშნავს, რომ იგი სახლშია ან სახლის კარშია გაჩერებული, არამედ იმას, რომ ის იმყოფება სახლის კარის გარეთ. მას არ აქვს მნიშვნელობა, რომ იგი კარს შიგნით არის, როგორც უნდა ნიშნავდეს ამას კარი, ში[2]-ს მიმატებით (კარში, სახლში), არამედ ნიშნავს, რომ მის გარეთაა. როცა მეორდებოდა შელოცვები <ლოცვა კარში დარჩენილ საქონლისა>, ეს იყო ლოცვა მინდვრად, ტყეში, საძოვრებზე დარჩენილ პირუტყვთათვის, რომ მხეცებს ვერაფერი ევნოთ, „შელოცვის ძალითა და მადლით", და არ იყო იგი შელოცვა სახლში ყოლილთათვის.

რომ კარ, მხარის, სამყაროს მნიშვნელობისა იყო, სემანტიკური პალეონტოლოგიით ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რადგან იგივე კარ აღნიშნავს 'ხელს', 'მხარს' კარ ← ყარ → ხარ (მ-ხარ) და ქალაქს, სახლს. იგი გვაქვს ისეთ მნიშვნელოვან ძველ ქალაქების სახელებში, როგორიც არის კარ+თა-გენ-ი, კარ+ქე-დონ-ი, ან-კარ-ა, ქ. ქალ-აქ სომხ. ქალ+ა-ქ, სირ. კარ-კა და სხვა[3]. აქედან რაკი ის ქალაქს ნიშნავს (სოფელი ← ქალაქი ← მხარე ← ქვეყანა), მაშასადამე იყო აღმნიშვნელი როგორც სახლის, ისე ქვეყნის და მთელი მხარის, სამყაროს, მთელ კოსმიურ მრავალფეროვნების. აქედან არც საკვირველია, რომ იგი ნიშნავდა მთას → კლდეს → ქვას ← კედელს და ღობეს (ყორ-ეს).

მისივე მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო ეხლანდელი ქართული ე. წ. წინდებური „გარ" და „გარე". გ←კ, გარ←კარ, ჭან. გალე, 'გარე' <გარ-დაიცვა-

---

[1] ნ. მარრი, Первая вылазка яфетидологическая экспедиция по обследованию мариев, გვ. 16.

[2] ში←შინ-ა თავად, რომ სახლს ნიშნავს, კარგა ხანია აღნიშნული აკად. ნ. მარრის მიერ, იხ. მისი Абхазоведение и абхазы („Восточн. сборн.") ტ. I, გვ. 141.

[3] მარრი, Карфаген и Рим. Fas u jus, გვ. 394—395.

ლა> 'ქვეყანაში გადავიდა', 'ადგილი გადაიცვალა', 'გამოიცვალა'. **გარ**←**კარ** ქვეყნის მნიშვნელობით ვნახეთ დიდოურშიც, საცა **ჳორ** (კ→გ→ქ/უ→ღ→ხ||ჳ) აღნიშნავს **'მხარეს'**←ქვეყანას და მ. ჭ. **ო-ხორ**, გ. **ა-ხორ**, სვან. **ხორ** სახლი, ქ. **ბელა, ბელელი**[1]. ამავე დროს 'მხარის', ქვეყნის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, როგორც ეს გვიჩვენა მ. **მუ-ხურ**-მა, ამავე **ხორ** 'სახლის' შესატყვისად **კარ**, დავიწროებულ მნიშვნელობაში არის, როგორც მეგრულს ენაში, ისე გურულს კილოში, პირველში **ო-კარ**+**ი-ა** 'საქათმე' და მეორეში **სა-კარ**+**ი-ა** 'საქათმე', სახლი ფრინველთათვის; კარ/ყარ→ღარ, როგორც ვნახეთ, არის იმავე სემანტიკური მწკრივის, 'ყორ-ის' **სახლი, კედელი ღობე**←ქვეყანა~ცა და~წყალი. აგრეთვე **ტყე**, მეგრ. **ტყა'ლ**[1] (მრ. **ტყალ**+აფ-ისა), მისი ნაწილი **'ხე'**, **'მცენარე'** და სხვ.

კარ→გარ||გალ წყლისა და ხის მნიშვნელობით გვაქვს ერთნაირად აგებული სიტყვებშიც. გურ. ლენ+ჩქერ 'მდინარეში ჩქარი წყალი', 'წყალვარდნილი' და ცალკე ქ. **ჩქერი**[2]←**ჩხერი** (A) 'წყალვარდნილი'. მეორეს მხრივ **ჩქერ** უფრო მარტივი სახით შემონახულა 'ქერ', არა მარტო დიდოურში **ქერ**-უ 'ხევი'←'მდინარე'-დ, არამედ ქ. **ლან-ქერ**-ით, **ლენ-ჩქერ** და **ლანქერ** (ორივე DA ელემენტი)[3] ყოველმხრივ ერთი-და-იგივეა ცოტა უფრო ადრინდელ საფეხურზე. მაშინ თითეული იყო არა ასე ვიწრო დიფერენციაციის ქვეშ, რომ **ლენ-ჩქერ**-ს წყალვარდნილი აღენიშნა და **ლან-ქერს** თოვლის დნობის დროს წამოსული წყალი, არამედ თითოეული ელემენტი ცალკე ნიშნავდა წყალს და მის სემანტიკურ მწკრივებს ენისა და აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმის მიხედვით თუ აზროვნების განვითარების რომელ საფეხურთან გვაქვს საქმე და მის შესაფერ რომელ საზოგადოებრივ ფორმაციასთან.

ჩქერ>**ქერ** 'წყლის' ხის ჯოხის მნიშვნელობაში აქ არის ქ. **ჩხერ** გ-ი-თ, საიდანაც პირველი კვლავ A ელემენტია (ჩხარ) და მეორე გ-ი შეიძლება იყოს C ან იგივე A. კვლავ DA ელემენტით გ. ლენ-გერ ნიშნავს 'სარს', 'კეტს', როგორც ცალკე **ლენ-გერ**-ი 'სარი', 'კეტი', ისე გამოთქმაში <**მო-ულენ-გრ-ა წელი**> 'სარი ცემა' და და-ლენ-გრა 'დარეკა', 'ჩამოყარა'; უფრო ადრე იგი **გერ**/. **ჩკერ→ჩხერ** იყო 'ხელი' და **ლენ-გერ** 'დალენგერა', 'დარეკვა' ჯოხზე ფუნქციონალურად ხელიდან გიდავიდა: მერ/ხერ||**ხელ. გერ გელ**, ეხლანდელი **გელ-ა** კვლავ ეხლაც ქ. ნიშნავს 'სარს', 'ჯოხს' საბას თქმით „**თორნის სარეველი კეტი**". **სარი** როგორც ღობის ნაწილი და **გელ-ა** 'ჯოხი', 'სეტი', მისი შესატყვისი, ნიშნავდა როგორც კედელს, ისე მ-კერ-დ-ს 'გულის კედელს' და **ბოძს**, რაიც შემოუნახავს ხევსურულს: ხევ. **კულა** 'ქვის ბოძი'[4] იგივე **გელ-ა** 'ჯოხი' არის; კულ კ→მ, **გულ~გელ** (უ~ე). ამავე დროს **გალ-ი** იმავ ხევსურულში არის 'მომცრო ხე'[5], მაშასადამე საერთოდ 'ხე' იგივეა, რაც ქ. **გელ-ა** და უფრო ადრე 'ხელი'←'ღერი',

---

[1] ნ. მარრი, Из Пиренейской Гурии, გვ. 42, 43.
[2] მისივე, Яфетические зори на украинском хуторе, გვ. 51.
[3] ლენ-ის D ელემენტობა ჯერ კიდევ შესამოწმებლად და მის პარალელურ ფორმებში გასანხილველად გვრჩება.
[4] ხსენებული ხევსურული მასალები, წელიწდეული, გვ. 283.
[5] იქვე, გვ. 266.

როგორც ვხედავთ, **ღობედან** დაწყებული პირველი ელემენტი ქ. **ღო** დ. **ღა** სრულად კორ||ღარ თავისთავად, ცალკე მეორე ელემენტისაგან (ღო-ბე დიდ. ღა-ბ), დამოუკიდებლად ნიშნავდა **ღობეს** კედელს, 'სახლს', 'კლდეს', 'მთას', 'ქვას', უფრო ადრე მხარეს, ქვეყანას-ცას, ზღვას, ტბას, მდინარეს, წყალს და მათ დერივატებს, ორმოს, ხრამს, თხრილს-მთას, ტყეს და **ხეს**, უფრო ადრე 'ხელს', მისგან **ჯოხს**, იარაღს და სხვას (ტოტებს, ქალს, რომელი მიმართულებითაც ალარ წავსულვართ).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აქ, ღობის ეს მრავალი მნიშვნელობა არ არის ერთდაიმავე დროის მონაცემი და არც ერთი მეორედან უშუალოდ გამოსული. აქ საქმე გვაქვს როგორც სხვადასხვა სტადიის შემოქმედების და სიტყვათ გააზრიანების დასრულებასთან, ისე ხშირად შუალობით სემანტიკურ კავშირებთან. მიწის, მთის, კლდის და მეორეს მხრივ სახლის, კედლის, ქვის, ღობის კავშირი იმ ტექნიკური საშუალების გამო კი არაა, რომ სახლს აკეთებდენ მიწისაგან გინდ კედელს, ყორეს ქვისაგან, არამედ იმისაგან, რომ მიწა, ქვა, ხე, მისგან რაიმეს გაკეთებამდე, კლდის კედლად გამოყენებამდე, მიწა, მთა, კლდე იყო როგორც სახლი, ისე კედელი და სხვა, რომელიც კი გნებავთ. ერთიდან მეორეზე სახელის გადასვლა მათი ფუნქციონალური მნიშვნელობითაა, თორემ ტექნიკურ საშუალებად წყალი დამოუკიდებლად არასდროს არ ყოფილა კედელი; ვხედავთ კი მის ფუნქციონალური კავშირით ერთდაიმავე სახელს ატარებენ. ასევე 'ხელი' და 'ჯოხი' და 'ხე', ხე და კედელი, კედელი და ღობე. და არა სხვა რაიმე გზით.

ტექნიკური საშუალება ზოგჯერ ფუნქციონალურ როლს თამაშობს, და იქ ფარავს ერთი მეორეს საგნების სახელწოდებათა კავშირი როგორც ტექნიკურად, ისე ფუნქციონალურად. მაგრამ, როგორც ენის შესახებ ახალი მოძღვრებით (იაფეტიდოლოგიით) დამტკიცებულია, პირველ ადგილს ფუნქციონალური კავშირი იჭერს. იგი შეიძლება იქნეს, როგორც შუალობითი, ისე უშუალო. მაგალითად: კედელი და ღობე, მათში უშუალო კავშირია, და ფუნქციონალურად უშუალოდ ცვლიან ერთი მეორეს, მაგრამ მეორეს მხრივ **სარი**[1] **ჯოხი** კედელს, ღობეს უკავშირდება, როგორც უშუალოდ, ისე შუალობით. პირველ შემთხვევაში სარი, როგორც ღობე, რადგან იგი მთელის ნაწილია, ატარებდა მის სახელს, უშუალოდ კავშირშია კედელთან; მაგრამ მაშინ, როცა ღობე ნაწილებისაგან არ შედგებოდა ადამიანისათვის, როცა ის ხელოვნურად არ კეთდებოდა, კავშირი შუალობითია,—შუალობით ჯოხი-ხელი მხარე, კედელი; ან 'იატაკი' და 'ცა' სემანტიკურად ერთი-და-იგივეა, როგორც ვუჩვენეთ, მაგრამ კავშირი არაა უშუალო. მიწა სანამ იატაკს აღნიშნავდა, მანამ იგი ცას და ქვეყანას ნიშნავდა და შემდეგ **იატაკს** და მის მოწინააღმდეგე ჰერს. ამ შემთხვევაში ეს ყველა ერთ წინააღმდეგობიდან გამოსული სიტყვებია და იყო ერთი-და-იგივე, ოღონდ შემდეგი კავშირი **ჰერსა** და **ცას** შორის, **მიწასა** და **იატაკს** შორის უფრო უშუალოა, ვინემ **იატაკსა** და **ცას** შორის, გინდ **მიწასა**

---

[1] მასთან ისარი-ც, იხ. ნ. მარრი, В тупике ли история материальной культуры, გვ. 128.

და **ჰერს** შორის. ასევე ორგვარი კავშირია ღობესთან დაკავშირებულ სიტყვებში და ზოგჯერ შუალობითი (კავშირი) კიდევ უფრო შორს მიდის: ტოტემისა, მნათობების და სხვათა შემოერთებით. ერთის მხრივ, ყველა ჩვენს მიერ მოხსენებულ კედელს, ღობეს, სახლსა და სხვებთან უშუალოდ დაკავშირებულია **კერ-ა**, resp. **კერ+ი—ა**, მეორეს მხრივ კბილი, კერძოდ **ღო-ჯე** (კბილი), **ღ-ჯილ-ი** და გვერდით გამოშვებულ კბილს ეშვის მაგვარს გურიაში **ღორ-ჯო**-ს, რომ ეტყვიან ის კბილი, მაგრამ პირველი მიდის ტოტემის, საკულტო მნიშვნელობის მიმართულებით; თუმცა ერთის მხრივ სემანტიკურად **კერ-ა**, როგორც ცეცხლისათვის კედელი, ღობე, უშუალო კავშირშია ღობე←კედელ, მთასთან, ქვასა და კლდესთან, მაგრამ მასში კულტობრივ მომენტს მეტი ადგილი უჭერია და ალარ გავყევით მას. ასევე **კბილი**, მას უშუალოდ იარაღთან აქვს კავშირი და ხესთან მისი დაკავშირება მხოლოდ იარაღობრივ ფუნქციით ხდება და ისიც შუალობით: იარაღი ხელი, ხელი→კბილი და სხვა **ღა-ბ** და **ღო-ბე**. თემა ეხლანდელი საუბრისა ძალიან შორს წაგვიყვანს, მის ყოველგვარ კავშირებს რომ გავყვეთ მის სემანტიკურ მწკრივებშიც. ყოველმხრივ მისი განხილვა, მეტი რომ არ ვთქვათ, დაუძლეველიც არის. შესაძლებლობის ფარგლებშიც კი აქ მოყვანილ მწკრივებს გარდა სხვა დანარჩენს, მთელს ახალს მწკრივს ვვლის (ღმერთი, ქალი, შვილი, მნათობები და სხვ.). ამიტომ პირველი ელემენტის ირგვლივ საუბარი აქედან შევაჩეროთ და მეორეს გავყვეთ კიდევ უფრო შემოფარგლულ, ვიწრო არეში, თორემ ძლიერ შორს წაგვიყვანს. მეტადრე რომ მის შესახებ გაკვრით აქა-იქ პირველი ელემენტის განხილვისას იყო თქმული.

ა. პირველ ელემენტს აქ განხილვისდა მიხედვით ღობის სემანტიკური მწკრივების მნიშვნელობა საზოგადოების, ენისა და აზროვნების განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურებზე დამოუკიდებლივ ჰქონდა. ღობე მათთან სემანტიკურად იმ ძველთაგან კავშირშია და პირველ ელემენტის მთელს მწკრივებს ივლის; მეორე—ცმასაც განვლილი აქვს ყველა ის საფეხურები, რაც პირველს. ერთი შეხედვით, როგორც ქართულში, ისე დიდოურში მეორე ელემენტი შეკვეცითაა წარმოდგენილი (**ბე, ბ**), მაგრამ ორთავეში სრულიად მარტივად დგება სრული სახით, ქ. **ღო-ბე. ბე←ნერ** (B), მთლიანად **ღობერი, ღობის** პარალელურად გვაქვს, როგორც **გურულ-იმერულ** კილოებში[1], ისე მეგრულ[2]-ჭანურ[3] ენებში და გამოყენებული აქვს აკად. ნ. მარრს ფორმით **ღობერი**[4], სადაც უჩვენებს კიდეც, რომ **ღობერ-ი** ნიშნავდა 'მიწას', 'ცას' მის დერივატებთან დაკავშირებით.

გურ. <ღობრის სარი> ←<ღობერის სარი> ან გურ. ნა-ღო-გრ-ალ-ი ←ნაღო-გერ-ალ-ი 'ღობის' ნამყოფი ადგილი ან ღობედ ნამყოფი შეშა, 'ფიჩხი'. დიდოურში გ/გერ, ჩნდება, უკეთ აღდგენილი გამოდის უფრო ძველი ფორმა ეხლანდელ მრავლობით რიცხვში, ღა-ბ, მრავლ. რიცხვ. იქნება არა ღა-

---

[1] ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.-პეტერბურგი, 1912 წ. (МЯЯ, VI).

[2] ნ. Марръ, Грамматика чанского (лазского) языка.

[3] ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка.

[4] ნ. Марръ, Яфетические языки (БСЭ, т. 65), გვ. 836.

ბიბი, როგორც დიდოური მრავლობითობის გავრცელებულ ნიშნის მიხედვით მოსალოდნელი იყო, არამედ **ლაბრები. რებ** მრავლობითში სხვა სიტყვებშიც ჩნდება და, როგორც ჩვენ გვეხატება, **რ** არის სიტყვის ჩავარდნილი **ბოლო** თანხმოვანი, ელემენტის მესამე ბგერა. მეტადრე მესამე კლასის სიტყვებში, რომელსაც იგი ეკუთვნის კიდეც, შედარებით უფრო ძველი სახის, შედარებით სრულ სახეში მრავლობით რიცხვით წარმოდგენა, ახალი ამბავი არაა იაფეტურ სისტემის ენებში. მეგრულ-ჭანურში მრ. რიც. '**ჯა**' 'ხე' მარ./**ჯალ ~ და** 'და'← დალ-ჯი-მა ~ ჯუ-მა 'ძმა' ← ჯი-მალ ~ ჯუ-მალ და სხვა რამდენიც გინდათ, როგორც ამ, ისე სხვა ცნებიდანაც, ან სომხურში **რ**-ს დასუსტებული სახე **ჲ/ჰ** და სხვ. ამნაირად დიდოური **ლა-ბ** ← **ლაბრ** (მრავლ. ღა-ბრ-ებ), ← ნათესორე გახმიერებული ღა-ბურ, ღა-ბირ, ღა-ბორ.

ორთავე შემთხვევაში, როგორც ქართულში, ისე დიდოურში მეორე ელემენტი სრული ფორმით **ბერ~ბარ** ყოველგვარი დაბრკოლებისა და საეჭვოების გარეშე დგება. ბერ ↔ **ბირ** \ მირ ~ მურ ↔ **მორ** / **ბურ ~ ბელ** და სხვა 'წყლის', 'ქვეყნის', 'ცის'[1] 'კედლის' მნიშვნელობად ხსენებულია უკვე.

მათ მნიშვნელობებს მოხსენებული აზრით კიდევ უფრო ამტკიცებს ის, რომ **ნერ~ბარ** \ **მარ** ნიშნავს 'ხელს', 'მხარს', **მარ-ჯუენა** → მარ-ჯ+ვე-ნა, 'მარ-ცხენა', მარ-ჯ+ვე-ნა[2], მისგან იარალი ფირ+წყალ-ი 'ჯოხი საფისწლავი' და ღო-ბერ AB ელემენტების შენაცვლებით BA ბი-გა[3], რაც მეგრულში უბრალო ჯოხს ნიშნავს და ასევე დიდოურში, ხოლო გურ. **ფირწალის** მნიშვნელობით იხმარება. მასვე მიყვება ფიჩხი და **ფორჩხი**, მეორე ელემენტი სრულად იმავ ქ. **ჩხირ-ით** არის შემონახული და ისევ მეორე სახის **ფირ-წყალ-ი**, resp. **ფი-წალი** ფო-ცხი, 'ყანის საფოცხავი' იარალი და გურ. ფარ+ჩხ-ი, რომელშიც ეზოს სახვეტად გაკეთებული, ისე ყოველგვარ საროდ მოსახმარი, რასაც არ ცილდება გურ. ფორ-ჩხი 'ჰიგო' ლობიოს, კიტრისა, ვენახისა და სხვა ამყოლ მცენარეთათვის მოხმარებული. აგრეთვე ბუ+ჩქი და შუალობით ქვემირით ბურ+ჩხი, როგორც მცენარე და მისი ნაწილი, 'წაბლის ბურჩხი', რომელშიც ნაყოფი მწიფდება.

დაბოლოს აღსანიშნავია, რომ სომხეთში გავრცელებულ ხელის ენაში 'ლობე', 'ყორე', 'კედელი', 'მხარე', ერთი-და-იგივე ნიშნით გადმოიცემა. იქ ძირითადში ერთი ნიშანია ამ ცნობებისათვის და ემატება კონკრეტიზაციისათვის საერთო დერივატებზე მომატებული ნიშანი, ასევე 'ზღვა', 'ტბა', 'ორმო'.

---

[1] ნ. მარრი, Средства передвижения, орудия самозащиты и производства в до-истории (К увязке языкознания с историей материальной культуры, ლენინგრადი 1926.) გვ. 3. მისივე Из Пиренейской Гурии (К вопросу о методе), Известия КИАМ, ტ. V. ტფილისი, 1927 წ., გვ. 18—19 etc.

[2] ნ. მარრი, В тупике ли история материальной культуры, გვ. 94. ან ხსენებული: Origine iaphétique de la langue basque, გვ. 323.

[3] ხსენებული, Новый поворот по яфетической теории, გვ. 671.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934

ი. მარრი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის [1]

ამ შენიშვნაში მე მხედველობაში მაქვს კარგად ცნობილი ხანა:
ესე ამბავი სპარსული ჭართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი პელის-კელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვა, საქმე ვქმნა საჭოჭმანები:
ღ ჩემმან ხელ-მჭნელმან დამმართოს, ლალმან და ლამაზმა, ნები

ხოლო კერძოდ კი—მისი მეორე პწკარი, რომელსაც ნ. ი. მარრი ასე სთარგმნის რუსულად:

„Как редкую жемчужину, ее хочется лелеять [„перекатывая] с руки на руку“.

ნ. ი. მარრის[2] მიერ მოცემული ლექსის დადგენა-თარგმანში ან მის ახსნა-განმარტებაში ჩვენ ვერავითარ ცვლილებას ვერ შევიტანთ. ლექსის ზოგადი აზრი სავსებით ნათელია. მაგრამ მასალა, რომელიც მე მომიგროვდა ლექსში მოხსენებულ ტერმინებთან დაკავშირებით, ღირსია გამოქვეყნებულ იქნეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმედ აფართოებს და აღრმავებს შოთას მიერ გამოყენებულ სახეობას, ქმნის რა უფრო კონკრეტულად მის გაგებას, არამედ იმიტომაც, რომ თითქოს უნდა ხსნიდეს ახალ გზებს ტექსტის ცალკეული ადგილების განსამარტავად.

რომ არ გაგვერთულებია ამ შენიშვნის დაბეჭდვის პროცესი, ჩვენ შევეცადეთ სპარსული შრიფტის გამოუყენებლად ჭართული ანბანით გადმოგვეცა ტექსტები და სიტყვები, რომლებიც ამ სტატიებში გვხვდება, რადგანაც ტფილისში ჯერჯერობით არც ანალიტური დამწერლობის ნიშნები მოიპოვება. რასაკვირველია, ასეთი გადმოცემა მხოლოდ დაახლოებითი იქნება და ზოგიერთი ნიშნის შესახებ წინდაწინ უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ასე, მაგალითად, ჩვენ ვღებულობთ ჳ-ს, მეგრულში მოკლე ხმოვნის აღმნიშვნელ ასოს, რომელიც ისმის სპარსულ ლიტერატურულ სადეკლამაციო თქმაში.

[1] პირველ ყოვლისა, მადლობა უნდა გადვუხადო ვ. ფუთურიძეს, რომლის დახმარებითაც ეს წერილი შედარებით ადვილი წასაკითხი ჭართულით იბეჭდება.

[2] Н. Я. Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже..., СПБ 1910, стр. 2, 8, 19.

ის გადმოგვცემს მოკლე ხმოვან ბგერას, რომლის გამოსახატავად ანალიტურ დამწერლობაში გადმობრუნებული ლათინური e 'ə' იხმარება. ამ ბგერას წარმოთხველი შეიძლება იცნობდეს აფხაზურიდან, ის აგრეთვე დაახლოებით უდრის სომხურ ը-ს.

რამდენად არის ის მოკლე,—ეს, რასაკვირველია, ჯერ კიდევ საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ის სხვა მოკლე ხმოვნებზე მოკლე არ არის, მაგრამ მითგან იმით განირჩევა, რომ არასოდეს არ ესმის მახვილი.

კოლექტივისათვის, რომელიც მეტყველების უმარტივეს ერთეულად ბგერას ხმარობს, ძნელია ორიოდე სიტყვით ისეთი წერის ლექსთაწყობის სისტემის გადაცემა, სადაც მეტყველების უმარტივეს დაუყოფელ ელემენტად ორი თანხმოვანი ან, როგორც ჩვენ ვიტყოდით, დახურული მარცვალი ჰქონდა წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენ ვერ უკუვაგდებთ ევროპულ მეცნიერებაში მიღებულ გრძელ და მოკლე ბგერების აღნიშვნებს, რამდენადაც ისინი პრაქტიკულად უფრო გასაგებია მკითხველისათვის.

მოკლე ხმოვანს წარმოადგენენ ̈ა, ე, ო, ɨ, რომელთაგანაც პირველი დაახლოებით უდრის სვანურ ̈ა-ს[1]. გრძელი იქნება ა, უ, ი.

ეზაფეთის ნაწილაკი ე და კავშირი ო [პროზაში ვა || ვო] მოკლეც შეიძლება იყოს და გრძელიც[2].

სპარსული ყაფ და ყეინ[3] მე პირობითად მაქვს გადმოცემული ქართული ყ-ს საშუალებით.

ახლა გადავიდეთ თვით შენიშვნაზე.

1925 წლის დამლევს ჟურნალ ირან შაჰრ-ის ორ უკანასკნელ წიგნაკში (№№ 699—704 და 747—765) მოთავსებული იყო სტატია სპარსეთის უბეში მარგალიტის სარეწაოების შესახებ. მისი ავტორია ამ მხარის კარგი მცოდნე აგა-*მირზა - მოჰამმ ̈ად- ̈ალი ხან - სედიდ- ოსსალთან ̈ა - ფურე -ჰაჯი- ̈ა ̈ჰმად- ხან-ქა ̈ბაბი.* 762 გვერდზე ის წერს: „*მარგალიტის ხარისხები. ყოველ ხარისხს მიკუთვნილი*

---

[1] როცა ̈ა სიტყვის ბოლოშია, მაგალ. სიტყვაში ფ ̈ა რ დ ̈ა 'ფარდა', 'ყალამქარ', ეს ხმოვანი უფრო დახურულად გამოითქმის ყველაზე უფრო სტანდარტული ტიპის ლიტერატურულ გამოთქმაში—ა ←→ ე, თითქმის როგორც ე. საერთოდ კი მისი გამოთქმა ძალიან ფართოა ̈ სახლვრებში მერყეობს თითქმის ა—დან ვიწრო ე—მდის. მაგრამ ჩვენ მიკილეთ დამწერლობა ̈ა, რათა არ მოხდეს ალრევა ეზაფეთის ნაწილაკის აღმნიშვნელ ე—სთან, რომელსაც არასოდეს არ აქვს მახვილი და რომელიც ზოგიერთი ტიპის გამოთქმაში, როცა მოკლე რედუქციას განიცდის, ე. ი. ɨ-თ იქცევა ხოლმე.

[2] უფრო დაწვრილებითი ცნობები ლექსთაწყობის შესახებ იხ. ვ. ს. ფ უ თ უ რ ი ძ ე, სპარსული ტრესტომათია, რომელიც მეცნიერ. საკავშ. აკადემიის ა/კ ფილიალის გამოცემებში იბეჭდება, და ჩემი სტატია Отражение фонетики стиха в персидском письме (ამონაკრები ამ წერილიდან ჩემი თანხმობით მაგრამ ჩემი მონაწილეობის გარეშე გაუკეთებიათ და უჩემოდ კორექტურად დაუბეჭდიათ ს. ფ. ო ლ დ ე ნ ბ უ რ გ ი ს პატივსაცემად გამოცემულ კრებულში, 323—335 ცვ., ისე, რომ არ აღუნიშნავთ, რომ ეს ამონაკრეფია).

[3] მათი გამოთქმის შესახებ იხ. ჩემს სტატიაში: „О произношении ع || ق в живом персидском". მეც. საკავშ. აკადემიის ა/კ ფილიალში დასაბეჭდად გადაცემულ ჩემს კრებულში—„Сборник статей, сообщений и заметок".

აქვს განსაკუთრებული სახელი. პირველი ხარისხი—ჯიავან..., რომელიც სხვა ხარისხების მარგალიტებზე უკეთესი და უფრო გამჭვირვალეა, განსაკუთრებით თუ ის ყალთან-ია [რუსულად შეიძლება გადავთარგმნოთ скатный-თ, ხოლო ქართულად კი არ ვიცი „საგოგმანები“-ს გარდა რა შეიძლება კიდევ ვიხმაროთ], ე. ი. რომ დაიდვან ხელისგულზე, ის გორაობას [ყალთიდა] დაიწყებს. შემდეგი ხარისხი ჯაჭა-ს [სიტყვა-სიტყვით 'უნიკუმ'-ის] სახელით არის ცნობილი“.

ა. სემიონოვის[1] საფუძვლიან ნაშრომში ჩვენ არანაკლებ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ მარგალიტის შესახებ. „მარგალიტის საუკეთესო ფორმა მრგვალია (არაბ. მუდაჰრაჯ, სპარს. დორრე ყალთან)“,—წერს ის მე-305 გვერდზე. უფრო ქვემოდ იმავე გვერდზე ის ამბობს:

„მარგალიტის შეფასება წონის მიხედვით ხდება, მასთან საუკეთესო ხარისხის მარგალიტი, რომელსაც ტოლი (საწყვილო) არა ჰყავს (მათ სწორედ «ობოლსაც» ეძახიან), მისხალს ან მეტს იწონის, ძალიან ძვირად ფასობს“.

ზოგიერთ საისტორიო ქრონიკაში იხსენიება ასეთი მარგალიტი-ობოლი აბბასიდთა ყოფილ საგანძურში: ის იწონიდა სამ მისხალს და მოპოებული იყო სპარსეთის უბეში, კუნძულ ხარაჭ-ის[2] ახლოს“.

ამრიგად გამოთქმა 'ობოლი' და ყალთან-'скатный', რომლის ქართული ექვივალენტი მოცემულ ლექსში 'საგოგმანები' უნდა იყოს, მიღებულია სხვადასხვა სახის მარგალიტების გამოსახატავად გამოყენებულ ტერმინოლოგიაში, რომელიც შეიძლება ტექნიკურ ტერმინოლოგიად ჩაითვალოს[3].

ტერმინი 'ობოლი' ქართულში სწორედ მარგალიტის შესახებ იხმარება: შ. ამირანაშვილმა მიმითითა მე შემდეგ ადგილზე მზითვის წიგნში (საისტ. მოამბე II, 1925, გვ. 136): „ერთი პატიოსანი კავსაკრავი ას და ოთხის ობოლის მარგალიტითა“.

კიდევ მეტიც. 'ობოლი' იხმარება როგორც ცალკე დამოუკიდებელი სახელი ქვისა: ს. ქაჯაბაძის „საისტორიო კრებულიდან“ IV, 62 (1929 წ. გამოც.) ჩვენ ვგებულობთ, რომ სახელგანთქმული ხახულის ხატი გელათის მონასტერში, როგორც გადმოგვცემს თავის მოგზაურობაში ბატონიშვილი იოანე, შემკული იყო, სხვათა შორის, სამი დიდი თვალით, რომელთაც ერქვათ კედელა, ობოლა და შედემა. ეს თვლები დაიღუპა 1860 წ. ხატის გაძარცვის დროს. ხალხურ გადმოცემებს ეხლაც ახსოვს ეს ძვირფასი თვლები.

---

[1] *А. Семенов, Из области воззрений мусульман Средней и Южной Азии на качества и значение некоторых благородных камней и минералов, Мир Ислама, I, 3, СПБ 1913.*

[2] *მცირე კუნძულია ბანდარ-ბუშირ-ის პირდაპირ სპარსეთის უბეში.*

[3] სიტყვა 'ჯათიმათუ' არაბულში 'უნიკალური' ან 'იშვიათი მარგალიტის' მნიშვნელობით იხმარებოდა თხზულებათა ტიტულებში; გავიხსენოთ თუნდაც სახელგანთქმული ჯათიმათუ დდჰრ, რომელიც სსალიბი-ს ეკუთვნის.

სპარსულ ლიტერატურულ თქმაში ჲათიმ 'ობოლი' ჩვეულებრივ იხმარება შემდეგ გამოთქმაში: დორრე ჲათიმ. როგორც ჯონსონის ლექსიკონი განმარტავს, ეს (ან მისი ექვივალენტი ჲაჭდანა [შდრ. ზემოდ 'მარგალიტის ხარისხი ჲაჭქა'] არის „იშვიათი, დაუფასებელი მარგალიტი. [მეტაფორიულად] მოჰამედი". მაგრამ სპარსულშიც შეიძლება ჲათიმ ამ მნიშვნელობით იხმარებოდეს დამოუკიდებლად, ან თითქმის დამოუკიდებლად. ასე, მაგალითად, ჲათიმე დარჯა [სიტყვა-სიტყვით 'ზღვის ობოლი']—მსხვილი მარგალიტი, რომელსაც გადალი არა ჰყავს (ვულერსი).

გამოთქმა 'ობოლი' და მისი დერივატები არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმისათვის, რომ გავიგოთ მათი ზედმიწევნობა და ერთმანეთთან კავშირი. ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მარგალიტის 'скатность' ს ან 'სიმრგვალეს', შინაარსით რამდენადმე უფრო ფართოა, და მას ჩვენ უფრო დაწვრილებით გავარჩევთ.

გასარჩევი სიტყვა ჩვენ შემდეგნაირად გვაქვს გადმოცემული ქართული ასოებით: ყალთ. სპარსულ დამწერლობაში მას ჩვეულებრივ ყეინ-ით სწერენ. სპარსული დამწერლობა შესაძლებლობას იძლევა ორი სხვადასხვა ნიშნით იქნეს გადმოცემული თ. ეს ნიშნები ორ სხვადასხვა თანხმოვანს, თ-და ტ-ს გამოხატავდენ არაბულში, და შეიძლება არა მარტო არაბულშიც. უახლეს მართლწერაში დამკვიდრდა წერა თაჲ მოთალლაჯ-ით (რომელიც არაბულში ქართ. ტ-ს შესატყვისობას გამოხატავს, ზოგიერთი ხარისხობრივი და რიცხვობრივი განსხვავებით, ხოლო სპარსულში—იმავე თ-ს); ეხლანდელი ნაციონალისტური ტენდენციის გამო, რომელიც ცდილობს გაწმინდოს სპარსული ენა არაბულისაგან, პირიქითად უნდა შეიცვალოს. მართლწერას თაჲ მოთალლაჯ-ით ისეთი მკოდნე ენისა, როგორიც არის შაჰ-ნამეს ლექსიკონის ავტორი [XVII ს. ნახევარია], როგორც ჭვემოდ დავინახავთ, ჩვეულებრივ შეცდომად, უცოდინარობად თელის. მაგრამ საკითხი იმის შესახებ თუ ყოველთვის ასეთი მართლწერა დადგენილი წესების უცოდინარობით იყო გამოწვეული, ან იყო შეიძლება დრო და წრეც ისეთი, სადაც მას შეგნებულად ხმარობდენ და გამართლებაც ჰქონდა—ეს საკითხი ჯერჯერობით უპასუხოდ გვრჩება. ხოლო ასეთი საკითხის წამოყენება ჩვენ უკვე შეგვიძლია და კიდეც უნდა დავსვათ ის. ლიტერატურული სპარსული ენა იმ სახით, როგორთანაც ჩვენ საქმე გვაქვს, წარმოადგენს უმაღლესად განვითარებული ენის ტიპს, რომლისაგანაც ჩვენ აღარ უნდა მოველოდოთ დიდ მრავალფეროვნობას ფონეტიკური სტრუქტურის მხრივ. ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ სპარსულ ენაში, მისი განვითარების ადრინდელ ეტაპებზე, არ ყოფილა სამრიგოვნობა (ტ დ თ და სხ.). უფრო მეტიც, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ ამის საწინააღმდეგო. რომ არ ვილაპარაკოთ ისეთს შემთხვევებზე, როგორიც არის ორთოგრაფია „წმინდა სპარსული" სახელის თაჰმურას [სადაც თ გადმოცემულია თაჲ მოთალლაჯ-ით, ხოლოს აგრეთვე გამოხატულია ნიშნით, რომელიც თავის დროს მიუთითებდა ბგერაზე, რომელიც ეხლანდელ სპარსულში არ მოიპოვება], მე უკვე მიუთითებდი ზემოხსე-

ნებულ ჩემს წერილში „Выражение фонетики стиха...“, გვ. 334, შენიშვნ. 3, რომ თუ კი სპარს. ქალაქელი მოსახლეობის ენაში «სროლაც», «ისარიც» და «დარეც» გამოიხატება სიტყვით 'თირ', სამაგიეროდ ხორასნელი ქურთები «ვაზნას» ეძახიან 'თირ', ხოლო «სვეტს»—'ტირ', როგორც გადმომცა ო. ლ. ვილჩევსკიმ.

რატომ არ შეგვიძლია ჩვენ დაუშვათ, რომ ასეთს შემთხვევებში ერთი არაბული ნიშანი იყენებოდა ხოლმე თ-სთვის, მეორე კი ტ-სთვის, როგორც ეს ხანდახან კიდეც ხდება აბასთუმნის ახლოს მცხოვრებ და არაბული წერა-კითხვის მცოდნე თურქთა შორის.

მთელი უბედურება ის არის, რომ ცნობებს გლეხურ ენათა შესახებ ჰკრეფდენ მეტად სინიდისიერი და ზოგჯერ პედანტობამდის წესიერი მკვლევარნი, მაგრამ არცერთი მათგანი პრაქტიკულად არ იცნობდა იაფეტური სისტემის არც ერთ ენას. ამიტომ, რაც უნდა კეთილი სურვილი ჰქონოდათ, მათ არ შეეძლოთ დამოუკიდებლად გარკვეულიყვნენ—თ-ს თუ ტ-ს არტიკულაციასთან გვაქვს საქმე ამა-თუ-იმ შემთხვევაში. ხანდახან საუკეთესო მკვლევარნიც კი ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან ყ-ს და ქ-ს (ან მის მუღერ ექვივალენტს გ-ს), თუმცა ისინი განსხვავდებიან ლიტერატურულ ენაშიც.

ბგერა პ (ლიტერატურულ ყ-ს ნაცვლად), რომელიც დამახასიათებელია სამხრეთ სპარსეთისათვის (შირაზი, ჭაზერუნი, ბუშირი, აგრეთვე იეზდი; ბახთიარული გამოთქმა) ევროპელ მკვლევართა მიერ კვალიფიცირდება როგორც ხ. მე მგონია, რომ მხოლოდ ძველი სკოლის შემბოჭავი და ცოცხალ მიდგომისათვის ხელის შემშლელი გავლენით შეიძლება აიხსნას შემდეგი უცნაური გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთში განათლებული სომხების დიდი პროცენტი ცხოვრობს და მათ შორის მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც საკმაო მომზადება აქვსთ და განსაკუთრებული ყურადღებითაც მუშაობენ სპარსულ ენაზე, არც ერთს მათგანს არ მოუცია მაინც ნარკვევი სპარსული ფონეტიკის შესახებ სომხური ფონეტიკიდან გამოსვლით. ასეთი ნაშრომი ჩვენ ჯერ არ მოგვეპოება. თავი რომ დავანებოთ ამ საკითხსაც, გვაქვს თუ არა ჩვენ საუბრო სპარსულ ენაში (ან მის გარკვეულ ფენებში) ჰ და ფ, ან ტ და თ, რატომ არავის არ გამოუკვლევია, ნამდვილად არსებობს თუ არა მასში (სპარს. სასაუბრო ენაში) განსხვავება ք და ჸ-ს შორის, რომელზედაც მე არაერთხელ მიმითითებდენ სომხები, და თუ ნამდვილად არსებობს—გრძნობენ თუ არა მას თვით სპარსელები?

ნამდვილად ახალ შედეგებს და აღმოჩენებს ამ დარგში ჩვენ მოველოდით მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდა ძალები, შეითვისებენ რა კვლევის მეთოდს და ტექნიკას, ხელს მოჰკიდებენ ამ საქმეს, ანდა როცა თანამედროვე მკვლევარნი შეიგნებენ თუნდაც ერთი იაფეტური ენის შესწავლის საჭიროებას და ახალი თვალსაზრისით მიუდგებიან საქმეს.

დავუბრუნდეთ თვით ტერმინს.

შაჰ-ნამეს ლექსიკონში ყალთან სიტყვის ქვეშ ვკითხულობთ:

„ყალთიდან ნიშნავს [ოსმალურად] ²უვარლანმაქ [=გორება, (წა)ქცევა] და თექერლენმექ [=გორება, წაქცევა] [დამწერლობა] ყალთიდან [თავე მოაღლა ჭ-ით] ჩვეულებრივი შეცდომაა“.

სქემა: ა — —|ა — —|ა — —|ა ⏑

ქე ფიშე ჯავანი ბაჭი მარდე ფირ
აზ აფრაზე ყალთონ შოდ აზ ბიმე თირ
...რომ ყმაწვილის წინ ერთი მოხუცი
მაღლიდან ჩამოგორდა ისრისა შიშით.

გარდა ამისა, იქ მოყვანილია ფორმები ყარათიდან, ყათიდან და ყალიდან.

ასადის ლექსიკონი (XI ს. ნახევარი) სიტყვა ყალთის [თუმცა გახმოვანება მოყვანილი არაა] ასე განმარტავს: ეს [არის] ყალთიდან ონსორიმ სთქვა [პოემაში ვამეყ და აზრა]:

სქემა: ა — —|ა — —|ა — —|ა ⏑

ზე ფიშაშ ბაყალთიდე სამეშ ბახაქ
ზე ხუნე დელაშ ხაქე ჰამრანგე ლაქ.

მის წინ სამეში ჩამოგორდა მიწაზე [ან 'გორავდა მიწაზე']
მისი გულის სისხლისაგან მიწა „ლაქ"-ისფრად გახდა[1].

ასე ხსნიან ამ სიტყვას ძველი თარგმანებითი ლექსიკონები. ამ ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობის[2] გულდასმით გარჩევის დროს ცხადად იკვეთება სემანტური რიგი 'ცა'→'წყალი' მათი ჩვეულებრივი დერივატებით.

[1] თანამედროვე სიტყვახმარებაში „ლაქ" ჩვეულებრივად ნიშნავს 'ლუქს', ლაქი, როგორც რ. ა. გალუბოვი აღნიშნავს თეირანისათვის (იხ. ჩემი ლექსიკონი, s. v.), 'ლუქის' ფერია. მხოლოდ შაჰრუდ-ისათვის მე ჩაწერილი მაქვს ლაქი=გოლი=ათში=Laque garance. მაგრამ ლაქ-ს აგრეთვე რაღაც წითელი საღებავის მნიშვნელობაც აქვს. იგივე ლექსიკოგრაფი ამ ტერმინს სხვა ადგილას ლაქ, ლაქა და ლაქ—სიტყვების ქვეშ შემდეგნაირად განმარტავს: „'ყვერლა ეს—ერთგვარი წითელი ფერია [ან საღებავია], რომელსაც ძახტერები ხმარობენ". მაგალითისათვის იმ ვე ლექსის ვარიანტია მოტანილი.

[2] ამ მნიშვნელობათა კლასიფიკაცია და მათი განვითარების ძირითად მიმართულებათა განხილვა გადმოცემულია ნ. მარრის ორ წერილში: О 'небе', как гнезде пра-языческих верований (ДАН 1924, გვ. 23—26) და Из семантических дериватов 'неба' (იქვე, გვ. 27—28)'

უკანასკნელი სტატიის ბოლოში ის წერს: „'ე'-ს გახმოვანებით ამ სიტყვას [ბასკ. გორა 'მთა', გორა], უეჭველად ჰქონდა 'თავი'-ს მნიშვნელობა თვით ბასკურში, რის გამოც ბასკური გურ-ტუ' გურ-ცენ 'თავის-დაკვრა' სიტყვა-სიტყვით — 'თავის-დახრა' (შდრ. ქართ. თავ-ი და-უ-კრა) აქედან გურ←კურ 'თავის-დაკვრა', 'სალამი', განსაკუთრებით ა-გურ (←* ჰა-გურ) 'სალამი შენ' სიტყვა-სიტყვით პალეონტოლოგიურად 'შენ თავი' 'თავ'-ისაგან—'ბურთი', 'ბურთობი', სომხურ ში შიშინა ჯგუფიდან დიალექტური ნდ (← ნჯ) ←რ: გუნდ." ამ სიტყვების შემდეგ ნათელი ხდება სპარსეთში ქალაქებს გარედ გავრცელებული მასალმება—'ოყორ-ათ' ოყურ-ათ ბე ხუდრ' (იხ. ჩემი სპარსულ-რუსული ლექსიკონი) ინგლისელი სპარსოლოგები, როგორც, მაგალ. ე. ჯ. ბრაუნი თვის წინგში 'ერთი წელი სპარსელთა შორის' (რომელიც ხელთარ მაქვს), რამდენადაც მახსოვს, ამ სიტყვაში ხედავენ ლათინურ augurium-ს, მით უფრო, რომ ქალაქურ ენაში, შეიძლება ლიტერატურული ოყურ-იც კი 'წინასწარმოსწავება'-ს ნიშნავს. აქ თუ კიდევაც არის კავშირი, ის, რასაკვირველია, სულ სხვა ხასიათისაა. ვიდრე ფიქრობდნენ ისინი, ვინც ამის შესახებ წერდა. რამდენიმედ სხვა ფორმით, მაგრამ იმავე ფუნქციის მქონედ ეხვდებით ჩვენ ამ ტერმინს აბასთუმნელ თურქთა გამოთქმაში 'უყურ ოლსუნ'. 'თავი'—'ბურთობი' 'ბურთი'-ის ხაზით სპარსული ენა უმდიდრეს მასალას იძლევა: გონდ testis, testiculus. გონდა ჩვეულებრივად ნიშნავს 'მსხვილს', 'დიდს'; მაგრამ არსებითად შეიცავს 'სფეროს'-ს ცნებას, რაც თუნდაც მის შემდეგ მნიშვნელობათაგანაც ჩანს: 'ხორცისგან გაკეთებული ბურთულები' 'ტრიკათელები', ცომის გუნდი' 'ბურთი (ან გორგალი) მატყლისა'. არ უნდა დავივიწყოთ ტერმინი გონჯ-იც, რომელსაც ვხედავთ სიტყვაში: გონჯეშქ 'ბეღურა'. ნარინაა რ-ს დაწვით ჲ-თად ჩვენ გვაქვს გუჲ [არქაული გოჲ] 'ბურთი'.

ყალთაქ [||ყალთანბაქ] 'ურმის თვალი, ჭის ჩარხი' (ჯონსონის ლექსიკ.) [და იგივე სიტყვა თაჲე მოალლაფ ით] „ბორბალი, მორგვი, ჭალი“ (იქვე[1]. ყალთა ჭანდრის ხე (ჯონს). ყალთბან საგორებელი, რომლითაც სახლის ბანს, სახურავს ტკეპნიან (ჯონს.). ყალთ ზა დან=გორება, დაგორება.

მაგალითად:

აზ თარაფე დიგარ აბშარი ბა ქამალე ვეყარ ვა აზამათ აზ დამანაე ქუჰ საარაზირ გაშთა ბარ რუჲე თახთასანგჰაჲე ყავი ყალთ მიზანად.—მეორე მხრიდან ჩანჩქერი, სრული დიდებით და ახოვნებით წამოსული მთის კალთებზე, ეცემა [ქვემოდ] მძლავრ კლდეებზე[2].

ან როგორც ყაჯართა ჰოეტის მაჰმუდ-ხან-მალექ-ოშშარა-ს ოდის პირველ ლექსშია[3]

აზ ქუჰ	ბარ შოდანდ	ხორუშონ სა	ჰაბჰა
ყალთონ შო	დანდ აზ ბა	რე ალბორზ	, აბჰა

მთიდან ქუხილით წამოდგა ღრუბლები,
ელბორზიდან დაეშვა წყლები.

ყალთიდან ნიშნავს 'გორებას'[4] (მაგალ. მოკვეთილი თავის შესახებ), როგორც შამს-თაბრიზი-ს შემდეგ ლექსშია:

ჩო დარ რაჰ	ბე ბინი	ბორიდა	სარი
ქე ყალთონ	რა ვად სუ	ჲე მეჲდა	ნე მა

თუ დაინახავ გზაზე მოჭრილ თავს,
რომელიც მოგორავს (სიტყვა-სიტყვით 'გორებით მოდის')

---

[1] აქ აღარ ჩამოვთვლი ყველა იმ ფორმებს, რომლებშიც გვხვდება ტერმინი გარდ, და ყველა მის მნიშვნელობას: გარდუნ 'ცა'→'ბორბალი', 'ნრეში'. გარდიდა 'ბრუნვა' და სხ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ისიც, ბუნებრივად, გამოსჭვივის მარგალიტთან დაკავშირებით შემდეგ გამოთქმაში: გარდე ჲათიმი 'მარგალიტის ბრჭყინვა, ციალი', როგორც ხსნის ვულერსი (Bh).

[2] ნაწყვეტი ამოღებულია რომანიდან სოლთანათ, რომელიც ა. დიუმას რომანის „Sultanetta“ სპარსულ თარგმანს წარმოადგენს, თვით „Sultanetta“ კი თარგმანია ბესტუჟევ-მარლინსკის თავის დროზე სახელგანთქმულ „ამალატბეკისა“.

[3] ციტატა მომყავს ჟურნალ აჲანდა-ში მოთავსებული ტექსტის მიხედვით, II (1927 № 3—4, გვ. 330.

[4] 'წყლის' ცნების არსებობის შესახებ სხვადასხვა ზმნებში, როგორც მოძრაობის, ისე წყლის შეთვისების, ე. ი. შესმის მნიშვნელობით, იხ. ნ. მარრის Египетский, шумерский, китайский и их палеонтологические встречи,—ДАН, 1927, стр. 82—83. იქ მოყვანილი ჭართ. ცურაა ↔ ცორავს (უკანასკნელი, კერძოდ, 'ნარნარით მოძრაობს' მნიშვნელობით) და სომხური სურ-ალ 'ნარნარით მოძრაობა' მკაფიო შესატყვისობას პოულობს სპირანტული შტოთი აწევით ჰ/ხ სპარსულ სიტყვაში ხორამიდან (ნარნარად) მოძრაობა, (ნარნარად) სვლა'. იგივე ტერმინი,—ზოგიერთ ფენაში და მათ შორის, როგორც ეს შეგვიძლია დავასკვნათ მთელ რიგ ფაქტებიდან, ფერდოვსის ენაშიც, გაორებით ო→ვა—, ხორდან|ხვარდან, რაც ნიშნავს 'სმა' ↔'ჭამა'.

ჩვენსკენ [სიტყვა-სიტყვით 'ჩვენ მინდვრისაკენ'] [1]...

დასასრულ, სიტყვა ყალთან ნიშნავს 'მრგვალი'. ჯონსონის ლექსიკონი იძლევა შემდეგ მნიშვნელობას: „ყველაფერი მრგვალი. მარგალიტი", და თავე მოალლაფ ით დაწერით კიდევ უმატებს ორ მნიშვნელობას: 'გორაობა' და 'კოტრიალი'. ამ სიტყვის გამოყენება პოეზიაში მარგალიტის სახელის ყველა სახეობასთან ერთად, მაგრამ უფრო ხშირად ლულუ და დორ||დორორ ფორმებთან ერთად, იმდენად ჩვეულებრივი რამ არის, რომ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ერთი მაგალითით, რომელიც ზეპირად მომყავს. ეს არის ამირ-ხოსრო-დეჰლავის [XIII ს. დასასრული და XIV ს. დასაწყისი] დივან—ყორრათ ოლ ქამალ-იდან ამოღებული ღაზელის ერთი ტაეპი:

ნეგუსარ შა	ხჰაე საბ	ზე გუი დორ	ჰამი ჩინად
ზე ბას ქაბრე	დორაფშონ ლუ	ლუე ყალთონ	ჰამი ბარად

ამით ვამთავრებ ჩემ შენიშვნას და დასასრულ უნდა ვთქვა, რომ სამწუხაროდ უკანასკნელად ტფილისში ყოფნის დროს შეძლება არ მომეცა მენახა იქაური ჯავაირჩები და გამომერკვია—ხომ არ იყენებდენ ისინი თვის წარმოებაში ჩვენთვის საინტერესო ტერმინებს ამა-თუ-იმ ფუნქციაში?

აბასთუმანი. მარტი 1934 წ.

---

[1] Nicholson, RA. დივანე შამსე თაბრიზ (რჩეული ლექსები) კემბრიჯ 1898, გვ. 8 ტაეპი 3.

ი. შრანგ-კამენეცკი

„მადლიერი მკვდარი"

კრებული „ტრისტან და ისოლდა"[1] უკვე აწყობილი იყო, როდესაც პირველად მეცა თვალში ის ფრიად დიდი ერთობა—არა მარტო სუჟეტის ძირითადი სტრუქტურისა, არამედ მთელი წყება დეტალების მხრივაც—რომელიც აქვსთ ერთმანეთთან „ტობიას" წიგნს (დაბადებაში) და ქართულს—„სოვდაგრის შვილს"[2] ზღაპარს. ეს ზღაპარი, სხვა ზღაპრებთან ერთად, მოტანილი აქვს მ. გ. წერეთელს,[3] ვით შესადარებელი მასალა სუჟეტებრივი ანალოგიის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ თემატიკურ კრებულს სწორედ ეგ საკითხი იყო რომ საფუძვლად დაედო.

ამ ორი მოთხრობის შედარება საშუალებას იძლევა ახალი თვალსაზრისით გაშუქდეს ერთი დეტალი, რომელიც უყურადღებოდ დავტოვე „ტობიას" წიგნის გადახილვისას დასახელებულ კრებულში[4]. დაბადების მოთხრობაში, სადაც დახასიათებულია ტობიას კეთილმსახურება, ტობიას განსაკუთრებულ დამსახურებად მიჩნეულია ის გარემოება, რომ იგი მარხავდა ასურთ მეფის მიერ დახოცილ იუდელთ[5], თუმცა ამის გამო მისი კეთილდღეობა ძალზე ზარალობდა. აღნიშნული წერილის წერის დროს მე ისე მეგონა, თითქო აქ საქმე ეხებოდა წმიდა საყოფაცხოვრებო მოვლენას, რასაც ვითომ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა „ტობიას" წიგნის სუჟეტის ანალიზისათვის. ამ სუჟეტის დეტალური შედარება ქართულს „სოვდაგრის შვილის" ზღაპართან ცხად-ჰყოფს, რომ მკვდრის დამარხვის მოტივი „ტობიას" წიგნშიც სუჟეტებრივი აღნაგობის ორგანიულ ნაწილს შეადგენს, თითქმის სულ მასზეა დამოკიდებული მოთხრობის შემდეგი განვითარება. თანაც ირკვევა ანგელოზის, ვით კეთილისმყოფელი თანამგზავრის, როლიც: აქ იმალება—დაბადების მოთხრობის მონოთეისტური რედაქციის გაელენით სახეშეცვლილი—ძალზე გავრცელებული საფოლკლორო მოტივი, რომელც სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივად „მადლიერი მკვდრის" სახელით გვხვდება.

[1] Тристан и Исольда. Труды ИЯМ II, 1932.
[2] თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზ_აპრები, ქართლში შეკრებილი, გვ. 139.
[3] Тристан и Исольда, გვ. 164 შდგ.
[4] იქვე, გვ. 77 შდგ. გვ., 79—83.
[5] ტობიასი 1_{17} შდგ.; 2_{3}—$_{7}$.

„ტრისტან და ისოლდა"-ს კრებულში ჩვენ შევიცადეთ დაგვენახებია, რომ სუჟეტი ისეთ სემანტიკურ ფორმულაზე აგებული, რომლის ძირითადი ელემენტებია 'სიკვდილი', 'განკურნება' და 'სასიყვარულო შეერთება', არა ერთგზის ტრანსფორმაციას განიცდის, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება სოციალ-ეკონომიური წყობილება და ფორმაციები და, მაშასადამე, რა ცვლილებები ხდება საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც. ამ გზითაა, რომ პატრიარქალ-საგვაროვნო წყობილებისა და ფეოდალიზმის მიჯნაზე ხშირად ჩნდება ფაბულა, რომელიც ასე გავრცელებულია მრავალ ერთა ზღაპრებრივ ლიტერატურაში. აი ამ ფაბულის ძირითადი მოტივები. მამის დასნეულება გმირს აფიქრებინებს გასწიოს სიცოცხლის წყაროს წყლის საძებრად. ასეთი წყლის შოვნა შეიძლება ქალისაგან, გველეშაპს რომ ჰყავს ტყეობაში. გზად გმირი უნდა შეეხეჩოს ამათუიმ ფანტასტიკურ არსებას, რომელიც მას შველის ძიებასა და ბრძოლაში საშინელებასთან. გამარჯვებულ გმირს მოაქვს მამასთან სიცოცხლის წყაროს წყალი და თითონ შეეულლება გამოხსნილ ქალს. „ტობიას" წიგნში, ვით დასახელებულ ქართულ ზღაპარშიც, სუჟეტმა განიცადა შემდეგი მოდიფიკაცია იმ იდეოლოგიის გავლენით, რომელიც აღმოცენებულა საქალაქო ყოფაცხოვრებისა და ფულებრივ ურთიერთობათა ნიადაგზე. ამის ძალით გველეშაპთან ბრძოლის მოტივი მიიჩქმალა და ქორწინების სემანტიკასთან დაკავშირებული 'ნაყოფიერებისა' 'პოვნიერებისა' წარმოჩნდა ფულით გამდიდრების სახით. ტობია[1], ვით ქართული ზღაპრის სოვდაგრის შვილიც, გზას რომ დაადგება, არ ფიქრობს არც განკურნებაზე, არც შეულლებაზე. ორიეე განზრახულობაა გარკვეული კომერციული ოპერაციის სრულყოფა: ერთს შემთხვევაში საქმე ეხება ვალის წიგნით ფულის გადახდევინებას, მეორეში—სავაჭრო მოგებას. მაგრამ ორსავე მოთხრობაში, გმირის ზრახვებისდა მიუხედავად, მოგზაურობა თავდება შეულლებით და ძალის განკურნებით, ზესთაბუნებრივ ძალას რომ ჰყავდა შებოჭილი. თანვე კეთილისმყოფელი თანამგზავრი, რომელსაც ზედვე შერჩენია ზესთაბუნებრიობის კვალი, გამოდის მაჭსიმალურად რეალისტური სახით, მისი დამოკიდებულება-კი გმირთან გამოხატულია დაქირავებული შრომის ფულით ანაზღაურების ტერმინებში. „ტობიას" წიგნში ანგელოზი, კაცის სახით მოვლენილი, გარკვეული სასყიდლით თან სდევს გმირს, გზა-გზა ათასგვარ შველას აძლევს. ქართულ ზღაპარში „საწყალი კაცი", გმირის მიერ დამარხული მკვდრის სულად რომ აღმოჩნდა, მოსამსახურედ ჰყვება, მაგრამ ჩვეულებრივი ჯამაგირის ნაცვლად მას უნდა ერგოს მოგზაურობის დასასრულს მთელი მოგების ნახევარი.

ორთავე მოთხრობის მსგავსება თვალსაჩინოდ გამოსჭვივის მთელ წყება მოტივებში, რომელნიც წარმოდგენილი არიან მეტნაკლები თანმიმდევრობით. ორი მათგანი უკვე ზევით არის განხილული:

1. ორთავე მოთხრობში მოგზაურობის მიზანი გამდიდრებაა; ტობიას ეძლევა მიმისაგან სესხის წიგნი, სოვდაგრის შვილს ოცი ბაჯაღლო, ვით საქცევი თანხა. ორსავე მოთხრობაში მოგზაურობა თავდება არა ოდენ გამდიდრებით, არამედ შეულლებითაც.

[1] ტობია—შვილი.

2. გმირს გზაში ახლავს კეთილისმყოფელი თანაშემწე, რომელიც სამსახურს კისრულობს გარკვეული სასყიდლით. ორსავე მოთხრობაში ამ თანაშემწის უკან იმალება ზესთაბუნებრივი არსი (ანგელოზი, resp. მიცვალებულის სული), რომელიც ბოლოს გამოჩნდება.

3. ორსავე მოთხრობაში გმირის მოგზაურობა რთულდება ერთი ეპიზოდით, რაიც წყაროსთან ხდება. ტობიას, ტიგრის მდინარესთან მისულს, დაბანა უნდა; მაგრამ მდინარესთან გამოსული თევზი შთანთქმას უპირებს. ანგელოზის რჩევით გმირმა გამოჭკვეთა თევზს გული და ნაღველი (გული შემდეგ გამოიყენა აზმოდეოს დემონთან ბრძოლაში, ნაღველი—დაბრმავებული მამის, ტობიას, თვალის ასახილველად). ქართულ ზღაპარში საწყალი კაცი, სულად გადაქცეული, წყაროსთან მოფრინდება. წყლიდან გამოსულ ბაყაყს ნაწლევებიდან გამოართმევს ორს „გველის თვალს“. აქ ამ ეპიზოდს ეძლევა რუდიმენტალური ხასიათი იმ მხრივ, რომ მას მოქმედების განვითარებისათვის არ აქვს მნიშვნელობა და დეტალებშიც ეშჩნევა საგრძნობი დაშორება „ტობიას“ წიგნის სათანადო ეპიზოდთან. მაგრამ ორსავე მოთხრობაში კეთილისმყოფელი თანამგზავრი იჩენს მისდა განკუთვნილს ხელმწიფებას წყლის სტიქიაზე. ეგ სტიქია განხორციელებული ჩანს რომელსამე წყლის ბინადარ არსებაში. „ტობიას“ წიგნში ანგელოზი განარიენებს ტობიას თევზის ფათერაკისაგან. ქართულ ზღაპარში საწყალი კაცი იღებს წყალს წყაროდან, რომელიც წყლის ძიებაში დალუპულების (?) თავისი ქალებითაა შემორაგული.

4. ორსავე მოთხრობაში ქალს, რომელსაც შემდეგში შეეუღლება გმირი, ის თავისებურება აქვს, რომ მისი დაპატრონების წადილს თან მოსდევს სიკვდილი. „ტობიას“ წიგნის გმირი ქალი სარა უყვარს აზმოდეოს დემონს, რომელიც ჰხოცავს ერთი მეორეზე ყველა მის წინინდელ ქმრებს. ქართულ ზღაპარში ურჩხული არწივი, მზეთუნახავი წიაღში რომ ზის, ნთქავს ყველას, ვინც დედოფალს შეეხება საქორწინო სარეცელზე. აქ ძირითადი მოტივები საოცარ მსგავსებას იჩენენ, ამავე დროს დეტალები არსებითად სხვაობენ.

5. ორსავე მოთხრობაში გმირი კეთილისმყოფელი თანამგზავრის შეწევნით სძლევს მომტრე ძალას და ქორწინობს მის მიერ განკურნებულ ქალზე. ტობია განდევნის აზმოდეოსს შემონახული გულისა და ნაღველის ნაკვერცხალზე ახრჩოლებით. ქართულ ზღაპარში მზეთუნახავის განკურნება ხდება არსებითად განსხვავებული გზით: საწყალი კაცი წინადადებას იძლევა მოგზაურობის დასასრულს შუაზე გაიყოს ყოველი მონაპოვარი, კერძოდ მის მიერ მოპოებული მზეთუნაზავიც. ამით შეშინებული არწივი სტოვებს ქალის წიაღს.

მსგავსების აღნიშნული მომენტების გარეშე, განსხვავებულად გვეჩვენება, პირველი შეხედვით, ორსავე მოთხრობაში ფაბულის კვანძი. ქართულ ზღაპარში გმირი, რა გაივლის გზის ნაწილს, წააწყდება ორ მამაკაცს, რომელნიც ჰქირდავენ კაცის გვამს, საფლავიდან რომ ამოულიათ. გაიგებს რა რომ მკვდარს ჰგვემენ სიცოცხლეში ვალის გადაუხდელობისათვის, სოვდაგრის შვილი იძლევა მთელს თავის ოც ბაჯაღლოს და გვამს, ასე გამოსყიდულს მარხავს გაჩენილი წესით. მიიღებს რა, უკუქცეული, მამისაგან ოც სხვა ბაჯაღლოს, გმირი კვლავ დაადგება გზას და ამ ხელზე შეხვდება ერთ საწყალ კაცს, რომელიც მოსამსახურედ აედევნება და მის წარმატებას უზრუნველჰყოფს მოგზაურობის დროს. შემ-

დეგში ირკვევა, რომ ეს მოსამსახურე არა არის რა გარდა მიცვალებულის სულისა, სოვდაგრის შვილს რომ დაუმარხავს. საწყალი კაცის სახით ეს მოსამსახურე ირთავს მზეთუნახავს, რაკი გადაწყვეტს მოცემულ ამოცანას. მაგრამ მას არ შეუძლია მეუღლეს შეერთოს საქორწინო სარეცელზე, რადგან მკვდრის სული არის. მზეთუნახავს, როცა იგი განიკურნება, საწყალი კაცასცემს სოვდაგრის შვილს და, ყოველგვარ გასამჯელოზე ხელისამღები, აცხადებს, რომ მის მიერ აღმოჩენილი დახმარება დამქირავებლის მიმართ სხვა არა იყო რა, თუ არა სამაგიეროს გადახდა გვამის დასაფლავებისათვის, საფლავიდან რომ იყო ამოგდებული. ამრიგად სოვდაგრის შვილის შეხვედრა იმ პირებთან, საფლავიდან ამოგდებულ გვამს რომ ჰგვემდენ, სრულიადაც არ წარმოადგენს მიკერებულ ეპიზოდს. ამ პიროზებში გმირის საქციელი წინასწარ განსაზღვრავს მთელს მის მომავალ ბედს.

მოთხრობის სულ სხვა კვანძი ჩანს „ტობიას“ წიგნში. გმირის მამა დაბერდა და ღმერთს სიკვდილს შესთხოვს. ამავე დროს სარა წუხს, რომ ყველა მისი ქმრები იხოცებიან და ღმერთს ევედრება განკურნებისათვის. ორივე ლოცვა შეისმინა უფალმა და გზავნის ანგელოზს (რაფაილს) იმ დავალებით, რომ მოაცილოს ტობიას [1] თვალთაგან სითეთრე, გაანთავისუფლოს სარა აზმოდევსის ძალისაგან და მისცეს იგი ცოლად ტობიას ძეს. ანგელოზი გარდამოხდება ჩვეულებრივ კაცის სახით, და როდესაც ტობია [2] ქუჩაზე გამოდის—მამის წინადადებით, რომ თავისთვის თანამგზავრი იპოვოს, იგი შეხვდება ანგელოზს, რომელიც იქვე იდგა მისი მომლოდინე, და კაცად შეიცნობს. ამ სახით „ტობიას“ მთავარი მომქმედი პირების ბედი ისაზღვრება ღვთის ცნობიერი ნებით. აქ ჩანს მონოთეისტური ტენდენცია, დამახასიათებელი იუდელთა ტყვეობისაქეთი ლიტერატურისა: ამ დროს ბრალთგარდამხდელობის იდეა იგულვების არა მხოლოდ ერთა ისტორიული ცხოვრების ფარგლებში, არამედ კერძო ადამიანის ბედის ტრიალშიც. ყოველგვარი წარმატება ტობიასი, რომელსაც თან ახლავს ღვთისგან მოვლენილი ანგელოზი, არის საზღაური მისი მამის კეთილმსახურებისა, რომლის მთელი მორალური გამოხატულება მოცემულია ტობიას წიგნის I-ლ თავში. გმირის სარაზე დაქორწინება თითქო ბრძა ტობიას განკურნებაზე მიკერებულ ეპიზოდს უნდა წამოადგენდეს.

მაგრამ „ტობიას“ წიგნის იდეოლოგიური შინაარსი უეჭველად მიჩნეულ უნდა იქნეს ვით შედეგ სუჟეტის მერმინდელი ლიტერატურული გადამუშავებისა. განვითარების ადრინდელ სტადიაზე სუჟეტისათვის უცხო იყო დაბადების მოთხრობის მამორალიზირებელი ტენდენცია. და თუ ამ სუჟეტის ჩონჩხი არ ერთს დამახასიათებელ მოტივში ესატყვისება ხსენებულ ქართულ ზღაპარს, მაშინ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დაბადების რელიგიოზური შემეცნებისათვის ტობიური ანგელოზი მხოლოდ მეორადი მოვლენა უნდა იყოს. ალბათ მან შემდეგში დაიკავა იმ პერსონაჟის ადგილი, რომელსაც წინაპირველად არსებითად განსხვავებული იერი ჰქონდა. მაგრამ რომ უგულვებულვყოთ მოთხრობის ზემორე ნა-

[1] ტობიას — მამას.
[2] ტობია — შვილი.

ტანილი კვანძი, ვით განვითარების მერმინდელ სტადიაზე წარმომდგარი, მაშინ გმირის ანგელოზთან შეხვედრა დარჩება სრულიად დაუმოტივირებული.

ქართული ზღაპრის ანალოგიის გათვალისწინება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ანგელოზის ფიგურის უკან იმალება მხოლოდ-და-მხოლოდ „მადლიერი მკვდარი“. ტობიას რომ შველა მისცა კეთილისმყოფელმა თანამგზავრმა, საზღაური იყო არა მამის რელიგიოზური კეთილმსახურებისა, რაიც, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატებოდა, რომ წესად ჰქონდა დაუმარხავად დატოვებული მკვდრების დასაფლავება. საქმე ის არის, რომ—სუჟეტის განვითარების წინადასწრებულ სტადიაზე—გმირის მამის მიერ დაიმარხა ერთი გარკვეული მკვდარი, რომლის სულიც,—მერმინდელ გადამუშავებით წარმოდგენილი ანგელოზის სახით—შვილს მიუზღავს მამის მიერ მისდა გაწეული სამსახურისათვის.

ჩვენი მოსაზრება საფუძველს ჰპოვებს თვით „ტობიას“ წიგნში, რომელშიც გმირს, მამის მიერ მკვდრის დამარხვის მოტივი მოცემულია ორი პარალელური ვერსიით, ეგ ვერსიები კი უთუოდ ეკუთვნის მოცემული ამბის განვითარების ორ სტადიას. პირველ თავში ჩვენ ვკითხულობთ: „ხოლო ტობია ყოველსა ზედა დღესა ვიდოდა შემდგომად ყოველთა ნათესავთა თჳსთა, და ნუგეშინის ცემდა მათ, და განუყოფდა თჳთოეულსა კაცად კაცადსა მათთა რაოდენი ეძლო საქონელთა-გან თჳსთა. მშიერთა აჭმევდა, ხოლო შიშველთა შეჰმოსდა, და მკუდართა და მოკლულთა დაფლვასა წადიერად ყოფდა. ხოლო ამისა შემდგომად ოდეს მოიქცა სენაქერემ მეფე... განრისხნა, და მრავალნი მოსწყჳდნა ძეთა-გან ისრაილისათა, და იუდის-გან, ტობია დაჰფარვიდა გუამთა მათთა. ესე ოდეს მიეთხრა მეფესა, ბრძანა მისი მოკლად, და აღებად ყოველნი კეთილნი მისნი. არამედ ტობია ძეთა თანა თჳსთა და ცოლისა თანა განივლტო, დაუტევა ყოველნი კეთილნი თჳსნი“ (ტობ. 1, 19—19). მოტანილი ტექსტი კიდევ არ იძლევა იმის საბუთს, რომ მკვდრების დამარხვა მივიჩნიოთ მოცემული სუჟეტებრივი აღნაგობის ორგანულ ელემენტად. საქმე ის არის, რომ ტობიას საერთოდ წესად ჰქონდა დაუმარხავად მიტოვებული იუდელების გვამთა დასაფლავება და ამ საქმეს ასრულებდა დიდი თავდადებით. ისე რომ ასურთ ხელისუფლებამ დევნაც დაუწყო. ეს თვისება მხოლოდ დამატებაა ტობიას ხასიათის სხვა კარგი თვისებებისა, ისე ვით სიუხვეც, რასაც იგი იჩენდა, ვით ყოვლად მშველელი და ხელისმწყობელი თავის ერთმორწმუნეებისა ბაბილონის ტყვეობაში. მაგრამ მკვდრის დამარხვის მოტივი მეორედ ჩნდება „ტობიას“ წიგნის მე-2 თავში, და ამ ხელად საქმე ეხება კონკრეტულ განცალკევებულს ეპიზოდს.

„ხოლო შემდგომად ამისა... ყოფილ იქმნა სერი კეთილი სახლსა შინა ტობიასსა. ჰრქუა ძესა თჳსსა: წარვედ და მოიყვანენ რომელნიმე ტომთა-გან ჩუენთა შოშიშნი ღმრთისა, რათა ჰამონ ჩუენ თანა. ხოლო ოდეს გამოვიდა და მიიქცა კვალად, და მიუთხრა მას რამეთუ ერთი ძეთა-გან ისრაილისათა მკუდარი ძეს უბანთა ზედა, მეყსეულად აღდგა, მსწრაფლ განვიდა ტრაპეზისა-გან, დაუტევა სერი, არა იგემა არა რაიმე, მოვიდა გუამისა მიმართ მკუდრისა და აღიღო იგი და მოიღო სახლსა შინა თჳსსა ფარულად... ხოლო ოდეს მზე დავიდა, წარვიდა და დამარხა იგი. ხოლო ამხილებდეს მას ყოველნი მოყუასნი მისნი და ეტყოდეს

არა ესევითარისათჳს მიზეზისა მოსაკუდიდ ბრძანებულხარ მეფისა-გან, და ნუ თუ განტოლვიდ ხარ სიკუდილისა, და კვალად თუ მარხავ მკუდართა“ (ტობ. 2, 1–8). უკანასკნელი ფრაზა, რომელშიც ასეთი სიმკვეთრით გამოხატულა გაკვირვება და დაცინვა მეზობლების მხრივ, უშუალოდ აკავშირებს მოტანილ ტექსტს 1-ლ თავში მოცემულს ტობიას დახასიათებასთან. იქაც და აქაც გმირის უმთავრესი დამსახურება ისა, რომ ასაფლავებს იუდელთა მკვდრებს მიუხედავად ასურთაგან დევნისა. თუ ჩვენი დასაყრდენი იქნებოდა „ტობიას“ წიგნი, რა სახითაც მას ჩვენამდე მოუღწევია მისი იდეოლოგიური შინაარსი, მაშინ ჩვენ ისე უნდ შეგვეცნო უწყებული ეპიზოდი, ვით კონკრეტული ილუსტრაცია ტობიას თავდადებული ერთგულებისა მისი ტყვეობაში მყოფი ერთმორწმუნეების მიმართ. მაგრამ I-ლი თავი „ტობიას“ წიგნისა, რომელშიც გმირი გამოყვანილია მართლმორწმუნე იუდელად, ყველა იმ რელიგიოზურ განწესებათა აღმსრულებლად, პირველად რომ ბაბილონის ტყვეობის პერიოდში დადგინდენ, უეჭველად უნდა მიჩნეულ იქმნეს სუჟეტის მერმისში ლიტერატურულად გადამუშავების ნაყოფად. ტობიას დახასიათებაში ისეთი მომენტის შეტანა, როგორიც არის მკვდრების დამარხვა, ალბათ იმითი უნდა იყოს გამოწვეული, რომ მსგავსი ეპიზოდი ერთხელ მოცემულის კონკრეტული ფაქტის სახით წინათვე იყო წარმოდგენილი ტრადიციული სუჟეტის სტრუქტურაში. თვით სიტუაცია დაუმარხავად მიტოვებული მკვდრისა ელინისტური ეპოქის იუდელ ავტორს უჩვეულოდ მიაჩნია, მისი დაახლოებითაც იყო სინამდვილედ წარმოდგენა არ ძალუძს თუ არა იმ დროსთან დაკავშირებით, როდესაც იუდელები ტყვეობაში იყვნენ, უცხოობაში მწარე დევნას განიცდიდენ თავის შემავიწროებელთა მხრივ.

ტრადიციული სუჟეტი, ჩვენ მიერ აღდგენილი ქართული ზღაპრის ანალოგიით, მერმინდელ-იუდაური მოთხრობის საფუძვლად გამოყენებული, ფესვებით ებმის განუზომელად ძველ დროებს, და იგი შემუშავებულა ყოფაცხოვრების არსებითად განსხვავებულს რეალურ პირობებში. „ტრისტან და ისოლდას“ კრებულში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებია, რომ „ტობიას“ წიგნის სუჟეტის ჩონჩხი, რომელშიც უგულებელყოფილია მოქმედების კავშირი ადგილისა და დროის გარკვეულ პირობებთან, წარმოადგენს პატრიარქის დაქორწინების შესახები და დაბადების ლეგენდის ერთგვარ არქეტიპს; ამის მეორე ტოტია დაბადების მოთხრობა იაკობის ქორწინებისათვის[1]. სუჟეტი, აგებული 'სიკვდილის'—'განკურნების'—'შეუღლების' სემანტიკაზე, აგებული იმ ღვთაების მითოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც აღორძინების გზაზე დგას და ჩნდება ვით სამიწათმოქმედო კულტის ცენტრალური სარწმუნოება, მუშავდება საგვაროვნო წყობილების პერიოდში, როდესაც მკვდრების დამარხვის რეგლამენტი ჯერ არ შეემუშავებია არც სახელმწიფო ხელისუფლებას, არც საეკლესიო ორგანიზაციას. ძველს აღთქმას არ დაუტოვებია ჩვენთვის მცირედიც გარკვეული ცნობები იმის თაობაზე, თუ რა ხასიათის იყო ძველ დროებაში ებრაელთა საიქიოს შესახები რწმენა; მაგრამ აენდორელი

[1] „Трист. и Ис.“, გვ. 76 შდ.

მისანი—ქალის ეპიზოდი [1] უდავოდ ადასტურებს, რომ ანიმისტური შეხედულებანი აქ გაცილებით უფრო მეტ როლს ასრულებენ, ვიდრე ეს საფიქრებელი უნდა ყოფილიყო, თუ დავემყარებოდით იუდაური მონოთეიზმის გემოზე გაკეთებულს დაბადების ოფიციალურ რედაქციას. პირველად მკვდრებზე ზრუნვის მიზეზი აქაც უმთავრესად იყო ის შიში და იმედი, ერთად დაკავშირებული, რასაც თავისთავად ჰბადებდა მკვდრის გვამი,—პირველად ყოვლისა გარდაცვალებული წინაპარი გვარისა, რომელიც მოითხოვდა თავისთვის, სიკვდილის შემდეგ, იმ ზრუნვასა და ყურადღებას, რომელიც მას სიცოცხლეში ხვდებოდა მისი სოციალური მდგომარეობისდა მიხედვით. და თუ დაუმარხავად მიტოვებული გვამი ყველასთვის ავის მომასწავებელი იყო, მეორეს მხრივ, ვინც მკვდარზე ზრუნვას იკისრებდა, საბოძვარსაც პირველად ყოველისა მისი სულისგან ელოდა. ამნაირად შემუშავდა აქ, ვით სხვა მრავალთაგან მრავალ ერებშიც „მადლიერი მკვდრის“ საფოლკლორო მოტივი, ასე გავრცელებული რომ არის ზეპირებრივ ლიტერატურაში.

თუ ეგ ასეა, ეს იმას მოასწავებს, რომ „ტობიას“ წიგნის სუჟეტის დასაწყისი ეპიზოდი წინაპირველად ზედ ემთხვეოდა ქართულის „სოვდაგრის შვილის“ ზეპარის სათანადო სუჟეტს. ტობიას მამამ დაფლა დაუმარხავად მიტოვებული მკვდარი; მიცვალებულის სული ამ სამსახურის საზღაურად შემდეგში თან დასდევს გმირს მოგზაურობაში და ყოველს წარმატებას აძლევს კეთილისმყოფელი, შველის მამის განსაკურნებლადაც. მაგრამ მერმინდელი იუდაიზმის კონცეპცია წინადასწრებული პერიოდის ანიმისტიკურ შეხედულებათა წინააღმდეგ ვერ გუობს იელოვას გვერდით ვერავითარ ზესთაბუნებრივ ძალებს გარდა ანგელოზთა, რომელნიც დაბადებაში ღმერთის მოციქულებად და ნების აღმსრულებლად გამოდიან. აქედან წარმოდგება სულის ანგელოზით შეცვლის ფაქტი და ზემორე მოტანილი მოთხრობის ახალი კვანძი, რომლისდა მიხედვით ყველა გმირების ბედი ერთი ღმერთის ხელთაა, იგი წარმართავს ადამიანთა საქმეებს და მთელ ქვეყანას ზღვევის იდეის საფუძველზე. ახალ კვანძთანაა დაკავშირებული „ტობიას“ წიგნის შემდეგი დანართის 1-ლი თავიც, სადაც წვლილადაა გამოხატული ტობიას კეთილმსახურება ისე კი, რომ მკვდრების მარხვა მას ეთვლება მხოლოდ ერთ ერთ ღირსებად და თვისებად სხვა თვისებათა შორის. დასაწყისი ეპიზოდი-კი, რომელზედაც წინაპირველად დამოკიდებული იყო მოქმედების მთელი შემდეგი განვითარება, სახელდობრ ტობიას მიერ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი მკვდრის დამარხვა, მერმინდელს გადამუშავებულ სუჟეტში იმრიგად იმარტება, თითქო, საქმე ეხებოდეს ტობიას კეთილმსახურების მხოლოდ კონკრეტულ ილუსტრაციას.

ისიც შევნიშნოთ, რომ დაკრძალვის მოტივი „ტობიას“ წიგნში გვხვდება მესამეჯერაც, მხოლოდ არსებითად განსხვავებულ ასპექტში მოცემული. იმ მომენტში, როდესაც ტობია საქორწილო სახლში შედის, სარას მამა მისთვის სამარეს სთხრის იმის შიშით, რომ ტობიასაც იგივე ბედი ელის, რაც ერგოთ მისი ასულის სხვა წინანდელ ქმრებს. ქართულ ზღაპარში მკვდრის სული საწყალი კაცის სახით მზეთუნახავზე ქორწინობს, თუმცა არ-კი შეუძლია მასთან საქორწინო

[1] მეფ. 26, 5 შდგ.

სარეცელზე შეერთება. ეპიზოდში საკმაოდ მკაფიო გამოძახილია ქორწინების ღამეს სიძის სიკვდილის ცნობილი მოტივისა, რომელიც უცხო სრულიადაც არ არის ბიბლიური აპოკრითული ლიტერატურისათვისაც [1]. ოსირისის შესახებ ეგვიპტურ მითში ისიდა ფრინველის სახით მკვდარს ოსირისს შეეყოფა. ეს არის მხოლოდ 'სიკვდილისა' და 'შეუღლების' სემანტიკური იგივეობის გადმოცემა სუჟეტებრივ აღნაგობაში; ეს იგივეობაა, რომ საფუძვლად დაედო აგრეთვე ქალის სახესაც, რამდენადაც ქალი ერთსა-და-იმავე დროს წყაროა სიკვდილისაც და სიცოცხლისიც, სწორედ ისე, ვით სარა დაბადების „ტობიას" წიგნში და მზეთუნახავი „სოვდაგრის შვილის", ქართულ ზღაპარში.

[1] ჩემი წერილი „Женщина—город в библейской эсхатологии", კრებულში ს. ოლდენბურგის სახელზე, 1934.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ

საიუბილეო პრეგული სახ. უნივერსიტეტი 1934

მარქსიზმის კლასიკოსების ენისა და აზროვნების პრობლემების შესახებ

წინასიტყვა

დიდიხანია ენათმეცნიერების წინაშე იდგა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი—მარქსიზმის კლასიკოსების გამონათქმების შეკრება-გამოცემის შესახებ ენის და აზროვნების პრობლემების ირგვლივ,—მაგრამ ამოცანა დღემდე საქართველოში შესრულებული არ არის. კულტურულ-მეცნიერული განვითარების თანამედროვე ეტაპი კვლავ მწვავედ აყენებს ამ საკითხს და მის დაჩქარებით გადაწყვეტას მოითხოვს.

მარქსიზმ-ლენინიზმის ჭეშმარიტი ფილოსოფია ენათმეცნიერების მიმართ, მსგავსად სხვა კონკრეტულ მეცნიერებებისა, თავის მოთხოვნილებებს აყენებს: ის არის ხელმძღვანელი და მეთოდოლოგიური გზის მაჩვენებელი! ახალი ენათმეცნიერება, ახალი ენათმეცნიერული აზრის განვითარება ლოგიკურად არ შეიძლებოდა ასცდენოდა ჯერ კიდევ ადრე კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ გაკაფულ გზას. ეს გზა პერსპექტიული იყო, მაგრამ გენიალურად მოფიქრებული და მეცნიერულად დაზუსტებული. მარქსმა და ენგელსმა, სპეციალობით არა ენათმეცნიერებმა, მაგრამ შეუდარებელი ცოდნით და უნივერსალური მეთოდით აღჭურვილმა ადამიანებმა, ახალ ენათმეცნიერულ აზრს ჯერ კიდევ მაშინ ჩაუყარეს საფუძველი და ათეული წლების მანძილზე წინ წასწიეს, როდესაც ბურჟუაზიული ენათმეცნიერება—ინდოევროპეისტიკა კლასიკურ გაქანების ხანაში იმყოფებოდა და თავის სისტემას საბოლოო სახეს აძლევდა. მარქსმა და ენგელსმა ბურჟუაზიული ენათმეცნიერების საპირისპიროდ შექმნეს ნამდვილი მატერიალისტურ-დიალექტიკური შეხედულებანი ენისა და აზროვნების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მე-19 საუკ. ყველაზე საუკეთესო ადამიანების ხანგძლივ ნააზრევში ძვირფასი განძის სახით მოცემული გვაქვს თითქმის ყველა ძირითადი პრობლემების გაშუქება, რომლებიც კი ენათმეცნიერების კომპეტენციაში თავსდება. ამ გვერდაუვლელ საკითხებს მიეკუთვნება: ადამიანის მეტყველების წარმოშობა; ენის კლასობრივი ბუნება და მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობათა სტადიალური ცვლის შესახებ; ნაციონალური ენების ჩამოყალიბება და კომუნისტური პარტიის ენობრივი პოლიტიკა; ენის როლი, როგორც იარაღისა კლასთა ბრძოლის ეპოქაში, და ენა, როგორც ისტორიული წარსულის შესწავლის უმნიშვნელოვანესი წყარო. ამ დიდი მუშაობით მარქსმა და ენგელსმა სათავე დაუდვა იმ ენათმეც-

ნიერებას, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარზე გაიშალა, განმტკიცდა და ახალი ენათმეცნიერული მოძღვრების სახით მოგვევლინა.

მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი იმპერიალისტური ომების, პროლეტარული რევოლუციებისა და სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში ლენინმა და სტალინმა განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა, დადებით მეცნიერებათა განვითარების უკანასკნელი დონის მიხედვით. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა ენის დიდი მნიშვნელობა, ის გვერდში ამოუყენა ფილოსოფიას, ცალკე მეცნიერებათა ისტორიას და დაასაბუთა, რომ შემეცნების თეორია და დიალექტიკა ცოდნის ამ სფეროდან გამოთიშულად არ შეიძლება არსებობდეს. ლენინმა გამოააშკარავა მუშათა კლასის მტრები, ჩამოგლიჯა მათ ნიღაბი, რომელიც „ტკბილი ენის“, და „აბსტრაქტული ფრაზის“ სამოსელში გვევლინებოდა რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით ლენინმა გააღრმავა მარქს-ენგელსის შეხედულებანი და არაერთგზით აღნიშნა პროლეტარული აგიტატორის როლი; თავის ურყევ მეგობართან სტალინთან ერთად მკვეთრად ჩამოაყალიბა ბოლშევიკური მეტყველების სტილი, რომლის ხაზითაც მიემართება ახალი სალიტერატურო ენის და პროლეტარული კულტურის ფორმაცია.

სტალინმა ძლევამოსილი სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში განავითარა მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება და განმანადგურებელი კრიტიკის ჭარცეცხლში გაატარა მეორე ინტერნაციონალის ბელადების ყალბი თეორიები ნაციონალურ საკითხში. სტალინი გენიალურად ჩასწვდა ენათა (და ეროვნულ კულტურათა) უნიფიკაციის ღრმა დიალექტურ პროცესს და განსაზღვრა გზა, რომლითაც მიდის პარტიის ენობრივი პოლიტიკა.

როგორც ამ არა სრული და უბრალო ჩამოთვლიდან ჩანს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გამონათქმების-ნააზრევის ერთად შეკრებას და გამოცემას ჩვენთვის უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ საპასუხისმგებლო სამუშაოების შესრულებას საბჭოთა კავშირში უპირველეს ყოვლისა ხელი მოჰკიდა ენის შესახებ ახალმა მოძღვრებამ და მისმა მიმდევრებმა. ეს ბუნებრივია. ახალი ენათმეცნიერული მოძღვრება ენობრივ მასალებს მარქსიზმის საფუძველზე ამუშავებდა ათეული წლის მანძილზე და დღეს მისი ძირითადი პრობლემები მთლიანად მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპების მიხედვით არის გაშუქებული.

ორი თვის უკან მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიამ ლენინგრადში აკად. ნ. მარრის წინასიტყვით გამოსცა: „**Маркс, Энгельс, Ленин, Сталин о проблемах языка и мышления**“! ეს ქრესტომატია ძვირფას მასალას იძლევა და საშუალო მკითხველს არწმუნებს იმაში, თუ რა დიდი ღვაწლი დასდვეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა—თითქოს მათგან შორს მდგომ დარგს—ენათმეცნიერებას და რამდენად აქტუალურ პრობლემებს შეიცავს თვით ეს სფერო.

ის, რასაც მკითხველი აქ წაიკითხავს: „მარქსიზმის კლასიკოსები ენისა და აზროვნების პრობლემების შესახებ“,—სათაურის ქვეშ, წარმოადგენს პირველ ცდას ასეთი ქრესტომატიის შესადგენად ქართულ ენაზე. ჩვენ მასალების დალაგე-

ბაში გამოვიყენეთ დიდი ენათმეცნიერის ნ. მარრის ხელმძღვანელობით გამოსული კრებული. პრობლემების კომპლექსიდან უპირველესად ავიღეთ ორი საკვანძო საკითხი: 1. ენის წარმოშობა და მისი განვითარება კლასებამდე და კლასთა ბრძოლის ხანაში, 2. ნაციონალური საკითხი და ენობრივი პოლიტიკა. ჩვენის აზრით, საკითხების არჩევანი სწორია მათი მნიშვნელობისა და აქტუალურობის გამო. მთავარ საკითხებს თან სდევს ქვესათაურები, რაც მკითხველს მასალის დაძლევას გაუადვილებს.

მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ციტატები და წერილები ჩვენს მიერ ამოკრებილი არის ქართული თარგმანებიდან და ძირითადად შედარებულია მესაფერის ენაზე არსებულ ორიგინალებთან. ადგილები სტალინის ადრინდელი შრომებიდან თარგმნილია სპეციალურად ამ კრებულისათვის; ასევე მოვიქეცით ლენინის ზოგი წერილის მიმართაც.

მ. ჩიქოვანი

24 მარტი 1934 წ.
ტფილისი.

I. ენის წარმოშობა და მისი განვითარება კლასებამდე და კლასთა ბრძოლის ხანაში

1. ენის წარმოშობა

ადამიანი წარმოიშვა დიფერენცირების გზით, და არა მარტო ინდივიდუალური აზრით,—ე. ი. ისე, რომ ერთად-ერთი უჯრედიდან ვითარდება, დიფერენცირების გზით, ურთულესი ორგანიზმი ბუნებაში არსებულ ორგანიზმებიდან, — მედ ისტორიული აზრითაც. როცა მრავალი ათასი წლის შემდეგ, ბოლოს, — ხელის დიფერენციაცია ფეხისაგან და დამყარდა პირდაპირი სიარული, ადამიანი გამოეყო მაიმუნს და საფუძველი ჩაეყარა დანაწევრებულ მეტყველებას და ნის მძლავრ განვითარებას, რის მეოხებით მას შემდეგ შეიქმნა გაუცალი უფ- ლი ადამიანსა და მაიმუნს შორის.

(ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, ძველი შ-

რუსოს მოძღვრებას სრულიადაც არ რცხვენია დიალექტიკური წ- შობისა. იგი თავის პირველ გამოცემაში, პირიქით, თითქმის მედიდურად ჭლავნებს მას. ბუნებრივ და ველურ მდგომარეობაში ადამიანები თანასწ- იყვნენო; ხოლო რადგან რუსო ენას უკვე ბუნებრივი მდგომარეობის გა- ბად სთვლის, მას სრული უფლება აქვს თანასწორობა მიაწეროს იმ ჰიპოტე- ურად კლასიფიკაციაქმნილ ცხოველ-ადამიანებსაც, რომელთაც ჰეკელი ცოტა ხნის წინათ alali—უენოანი უწოდა. მაგრამ ამ თანასწორ ცხოველ- მიანებს ერთი უპირატესობა ჰქონდათ სხვა ცხოველების წინაშე: გაუმჯობ- შემდგომი განვითარების უნარი; და ეს გახდა უთანასწორობის მიზეზი.

(ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ.

ამრიგად, უთანასწორობა ხელახლა თანასწორობად ითვლება, მაგ- არა უენო ადამიანების ძველ ბუნებრივ თანასწორობად, არამედ საზოგადო- ვი ხელშეკრულების უმაღლეს თანასწორობად. დამთურგვნელნი ითურგვნ- ესაა უარყოფის უარყოფა.

(იქვე, გვ.

ველურობა. *ქვედა საფეხური:* ესაა ადამიანთა მოდგმის ბავშ- ადამიანი, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ, ხეებზე ცხოვრობს, მხოლოდ აიხსნება მისი გამძლეობა დიდი ონავარი მხეცების წინააღმდეგ; იგი ჯერ

პირვანდელ საცხოვრებელ ადგილებში იმყოფება, ტროპიკულ ან სუბტროპიკულ ტყეებში. ადამიანის საკვებს სხვადასხვა ხეხილი, კაკალი, მცენარის ფესვი წარმოადგენს; ამ დროის მთავარი შედეგი განწვრთნილი ენის შემუშავებაა. იმ ხალხებიდან, რომელნიც ცნობილი გახდენ ისტორიული პერიოდის განმავლობაში, არც ერთი აღარ ეკუთვნოდა იმ პირველყოფილ მდგომარეობას. თუმცა შეიძლება ეს მდგომარეობა მრავალი ათასი წელი გაგრძელდა, მაგრამ პირდაპირი დამამოწმებელი საბუთები არ გვაქვს მის დასამტკიცებლად; მაგრამ თუ კი ვაღიარებთ, რომ ადამიანი ცხოველთა სამეფოდან წარმოსდგა, ამ გარდამავალი საფეხურის შიღება აუცილებელია.

(ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 22.)

შრომა წყაროა ყოველი სიმდიდრისაო, ამბობენ პოლიტიკო-ეკონომისტები. ის მართლაც წარმოადგენს ასეთ წყაროს ბუნებასთან ერთად: ბუნება მას აძლევს მასალას, რომელსაც შრომა აქცევს სიმდიდრედ. მაგრამ მისი მნიშვნელობა გაცილებით ამაზე მეტია. შრომა წარმოადგენს ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველ ძირითად პირობას და მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ შეიძლება ვსთქვათ: შრომამ შეჰქმნა თვით ადამიანი.

მრავალი ასეული წლის წინათ, დედამიწის განვითარების იმ ხანაში, როდესაც სავსებით და უნაკლოდ ჯერ კიდევ არ არის გამოანგარიშებული და რომელსაც გეოლოგები უწოდებენ მესამე ფორმაციის ეპოქას,—ალბათ ამ ეპოქის დასასრულს, სადმე ცხელ ჰავაში, შეიძლება ერთ-ერთ დიდ მატერიკზე, რომელიც შემდეგ ჩაიმალა ინდოეთის ოკეანეში,—სცხოვრობდა ადამიანის მსგავს მაიმუნთა ჯგუფი, რომელსაც მიეღწია განვითარების მეტად მაღალი საფეხურისათვის... დარვინმა ჩვენი წინაპრების დაახლოვებითი აღწერა მოგვცა. თავიდან ფეხამდე ისინი დაფარული იყვნენ ბალნით, ჰქონდათ წვერები და წვეტიანი ყურები და ცხოვრობდენ ჯოგებად ხეებზე.

უმთავრესად ასეთი ცხოვრების გამო, როდესაც ხეებზე ცოცვის დროს ხელები სხვანაირ საქმეს უკეთებდენ, ვიდრე ფეხები, მაიმუნები მიწაზე სიარულის დროსაც გადაეჩვივნენ ხელების დახმარებას, და უფრო და უფრო შეეჩვივნენ პირდაპირ, ე. ი. გამართულ სიარულს. ეს იყო გადამჭრელი ნაბიჯი, რომ მაიმუნი ადამიანად ქცეულიყო.

დღევანდლამდე არსებული ადამიანის მსგავს მაიმუნებს ყველას შეუძლია გამართული დგომა და ორ ფეხზე სიარული, მაგრამ მიმართავენ ამას იშვიათ შემთხვევაში, რაიმე სიძნელის გამო, და ამავე დროს ძალიან უხერხულად გრძნობენ თავს. მაიმუნისათვის ბუნებრივია ნახევრად ადამიანური მდგომარეობა; ასეთი მდგომარეობა კი მოითხოვს ხელების დახმარებას. უმრავლესობა ამ მაიმუნებისა სიარულის დროს ეყრდნობა მუშტად მოკეცილ თათებზე; მათ ფეხები მოკეცილი აქვთ და ტანს გადაისვრიან გრძელ ხელებს შუა, როგორც ყავარჯნებით

მოსიარულე კოჭლი. საზოგადოდ, ჩვენ დღემდის შეგვიძლია ვნახოთ მაიმუნში ყველა გარდამავალი საფეხური—ოთხზე სიარულიდან ორ ფეხზე სიარულამდე. ამ უკანასკნელ საშუალებას ყველა ისინი მიმართავენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

თუ ჩვენი ბალნიანი წინაპრების ცხოვრებაში გამართული დგომა-სიარული ჯერ მხოლოდ ჩვეულებაში შემოდიოდა და შემდეგ კი აუცილებელი გახდა, აქედან ცხადია, რომ ამ დროს ხელებს სხვა უფრო რთული საქმე უნდა ეკეთებიათ. მაიმუნებშიც კი არსებობს შრომის განაწილება ხელებისა და ფეხების ხმარების დროს. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ხეებზე ცოცვის დროს ხელების ხმარება სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ფეხებისა. ხელები უმთავრესად ჰკრეფენ და იჭერენ საჭმელს, როგორც შვრებიან ამას დაბალი ჯიშის ძუძუმწოვარი ცხოველები. წინა თათებით, ხელების საშუალებით ზოგი მაიმუნი ბუდეს იკეთებს ხეებზე ან, როგორც შიმპანზე, სახურავს იკეთებს ტოტებს შუა ავდარში თავის შესაფარებლად. ხელებითვე მაიმუნები კეტს ხმარობენ მტრისაგან თავის დასაცავად ან უშენენ მას ქვებსა და ხილს. დატყვევებული მაიმუნები, ადამიანის მიბაძვით, ხელებით აკეთებენ მრავალ უბრალო ოპერაციას. მაგრამ სწორედ აქ აშკარა და თვალსაჩინო ხდება, თუ რა დიდი მანძილია ადამიანთან ყველაზე უფრო ახლო მდგომ მაიმუნის განუვითარებელ ხელსა და ადამიანის ათასი წლების განმავლობაში შრომისაგან უმაღლესად განვითარებულ ხელს შორის. რაოდენობა და ზოგადი ალნაგობა ძვლებისა და კუნთების ორივეს ერთნაირი აქვს, მაგრამ უუმდაბლეს საფეხურზე მყოფ ველურის ხელს შეუძლია ათასი ისეთი რამ გააკეთოს, რომლის გადაღება და გამეორება არ შეუძლია არც ერთ მაიმუნის ხელს. არას დროს არც ერთ მაიმუნს არ გაუკეთებია თავისი ხელებით თუ გინდ სულ უბრალო ქვის დანა.

ის საქმეები, რომელსაც ჩვენი წინაპრები მაიმუნისაგან ადამიანისაკენ განვითარების დროს, ასი ათასი წლების განმავლობაში, თანდათან აჩვევდენ ხელს, თავდაპირველად, რასაკვირველია, მეტის მეტად მარტივი და უბრალო იყო. განვითარების სულ დაბალ საფეხურზე მდგომი ველურები და ამათგან ისინიც კი, რომელნიც უბრუნდებიან ცხოველთა მდგომარეობას და ხდება მათი სხეულის გადაგვარება,—აი ესენიც კი, იმ გარდამავალ დროის არსებებთან შედარებით, გაცილებით მაღლა დგანან. სანამ ადამიანის ხელი მოახერხებდა პირველი ქვის დანის გაკეთებას, უნდა გაევლო იმდენ დროს, რომელთან შედარებით უმნიშვნელოა მთელი ის ისტორიული ხანა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. მაგრამ გადამჭრელი ნაბიჯი გადადგმული იყო: ხელი შეიქნა თავისუფალი და მან შეიძინა ახალ-ახალი სიმარდე-მოხერხება. ამრიგად შეძენილი მეტი და მეტი მოქნილობა მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე და მატულობდა.

ამრიგად, ხელი არა თუ შრომის იარაღია, მისი პროდუქციაა. მხოლოდ შრომის საშუალებით შეეგუა ხელი ახალ-ახალ საქმეებს და გადასცა მემკვიდრეობით ასეთი გზით შეძენილი განსაკუთრებული კონსტრუქცია კუნთების, ნასკვების და უფრო დიდი დროის განმავლობაში კი ძვლებისაც; ამ მემკვი-

დრეობით მიღებულ-მიღწეულ განვითარებას ხელი გამოუყენებდა ხოლმე თავის დანიშნულების შესრულების დროს, და ეს დანიშნულება კი სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა. ამ პროცესის წყალობით ადამიანის ხელმა ბოლოს მიაღწია სრულყოფის იმ მაღალ საფეხურს, როცა მას შეეძლო შეექმნა სურათები რაფაელისა, ქანდაკება ტოვრალდსენისა და მუსიკა ბაგანინის.

მაგრამ ხელი არ წარმოადგენდა რაიმე განცალკევებულს. ის იყო მხოლოდ ერთი ორგანო მთლიანი, ძლიერ რთული ორგანიზმისა. რაც სასარგებლო იყო ხელისათვის, ის სასარგებლო იყო მთელი ორგანიზმისთვის, რომლისათვისაც ის მუშაობდა და ამ სარგებლობას ორგანიზმი ღებულობდა ორნაირი გზით.

უწინარეს ყოვლისა მოქმედებდა კანონი ზრდის კორელაციისა (შეფარდებისა), როგორც დარვინმა უწოდა მას. ამ კანონის თანახმად ორგანიული არსების ცალკე ნაწილთა ფორმები მუდამ დაკავშირებულია სხვა ნაწილების ფორმებთან, თუმცა თითქოს მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობდეს. ასე, მაგალითად, ყველა იმ ცხოველებს, რომელთაც აქვთ სისხლის წითელი უგულო უჯრედები და რომელთა კეფის ძვალი დაკავშირებულია კისრის მძიმეებთან ორი სახსრით, ყველა ამ ცხოველებს გამოუნაკლისად აქვთ აგრეთვე სარძევე თირკმელები შვილების საკვებავად. ძუძუმწოვართა გაყოფილი ჩლიქები კი დაკავშირებულია ჩვეულებრივად განსაზღვრული აგებულობის კუჭთან, რაც აუცილებელია მცოხნავთათვის. რთულ ფორმათა ცვლილება იწვევს ორგანიზმის სხვა ნაწილთა ფორმის შეცვლას, და მათი ურთიერთ დამოკიდებულება ჩვენთვის გამოურკვეველი რჩება. სავსებით თეთრი კატები ცისფერი თვალებით მუდამ ან თითქმის მუდამ ყრუებია. თანდათანი განვითარება ადამიანის ხელისა და ფეხის შეგუება-შეჩვევა გამართულ სიარულისათვის,—ყოველ ეჭვს გარეშეა გავლენას ახდენდა იმავე შეფარდების გზით ორგანიზმის სხვა ნაწილებზედ. მაგრამ ეს გავლენა იმდენად გამოურკვეველია, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მისი აღნიშვნა.

გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ხელის განვითარების პირდაპირს, უშუალო გავლენას დანარჩენ ორგანიზმზედ. როგორც თქმული იყო უკვე, ჩვენი მაიმუნთა წინაპრები ცხოვრობდენ საზოგადოებაში; ცხადია, არ შეიძლება დაუშვათ, რომ უახლოესი წინაპრები ადამიანისა, რომელიც ყველა ცხოველზედ უფრო საზოგადოებრივი ცხოველია, არ ცხოვრობდა საზოგადოებაში. ხელისა და შრომის განვითარებით დაწყებული ბატონობა ბუნებაზედ ყოველი ახალი წარმატებით აფართოებდა ადამიანის ჰორიზონტს. ბუნების საგანზე ის განუწყვეტლივ ახდენდა ახალ-ახალ, ჯერ უცნობ თვისებათა აღმოჩენას. მეორეს მხრივ, შრომის განვითარება თავისთავად ხელს უწყობდა უფრო მჭიდროდ დაახლოებას ჯგუფის წევრებისა, ახშირებდა შემთხვევებს ურთიერთის დახმარებისა და ცხადყოფდა ყოველი ინდივიდისათვის ამ ურთიერთობის სარგებლობას. ერთი სიტყვით, ეს ადამიანად ქცეულები მივიდნენ იქამდე, რომ იგრძნეს საჭიროება ეთქვათ რაიმე ერთი-მეორისათვის. საჭიროებამ შეიმუშავა თავისათვის შესაფერი ორგანო; მაიმუნის განუვითარებელი ყელი ნელა, მაგრამ სისწორით გადამუშავდა, გადადიოდა რა ერთი მოდულაციიდან მეორეზედ, უფრო რთულზედ, და მეტყველების ორგანოები ცოტ-ცოტა შეეჩვიენ განცალკევებულ ბგერათა გამოთქმას.

რომ ასეთი ახსნა მეტყველების წარმოშობისა შრომასთან დაკავშირებით და მისი შემწეობით ერთად-ერთი სწორი ახსნაა, ამას გვიჩვენებს ცხოველებთან შედარება. ის ცოტაოდენი რამ, რაც აქვთ გადასაცემი ერთი-მეორისათვის ყველაზე უფრო განვითარებულ ცხოველებს, შეუძლიათ გადასცენ უსიტყვოდაც. ბუნებრივ მდგომარეობაში არც ერთი ცხოველი არ გრძნობს დანაკლისს იმის გამო, რომ არ შეუძლია ლაპარაკი ან არ ესმის ადამიანის ლაპარაკი. სულ სხვა მდგომარეობაშია ვარდება ადამიანის მიერ მოშინაურებული ცხოველი. ძაღლმა და ცხენმა ადამიანთან ურთიერთობაში ისე კარგად განავითარეს თავიანთი სმენა ლაპარაკისათვის, რომ სწავლობენ გაგებას ყოველი ლაპარაკისა, რამდენადაც ის შეეფერება მათ წარმოდგენათა სფეროს. შემდეგ მათში შემუშავდა ნიჭი ისეთ გრძნობათა, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანისადმი სიყვარულისა და მადლობის გრძნობა და სხვა, რაც უწინ მათთვის უცნობი იყო; ვისაც ხშირად ჰქონია საქმე ამ ცხოველებთან, ის თავიდან ვერ მოიშორებს ისეთ რწმენას, რომ ამ ცხოველებისათვის ხშირად ლაპარაკის უკოდინაობა გამოუსწორებელი დანაკლისია; გამოუსწორებელი იმიტომ, რომ მათ ხმების ორგანოებს აქვთ განსაკუთრებული აგებულობა, რომლის განვითარება, სამწუხაროდ ძლიერ განსაკუთრებული გზით წავიდა. სადაც შესაფერი ორგანო მოიპოვება, იქ ეს შეუძლებლობა ნაწილობრივად შეიძლება მოისპოს. ფრინველთა ხმის ორგანოები, უეჭველია, ძლიერ განსხვავდება ადამიანის ასეთივე ორგანოებისაგან და, მიუხედავად ამისა, ყველა ცხოველთაგან მხოლოდ მარტო ფრინველებს შეუძლიათ ისწავლონ ლაპარაკი; და ყველაზე უფრო უშნო ხმის პატრონი ფრინველი—თუთიყუში ლაპარაკობს ყველაზე უკეთესად. ნურავინ იფიქრებს, ვითომც თუთიყუშს არ ესმოდეს, რასაც ლაპარაკობს. რასაკვირველია, მას შეუძლია მთელი საათები ილაპარაკოს და ამოალაგოს მთელი მისი ლექსიკონი მარტო იმიტომ, რომ უყვარს ლაპარაკი და ადამიანთა საზოგადოება, მაგრამ მას შეუძლია მისგან თქმულის გაგებაც, რამდენადაც ეს შეეფერება მის წარმოდგენათა სფეროს. შეასწავლეთ თუთიყუშს ლანძღვა ისე, რომ წარმოდგენა ჰქონდეს მის აზრზედ (ამაში დიდ სიამოვნებას პოულობენ მეზღვაურები, რომლებიც ცხელი ქვეყნებიდან უკან ბრუნდებიან) და გააჯავრეთ, მაშინ დარწმუნდებით, რომ ის ჩინებულად და შესაფერისად მოგიყენებს სალანძღავ სიტყვებს. ასევე იქცევა ის საცუცქნავის გამოთხოვნის დროს.

ჯერ შრომა და მასთან ურთად და მის შემდეგ მეტყველება,—აი ორი არსებითი სტიმული, რომელთა გავლენით მაიმუნის ტვინი თანდათან გადაიქცა ადამიანის ტვინად, რომელიც გაცილებით მეტი მოცულობისაა და უფრო განვითარებული. ტვინის თანდათან განვითარებასთან ერთად სწარმოებდა განვითარება მისი უახლოესი იარაღებისა—გრძნობათა ორგანოების. მსგავსად იმისა, როგორც მეტყველების განვითარებას თავისთავად და აუცილებლად მიჰყვებოდა მეტი განვითარება და გამახვილება სმენის ორგანოსი, ასევე ტვინის განვითარებას საერთოდ მიჰყვებოდა ყველა გრძნობათა განვითარება. არწივი ადამიანზე გაცილებით უფრო შორს ხედავს, მაგრამ ადამიანის თვალი გაცილებით მეტს

ამჩნევს საგანში, ვინემ არწივი. ძაღლს ადამიანზედ შეუდარებლად უკეთესი ყნოსვა აქვს, მაგრამ ის ვერ ამჩნევს მეასედსაც კი იმ სუნთა, რომლებიც ადამიანისათვის სხვადასხვა ნივთების გარკვეულ ნიშნებს წარმოადგენს. შეხების გრძნობა კი, რომელიც მაიმუნებს ძლიერ განუვითარებელი აქვთ, ადამიანში შემუშავდა მხოლოდ ხელის თანდათანი განვითარებით, რაც შრომის შედეგია. ტვინი და მისი ქვემდებარე გრძნობები, ცნობიერება, რომელიც სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, ნიჭი აბსტრაქციისა და მსჯელობისა,—ყველა ესენი გავლენას ახდენდენ შრომაზედ და მეტყველებაზედ, მიჰყავდათ ისინი შემდეგი განვითარებისაკენ; ეს განვითარება არ შეჩერებულა მაიმუნის საბოლოოდ ადამიანად გადაქცევის დროს, არამედ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხში განირჩეოდა ხარისხით და მიმართულებით. ხან კი ადგილობრივი დროებითი რეგრესის გამო შეწყდებოდა კიდეც, მაგრამ საერთოდ წინ მიდიოდა სულ. ადამიანის ჩამოყალიბებით ამას მიემატა კიდევ ერთი ახალი ელემენტი—საზოგადოება, რომელიც ერთის მხრით ძალუმად მიაქანებდა წინ შრომისა და მეტყველების განვითარებას, მეორეს მხრით კი აძლევდა მათ გარკვეულ მიმართულებას.

სანამ ხეებზე მცოცავი მაიმუნების ჯოგი გადიქცეოდა ადამიანთა საზოგადოებად, ალბათ გავიდოდა ასი ათასეული წლები. ეს იგივეა დედამიწის ისტორიაში, რაც წამია ადამიანის ცხოვრებაში[1]. მაგრამ ბოლოს მაინც წარმოიშვა ეს საზოგადოება. რა არის დამახასიათებელი განსხვავება მაიმუნის ჯოგსა და ადამიანთა საზოგადოებას შორის?—შრომა. მაიმუნთა ჯოგი ქმაყოფილდებოდა მით, რომ სრულებით შესჭამდა, რაც საკვები მოიპოვებოდა მის რაიონში, რომელიც განსაზღვრული იყო გეოგრაფიული პირობებით ან სხვა ჯოგების წინააღმდეგობით; შემდეგ ის შეუდგებოდა გადასახლებას და იბრძოდა ახალი საკვები რაიონის მოსაპოვებლად; მაგრამ ამ რაიონებიდან მაიმუნებს არ შეეძლოთ აეღოთ იმაზე მეტი, რასაც ის იძლეოდა თავის-თავად ბუნებრივ პირობათა მიხედვით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ისინი შეუგნებლად აპატივებდენ ნიადაგს თავისი განაყალით. როგორც კი ყველა საკვებ რაიონებს დაიჭერდნენ, მაშინვე მაიმუნთა მოსახლეობის გამრავლება უნდა შეჩერებულიყო; მათი რიცხვი უკეთეს შემთხვევაში შეიძლება დარჩენილიყო ერთ დონეზედ. მაგრამ ყველა ცხოველს ეტყობა დიდი ფლანგვა საკვებისა და ამავე დროს ისინი ჩანასახშივე ჰკლავენ საჭმელ პროდუქტებს. მგელი მონადირესავით არ დაინდობს დედა შველს, რომელმაც უნდა იმრავლოს უახლოეს წელს; საბერძნეთში თხებმა, რომელნიც ნორჩ ბუჩქნარებს სძოვდენ, სავსებით გაატიტვლეს ამ ქვეყნის მთები. ასეთი „მტაცებლური მეურნეობა“ საკმაოდ მნიშველოვან როლს თამაშობს ცხოველთა სამეფოში მათი ჯიშების დანდათანი შეცვლის დროს, ვინაიდან აიძულებს მათ გადაეჩვიონ ჩვეულებრივ საჭმელს, რის გამოც მათი სისხლი ღებულობს სხვა

[1] ამ საკითხში ერთმა პირველხარისხოვანმა ავტორიტეტთაგანმა—ვ. ტომსონმა—გამოიანგარიშა, რომ სულ ცოტა ასი მილიონი წელი მაინც უნდა გასულიყო, სანამ დედაიწა იმდენად გაგრილდებოდა, რომ შესაძლებელი გახდა მასზედ მცენარეთა და ცხოველთა წარმოშობა.

ქიმიურ შემადგენლობას და საზოგადოდ მთელი სხეულის ორგანიზაცია თანდათან იცვლება: იმავე დროს უძრავი, განვითარების ერთ წერტილზე გაყინული ჯიშები ისპობიან.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ მტაცებლურმა მეურნეობამ ენერგიულად შეუწყო ხელი ჩვენ წინაპართა გაადამიანების პროცესს. მაიმუნთა იმ მოდგმისათვის, რომელიც ჰკუითა და შეგუების ნიჭით სჯობნიდა ყველა დანარჩენთ, საჭმელ მცენარეთა რაოდენობა სულ მატულობდა, მატულობდა ამ მცენარეთა საჭმელად სახმარი ნაწილები, ერთი სიტყვით, საჭმელი ხდებოდა მრავალნაირი და მასთან ერთად მრავალნაირი ხდებოდა ორგანიზმში შემავალი ნივთიერებანი,— ქიმიური პირობანი ადამიანის წარმოსაშობად. მაგრამ ყოველივე ამაში ჯერ კიდევ არაა შრომა. შრომა იწყება იარაღის გაკეთების მომენტიდან. რას წარმოადგენს უუძველესი იარაღები უუძველესი ისტორიის წინადროინდელ ადამიანის ნაშთების მიხედვით და იმის მიხედვით, თუ როგორ ცხოვრობდენ ძველი ისტორიული ხალხები ან როგორ ცხოვრობენ უფრო ჩამორჩენილი თანამედროვე ველურები? სანადირო და სათევზაო ხელსაწყო, პირველი მათგანი იმავე დროს იარაღიცაა. მაგრამ ნადირობა და თევზაობა გულისხმობს წმინდა მცენარეულ საჭმელთან ერთად ხორცის ხმარებაზედაც გადასვლას, რაც ისევ და ისევ არსებით ნაბიჯს წარმოადგენს გაადამიანებისაკენ. ხორცეული საჭმელი თითქმის მზამზარეულად შეიცავს ყველა მთავარ ნივთიერებას, რაც კი ესაჭიროება ორგანიზმს ნივთიერებათა მიმოქცევისათვის; ხორცის მონელებას ნაკლები დრო მოუნდა, რის გამოც შემოკლდა დრო სხვა პროცესებისაც ორგანიზმში, შედარებით იმ დროსთან, ამ პროცესებს რომ სჭირდებოდა მცენარეულობის საზრდოობის ხანაში; ასეთი გზით ადამიანმა მოიგო დრო, მასალა და სურვილი წმინდა ცხოველური სიცოცხლის მოქმედებისათვის. და რაც უფრო შორდებოდა მცენარეს ადამიანი, მით უფრო მაღლდებოდა ცხოველზედ. როგორც გარეული ძაღლები და კატები ხორცთან ერთად მცენარეულობის ჭამამ აქცია ადამიანთა მოსამსახურეებად, ისე ამგვარადვე საზრდომ ხელი შეუწყო ადამიანის სხეულის ძალღონისა და დამოკიდებულების გაძლიერებას. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ხორცეული საჭმელის გავლენა ტვინზედ, რომელსაც ეხლა უხვად მისდიოდა მისი განვითარებისა და საზრდოობისათვის აუცილებელი ყველა ნივთიერებანი, რის გამოც ტვინს შეეძლო უფრო ჩქარა და უფრო სრულად განვითარებულიყო თაობიდან თაობამდე. მაპატიონ ვეგეტარიანებმა და ადამიანი ხორცეული საჭმელის დაუხმარებლად არ იქნებოდა ის, რაც არის და თუ ხორცის ჭამას ყველა ხალხში ერთ დროს თან მოსდევდა კაცის ჭამაც (ბერლინელთა წინაპრები—ველებატები ან ველცები ჯერ კიდევ მე-X საუკუნეში სჭამდენ თავიანთ მშობლებს), ახლა ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აღარ აქვს.

ხორცის ჭამას მოჰყვა შემდეგში ორი პროგრესიული შედეგი გადამწყვეტი მნიშვნელობისა: ცეცხლის ხმარება და ცხოველთა მოშინაურება. პირველმა კიდევ უფრო შეამოკლა საჭმლის მონელების პროცესი, ვინაიდან ცეცხლის წყალობით საჭმელი მისდიოდა პირს ასე ვსთქვათ სანახევროდ მონელებული; ცხოველთა მოშინაურებამ კი ნადირობას მიუმატა ახალი, უფრო სწორი წყარო საზრდოს საშოვნელად; გარდა ამისა რძესა და მის პროდუქტებში იპოვებოდა ეხლა ახალი

ქიმიურ შემადგენლობას და საზოგადოდ მთელი სხეულის ორგანიზაცია თანდათან იცვლება: იმავე დროს უძრავი, განვითარების ერთ წერტილზე გაყინული ჯიშები ისპობიან.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ მტაცებლურმა მეურნეობამ ენერგიულად შეუწყო ხელი ჩვენ წინაპართა გაადამიანების პროცესს. მაიმუნთა იმ მოდგმისათვის, რომელიც ჭკუითა და შეგუების ნიჭით სჯობნიდა ყველა დანარჩენთ, საჭმელ მცენარეთა რაოდენობა სულ მატულობდა, მატულობდა ამ მცენარეთა საჭმელად სახმარი ნაწილები, ერთი სიტყვით, საჭმელი ხდებოდა მრავალნაირი და მასთან ერთად მრავალნაირი ხდებოდა ორგანიზმში შემავალი ნივთიერებანი,— ქიმიური პირობანი ადამიანის წარმოსაშობად. მაგრამ ყოველივე ამაში ჯერ კიდევ არაა შრომა. შრომა იწყება იარაღის გაკეთების მომენტიდან. რას წარმოადგენს უუძველესი იარაღები უუძველესი ისტორიის წინადროინდელ ადამიანის ნამთების მიხედვით და იმის მიხედვით, თუ როგორ ცხოვრობდენ ძველი ისტორიული ხალხები ან როგორ ცხოვრობენ უფრო ჩამორჩენილი თანამედროვე ველურები? სანადირო და სათევზაო ხელსაწყო, პირველი მათგანი იმავე დროს იარაღიცაა. მაგრამ ნადირობა და თევზაობა გულისხმობს წმინდა მცენარეულ საჭმელთან ერთად ხორცის ხმარებაზედაც გადასვლას, რაც ისევ და ისევ არსებით ნაბიჯს წარმოადგენს გაადამიანებისაკენ. ხორცეული საჭმელი თითქმის მზამზარეულად შეიცავს ყველა მთავარ ნივთიერებას, რაც კი ესაჭიროება ორგანიზმს ნივთიერებათა მიმოქცევისათვის; ხორცის მონელებას ნაკლები დრო მოუნდა, რის გამოც შემოკლდა დრო სხვა პროცესებისაც ორგანიზმში, შედარებით იმ დროსთან, ამ პროცესებს რომ სჭირდებოდა მცენარეულობის საზრდოობის ხანაში; ასეთი გზით ადამიანმა მოიგო დრო, მასალა და სურვილი წმინდა ცხოველური სიცოცხლის მოქმედებისათვის. და რაც უფრო შორდებოდა მცენარეს ადამიანი, მით უფრო მაღლდებოდა ცხოველზედ. როგორც გარეული ძაღლები და კატები ხორცთან ერთად მცენარეულობის ჭამამ აქცია ადამიანთა მოსამსახურეებად, ისე ამგვარადვე საზრდომ ხელი შეუწყო ადამიანის სხეულის ძალღონისა და დამოკიდებულების გაძლიერებას. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ხორცეული საჭმელის გავლენა ტვინზედ, რომელსაც ეხლა უხვად მისდიოდა მისი განვითარებისა და საზრდოობისათვის აუცილებელი ყველა ნივთიერებანი, რის გამოც ტვინს შეეძლო უფრო ჩქარა და უფრო სრულად განვითარებულიყო თაობიდან თაობამდე. მაპატიონ ვეგეტარიანებმა და ადამიანი ხორცეული საჭმელის დაუხმარებლად არ იქნებოდა ის, რაც არის და თუ ხორცის ჭამას ყველა ხალხში ერთ დროს თან მოსდევდა კაცის ჭამაც (ბერლინელთა წინაპრები—ველებატები ან ველცები ჯერ კიდევ მე-X საუკუნეში სჭამდენ თავიანთ მშობლებს), ახლა ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აღარ აქვს.

ხორცის ჭამას მოჰყვა შემდეგში ორი პროგრესიული შედეგი გადამწყვეტი მნიშვნელობისა: ცეცხლის ხმარება და ცხოველთა მოშინაურება. პირველმა კიდევ უფრო შეამოკლა საჭმლის მონელების პროცესი, ვინაიდან ცეცხლის წყალობით საჭმელი მისდიოდა პირს ასე ვსთქვათ სანახევროდ მონელებული; ცხოველთა მოშინაურებამ კი ნადირობას მიუმატა ახალი, უფრო სწორი წყარო საზრდოს საშოვნელად; გარდა ამისა რძესა და მის პროდუქტებში იპოვებოდა ეხლა ახალი

საკვები ნივთიერება, რომელიც შემადგენელი ელემენტებით დიდად არ ჩამორჩებოდა ხორცს. ამრიგად ცეცხლმა და მოშინაურებულმა ცხოველებმა უშუალოდ შეუწყვეს ხელი ადამიანის ემანსიპაციას. ჩვენ ერთობ შორს დაგვჭირდებოდა წასვლა, რომ შევსდგომოდით იმის გამორკვევას, თუ როგორი იყო საერთოდ ცეცხლისა და მოშინაურებული ცხოველის არაპირდაპირი გავლენა ადამიანზე, რაც უნდა დიდი იყოს მათი როლი ადამიანსა და საზოგადოებრივი განვითარების საქმეში.

მსგავსად იმისა, როგორც ადამიანი შეეჩვია ყველაფრის ჭამას, რაც კი იქმებოდა, ის შეეჩვია ყოველნაირ ჰავაში ცხოვრებას. ის გაიფანტა მთელ დედამიწაზე და დასახლდა სადაც კი ცხოვრება შესაძლებელია. ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც თავის თავში პოულობდა ამისათვის საჭირო ძალას. სხვა ცხოველებმა კი, რომელნიც შეეჩვიენ სხვადასხვა ჰავაში ცხოვრებას, ჩაიდინეს ეს არა საკუთარი თაოსნობით, არამედ ადამიანის წყალობით—ასეთებია შინაური ცხოველები და პარაზიტები. პირველსამშობლოს ერთნაირი ცხელი ჰავიდან გადასვლამ სხვა ადგილებში, სადაც წელიწადი შესდგებოდა ზამთრისა და ზაფხულისაგან, წარმოშვა ახალი საჭიროებანი, საჭირო შეიქნა მომზადება საცხოვრებელი ბინისა და საცმელების სიცივისა და სისველისაგან თავის დასაფარავად; სცენაზე გამოდის ახალი დარგები შრომისა, და მასთან ერთად ახალი მოქმედება, რომელიც კიდევ უფრო აშორებს ადამიანს ცხოველებისაგან.

ხელების, მეტყველების ორგანოებისა და ტვინის ურთიერთზე გავლენით,—როგორც ცალკე პირობებში, ისე ცალკე საზოგადოებაში,—ადამიანში განვითარდა შესაძლებლობა სულ უფრო რთული ფუნქციების შესასრულებლად. მას შეეძლო დაესახა და სისრულეში მოეყვანა უფრო მაღალი მიზნები. თვით შრომა თაობიდან თაობამდე ღებულობდა სხვა ხასიათს უფრო სრულს და მრავალმხრივს. ნადირობას და მესაქონლეობას დაემატა მიწის მუშაობა, და ამას კიდევ რთვა და ქსოვა, ლითონების დამუშავება, მეჯურჭლეობა, ნაოსნობა. ვაჭრობა-მრეწველობასთან ერთად და ბოლოს ადგილს იჭერს ხელოვნება და მეცნიერება; მოდგმათაგან შეიქმნა ერები და სახელმწიფოები. განვითარდა უფლება და პოლიტიკა და მასთან ერთად რელიგიაც—ეს ფანტასტიური ასახვა ადამიანის თავში ადამიანთა საქმისა. ყოველივე ეს კაცს ეჩვენება, უწინარეს ყოვლისა, თავის მოქმედების პროდუქტებად და ამიტომ უფრო მდარე ნამოქმედარი მშრომელი ხალხისა უკანა ადგილს იჭერს მათთან შედარებით, მით უფრო, რომ საზოგადოების განვითარების სულ ადრინდელ საფეხურზედ (მაგ., მარტივ ოჯახში) თავი, რომელიც ადგენდა მუშაობის გეგმას, ცდილობს შეასრულოს ეს სამუშაო სხვისი ხელებით, ისე თითქოს თავისი საკუთარი ხელები იყოს. თავს, ტვინის განვითარებას და მოქმედებას მიაწერეს მთელი დამსახურება სწრაფად მიმდინარე ცივილიზაციისა; ხალხი შეეჩვია და თავის მოქმედება გამოჰყავდა აზროვნებისაგან და არა საჭიროებისაგან (რომელიც, რასაკვირველია, აისახება თავში, ცნობიერდება); ამრიგად დროთა განმავლობაში წამოიშვა ის იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომელმაც დაიპყრო ხალხთა გონება განსაკუთრებით ანტიურ ქვეყნის დაცემის შემდეგ. ის დღემდინაც იმდენათაა გაბატონებული, რომ დარვინის სკოლის ბუნებისმეტყველი მატერიალისტებიც კი ვერ ახერხებენ იქონიონ

ნათელი წარმოდგენა ადამიანის წარმოშობის შესახებ, იმიტომ, რომ იმყოფებიან ამ იდეალისტური გავლენის ქვეშ და არ ესმით, თუ რა როლი შეასრულა აქ შრომამ.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ცხოველებსაც შეაქვთ ცვლილება გარეშე ბუნებაში თავიანთი მოქმედებით, თუმცა იმდენი არა, რამდენიც ადამიანებს; და ეს მათი მოქმედებით მომხდარი ცვლილებანი, როგორც ვნახეთ, გავლენას ახდენს დანარჩენებზე და უკუ. ამ ყოველმხრივი მოძრაობისა და ურთიერთობის დავიწყებაა, რომ ხელს უშლის ჩვენ ბუნებისმეტყველებს ნათლად დაინახონ სულ უბრალო საგნები. ჩვენ ვნახეთ, როგორ აბრკოლებდენ თხები საბერძნეთში ტყეების მოშენებას. წმ. ელენეს კუნძულზე თხებმა და ღორებმა, რომლებიც მოიყვანეს პირველად აქ მოსულმა მეზღვაურებმა, იქამდის მიიყვანეს კუნძული, რომ თითქმის მთელი უწინდელი მცენარეულობა მოისპო. და ამნაირად, მომზადდა ნიადაგი, რომელზედაც გავრცელდა მეზღვაურებისა და კოლონისტების მიერ შემდეგ მოტანილი მცენარეები. მაგრამ თუ ცხოველები ხანგრძლივ გავლენას ახდენდენ მათ გარემოცულ პირობებზედ,—ეს ხდება მათი მხრით რაიმე განზრახვის გარეშე და თვით ცხოველთათვის წარმოადგენს რაღაც შემთხვევით მოვლენას. რაც უფრო შორდებიან ადამიანები ცხოველებს, მით უფრო მათი გავლენა ბუნებაზე იღებს ხასიათს მოფიქრებული, გეგმაშეწონილი მოქმედებისა, რომელიც მიმართულია წინდაწინ ცნობილი გარკვეული მიზნების მიღწევისაკენ. ცხოველი სპობს რომელიმე ადგილს მცენარეულობას ისე, რომ არ იცის რას შვრება; ადამიანი კი სპობს მას იმისათვის, რომ განთავისუფლებულ ნიადაგზე დათესოს ხორბლეული, ან დარგოს ხეები და ბუჩქები იმ რწმენით, რომ ისინი მისცემენ უხვ მოსავალს. ადამიანს გადააქვს სასარგებლო მცენარეები და შინაური ცხოველები ერთი ქვეყნიდან მეორეში და ამრიგად სცვლის ფლორას და ფაუნას მსოფლიო ნაწილებისა. ამაზე მეტიც,—ხელოვნური შერჩევით მცენარეები და ცხოველები ადამიანის ხელში ისე იცვლებიან, რომ ვეღარ იცნობთ. დღემდის ვერ ნახეს ჩვენი საპურე მცენარეების გარეული წინაპრები. დღემდის არაა ცნობილი, რომელი გარეული მხეცისაგანაა წარმომდგარი ჩვენი ძაღლების ასეთი განსხვავებული ჯიშები ან და არა ნაკლებ მრავალრიცხოვანი ჯიშები ცხენებისა.

(ფრ. ენგელსი, შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში.)

2. ნაციონალური ენების ჩამოყალიბების წინა პერიოდი. მონათესავე ტომთა კავშირი და სხვადასხვა ენები

გვარი იშობა ველური მდგომარეობის შუა საფეხურზე. ვითარდება ზედა საფეხურზე, ხოლო თავის აყვავების ხანას, რამდენადაც ჩვენი წყაროების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, ბარბაროსობის ქვედა საფეხურზე აღწევს.

(ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწ. წარმოშობა, გვ. 188.)

რა საუცხოო მოვლენაა ეს გვაროვნული წესწყობილება თავისი უშუალობისა და სიმარტივის მიუხედავად! აქ არც ჯარისკაცებია, არც ჟანდარმები და პოლიციელები, არც თავად-აზნაურობა, მეფეები, მეფის მოადგილეები, პრეფექ-

ტები ან მსაჯულები, არც ციხეებია და არც პროცესები, მაგრამ ყოველივე წესიერად მიმდინარეობს. ყოველივე უთანხმოებას და ჩხუბს სწყვეტს იმ პირთა ერთეული, რომელთაც ეს ეხება, გვარი, ტომი ან გვარების გაერთიანება; სისხლის აღება მხოლოდ უკიდურესს, იშვიათ შემთხვევაში იხმარება, ამ სისხლის აღების ცივილიზაციაქმნილი ფორმა სიკვდილით დასჯაა, იგი ცივილიზაციის ყველა უპირატესობით და ნაკლითაა დატვირთული. თუმცა გვაროვნულ წესწყობილებაში მეტი საზოგადო საქმეებია გასარჩევი ვიდრე დღეს, თუმცა რამდენიმე საერთო შინაური მეურნეობა აქვს კომუნისტურად მოწყობილი, თუმცა იქ მიწა ტომის სამფლობელოს წარმოადგენს, მხოლოდ ბალჩებია მიკუთვნილი შინაური მეურნეობისადმი, მაგრამ მაინც ის საჭირო არაა ჩვენი ფართო და დახლართული მმართველობის აპარატი. საქმეებს მონაწილეები სწყვეტენ და უმრავლეს შემთხვევაში ყოველივე საუკუნოებრიჲი ადათის წყალობით წესრიგდება. შეუძლებელია, რომ ღარიბები და გაჭირვებულები არსებობდენ: კომუნისტური ოჯახი და გვარი ზრუნავენ მოხუცებულთა, სნეულთა და ომში დაავადებულთა შესახებ. ყველანი თავისუფალნი და თანასწორნი არიან, თვით დედა-კაცებიც. ადგილი არ არის არც მონებისა და ჩვეულებრივ არც უცხო ტომების ჩაგვრისთვის.

(იქვე, გვ. 111—12.)

ჩვენ აქ, სადაც ამერიკელი წითელკანიანები ნიმუშად უნდა ავიღოთ, ვხედავთ, რომ გვაროვნული წესწყობილება სავსებით განვითარებულია. ტომი გაყოფილია რამდენიმე, უმეტეს შემთხვევაში ორ გვარად; ეს პირვანდელი გვარები ხალხის გამრავლებასთან ერთად რამდენიმე ქვეგვარად იყოფა, რომელთა წინაალმდეგ დედა-გვარი ფრატრიად გვევლინება; თვით ტომი რამდენიმე ტომად ნაწილდება, თითოეულ მათგანში, უმეტეს შემთხვევაში, ხელახლა ვპოულობთ ძველ გვარებს; ზოგიერთ შემთხვევაში მონათესავე ტომებიც კავშირდებიან. ეს მარტივი ორგანიზაცია სავსებით აკმაყოფილებს იმ საზოგადოებრივ მდგომარეობას, რომელზედაც იგი წარმოიშვა. იგი სხვას არაფერს წარმოადგენს გარდა საზოგადოებრივი ელემენტების ბუნებრივად წარმოშობილ დაჯგუფებისა, მას შეუძლია შეანელოს და გადაწყვიტოს ყველა კონფლიქტი, რომელიც ამგვარად ორგანიზაციაქმნილ საზოგადოებაში წარმოიშვება. გარეგან შეტაკებებს ომი სწყვეტს, იგი შეიძლება ტომის განადგურებით დასრულდეს, მაგრამ არა მისი დამორჩილებით. გვაროვნულ წესწყობილებაში ადგილი არაა ბატონობისა და დამონებისათვის, ეს დიდი მოვლენაა, მაგრამ ამასთანავე შემდგომი განვითარების შემფერხებელიც. შიგნით განსხვავება არ არსებობს უფლებასა და მოვალეობას შორის; ინდიელი არა სვამს საკითხს, უფლებას წარმოადგენს თუ ვალდებულებას საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა, სისხლის აღება და შურისძიებაო; ეს საკითხი მისთვის ისევე უაზრო იქნებოდა, როგორც ის უფლებაა თუ ვალდებულება ჰამა, ძილი და ნადირობა. ასევე შეუძლებელია, რომ ტომი ან გვარი სხვადასხვა კლასებად დაიყოს. ამას მივყევართ ეკონომიური საფუძველის გამოკვლევისკენ.

მოსახლეობა მეტად თხელია: იგი შეჯგუფებულია მხოლოდ მთავარ საცხოვრებელ ადგილას, რომლის გარშემო სანადირო ტერიტორიაა გაშლილი, შემდეგ

ნეიტრალური ტყე, რომელიც ტომს სხვა ტომებისაგან ჰყოფს. შრომის დანაწილება პირველყოფილი ხასიათისაა, იგი მხოლოდ ორ სქესს შორის არსებობს. მამაკაცი ომობს, ნადირობს, თევზაობს, საკვებ მასალას პოულობს და მის მოსაპოებლად საჭირო იარაღს ამზადებს. დედაკაცი სახლს უვლის, საჭმელსა და ტანისამოსს ამზადებს, ხარშავს, ქსოვს, ჰკერავს. თითოეული მათგანი ბატონია თავის ასპარეზზე: მამაკაცი ტყეში, დედაკაცი სახლში. თითოეული მათგანი მის მიერ მომზადებული და ხმარებული ხელსაწყოს პატრონია: მამაკაცს იარაღი და სანადირო თუ სათევზაო ხელსაწყო ეკუთვნის, დედაკაცს საოჯახო ჭურჭელ-ავეჯეულობა. საოჯახო მეურნეობა კომუნისტურია, იგი რამდენიმე, ხშირად მრავალ ოჯახს მოიცავს. ის, რასაც საერთოდ აკეთებენ და საერთოდ სარგებლობენ, საერთო საკუთრებას წარმოადგენს: სახლი, ბაღი, გრძელი ნავი. მაშასადამე, აქ და მხოლოდ აქ აქვს ადგილი განათლებული საზოგადოების იურისტებისა და ეკონომისტების მიერ შეთხზულ „თვითნამოლვაწარ საკუთრებას“, ამ უკანასკნელ ყალბ უფლებრივ საფარს, რომელსაც დღევანდელი კაპიტალისტური საკუთრება ეყრდნობა.

მაგრამ ადამიანები ყველგან ამ საფეხურზე როდი შეჩერებულან; აზიაში მათ აღმოაჩინეს ცხოველები, რომელთა შოშინაურება და შემდეგ გახედნა შეიძლებოდა. ველურ ფურკამეჩზე ადამიანს უნდა ენადირნა, მოშინაურებული ყოველ წელიწადში ზაქს იძლეოდა და ამას გარდა კიდევ რძეს. მრავალმა დაწინაურებულმა ტომმა, არიელებმა, სემიტებმა, შეიძლება აგრეთვე ტურანელებმაც გვერ ცხოველების მოშინაურება და შემდეგ მათი გახედნა და მოვლა მთავარ შრომის დარგად აქციეს. მეჯოგე ტომები გამოეყვნენ ბარბაროსების დანარჩენ მასის; ეს იყო შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება. მეჯოგე ტომები არა მარტო მეტს აწარმოებდენ ვიდრე დანარჩენი ბარბაროსები, არამედ მათი საცხოვრებელი მასალა უფრო მრავალფეროვანიც იყო. მათ დანარჩენებთან შედარებით არა მარტო მეტი რძე, რძის ნაწარმოები და ხორცი ჰქონდათ, არამედ აგრეთვე ტყავეულობაც, მატყლიც, თხის ბეწვიც და ძაფი და ქსოვილიც, რომელიც მატულობდა ნედლი მასალის მასასთან ერთად. ამგვარად პირველად გახდა შესაძლებელი რეგულარული ალებმიცემობა. წინანდელ საფეხურებზე მხოლოდ შემთხვევითი გაცვლა-გამოცვლა ხდებოდა; განსაკუთრებულმა სიმარჯვემ იარაღისა და ხელსაწყოს მომზადებაში შეიძლება დროებითი შრომის დანაწილება გამოიწვიოს. მრავალ ადგილას აღმოჩენილ იქნა ქვის იარაღის სახელოსნოების უცილობელი ნაშთები ნაგვიანევი ქვის პერიოდიდან; ოსტატები, რომელნიც აქ თავიანთ ხელობას ანვითარებდენ, ალბათ მთელი თემისათვის მუშაობდენ, როგორც ინდოეთის გვაროვნული კავშირის ხელოსნები დღესაც მუშაობენ. ამ საფეხურზე ალებმიცემობა მხოლოდ ტომის შორის ხდებოდა და იგი გამონაკლისს წარმოადგენდა. აქ, პირიქით, მეჯოგე ტომების გამოყოფის შემდეგ ყველა პირობაა მზად ალებმიცემობის დასამყარებლად სხვადასხვა ტომების წევრებს შორის, ამ ალებმიცემობის განსავითარებლად და გასამტკიცებლად როგორც მუდმივი მოვლენისა. თავდაპირველად ტომი ტომს უცვლიდა გვართა მამასახლისების შემწეობით; მაგრამ როცა ჯოგების კერძო საკუთრებაში გადასვლა დაიწყო, თანდათან გაძლიერდა ალებმიცემობა ცალკე პირებს შორის

და შემდეგ აღებმიცემობა მხოლოდ ამ ფორმაში ხდებოდა. ხოლო მთავარი საქონელი, რომელსაც მეჯოგე ტომები თავიანთ მეზობლებს უცვლიდენ, შინაური პირუტყვი იყო; პირუტყვი საქონელი გახდა, რომლითაც სხვა საქონელს აფასებდენ და რომელსაც სიამოვნებით ღებულობდენ აღებმიცემობაში; ერთი სიტყვით პირუტყვმა ფულის ფუნქცია მიიღო და ფულის როლის შესრულება დაიწყო ამ საფეხურზე. ასეთი აუცილებლობით და სისწრაფით ვითარდებოდა უკვე საქონლის აღებმიცემობის დასაწყისში საქონელ-ფულის მოთხოვნილება.

მებაღეობა, რომელიც ჭვედა საფეხურის აზიელი ბარბაროსებისათვის ალბათ უცხო იყო, შუა საფეხურზე აღმოცენდა როგორც მემინდვრეობის წინამორბედი. ტურანის პლატოზე მეჯოგეობა შეუძლებელია თუ ადამიანმა ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრისათვის საქონლის საკვები არ მოიმარაგა; მაშასადამე, აქ საჭირო იყო თივისა და პურეული მცენარის კულტურა. იგივე ითქმის შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ტრამალზე. ხოლო რაკი პურეული მცენარე აღმოჩენილ იქმნა, იგი ჩქარა ადამიანის საკვებიც გახდა. დამუშავებული მიწა ტომის მფლობელობაში დარჩა, მხოლოდ თავდაპირველად გვარს ეძლეოდა სარგებლობისათვის, შემდეგ საოჯახო კოლექტივებს, ბოლოს ცალკე პირებს; მათ მხოლოდ მესაკუთრის ზოგიერთი უფლება ჰქონდათ და მეტი არაფერი.

ამ საფეხურის სამრეწველო მონაპოვართა შორის ორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. პირველია საქსოვი დგამი, მეორე ლითონის მადნის გადადნობა და ლითონის დამუშავება. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპილენძსა, კალასა და მათგან შედუღებულ ბრინჯაოს; ბრინჯაო გამოსადეგ ხელსაწყოსა და იარაღს იძლეოდა, მაგრამ მას არ შეეძლო ქვის იარაღი გაედევნა; ეს მხოლოდ რკინას შეეძლო, რკინის მოპოება კი ადამიანმა ჯერ კიდევ არ იცოდა. მაგრამ მან უკვე დაიწყო ოქრო-ვერცხლის გამოყენება სამკაულად, ამ ლითონებს დიდი ფასი უნდა ჰქონოდა სპილინძსა და ბრინჯაოსთან შედარებით.

წარმოების აწევამ ყველა დარგში, მეჯოგეობასა, მიწადმოქმედებასა, შინახელოსნობაში ადამიანის სამუშაო ძალას შესაძლებლობა მისცა მეტი პროდუქტი ეწარმოებია ვიდრე მისი არსებობისათვის იყო საჭირო. ამავე დროს მან გაადიდა დღიური შრომის რაოდენობა, რომელიც გვარის, საოჯახო კოლექტივისა ან ცალკე ოჯახის წევრს უნდა დაეხარჯა. სასურველი გახდა ახალი სამუშაო ძალების გამოყენება. მათ ომი იძლეოდა: სამხედრო ტყვეები მონებად აქციეს. შრომის პრობლემა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ შრომის პროდუქტიულობის გაძლიერებასა, მაშასადამე, სიმდიდრის ზრდასთან და წარმოების ასპარეზის გაფართოებასთან ერთად, საერთოდ მოცემულ ისტორიულ პირობებში, გარდაუვალი აუცილებლობით გამოიწვია მონობის დამყარება. პირველი დიდი საზოგადოებრივი შრომის დანაწილებიდან წარმოსდგა საზოგადოების პირველი დიდი გათიშვა ორ კლასად: ბატონებად და მონებად, ექსპლოატატორებად და ექსპლოატაციაქმნილებად.

(იქვე, გვ. 188—92.)

თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზოგადოებრივი წარმოების ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ფორმას, შრომის ნაყოფიერება დაკავშირებული რჩება ბუნებრივ პირობებთან. ყველა მათი დაყვანა შეიძლება თვით ადამიანის ბუნებაზე, როგორც, მაგალითად, რასა და სხვ. და მის ირგვლივ მდებარე ბუნებაზე. გარეშე ბუნების პირობები ეკონომიური თვალსაზრისით განიყოფება ორ დიდ ჯგუფად: ბუნებრივი სიმდიდრე საარსებო საშუალებებით, როგორიცაა ნიადაგის ნაყოფიერება, თევზით მდიდარი წყლები და სხვ., და ბუნებრივი სიმდიდრე შრომის საშუალებებით, როგორც მაგალითად, ჩანჩქერები, სანავოსნო მდინარეები, ხე-ტყე, ლითონი, ნახშირი და სხ. კულტურის პირველ საფეხურზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი სიმდიდრის პირველ ჯგუფს, ხოლო განვითარების მაღალ საფეხურზე მეორე ჯგუფს. შეადარეთ, მაგალითად, ინგლისი ინდოეთს, ანდა, ანტიურ ქვეყანაში, ათინა და კორინთი—მავი ზღვის ნაპირას მდებარე ქვეყნებს.

(კარლ მარქსი, კაპიტალი, 1 ტ., გვ. 458.)

როდესაც კაპიტალისტური წარმოება მოკვეთილია, მაშინ, სხვა დანარჩენ თანასწორ პირობებში და სამუშაო დღის განსაზღვრული სიგრძის დროს, ზედმეტი ზრომის სიდიდე იცვლება შრომის ბუნებრივი პირობების, განსაკუთრებით ნაიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს, პირიქით, უნაყოფიერესი ნიადაგი ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყოს კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის. კაპიტალისტური წარმოება გულისხმობს ადამიანის გაბატონებას ბუნებაზე. მეტის-მეტად ხელ გაშლილი ბუნება „ადამიანს, როგორც ბავშვს, ხელით ატარებს".

იგი არ ხდის მის საკუთარ განვითარებას ბუნებრივ აუცილებლობად. კაპიტალის სამშობლო ტროპიკული ჰავა კი არ არის, მისი მდიდარი მცენარეულობით, არამედ ზომიერი ზონა. არა ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება, არამედ—მისი დიფერენციაცია, მისი ბუნებრივი პროდუქტების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის საზოგადოებრივი განაწილების ბუნებრივ საფუძველს და იმ ბუნებრივი პირობების ცვალებადობით, რომელშიაც ადამიანი ეწევა მეურნეობას, იწვევს მის საკუთარ მოთხოვნილებათა, უნარისა, შრომის საშუალებათა და შრომის წესების გამრავლებას. მრეწველობის ისტორიაში გადამწყვეტ როლს ასრულებს აუცილებლობა ბუნების ამა-თუ-იმ ძალაზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებისა, მისი ყაირათიანათ გამოყენებისა, ადამიანის ხელით შექმნილ მოწყობილობათა საშუალებით მისი დიდი მასშტაბით მისაკუთრების ან დამორჩილებისა. ამის მაგალითია წყლის გაწესრიგება ეგვიპტეში, ლომბარდიაში, ჰოლანდიაში და სხვ. ანდა—ინდოეთში, სპარსეთში და სხვ., სადაც ხელოვნური არხების საშუალებით მორწყვა მარტო აუცილებელ წყალს კი არ აწვდის ნიადაგს, არამედ მოაქვს ლამთან ერთად მთებიდან მინერალური სასუქი. ესპანეთის და სიცილიის მრეწველობის აყვავების საიდუმლოება არაბების ბატონობის დროს არხების გაყვანაში მდგომარეობდა.

(კარლ მარქსი, კაპიტალი, I ტომი, გვ. 459—60.)

ბარბაროსობასთან ერთად მივალწიეთ საფეხურს, სადაც დედამიწის ორივე დიდი კონტინენტის ბუნებრივი სხვადასხვაობა იჩენს თავს. ბარბაროსობის პერიოდის დამახასიათებელი მომენტია ცხოველების მოშინაურება და გახედნა და მცენარეების მოშენება. მაგრამ აღმოსავლეთის კონტინენტი, ე. წ. ძველი ქვეყანა ყველა მოსაშინაურებლად გამოსადეგ ცხოველსა და ყველა კულტურულ პურეულს ჰფლობდა გარდა ერთისა; დასავლეთის კონტინენტს, ამერიკას, კი მოსაშინაურებელ ძუძუმაწოვარ ცხოველებიდან მხოლოდ ლამა ჰყავდა და ისიც მხოლოდ სამხრეთის ერთს ნაწილში, ხოლო კულტურული პურეულიდან ერთი ჰქონდა, მაგრამ საუკეთესო—სახელდობრ სიმინდი. ბუნებრივი პირობების ამ ხვადასხვაობამ გამოიწვია ის, რომ ამიერიდან თითოეული კონტინენტის მოსახლეობა თავისი განსაკუთრებული გზით მიდის და თითოეული საფეხურის საზღვრების მიღწა აქა და იქ სხვადასხვანაირია.

(ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 24.)

ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოების უაღრესად განვითარებული და მრავალრიცხოვანი ისტორიული ორგანიზაციაა. კატეგორიები, რომელნიც ამ საზოგადოების ურთიერთობათ გამოსახავენ, მისი სტრუქტურის გაგება, შესაძლებლობას აძლევს მას ჩაიხედოს ყველა მოსპობილ საზოგადოებრივ ფორმათა სტრუქტურასა და საწარმოო ურთიერთობაში, რომელთა ნანგრევებსა და ელემენტებზე იგი აღიმართა ისე, რომ ნაწილობრივ ზოგ ნაშთებს, რომელთაც მან ჯერ კიდევ ვერ სძლია, იგი თან მიათრევს, ნაწილობრივადაც ზოგს, რაც წინედ მარტოოდენ ჩანასახის სახით არსებობდა, სრულს მნიშვნელობამდე ანვითარებს და სხვ. ადამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია. პირიქით, უმაღლესის ნიშნები დაბალი სახის ცხოველებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაგებულ იქნენ, თუ ეს უმაღლესი უკვე ცნობილი არის. ბურჟუაზიული ეკონომია იძლევა გასაღებს ანტიური ეკონომიისათვის და სხვ., მაგრამ სრულიადაც არა იმ ეკონომისტებისებურს, რომელნიც ყველა ისტორიულ განსხვავებას წარხოცენ და ყველა საზოგადოებრივ ფორმაში ბურჟუაზიულს ხედავენ. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ხარკი, ათისთავი და სხვ., თუ ვიცით საადგილ-მამულო რენტა. მაგრამ არ უნდა გავაიგივეოთ ისინი.

და რადგან, შემდეგ, თვით ბურჟუაზიული საზოგადოება განვითარების ანტაგონისტური ფორმაა, ამიტომ ჩვენ მასში ვხედავთ უწინდელ ფორმათა ურთიერთობას ხშირად გადაგვარებულს ანდა სახეშეცვლილს, მაგალითად, სათემო საკუთრებას. ამიტომ, თუ მართალია, რომ ბურჟუაზიული ეკონომიის კატეგორიები ყველა საზოგადოებრივ ფორმათათვის შეიცავს ჭეშმარიტებას, ეს ჩვენ უნდა მივიღოთ cum grano salis. ეს კატეგორიები შეიძლება ამ ურთიერთობათ შეიცავდეს განვითარებული, გადაგვარებული, გაკარიკატურებული და სხვ. სახით, მაგრამ—ყოველთვის არსებითად შეცვლილი სახით. ეგრეთწოდებული ისტორიული განვითარება იმაზეა საზოგადოდ დამყარებული, რომ უკანასკნელი ფორმა წინანდელ ფორმებს თავის საფეხურებათ განიხილავს და ყოველთვის ცალმხრივად გაიგებს, ვინაიდან მას იშვიათად და მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ

პირობებში შესწევს თვითკრიტიკის უნარი; რასაკვირველია, აქ ლაპარაკია არა ისეთ ისტორიულ პერიოდებზე, რომლებიც თავის-თავად დაცემის ხანას წარმოადგენენ.

(კ. მარქსი, პ.-ეკონ. კრიტიკისათვის, გვ. 29—30.)

...ეკონომიური ურთიერთობის ცნება შეიცავს გეოგრაფიულ ნიადაგსაც, რომელზედაც ეს ურთიერთობა იბადება და არსებობს. ამასთანავე იგი შეიცავს უწინდელ ეკონომიურ ეპოქათა ნაშთს, რომელიც განაგრძობს არსებობას ტრადიციისა თუ ინერციის ძალით, აგრეთვე, რასაკვირველია, გარეშე არე, რომელიც გარს აკრავს ამ საზოგადოებრივ ფორმას.

(ფრ. ენგელსი, წერილი გ. შტარკენბურგს, 25 იანვარი, 1894 წ.)

მორგანმა დაამტკიცა, რომ გვაროვნული კავშირი, რომელსაც ამერიკელი ინდიელების ტომში ცხოველების სახელებით აღნიშნავენ, არსებითად იდენტიურია ბერძნების genea-სა და რომაელების gentes-თანა; ამერიკული ფორმა პირველადია, ხოლო ბერძნულ-რომაული შემდგომი, გამოყვანილია; ბერძნებისა და რომაელების მთელი უძველესი საზოგადოებრივ ორგანიზაციულ წყობას გვარებად, ფრატრიებად და ტომებად თავისი პარალელი აქვს ამერიკულ-ინდიურშია; გვარი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც საერთოა ყველა ბარბაროსისთვის, სანამ ისინი ცივილიზაციაში შევიდოდენ და თვით შემდეგაც (რამდენადაც სანდო წყაროები მოგვეპოება). ყოველივე ამის დამტკიცებამ ერთი დაკვრით გაანათა რომისა და საბერძნეთის უძველესი ისტორიის უბნელესი ნაწილები და ამავე დროს მოულოდნელად გამოარკვია იმ პირველყოფილი საზოგადოებრივი წესწყობილების ძირითადი ხაზები, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფოს დაარსებას.

(ფრ. ენგელსი, ოჯახის წარმოშობა, გვ. 96.)

ამ პირველი გვარის კლასიკურ ფორმად მორგანი იროკეზების, სპეციალურად სენეკას ტომის გვარებს სთვლის. ეს ტომი რვა გვარისაგან შესდგებოდა, თითოეულ მათგანს რომელიმე ცხოველისა ან ფრინველის სახელი ერქვა: 1) მგელი, 2) დათვი, 3) კუ, 4) წავი, 5) ირემი, 6) ტყის ქათამი, 7) ყანჩა, 8) შევარდენი.

თითოეულ გვარში შემდეგი ჩვეულება იყო გაბატონებული:

...არც ერთ წევრს არ შეეძლო გვარის წევრსავე შეუღლებოდა. ესაა გვარის ძირითადი წესი, ის კავშირი, რომელიც მას აერთებს; იგი ნეგატიური გამოხატულებაა მეტად პოზიტიური სისხლის ნათესაობისა, რომლის ძალით მასში თავმოყრილი ინდივიდუმები გვარი ხდებიან...

გვარს შეეძლო უცხოელები ეშვილა და ამით იგი მთელი ტომის წევრი გაეხადა. ომში დატყვევებულნი, რომელთაც არ ხოცავდენ, შვილად აყვანის შემწეობით სენეკას ტომის წევრები ხდებოდენ და ამ გზით სრულ საგვაროვნო და ტომობრივ უფლებებს ღებულობდენ. გვარში შეყვანა ცალკე მეგვარეების წინადადებით ხდებოდა, მამაკაცებისა, რომელნიც უცხოელს თავიანთ ძმად ან

დად აცხადებდენ, დედაკაცების, რომელნიც მას იშვილებდენ ხოლმე; ეს დასტურდებოდა ერთგვარი ზეიმით. ხშირად ზოგიერთ შემთხვევაში შეთხელებულ გვარებს აძლიერებდენ მასიურად წევრების შემოყვანით სხვა გვარებიდან, ამ უკანასკნელთა თანხმობით. იროკეზები გვარში ახალი წევრების მიღებას ზეიმით ახდენდენ ტომის საბჭოს საჯარო სხდომაზე, რის გამო ეს ცერემონია ფაქტიურად სარწმუნოებრივ ხასიათს ღებულობდა.

(იქვე, გვ. 97, 98, 100.)

მორგანის პასუხს ამ საკითხზე მარქსი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „გვარის პირველყოფილი ფორმის (ბერძნებმა კი ეს ფორმა განვლეს სხვა მომავედავთა მსგავსად) შესატყვისი სისხლის ნათესაობის სისტემა გვარის ყველა წევრის ურთიერთ ნათესაობას ალნიშნავდა. ამ მეტისმეტად მნიშვნელოვან გარემოებას მაშინ პრაქტიკით ბავშობიდანვე ითვისებდენ. მონოგამიური ოჯახის გაჩენის შემდეგ ეს ყოველივე დავიწყებას მიეცა. გვარის სახელწოდებამ შექმნა გენეალოგიური ხე, რომლის გვერდით ინდივიდუალური ოჯახი უმნიშვნელოდ სჩანდა. ამიერიდან თანამეგვარეებს ეს სახელწოდება ახსენებდა, საერთო წინაპრებისგან წარმოსდგებითო; მაგრამ გვარის გენეალოგია ისე შორს მიდიოდა, რომ თანამეგვარეებს აღარ შეეძლოთ თავიანთი ნამდვილი ურთიერთ ნათესაობის დამტკიცება, გარდა განსაზღვრული შემთხვევებისა, როცა მათ უახლოესი საერთო წინაპრები ჰყავდათ. გვარის სახელწოდება საერთო წარმოშობის დამტკიცება და საბოლოო დამტკიცება იყო, გარდა შვილად აყვანის შემთხვევებისა. პირიქით, გროტეს და ნიბურის მსგავსად მეგვარეებს შორის ყოველი ფაქტიური ნათესაობის უარყოფა და გვარის გადაქცევა გამოგონებულ და შეთხზულ ქმნილებად ღირსია „იდეალური“, ე. ი. ობობას ქსელის გამბმელი მსწავლულებისა. რადგან თაობათა ურთიერთი კავშირი, განსაკუთრებით მონოგამიის შემოღების შემდეგ, მიიჩქმალა, ხოლო წარსული სინამდვილე მითოლოგიური ფანტაზიის ქმნილებაში ისახება, ფილისტერებსა და მიამიტ ადამიანებს დასკვნა გამოჰყავთ, ნამდვილი გვარი ფანტასტიურმა გენეალოგიურმა ხემ შეჰქმნაო“.

ფრატრია როგორც ამერიკელებში, ისე ბერძნებში წარმოადგენდა დედაგვარს, რომელიც რამდენიმე განშტოებას შეიცავდა. ყველანი ერთი მამამთავრისგან წარმოსდგებოდენ...

მრავალი მონათესავე ფრატრიისაგან ტომი შესდგებოდა. ატიკაში ოთხი ტომი არსებობდა, თითოეულში სამ-სამი ფრატრია იყო, თითოეული ფრატრია თავის მხრივ ოცდაათ გვარად იყოფოდა. ჯგუფების ასეთი შემოფარგვლა გულისხმობს შეგნებულს, გეგმაშეწონილ შეჭრას ბუნებრივად აღმოცენებულ წესწყობილებაში. როგორ, როდის და რატომ მოხდა ეს, ამის შესახებ საბერძნეთის ისტორია სდუმს; თვით ბერძნებს მხოლოდ გმირულ ეპოქამდე ახსოვდათ თავიანთი ისტორიული წარსული.

ენის კილოკავთა განსხვავება ბერძნებს შორის, რომელნიც შედარებით პატარა ტერიტორიაზე ცხოვრობდენ მჭიდროდ, ნაკლები იყო ვიდრე ამერიკის უზარმაზარ ტყეებში გაფანტულ ინდიელებს შორის; მაგრამ საბერძნეთშიც მხოლოდ ერთ დიალექტზე მოლაპარაკე ტომები ერთდებოდენ დიდ ერთეულში

და თვით პატარა ატიკაში განსაკუთრებული დიალექტი არსებობდა, რომელიც შემდეგ საყოველთაო პროზაული ენის სახით გაბატონდა.

ჰომეროსის პოემებში ბერძენთა ტომები გვევლინებიან როგორც გაერთიანებულნი პატარა ხალხებად, რომელშიც გვარები, ფრატრიები და ტომები მაინც სრულს დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ. ისინი გალავნით გამაგრებულ ქალაქებში ცხოვრობენ; მოსახლეობა მატულობს ჯოგების გამრავლებისა, ხვნათესვის გაფართოებისა და ხელოსნობის წარმოშობასთან ერთად: იზრდება აგრეთვე განსხვავება სიმდიდრის მხრით და ამასთან ერთად არისტოკრატიული ძველი, ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატიის ფარგლებში. საბერძნეთის ხალხები ერთმანეთში დაუსრულებელ ომებს აწარმოებდენ საუკეთესო მიწის ნაკვეთების დასაპყრობად და ნადავლის მისაღებად; ტყვეების დამონება უკვე მიღებული იყო.

(იქვე, გვ. 120—21.)

ბერძნები ისევე როგორც ჰელასგები და სხვა მათი მონათესავე ხალხები უკვე პრეისტორიული ხანიდან იმავე ორგანიული რიგის მიხედვით იყვნენ დაწყობილი როგორც ამერიკელები: გვარი, ფრატრია, ტომი, ტომების კავშირი. ფრატრია შეიძლებოდა გამოკლებულიყო, როგორც, მაგ., დორიელებში, ტომების კავშირი ყველგან განვითარებული არ იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გვარი ერთეულს წარმოადგენდა. იმ დროს, როცა ბერძნები ისტორიაში შედიან, ისინი ცივილიზაციის მიჯნაზე სდგანან; მათსა და ამერიკელ ტომებს შორის, რომელთა შესახებ ზემოდ იყო საუბარი, თითქმის ორი დიდი განვითარების პერიოდი სძევს, რომლითაც გმირული დროის ბერძნები იროკეზებს წინ უსწრებენ. ამიტომ ბერძნების გვარი აღარ ჰგავს იროკეზების არქაულ გვარს.

(იქვე, გვ. 115.)

შემდეგ ფრატრია რამდენიმე გვარს აკავშირებდა, თუმცა ნაკლებ მჭიდროთ.

(იქვე, გვ. 116.)

ბერძნულ გვარს კიდევ შემდეგი თვისებანი აქვს:

...თანამეგვარეების დაქორწინების აღკრძალვა, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა, როცა ქალი დედმამის მემკვიდრეა. ეს გამონაკლისი და მისი მცნებად გადაქცევა ამტკიცებს, რომ პირვანდელი აღკრძალვა ძალას ინარჩუნებს.

(იქვე, გვ. 116.)

ფრატრია როგორც ამერიკელებში, ისე ბერძნებში წარმოადგენდა დედაგვარს, რომელიც რამდენიმე განშტოებას შეიცავდა. ყველანი ერთი მამამთავრისაგან წარმოსდგებოდენ.

(იქვე, გვ. 119.)

ზემონათქვამიდან სჩანს, რომ გმირული პერიოდის ბერძნების წესწყობილებაში ძველ გვაროვნულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა სიცოცხლის ძალა, მაგრამ მისი დაქვეითება უკვე დაწყებული იყო.

(იქვე, გვ. 124—25.)

გადმოცემა რომის დაარსების შესახებ გვიამბობს; პირველად აქ ერთ ტომად გაერთიანებული ლათინური გვარები დასახლდენ, შემდეგ საბელების ტომი, ბოლო ბოლოს სხვადასხვა ელემენტებისგან შემდგარი ტომი, ყველა ამ ტომებში ას-ასი გვარი ითვლებოდაო. ამ მოთხრობიდან პირველ შეხედვიდანვე სჩანს, რომ აქ პირველყოფილი სახე მხოლოდ გვარს ჰქონდა შენარჩუნებული, იგი კი ზოგიერთ შემთხვევაში სამშობლოში დარჩენილი დედა-გვარის ყლორტს წარმოადგენდა. ტომებს ზედვე ჰქონდა დაჭდობილი ხელოვნური შედგენის ნიშანი, მაგრამ მისი ელემენტები, უმეტეს ნაწილად, მონათესავენი იყვნენ და ისინი ძველი, აღმოცენებული და არა გაკეთებული ტომის მიხედვით იყვნენ შეერთებულნი; ამასთანავე შესაძლებელია, რომ თითოეული ამ სამი ტომის ბირთვი ნამდვილი ძველი ტომი ყოფილიყო. საშუალო რგოლი, ფრატრია ათი გვარისგან შესდგებოდა და მას კურია ერქვა; მაიი რიცხვი, მაშასადამე, ოცდაათს უდრიდა.

ცნობილია, რომ რომაული გვარი ისეთივე მოვლენა იყო როგორც ბერძნული. თუ ბერძნული გვარი იმ საზოგადოებრივი ერთეულის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს, რომლის პირველადი ფორმა ამერიკელმა წითელკანიანებმა მოგვცეს, იგივე ითქმის რომაული გვარის შესახებაც. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია აქ ორიოდე სიტყვით დავკმაყოფილდეთ.

(იქვე, გვ. 142.)

ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ გვაროვნული დაწესებულებანი, რომელნიც წმინდა ან შერეული ფორმით ველურ და ბარბაროს ხალხებს აქვთ ან მის კვალს გაეყვეთ აზიის კულტურული ერების ძველ ისტორიაში. მათ ამა-თუ-იმ სახით ყველგან შევხვდებით. გავიხსენოთ ორიოდე მაგალითი: სანამ გვარის მნიშვნელობა აიხსნებოდა, იმ ადამიანმა, რომელსაც ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვის მის ყალბად გაგებაში, სახელდობრ მაკლენმა მისი არსებობა დაამტკიცა და საერთოდ სწორად ასწერა კალმიკებსა, ჩერქესებსა, სამოედებსა და სამ ინდოელ ხალხში: ვარალიებსა, მაგარებსა და მუნიპურიებში. ამ ცოტა ხნის წინათ მ. კოვალევსკიმ იგი აღმოაჩინა და ასწერა ფშაველებსა, ხევსურებსა, სვანებსა და სხვა კავკასიელ ტომებში.

(იქვე, გვ. 155.)

უძველეს კელტურ კანონებში გვარი სრულიად ცოცხლადაა წარმოდგენილი; ირლანდიაში ინსტინქტურად მაინც გვარი დღესაც ცხოვრობს ხალხის შეგნებაში, თუმცა ინგლისელებმა იგი ძალდატანებით დაშალეს; შოტლანდიაში იგი აყვავებული იყო XVIII საუკუნის შუა წლებში და აქაც მხოლოდ ინგლისელების იარაღმა, კანონმდებლობამ და სასამართლომ დაამარცხა.

(იქვე, გვ. 155.)

ირლანდიურ გვარს ანუ sept-ს (ტომს cleinne, clan ერქვა) აღასტურებენ და ასწერენ არა მარტო ძველი კანონთა კრებულები, არამედ მეჩვიდმეტე საუკუნის იურისტებიც, რომელნიც ირლანდიაში გაიგზავნენ, რათა მათ საკლანო მიწები ინგლისის მეფის დომენებად (საუფლისწულო მიწებად) ექციათ.

(იქვე, გვ. 157.)

უცილობელია, რომ ხალხთა გადასახლების ეპოქამდე გერმანელები გვარებად იყვნენ დაწყობილი. ტერიტორია დუნაისა, რეინსა, ვისლასა და ჩრდილოეთის ზღვას შორის მათ ალბათ ორიოდე საუკუნის წინად დაიჭირეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე; კიბრები და ტევტონები ჯერ კიდევ დახეტიალობდენ, სვევები კი მხოლოდ იულიოს კეისრის დროს დაბინავდენ გარკვეულ მიწაწყალზე. მათ შესახებ იულიოს კეისარი პირდაპირ ამბობს: ისინი გვარებადა და მონათესავე ჯგუფებად (gentibus cognationibusque) დასახლდენო, gens julia-ს წევრის რომაელის პირში კი ამ სიტყვას (gentibus) გარკვეული მნიშვნელობა აქვს და მისი ყალბად გაგება შეუძლებელია. იგივე ითქმის დანარჩენ გერმანელებზეც; როგორც ეტყობა, დაპყრობილი რომაული პროვინციების დასახლებაც გვარების მიხედვით მომხდარა. ალამანური სახალხო კანონები მოწმობს, რომ ეს ხალხი ახლად დაპყრობილ მიწაწყალზე დუნაის სამხრეთით გვარების (genealogiae) მიხედვით სახლდებოდა; genealogiae სავსებით იმავე აზრით იხმარება, როგორც შემდეგ მარკის ან სოფლის თემი. ამ ცოტა ხნის წინათ კოვალევსკიმ ის შეხედულება გამოსთქვა, რომ ეს genealogiae დიდი ოჯახური ამხანაგობები იყვნენ, რომელთა შორის მიწა ნაწილდებოდა და რომელთაგანაც შემდეგ სოფლის თემი წარმოიშვაო. იგივე უნდა ითქვას fara-ზე: ამ ცნებით ბურგუნდები და ლანგობარდები, მაშასადამე ერთი გოთური და ერთი ჰერმინონიული ანუ ზემო გერმანული ტომი, ზედმიწევნით თუ არა დაახლოებით იმასვე გამოჰხატავდა, რასაც genealogia ალამანურ კანონთა კრებულში. ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რასთან გვაქვს აქ ნამდვილად საქმე, გვართან თუ ოჯახურ კოლექტივთან.

ლინგვისტური ძეგლებიდან არ ჩანს, ჰქონდათ თუ არა გერმანულ ტომებს საერთო სიტყვა გვარის ცნების გამოსახატავად, და თუ ჰქონდათ, რომელი. ეტიმოლოგიურად ბერძნულ genos-ს ლათინური gens, გოთური კუნი, საშუალო საუკუნეების ზემოგერმანული künne შეეფერება და იმავე აზრით იხმარება. დედისუფლების ეპოქას ანიშნებს ის გარემოება, რომ ქალის გამომხატველი სიტყვა იმავე პირიდან წარმოსდგებოდა: ბერძნულად gyne, სლავურად zuna, გოთურად qvino, ძველ სკანდინავურად kona, kuna.—ლანგობარდებსა და ბურგუნდებში, როგორც ვთქვით, გვხვდება fara, რომელიც გრიმს ჰიპოთეტური ძირიდან fisan, შექმნიდან გამოჰყავს. მე მგონია უფრო სწორია მისი გამოყვანა faran-იდან, რაც მოგზაურობას, ხეტიალს ნიშნავს; ამ შემთხვევაში fara მოხეტიალეთა შემჭიდროებული, მტკიცე ნაწილი იქნებოდა, რომელიც ცხადია ნათესაებისაგან შესდგებოდა და საუკუნეების განმავლობაში ჯერ აღმოსავლეთისკენ მიიწევდა, შემდეგ დასავლეთისკენ; ხოლო ბოლოს ეს ტერმინი თანდათან თვით გვაროვნულ კოლექტივზე გადავიდა.—შემდეგ მოდის გოთური sibja, ანგლოსაქსური sib, ძველი ზემოგერმანული sippia, sippa, Sippe. ძველ სკანდინავურში მხოლოდ მრავლობით ფორმაი sifjar გვხვდება, რაიც ნათესაებს ნიშნავს; ამ სიტყვის მახლობლობით ფორმა Sif ქალღმერთს გამოჰხატავს.—ბოლოს კიდევ ერთი სხვა გამოთქმა გვხვდება ჰილდებრანდის სიმღერაში, სადაც ჰილდებრანდი ჰადუბრანდს ჰკითხავს: ვინაა მამა შენი ამ ხალხის მამაკაცებს შორის ან რომელი გვარიდან ხარო (eddo huêlihhes cnuosles du sis). რამდენადაც გვარის ცნების გამოსახატავად საერთო გერმანული სიტყვა არსებობდა, იგი ალბათ გამოითქმოდა

ვია, რასთან გვაქვს აქ ნამდვილად საქმე, გვართან თუ ოჯახურ კოლექტივთან.

როგორც გოთური kuni; ამას ამტკიცებს არა მარტო მისი იდენტურობა მოხათესავე ენების შესატყვის გამოთქმასთან, არამედ ის გარემოებაც, რომ მისგან წარმოსდგება სიტყვა kuning, მეფე, რომელიც თავდაპირველად გვარის ან ტომის უფროსს ნიშნავს. Sibja, Sippe, როგორც ეტყობა, სხვა აზრით იხმარება, ყოველ შემთხვევაში sifjar ძველ სკანდინავურში ნიშნავს არა მარტო ნათესავს, არამედ მოყვარესაც, მაშასადამე ორი გვარის წევრებს მაინც შეიცავს უკიდურეს შემთხვევაში; მაშასადამე, sif თვით გვარის გამომხატველი ვერ იქნებოდა.

(იქვე, გვ. 160—61.)

3. ნაციონალური ენების ჩამოყალიბება

ათი გვარი, როგორც უკვე ვთქვით, ერთს ფრატრიას შეადგენდა, რომელსაც აქ კურია ერქვა, მას უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი უფლებამოსილება ჰქონდა, ვიდრე ბერძნულ ფრატრიას. ყოველ კურიას თავისი რელიგიური წესები, წმინდა ადგილები და საკურთხეველები ჰქონდა და თავისი ქურუმები ჰყავდა; ეს უკანასკნელნი რომაელ ქურუმთა შემადგენელ ნაწილს წარმოედგენდენ. ათი კურია ერთ ტომს შეადგენდა, რომელსაც სხვა ლათინური ტომების მსგავსად თავდაპირველად არჩეული უფროსები, სახელდობრ მხედართმთავარი და ქურუმთუხუცესი ჰყავდა. სამი ტომი ერთად რომაელ ხალხს, populus romanus-ს შეადგენდა.

(იქვე, გვ. 149—50.)

...თვით ქალაქ რომის, ისე მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიის მოსახლეობა გამრავლდა ნაწილობრივ ჩამოსახლებით, ნაწილობრივ დაპყრობილი, უმთავრესად ლათინური მოსახლეობის შემატებით. ყველა ეს ახალი ქვეშევრდომები (კლიენტების საკითხს აქ არ ვეხებით) ძველი გვარებისა და ტომების გარეშე იდგენ, მაშასადამე populus romanus-ის, საკუთრივ რომაელი ხალხის ნაწილს როდი წარმოადგენდენ. ისინი პირადად თავისუფალი ადამიანები იყვნენ, შეეძლოთ მიწის საკუთრება შეეძინათ, გადასახადი უნდა გამოეღოთ და სამხედრო სამსახურში გასულიყვნენ. მაგრამ მათ უფლება არ ჰქონდათ რაიმე თანამდებობა შეესრულებიათ ან მონაწილეობა მიეღოთ კურიების კრებასა და დაპყრობილ სახელმწიფო მიწების დაყოფაში. ისინი სახელმწიფოებრივ უფლებააყრილ პლებსს წარმოადგენდენ. თავისი მრავალრიცხოვნობით, თავისი მილიტარული გაწვრთნილობით და შეიარაღებით პლებსი სახიფათო ძალას წარმოადგენდა ძველი პოპულუსის წინააღმდეგ, რომელსაც გარედან ახალი ელემენტები არ ემატებოდა...

(იქვე, გვ. 152.)

ტომს ჰქონდა განსაკუთრებული, მხოლოდ მის მიერ ხმარებული დიალექტი. არსებითად ტომისა და დიალექტის ცნებანი ერთი მეორეს ჰფარავდენ; ახალი ტომებისა და დიალექტების შექმნა გათიშვის შემწეობით ამ ცოტა ხნის წინათაც ხდებოდა ამერიკაში და არც დღეს უნდა იყოს სავსებით შეჩერებული. სადაც ორი შესუსტებული ტომი გაერთიანდა, იქ მოსახლეობა ორ ერთი-

მეორის ნათესავ დიალექტს ხმარობს, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა. ამერიკული ტომების საშუალო რიცხვი 2000 სულზე ნაკლებია; მხოლოდ ჩეროკეზები აღწევენ 26000 სულს, ეს შეერთებულ შტატებში უდიდესი ტომია, რომელიც ერთსა-და-იმავე დიალექტს ხმარობს.

(იქვე, გვ. 105)

...რომის მსოფლიო იმპერია საუკუნოების განმავლობაში აშალაშინებდა ხმელთა შუა ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნებს. მხოლოდ ბერძნულმა ენამ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა, სხვა ეროვნული ენები იძულებული გახდა შეყვნილი ლათინურისთვის დაეთმო ადგილი; ეროვნული სხვადასხვაობა აღარ არსებობდა, აღარ იყვნენ გალლები, იბერიელები, ლიგურიელები, აფრიკელები, ყველანი რომაელები გახდენ. რომაულმა მართველობამ და რომაულმა საზოგადოებამ ყველგან დაშალა ძველი გვაროვნული კავშირები და ამით წაშალა ადგილობრივი და ეროვნული დამოუკიდებლობის უკანასკნელი კვალი. ახლად გამოცხობილი რომაელობა ვერ ანაზღაურებდა ამ დანაკლისს: იგი გამოხატავდა არა ეროვნებას, არამედ ეროვნების უქონლობას. ახალი ერების ელემენტები ყველგან იყო გაბნეული; სხვადასხვა პროვინციების ლათინური დიალექტები თანდათან გაითიშა; ჯერ კიდევ არსებობდა და საგრძნობელი იყო ბუნებრივი საზღვრები, რომელმაც იტალია, გალლია, ესპანია, აფრიკა წინათ დამოუკიდებელ პროვინციებად აქცია, მაგრამ არსად იყო ძალა, რომელსაც შეეძლო ეს ელემენტები ახალ ეროვნებად შეედუღებია; არსად სჩანდა განვითარების უნარის, წინააღმდეგობის ძალის, მით უმეტეს შემოქმედებითი ნიჭის ნიშანწყალი. უზარმაზარი ტერიტორიის ურიცხვი მოსახლეობის მასას მხოლოდ ერთა ძალა აკავშირებდა, რომაული სახელმწიფო. იგი კი ჟამთა მსვლელობაში უბოროტეს მტრად და მჩაგვრელად იქცა. პროვინციებმა გაანადგურეს რომი; თვით რომი პროვინციულ ქალაქად იქცა სხვა ქალაქებივით; მართალია, მას უპირატესობანი ჰქონდა, მაგრამ აღარ ბრძანებლობდა, მსოფლიო იმპერიის ცენტრს აღარ წარმოადგენდა, არც იმპერატორებისა და მათი მოადგილეების სატახტო ქალაქი იყო, ისინი ჯერ კონსტანტინეპოლსა, ტრირსა, მილანოში ცხოვრობდენ. რომის სახელმწიფო უზარმაზარ, რთულ მანქანად იქცა, მისი დანიშნულება ქვეშევრდომთა სისხლის გამოწოვა იყო. გადასახადმა, სახელმწიფო ბეგარამ, ყოველგვარმა გამოსაღებმა თანდათან გაალატაკეს მოსახლეობის მასსა; ტვირთი აუტანელი გახდა ადგილობრივი მმართველებისა, ხარკთამკრეფლებისა, ჯარისკაცების ძალმომრეობის წყალობით. აი სად მივიდა რომის სახელმწიფო თავისი მსოფლიო ბატონობით. იგი თავისი არსებობის უფლებას იმით ასაბუთებდა, რომ შიგნით წესრიგს ვამყარებ, ხოლო გარედან ბარბაროსებს ვიგერიებო. მაგრამ მისი წესრიგი უარესი იყო ვიდრე უსაშინელესი უწესობა, ხოლო ბარბაროსებს, რომელთაგანაც იგი ვითომდა მოქალაქეებს იცავდა, ეს უკანასკნელნი თავიანთ მხსნელებად სთვლიდენ.

(იქვე, გვ. 175—76)

შეკავშირებულმა გერმანელმა ტომებმა საერთოდ ისეთივე წესწყობილება შეჰქმნეს, როგორიც გმირული ეპოქის ბერძნებმა და ეგრეთწოდებული მეფის დროის რომაელებმა განავითარეს: სახალხო კრება, გვარის მამასახლისების საბჭო, მხედართმთავარი, რომელიც ნამდვილი სამეფო ხელისუფლებისაკენ მიისწრაფოდა. ეს იყო ყველაზე განვითარებული წესწყობილება, რომელიც შესაძლებელი იყო გვაროვნობის ნიადაგზე; იგი ბარბაროსობის ზედა საფეხურის სანიმუშო წესწყობილებას წარმოადგენდა. თუ საზოგადოება გადააბიჯებდა იმ საზღვარს, რომელშიც ეს წესწყობილება ამაქმაყოფილებელი იყო, გვაროვნობას ბოლო ედებოდა; იგი იშლებოდა და მის ადგილს სახელმწიფო იკავებდა.

(იქვე, გვ. 172.)

...იმის სანაზღაუროდ, რომ რომაელები მათივე საკუთარი სახელმწიფოსგან გაანთავისუფლეს, გერმანელმა ბარბაროსებმა მათ მთელი ადგილ-მიმულის ორი მესამედი წაართვეს და ერთმანეთში დაინაწილეს. განაწილება გვაროვნული წესწყობილების ნიადაგზე მოხდა; რადგან დამპყრობელთა რიცხვი მცირე იყო დიდი ზოლები გაუყოფელი რჩებოდა, ნაწილობრივ მთელი ხალხის, ნაწილობრივ ცალკე ტომისა და გვარის საკუთრებაში. თითოეულ გვარში სახნავ-სათესი და სათიბი თანაბარ ნაკვეთებად იყოფოდა და თითოეულ ოჯახს ეძლეოდა წილის ყრით; არ ვიცით ხდებოდა თუ არა პერიოდული დანაწილება, ყოველ შემთხვევაში იგი ჩქარა მოისპო რომაულ პროვინციებში და ცალკე ნაკვეთები გასანსხვისებელ კერძო საკუთრებად, ალოდად იქცა, ტყე და საძოვარი საერთო სარგებლობაში დარჩა განუყოფელად; ტყე-ველის სარგებლობა და გაყოფილი მიწის დამუშავება ძველი ჩვეულებისა და თემის გადაწყვეტილების მიხედვით იყო მოწესრიგებული. რამდენადაც უფრო დიდი ხნის წინათ იყო დასახლებული გვარი თავის სოფელში და რამდენადაც უფრო გათქვეფილნი იყვნენ ერთმანეთში გერმანელები და რომაელები, მით უფრო იჩრდილებოდა თემის ნათესაური ხასიათი ტერიტორიალური მომენტის მიერ; გვარი გაჰქრა სამარკო კავშირში, მაგრამ ამ უკანასკნელში მიიწც ხშირად სჩანს, რომ წევრები შორეულ ნათესაებისაგან წარმოსდგებიან. ამგვარად, აქ გვაროვნული წესწყობილება, ყოველ შემთხვევაში იმ ქვეყანაში, სადაც სამარკო თემი შერჩა, სახელდობრ ჩრდილო საფრანგეთსა, ინგლისს, გერმანიასა და სკანდინავიაში, შეუმჩნეველად გადავიდა ტერიტორიულ წესწყობილებაში და ამით შეინარჩუნა უნარი სახელმწიფოს შეგუებოდა.

(იქვე, გვ. 179—80.)

მეცხრე საუკუნის საზოგადოების კლასები წარმოიშვენ არა ქვემიმავალი ცივილიზაციის ჭაობში, არამედ ახალის მშობიაროზის ტკივილებში. ახალი თაობა, როგორც ბატონები, ისე მსახურები, ვაჭკაცების თაობა იყო თავის რომაელ წინამორბედთან შედარებით. ძლიერი მიწათმფლობელებისა და დამორჩილებული გლეხობის ურთიერთობა, რომელმაც ანტიური ქვეყანა ჩახში მოაქცია და მისი დამხობა გამოიწვია, ახლა ახალი განვითარების გამოსავალ წერტილად იქცა. და

გარდა ამისა, რა რიგ უნაყოფოდაც არ უნდა გვეჩვენოს ეს ოთხასი წელიწადი მან ერთი დიდი ნაყოფი მაინც დაგვიტოვა: თანამედროვე ერები, დასავლეთ ევროპის კაცობრიობის გარდაქმნა და დანაწილება მომავალი ისტორიისთვის.

(იქვე, გვ. [illegible])

მოდგმათაგან შეიქმნა ერები და სახელმწიფოები.

(ფრ. ენგელსი, შრომის როლი... იხ. აქვე გვ. [illegible])

გუშინ წავიკითხე წიგნი არაბულ წარწერათა შესახებ, რომელზედაც ეს გელაპარაკებოდი. იგი უინტერესო არ არის, თუმცა ყველგან საზიზღრად გამოყურება ხუცესი და დაბადების დამცველი. იგი უმაღლეს გამარჯვებად თვლის, რომ ორიოდე შეცდომა აღმოაჩინა გიბბონის ძველ გეოგრაფიაში, საიდანაც გვიმოყავს დასკვნა, რომ გიბბონის თეოლოგიაც ვითომ არაფრად არა ღირს. წიგნს ჰქვია—The historical geography of Arabia by the Reverend Charles Forster—(არაბეთის ისტორიული გეოგრაფია მისი კურთხევის ჩარლს ფორსტერისა). საუკეთესო დასკვნები, აქედან რომ გამომდინარეობს, შემდეგია:

1. დაბადების წიგნში მოყვანილი ნოეს, აბრაამისა და სხვათა გენეალოგიური არსებითად საკმაოდ ვრცელი ჩამოთვლაა იმ დროის ბედუინელ ტომთა შორის ნათესაური კავშირის მეტ-ნაკლებობის მიხედვით. როგორც ვიცით, ბედუინელი ტომები აქამდე უწოდებენ თავის თავს ბენი სალედად, ბენი იუსუფად და ასე ე. ი. ამა და ამის შვილებად. ეს სახელწოდება, რომელიც მომდინარეობს ბედუინელებურ-პატრიარქალური ცხოვრების ურთიერთობისაგან, ამგვარ გენეალოგიას იწვევს. დაბადების წიგნის გვართა ჩამოთვლას ადასტურებს ცოტად-თუ-ბევრად ძველი გეოგრაფია: აგრეთვე ახალი მოგზაურებიც ამტკიცებენ, ეს ძველად ცნობილი სახელები ზოგიერთი დიალექტიური ცვლილებით უმეტესად დღესაც არსებობს. აქედან გამოდის, რომ ებრაელობა ისეთივე ბედუინელი ტომი იყო, როგორიც ყველა დანარჩენი, მაგრამ იგი გადასხვაგვარდა, განსხვავდა და დაუპირისპირდა სხვა ადგილობრივი გარემოების, მაწათმოქმედების და სხვა პირობათა შეხვედრის.

2. არაბთა დიდი შესევის გამო, რომელზედაც ადრე ვლაპარაკობდით, ცხადია, ხელდობრ, რომ ბედუინები, მსგავსად მონგოლებისა, დროგამოშვებით თავს ესხმოდენ მეზობელ ქვეყნებს, როს ასურეთის და ბაბილონის სამეფოები ბედუინელ ტომებმა დაარსეს სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდეგში აღორძინდა ბაღდადის ხალიფატი. ბაბილონის სამეფოს დამაარსებელი-ჭალდეველნი დღესაც არსებობენ იმავე ადგილის ბენი ჭალედის სახელწოდებით. ნინევიისა და ბაბილონის დად ქალაქთა სწრაფი აღორძინება სწარმოებდა სწორედ ისეთ სამასი წლის წინად წარმოიშვა უზარმაზარი ქალაქები აგრა, დელი, მუტტანი აღმოსავლეთ-ინდოეთში—ავლანთა თუ თათართა შემოსევის წყალობით. ამგვარად მუსლიმანური შესევა ჰგარგავს რაღაც განსაკუთრებული ბუნების ხისიათს.

3. სჩანს იქ, სადაც არაბები დამკვიდრებულ ტომს წარმოადგენენ—ჩრდილოეთ-დასავლეთით,—ისინი იყვნენ ისეთივე განათლებულნი, როგორც ებრაელები, ასურელები და სხ., რასაც ამტკიცებს მათი შენოსნობა, ესეც ბევრ

გვიხსნის მუსლიმანურ დაბყრობის საქმეში. რაც შეეხება სარწმუნოებრივ მატყუარობას, როგორც სჩანს ძველ წარწერებიდან,—რომელშიც კიდევ სჭარბობს ძველებური ნაციონალურ-არაბული ტრადიცია მონოთეიზმისა (როგორც ამერიკელ ინდოელებში), ებრაული ტრადიცია კი შეადგენს მის მცირე ნაწილს—აი ამ ძველი წარწერებიდან ნათლად სჩანს, რომ მაჰმადის სარწმუნეობრივი რეოლუცია, როგორც ყოველი სარწმუნოებრივი მოძრაობა, ფორმალურად რეაქციის, უკან დაბრუნებას მოასწავებდა.

ჩვენთვის ახლა სრულიად ნათელია, რომ ებრაელთა ეგრეთწოდებული საღვთო წერილი სხვა არა არის რა, გარდა არაბთა ძველი სარწმუნოებრივი და ტომობრივი ტრადიციების სიგელისა, რომელიც თანდათან შეიცვალა იმ გარემოებით, რომ ებრაელები ადრე გამოეყვნენ თავის ტომით ნათესავ და მომთაბარე მეზობლებს. ის გარემოება, რომ არაბეთის მხრით პალესტინას უდაბნო აკრავს, რომელიც ბედუინთა ტომების ოლქს წარმოადგენს, გვიხსნის (ებრაელთა) დამოუკიდებელ განვითარებას. მაგრამ ძველი არაბული წარწერები, ტრადიციები და ყორანი, ავრეთვე სიადვილე, რომლითაც იხსნება ყველგან საგვარტომო აღწერილობა,—ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ მთავარი შინაარსი (ებრაული სარწმუნოებრივი ტრადიციებისა) არაბული ანუ უკეთ ზოგად-სემიტური იყო, ჩვენი ედდის და გერმანულ გმირულ თქმულებათა მაგვარი.

(ფრ. ენგელსი, წერილი მარქსს, 1853 წ. მაისი.)

არა ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება, არამედ—მისი დიფერენციაცია, მისი ბუნებრივი პროდუქტების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის საზოგადოებრივი განაწილების ბუნებრივ საფუძველს და ამ ბუნებრივი პირობების ცვალებადობით, რომელშიც ადამიანი ეწევა მეურნეობას, იწვევს მის საკუთარ მოთხოვნილებათა, უნარისა, შრომის საშუალებათა და შრომის წესების გამრავლებას.

(კ. მარქსი, კაპიტალი, I ტ., გვ. 459.)

რა არის ერი?

ერი, უწინარეს ყოვლისა, არის ადამიანთა ერთიანობა, განსაზღვრული ერთიანობა.

ეს ერთიანობა არაა რასიული და ტომობრივი. ახლანდელი იტალიელი ერი შეიქმნა რომაელებიდან, გერმანელებიდან, ეტრუსკებიდან, ბერძნებიდან, არაბებიდან და სხვ. ფრანგი ერი შეიქმნა გალებიდან, რომაელებიდან, ბრიტებიდან, გერმანელებიდან და სხვ. იგივე უნდა ითქვას ინგლისელებისა, გერმანელებისა და სხვათა შესახებ, რომლებიც გახდენ ერებად სხვადასხვა რასისა და ტომის ადამიანებიდან.

ამრიგად, ერი არის არა რასიული და არა ტომობრივი, არამედ ისტორიულად შექმნილი ერთიანობა ადამიანებისა.

მეორეს მხრით, ეჭვს გარეშეა, რომ კირის ან ალექსანდრეს დიდი სახელმწიფოები არ შეიძლება ჩაითვალოს ერებად, თუმცა შეიქმნენ ისტორიულად, შეიქმნენ სხვადასხვა ტომებიდან და რასებიდან. ესენი იყვნენ არა ერები, არამედ შემთხვევითი და ნაკლებ შეკავშირებული კონგლომერატები ჯგუფებისა, რომლე-

ბიც იშლებოდენ ან ერთიანდებოდენ ამა-თუ-იმ დამპყრობელის გამარჯვების ან დამარცხების მიხედვით.

ამრიგად, ერი არის არა შემთხვევითი და არა ეფემერული კონგლომერატი არამედ ადამიანთა მტკიცე ერთიანობა.

მაგრამ არა ყოველი მტკიცე ერთიანობა ჰქმნის ერს. ავსტრიაც და რუსეთიც მტკიცე ერთიანობანი არიან, მაგრამ არავინ არ უწოდებს მათ ერებს. რით განსხვავდება ნაციონალური ერთიანობა სახელმწიფოებრივ ერთიანობისაგან სხვათა შორის იმით, რომ ნაციონალური ერთიანობა წარმოუდგენელია საერთო ენის გარეშე, იმ დროს როცა სახელმწიფოსთვის საერთო ენა არ არის სავალდებულო. ჩეხი ერი ავსტრიაში და პოლონელი ერი რუსეთში ვერ იარსებებდენ, რომ მათ არ ჰქონდეთ მათთვის საერთო ენა, ამავე დროს რუსეთისა და ავსტრიის მთლიანობას ხელს არ უშლის მათ შიგნით მთელ რიგ ერების არსებობა. მბეჭდველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა, ხალხური სალაპარაკო ენები და არა ოფიციალურ-კანცელარიული.

ამრიგად, ენის ერთიანობა, როგორც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ერები ყოველთვის ყველგან ლაპარაკობენ სხვადასხვა ენებზე, ან ყველანი, ერთსა-და-იმავე ენაზე მოლაპარაკენი, უსათუოდ შეადგენენ ერთ ერს. საერთო ენა თითოეული ერისათვის, მაგრამ არ არის სავალდებულო სხვადასხვა ენები სხვადასხვა ერებისათვის.

არ არის ერი, რომელიც ლაპარაკობდეს ერთბაშად სხვადასხვა ენებზე, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება იყოს ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი ერი. ინგლისელები და ჩრდილო-ამერიკელები ლაპარაკობენ ერთ ენაზე და მაინც ისინი არ შეადგენენ ერთ ერს. იგივე უნდა ითქვას ნორვეგიელებსა და დანელებზე, ინგლისელებსა და ირლანდიელებზე.

მაგრამ რატომ, მაგალითად, ინგლისელები და ჩრდილო-ამერიკელები არ შეადგენენ ერთ ერს მიუხედავად საერთო ენისა?

უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობენ არა ერთად, არამედ სხვადასხვა ტერიტორიაზე. ერი იქმნება მხოლოდ ხანგრძლივი და რეგულარული ურთიერთობის შედეგად, ხოლო ერთად ხანგრძლივი ცხოვრება შეუძლებელია საერთო ტერიტორიის გარეშე. ინგლისელები და ამერიკელები წინად ცხოვრობდენ ერთ ტერიტორიაზე, ინგლისში, და შეადგენდენ ერთ ერს. შემდეგ ინგლისელების ერთი ნაწილი გადასახლდა ინგლისიდან ახალ ტერიტორიაზე ამერიკაში და აქ ახალ ტერიტორიაზე დროთა განმავლობაში შექმნა ახალი, ჩრდილო-ამერიკული ერი.

სხვადასხვა ტერიტორიამ გამოიწვია სხვადასხვა ერის შექმნა.

ამრიგად, ტერიტორიის ერთიანობა, როგორც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. ტერიტორიის ერთიანობა თავისთავად კიდევ არ იძლევა ერს. ამისათვის, გარდა მაგისა, საჭიროა შინაგანი ეკონომიური კავშირი, რომელიც ერის ცალკეულ ნაწილებს აერთიანებს ერის მთელში.

ინგლისსა და ჩრდილო-ამერიკას შორის არ არის ასეთი კავშირი, და ამიტომ ისინი შეადგენენ ორ სხვადასხვა ერს. მაგრამ თვითონ ჩრდილო-ამერიკელები არ იქნებოდენ ერად წოდების ღირსნი, რომ ჩრდილო-ამერიკის ცალკეული კუთხეები არ იყვნენ ურთიერთ შეკავშირებული ეკონომიურ მთელში, მათ შორის შრომის დანაწილებისა, მიმოსვლის გზების განვითარებისა და სხვ. მეოხებით.

ავიღოთ თუნდაც საქართველო. ქართველები წინად, რეფორმებამდე ცხოვრობდენ საერთო ტერიტორიაზე და ლაპარაკობდენ ერთ ენაზე. მიუხედავად ამისა, ისინი, ნამდვილად რომ ვთქვათ, არ შეადგენდენ ერთ ერს, ვინაიდან დანაწილებულნი მთელ რიგ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად, არ ცხოვრობდენ საერთო ეკონომიური ცხოვრებით, საუკუნოების განმავლობაში ერთმანეთს შორის აწარმოებდენ ომებს და იკლებდენ ერთიმეორეს, ერთმანეთზე უსევდენ სპარსელებს და თურქებს. სამთავროების ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ახერხებდა რომელიმე მარჯვე მეფე, შკეთეს შემთხვევაში ვრცელდებოდა ზეელეულ მხოლოდ ადმინისტრატიულ სფეროზე და სწრაფად იშლებოდა თავადების კაპრიზებისა და გლეხების გულგრილობის გამო. სხვანაირად არც შეიძლებოდა საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების დროს. საქართველო, როგორც ერი, მოგვეელინა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ბატონ-ყმობის მოსპობამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, მიმოსვლის გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ შექმნა შრომის განაწილება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის, საბოლოოდ შეარყია მათი მეურნეობრივი კარჩაკეტილობა და შეაკავშირა ისინი ერთ მთელში.

იგივე უნდა ითქვას სხვა ერებზედაც, რომელთაც გაიარეს ფეოდალიზმის სტადია და განავითარეს კაპიტალიზმი.

ამრიგად, ეკონომიური ცხოვრების ერთიანობა, ეკონომიური შეკავშირებულობა, როგორც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურობა.

მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. ყოველივე ნათქვამს გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ერში გაერთიანებულ ადამიანთა სულიერი სახის თავისებურებანი. ერები ერთმანეთისაგან განირჩევიან არა მარტო მათი ცხოვრების პირობებით, არამედ სულიერი იერითაც, რაც გამოიხატება ნაციონალური კულტურის თავისებურებაში. თუ ერთ ენაზე მოლაპარაკე ინგლისი, ჩრდილო-ამერიკა და ირლანდია მაინც სხვადასხვა ერს შეადგენენ, აქ მკირე როლს როდი ასრულებს ის თავისებური ფსიქიური წყობა, რომელიც შეუმუშავდა მათ თაობიდან თაობაში არსებობის არაერთნაირი პირობების გამო.

რა თქმა უნდა, თავისთავად ფსიქიური წყობა, ან, როგორც კიდევ სხვანაირად ამბობენ, „ნაციონალური ხასიათი“, დამკვირვებლისათვის წარმოადგენს რაღაც შეუმჩნეველს, მაგრამ, რამდენადაც იგი გამოიხატება ერისათვის საერთო კულტურის თავისებურებაში, იგი შესამჩნევია და არ შეიძლება მისი უგულებელყოფა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ „ნაციონალური ხასიათი“ არ არის რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, არამედ იცვლება ცხოვრების პირობებთან ერთად; მაგრამ რადგანაც იგი არსებობს ყოველ მოცემულ მომენტში,—ის თავის ბეჭედს ასვამს ერის ფიზიონომიას.

ამრიგად, ფსიქიური წყობის ერთიანობა, რაც გამოხატულებას პოულობს კულტურის ერთიანობაში, როგორც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

ამნაირად ჩვენ ამოვწურეთ ერის ყველა ნიშანდობლივი თვისება.

ერი—ეს არის ისტორიულად შექმნილი მტკიცე ერთიანობა ენისა, ეკონომიური ცხოვრებისა და ფსიქიური წყობისა, რაც გამოხატულებას პოულობს კულტურის ერთიბნობაში.

ამასთან თავისთავად გასაგებია, რომ ერი, როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, ემორჩილება ცვალებადობის კანონს, მას აქვს თავისი ისტორია, დასაწყისი და დასასრული.

საჭიროა აღინიშნოს, რომ არც ერთი აღნიშნული ნიშანი, აღებული ცალკე, არ კმარა ერის განსაზღვრისათვის. კიდევ მეტი,—საკმარისია თუნდაც ერთი რომელიმე ამ ნიშნის არარსებობა, რომ ერი აღარ იქნეს ერი.

შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანები საერთო-ნაციონალური ხასიათით და მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი შეადგენენ ერთ ერს, თუ ისინი არიან ეკონომიურად დაშორებულნი, ცხოვრობენ სხვადასხვა ტერიტორიაზე, ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე. ასეთები არიან, მაგალითად, რუსი, გალიციელი, ამერიკელი, ქართველი და მთიელი ებრაელები, რომლებიც, ჩვენის აზრით, არ შეადგენენ ერთიან ერს.

შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანები საერთო ტერიტორიითა და ეკონომიური ცხორებით, და მაინც არ შეადგენენ ისინი ერთიან ერს, თუ მათ არა აქვთ საერთო ენა და „ნაციონალური ხასიათი“. ასეთები არიან, მაგალითად, გერმანელები და ლატიშები ბალტიის მხარეში.

ბოლოს, ნორვეგიელები და დანელები ლაპარაკობენ ერთ ენაზე, მაგრამ ისინი არ შეადგენენ ერთ ერს სხვა ნიშნების უქონლობის გამო.

მხოლოდ ყველა, ერთად აღებული, ნიშნის არსებობა გვაძლევს ერს.

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ „ნაციონალური ხასიათი“ წარმოადგენს ერის არა ერთ-ერთ ნიშანს, არამედ ერთად-ერთ არსებით ნიშანს, ამასთან ყველა დანარჩენი ნიშანი შეადგენს, საკუთრივ ერის განვითარების პირობებს და არა მის ნიშნებს. ასეთ თვალსაზრისზე დგანან, მაგალითად, ავსტრიაში ცნობილი ს.-დ. თეორეტიკოსები ნაციონალური საკითხისა რ. შპრინგერი და, განსაკუთრებით, ო. ბაუერი.

ვანვიხილოთ მათი თეორია ერის შესახებ.

შპრინგერით: „ერი არის ერთნაირად მოაზროვნე და ერთნაირად მოლაპარაკე ადამიანთა კავშირი“. ეს არის „თანამედროვე ადამიანთა ჯგუფის კულტურული ერთიანობა, რაც არ არის დაკავშირებული მიწასთან“[1] (კურსივი ჩვენია).

---

[1] რ. შპრინგერის, ნაციონალური პრობლემები, გვ. 43, 1909 წ.

ამრიგად, ერთნაირად მოაზროვნე და მოლაპარაკე ადამიანთა კავშირი როგორადაც არ უნდა იყვნენ დაშორებულნი ერთმანეთისაგან ისინი, სადაც არ უნდა ცხოვრობდენ ისინი.

ბაუერი კიდევ უფრო შორს მიდის.

„რა არის ერი—კითხულობს ის,—არის თუ არა ეს ენის ერთიანობა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს ერთად? მაგრამ ინგლისელები და ირლანდიელები... ლაპარაკობენ ერთ ენაზე, თუმცა არ წარმოადგენენ ერთ ხალხს; ებრაელებს სრულიად არა აქვთ საერთო ენა და მიუხედავად ამისა შეადგენენ ერს“ [1].

მაშ რა არის ერი?

„ერი—ეს არის ხასიათის შეფარდებითი ერთიანობა“ [2].

მაგრამ რა არის ხასიათი ამ შემთხვევაში—ნაციონალური ხასიათი?

ნაციონალური ხასიათი—ეს არის „ერთი ეროვნების ადამიანების მეორე ეროვნების ადამიანებისაგან განმასხვავებელ ნიშნების ჯამი, ფიზიკურ და სულიერ თვისებათა კომპლექსი, რომელიც ანსხვავებს ერთ ერს მეორისაგან“ [3].

ბაუერმა, რა თქმა უნდა, იცის, რომ ნაციონალური ხასიათი განისაზღვრება მათი ბედით და არა სხვა რაიმეთი“, რომ ...„ერი არის არა სხვა რამ, თუ არა ბედის ერთიანობა“, რაც თავისი მხრით განისაზღვრება „პირობებით რომელშიც ადამიანები ამზადებენ საშუალებებს თავისი ცხოვრებისათვის და ანაწილებენ თავისი შრომის პროდუქტებს“ [4].

ამრიგად, ჩვენ მივედით ერთ ყველაზე უფრო „სრულ“, როგორც ბაუერი ამბობს, განსაზღვრებამდე. „ერი—ეს არის ბედის ერთიანობის ნიადაგზე ხასიათის ერთიანობით შეკავშირებულ ადამიანთა მთელი ერთობლივობა“ [5].

ამრიგად, ნაციონალური ხასიათის ერთიანობა ბედის ერთიანობის ნიადაგზე, ალებული ტერიტორიის, ენისა და ეკონომიური ცხოვრების ერთიანობასთან აუცილებელი კავშირის გარეშე.

მაგრამ, რალა რჩება ამ შემთხვევაში ერისაგან? ადამიანთა ნაციონალურ ერთიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ისინი ეკონომიურად დაშორებული არიან ერთმანეთისაგან, ცხოვრობენ სხვადასხვა ტერიტორიაზე და თაობიდან თაობაში ლაპარაკობენ სხვა ენაზე?

ბაუერი ლაპარაკობს ებრაელებზე, როგორც ერზე, თუმცა „სრულიადაც არა აქვთ მათ საერთო ენა“, მაგრამ, მაგალითად, ქართველ, დაღესტანელ, რუს და ამერიკელ ებრაელების რა „ბედის ერთიანობასა“ და ნაციონალურ შეკავშირებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ისინი სრულიად მოწყვეტილი არიან ერთმანეთს, ცხოვრობენ სხვადასხვა ტერიტორიაზე და ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე?

მოხსენებული ებრაელები, ეჭვს გარეშეა, ცხოვრობენ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ქართველებთან, დაღესტნელებთან, რუსებთან, ამერიკელებთან, მათთან საერთო კულტურულ ატმოსფერაში; ამას არ შეუძლია დაასვას მათ ნაცი-

[1] ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია, ო. ბაუერი, 1909 წ., გვ. 1—2.
[2] იქვე, გვ. 6.
[3] იქვე, გვ. 3.
[4] იქვე, გვ. 24—25.
[5] იქვე, გვ. 139.

ონალური ხასიათს თავისი ბეჭედი; თუ რამ საერთო შერჩათ მათ, ეს არის რელიგია, საერთო წარმოშობა და ნაციონალური ხასიათის ზოგიერთი ნაშთი, ყოველივე ეს უდავოა. მაგრამ როგორ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი, რომ დახავსებული რელიგიური წესები და გამოფიტული ფსიქოლოგიური ნაშთები დასახელებულ ებრაელთა „ბედზე" უფრო ძლიერ გავლენას ახდენენ, ვიდრე ის ცოცხალი, სოციალ-ეკონომიური და კულტურული გარემოება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ? ამავე დროს მხოლოდ ასეთი მოსაზრების დროს შეიძლება ლაპარაკი ებრაელებზე საერთოდ, როგორც ერთობრივ ერზე.

რით განსხვავდება მაშ ბაუერის ერი სპირიტუალისტების მისტიურ და თვითკმარ „ნაციონალურ სულისაგან"?

ბაუერი გაუგებარ მიჯნას ავლებს ერის „განმასხვავებელ ნიშანს" (ნაციონალური ხასიათი) და მისი ცხოვრების „პირობებს" შორის, სწყვეტს რა მათ ერთმანეთს. მაგრამ რა არის ნაციონალური ხასიათი, თუ არა ცხოვრების პირობების ანარეკლი, თუ არ გარემოსაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა შენადედი? როგორ შეიძლება მარტო ნაციონალური ხასიათით დაკმაყოფილება და მისი განკერძოება და მოწყვეტა მის წარმომშობ ნიადაგისაგან?

შემდეგ, საკუთრივ რით განსხვავდება ინგლისელი ერი ჩრდილო-ამერიკელ ერისაგან XVII საუკუნის დამლევს და XIX საუკუნის დამდეგს, როცა ჩრდილო-ამერიკას ჯერ კიდევ „ახალი ინგლისი" ეწოდებოდა?

უკვე, რა თქმა უნდა, არა ნაციონალური ხასიათით: ვინაიდან ჩრდილო-ამერიკელები იყვნენ ინგლისიდან წასულნი, მათ თან წაიღეს ამერიკაში, ინგლისური ენის გარდა, ინგლისური ნაციონალური ხასიათიც და, რა თქმა უნდა, არა ისე სწრაფად დაეკარგათ იგი, თუმცა ახალი პირობების ზეგავლენით მათ, ალბათ, უმუშავდებოდათ თავისი განსაკუთრებული ხასიათი. და, მაინც, მიუხედავად ხასიათის მეტნაკლებ ერთიანობისა, ისინი უკვე შეადგენდნენ მაშინ ინგლისისაგან განსხვავებულ ერს. ცხადია, „ახალი ინგლისი", როგორც ერი, ინგლისისაგან მაშინ განირჩეოდა, როგორც ერი, არა განსაკუთრებული ნაციონალური ხასიათით, ან არა მარტო ნაციონალური ხასიათით, რამდენადაც ინგლისისაგან განსხვავებულ გარემოთი, ცხოვრების პირობებით.

ამნაირად, ცხადია, რომ სინამდვილეში არ არსებობს ერის არავითარი ერთად-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. არსებობს მხოლოდ ნიშნების ჯამი, რომელთაგან ერების შედარებისას უფრო რელიეფურად მოსჩანს ხან ერთი ნიშანი (ნაციონალური ხასიათი), ხან მეორე (ენა), ხან მესამე (ტერიტორია, ეკონომიური პირობები). ერი წარმოადგენს ერთად აღებულ ყველა ნიშნის შეხამებას.

ბაუერის თვალსაზრისი, რომელიც აიგივებს ერს ნაციონალურ ხასიათთან, ერს წყვეტს ნიადაგს და აქცევს მას რაღაც თვითკმარ ძალად. ვღებულობთ არა ცოცხალ და მომქმედ ერს, არამედ რაღაც მისტიურ, ხელშეუხებელ და საიქიო მოვლენას. ვინაიდან, ვიმეორებ, რა ერია, მაგალითად, ეს ქართველ, დაღესტნელ, რუს, ამერიკელ და სხვა ებრაელებისაგან შემდგარი ებრაული ერი, რომლის წევრებს ერთმანეთის არ ესმით (ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე), ცხოვრობენ დედამიწის სხვადასხვა ნაწილში, ვერასოდეს ერთმანეთს ვერ ნახავენ, არასოდეს არ გამოვლენ ერთად, არც მშვიდობიან და არც საომარ დროს? არა, არა ასეთ

ქალალდზე არსებულ „ერთიანობისათვის“ ადგენს სოციალ-დემოკრატია თავის ნაციონალურ პროგრამას. მას შეუძლია ანგარიში გაუწიოს მხოლოდ ნამდვილ, ცოცხალ, საერთო ნაციონალური ცხოვრებით მცხოვრებ ერებს, რომლებიც გვაიძულებენ ანგარიში გაუწიოთ მათ.

ბაუერი, ცხადია, ერთმანეთში ურევს ერს, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ კატეგორიას, და ტომს, რომელიც წარმოადგენს ეთნოგრაფიულ კატეგორიას.

თუმცა, ბაუერი, როგორც ჩანს, გრძნობს თავის პოზიციის სისუსტეს. თავისი წიგნის დასაწყისში ბაუერი გადაჭრით აცხადებს ებრაელებს ერად[1], ხოლო წიგნის დასასრულს ასწორებს და აბეჭდინებს, რომ „კაპიტალისტური საზოგადოება საერთოდ საშუალებას არ აძლევს მათ (ებრაელებს) დარჩენ, როგორც ერი“[2], ახდენს მათ ასიმილაციას სხვა ერებთან.

მიზეზი თურმე იმაშია, რომ „ებრაელებს არა აქვთ შეკრული საკოლონიზაციო მხარე“[3], იმ დროს, როცა, ასეთი მხარე აქვთ, მაგალითად, ჩეხებს, რომლებიც, ბაუერის აზრით, უნდა დარჩენ ერად.

მოკლედ: მიზეზი—საერთო ტერიტორიის უქონლობაა.

მსჯელობდა რა ასე, ბაუერს სურდა დაემტკიცებია, რომ ნაციონალური ავტონომია არ შეიძლება იყოს ებრაელ მუშების მოთხოვნა[4], მაგრამ მან ამით უნებლიედ გააბათილა თავისი საკუთარი თეორია, რომელიც უარყოფს ტერიტორიის ერთიანობას, როგორც ერის ერთ-ერთ ნიშანს.

მაგრამ ბაუერი უფრო შორს მიდის. თავისი წიგნის დასაწყისს იგი გადაჭრით აცხადებს, რომ „ებრაელებს სრულიად არა აქვთ საერთო ენა და მიუხედავად ამისა შეადგენენ ერს“[5], მაგრამ ვერ მოასწრო ასოცდამეათე გვერდამდის მისვლა, რომ უკვე შეიცვალა ფრონტი და ისევე გადაჭრით განაცხადა: „უდავოა, რომ არავითარი ერი არ შეიძლება საერთო ენის გარეშე“[6] (კურსივი ჩვენია).

ბაუერს აქ სურდა დაემტკიცებია, რომ „ენა ადამიანთა ურთიერთობის იარაღია“[7], მაგრამ მან ამასთან უნებლიედ დაამტკიცა ისიც, რის დამტკიცებასაც არ ფიქრობდა, სახელდობრ ის, რომ უმწეოა მისი თეორია ერის შესახებ, თეორია, რომელიც უარყოფს ენის ერთიანობის მნიშვნელობას.

ასე აბათილებს თავის თავს იდეალისტური ძაფებით ნაქერი თეორია.

(ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, 3—13. სტატიების კრებული, რუს. გამოც. 1920.)

---

[1] მისი წიგნი, 2 გვ.
[2] იქვე, გვ. 350.
[3] გვ. 388.
[4] გვ. 396.
[5] გვ. 2.
[6] გვ. 130.
[7] იქვე.

ეროვნება აუცილებელი პროდუქტი და აუცილებელი ფორმაა საზოგადოებრივ განვითარების ბურჟუაზიული ეპოქისა.

(ლენინი, თხზულებანი, 13 ტ., გვ. 30.)

მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვება ფეოდალიზმზე—დაკავშირებული იყო ეროვნულ მოძრაობასთან. ამ მოძრაობათა საეკონომიო საფუძველი ისაა, რომ სასაქონლო წარმოების რული გამარჯვებისათვის აუცილებელია ბურჟუაზიის მიერ შინაური ბაზრის დაპყრობა, აუცილებელია სახელმწიფოებრივად შეკავშირება ტერიტორიებისა იმისთანა მოსახლეობით, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს; აუცილებელია ამ ენის განვითარების ყოველგვარ დაბრკოლების მოსპობა და მისი გამაგრება ლიტერატურაში. ენა ადამიანთა ურთიერთობის ფრიად მნიშვნელოვანი საშუალებაა; ენის ერთიანობა და მისი შეუფერხებელი განვითარება,—თანამედროვე კაპიტალიზმის შესაფერ ნამდვილად თავისუფალ, ფართო საეაჭრო ბრუნვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობათაგანია; იგია პირობა მოსახლების თავისუფალ და ფართო დაჯგუფებისა სხვადა სხვა კლასებად. და ბოლოს იგია პირობა ბაზრის მჭიდრო კავშირის ყოველ ცალკე მეპატრონესა, გამყიდველსა და მყიდველთან.

ეროვნულ სახელმწიფოს შექმნა ყველაზე უკეთესად აკმაყოფილებს თანამედროვე კაპიტალიზმისას ამ მოთხოვნილებას. ამიტომ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის ტენდენცია (მისწრაფება)—არის ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენცია. ფრიად ღრმა საეკონომიო ფაქტორები ჰქმნის ამას ხელს და იმიტომ მთელი ევროპისათვის, უფრო მეტი,—მთელი განათლებული მსოფლიოსათვის,—კაპიტალისტურ პერიოდში ტიპიური, ნორმალური მოვლენაა ეროვნული სახელმწიფო.

(ნ. ლენინი, ეროვნული საკითხი, თხზ. 19 ტ. გვ, 109—10.)

განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი ეროვნულ საკითხში ორ ისტორიულ ტენდენციას იცნობს; პირველი: ნაციონალურ ცხოვრების და ნაციონალურ მოძრაობათა გაღვივება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, შექმნა ეროვნულ სახელმწიფოებისა. ...პირველი წარმატებაშია კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისში...

(ნ. ლენინი, ეროვნული საკითხი, თხზ, 19 ტომი, გვ. 51.)

4. ენის განვითარება კლასობრივ საზოგადოებაში

ისტორიის წინანდელ ეპოქებში ჩვენ თითქმის ყველგან ვპოულობთ საზოგადოების სრულ დანაწილებას სხვადასხვა წოდებათ, საზოგადოებრივი მდგომარეობის მრავალ საფეხურებად ძველ რომში ჩვენ ვხედავთ პატრიციებს, მხედრებს, პლებეებს, მონებს; საშუალო საუკუნეებში—ფეოდალურ ბატონებს, ვასალებს, ამქრის ოსტატებს, ჭარგლებს, ყმებს და ამას გარდა თითქმის ყველა ამ კლასებში კიდევ განსაკუთრებულ საფეხურებს.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც აღმოცენდა ფეოდალური საზოგადოების ნანგრევებზე, არ მოუსპია კლასთა განსხვავება. მანძველის ალაგას მხოლოდ ახალი კლასები, დაჩაგვრის ახალი პირობები, ბრძოლის ახალი ფორმები წამოაყენა.

ხოლო ჩვენი ეპოქა, ეპოქა ბურჟუაზიისა, მით განირჩევა, რომ მან გაამარტივა კლასობრივი წინააღმდეგობანი. მთელი საზოგადოება სულ უფრო და უფრო იყოფა ორ დიდ მტრულ ბანაკად, ორ დიდ, ერთი-მეორის პირდაპირ მოწინააღმდეგე კლასად; ბურჟუაზიად და პროლეტარიატად.

საშუალო საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვენ პირველ ქალაქთა მოქალაქენი; ამ მოქალაქეებიდან განვითარდენ ბურჟუაზიის პირველი ელემენტები.

(კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 18.)

ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქს დაუმორჩილა, მან შექმნა უზარმაზარი ქალაქები, უდიდესად გაამრავლა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი შედარებით სოფელთან და ამნაირად მცხოვრებთა დიდი ნაწილი სოფლის ცხოვრების იდიოტიზმს გადააარჩინა. როგორც სოფელი—ქალაქს, აგრეთვე დაუმორჩილა მან ბარბაროსული და ნახევრად-ბარბაროსული ქვეყნები განათლებულ ქვეყნებს, გლეხი ხალხები—ბურჟუაზიულ ხალხებს, აღმოსავლეთი—დასავლეთს.

(კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, კომუნისტური მანიფესტი, გვ. 24.)

აქამდე არსებული წვრილი შუაწოდებანი, წვრილი მრეწველები, ვაჭრები და რენტიორები, ხელოსნები და გლეხები, ყველა ეს კლასები პროლეტარიატში ცვივიან, ერთის მხრით, იმიტომ, რომ მათი პატარა კაბიტალი საკმაო არ არის მსხვილი სამრეწველო წარმოებებისათვის და ისინი ვერ უძლებენ მსხვილი კაპიტალისტების მეტოქეობას, ხოლო მეორეს მხრით იმიტომ, რომ მათ ხელმარჯვეობას წარმოების ახალი წესები ფასს უკარგავენ. ამნაირად ივსება პროლეტარიატი მცხოვრებთა ყველა კლასებიდან.

პროლეტარიატი გადის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს. ბურჟუაზიის წინააღმდეგ მისი ბრძოლა მისი არსებობის დღიდან იწყება.

(კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, კომუნისტური მანიფესტი, გვ. 29.)

გაბატონებული კლასების მთელი შემადგენელი ნაწილები მრეწველობის განვითარების წყალობით პროლეტარიატში ცვივიან ან, ყოველ შემთხვევაში, მათი საარსებო პირობები საფრთხეში ვარდება, ამათაც მოაქვთ პროლეტარიატში აღზრდის დიდძალი ელემენტები.

დასასრულ, იმ ხანებში, როდესაც კლასთა ბრძოლა გადამჭრელ მომენტს უახლოვდება, რღვევის პროცესი გაბატონებულ კლასებს შიგნით, მთელი ძველი საზოგადოების შიგნით, ღებულობს ისეთ გაალმასებულ, მწვავე ხასიათს, რომ მცირე ნაწილი გაბატონებული კლასისა ეთიშება მას და ემხრობა რევოლუციონურ კლასს, იმ კლასს, რომელსაც მომავალი თავის ხელთ უპყრია. როგორც წინად თავად-აზნაურობის ნაწილი ბურჟუაზიისაკენ გადავიდა, ისე ახლაც ბურჟუაზიის ნაწილი პროლეტარიატისკენ გადადის, მეტადრე იმ ბურჟუა-იდეოლო-

გების ნაწილი, რომელნიც ამაღლდენ მთელი ისტორიული მოძრაობის თეორეტიულ შეგნებამდე.

(იქვე, გვ. 32.)

საკუთრივ სავაჭრო მუშა დაქირავებულ მუშათა უკეთესს სასყიდლიან კლასს ეკუთვნის,—იმათ რიცხვს, ვისი შრომაც დახელოვნებული შრომა არის, რომელიც საშუალო შრომაზე მაღლა დგას. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად ხელფასს ტენდენცია აქვს დაწევისაკენ, საშუალო შრომის მიმართაც კი. ნაწილობრივ შრომის დანაწილების გამო კანტორის შიგნით: აქედან უნდა წარმოსდგეს მხოლოდ ცალმხრივი განვითარება შრომის უნარისა, და ასეთი შრომის უნარის წარმოშობის ხარჯები ნაწილობრივ არაფრად ულირს კაპიტალისტს, ვინაიდან მუშის დახელოვნება ვითარდება თვით ფუნქციის მეოხებით, და ამასთან მით უფრო სწრაფად, რაც უფრო ცალმხრივი ხდება იგი შრომის დანაწილებასთან ერთად. მეორე, იმიტომ, რომ სწავლა-მომზადების, ვაჭრობისა და ენების ცოდნით და სხვა. რეპროდუქცია სწარმოებს უფრო და უფრო სწრაფად, ადვილად ხდება უფრო და უფრო საყოველთაო, იაფი, რაც უფრო კაპიტალისტური წარმოების წესი პრაქტიკული მიზნებისაკენ მიმართავს სწავლების მეთოდებს და სხ. სახალხო სწავლების საყოველთაო შესაძლებლობას იძლევა. ამ დარგის მუშები ისეთი კლასებიდან იქნენ მოგროვილი, რომელთათვის უწინ ამ პროფესიის კარები დახშული იყო და რომელნიც უფრო ცუდ ცხოვრების წესს იყვნენ შეჩვეულნი. ამის გამო მეტი ხალხი აწყდება ამ პროფესიას და მით იზრდება კონკურენცია. იმიტომ, რომ გამონაკლისს გარდა, კაპიტალისტური წარმოების პროგრესთან ერთად ფასი ეკარგება ამ ადამიანთა სამუშაო ძალას. მათი ხელფასი დაბლა იწევს, მაშინ როდესაც მათი შრომის უნარი მატულობს. კაპიტალისტი ადიდებს ამ მუშების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მეტი ღირებულება და მოგებაა განსახორციელებელი. ამ შრომის გადიდება ყოველთვის შედეგია ზედმეტი ღირებულების გადიდებისა და არასოდეს მისი მიზეზი.

(კარლ მარქსი, კაპიტალი, მე-3 ტ., გვ. 260.)

5. საზოგადოებრივი შემეცნება და საზოგადოებრივი ყოფა

საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც ცნობიერების განსაზღრული საზოგადოებრივი ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ.

(კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის გვ. 41.)

„როგორც არ შეიძლება ამა-თუ-იმ ინდივიდუმის შესახებ მსჯავრი ვიქონიოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვით იგი თავის თავზე, ისევე არ შეიძლება ასეთი გადატრიალების ეპოქა გავსინჯოთ მისი ცნობიერების მიხედვით; პირიქით, ეს ცნობიერება უნდა ავხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, არსებული კომფლიქტით საზოგადოებრივ საწარმოო ძალებისა და საწარმოო უთიერთობათა შორის".

(იქვე, გვ. 41.)

გრძნობადი წარმოდგენა არის სწორედ ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილეა!!! ეს არის სწორედ მახიზმის ის ძირითადი უაზრობა, ძირითადი არევდარევა და სიყალბე, საიდანაც ამ ფილოსოფიის მთელი დანარჩენი ბოდვა გამომდინარეობს და რისთვისაც მახსა და ავენარიუსს ჰკოცნიან აშკარა რეაქციონრები და კლერიკალიზმის მქადაგებელი იმანენტები. თუმცა ვ. ბაზაროვმა ბევრი ითაღლითა და იდოპლომატა; გვერდი აუარა სახიფათო პუნქტებს, მაგრამ ბოლოს ენა ვეღ დააკავა და თავისი მახისტური ბუნება გამოამჟღავნა! იმის თქმა, რომ გრძნობადი წარმოდგენა არის სწორედ ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილეა, ნიშნავს დაბრუნებას ჰიუმიზმისა და თვით ბერკლიანობისადმი, რომელიც „კოორდინაციის" ბურუსშია დამალული. ეს ან იდეალისტური ტყუილია ან აგნოსტიკოსის აბსურდია, ამხანაგო ბაზაროვო, მიტომ რომ გრძნობადი წარმოდგენა ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილე კი არ არის, არამედ მხოლოდ ამ სინამდვილის გამოხატულებაა. თქვენ გინდათ ჩაეჭიდოთ რუსული სიტყვის „совпадать"-ის ორ აზროვნებას. თქვენ გინდათ საქმეში ჩაუხედავი მკითხველი დააჯეროთ, რომ „совпадать" ნიშნავს „იგივეობას" და არა „შესაბამებას"? ეს ნიშნავს ციტატის აზრის დამახინჯებას, ენგელსის გაყალბებას მახისტურად და მეტს არაფერს.

ხელში აიღეთ გერმანული ორიგინალი და თქვენ ნახავთ სიტყვებს „stimmen mit", ე. ი. შეესაბამება, ეთანხმება; უკანასკნელი თარგმანი პირდაპირია, მიტომ, რომ stimme ნიშნავს ხმას, სიტყვები „stimmen mit" არ შეიძლება ნიშნავდეს совпадать-ს იგივეობის აზრით. მაგრამ გერმანული ენის არ მცოდნე მკითხველისათვისაც, რომელსაც ცოტაოდენი ყურადღებით მაინც წაუკითხავს ენგელსი, ცხადია და არც შეიძლება ცხადი არ იყოს, რომ ენგელსი ყოველთვის თავის მსჯელობაში „გრძნობად წარმოდგენას" ისე უცქერის, როგორც ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილის ასახვას (Abbild). მაშასადამე, სიტყვა „совпадать" შეიძლება რუსულად ვიხმაროდ მხოლოდ შესაბამების, შეთანხმების აზრით. ენგელსისთვის იმ აზრის მიწერა, რომ გრძნობადი წარმოდგენა არის სწორედ ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილეა, ნამდვილი მარგალიტია მახისტური გაყალბებისა, აგნოსტიციზმისა და იდეალიზმის შეპარებისა მატერიალიზმში; არ შეიძლება უარვყოთ, რომ ბაზაროვმა ამ მხრივ რეკორდი აიღო!

(ლენინი, თხუთხლებანი, ტომი 13, გვ. 114—15.)

„ჩემთვისო,—უპასუხებდა შუპპე ვუნდტს,—დებულებას „ყოფნა არის შეგნება“ ის აზრი აქვს, რომ შეგნება წარმოუდგენელია გარეგანი ქვეყნის გარეშე, მაშასადამე უკანასკნელი ეკუთვნის პირველს; ეს იმას ნიშნავს, რომ ორივეს შორის მრავალჯერ ჩემ მიერ აღნიშნული და განმარტებული აბსოლუტური კავშირი (Zusammengehörigkeit) არსებობს, ამ ურთიერთობაში ისინი ყოფნის ერთიან პირვანდელს მთელს შეადგენენ“.

ადამიანი დიდად გულუბრყვილო უნდა იყოს, რომ წმინდა წყლის სუბიექტური იდეალიზმი არ დაინახოს ასეთ „რეალიზმში“! დაუკვირდით ცოტათი: გარეგანი ქვეყანა „შეგნებას ეკუთვნის“ და აბსოლუტურად დაკავშირებულია მასთანო! მართლაც ცილი დაუწამებიათ საბრალო პროფესორისათვის, რომ იგი სუბიექტური იდეალისტების ბანაკისათვის მიუკუთვნებიათ. ეს ფილოსოფია საესებით ეთანხმება ავენარიუსის „პრინციპიალურ კოორდინაციას“: მათ ერთი მეორეს ვერ დააშორებს ვერაფითარი პროტესტები ჩერნოვისა და ვალენტინოვისა, ორივე ფილოსოფია გაგზავნილ იქნება გერმანული პროფესორის რეაქციონური ფაბრიკატების მუზეუმში. აღვნიშნავთ როგორც კურიოზსს, რომელიც ერთხელ კიდევ ბ. ვალენტინოვის მოუსაზრებლობას მოწმობს, რომ იგი შუპპეს სოლიპსისტს უწოდებს (თავისთავად ცხადია, შუპპე ისევე ენერგიულად ფიცულობდა, სოლიპსისტი არა ვართ, ისევე სპეციალურ წერილებს სწერდა იმ თემაზე, როგორც მახი, პეცოლდტი და სხ.), ხოლო ბაზაროვის სტატიით, რომელიც „ნარკვევებში“ დაიბეჭდა, აღტაცებულია! კარგი იქნებოდა ვინმეს გერმანულად გადაეთარგმნა ბაზაროვის სიტყვები „გრძნობადი წარმოდგენა არის ჩვენს გარეშე არსებული სინამდვილეო“ და რომელიმე იმანენტისთვის გაეგზავნა, იგი გადაჰკოცნიდა ბაზაროვს ისევე, როგორც შუპპეებმა. ლეკრელებმა და შუბერტ-ზორდერნებმა მახი და ავენარიუსი გადაჰკოცნეს, მიტომ რომ ბაზაროვის სიტყვები იმანენტური სკოლის მოძღვრების ალფა და ომეგაა.

(იქვე, გვ. 219—20.)

პოლიტიკური, უფლებრივი, ფილოსოფიური, სარწმუნოებრივი, ლიტერატურული, ხელოვნური და სხვ. განვითარება ემყარება ეკონომიურ განვითარებას. მაგრამ ყველა ისინი გაელენას ახდენენ ერთმანეთზე და თვით ეკონომიურ საფუძველზედაც. საქმე სრულიადაც არ არის ისე, თითქოს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა იყოს ერთად-ერთი აქტიური მიზეზი, ხოლო დანარჩენი მხოლოდ პასიურ ფაქტორებს წარმოადგენდეს. სრულიადაც არა, აქ არის ურთიერთქმედება ეკონომიური აუცილებლობის ნიადაგზე, რომელიც ბოლოს-დაბოლოს ყოველთვის აშკარავდება.

(ფრ. ენგელსი, წერილი ბ. შტარკენბურგს, 25 იანვარი 1894 წ.)

...იდეოლოგების შემდეგი იდიოტური წარმოდგენა: ვინაიდან ჩვენ სხვადასხვა იდეოლოგიურ დარგთ, ისტორიაში როლს რომ თამაშობენ, არ ვანიჭებთ დამოუკიდებელ ისტორიულ განვითარებას, მაშასადამე, ამით ჩვენ უარვყოფთ მის ყოველნაირ ისტორიულ მნიშვნელობას... ამ მსჯელობის საფუძველს შეადგენს

სადა, არა დიალექტური წარმოდგენა მიზეზსა და შედეგზე, როგორც ორ მარად განცალკევებულ პოლიუსზე, წარმოდგენა, რომელიც აბსოლუტურად არ ხედავს მათ შორის არსებულ ურთიერთულ დამოკიდებულებას. ეს ვაჟბატონები განზრახ ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ როგორც კი ბოლოს-და-ბოლოს ეკონომიური ფაქტები ბადებს ისტორიულ მომენტს, უკანასკნელი თავად ახდენს გავლენას მის გარშემორტყმულ გარემოებაზე; მას შეუძლია აგრეთვე პირიქით იმოქმედოს მის წარმომშობ მიზეზებზედაც.

(ფრ. ენგელსი, წერილი მერინგს, 14 ივნისი 1893 წ).)

...ყოველი ეპოქის ფილოსოფია, როგორც შრომის დაყოფის განსაკუთრებული დარგი, ფლობს განსაზღვრულ აზროვნულ მასალას, რომელიც გადმოდის წინამორბედთაგან მასზე და რომლიდანაც ის თვითონ გამოდის. აქედან იბადება ისეთი მოვლენა, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ ფილოსოფიაში იმეთაურონ: საფრანგეთი მე-XVIII საუკ. ინგლისის მიმართ, რომლის ფილოსოფიას ემყარებოდნენ ფრანგები, შემდეგ გერმანია პირველი ორის მიმართ. მაგრამ ამ ხანაში საფრანგეთშიც და გერმანიაშიც ფილოსოფია და საზოგადოლიტერატურული აყვავება შედეგი იყო ეკონომიური განვითარების. საბოლოო ანგარიშით ეკონომიური განვითარების უპირატესობა ამ დარგშიც ჩემთვის უდაოა, მაგრამ იგი უპირატესობა მომწყვდეულია თვით ამა-თუ-იმ დარგის მიერ ნაკარნახევ პირობებში. მაგალ. ფილოსოფიაში ეკონომიურ გავლენათა ზემოქმედება (რაც უმეტეს ნაწილად მხოლოდ პოლიტიკური სამოსლით ცხადდება და სხვ.) არსებულ, წარსულიდან გადმონაცემ ფილოსოფიურ მასალაზე. აქ ეკონომიკა ახლად (a novo) არაფერს არ ქმნის; იგი მხოლოდ არსებულ აზროვნული მასალის ცვალებადობის და შერმინდელი განვითარების სახეს საზღვრავს, მაგრამ ამასაც იგი უმეტეს ნაწილად ირიბულად ახდენს, ვინაიდან უმნიშვნელოვანესი უშუალო გავლენა ფილოსოფიაზე პოლიტიკურ, უფლებრივ, მორალურ ანარეკლს აქვს.

(ფრ. ენგელსი, წერილი კონრად შმიტდს, 27 ოქტ. 1890 წ.)

ისტორიის მატერიალისტური განმარტების თანახმად ისტორიულ პროცესში საბოლოო ანგარიშით განსაზღვრულ მომენტს წარმოადგენს წარმოება და განმეორებული წარმოება ნამდვილი ცხოვრებისა. ამაზე მეტი არ გვითქვამს რა არც მე და არც მარქსს. თუ ვინმე ამ დებულებას დაამახინჯებს—ვითომ ეკონომიური მომენტი ერთად-ერთი განმსაზღვრელი მომენტი იყოს, მაშინ ეს დებულება უშინაარსო, უაზრო, განყენებულ ფრაზად იქცევა. ეკონომიური მდგომარეობა—ეს საფუძველია; ხოლო ისტორიული ბრძოლის მსვლელობაზე გავლენას ახდენს და ბევრნაირადაც საზღვრავს უმთავრესად მის ფორმას—ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები:

— კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ფორმა და მისი შედეგი—კონსტიტუცია, გამარჯვებული კლასის მიერ დამყარებული და სხვ. უფლებრივი ფორმა, ყველა ამ მოძრაობისა და ბრძოლის ანარეკლი მონაწილეთა გონებაში პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური თეორიები, სარწმუნოებრივი შეხე-

დულებანი და განვითარებული დოგმატიური სისტემები. აქ არის ყველა ამ მოშენტთა ურთიერთმოქმედება, სადაც ბოლოს-და-ბოლოს ეკონომიური მოძრაობა, როგორც აუცილებელი მოძრაობა, გზას იკაფავს შემთხვევათა დაუსრულებელ წყებაში (იმ საგანთა და ამბავთა წყებაში, რომელთა ურთიერთული კავშირი იმდენად დაშორებულია ან იმდენად ძნელი განსასაზღვრავია, რომ ჩვენ შეგვიძლია იგი დავივიწყოთ, ვითომ ის არც კი არსებობს). წინააღმდეგ შემთხვევაში თეორიის გამოყენება ამა-თუ-იმ ისტორიული ხასიათისთვის უფრო ადვილი იქნება, ვიდრე პირველი ხარისხის უბრალო შეთანასწორების გამოყვანა.

(ფრ. ენგელსი, წერილი ი. ბლოხს. 21 სექტ. 1890 წ.)

6. ენა და საზოგადოებრივი წყობა

ადამიანი zoon politikon-ია, სიტყვის პირდაპირი აზრით, არა თუ საზოგადოებრივი ცხოველი, არამედ აგრეთვე ისეთი ცხოველი, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განცალკევება. განცალკევებულ ინდივიდუმთა წარმოება საზოგადოების გარეშე, რასაც, როგორც იშვიათ მოვლენას, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევით უდაბნოში მოხვედრილ განათლებული ადამიანის მხრივ, რომელსაც უკვე დინამიურად ჰქონდა თავისში საზოგადოებრივი ძალები. ისეთივე უაზრობაა როგორც ენის განვითარება ერთად მცხოვრებ და ერთმანეთთან მოლაპარაკე ინდივიდუმებს გარეშე...

ამ გვარად, როდესაც წარმოებაზეა ლაპარაკი, ეს ლაპარაკი შეეხება ყოველთვის საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრული საფეხურის წარმოებას,— საზოგადოებრივ ინდივიდუმთა წარმოებას. ამიტომ შეიძლება გვეჩვენოს, რომ ჩვენ, რათა საზოგადოდ წარმოებაზე ვილაპარაკოთ, ან ისტორიული განვითარების პროცესი უნდა განვიხილოთ მის სხვადასხვა ხაზებში, ანდა ამთავითვე განვაცხადოთ, რომ საქმე გვაქვს ერთ განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქასთან, მაგალითად, თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოებასთან, რომელიც მართლადაც შეადგენს ჩვენს ნამდვილ თემას. მაგრამ წარმოების ყველა ეპოქას ზოგი საერთო ნიშნები, საერთო განსაზღვრანი აქვს. საზოგადოდ წარმოება აბსტრაქციაა, მაგრამ—აზრიანი აბსტრაქცია, რამდენადაც იგი საერთოს გამოაცალკევებს, ფიქსაციას უკეთებს მას, და ამით ჩვენ განმეორებას თავიდან გვაცილებს. მხოლოდ: ეს ზოგადი ანუ შედარების გზით გამოცალკევებული საერთო თვით არის მრავალმხრივ დასახსრული, ერთი მეორისაგან გარემომდინარე რამ, რომელიც სხვადასხვა განსაზღვრას შეიცავს, აქედან ზოგი ყველა ეპოქას ეკუთვნის, დანარჩენები საერთოა ზოგიერთების. ზოგი განსაზღვრანი საერთო იქნება როგორ თანამედროვე ეპოქის, ისე უძველესისაც. უამათოდ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე წარმოება; მაგრამ თუ ფრიად განვითარებულ ენებს კანონები და განსაზღვრანი საერთო აქვთ ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ენებთან,—მეორეს მხრივ, სწორედ ის, რაც ამ ზოგადისა და საერთოსაგან განსხვავებას წარმოადგენს, შეადგენს მათ განვითარებას.

(კარლ მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 4—5.)

ამგვარად, ღირებულებას თავისი ვინაობა შუბლზე არ აწერია. კიდევ მეტიც: ღირებულება შრომის ყოველ პროდუქტს საზოგადოებრივ იეროგლიფად ხდის. შემდეგში ადამიანი ცდილობს ამ იეროგლიფის ამოცნობას, ცდილობს განსჭვრიტოს თავისი საკუთარი საზოგადოებრივი პროდუქტის საიდუმლოება, ვინაიდან მოხმარების საგნების გარდაქმნა ღირებულებად ისევე საზოგადებრივ პროდუქტს წარმოადგენს, როგორც მაგალითად, ენა.

(კარლ მარქსი, კაპიტალი, I ტ., გვ. 40.)

რკინის, ტილოს, ხორბლის და სხვ. ღირებულება, თუმცა უხილავად, თვით ამ ნივთებში არსებობს; იგი გამოიხატება ოქროსთან მათი თანასწორობით, ოქროსთან ისეთი შეფარდებით, რომელიც, ასე ვთქვათ, მხოლოდ მათ თავში ტრიალებს. ამიტომ საქონლის მცველმა უნდა გამოაბას მათ თავისი ენა, ან ჩამოკიდოს მათ ქალალდის ნიშნები, რათა გარეშე ქვეყანას ამცნოს მათი ფასი.

კარლ მარქსი სხოლიოში შენიშნავს:

„ველური ან ნახევრად ველური სხვანაირად საგებლობს თავისი ენით. კაპიტანი Parry მოგვითხრობს, მაგალითად, ბაფინის ყურეს დასავლეთ ნაპირის მცხოვრებლებზე: „ამ შემთხვევაში (პროდუქტების გაცვლის დროს) ისინი ენით ლოკავენ მას (ნივთს, რომელსაც იძენენ) ორჯერ; ამის შემდეგ ისინი გარიგებას თითქოს დამთავრებულად თვლიან მათდა სასიამოვნოდ". აღმოსავლეთ ესკიმოსებშიც სწორედ ასევე ენით ლოკავდა მყიდველი ნივთს მისი მიღების დროს, თუ ჩრდილოეთში ენა იხმარება ნივთების შეძენის ორგანოდ, საკვირველი არ არის, რომ სამხრეთში საკუთრების დაგროვების ორგანოდ მუცელი ითვლება და კაფრი ადამიანის სიმდიდრეს მისი ღიპის მიხედვით აფასებსო".

(კარლ მარქსი, კაპიტალი, I ტ. გვ. 60.)

ჩვენ ვხედავთ, რომ რაც უწინ საქონლის ღირებულების ანალიზმმა გვამცნო, ეხლა თვით ტილო გვაუწყებს, რაწამსაც იგი სხვა საქონელთან, სერთუკთან, ურთიერთობაში შედის. მხოლოდ თავის აზრებს იგი ამჟღავნებს ერთად-ერთი მისთვის მისაწვდომი ენით—საქონლის ენით. რათა აღნიშნოს, რომ მისი ღირებულება ადამიანის აბსტრაქტული შრომის შედეგია, იგი ამბობს, რომ სერთუკი, რამდენადაც იგი მას ეთანასწორება, ე. ი. რამდენადაც იგი ღირებულებაა, იმავე შრომისაგან შესდგება, როგორც თვით ტილო. რათა აღნიშნოს რომ მისი უმაღლესი ღირებულებითი საგნობრივობა მისი ტლანჭი სხეულისაგან განსხვავდება. იგი ამბობს, რომ ღირებულება სერთუკსავით გამოიყურება და ამიტომ თვით იგი, როგორც ნივთი—ღირებულება გავს სერთუკს, როგორც წყლის ერთი წვეთი მეორეს. აქ აღვნიშნოთ გაკვრით, რომ ებრაული ენის გარდა საქონლის ენას გააჩნია კიდევ სხვა მარავალი, ცოტად თუ ბევრად დამუშავებული, კილოკავები. მაგალითად, გერმანული „wertsein" უფრო მკვეთრად გამოხატავს, ვიდრე რომაული ზმნა valere, valer, valoir იმას, რომ შეთანასწორება საქონელ B-ს საქონელ A-სთან არის საქონელ A-ს საკუთარი ღირებულების გამოხატულება. Paris haut bien une messe (პარიზი ერთ წირვად კი ღირს!)

(კ. მარქსი, კაპიტალი, I ტომი, გვ. 19—20.)

როგორც ფული ვითარდება მსოფლიო ფულად, ისევე საქონლის მფლობელი ვითარდება კოსმოპოლიტად. ადამიანთა კოსმოპოლიტური დამოკიდებულება თავდაპირველად მხოლოდ მათი დამოკიდებულებაა როგორც საქონლის მფლობელებისა. საქონლისთვის თავისთავად არ არსებობს არც რელიგიური, არც პოლიტიკური, არც ნაციონალური და ენის საზღვარი. მისი საყოველთაო ენაა ფასი და მისი საზოგადოებრიობაა ფული. მაგრამ მსოფლიო ფულის განვითარებასთან ერთად, წინააღმდეგ ნაციონალური მონეტისა, ვითარდება საქონლის მფლობელის კოსმოპოლიტიზმი, როგორც რწმენა პრაქტიკული გონების მიმართ, წინააღმდეგ მემკვიდრეობით გადმოცემული რელიგიური, ნაციონალური და სხვა ცრუ რწმენისა, რომელიც კაცობრიობის ნივთიერების ცვლას აბრკოლებს. როდესაც იგივე ოქრო ამერიკული eagles-ის სახით ინგლისში გადმოიტვირთება და სოვერენად იქცევა, რამდენიმე დღის შემდეგ პარიზში ნაპოლეონად მიმოიქცევა, რამდენიმე კვირის შემდეგ ვენეციაში დუკატად იქცევა, მაგრამ ყოველთვის ერთსა-და-იმავე ღირებულებას ინარჩუნებს, — საქონლის მფლობელისათვის ცხადი ხდება, რომ ეროვნება „is but the gainla's stampe“ („მარტოოდენ ბეჭედია გინეასი“). უმაღლესი იდეა, რომელშიც მისთვის მთელი ქვეყნიერებაა მოცემული, ბაზრის, მ ს ო ფ ლ ი ო ბ ა ზ რ ი ს იდეა არის.

(კ. მარქსი, პოლიტ. ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 193—94.)

ისტორიას ჩვენ თვითონ ვაკეთებთ, მაგრამ ჩვენ მას ვაკეთებთ განსაზღვრულ პირობებსა და გარემოებაში. მათ შორის საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტია ეკონომიური ურთიერთობა. მაგრამ პოლიტიკური და სხვა ურთიერთობა, ადამიანთა ტრადიციაც კი თამაშობს განსაზღვრულ როლს, თუმცა არა გადამწყვეტს. პრუსიის სახელმწიფო აღორძინდა და განვითარდა ისტორიულ და საბოლოო ანგარიშით ეკონომიურ მიზეზთა მეოხებით. მაგრამ დიდი პედანტობა იქნება ვამტკიცოთ, რომ ჩრდილო გერმანიის მრავალ პატარა სახელმწიფოთა შორის სახელდობრ ბრანდენბურგი იყოს მოწოდებული დიდი ხელმწიფეების როლის შესასრულებლად, სადაც განხორციელდა ეკონომიური, ლინგვისტური (რეფორმაცის შემდეგ), სარწმუნოებრივი განსხვავება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, და რომ ყოველივე ეს წინასწარი განსაზღვრული იყო სწორედ მხოლოდ ეკონომიური აუცილებლობით, ხოლო სხვა მომენტებს არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ (უმთავრესად ის გარემოება, რომ ბრანდენბურგი პრუსიის მფლობელობის გამო ჩათრეულ იყო პოლონურ საქმეებში და აქედან საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობაში, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა აგრეთვე ავსტრიის სახლის გაძლიერებისათვის). ვერავინ ვერ ახსნის, თუ სასაცილოდ არ უნდა თავისი თავი გახადოს, ეკონომიურად გერმანიის თვითეული პატარა სახელმწიფოს არსებობას წარსულში და აწმყოში, აგრეთვე ვერავინ ვერ ახსნის ეკონომიურად ხმოვანთა ზემო-გერმანულ ცვლილების წარმოშობას, რომელიც გერმანიას (დიალექტის მიხედვით) ორად ჰყოფს, რასაც აძლიერებს კიდევ გეოგრაფიულად მთების გრეხილი სუდეტებიდან თაურუსამდე.

(ფრ. ენგელსი, წერილი ი. ბლოხს, 21 სექტემბერი 1890 წ.)

ენა უფრო მდიდარია განუვითარებელ და პირველყოფილ ხალხების მდგომარეობაში,—ენა ღარიბდება ცივილიზაციით და გრამატიკის წარმოშობით...

ჰეგელის ამ გამოთქმას ლენინი (1914—15 წ. წ.) მარჯვნიდან ორჯერ ხაზს უსვამს და ჩაწერილი აქვს კითხვითი (?) ნიშანი (რედ.).

(ლენინის კრებული, 12 ტ., გვ. 155.)

რუსული ენა ვითარდება ინგლისურის მსგავსად—непо,—ком,—проф,—сов,—рабкоп.

(ლენინი, თხზ. კრებული, 27 ტომი, გვ. 525.)

... მე ძალიან დამაინტერესა იმან, რომ ისტორიული საბუთებიდან მის მიერ მოყვანილი სიტყვა catalla capitalia (კაპიტალი) ჩნდება ქალაქურ თემების დაბადებასთან ერთად.

(კ. მარქსი, წერილი ენგელსს, 27 ივლისი 1854 წ.)

ფილოსოფიის ისტორია, ცალკე მეცნიერებათა ისტორია, ბავშვის გონებრივი განვითარების ისტორია, ცხოველის გონებრივი განვითარების ისტორია, ენის ისტორია, ფსიქოლოგია, გრძნობათა ორგანოების ფიზიოლოგია. მაშასადამე, შემეცნების მოკლე ისტორია საერთოდ, ცოდნის მთელი სფეროა. აი ცოდნის ის სფეროები, რომლებიდანაც იქმნება შემეცნების თეორია და დიალექტიკა. ბერძნულმა ფილოსოფიამ ყველა ეს მომენტები დასახა.

(ლენინის კრებული, 12 ტ., გვ. 315.)

„ლოგიკა ჰგავს გრამატიკას მით, რომ დამწყებისათვის ეს ერთია, ენის (და ენების) და ენის სრული მცოდნეთათვის, სხვაა.“

ლენინის მიერ მარცხნივ გახაზულია და მიწერილი აქვს: „ზუსტად და ლრმად“.

(ლენინის კრებული, 9 ტ., გვ. 33.)

ჩვენს წინაშე „უახლესი“ ტერმინოლოგიის ჯამბაზის ჰრელ, ყვირილა ტანისამოსში დგას სუბიექტური იდეალისტი, რომლისთვისაც გარეგანი ქვეყნიერება, ბუნება, მისი კანონები მხოლოდ ადამიანის შემეცნების სიმბოლოებია.

(ლენინი, თხზ. 13 ტომი, გვ. 170.)

ტერმინოლოგიური ოინბაზობის და გელერტული სქოლასტიკის ნაგავში ჩვენ ყოველთვის ვპოულობდით ორ ძირითად ხაზს, ორ ძირითად მიმართულებას ფილოსოფიური კითხვების გადაჭრაში.

(იქვე, გვ. 342.)

ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც იყო ფილოსოფია ორი ათასი წლის წინათ. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია, მხოლოდ ეს ნათლად არა ჩანს გელერტულ-შარლატანურ სახელწოდებებსა და გონება-ჩლუნგი უპარტიობის სამოსელში.

(იქვე, გვ. 361.)

7. ენა და აზროვნება

... წარმოების განსაზღვრული წესი ან განსაზღვრული სამრეწველო საფეხური ყოველთვის დაკავშირებულია თანამშრომლობის განსაზღვრულ წესთან, განსაზოგადოებრივ საფეხურთან (და თანამშრომლობის თვითონ ეს წესი არის ერთგვარი „წარმოებითი ძალა“), ...ადამიანისათვის ხელმისაწვდომ წარმოებითი ძალების ერთობლიობა შეაპირობებს საზოგადოებრივ მდგომარეობას და, მაშასადამე, ...„კაცობრიობის ისტორია“ ყოველთვის შესწავლილ და დამუშავებულ უნდა იქნეს მრეწველობისა და გაცვლის ისტორიასთან დაკავშირებით... ამრიგად, უკვე თავიდანვე აშკარავდება ადამიანთა მატერიალისტური კავშირი ერთანეთს შორის, რომელიც შეპირობებულია მოთხოვნილებებით და წარმოების წესით და ისევე ძველია, როგორც თვითონ ადამიანი,—კავშირი, რომელიც ღებულობს სულ ახალ-ახალ ფორმებს, მაშასადამე ახდენს „ისტორიას“ ისე, რომ არ საჭიროებს რაიმე პოლიტიკურ ან რელიგიურ უაზრობის არსებობასაც კი, რაც კიდევ უფრო შებოჭავდა ადამიანებს. მხოლოდ ახლა, მას შემდეგ რაც უკვე განვიხილეთ პირვანდელ ისტორიულ მიმართულებათა ოთხი მომენტი, ოთხი მხარე, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანს აქვს „ცნობიერება“ [1], მაგრამ ისიც მას აქვს არა თავიდანვე „წმინდა ცნობიერების სახით“. „სულს“ თავიდანვე „აშძიმებდა“ წყეული მატერია, რომელიც აქ გვევლინება ჰაერის მოძრავი შრეების, ბგერების სახით,—ერთი სიტყვით, ენის სახით. ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება; ენა არის სწორედ პრაქტიკული, სხვა ადამიანებისათვისაც არსებული, და მხოლოდ მით თვითონ ჩემთვისაც არსებული ნამდვილი ცნობიერება, და, ცნობიერების მსგავსად, ენა წარმოიშვის მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებების, გადაუდებელი საჭიროების გამო. იქ, სადაც არსებობს რაიმე შეფარდება, იგი არსებობს ჩემთვის; ცხოველი არაფერს არ „ეფარდება“ და საერთოდ არ „ეფარდება“, ცხოველისათვის მისი შეფარდება სხვების მიმართ არ არსებობს როგორც შეფარდება. ამრიგად, ცნობიერება თავიდანვე არის საზოგადოებრივი პროდუქტი და ასეთად რჩება, სანამ საერთოდ არსებობს ადამიანი. ცნობიერება, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა არის უახლოესი გრძნობითი გარემოს შეცნობა და თავისი თავის შეცნობის დამწყებ ინდივიდის გარე მყოფ პირებთან და ნივთებთან შეზღუდული კავშირის შეცნობა; ამავე დროს იგი არის შეცნობა ბუნებისა, რომელიც თავდაპირველად უპირისპირდება ადამიანს როგორც სრულიად უცხო, ყოვლის შემძლე და მიუვალი ძალა, რომლისადმი ადამიანს აქვს სავსებით ცხოველური დამოკიდებულება და რომლის წინაშეც ის ისევე უმწეოა, როგორც პირუტყვი; მაშასადამე, ეს არის ბუნების წმინდა ცხოველური შეცნობა (ბუნებითი რელიგია). აქ ცხადია ჩანს, რომ ეს ბუნებითი რელიგია ან ეს განსაზღვრული დამოკიდებულება ბუნებისადმი შეპირებულია საზოგადოებრივი ფორმით და პირიქით. აქ როგორც ყველგან, ბუნებისა და ადამიანის იგივეობა აშკარავდება იმაშიც, რომ ადამიანთა შეზღუ-

[1] მარქსის შენიშვნა არეზე: „ადამიანებს აქვთ ისტორია იმიტომ, რომ იმათ უნდა აწარმოონ თავისი სიცოცხლე, და მასთან განსაზღვრული წესით, ეს შეპირობებულია მათი ფიზიკური ორგანიზაციით, ისევე როგორც მათი ცნობიერება“.

დული დამოუკიდებლობა ბუნებისადმი შეაპირობებს მათ შეზღუდულ დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი, ხოლო მათი შეზღუდული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი—მათ შეზღუდულ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, სწორედ იმის მეოხებით, რომ ბუნება ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი ისტორიის სვლით, ხოლო მეორე მხრით, აშკარავდება ირგვლივ მყოფ ინდივიდებთან ურთიერთობის დაწყების აუცილებლობის შეგნება, იმის შეგნების დასაწყისი, რომ ადამიანი საერთოდ ცხოვრობს საზოგადოებაში. ეს დასაწყისი ატარებს ისეთსავე ცხოველურ ხასიათს, როგორსაც თვითონ საზოგადოებრივი ცხოვრება ამ საფეხურზე; ეს წმინდა ჯოგური შეგნებაა, და ადამიანი აქ ცხვრისაგან მხოლოდ იმით განირჩევა, რომ ინსტინქტის ნაცვლად მას აქვს ცნობიერება, ან იმით რომ მისი ინსტინქტი შეცნობილია. ეს ცხვრული ან ტომობრივი ცნობიერება შემდეგში ვითარდება წარმადობის გადიდების, მოთხოვნილებათა ზრდის და ორთავეს საფუძველის—მოსახლეობის ზრდის მეოხებით. ამას თანა ერთად ვითარდება შრომის დანაწილებაც, რომელიც თავდაპირველად იყო მხოლოდ შრომის დანაწილებად სქესობრივ აქტივში, ხოლო შემდეგ შრომის დანაწილებად, რაც თავისთავად ხდებოდა და „ბუნებრივად წარმოიშვა“ ბუნებრივი თანდაყოლილი თვისებების (მაგალითად, ფიზიკური ძალის), მოთხოვნილებების, შემთხვევულობის და სხვ. მეოხებით. შრომის დანაწილება ხდება ნამდვილ დანაწილებად მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ჩნდება მატერიალური და სულიერი შრომის დანაწილება[1]. ამ მომენტიდან ცნობიერებას მართლაც შეუძლია წარმოიდგინოს, რომ იგი რაღაც სხვა რამაა, ვიდრე არსებული პრაქტიკის შეცნობა, რომ მას შეუძლია მართლაც წარმოადგენს რაღაცას მაშინ, როცა რაიმე სინამდვილეს არ წარმოადგენს,—ამ მომენტიდან ცნობირებას შეუძლია განთავისუფლდეს სამყაროსაგან და გადავიდეს წმინდა „თეორიის“, თეოლოგიის, ფილოსოფიის, მორალისა და სხვ. შექმნაზე.

(კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, გერმ. გამოც. გვ. 19—20.)

საზოგადოებრივი წყობილება და სახელმწიფო მუდმივ წარმოიშვებიან განსაზღვრულ ინდივიდების ცხოვრების პროცესიდან,—არა ისეთების, როგორიც ისინი შეიძლება ჩანდენ საკუთარ ან სხვის წარმოდგენაში, არამედ ისეთების, როგორიც ისინი სინამდვილეში არიან, ე. ი. როგორც ისინი მოქმედებენ, მატერიალურად აწარმოებენ და, მაშასადამე როგორც ისინი ააშკარავებენ თავის თავს განსაზღვრულ მატერიალურ, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ფარგლებში, პირობებსა და წარნამძღვრებში.[2]

---

[1] [მარქსის შენიშვნა არეზე: „იდეოლოგების პირველი ფორმა, ხუცები, ემთხვევა“.]

[2] [წაშლილია: „წარმოდგენა, რომელსაც ქმნიან ეს ინდივიდები, არის წარმოდგენა ან მათ დამოკიდებულებაზე ბუნებისადმი, ან მათ დამოკიდებულებაზე ერთმანეთს შორის, ან მათ საკუთარ ორგანიზაციაზე. ცხადია, რომ ყველა ამ შემთხვევაში ეს წარმოდგენა არის მათი ნამდვილ დამოკიდებლებათა და მოქმედების, მათი წარმოების, მათი ურთიერთობის, მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის, ნამდვილი ან ილუზორული, შეგნებული გამოხატულება. საწინააღმდეგო მოსაზრების დაშვება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილ მატერიმლურად შეპირებულ ინდივიდების სულის გარდა, ნაგულისხმებია კიდევ რაღაც განსა-

იდეების, წარმოდგენის, ცნობიერების წარმოება თავდაპირველად უშუალოდ ჩაწნულია ადამიანთა მატერიალურ მოქმედებასა და მატერიალურ ურთიერთობაში—რეალური ცხოვრების ენაში. ადამიანთა წარმოდგენა, აზროვნება, სულიერი ურთიერთობა აქ ჯერ კიდევ უშუალოდ გამომდინარეობს ადამიანთა მატერიალური თანაფარდობიდან. იგივე შეიძლება ითქვას სულიერ წარმოებაზედაც, როგორც იგი გამოიხატება ამათუიმ ხალხის ენაში, პოლიტიკაში, კანონებში, მორალში, რელიგიაში, მეტაფიზიკაში და სხვ.

ადამიანები არიან თავის წარმოდგენათა, იდეების და სხვ. მწარმოებლები,—მაგრამ ადამიანები, ნამდვილი, მომქმედი, როგორც ისინი შეპირობებული არიან თავის საწარმოო ძალების განვითარებით და ამ უკანასკნელის შესაბამის ურთიერთობით, თვით მათ შორეულ ფორმაციებამდის. ცნობიერება (das Bewußtsein) არასოდეს არ შეიძლება იყოს სხვა რამ თუ არ შემეცნებული მყოფობა (das bewußte Sein), ხოლო ადამიანთა მყოფობა არის მათი ცხოვრების რეალური პროცესი. თუ ყოველ იდეოლოგიაში ადამიანები და მათი დამოკიდებულებანი ჩანან თავზე დადგმულად, როგორც კამერა—ობსკურაში, ეს მოვლენაც წარმომდინარეობს მათი ცხოვრების ისტორიული პროცესიდან, ისე როგორც საგნების შებრუნებული გამონასახი ბადეზე წარმომდინარეობს მათი სიცოცხლის უშუალოდ ფიზიკური პროცესიდან.

(იქვე, გვ. 15.)

ინდივიდების დღემდის არსებული წარმოებითი ურთიერთობანი უნდა გამოიხატებოდეს აგრეთვე როგორც უფლებრივი და პოლიტიკური ურთიერთობანი (იხ. ზემოთ). შრომის დანაწილების ფარგლებში ამ ურთიერთობამ უნდა მოიპოვოს თავისთავადი არსებობა ინდივიდების მიმართ. ყველა ურთიერთობა შეიძლება გამოიხატოს ენაში მხოლოდ ცნების სახით. რწმენა რომ ეს განზოგადოებანი და ცნებანი არსებობს როგორც იდუმალი ძალები, არის იმ რეალურ ურთიერთობათა განკერძოების აუცილებელი შედეგი, რომელთა გამოხატულებას ისინი წარმოადგენენ. ეს ზოგადი ცნებები, გარდა მათი აღნიშნული მნიშვნელობისა ჩვეულებრივ ცნობიერებაში, ღებულობენ კიდევ განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და განვითარებას პოლიტიკოსებისა და იურისტების მხრით, რომელთაც შრომის დანაწილება წაუბიძგებს ამ ცნებათა კულტისაკენ და რომლებიც მათში ხედავენ და არა წარმოებითი ურთიერთობაში საკუთრების ყველა რეალურ შეფარდების ჰეშმარიტ საფუძველს.

(იქვე, გვ. 342.)

„ადამიანის ბუნებრივი მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ ნათლად შესაცნობი და გასაგები გახადოს ის ურთიერთობა, რომელ-

---

კეთრებული სული. თუ ამ ინდივიდების ნამდვილ და დამოკიდებულებათა შეგნებული გამოხატულება ილუზორულია, თუ ისინი თავის წარმოდგენაში თავის სინამდვილეს თავზე იდგამენ, ეს ისევ მათი მატერიალური მოქმედების შეზღუდულობის და აქედან გამომდინარე მათი შეზღუდულ ზოგადოებრივ ურთიერთობის შედეგია.“]

შიც იმყოფებიან შინაგანი და გარეგანი დოვლათები მის მოთხოვნილებებთან. ეს ხდება შეფასების (ღირებულების შეფასების) მეშვეობით, რომლის მეოხებითაც დოვლათებს, კერძოდ გარე ქვეყნის დოვლათებს, ენიჭებათ ღირებულება და უკანასკნელი იზომება (გვ. 46), მე-12 გვერდზე-კი ვკითხულობთ: „მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ყველა საშუალებას ეწოდება დოვლათები“ თუ კი ყველა პირველ წინადადებაში სიტყვა „დოვლათის“ მაგიერ ჩავსვამთ იმ ლოგიკურ შინაარსს, რომელსაც ვაგნერი ამ სიტყვას მიაწერს, მაშინ მოყვანილი ადგილის პირველი ფრაზა შემდეგ სახეს მიიღებს:

„ადამიანის“ ბუნებრივი მისწრაფება იმაში მდგომარეობს, რომ ნათლად შესაცნობი და გასაგები გახადოს ის ურთიერთობა, რომელშიც იმყოფებიან „მის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი შინაგანი და გარეგანი საშუალებანი მის მოთხოვნილებასთან“. ეს ფრაზა ჩვენ შეგვიძლია რამდენადმე გავამარტივოთ, თუ გამოუშვებთ, „შინაგან საშუალებებს“ და ა. შ., როგორც ამას იქვე ჩადის ბატონი ვაგნერი შემდეგ წინადადებაში სიტყვის: „კერძოთ“-ის საშუალებით.

„ადამიანი“? თუ აქ იგულისხმება „საზოგადოდ ადამიანის“ კატეგორია, მაშინ მას საზოგადოდ „არავითარი“ მოთხოვნილებები არა აქვს: თუ ბუნებას განკერძოებული ადამიანი უპირისპირდება,—იგი უნდა განვიხილოთ როგორც ყოველი არა-ჯოგური ცხოველი; თუ იგი საზოგადოებაში—რა ფორმაც უნდა ჰქონდეს ამ უკანასკნელს—მცხოვრები ადამიანია—და სწორეთ ამას გულისხმობს ბატონი ვაგნერი, რადგან მის „ადამიანს“—თუმცა საუნივერსიტეტო განათლება არ აქვს—უკიდურეს შემთხვევაში, მეტყველების უნარი გააჩნია,—ამის გამო გასავალ პუნქტად უნდა მივიღოთ საზოგადოებრივი ადამიანის განსაზღვრული ხასიათი, ე. ი. საზოგადოების განსაზღვრული ხასიათი, სადაც ის ცხოვრობს, ვინაიდან აქ წარმოება, ე. ი. სასიცოცხლო საშუალებათა მოპოვების პროცესი, უკვე ატარებს ერთგვარ საზოგადოებრივ ხასიათს.

მაგრამ დოქტრინერი პროფესორის აზრით, ადამიანის ურთიერთობანი ბუნებასთან იმთავითვე გამოდიან არა როგორც პრაქტიკული, ე. ი. მოქმედებაზე დამყარებული ურთიერთობანი, არამედ, როგორც თეორიული; უკვე პირველ წინადადებაში არეულია ერთიმეორეში ორი ასეთნაირი ურთიერთობა: რადგან შემდეგს წინადადებაში „მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარეგანი საშუალებანი“ ან „გარეგანი დოვლათები“ გადაიქცევიან „გარე ქვეყნის საგნებად“, ამიტომ პირველი ნაგულისხმევ ურთიერთობათაგან ღებულობს შემდეგ სახეს: ადამიანი იმყოფება ურთიერთობაში გარე ქვეყნის საგნებთან როგორც თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებთან. მაგრამ ადამიანები არავითარ შემთხვევაში არ იწყებენ იმით, რომ „იდგენ თეორიულ ურთიერთობაში გარე ქვეყნის საგნებთან“. როგორც სხვა ცხოველები, ისინიც იწყებენ იმით, რომ სჭამენ, სვამენ და ა. შ., ე. ი. კი არ „დგანან“ რაიმე ურთიერთობაში, არამედ აქტიურად მოქმედებენ, მოქმედების მეშვეობით ეუფლებიან გარე ქვეყნის განსაზღვრულ საგნებს და ამგვარად იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს (ისინი, მაშასადამე, წარმოებით იწყებენ). ამ პროცე-

სის განმეორების მეოხებით ამ საგნების უნარი „დააკმაყოფილონ მოთხოვნილებანი“ აღიბეჭდება მათ ტვინში, ადამიანები და მხეცები სწავლობენ „თეორიულადაც“ გაარჩიონ გარეგანი საგნები, რომელნიც მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან, ყველა სხვა დანარჩენ საგნისაგან. შემდგომი განვითარების განსაზღვრულ დონეზე, მას შემდეგ, რაც გამრავლდენ და კიდევ უფრო განვითარდენ ადამიანთა მოთხოვნილებანი და საქმიანობის სახეები, რომლებითაც ისინი თავიანთ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ, ადამიანები აძლევენ სახელწოდებას ამ საგანთა მთელ კლასებს, რომელთაც ისინი უკვე არჩევდენ გამოცდილებით გარე ქვეყნის სხვა საგნებიდან. ეს აუცილებლად ხდება, რადგან წარმოების პროცესში ადამიანები განუწყვეტლივ იმყოფებიან შრომითი კავშირში (werktätiger Umgang) ერთმანეთთან და ამ საგნებთან და მალე იწყებენ აგრეთვე ბრძოლას სხვა ადამიანებთან ამ საგნების გამო. მაგრამ ეს სიტყვიერი სახელწოდება გამოხატავს მხოლოდ წარმოდგენის სახით იმას, რაც განმეორებულმა მოქმედებამ ცდად აქცია, სახელდობრ იმას, რომ ადამიანებისთვის, რომელნიც უკვე განსაზღვრულ საზოგადოებრივ კავშირში ცხოვრობენ [ასეთი დაშება კი აუცილებლად გამომდინარეობს მეტყველების არსებობიდან] განსაზღვრული გარეგანი საგნები წარმოადგენენ მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას. ადამიანები აძლევენ ამ საგნებს განსაკუთრებულ (გვარეობითს) სახელწოდებას მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის უკვე ცნობილია ამ საგანთა უნარი, რაც მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში მდგომარეობს, და რომ ისინი ცდილობენ იმ მოქმედებათა მეშვეობით, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად ხშირად მეორდებიან, დაეუფლონ ამ საგნებს და შეინარჩუნონ ისინი თავიანთ მფლობელობაში; ისინი შესაძლოა ამ საგნებს უწოდებენ „დოვლათებს“ ან სხვა რასმე, რაც იმას აღნიშნავს, რომ ისინი პრაქტიკაში ხმარობენ ამ საგნებს, რომ ეს უკანასკნელნი მათთვის სასარგებლოა; ისინი მიაწერენ საგანს სარგელიანობის ხასიათს, თითქოს ეს თანდაყოლილი იყოს საგნისათვის, თუმცა საეჭვოა, რომ ცხვარმა თავის „სასარგებლო“ თვისებად ჩათვალოს ის ფაქტი, რომ იგი გამოსადეგია ადამიანის საზრდოდ.

ამრიგად: ადამიანებმა ფაქტიურად იმით დაიწყეს, რომ ითვისებდენ გარე ქვეყნის საგნებს, როგორც საშუალებებს თავიანთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და ა. შ., ისინი იქამდე მივიდენ, რომ სიტყვიერადაც უწოდეს მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებანი,—როგორიც ისინი იყვნენ უკვე პრაქტიკაში—საგნები, რომელნიც მათ „აკმაყოფილებენ“. თუკი დავასახელებთ იმ გარემოებას, რომ ადამიანებს აქვთ დამოკიდებულება ასეთ საგნებთან, როგორც მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებთან არა მარტო პრაქტიკაში, არამედ წარმოდგენაშიც და სიტყვიერ გამოთქმაშიც ახასიათებენ მათ, როგორც საგნებს, რომელნიც მათ მოთხოვნილებებს „აკმაყოფილებენ“ და სწორეთ ამ გზით თვით მათაც [სანამ ადამიანის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არაა, იგი იმყოფება უკმაყოფილო მდგომარეობაში თავისი მოთხოვნილებებით და, მაშასადამე, თავისი თავითაც],—თუ „გერმანული სიტყვა-ხმარებასთან შეფარდებით“ ვიტყვით, რომ სწორეთ ეს ნიშნავს საგნებისათვის „ღირებულების“ მინიჭებას, ამით ჩვენ დავამტკიცებთ,

რომ ზოგადი ცნება „ღირებულება“ გამომდინარეობს ადამიანთა დამოკიდებულებებიდან გარე ქვეყნის საგნებისადმი, რომელნიც მათ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, რომ, მაშასადამე, ეს ღირებულების გვარეობითი ცნებაა და რომ ღირებულების ყველა სხვა სახე, მაგალითად, ელემენტების ქიმიური ვალენტობა[1] (Wert) წარმოადგენს ამ ცნების სახესხვაობას.

(კ. მარქსი, კრიტიკული შენიშვნები ადოლფ ვაგნერის წიგნზე, გვ. 13—15.)

[ერთადერთი, რაც ცხადად ძევს მთელი ამ გერმანული სისულელის საფუძვლად, ის არის, რომ სიტყვები: „ღირებულება“ (Wert) ან მნიშვნელობა (Würde) იხმარებოდენ თავდაპირველად ყველაზე უფრო სასარგებლო ნივთების მიმართ, რომელნიც არსებობდენ „შრომის პროდუქტების“ სახით გაცვლებით იმაზე უფრო ადრე, სანამ ისინი საქონლებად გადაიქცეოდენ. მაგრამ სასაქონლო „ღირებულების“ მეცნიერულ განმარტებასთან ამას არაფერი აქვს საერთო ისე, როგორც ის გარემოება, რომ სიტყვა მარილს ძველი ხალხები ხმარობენ თავდაპირველად სუფრის მარილის მიმართ, შემდეგ კი, პლინიუსის დროიდან, შაქარი და მისი სხეულები გამოდიოდენ როგორც მარილის სახესხვაობანი [ფაქტიურად[2] ყველა უფერო მაგარი სხეული, რომელნიც წყალში იხსნებიან და რომელთაც სპეციფიკური გემო აქვთ] არ ნიშნავს, რომ ქიმიური კატეგორია: „მარილი“ შეიცავს შაქარს და სხვ...].

[რადგანაც მყიდველი საქონელს იმიტომ კი არ ყიდულობს, რომ მას ღირებულება აქვს, არამედ იმიტომ, რომ იგი „სახმარ ღირებულებას“ წარმოადგენს და მოიხმარება გარკვეული მიზნისათვის, ამიტომ თავისთავად იგულისხმება: 1) რომ სახმარი ღირებულებანი „ფასდებიან“, ე. ი. ხდება მათი თვისების გამოკვლევა ისე, (როგორც მათი რაოდენობა იზომება, იწონება და სხვ.), 2) რომ საქონლის სხვადასხვა ხარისხის არსებობის დროს, რომელთაც შეუძლიათ შესცვალონ ერთიმეორე მოხმარების ამავ მიზნებისათვის, ერთს ან მეორე ხარისხს ეძლევა უპირატესობა და სხვ...]

[გოთურ ენაში არის მხოლოდ ერთი სიტყვა ღირებულების Wert და მნიშვნელობისათვის (Würde)—სიტყვა vairths ϖμϱ ϖμάω schätzen ე. ი. შეფასება, ფასი ან ღირებულების განსაზღვრა, ტაქსირება; მეტაფორული აზრით: პატივისცემა, დაფასება, გამორჩევა.—Tμϱ შეფასება აქედან: ღირებულების ან ფასის განსაზღვრა, შეფასება. შემდეგ ღირებულების შეფასება და აგრეთვე თვით ღირებულებაც ან ფასიც (ჰეროდოტის, პლატონის მიხედვით), დემოსთენს აქვს αἱ ϖμαὶ ხარჯებია მნიშვნელობით. შემდეგ: მაღალი შეფასება, პატივი, პატივისცემა, საპატიო ადგილი, საპატიო თანამდებობა იხ. ბერძნულ-გერმანული ლექსიკონი როსტისა].

---

[1] [სიტყვათა გადაუთარგმნელი თამაში: ღირებულებაც და ვალენტობაც გერმანულად აღინიშნება ტერმინით: „Wert“].

[2] [მარქსს უწერია ინგლისური სიტყვა indeed]

[ღირებულება, ფასი (შულცეს ლექსიკონის მიხედვით) გოთურ ენაზე: vaírths ზედსართავი, ἄξιος, χανος ძველ ჩრდილო-გერმანულ ენაზე ve-ს ღირსი; verdh—ღირებულება, ფასი; ინგლის-საქსურ ენაზე: veordh vurdh, ინგლისურ ენაზე: worth, ზედსართავი; როგორც არსებითი-სახელი ის ალნიშნავს ღირებულებას და მნიშვნელობას].[1]

[შუა-გერმანიის ენაზე. wert, ნათესაობითი—werdes, ზედსართავი (dignus), და აგრეთვე pfennigwert, vert, ნათესაობითი—werdes, ღირებულება, მნიშვნელობა, ღირებულება, aestimatio, გარკვეული ღირებულების საქონელი, მაგალითად, pfenwert, penny-worth; werde: mertum, aestimatio, dignitas, მნიშვნელობის მქონე თვისება (Ziemman, Mittehochdeutschis Wörterbuch).]

[ამრიგად, ღირებულება (Wert) და მნიშვნელობა (Würade) ეტიმოლოგიური წარმოშობითაც და აზრითაც ერთიმეორესთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ეს გარემოება იჩქმალება იმის გამო, რომ ახალ გერმანულ ენაზე ჩვეულებრივი გახდა ფლექსიების არაორგანული (მცდარი) წარმოება სიტყვისაგან: Wert (ღირებულება): Wert, Wertes Werdes-ის ნაცვლად, რადგანაც th-ს შეესაბამება ზემო გერმანული d, და არა th—t-ს, და იმავე მოვლენას აქვს ადგილი შუა-გერმანიის ენაში (Wert, ნათესაობითი Werdes). შუა და ზემოგერმანული ენების წესების მიხედვით d სიტყვის ბოლოში უნდა გადაქცეულიყო t-დ, ე. ი. Wert Werd-ის ნაცვლად, მაგრამ ნათესაობითი ბრუნვა—Werdes.]

[თუმცა, ყველაფერ ამას ისე ცოტა რამ აქვს საერთო ეკონომიურ კატეგორიასთან „ღირებულება“, როგორც ქიმიური ელემენტების (ატომისტიკა) ქიმიურ ღირებულებასთან[2] (Wert) ან ქიმიურ ექვივალენტებთან (ქიმიური ელემენტების შენაერთთა წონითი შეფარდებანი.]

[შემდეგ საჭიროა აღვნიშნოთ,—ამ სიტყვიერ შეფარდებათა თვალსაზრისითაც კი,—რომ თუ მნიშვნელობისა (Würde) და ღირებულების (Wert) თავდაპირველი ინდენტიურობიდან თავისთავად, როგორც ნივთთა ბუნებიდან, გამომდინარეობდა ამ სიტყვის გამოყენება ნივთების, ნატურალური ფორმით არსებული შრომის პროდუქტების მიმართ,—შემდეგში ეს სიტყვა უცვლელი სახით პირდაპირ გადატანილი იქნა ფასებზე, ე. ი, ღირებულების განვითარებულ ფორმაზე, ე. ი. საცვლელ ღირებულებიზე, მაგრამ ეს ისევე არ გამომდინარეობს ნივთებიდან, როგორც ის ვარემოება, რომ იგივე სიტყვა განაგრძობდა ხმარებაში დარჩენას მნიშვნელობის აღსანიშნავად (Würde) საზოგადოდ, საპატიო თანამდებობის აღსანიშნავად და სხვ... სიტყვიერი თვალსაზრისით აქ არავითარი განსხვავება არ არის სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის.]

(იქვე, გვ. 25—26.)

---

[1] [ფილოლოგიური შენიშვნები ტერმინი „ღირებულების“ შესახებ მარქსს მოყავს აგრეთვე „Theorien über den Mehrwert“-ში, ტ. III. გვ. 385.]

[2] [ე. ი. ვალენტობასთან.]

II. ნაციონალური საკითხი და ენობრივი პოლიტიკა

1. ორი ისტორიული ტენდენცია ნაციონალურ საკითხში

ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო სპობს საწარმოო იარაღებს, ქონების და მცხოვრებლების დაქუცმაცებას. მან მჭიდროთ დააახლოა მცხოვრებლები, მოახდინა საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და საკუთრების კონცენტრაცია რამდენიმე პირის ხელში. ამის აუცილებელი შედეგი იყო პოლიტიკური ცენტრალიზაცია. დამოუკიდებელი, ოდნავ დაკავშირებული პროვინციები, აღშურეილნი სხვადასხვა ინტერესებით, კანონებით, მთავრობებით და სატამოჟნო გადასახადებით შედუღდენ ერთ ნაციათ, ერთი მთავრობით, ერთი კანონმდებლობით, ერთი ნაციონალური კლასობრივი ინტერესებით, ერთი სატამოჟნო ხაზით.

(კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, კომუნისტური მანიფესტი, გვ. 24.)

თუმცა არა შინაარსით, მაგრამ ფორმით კი პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ნაციონალურია. თავის თავად ცხადია, რომ თითოეული ქვეყნის პროლეტარიატმა პირველყოვლისა თავისი საკუთარი ბურჟუაზია უნდა დაამხოს.

(იქვე, გვ. 37.)

...კომუნისტებს აყვედრიან, რომ მათ სურთ მოსპონ სამშობლო, ეროვნება.

მუშებს არა აქვთ სამშობლო. არ შეიძლება მათ ის წაართვათ, რაც მათ არ გააჩნიათ. მიისწრაფვის რა პირველყოვლისა დაიპყროს პოლიტიკური ბატონობა, ამაღლდეს ნაციონალურ კლასათ, მოაწყოს თავისი თავი ნაციათ, პროლეტარიატი კიდევ ნაციონალურია, თუმცა სრულიადაც არა იმ აზრით, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის.

ნაციონალური განკერძოება და ხალხთა შორის წინააღმდეგობანი უფრო და უფრო ქრებიან, რაც უფრო ვითარდება ბურჟუაზია, ვაჭრობის თავისუფლება, მსოფლიო ბაზარი, სამრეწველო წარმოების ერთნაირობა და მისი შესაფერი ცხოვრების ურთიერთობანი.

პროლეტარიატის ბატონობა კიდევ უფრო დააჩქარებს მათ გაქრობას. შეერთებული მოქმედება, თუ ყველასი არა, განთალებული ქვეყნებისა მაინც, ერთი უპირველეს პირობათაგანია მისი განთავისუფლებისა.

იმდენად, რამდენადაც მოისპობა ერთი პიროვნების მიერ მეორის ვაყვლეფა, იმდენადვე მოისპობა ერთი ნაციის მიერ მეორის გაყვლეფა.

კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთათ ნაციის შიგნით დაეცემა ეროვნებათა მტრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.

(იქვე, 45—46.)

მარქსის სოციალიზმი ეროვნებისა და საბელშწიფოს საკითხებსაც იმავე ისტორიულ ნიადაგზე სვამს, არა მარტო წარსულის ასახსნელად, არამედ მომავლის უშიშარი განჭვრეტისა და მის განხორციელებისკენ მიმართული თამამი

პრაქტიკული მოღვაწეობისთვისაც. ეროვნება აუცილებელი პროდუქტი და აუცილებელი ფორმაა საზოგადოებრივი განვითარების ბურჟუაზიული ეპოქისა: და მუშათა კლასს არც შეეძლო განმტკიცებულიყო, დავაქკაცებულიყო, დარაზმულიყო, „თუ ეროვნების ფარგლებში არ მოეწყობოდა“, თუ „ნაციონალური“ არ იქნებოდა („თუმცა სრულებით არა იმ აზრით, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის“), მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება თანდათან ანადგურებს ნაციონალურ ჩარჩოებს, სპობს ნაციონალურ განკერძოებას და ნაციონალური ანტაგონიზმების ადგილას კლასობრივს სვამს. ამიტომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სრულს ჭეშმარიტებას წარმოადგენს დებულება, რომ „მუშებს სამშობლო არ აქვთ“ და რომ, ყოველ შემთხვევაში, განათლებულ ქვეყნების მუშათა „ძალთა გაერთიანება პროლეტარიატის განთავისუფლების ერთი უპირველესი პირობათაგანია („კომუნისტური მანიფესტი“).

(ვ. ლენინი, თხზულებანი, 18 ტ., გვ. 30.)

მთელს მსოფლიოში ეპოქა კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვებისა ფეოდალიზმზე ეროვნულ მოძრაობებთან იყო დაკავშირებული. ამ მოძრაობათა ეკონომიური საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ სასაქონლო წარმოების საერთაშორისო გასამარჯვებლად აუცილებლად საჭიროა შინაგანი ბაზრის დაპყრობა ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებულ ტერიტორიათა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ისე რომ ამასთანავე ამ ენის განვითარებასა და მის განმტკიცებას ლიტერატურაში არავითარი დაბრკოლება აღარ გადაეღობოს. ენა უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობისა; ენის ერთობა და მისი დაუბრკოლებელი განვითარება ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაპიტალიზმის შესაფერი სავაჭრო აღებმიცემობისა, მოსახლეობის თავისუფლად და ფართოდ დაჯგუფებისა ყველა ცალკე კლასებად, ბოლოს — იგი პირობას წარმოადგენს ბაზრის მჭიდრო კავშირისათვის ყოველ და თითოეულ დიდ თუ პატარა მეპატრონესა, მყიდველსა და გამყიდველთან.

ამიტომ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა, რომლებიც ყველაზე უკეთ აკმაყოფილებენ თანამედროვე კაპიტალიზმის ამ მოთხოვნებს, წარმოადგენს ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენციას (მისწრაფებას). აქეთ გვიბიძგებენ ულრმესი ეკონომიური ფაქტორები, და ამიტომ მთელი დასავლეთი ევროპისთვის — მეტს ვიტყვით: მთელი ცივილიზებული მსოფლიოსთვის — ტიპიური, ნორმალურ მოვლენას კაპიტალისტური პერიოდისათვის ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს.

(ნ. ლენინი, რჩეული ნაწერები, II ტ., გვ. 641.)

მარქსისტული თეორიის აუცილებელი მოთხოვნაა, როდესაც რომელიმე სოციალურ საკითხს ვარჩევთ — განვიხილოთ იგი განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოებში და მერე, თუ კი ლაპარაკია ერთს რომელიმე ქვეყანაზე (მაგალითად, ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ პროგრამაზე), — მხედველობაში უნდა მივი-

ლოთ ის კონკრეტული თავისუფლებანი, რომელიც ერთსა-და-იმავე ისტორიულ ეპოქაში განასხვავებს ურთიერთშორის ამა თუ იმ ქვეყანას.

რას მოასწავებს მარქსიზმის ეს აუცილებელი მოთხოვნა ჩვენს მიერ დასმულ საკითხის დარგში?

უპირველესად ყოვლისა იგი ნიშნავს, რომ სასტიკად უნდა გაეარჩიოთ ერთმანეთისაგან კაპიტალიზმის ორი, ეროვნულ მოძრაობათა თვალსაზრისით სრულიად და ძირითადად სხვადასხვა ხანა. ერთის მხრით ეს არის ხანა ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის დამხობისა, ხანა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საზოგადოების და სახელმწიფოს შექმნისა, როდესაც ეროვნული მოძრაობანი პირველად ხდება მასიური, პოლიტიკაში ითრევს პრესას, საწარმომადგენლო დაწესებულებებში მონაწილეობის თუ სხვა გზით ასე თუ ისე მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა კ ლ ა ს ს. მეორე მხრით — ჩვენს წინაშეა ხანა საკუთარით და საბოლოოდ ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა, რომელთაც დიდი ხნის დამკვიდრებული კონსტიტუციონური წყობილება აქვთ, რომელთა დროსაც ფრიად გაძლიერებულია პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შორის ანტაგონიზმი, — ეს არის ეპოქა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ წინადღე კაპიტალიზმის დამხობისა.

პირველ ხანისთვის დამახასიათებელია ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძება, მასში ჩათრევა გლეხობისა, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვან და მოსახლეობის ყველაზე „უძრავ“ წრისა, ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის საზოგადოდ და ეროვნებათა უფლებისათვის — კერძოდ. მეორე ეპოქისთვის ტიპიურია მასსიურ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობათა გაჭრობა. განვითარებული კაპიტალიზმი სულ უფრო მეტად და მეტად აახლოვებს და არღვევს ერთმანეთში სავაჭრო ბრუნვაში უკვე საკუთარით ჩათრეულ ერებს, პირველ რიგში აყენებს ინტერნაციონალურად შეკავშირებულ კაპიტალის ანტაგონიზმს მუშათა ინტერნაციონალურად შეკავშირებულ მოძრაობასთან.

რასაკვირველია, ეს ეპოქები ერთმანეთს შორის კედლით როდია გაყოფილი. მათ შორის მრავალი გარდამავალი რგოლია. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყანა განირჩევა ეროვნული განვითარების სისწრაფით, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით, მისი დასახლების სხვადასხვაობით და სხვ. შეუძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის მარქსისტები ეროვნულ პროგრამის შედგენას ისე შეუდგენ, თუ მხედველობაში არ მიიღეს ყველა ეს ზოგად-ისტორიული და კონკრეტულ-სახელმწიფოებრივი პირობები.

(ნ. ლენინი, ეროვნული საკითხი, თხზ. 19 ტ., გვ. 114—15.)

რჩება თუ არა რეალური რამ ასიმილიატორობის ცნებაში, თუ მას გამოვაკლებთ ყოველგვარ ძალადობას და ყოველგვარ უთანასწორობას?

უეჭველია რჩება. რჩება კაპიტალიზმის ის მსოფლიო-ისტორიული ტენდენცია ნაციონალურ ბლუდეების დარღვევისა, ნაციონალურ განსხვავების მოსპობისა, ერების ასიმილიაციისა, რომელიც ყოველ ათ წლობით უფრო მძლავრდება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს მამოძრავებელ ძალას, გადამქცევს კაპიტალიზმისა — სოციალიზმად.

(იქვე, გვ. 52.)

ერი არის არა მხოლოდ ისტორიული კატეგორია, განსაზღვრული ეპოქის, კაპიტალიზმის ალმავლობის ეპოქის ისტორიული კატეგორია. ფეოდალიზმის ლიქვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი იმავე დროს წარმოადგენს ადამიანთა ერებად ორგანიზების პროცესს. ასე ხდება, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში: ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები შეკავშირდენ ერებად ფეოდალურ დაქუცმაცებულობაზე გამარჯვებულ კაპიტალიზმის ძლევამოსილ მსვლელობის დროს.

მაგრამ ერების შექმნა მოასწავებდა იქ ამასთანავე მათ გადაქცევას თვითმყოფ ნაციონალურ სახელმწიფოებად. ინგლისელი, ფრანგი და სხვა ერები იმავე დროს წარმოადგენენ ინგლისას და სხ [ვა] სახელმწიფოებს. ირლანდია, დარჩენილი ამ პროცესის გარეშე, არ ცვლის საერთო სურათს.

(ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, სტატიების კრებული, რუსული გამოც. 13—14. 1920 წ.)

და ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ავსტრიელ ს.—დ. ნაციონალური პროგრამა მოითხოვს ზრუნვას „ხალხთა ნაციონალურ თავისებურებების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის“. ერთი იფიქრეთ: ამიერკავკასიის თათრების ისეთ „ნაციონალურ თავისებურებათა შენარჩუნება“, როგორიცაა თავის წამება „შახსეი-ვახსეის“ დღესასწაულზე! საქართველოს ისეთ ნაციონალურ თავისებურობათა „განვითარება“, როგორიცაა „სისხლის აღების უფლება“!

ასეთი პუნქტი შეეფერება პირწავარდნილ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პროგრამას, და თუ იგი აღმოჩნდა ავსტრიის ს.—დ. პროგრამაში, ეს იმიტომ, რომ ნაციონალური ავტონომია ითმენს ასეთ პუნქტებს, იგი არ ეწინააღმდეგება მათ.

მაგრამ აწმყოსათვის უვარგისი ნაციონალური ავტონომია კიდევ უფრო უვარგისია მომავლისათვის, სოციალისტური საზოგადოებისათვის.

ბაუერის წინასწარმეტყველება „კაცობრიობის დანაწილებაზე ნაციონალურად გამიჯნულ საზოგადოებებად“ ბათილდება თანამედროვე კაცობრიობის განვითარების მთელი სვლით. ნაციონალური ბლუდეები კი არ მაგრდება, არამედ იშლება და ეცემა. მარქსი ჯერ კიდევ ორმოციან წლებში ამბობდა, რომ სხვადასხვა ხალხთა ნაციონალური განკერძოება და ინტერესთა დაპირისპირება უკვე ახლა სულ უფრო და უფრო ქრება, რომ „პროლეტარიატის ბატონობა კიდევ უფრო დააჩქარებს მათ გაქრობას“. კაცობრიობის შემდგომი განვითარება კაპიტალისტური წარმოების გიგანტური ზრდით, ეროვნებათა ერთმანეთში არევით და ადამიანთა გაერთიანებით სულ უფრო და უფრო ვრცელ ტერიტორიებზე გადაჭრით ადასტურებს მარქსის აზრს.

(იქვე, 39 – 40.)

ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ ნაციონალური განსხვავებანი უნდა გაქრენ, ხოლო ნაციონალური ენები სოციალიზმის მსოფლიო მაშტაბით გამარჯვებამდე უნდა შედუღდენ საერთო ენად ერთ სახელმწიფოს ფარგლებში. ლენინი, პირიქით, რაღაც პირდაპირ საწინააღმდეგოს ამბობდა,

სახელდობრ იმას, რომ „ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის... ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩება მსოფლიო მასშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შემდეგაც კი“.

(ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, პოლიტიკური ანგარიში XVI ყრილობაზე, გვ. 659.)

შეიძლება უცნაურად ეჩვენოს ვინმეს, რომ ჩვენ, მომხრენი მომავალში ნაციონალურ კულტურების ერთ საერთო (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურაში შედუღებისა, ერთი საერთო ენით, ამავე დროს, ახლანდელ მომენტში, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, ნაციონალურ კულტურათა ვავების მომხრეებად გამოვედივართ. მაგრამ ამაში არაფერია უცნაური. უნდა განვავითაროთ და გავშალოთ ნაციონალური კულტურები, გამოვავლინოთ ყველა მათი შესაძლებლობანი, რათა შეიქმნეს პირობები მათი შეერთებისათვის ერთ საერთო-ენის მქონე საერთო კულტურაში.

ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ კულტურების აყვავება ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის პირობებში — მათი შედუღებისათვის ერთ საერთო სოციალისტურ (ფორმითაც და შინაარსითაც) საერთო ენის მქონე კულტურაში, როდესაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში და სოციალიზმი შეიჭრება ყოფა-ცხოვრებაში, — სწორედ ამაში მდგომარეობს ნაციონალური კულტურის საკითხის ლენინური დაყენების დიალექტიურობა.

შეიძლება თქვან, რომ საკითხის ასე დაყენება „წინააღმდეგობრივია“. მაგრამ განა ასეთ „წინააღმდეგობრიობას“ არ აქვს ადგილი ჩვენთან სახელმწიფოს საკითხში? ჩვენ სახელმწიფოს გაქრობის მომხრენი ვართ და ამასთან ერთად ჩვენვე ვაძლიერებთ პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უფრო მძლავრ და ყველაზე უფრო ღონიერ ხელისუფლებას ყველა დღემდე არსებულ სახელმწიფო ძალაუფლებასთან შედარებით. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი განვითარება სახელმწიფო ხელისუფლების კვდომისათვის პირობების მომზადების მიზნით, — ასეთია მარქსისტული ფორმულა. ეს „წინააღმდეგობრიობაა“? დიახ, „წინააღმდეგობრივია“. მაგრამ ეს წინააღმდეგობა თვით ცხოვრებაშია და ის მთლიანად გამოხატავს მარქსისტულ დიალექტიკას.

(იქვე, გვ. 661.)

რაც შეეხება ნაციონალური კულტურების და ნაციონალური ენების უფრო შორეულ პერსპექტივას, მე ყოველთვის იმ ლენინურ აზრს ვადექი და ახლაც ვადგივარ, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როდესაც სოციალიზმი განმტკიცდება და შევა ყოფა-ცხოვრებაში, ნაციონალური ენები აუცილებლად უნდა შეერთდენ ერთ საყოველთაო ენად, რომელიც რასაკვირველია, არ იქნება არც ველიკორუსული, არც გერმანული, არამედ იქნება რაღაც ახალი ენა.

(იქვე, გვ. 669.)

2. ბურჟუაზიული ლიბერალების და დემოკრატების ეროვნული პოლიტიკა

გაზეთებმა არა ერთხელ აღნიშნეს კავკასიის მეფის ნაცვლის (ნამესტნიკის) ანგარიში, რომელიც გახირჩევა არა შავრაზმულობით, არამედ გაუბედავი „ლიბერალიზმით". სხვათა შორის, მეფის ნაცვალი წინააღმდეგია ძალდატანებითი რუსიფიკაციისა, ე. ი. არა რუს ეროვნებების გარუსებისა. კავკასიაში არა რუსი ეროვნებები თვითონ სცდილობენ ბავშვებს რუსული ასწავლონ,—მაგალითად, სომხის სამრევლო სკოლებში, სადაც რუსული ენის სწავლება „სავალდებულო არ არისო.

აღნიშნავს რა ამას, რუსეთში ყველაზე ძალიან გავრცელებული ერთ-ერთი ლიბერალური გაზეთი—„რუსკოე სლოვო" (№ 198) აჭეთებს იმ სამართლიან დასკვნას, რომ რუსეთში რუსული ენისადმი მტრული განწყობილება „არსებობს მხოლოდ" მისი (რუსული ენის) „ხელოვნურად" (უნდა თქმულიყო: ძალდატანებითი) შემოღების გამოო.

„რუსული ენის ბედისათვის წუხილი არაა საჭირო, იგი თვითონ მოიპოვებს ადგილს მთელს რუსეთშიო"—წერს გაზეთი. ესეც მართალია ვინაიდან ეკონომიური ბრუნვის მოთხოვნილებანი ყოველთვის აიძულებს ერთს სახელმწიფოში მცხოვრებთ (ვიდრე მათ ერთად ცხოვრება სურთ)—შეისწავლონ უმრავლესობის ენა. რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის წყობილება, რაც უფრო მეტად, სწრაფად და ფართოდ განვითარდება კაპიტალიზმი,—მით უფრო მეტის დაჟინებით აიძულებს სხვადასხვა ეროვნებას ეკონომიური ბრუნვის მოთხოვნილებანი შეისწავლონ ვაჭრულ ურთიერთობისათვის ყველაზე უფრო მოხერხებული ენა.

მაგრამ ლიბერალური გაზეთი ჩქარობს თავი გაიმათრახოს და დაამტკიცოს თავისი ლიბერალური უკუღმართობა.

> არა გვგონია—წერს გაზეთი, თუმც „გარუსების მოწინააღმდეგეთა შორის მოიპოვებოდეს ისეთი, ვინც შესძლებს წინააღმდეგი იყოს იმისა, რომ ისეთს დიდ სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, უნდა იყოს ერთი სახელმწიფოებრივი ენა და რომ ასეთი სახელმწიფოებრივი ენა შეიძლება იყოს... მხოლოდ რუსული.

უკუღმართი ლოგიკაა! პატარა შვეიცარიას არაფერი აკლდება, პირიქით, ემატება კიდევაც იმის გამო, რომ იქ არ არსებობს ერთი სახელმწიფოებრივი ენა, არამედ არის სამი: გერმანული, ფრანგული და იტალური. შვეიცარიაში 70% მცხოვრებთა—გერმანელები არიან (რუსეთში 43% ველიკოროსები არიან), 22% ფრანგები (რუსეთში 17% უკრაინელები), 7% იტალიელები (რუსეთში 6% პოლონლები და 4½% ბელორუსები). თუ იტალიელები საერთო პარლამენტში ხშირად ლაპარაკობენ ფრანგულად, ეს იმიტომ კი არა, ვითომც მათ ძალას ატანდეს რომელიმე ველური პოლიციური კანონი (ასეთი არც არსებობს შვეიცარიაში), არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს განათლებული მოქალაქენი თვით აძლევენ უპირატოსებას უმრავლესობისათვის გასაგებ ენას. იტალიელებში ფრანგული ენა არ იწვევს სიძულვილს, ვინაიდან იგი თავისუფალი, განათლებული ერის ენაა,—ენა, რომელსაც არავის თავს არ ახვევენ საზიზღარი პოლიციური ზომების საშუალებით.

რატომ „უზარმაზარმა“, ბევრად უფრო ჭრელმა, საშინლად ჩამორჩენილმა რუსეთმა უნდა დაამძიმოს თავისი განვითარება ერთ-ერთ ენის პრივილეგიების დაცვით? იქნებ, პირიქით იყოს საჭირო, ბატონო ლიბერალებო? იქნებ რუსეთისთვის, თუ მას სურს ევროპას დაეწიოს—საჭირო იყოს მოსპობა ყოველგვარი პრივილეგიებისა, მოსპობა რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება სრულიად, რაც შეიძლება ძირ-ფესვიანად?

თუ მოსპობილ იქნება ყოველგვარი პრივილეგიები, თუ ძალით თავს არავის მოახვევენ ერთ-ერთს ენას, ყველა სლავები ადვილად და სწრაფად მიუხვდებიან ერთმანეთს და მათ აღარ შეაშინებს „საშინელი“ აზრი, რომ საერთო პარლამენტში ლაპარაკი იწარმოებს სხვადასხვა ენაზე. ხოლო ეკონომიური ბრუნვის მოთხოვნილებანი თვითონ განსაზღვრავს არსებულ ქვეყნის იმ ენას, რომლის ცოდნაც სასარგებლო იქნება სავაჭრო ურთიერთობათა ინტერესებისათვის. და ეს განსაზღვრა მით უფრო მტკიცე იქნება, რომ მას ნებაყოფლობით მიიღებს სხვადასხვა ერის მოსახლეობა, მიიღებს მით უფრო მალე და ფართოდ, რაც უფრო თანმიდევნებული იქნება დემოკრატიზმი, რაც უფრო მალე მოიკრებს ძალ-ღონეს ამის გამო კაპიტალიზმის განვითარება.

ენების საკითხსაც, როგორც ყველა სხვა პოლიტიკურ საკითხს, ექცევიან ვითარცა ჩარჩები; ერთ ხელს ისინი უწვდიან (აშკარად) დემოკრატიას, ხოლო მეორეს (ზურგს უკან) ბატონ-ყმობის მომხრეებსა და პოლიციელებს. ჩვენ პრივილეგიების წინააღმდეგნი ვართ—ყვირის ლიბერალი, ხოლო ზურგს უკან ბატონ-ყმობის მომხრეებს სცინცლავს თავისთვის ხან ერთს, ხან მეორე პრივილეგიას.

ასეთია ყოველი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი საერთოდ და არა მარტო ველიკოროსული (ეს უკანასკნელი ყველაზე საძაგელია, ვინაიდან ძალმომრეობითი ხასიათისაა და ბ-ნ პურიშკევიჩებთან აქვს ნათესაობა), არამედ პოლონური, ებრაული, უკრაინული, ქართული და ყოველი სხვა. ყველა ერის ბურჟუაზია ავსტრიაშიც, რუსეთშიც—„ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგის წამოყენებით ნამდვილად მუშების გათიშვას, დემოკრატიის დაუძლურებას სცდილობს და ბატონ-ყმობის მომხრეებთან—ხალხის უფლებათა და ხალხის თავისუფლების გაყიდვის ჩარჩულ საქმიანობას ეწევა.

მუშათა დემოკრატიის ლოზუნგია არა „ეროვნული კულტურა“, არამედ დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა. დაე ბურჟუაზიამ ატყუოს ხალხი ათასგვარი „პოზიტიური“ ნაციონალური პროგრამით. შეგნებული მუშა მას უპასუხებს: არის მხოლოდ ერთნაირი გადაწყვეტა ეროვნული საკითხის- (რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია მისი გადაწყვეტა კაპიტალიზმის მეფობაში, მეფობაში მოგებისა, შოლტისა და ექსპლოტაციისა) და ეს გადაწყვეტაა: თანმიდევნებული დემოკრატიზმი.

საბუთები: შეიცარია დასავლეთ ევროპაში,—ეს კუთხე ძველი კულტურისა, და ფინლანდია აღმოსავლეთ ევროპაში—ეს კუთხე ახალგაზრდა კულტურისა.

მუშათა დემოკრატიის ეროვნული პროგრამაა: არავითარი პრივილეგია არც ერთს ერს, არც ერთს ენას; ერთია პოლიტიკური თვითგამორკვევის, ე. ი. სახელმწიფოებრივი განცალკევების საკითხის გადაწყვეტა სრულიად თავისუფალი,

დემოკრატიული გზით; გამოცემა საერთო სახელმწიფოებრივი კანონისა, რომლის ძალითაც, რომელიც გნებავთ კანონდებულება (საერობო, საქალაქო, სათემო და სხვ. და სხვ.), რომელიც ჰქმნის რომელსამე ერთი ერისათვის პრივილეგიას რაიმე მხრით, რომელიც არღვევს ერთა სწორუფლებიანობას, ან ეროვნულ უ ცირესობის უფლებებს—ცხადდებოდეს უკანონოდ და ძალის უქონელად —და რომ სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდეს მოითხოვოს ასეთი დებულების მოსპობა, როგორც ანტიკონსტიტუციონური ნაბიჯისა და აგრეთვე მოითხოვოს სისხლის სამართალში მიცემა იმ პირებისა, ვინც მოინდომებენ ამ დებულების ცხოვრებაში გატარებას.

სხვადასხვა ბურჟუაზიულ პარტიათა შორის ენის საკითხის გარშემო ეროვნულ ქიშპობას და სხვ.—მუშათა დემოკრატია უპირდაპირებს შემდეგ მოთხოვნას: უპირობო ერთობა, სრული შედუღება ყველა ერის მუშების ყველა მუშათა ორგანიზაციაში, იქნება ის პროფესიონალური, კოოპერატიული, სამომხმარებლო, საგანმანათლებლო თუ სხვა რამ—და ეს წინააღმდეგ ყოველგვარი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა. მხოლოდ ასეთს ერთობას, ასეთს შედუღებას შეუძლიან დემოკრატიის დაცვა,—დაცვა მუშების ინტერესებისა კაპიტალის წინააღმდეგ—რომელიც უკვე ინტერნაციონალურია და უფრო და უფრო ინტერნაციონალური ხდება,—შეუძლიან დაცვა ახალ ცხოვრებისაკენ კაცობრიობის განვითარების ინტერესებისა, იმ ახალ ცხოვრების წესებისა, რომლისთვისაც უცხო იქნება ყოველგვარი პრივილეგია და ყოველგვარი ექსპლოატაცია.

(ვ. ლენინი, ეროვნული საკითხი, თხზ. 19 ტ., გვ. 43—46.)

„კიევსკაია მისლი“ გვაუწყებს, რომ ეპისკოპოს ნიკონს, სახელმწიფო სათათბიროს წევრს, მემარჯვენეს, პირველს მოუწერია ხელი უკრაინულ სკოლისა და საზოგადოებათა შესახებ კანონპროექტზე, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში შეაქვთ.

კანონპროექტის შინაარსი შემდეგია: ნებადართულ იქნეს დაწყებით სკოლებში უკრაინულად სწავლება; მასწავლებლებად უნდა ინიშნებოდნენ უკრაინელები; შემოღებულ იქნეს უკრაინული ენისა და უკრაინის ისტორიის სწავლება; არ იდევნებოდეს უკრაინელთა საზოგადოებანი და არ იხურებოდეს ისინი „ადმინისტრაციის შეხედულების, ხშირად გაშიშვლებული თვითნებობის მიხედვით“.

აინაირად, პურიშკევიჩის ამხანაგს პარტიის მხრით, ეპისკოპოს ნიკონს —ზოგიერთ შემთხვევაში არ მოსწონს თურმე თვითნებობა.

ეპისკოპოსი სამართლიანად ფიქრობს, რომ მის მიერ აღძრული საკითხი —„არის ფრიად დიდი მნიშვნელობის საკითხი, რომელიც ეხება 37 მილიონიან უკრაინელთა ერის დამახინჯებას“, „მდიდარს ლამაზს, ნიჭიერს, გაფურჩქვნილს და პოეტიურ უკრაინას გადაშენება, თანდათანი გამოყუყეჩება და ნელი სიკვდილი მოელისო“.

გელიკოროსების მიერ უკრაინელების ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტი სავსებით სამართლიანია. მაგრამ, ერთი შეხედეთ, რანაირი საბუთებით იცავს უკრაინელთა მოთხოვნებს ეპისკოპოსი ნიკონი:

უკრაინის ხალხი როდი მოითხოვს რაღაც ყბადაღებულ ავტონომიას, იძიერ პოროხების სეჩის (ზაპოროჟსკაია სეჩ) აღდგენას; უკრაინელები—სეპარატისტები არ არიან... უკრაინელები „ინოროდცები“ არ არიან, ისინი ჩვენები, ჩვენი ღვიძლი ძმები არიან და სწორედ ამიტომ ისინი არ უნდა იყვნენ შევიწროვებულნი ენისა და ეროვნულ კულტურულ განვითარების მხრით; თუ ასე არ იქნა, ჩვენ თვითონ გავუთანაბრებთ მათ, ჩვენს ძმებს,—ებრაელებს, პოლონელებს, ქართველებს და სხვ. მართლაც „ინოროდცებს“.

მაშ ასე, საქმე თურმე ისაა, რომ უკრაინელი ეპისკოპოსი ნიკონი და მისი თანამოაზრენი ველიკოროს მემამულეებს სთხოვენ უკრაინელებისთვის პრივილეგიებს იმ საბუთით, რომ უკრაინელები ძმები არიან, ებრაელები კი—ინოროდცებიო! უფრო მარტივად რომ ვთქვათ: ჩვენ თანახმანი ვართ ებრაელებსა და სხვებს ფეხი დავაჭიროთ, თუ ჩვენ რამეს დაგვითმობთო.

ნაცნობი სურათია ყველა ბურჟუაზიული ნაციონალისტების მიერ „ეროვნული კულტურის“ დაცვისა, დაწყებული შავრაზმელებით—ვიდრე ლიბერალებამდე და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაციონალისტებითურთაც კი.

ეპისკოპოს ნიკონს არც კი სურს გაიგოს, რომ შეუძლებელია უკრაინელების დაცვა ჩაგვრისაგან, თუ ამავე დროს არ მოითხოვ გამოუკლებლივ ყველა ერის ჩაგვრის მოსპობას,—თუ არ განდევნი სახელმწიფო ცხოვრებიდან „ინოროდცის“ ცნებას, თუ არ მოითხოვ ყველა ეროვნების სწორუფლებიანობას. შეუძლებელია ეროვნული ჩაგვრისაგან დაიცვა ვინმე ისე, თუ თანმიდევნებულად, ბოლომდე არ გაატარე უფართოესი ადგილობრივი და საოლქო ავტონომია, თუ არ გაატარე პრინციპი ყველა სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტისა მოსახლეობის უმრავლესობის ნებისყოფის მიხედვით (ე. ი. თუ არ გაატარე პრინციპი თანმიდევნებულ დემოკრატიზმისა).

ეპისკოპოს ნიკონისათვის უკრაინელთათვის „ეროვნულ კულტურის“ ლოზუნგი—ნამდვილად ნიშნავს უკრაინულ ენაზე შავრაზმულ პროპაგანდის ლოზუნგს, ლოზუნგს უკრაინულ—კლერიკალურ კულტურისას.

შეგნებულმა მუშებმა უკვე იციან, რომ „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგი—კლერიკალურია, ან ბურჟუაზიული სიყალბეა,—სულ ერთია რომელ კულტურაზე იქნება ლაპარაკი,—ველიკოროსულსა, ებრაულსა, პოლონურსა, ქართულსა თუ სხვა რომელიმე კულტურაზე. 125 წლის წინად, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა ერის განაწილება ბურჟუაზიად და პროლეარიატად,—ეროვნულ კულტურის ლოზუნგი კიდევ შეიძლებოდა ყოფილიყო ერთობილი და მთლიანი მოწოდება ფეოდალიზმისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ მას შემდეგ ყველგან გაღვივდა ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. „ერთობილ“ ერის გათიშვა ექსპლოატატორებად და ექსპლოატაციის მსხვერპლად—უკვე მომხდარი ფაქტია.

ეროვნულ კულტურაზე ლაპარაკი შეუძლიათ საერთოდ მხოლოდ კლერიკალებსა და ბურჟუებს. მშრომელ მასებს შეუძლიათ ლაპარაკი მხოლოდ მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) კულტურაზე. მხოლოდ ასეთი კულტურა მოასწავებს ერების სრულს, ნამდვილს, გულწრფელ თანასწორობას, ეროვნულ ჩაგვრის არ არსებობას, დემოკრატიის განხორციელებას. „ეროვნული საკითხის გადაწყვეტას“ მოგვცემს მხოლოდ და მხოლოდ ყვე-

ლ ა ერის მუშების ერთიან მუშათა ორგანიზაციებში გაერთიანება და მათი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ.

ჟ(იმე, 83. 38—40.

ლიბერალები რეაქციონერებისაგან იმით განირჩევიან, რომ ისინი დაწყებითი სკოლებისათვის მაინც აღიარებენ მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებას. მაგრამ ისინი სავსებით ეთანხმებიან რეაქციონერებს იმ მხრით, რომ მათი აზრით სავალდებულო სახელმწიფო ენა უეჭველად უნდა არსებობდეს.

რას ნიშნავს სავალდებულო სახელმწიფო ენა? ეს იმას ნიშნავს, რომ ველიკოროსების ენას, იმ ველიკოროსებისა, რომელნიც რუსეთის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ—თავს მოახვევენ რუსეთის მთელს დანარჩენ მცხოვრებთ. ყოველ სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს. ყოველგვარი ოფიციალური საქმის წარმოება აუცილებლად სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს და არა ადგილობრივ მცხოვრებთა ენაზეო.

რითი ამართლებენ სავალდებულო სახელმწიფო ენის აუცილებლობას ის პარტიები, რომელნიც მას მოითხოვენ?

შავრაზმელების „საბუთები“, რასაკვირველია, მარტივია: „ინოროდცები“ რკინის ხელით უნდა გეჭიროს, „თავი არ უნდა აიშვებინოვო“. რუსეთი განუყოფელი უნდა იყოს და ყველა ერი ველიკოროსების ბრძანებას უნდა ემორჩილებოდეს, ვინაიდან ველიკოროსები რუსეთის მიწა-წყლის ვითომც შემგროვებელნი ყოფილან. ამიტომ მმართველი კლასის ენა სავალდებულო სახელმწიფო ენა უნდა იყოსო. ბ-ნი პურიშკევიჩები არც იმას მოერიდებიან, რომ სრულიად აკრძალონ ის „ძაღლის ენები“, რომლებზედაც ლაპარაკობს რუსეთის არა ველიკოროს მოსახლეობის 60%.

ლიბერალების პოზიცია ბევრად უფრო „კულტურულია“ და „ფაქიზი“. ისინი, მაგალითად, მოითხოვენ, რომ განსაკუთრებულ ფარგლებში (ვთქვათ, დაბალ სკოლებში) ნებადართულ იქნეს მშობლიური ენა. მაგრამ ამასთანავე ერთად ისინი იცავენ სახელმწიფო ენის აუცილებლობას. ესაო, ამბობენ ისინი, სასარგებლოა „განუყოფელი“, „მთლიანი“ რუსეთის „კულტურისათვისო“ და სხვა.

> სახელმწიფოებრიობა საკულტურო ერთობის განმტკიცებაა. სახელმწიფოებრივ კულტურაში აუცილებლად შედის სახელმწიფო ენაც. სახელმწიფოებრიობას საფუძვლად ხელისუფლების მთლიანობა უძევს და სახელმწიფო ენა ამ მთლიანობის იარაღია. სახელმწიფო ენა ისეთივე ძალდამატანებელი და საყოველთაო სავალდებულო ძალით არის აღჭურვილი, როგორადაც სახელმწიფოებრიობის სხვა ფორმები.
>
> თუ რუსეთის მთლიანობა და განუყოფილობა ჭეშმარიტია, უეჭველად მტკიცედ უნდა დავიცვათ რუსული სალიტერატურო ენის სახელმწიფოებრივი მისაზანშეწონილება.

აი ლიბერალის ტიპიური ფილოსოფია სახელმწიფო ენის აუცილებლობის შესახებ.

ზემოყვანილი სიტყვები ამოღებულია ბ-ნ ს. პატრაშკინის წერილიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო ლიბერალურ გაზეთ „დენ“-ში (№ 7). ამისთანა აზრებისათვის სრულიად გასაგებ მიზეზების გამო, შავრაზმულმა „ნოვოე ვრემიამ“ მსუქანი ლოშნით დააჯილდოვა მისი ავტორი. ბ-ნი პატრაშკინი ამ შემთხვევაში „სრულიად საღ აზრებს“ გამოთქვამსო, აცხადებდა მენშიკოვის

გაზეთი (13588). ამისთანა ფრიად „საღი“ აზრებისათვის შავრაზმელები მუდამ აქებენ ნაციონალისტურ „რუსკაია მისლ“-ს. მოდი და ნუ შეაქებ, როდესაც ლიბერალები „საკულტურო“ მოსაზრებათა საშუალებით ჰქადაგებენ იმას, რაც ასე მოსწონთ „ნოვოევრემიელებს“!

რუსული ენა დიადია და მძლავრია, გვეუბნებიან ლიბერალები. ნუთუ თქვენ არა გსურთ, რომ ყველამ, რუსეთის რომელ განაპირა კუთხეშიც უნდა ცხოვრობდეს იგი—იცოდეს ეს დიადი და მძლავრი ენაო. ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ რუსული ენა გაამდიდრებს „ინოროდცების“ ლიტერატურას, საშუალებას მისცემს ეზიაროს დიად კულტურულ ღირებულებათა და სხვ.

ყველაფერი ეგ მართალია, ბ-ნო ლიბერალებო,—ვუპასუხებთ ჩვენ. ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით, რომ ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ენა—დიადია და მძლავრი. ჩვენ თქვენზე უფრო მეტად გვსურს, რომ ჩაგრულ კლასთა შორის, განურჩევლად იმის, რუსეთში მოსახლე რომელ ერს ეკუთვნის იგი—დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა და ძმური ერთობა; და ჩვენ, რასაკვირველია, იმის მომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყოველ მცხოვრებს საშუალება ჰქონდეს დიად რუსული ენის შესწავლისა.

ჩვენ არ გვსურს მხოლოდ ერთი რამ: ძალდატანება. ჩვენ არ გვსურს კეტით ვერეკებოდეთ ვინმეს სამოთხეში. ვინაიდან რაგვარი ლამაზ-ლამაზი ფრაზებიც უნდა ხარჯოთ „კულტურის“ შესახებ, სავალდებულო სახელმწიფო ენა აუცილებლად გულისხმობს ძალდატანებას, თავში ძალით ჩადებას. ჩვენ ისე გვგონია, რომ დიადსა და მძლავრს რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას სწავლობდეს ვინმე შიშის ქვეშ. ჩვენი ფიქრით, რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ მსვლელობას—მივყავართ ყველა ერის ურთიერთობისადმი დაახლოებისკენ. ათასობითა და ასი ათასობით ადამიანებს გადისვრის ცხოვრება რუსეთის ერთი კუთხიდან მეორეში, ეროვნული შემადგენლობა ერთმანეთში ირევა და ჰრელდება, ეროვნული განცალკევება და კარჩაკეტილობა მოისპობა. ისინი, ვისაც ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გამო რუსული ენა დასჭირდება—შეისწავლის ძალდაუტანებლადაც. ხოლო ძალდატანება (კეტი) მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევს: იგი შეაფერხებს დიადისა და მძლავრი რუსული ენის შესვლას სხვა ეროვნულ ჯგუფებში, უმთავრესად კი იმას ჩაიდენს, რომ გაამწვავებს მტრობას, შეჰქმნის მილიონ ახალ უთანხმოებას, გააძლიერებს ჭიშპობას, ურთიერთის გაუგებრობას და სხვა.

ვისთვისაა ეს საჭირო? რუსის ხალხს, რუსის დემოკრატიას ეს არა სჭირდება. იგი გმობს ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრას, თუნდაც იგი „რუსული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ინტერესებისთვის“ ხდებოდეს.

აი რატომ არის, რომ რუსეთის მარქსისტები მოითხოვენ: სახელმწიფო ენის არ ქონას, მცხოვრებთა უზრუნველყოფას იმ მხრით, რომ სწავლება იყოს ყველა ადგილობრივ ენაზე და აგრეთვე იმას, რომ კონსტიტუციაში შეტანილი იქმნეს ძირითადი კანონი, რომლის ძალითაც გაბათილებული იქნება რომელიმე ერთი ერის ყოველგვარი პრივილეგია და დაუშვებელი გახდება რომელიმე ეროვნული უმცირესობის უფლებათა რაიმე მხრით დარღვევა...

(იქვე, გვ. 98—101.)

ამრიგად, უძლურნი აწმყოში, ზედმეტნი მომავალში—ასეთია კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის „დაწესებულებანი“, ასეთია ნაციონალური ავტონომია.

მაგრამ იგი ხდება უკვე საზიანო, როცა მას თავს ახვევენ „ერს“, რომლის არსებობა საეჭვოა. ასეთ შემთხვევაში ნაციონალური ავტონომიის მომხრეებს უხდებათ „ერის“ ყველა, არა მარტო სასარგებლო, არამედ აგრეთვე მავნე, თავისებურობის დაცვა და კონსერვირება, ოღონდ კი „იხსნან“ ერი ასიმილაციისაგან, ოღონდ კი „შეინახონ“ იგი.

ამ სახიფათო გზას გარდუვალად უნდა დადგომოდა ბუნდი.

და იგი მართლაც დაადგა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბუნდის უკანასკნელი კონფერენციების ცნობილი დადგენილებანი „შაბათის“, „ქარგონისა“ და სხვ. შესახებ.

სოციალ-დემოკრატია ცდილობს მოუპოვოს მშობლიური ენის უფლება ყველა ერს, მაგრამ ბუნდი ამით არ კმაყოფილდება,—იგი მოითხოვს, რომ „განსაკუთრებული დაჟინებით“ დაიცვან „ებრაული ენის უფლება“ (კურსივი ჩვენია ი. ს.),[1] ამასთან თვითონ ბუნდი, IV სათათბიროს არჩევნების დროს, აძლევს „უპირატესობას იმას მათ (ე. ი. ამრჩევლებს) შორის, რომელიც ვალდებულებას კისრულობს დაიცვას ებრაული ენის უფლებები“ [2].

არა მშობლიური ენის საერთო უფლება, არამედ ებრაული ენის, ქარგონის ცალკეული უფლება! დაე ცალკეულ ეროვნებათა მუშებმა იბრძოლონ უწინარეს ყოვლისა თავისი ენისათვის: ებრაელებმა ებრაულისათვის, ქართველებმა ქართულისათვის და სხვ.,—ბრძოლა ყველა ერის საერთო უფლებისათვის—მეორეხარისხოვანი საქმეა. თქვენ შეგიძლიათ არ იცნოთ ყველა ერის დაჩაგრულ ეროვნებათა მშობლიური ენის უფლება, მაგრამ თუ თქვენ იცანით ქარგონის უფლება, იცოდეთ: ბუნდი ხმას მოგცემს თქვენ, ბუნდი თქვენ მოგცემს „უპირატესობას“.

(ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, 50—51. სტატიების კრებული, რუს. გამოც. 1920 წ.)

წვრილ-ბურჟუაზიულ „მეშჩანურ“ ნაციონალიზმის გავლენა ზოგიერთ „ესერ-სოციალისტსაც“ მოედო. ისინი იცავენ ეგრეთწოდებულ „კულტურულ-ეროვნულ“ ავტონომიას, ესე იგი იმას, რომ „სასკოლო საქმე (და საზოგადოდ ეროვნული კულტურის საქმეები) სახელმწიფოს ჩამოერთვას და ცალკე ეროვნებათა ხელში გადავიდეს. ცხადია, მარქსისტები იბრძვიან ერთა გამიჯვნის ამისთანა ქადაგების წინააღმდეგ; იბრძვიან ამ გაფაქიზებულ ნაციონალიზმის, ეროვნებათა მახედვით საკოლო საქმის დანაწილების წინააღმდეგ. როდესაც ჩვენებურმა ბუნდელებმა, შემდეგ კი ლიკვიდატორებმა განიზრახეს, წინააღმდეგ პროგრამისა, დაეცვათ „კულტურულ-ეროვნული ავტონომია,“ ისინი დაგმეს არა მარტო ბოლშევიკებმა, არამედ მენშევიკ-პარტიულებმაც (პლეხანოვმა).

ეხლა ბ. ან-ი „ნოვ. რაბ. გაზ.“ (105) სცდილობს დაიცვას წაგებული საქმე, ასხვაფერებს საკითხს და ლანძღვით გვიკლებს. ამ ლანძღვას ჩვენ დამშვი-

[1] Отчет о VIII конференции Бунда, стр. 85.
[2] Отчет о IX конференции Бунда, 1912 г., стр. 42.

დებულად გვერდს აუვლით—იგი ლიკვიდატორების უმწეობას მოწმობს და სხვას არაფერს.

მშობლიურ ენაზე მოწყობილი სკოლებიო,—გვარწმუნებს ბ-ნი ა ნ-ი[1]—ეს ხომ სწორედ ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის განაწილებააო; „პრავდელებს“ სურთ არა-რუსთ მათი ეროვნული სკოლები წაართვანო!

ბ-ნ ა ნ-ის ამისთანა ფანდი მხოლოდ გვაცინებს, ვინაიდან ყველას უწყის, რომ „პრავდელები“ მოითხოვენ ენათა სრულ სწორუფლებიანობას და თვით სახელმწიფოებრივი ენის დაკანონებასაც კი ზედმეტად თვლიან! ბ-ნ ა ნ-ისთვის უძლურს გაცხარებას გონება დაუკარგვინებია. ეს ფრიად საშიშარია საყვარელო ბ-ნო ა ნ-ო.

მშობლიური ენის უფლებანი სრულიად ღწურად და გარკვევით აღიარებულია მარქსისტების პროგრამაში § 8-ში.

ბ-ნი ა ნ-ი რომ მართალი იყოს, მშობლიურ ენაზე მოწყობილი სკოლები და ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის განაწილება რომ ერთი და იგივე იყოს,—მაშინ რისთვისღა დასჭირდებოდათ 1916 წელს ბუნდელებს, ხოლო 1912 წელს ლიკვიდატორებს—„შეევსოთ“ (უფრო კი დაემახინჯებიათ), პროგრამა, რომელმაც 1903 წ. სრულიად გარკვევით აღიარა მშობლიური ენა სწორედ იმ ყრილობაზე, რომელმაც უარყო „კულტურულ-ეროვნული ავტონომია?“.

არა ბ-ნო ა ნ-ო, ხმაურობით, ყვირილით, ლანძღვა-გინებით თქვენ ვერ მოახერხებთ საკითხის ჩაფარცხვას და იმას, რომ ლიკვიდატორებმა დაარღვიეს პროგრამა, „სოციალიზმი ნაციონალიზმს შეუფარდეს,“ როგორც თქვა ამბ. პლეხანოვმა.

ჩვენ არ გვინდა, რომ პროგრამა ირღვეოდეს. ჩვენ როდი გვსურს სოციალიზმი ნაციონალიზმს შეუფარდოთ. ჩვენ მოვითხოვთ სრულ დემოკრატიას, ენების სრულ თავისუფლებასა და სწორუფლებიანობას და ამით სრულიადაც არ ვიცავთ „სასკოლო საქმის ერებისათვის“ გადაცემას, ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის განაწილებას.

> საკითხი ხომ ეროვნებათა მიხედვით სკოლების დანაწილებას შეეხება,—წერს ა ნ-ი,—მაშასადამე უნდა იყვნენ ეს ერები, რომელნიც ხელს უშლიან ერთანეთის გავნითარებას და მაშასადამე საჭიროა მათი გამიჯვნაც სახალხო განათლების დარგში.

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები ცხადყოფს, თუ როგორ ითრევს ბ-ნ ა ნ-ს ლიკვიდატორობა სოციალიზმისაგან ნაციონალიზმისკენ. ერთსა-და-იმავე სახელმწიფოს ფარგლებში ერთა გამიჯვნა მავნებელია და ჩვენ, მარქსისტები, ვცდილობთ მათს დაახლოებასა და შედუღებას. ჩვენი მიზანია—არა „გამიჯვნა“ ერებისა, არამედ უზრუნველყოფა სრულის დემოკრატიის მიერ ერების სწორუფლებიანობისა და ასეთივე მშვიდობიან (შედარებით) ერთად ცხოვრებისა, როგორც შვეიცარიაში.

(იქვე, გვ. 93—95.)

როგორია ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ნაციონალური პროგრამა? იგი გამოიხატება ორი სიტყვით: ნაციონალური ავტონომია.

---

[1] ა ნ-ი—ნოე ჟორდანიას ფსევდონიმი.

ეს ნიშნავს, ჯერ ერთი, რომ ავტონომია ეძლევა, ვთქვათ, არა ჩეხიას ან პოლონეთს, არამედ საერთოდ ჩეხებსა და პოლონელებს, დამოუკიდებლად *ტერიტორიისა, სულერთია ავსტრიის რა ადგილზედაც არ იყვენ ისინი* დასახელებულნი.

ამიტომ ეწოდება ამ ავტონომიას ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი და არა ტერიტორიალური.

ეს ნიშნავს, მეორე, რომ ავსტრიის სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ჩეხები, პოლონელები, გერმანელები და სხვ. აღებულნი პერსონალურად, როგორც ცალკეული პირები, კავშირდებიან მთლიან ერებად და, როგორც ასეთნი, შედიან ავსტრიის სახელმწიფოს შედგენილობაში. ავსტრია ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა ავტონომიურ ოლქების კავშირს, არამედ ავტონომიურ ეროვნებათა კავშირს, რომელნიც კონსტიტუირებულნი არიან ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად.

ეს ნიშნავს, მესამე, რომ საერთო ნაციონალური დაწესებულებანი, რომელნიც უნდა შეიქმნას ამ მიზნით პოლონელებისა, ჩეხებისა და სხვებისათვის, განაგებენ არა „პოლიტიკურ“ საკითხებს, არამედ მხოლოდ კულტურულს. სპეციფიკურად პოლიტიკური საკითხები თავმოყრილი იქნება ავსტრიის საერთო პარლამენტში (რეიხსტაგში).

ამიტომ ამ ავტრნომიას ეწოდება კიდევ კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი, კულტურული ნაციონალური.

ეს პროგრამის ტექსტიც, მიღებული ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მიერ ბრიუნის კონგრესზე 1899 წელს[1].

პროგრამაში მოხსენებულია, რომ „ნაციონალური შეხლა-შემოხლა ავსტრიაში ხელს უშლის პოლიტიკურ პროგრესს“, რომ „ნაციონალური საკითხის საბოლოო გადაჭრა არის უწინარეს ყოვლისა კულტურული აუცილებლობა“, რომ „გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ საარჩევნო უფლებაზე აგებულ ჰეშმარიტ-დემოკრატიულ საზოგადოების არსებობის დროს“ და შემდეგ ნათქვამია:

ავსტრიის ხალხთა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ე ბ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა[2] შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს სრული თანასწორუფლებიანობა და მოსპობილია ყოველგვარი ჩაგვრა. ამიტომ პირველყოვლისა უკუგდებულ უნდა იქნეს ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის სისტემა. ასევე ცალკეულ მხარეების ფეოდალური პრივილეგიები.

ამ და მხოლოდ ამ პირობების არსებობის დროს შეიძლება დამყარდეს ავსტრიაში ნაციონალური წესრიგი, ნაცვლად ნაციონალური შუღლისა, სახელდობრ შემდეგ საფუძველზე:

---

[1] მას ხმა მისცეს სამხრეთ—სლავების ს.—დ. პარტიის წარმომადგენლებმაც. იხ. „დებატები ნაც. საკითხის გარშემო ბრიუნის პარტეიტაგზე“, გვ. 72, 1906 წ.

[2] მ. პანინის რუსულ თარგმანში (ბაუერის წიგნი, გადათარგმნილი პანინის მიერ.) „ნაციონ. თავისებურებათა“ ნაცვლად ნათქვამია „ნაც. ინდივიდუალობანი“. პანინმა სწორად არ გადათარგმნა ეს ადგილი. გერმანულ ტექსტში არ არის სიტყვა „ინდივიდუალობა“, იქ ლაპარაკია „„Nationalen Eigenart -ზე, ე. ი. თავისებურებებზე, რაც სრულიადაც არ არის ერთი და იგივე. ი. ს.

1. ავსტრია უნდა გარდაიქმნას სახელმწიფოდ, რომელიც წარმოადგენს ეროვნებათა დემოკრატიულ კავშირს.

2. ისტორიულ სამეფო მხარეების ნაცვლად უნდა შეიქმნას თვითმართველი კორპორაციები, რომელთაგან თითოეულში კანონმდებლობა და მართვა-გამგებლობა იქნება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი ხმის მიცემით არჩეულ ნაციონალურ პალატების ხელში.

3. ერთი და იმავე ერის თვითმართველი ოლქები ერთად ქმნიან ნაციონალურ-ერთობლივ კავშირს, რომელიც თავის ნაციონალურ საქმეებს წვეტს სავსებით ავტონომიურად.

4. ნაციონალურ უმცირესობათა უფლებები უზრუნველყოფილია განსაკუთრებული კანონით, რომელსაც სცემს საიმპერიო პარლამენტი.

პროგრამა თავდება მოწოდებით ავსტრიის ყველა ერის სოლიდაროობისათვის.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ამ პროგრამაში დარჩა „ტერიტორიალიზმის" ზოგიერთი კვალი, მაგრამ საერთოდ იგი წარმოადგენს ნაციონალური ავტონომიის ფორმულირებას. ტყუილა კი არ ხვდება მას აღტაცებით შპრინგერი, ნაციონალური ავტონომიის პირველი აგიტატორი[1], ბაუერიც იზიარებს მას და უწოდებს ნაციონალური ავტონომიის „თეორიულ გამარჯვებას;"[2]. მხოლოდ უფრო მეტი სიცხადისათვის იგი წინადადებას იძლევა მე-4 პუნქტი შეიცვალოს უფრო გარკვეული ფორმულირებით, სადაც ნათქვამი იქნება, რომ აუცილებელია „ნაციონალური უმცირესობის კონსტიტუირება თითოეულ თვითმართველ ოლქის შიგნით საჯარო-უფლებრივ კორპორაციად" სასკოლო და სხვა კულტურული საქმეების გასაძღოლად[3].

ასეთია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამა.

განვიხილოთ მისი მეცნიერული საფუძვლები.

ვნახოთ, როგორ ასაბუთებს ავსტრიის სოციალ-დემოკრატია ნაციონალურ ავტონომიას, რომელსაც იგი ქადაგებს.

მივმართოთ ამ უკანასკნელის თეორეტიკოსებს, შპრინგერსა და ბაუერს.

ნაციონალური ავტონომიის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ცნება ერის შესახებ, როგორც პირთა კავშირის შესახებ განსაზღვრულ ტერიტორიისაგან დამოუკიდებლად.

„ეროვნება, შპრინგერით, არ იმყოფება არავითარ არსებით კავშირში ტერიტორიასთან; ერები არიან ავტონომიური პერსონალური კავშირები"[4].

ბაუერიც ერზე ლაპარაკობს, როგორც „პერსონალურ ერთიანობაზე", რომელსაც არა აქვს „მინიჭებული განსაკუთრებული ბატონობა რომელიმე განსაზღვრულ სფეროში"[5].

---

[1] შპრინგერი, ნაც. პრობლ., გვ. 236.
[2] ნაც. საკითხი, გვ. 549.
[3] ბაუერი, ნაც. საკითხი გვ. 556.
[4] შპრინგერი, ნაც. პრობლ., გვ. 74.
[5] შპრინგერი, ნაც. პრობლ., გვ. 19.

მაგრამ ის პირები, რომლებიც შეადგენენ ერს, ყოველთვის არ ცხოვრობენ მთლიან მასად,—ისინი ხშირად ნაწილდებიან ჯგუფებად და ამ სახით რაიან ჩართულნი აქა-იქ უცხო ნაციონალურ ორგანიზმებში. ეს გამოწვეულია იმით, რომ კაპიტალიზმი ერეკება მათ სხვადასხვა ოლქებსა და ქალაქებში სამუშაოს საძებრად. მაგრამ, შეადგენენ რა უცხო ნაციონალურ ოლქებში უმცირესობას, ეს ჯგუფები ადგილობრივ ნაციონალურ უმრავლესობათაგან განიცდიან შევიწროებას ენის, სკოლის და სხვ. შებღუდვის გამო. აქედან წარმოსდგება ნაციონალური შეხლა-მემოხლა. აქედან წარმოსდგება ტერიტორიალური ავტონომიის „უვირგისობა“. შპრინგერისა და ბაუერის აზრით, ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია ორგანიზება ერთ საერთო კლასთაშორისო ნაციონალურ კავშირში მოცემულ ეროვნების უმცირესობისა, რომლებიც გაფანტული არიან სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებში. მხოლოდ ასეთ კავშირს შეუძლია დაიცვას, მათი აზრით, ნაციონალურ უმცირესობათა კულტურული ინტერესები, მხოლოდ მას შეუძლია მოსპოს ნაციონალური შუღლი.

„აუცილებელია,—ამბობს შპრინგერი,—მიეცეს ეროვნებებს მართებული ორგანიზაცია. ალჭურვილ იქნან ისინი უფლებებითა და მოვალეობით“[1]. რათქმა უნდა, „კანონის შექმნა ადვილია, მაგრამ ახდენს თუ არა იგი იმ მოქმედებას, რომელსაც მისგან მოელიან“... „თუ სურთ შექმნან კანონი ერისთავის, უწინარეს ყოვლისა საჭიროა ერების შექმნა“[2], „ეროვნებათა კონსტიტუციების გარეშე ნაციონალური უფლების შექმნა და ნაციონალური შუღლის მოსპობა შეუძლებელია“[3].

ამასვე ამბობს ბაუერი, როცა იგი აყენებს, როგორც „მუშათა კლასის მოთხოვნას“, „უმცირესობის კონსტიტუირებას საჯარო უფლებრივ კორპორაციებში პერსონალური პრინციპის საფუძველზე“[4].

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ერების ორგანიზება? როგორ უნდა გამოირკვეს პირის კუთვნილება ამა თუ იმ ერისადმი?

„ეს კუთვნილება,—ამბობს შპრინგერი,—განისაზღვრება ნაციონალური მატრიკულებით: თითოეულმა, ოლქში მცხოვრებმა, უნდა გამოაცხადოს თავისი კუთვნილება რომელიმე ერისადმი“[5].

„პერსონალური პრინციპი, ამბობს ბაუერი, გულისხმობს, რომ მოსახლეობა დაიყოფა ეროვნებებად, სრულწლოვან მოქალაქეების თავისუფალ განცხადებათა საფუძველზე“, რისთვისაც „უნდა დამზადდეს ნაციონალური კადასტრები“[6].

შემდეგ „ყველა გერმანელი, ამბობს ბაუერი, ნაციონალურ-ერთგვაროვან ოლქებში, მერე ყველა გერმანელი, შეტანილი ორადი ოლქების ნაციონალურ

---

[1] ნაც. საკითხი, გვ. 186.
[2] ნაც. საკითხი გვ. 552.
[3] ნაც. პრობლ., გვ. 88—89.
[4] იქვე, გვ. 89.
[5] იქვე, გვ. 226.
[6] ნაც. საკითხი, გვ. 368.

კადასტრებში, შეადხენენ გერმანელ ერს და ირჩევენ ნაციონალურ საბჭოს"[1].

იგივე უნდა ითქვას ჩეხების, პოლონელების და სხვ. შესახებ.

„ნაციონალური საბჭო, შპრინგერით, კულტურულ-ნაციონალური პარლამენტია, რომელმაც უნდა დააწესოს საფუძვლები და მოიწონოს ნაციონალურ სასკოლო საქმესა, ნაციონალურ ლიტერატურასა და მეცნიერებაზე ზრუნვისათვის, აკადემიების, მუზეუმების, გალერიების, თეატრების და სხვ. მოწყობისათვის საჭირო-სახსრები"[2].

ასეთია ერის ორგანიზება და მისი ცენტრალური დაწესებულება.

ქმნის რა ასეთ კლასთაშორისო ინსტიტუტებს, ავსტრიის ს.—დ. პარტია, ბაურის აზრით, ცდილობს „გახადოს ნაციონალური კულტურა... მთელი ხალხის მონაპოვრად და ასეთი ერთად-ერთი შესაძლებელი გზით შეამციროს ერის წევრები ნაციონალურ კულტურულ ერთიანობაში"[3] (კურსივი ჩვენია).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს შეეხება მხოლოდ ავსტრიას, მაგრამ ბაუერი არ არის ამის თანახმა. იგი გადაჭრით ამტკიცებს, რომ ნაციონალური ავტონომია სავალდებულოა სხვა სახელმწიფოებშიც, რომლებიც, როგორც ავსტრია, შესდგებიან რამდენიმე ეროვნებისაგან.

„შეძლებული კლასების ნაციონალურ პოლიტიკას, ხელისუფლების დაპყრობის პოლიტიკას ეროვნებათა სახელმწიფოში, ყველა ერის პროლეტარიატი, ბაუერის აზრით, უპირისპირებს მის მიერ ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნას"[4].

შემდეგ, ცელის რა შეუმჩნეველად ერთა თვითგამორკვევას ავტონომიით, განაგრძობს: „ამრიგად ნაციონალური ავტონომია, ერთა თვითგამორკვევა, გარდუვალად ხდება ეროვნებათა სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ერის პროლეტარიატის კონსტიტუციურ პროგრამად"[5].

მაგრამ ის კიდევ უფრო შორს მიდის. მას ღრმად სწამს, რომ მის და შპრინგერის მიერ „კონსტიტუირებული" კლასთაშორისო „ნაციონალური" კავშირები გახდებიან მომავალი სოციალისტური საზოგადოების ერთგვარ პროტოტიპად. ვინაიდან მან იცის, „რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება... დაანაწილებს კაცობრიობას ნაციონალურად—გამომიჯნულ საზოგადოებებად", რომ სოციალიზმის დროს მოხდება „კაცობრიობის დაჯგუფება ავტონომიურ ნაციონალურ საზოგადოებებად"[7], რომ „ამნაირად, სოციალისტური საზოგადოება უეჭველად მოგვცემს პირად ნაციონალურ კავშირებისა და ტერიტორიალური კორპორაციების ჰრელ სურათს"[8], რომ, მაშასადამე, „ეროვნების სოციალისტუ-

---

[1] ნაც. საკითხი, გვ. 735.
[2] ნაც. პრობლ. გვ. 234.
[3] ნაც. საკითხი, გვ. 553.
[4] იქვე, გვ. 337.
[5] იქვე, გვ. 333.
[6] იქვე, გვ. 555.
[7] იქვე, გვ. 556.
[8] იქვე, გვ. 543.

რი პრინციპი წარმოადგენს ნაციონალური პრინციპისა და ნაციონალური ავტონომიის უმაღლეს სინთეზს"[1].

მგონი, საკმარისია...

ასეთია ნაციონალური ავტონომიის ვითარება ბაუერისა და შპრინგერის ხელში.

პირველ ყოვლისა თვალში გეცემა სრულიად გაუგებარი და ყოვლად გაუმართლებელი შეცკლა ერთა თვითგამორკვევისა ნაციონალური ავტონომიით. ორში ერთი: ბაუერმა ვერ გაიგო თვითგამორკვევა, ან გაიგო, მაგრამ რატომაც შეგნებულად ზღუდავს მას. ვინაიდან, ეჭვს გარეშეა, რომ: ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ეროვნებათა სახელმწიფოს მთლიანობას, თვითგამორკვევა კი სცილდება ასეთი მთლიანობის ფარგლებს; ხომ თვითგამორკვევა ანიჭებს ერს ყველა უფლებას გამოუკლებლივ, ნაციონალური ავტონომია კი—მხოლოდ „კულტურულ" უფლებებს. ეს პირველი.

მეორე, სავსებით შესაძლებელია შემდეგში შინაგან და გარეგან კონიუნქტურათა ისეთი შეხამება, როცა ესა თუ ის ეროვნება გადაწყვეტს გამოვიდეს ეროვნებათა სახელმწიფოდან, თუნდაც ავსტრიიდან,—აკი განაცხადეს რუსმა სოც.-დემოკრატებმა ბრიუნის პარტეიტაგზე, რომ მზად არიან გააერთიანონ თავისი ხალხის „ორი ნაწილი" ერთ მთელში[2], რა ვუყოთ მაშინ „ყველა ერის პროლეტარიატისათვის გარდუვალ" ნაციონალურ ავტონომიას?

აბა ეს საკითხის რა „გადაჭრაა", რომელიც მექანიკურად ჩრის ერებს სახელმწიფოს მთლიანობის პროკრუსტეს სავარძელში?

შემდეგ. ნაციონალური ავტონომია ეწინააღმდეგება ერების განვითარების მთელ სვლას, იგი იძლევა ერების ორგანიზების ლოზუნგს, მაგრამ განა შესაძლებელია მათი ხელოვნურად შეკავშირება, თუ ცხოვრება, თუ ეკონომიური განვითარება სწყვეტს მათ მთელ ჯაჭვებს და ფანტავს მათ სხვადასხვა ოლქებში. ეჭვს გარეშეა, რომ კაპიტალიზმის პირველ სტადიებზე ერები მჭიდროვდებიან, მაგრამ ეჭვს გარეშეა ისიც, რომ კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიებზე იწყება ერების დაქსაქსვის პროცესი, ერებისაგან მთელ რიგ ჯგუფების გამოყოფის პროცესი, რომლებიც მიდიან სამუშაოს საძებრად, ხოლო შემდეგ სრულიად სახლდებიან სახელმწიფოს სხვა ოლქებში, ამასთან გადასახლებულნი კარგავენ ძველ კავშირს, იძენენ ახალს ახალ ადგილებზე, თაობიდან თაობაში ითვისებენ ახალ ჩვეულებებსა და გემოვნებას და, შეიძლება, ახალ ენასაც... იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ასეთი ერთმანეთისაგან განკერძოებული ჯგუფების გაერთიანება ერთიან ნაციონალურ კავშირში? სად არის ის სასწაულმოქმედი გვერგვი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყოს იმის გაერთიანება, რის გაერთიანებაც შეუძლებელია? განა წარმოსადგენია, მაგალითად, ბალტიის მხარისა და ამიერ-კავკასიის გერმანელების „შემჭიდროება" ერთ ერში? მაგრამ თუ ყოველივე ეს წარმოუდგენელია და შეუძლებელი, მაშინ რით გან-

---

[1] იქვე, გვ. 542.

[2] დებატები ნაც. საკითხის გარშემო ბრიუნის პარტეიტაგზე, გვ. 48.

სხვავდება ნაციონალური ავტონომია იმ ძველი ნაციონალისტების უტოპიისაგან, რომლებიც ცდილობდენ ისტორიის ჩარხის უკან მობრუნებას?

მაგრამ ერის დაკავშირება ერთიანობაში ეცემა არა მარტო გაფანტვის გამო, იგი ეცემა აგრეთვე შიგნიდან, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო. კაპიტალიზმის პირველ სტადიებზე კიდევ შეიძლება ლაპარაკი პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის „კულტურულ ერთიანობაზე". მაგრამ როცა მსხვილი ინდუსტრია ვითარდება და კლასობრივი ბრძოლა მწვავდება, „ერთიანობა" იწყებს დნობას. არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი „კულტურულ ერთიანობაზე", როცა ერთი-და-იმავე ერის მეწარმეთ და მუშებს აღარ ესმით ერთმანეთის. რა „ბედის ერთიანობაზე" შეიძლება ლაპარაკი, როცა ბურჟუაზიას წყურია ომი, ხოლო პროლეტარიატი „ომს უცხადებს ომს"? განა შეიძლება ასეთი მოპირდაპირე ელემენტებიდან ერთიანი კლასთაშორისო ნაციონალური კავშირის შექმნა? განა შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი „ერის ყველა წევრის შემოიდროვებაზე ნაციონალურ-კულტურულ ერთიანობაში"? განა ცხადი არ არის აქედან, რომ ნაციონალური ავტონომია ეწინააღმდეგება კლასობრივი ბრძოლის მთელ სვლას?

მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ „ერის ორგანიზების" ლოზუნგი შეიძლება განხორციელდეს. კიდევ შეიძლება გავუგოთ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარლამენტარიებს, რომლებიც ცდილობენ ერის „ორგანიზებას" ხელმეტი ხმების მისაღებად. მაგრამ როდის იყო, რომ სოც.-დემოკრატები ეწეოდენ ერის „ორგანიზებას", ერების „კონსტიტუირებას", ერების „შექმნას"?!

რა სოც.-დემოკრატები არიან ესენი, რომლებიც კლასთა ბრძოლის უძლიერესი გაწვავების ეპოქაში აწყობენ კლასთაშორისო კავშირებს! დღემდის ავსტრიის, ისე როგორც ყოველ სხვა სოც.-დემოკრატიას ჰქონდა ერთი ამოცანა: დაერაზმა პროლეტარიატი. მაგრამ ეს ამოცანა, როგორც ჩანს, „მოძველდა", ახლა შპრინგერი და ბაუერი „აყენებენ ახალ", უფრო საინტერესო ამოცანას— „შექმნან, შეაკავშირონ" ერი...

თუმცა ლოგიკა მოითხოვს: ვინც ნაციონალური ავტონომია მიიღო, უნდა მიიღოს ეს „ახალი" ამოცანაც, მაგრამ ამ უკანასკნელის მიღება ნიშნავს კლასობრივი პოზიციიდან გადასვლას, ნაციონალიზმის გზაზე დადგომას.

შპრინგერისა და ბაუერის ნაციონალური ავტონომია არის ნაციონალიზმის დახვეწილი სახე.

და ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ავსტრიელ სოც.—დ. ნაციონალური პროგრამა მოითხოვს ზრუნვას „ხალხთა ნაციონალურ თავისებურებების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის". ერთი იფიქრეთ: ამიერ-კავკასიის თათრების ისეთ „ნაციონალურ თავისებურებათა შენარჩუნება", როგორიცაა თავის წამება „შახსეი-ვახსეის" დღესასწაულზე! საქართველოს ისეთ ნაციონალურ თავისებუროზათა „განვითარება", როგორიცაა „სისხლის აღების უფლება"!

ასეთი პუნქტი შეეფერება პირწავარდნილ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პროგრამას, და თუ იგი ავსტრიის ს.—დ. პროგრამაში აღმოჩნდა, ეს იმიტომ,

რომ ნაციონალური ავტონომია ითმენს ასეთ პუნქტებს, იგი არ ეწინააღმდეგება მათ.

ნაციონალური ავტონომია, უვარგისი აწმყოსათვის, მით უფრო უვარგისია მომავლისათვის, სოციალისტური საზოგადოებისათვის.

ბაუერის წინასწარმეტყველება „კაცობრიობის დანაწილებაზე ნაციონალურად-გამომიჯნულ საზოგადოებად" ბათილდება თანამედროვე კაცობრიობის განვითარების მთელი სვლით. ნაციონალური ზღუდეები კი არ მაგრდება, არამედ იშლება და ეცემა. მარქსი ჯერ კიდევ ორმოციან წლებში ამბობდა, რომ „სხვადასხვა ხალხთა ნაციონალური განკერძოება და ინტერესთა დაპირისპირება უკვე ახლა სულ უფრო და უფრო ქრება", რომ „პროლეტარიატის ბატონობა კიდევ უფრო დააჩქარებს მათ გაქრობას",—კაცობრიობის შემდგომი განვითარება კაპიტალისტური წარმოების გიგანტური ზრდით, ეროვნებათა ერთმანეთში არევით და ადამიანთა გაერთიანებით სულ უფროდაუფრო ვრცელ ტერიტორიებზე გადაჭრით ადასტურებს მარქსის აზრს.

ბაუერის სურვილი დაგვიხატოს სოციალისტური საზოგადოება „პირად ნაციონალურ კავშირებისა და ტერიტორიალურ კორპორაციების ჭრელი სურათის" სახით წარმოადგენს მორცხვ ცდას შეცვალოს მარქსის კონცეპცია სოციალიზმისა ბაკუნინის რეფორმირებული კონცეპციით. სოციალიზმის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველგვარი ასეთი ცდა შეიცავს გარდუვალი კრახის ელემენტებს.

ჩვენ ალარაფერს ვამბობთ ბაუერის მიერ ნაქები რალაც „ეროვნების სოციალისტურ პრინციპზე", რომელიც, ჩვენის აზრით, წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის პრინციპის შეცვლას „ეროვნების" ბურჟუაზიული პრინციპით. თუ ნაციონალური ავტონომია გამოდის ასეთი საეჭვო ნაციონალისტური პრინციპიდან, უნდა ვალიაროთ, რომ მას შეუძლია მოუტანოს მხოლოდ ზიანი მუშათა მოძრაობას.

მართალია, ბაუერის ავტონომიის ნაციონალიზმი ოსტატურადაა შენილბული სოციალისტური ფრაზებით, მაგრამ მით უფრო საზიანოა იგი პროლეტარიატისათვის. აშკარა ნაციონალიზმს ყოველთვის შეიძლება გავუმკლავდეთ: მისი დანახვა ძნელი არ არის. გაცილებით უფრო ძნელია ბრძოლა შენილბულ და თავის ნიღაბში გამოუცნობ ნაციონალიზმთან. სოციალიზმის ჯავშნით დაფარული, იგი ნაკლებ დასაძლევია და უფრო გამძლეა. ცხოვრობს რა მუშებს შორის, იგი წამლავს ატმოსფერას. ავრცელებს ურთერთ უნდობისა და განკერძოების მავნე იდეებს.

მაგრამ ნაციონალური ავტონომიის უარყოფითი თვისებანი ამით არ ამოწურება, იგი ამზადებს ნიადაგს არა მარტო ერების განკერძოებისათვის, არამედ ერთიანი მუშათა მოძრაობის დაჭუცმაცებისთვისაც. ნაციონალური ავტონომიის იდეა ქმნის ფსიქოლოგიურ წარნამძღვრებს ერთიანი მუშათა პარტიის გაყოფისათვის ეროვნებათა მიხედვით მოწყობილ ცალკეულ პარტიებად. პარტიის გაყოფას მოსდევს კავშირების დაჭუცმაცება, და ვღებულობთ სრულ განკერძოებას. ასე იყოფა ერთიანი კლასობრივი მოძრაობა ცალკეულ ნაციონალურ ნაკადულებად.

ავსტრია, „ნაციონალური ავტონომიის“ სამშობლო, იძლევა ასეთი მოვლინის ყველაზე უფრო სამწუხარო მაგალითებს, ავსტრიის ს.—დ. პარტიამ ოდესღაც ერთიანმა, იწყო დაქუცმაცება ცალკეულ პარტიებად ჯერ კიდევ 1897 წლიდან (ვიმბერგის პარტეიტაგი). ბრიუნის პარტეიტაგის (1899) შემდეგ, რომელმაც მიიღო ნაციონალური ავტონომია, დაქუცმაცება კიდევ უფრო გაძლიერდა. ბოლოს, საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთიანი ინტერნაციონალური პარტიის ნაცვლად ახლა არსებობს ექვსი ნაციონალური პარტია, რომელთაგან ჩეხიის სოც.-დემ. პარტიას არ სურს იქონიოს საქმე გერმანულ სოციალ-დემოკრატიასთან.

მაგრამ პარტიებთან დაკავშირებული არიან პროფესიული კავშირები. ავსტრიაში, როგორც პარტიებში, ისე პროფესიულ კავშირებში, მთავარ მუშაობას ეწევიან იგივე სოც.-დემ. მუშები. ამიტომ შეიძლებოდა შეგვშინებოდა იმის, რომ სეპარატიზმი პარტიაში გამოიწვევს სეპარატიზმს კავშირებში, რომ კავშირებიც გაითიშებიან. ეს ასეც მოხდა: კავშირებიც გაიყო ეროვნებათა მიხედვით. ახლა ხშირად საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ ჩეხი მუშები შლიან გერმანელ მუშების გაფიცვას ან მუნიციპალიტეტის არჩევნებში გამოდიან ჩეხ ბურჟუებთან ერთად გერმანელ მუშების წინააღმდეგ.

ასეთია ნაციონალური ავტონომიის სამკალი.

(ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, სტატიების კრებული, 1920წ., გვ. 30—42.)

3. საკავშირო კომპარტიის (ბ) მროვნული პოლიტიკა

რათა სხვადასხვა ერმა თავისუფლად და მშვიდობიანად იცხოვროს ერთად, ან დაშორდეს ერთმანეთს, (როდესაც ეს მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება) და შეადგინოს სხვადასხვა სახელმწიფოები—ამისთვის საჭიროა სრული დემოკრატიზმი, რომელსაც მუშათა კლასი მოითხოვს. არც ერთი ბეწო პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას! არც ერთი ბეწო ჩაგვრა, არც ერთი ბეწო უსამართლობა ეროვნულ უმცირესობათადმი! აი რაგვარია მუშათა დემოკრატიის პრინციპები.

კაპიტალისტებს სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, გათიშონ სხვადასხვა ეროვნების მუშები, ხოლო თვით ძლიერნი კი ამ ჭვეყნისანი მშვენივრად თავსდებიან ერთად, როგორც „მომგებიან“ მილიონიან „საქმეების“ აქციონერები (როგორც ლენის მადნებში), როგორც მართლმადიდებელნი, ისე ებრაელები, რუსებიცა და გერმანელებიც, პოლონელებიცა და უკრაინელებიც,—ყველანი ვისაც კაპიტალი გააჩნია, თანხმობითა და მეგობრულად ეწევიან ყველა ერის მუშათა ექსპლოატაციას.

შეგნებული მუშები მომხრენი არიან ყველა ერის სრული ერთიანობისა ყველა საგანმანათლებლო, პროფესიონალურ, პოლიტიკურ და სხვ. ორგანიზაციებში. დაე კადეტებმა თავი შეირცხვინონ უკრაინელების სწორუფლებიანობის უარყოფით ან შებღალვით. დაე ყველა ერების ბურჟუაზიამ თავი გაიმთოს ყალბი ფრაზებით ეროვნული კულტურის, ეროვნული ამოცანებისა და სხვ. და სხვ. შესახებ.

მუშები ნებას არავის მისცემენ გათიშონ ისინი ეროვნული კულტურის, ან „ეროვნულ-კულტურული ავტონომიის“ ტკბილი ლათაიებით. ყველა ეს მუშები მეგობრულად, ერთად, საერთო ორგანიზაციებად დარაზმულნი,—იცავენ სრულ თავისუფლებას და სრულ სწორუფლებიანობას—ჰეშმარიტ კულტურის ამ საწინდარს.

მთელ მსოფლიოში მუშები ქმნიან თავის საკუთარ ინტერნაციონალურ კულტურას, რომელსაც დიდი ხანია ამზადებენ თავისუფლების მოციქულნი და მტერნი ჩაგვრისა. ეროვნულ ჩაგვრის, ეროვნულ შუღლისა და ეროვნულ გათიშვის ძველს მსოფლიოს მუშები უპირდაპირებენ ყველა ეროვნების მშრომელთა ერთობის ახალ მსოფლიოს, რომელშიც ადგილი არ ექნება არც ერთი ბეწო პრივილეგიას, ადამიანის მიერ ადამიანისავე ერთი ბეწო ჩაგვრასაც კი.

(ნ. ლენინი, ეროვნული საკითხი, თხზ. 19 ტ., გვ. 32.)

თქვენ რუსეთში სახელმწიფო ენის მომხრე ხართ. ის „აუცილებელია; მას ქონდა და ექნება დიდი პროგრესიული მნიშვნელობა“. გადაჭრით არ გეთანხმებით. მე ამის შესახებ ვწერდი ადრე „პრავდაში“, და აქამდე არავის უარუყვია. თქვენი საბუთები მე სრულებით ვერ მაჯერებენ,—პირიქით. რუსულ ენას, რომ პროგრესიული მნიშვნელობა ქონდა მრავალ საწყალ და ჩამორჩენილ ნაციებისათვის,—ეს უდაოა. მაგრამ, ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, მას უფრო მეტი პროგრესიული მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ის იძულება არ ყოფილიყო?

როგორ, განა „სახელმწიფო ენა“ არ ნიშნავს ჯობს, ჩამომშორებელს რუსული ენიდან?? რატომ არ გინდათ გაიგოთ ის ფსიქოლოგია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაციონალურ საკითხში და რომელიც ოდნავ ძალდატანებითაც სჭრის, დაყავს არარაობამდე უდაოდ პროგრესიული მნიშვნელობა ცენტრალიზაციისა, დიდი სახელმწიფოებისა და მთლიანი ენის?? მაგრამ კიდევ მნიშვნელოვანია ეკონომიკა, ვინემ ფსიქოლოგია: რუსეთში უკვე არის კაპიტალისტური ეკონომიკა, რომელიც რუსულ ენას აუცილებლობად აქცევს. და თქვენ არ გჯერათ ეკონომიკის ძალა და გსურთ პოლიტიკური ნაძირალების ყავარჯნით გაამაგროთ ეკონომიკა?? ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ თქვენ ამახინჯებთ ეკონომიკას, ამუხრუჭებთ მას?? განა ქეციანი პოლიციური ჩინის ჩამოცილება არ გაათკეცებს (გაათასკეცებს) რუსული ენის დაცვის და გავრცელების თავისუფალ კავშირებს?! არა, აბსოლუტურად არ გეთანხმებით და ბრალს გდებთ თქვენ Königlich preussischer „socialismus!![1]

(ნ. ლენინი, წერილი გ. შაუმიანს, 1913 წ., 1-ლად გამოქვეყნდა 1922 წ. „კრასნოე ლეტოპისში“ № 2—3.)

საკითხი ასიმილიატორობისა[2], ე. ი. საკითხი ეროვნულ თავისებურობათა დაკარგვის, სხვა ერში გათქვეფისა—ნებას გვაძლევს ცხადლივ წარმოვიდგინოთ ბუნდელებისა და მათი თანამოაზრეების ნაციონალისტურ რყევის შედეგები.

[1] მეფურ-პრუსიულ სოციალიზმში. რედ.

[2] სიტყვა სიტყვით—დამსგავსების, გაიგივეების.

ბ-ნი ლიბმანი, სწორად გადმოგვცემს და იმეორებს რა ბუნდელების ჩვეულებრივს საბუთებს, უკეთ რომ ვთქვათ ბუნდელების ფანდებს,—ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა გაერთიანებასა და შედუღებას მთლიან ორგანიზაციებში (იხ. ზემოდ ბოლო „სევ. პრ.“ სტატიისა) უწოდებს „ძველს ასიმილიატორულ ლათაიას“.

„მაშასადამე,—ამბობს ბ-ნი ლიბმანი „სევ. პრავდაში“ მოთავსებულ სტატიის დანასკვის გამო,— კითხვაზე: რა ეროვნებას ეკუთვნი? მუშამ უნდა უპასუხოს: სოციალ-დემოკრატი ვარ“.

ჩვენს ბუნდელს ეს თქმა ენამახვილობის ნიმუშად მიაჩნია. ნამდვილად კი ოგი საბოლოოდ ააშკარავებს თავის თავს ასეთი ხუმრობით და „ასიმილიატორობაზე“ ყვირილათ, რაც მიმართულია თანმიდევნებულ დემოკრატიულ და მარქსისტულ ლოზუნგის წინააღმდეგ.

განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი ეროვნულ საკითხში ორ ისტორიულ ტენდენციას იცნობს. პირველი: ნაციონალური ცხოვრებისა და ნაციონალურ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, შექმნა ეროვნულ სახელმწიფოებისა. მეორე: განვითარება და გახშირება ყოველგვარი ურთიერთობისა ერთა შორის, ეროვნულ ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკისა, მეცნიერებისა და სხვ.—ინტერნაციონალური ერთობის შექმნა.

ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი წარმატებაშია კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულსა და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისთვის გამზადებულ კაპიტალიზმს. ორივე ტენდენციას ანგარიშს უწევს მარქსისტების ეროვნული პროგრამა. უპირველესად ყოვლისა იგი იცავს ერთა და ენათა სწორუფლებიანობას და ამ მხრით დაუშვებლად მიაჩნია ყოველგვარი პრივილეგია (იცავს აგრეთვე ერთა თვითგამორკვევით უფლებას, რის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი), მეორე მხრით—იგი ჰქადაგებს ინტერნაციონალიზმის პრინციპსა და აგრეთვე შეურიგებელ ბრძოლას იმის წინააღმდეგ, რომ პროლეტარიატი დაავადდეს თუნდაც უფაქიზესი ფორმის ბურჟუაზიული ნაციონალიზმით.

საკითხავია, მაშ რაღაზე ლაპარაკობს ჩვენი ბუნდელი, როდესაც ცას შეჰღალადებს „ასიმილიატორობის“ წინააღმდეგ? ერების წინააღმდეგ ძალმომრეობას, რომელისამე ერის პრივილეგიებზე მას აქ არ შეეძლო ელაპარაკა, ვინაიდან ამ შემთხვევაში საერთოდ უვარგისი იქნებოდა სიტყვა „ასიმილიატორობა;“—ვინაიდან ყველა მარქსისტმა, როგორც ცალ-ცალკე, ისე ოფიციალურად, როგორც მთლიანმა ერთეულმა—სრულიად ცხადად და ნათლად დაგმო ეროვნული ძალმომრეობა, ჩაგვრა, უთანასწორობა. ბოლოს და ბოლოს „სევ. პრავდის“ სტატიაშიაც, რომლის წინააღმლეგაც ასე ილაშქრებს ბუნდელი—ეს მარქსისტულ-ზოგადი აზრი სრულიად გადაჭრითა და აშკარად არის გამოთქმული.

არა, აქ შეუძლებელია თავის დაძვრენა. ბ-ნი ლიბმანი გმობდა „ასიმილიატორობას“, გულისხმობდა რა არა ძალადობას, არა უთანასწორობას, არა პრი-

ვილეგიებს. რჩება თუ არა რეალური რამ ასიმილიატორობის ცნებაში, თუ მას გამოვაკლებთ ყოველგვარ ძალადობასა და ყოველგვარ უთანასწორობას?

უეჭველია რჩება. რჩება კაპიტალიზმის ის მსოფლიო-ისტორიული ტენდენცია ნაციონალურ ზღუდეების დარღვევისა, ნაციონალურ განსხვავებათა მოსპობისა, ერების ასიმილიაციისა, რომელიც ყოველ ათ წლობით უფრო მძლავრდება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთს უდიდეს მამოძრავებელ ძალას, გადამქცევს კაპიტალიზმისა—სოციალიზმად.

ის მარქსისტი უბრალო დემოკრატიც კი არ არის, ვინც არ აღიარებს და არ იცავს ენებისა და ერების სწორუფლებიანობას, ვინც არ იბრძვის ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრისა და უთანასწორობის წინააღმდეგ. ეს ცხადია და უეჭველი. მაგრამ ასევე უეჭველია, რომ ის ვითომდა მარქსისტი, რომელიც ლანძღვა-გინებით იკლებს სხვა ერის მარქსისტს „ასიმილიატორობისთვის", ნამდვილად უბრალო ნაციონალისტ „მეშჩანინს" წარმოადგენს. ამ ნაკლებად პატივცემულ ადამიანთა წყებას ეკუთვნიან ყველა ბუნდელნი (როგორც ეხლავე დავრწმუნდებით) და უკრაინელი ნაციონალ-სოციალები, მაგალითად ბ-ნი ლ. იურკევიჩი, დონცოვა და კომპ.

(ლენინი, ეროვნული საკითხი, თხზ. 19 ტ., გვ. 50—2.)

ყოველ თანამედროვე ერში ორი ერია—ვეტყვით ჩვენ ყველა ნაციონალ-სოციალს. არის ორი ეროვნული კულტურა ყოველ ეროვნულ კულტურაში. არის ველიკოროსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა,—მაგრამ არის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები. ასეთივე ორი კულტურაა უკრაინელებში, როგორც გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისსა, ებრაელებსა და

(იქვე, გვ. 56.)

სხვებში.

რუსეთის თავისებური პირობები, ეროვნული საკითხის მხრით, სწორედ ეწინააღმდეგება იმას, რაც ჩვენ ავსტრიაში ვნახეთ. რუსეთი არის სახელმწიფო ერთიანი ეროვნული ცენტრით—ველიკოროსულით. ველიკოროსებს უზარმაზარი მთლიანი ტერიტორა უჭირავთ, ხოლო რიცხვით დაახლოებით 70 მილიონ სულს აღწევენ. ამ ეროვნული სახელმწიფოს თავისებურება ერთი ისაა, რომ „ინოროდცები" (ისინი საერთოდ მოსახლეობის უმრავლესობის—57 % შეადგენენ) სწორედ განაპირა ტერიტორიებზე არიან დასახლებულნი; მეორე ისაა, რომ ამ ინოროდცების ჩაგვრა აქ ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებში (და არა მარტო ევროპულ სახელმწიფოებში); მესამე კიდევ ისაა, რომ მთელ რიგ შემთხვევაში განაპირას მცხოვრებ ჩაგრულ ერებს თავისი მონათესავეები ყავთ საზღვრებს გადაღმა, რომელნიც მეტი ეროვნული დამოუკიდებლობით სარგებლობენ (საკმაოა თუნდაც სახელმწიფოს დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე ფინლანდიელები, შვეციელები, პოლონელები, უკრაინელები, რუმინელები გავიხსენოთ); ბოლოს, მეოთხე ისაა, რომ კაპიტალიზმის განვითარება და კულტურის საერთო დონე ხშირად „ინოროდცულ" გარეკუთხეებში უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახელმწიფოს ცენტრში. ბოლოს, სწორედ მეზობელ აზიურ სახელმწიფოებ-

ში დაიწყო ხანა ბურჟუაზიულ რევოლიუციათა და ეროვნულ მოძრაობათა, რაც ნაწილობრივ მოედვა მონათესავე ერებსაც რუსეთის საზღვრებში.

ამრიგად, სწორედ ეროვნული საკითხის ისტორიული კონკრეტული თავისებურებანი განსაკუთრებით აუცილებლად ხდიან რუსეთში ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას მიმდინარე ეპოქაში.

(ლენინი, რჩეული ნაწრები, ტ. II, გვ., 852.)

ჰკუის სასწავლებელ მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს განვლილ საუკუნის 60-იან წლებში ეროვნული საკითხის დაყენება. წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატები, რომელთათვისაც უცხო იყო კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის ყოველივე აზრი, თავის-თავს უხატავდენ კაპიტალიზმის პირობებში თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა მშვიდობიანი კონკურენციის უტოპიას. პრუდონისტები საესებით „უარყოფდენ“ ეროვნულ საკითხს და ერთა თვითგამორკვევის უფლებას, სოციალური რევოლუციის უშუალო ამოცანების თვალსაზრისით. მარქსი დასცინოდა ფრანგულ პრუდონიზმს, გვიჩვენებდა მის ნათესაობას ფრანგულ შოვინიზმთან („მთელი ევროპა მშვიდად და წყნარად უნდა იჯდეს ერთ ადგილზე, ვიდრე ბატონები სილატაკეს არ მოსპობენ საფრანგეთში“... „ეროვნებათა უარყოფაში, თავისდა შეუგნებლად, იმათ, მგონია, ესმით ამ ეროვნებათა შთანთქმა მშვენიერი ფრანგი ერის მიერ“). მარქსი მოითხოვდა ირლანდიის გამოყოფას ინგლისისაგან,—„თუნდაც გამოყოფის შემდეგ საქმე ფედერაციამდეც მისულიყო“—და ამის მოითხოვდა არა მშვიდობიანი კაპიტალიზმის წვრილ-ბურჟუაზული უტოპიის თვალსაზრისით, არა „ირლანდიისადმი სამართლიანობის“ გულისთვის, არამედ დამჩაგვრელი, ე. ი. ინგლისის, ერის პროლეტარიატის კაპიტალიზმის წინაღმდეგ რევოლუციური ბრძოლის ინტერესთა თვალსაზრისით. ამ ერის თავისუფლებას ბორკავდა და ამახინჯებდა ის,რომ იგი სხვა ერს ჩაგრავდა. ინგლისის პროლეტარიაცის ინტერნაციონალიზმი ცბიერ ფრაზად დარჩებოდა, მას რომ ირლანდიის გამოყოფა არ მოეთხოვა. მარქსი არასოდეს არ ყოფილა მომხრე არც წვრილი სახელმწიფოების, არც საერთოდ საელმწიოებრივი დაქუცმაცების და არც ფედერაციის პრინციპისა, მაგრამ დაჩაგრული ერის გამოყოფას იგი უყურებდა როგორც ნაბიჯს ფედერაციისაკენ და, მაშასადამე, არა დაქუცმაცებისაკენ, არამედ პოლიტიკურ და ეკონომიურ კონცენტრაციისაკენ, დემოკრატიზმის ბაზისზე კონცენტრაციისაკენ. ამხ. პარაბელუმის თვალსაზრისით გამოდის, რომ მარქსს „ილუზორული ბრძოლა“ უწარმოებია, როდესაც იგი ირლანდიის გამოყოფის ამ მოთხოვნას აყენებდა. ნამდვილად კი მხოლოდ ასეთი მოთხოვნა იყო თანმიმდევრობითი რევოლუციური პროგრამა, მხოლოდ იგი აკმაყოფილებდა ინტერნაციონალიზმს, მხოლოდ იგი იცავდა კონცენტრაციას არა იმპერიალისტურად.

(ნ. ლენინი. რჩ. ნაწერები. ტ. მე.2. გვ. 260.)

არც ერთ დემოკრატს არ შეუძლია აგრეთვე უარყოს უკრაინის უფლება რუსეთისაგან მამოყოფის თავისუფლებისა: სახელდობრ მხოლოდ ერთადერთს ამ უფლების უთუო აღიარებას შეუძლია მოგვცეს შესაძლებლობა აგიტა-

ციისა ველიკოროსებისა და უკრაინელების კავშირისათვის, ამ ორი ხალხის ერთ სახელმწიფოდ ნებაყოფლობითი შეერთებისათვის; სახელდობრ მხოლოდ მარტოოდენ ამ უფლების უთუო აღიარებას შეუძლია ჩამოგვაშოროს საბოლოოდ და ნამდვილად—წყეულ მეფურ წარსულს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ამ ხალხთა ურთიერთ გასათიშავად; ამ ერთა,—რომელნიც მახლობელნი არიან ენით, საცხოვრებელ ადგილით, ხასიათით და ისტორიით. წყეული ცარიზმი ველიკოროსებს უკრაინის ხალხის ჯალათად ხდიდა და ყოველნაირად უნერგავდა სიძულვილს მათდამი; იგი უკრძალავდა უკრაინელ ბავშვებსაც კი ლაპარაკსა და სწავლას სამშობლო ენაზედ.

(ნ. ლენინი, ეროვნული საკითხი, თხზ. 19 ტ., გვ. 249.)

...აუცილებელია, რომ ყველა საბჭოთა ორგანო განაპირა მხარეებში, სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, უშუალო ხელისუფლების ორგანოები (აგრეთვე პარტიის ორგანოები) სდგებოდეს შეძლების დაგვარად ადგილობრივი ადამიანებიდან, რომლებიც იცნობენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, ადათებს, ჩვეულებებს, ენას, რომ ამ ინსტიტუტებში მიზიდულ იქნეს ყველა საუკეთესო ადამიანი ადგილობრივი ხალხის მასებიდან, რომ ადგილობრივი მშრომელი მასები ებმებოდენ ქვეყნის მართველობის ყველა სფეროში, სამხედრო ნაწილების ჩათვლით, რომ მასებმა დაინახონ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მისი ორგანოები არის მათი ლონისძიების საქმე, მათი სურვილების განსახიერება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დამყარდეს ურყევი სულიერი კავშირი მასებსა და ხელისუფლებას შორის, მხოლოდ ამ გზით შეიძლება გახდეს საბჭოთა ხელისუფლება გასაგები და ახლობელი განაპირა მხარეების მშრომელი მასებისათვის...

ორში ერთი:

ან უკრაინული, აზერბეიჯანული, ყირგიზული, უზბეკური, ბაშკირული და სხვა ენები წარმოადგენენ ნამდვილ რეალობას, ამასთან ამ ოლქებში მაშასადამე აბსოლუტურად აუცილებელია განვითარდეს მშობლიური სკოლა, სასამართლო, ადმინისტრაცია, ხელისუფლების ორგანოები ადგილობრივი მუშაკებიდან, და მაშინ—საბჭოთა ავტონომია უნდა გატარდეს ამ ოლქებში ბოლომდის, უყოყმანოდ.

ან უკრაინული, აზერბეიჯანული და სხვა ფუჭი გამოგონება, სკოლები და სხვა ინსტიტუტები მშობლიურ ენაზე, მაშასადამე არ არის საჭირო, და მაშინ—საბჭოთა ავტონომია უკუგდებულ უნდა იქნეს როგორც გაძოუსადეგარი ნაგავი.

მესამე გზის ძებნა არის საქმის უკოდინარობის ან სამწუხარო მოუფიქრებლობის შედეგი.

...აუცილებელია განვითარდეს კურსებისა და სკოლების მდიდარი ქსელი განაპირა მხარეებში მართველობის ყველა დარგის ხაზით ინსტრუქტორთა კადრების შესაქმნელად ადგილობრივი მუშაკებისაგან. ვინაიდან ცხადია, რომ ასეთი კადრების უყოლობის დროს მშობლიური სკოლის, სასამართლოს, ადმინისტრაციის და სხვა ინსტიტუტების მოწყობა მშობლიურ ენაზე ძალზე გაძნელდება...

(ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, სტატიების კრებული, 98—101, 1920 წ.)

წინადადებას იძლევიან გაერთიანებულ იქნან დაქსაქსული უმცირესობანი ერთიან ნაციონალურ კავშირში. მაგრამ უმცირესობანი საჭიროებენ არა ხელოვნურ კავშირს, არამედ რეალურ უფლებებს იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ. რას მისცემს მათ ასეთი კავშირი სრული დემოკრატიზაციის გარეშე? ან რა აუცილებლობას წარმოადგენს ნაციონალური კავშირი სრული დემოკრატიზაციის დროს?

რა აღელვებს განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობას?

უმცირესობა უკმაყოფილოა არა ნაციონალური კავშირის უქონლობით, არამედ მშობლიური ენის უფლების უქონლობით. მიეცით მას მშობლიური ენით სარგებლობის უფლება,—და უკმაყოფილება თავისთავად გაქრება.

უმცირესობა უკმაყოფილოა არა ხელოვნური კავშირის უქონლობით, არამედ იმით, რომ მას არა აქვს მშობლიური სკოლა. მიეცით მას ასეთი სკოლა, და უკმაყოფილება დაკარგავს ყოველგვარ ნიადაგს.

უმცირესობა უკმაყოფილოა არა ნაციონალური კავშირის უქონლობით, არამედ სინიდისის, მიმოსვლის და სხვა. თავისუფლების უქონლობით. მიეცით მას ეს თავისუფლებანი—და იგი აღარ იქნება უკმაყოფილო.

ამრიგად, ყველა სახის ნაციონალური თანასწორუფლებიანობა (ენა, სკოლები და სხვ.), როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის გადაჭრაში. საერთოსახელმწიფოებრივი კანონი, რომელიც მოცემულია ქვეყნის სრული დემოკრატიზაციის საფუძველზე და კრძალავს ნაციონალური პრივილეგიების გამოუკლებლივ ყველა სახეს და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების ყოველგვარ შეკვეცას ან შეზღუდვას,—ეს და მხოლოდ ეს შეიძლება იყოს ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების ნამდვილი და არა მოჩვენებითი გარანტია.

(ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, იქვე, 302.)

ს. კ. პ. (ბ) მე-8 პარტკრილობაზე მიღებული პროგრამა ნაციონალურ საკითხზე

9. ეროვნულ საკითხში საკავშირო კ. პ. ხელმძღვანელობს შემდეგი დებულებით:

1) მთავარი ადგილი უჭირავს სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარების და ნახევრად პროლეტარების დაახლოების პოლიტიკას გაერთიანებული რევოლუციონური ბრძოლისათვის მემამულეების და ბურჟუაზიის დასამხობად.

2) იმ მიზნით, რომ დაძლეული იქნეს დაჩაგრული ქვეყნების მშრომელთა მასების უნდობლობა იმ სახელმწიფოს პროლეტარიატისადმი, რომელიც ჩაგრავდა ამ ქვეყნებს, უნდა მოისპოს უკლებლივ ყოველი ეროვნული ჯგუფის ყოველგვარი უპირატესობა, დამყარდეს ეროვნებათა სრული თანასწორუფლებიანობა, მიენიჭოს კოლონიებს და თანასწოროობას მოკლებულ ერებს სახელმწიფოდან გამოყოფის უფლება.

3) იმავე მიზნით, პარტია აყენებს საბჭოთა სისტემაზე მოწყობილ სახელმწიფოთა ფედერატიულად გაერთიანებას, როგორც ერთ-ერთ გარდამავალ ფორმას სრული გაერთიანების გზაზე.

4) იმ საკითხში, თუ ვინ არის ნებისყოფის მატარებელი გამოყოფის საქმეში, საკავშირო კ. პ. დგას ისტორიულ კლასობრივ თვალსაზრისზე, ანგარიშს უწევს იმას, თუ ისტორიულ განვითარების რომელ საფეხურზე დგას ესა თუ ის ერი: საშუალო საუკუნოებიდან ბურჟუაზიულ დემოკრატიისკენ, თუ ბურჟუაზიულ დემოკრატიიდან საბჭოთა ან პროლეტარული დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე და სხვა.

ყოველ შემთხვევაში, იმ ერების პროლეტარიატის მხრივ, რომლებიც მჩაგვრელები იყვნენ, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და განსაკუთრებული ყურადღება დაჩაგრული, ან უთანასწორო ერების მშრომელი მასების მიერ განცდილ ეროვნულ გრძნობებისადმი. მხოლოდ ასეთი პოლიტიკით შეიძლება შეიქნას პირობები საერთაშორისო პროლეტარიატის სხვადასხვა ეროვნული ელემენტების ნამდვილი მტკიცე ნებაყოფლობითი მთლიანობისათვის, როგორც ეს გვიჩვენა საბჭ. რუსეთის ირგვლივ მთელი რიგი ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ცდამ.

(ს. კ. პ, (ბ). წესდება და პროგრამა, გვ. 90—92.

აქ მე მაქვს ბარათი იმის შესახებ, რომ ჩვენ, კომუნისტები. ვითომ ბელოროსთა ეროვნებას ხელოვნურად ვრგავდეთ. ეს არაა სწორი, იმიტომ, რომ არსებობს ბელორუსთა ეროვნება, რომელსაც აქვს თავისი, რუსულისაგან განსხვავებული ენა, ამიტომ ბელოროსთა ეროვნების კულტურის ამაღლება შეიძლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე. ასეთივე სიტყვები ისმოდა ხუთი წლის წინად უკრაინაზე, უკრაინულ ეროვნებაზე. ხოლო ამასწინათ კიდევ ლაპრაკობდენ, რომ უკრაინული რესპუბლიკა და უკრაინული ეროვნება—გერმანელების გამოგონებაათ. ნამდვილად კი აშკარაა, რომ უკრაინული ეროვნება არსებობს, და მისი კულტურის განვითარება კომუნისტების მოვალეობას შეადგენს. არ შეიძლება ისტორიის წინააღმდეგ წასვლა. ცხადია, თუ უკრაინის ქალაქებში აქამდი კიდევ უპირატესობენ რუსული ელემენტები, დროთა მსვლელობაში აუცილებლად მოხდება ამ ქალაქების უკრაინიზაცია. 40 წლის წინად რიგა გერმანული ქალაქი იყო, მაგრამ რადგანაც ქალაქები სოფლების ხარჯზე იზრდებიან, ხოლო სოფელი ეროვნების შემნახველია, ამიტომ დღეს რიგა წმინდა ლატიშური ქალაქია. 50 წლის წინად უნგრეთის ყველა ქალაქი გერმანულ ხასიათს ატარებდა, ახლა ისინი გამადიარებულია. იგივე დაემართება ბელოროსიასაც, რომლის ქალაქებში ჯერ კიდევ არაბელოროსნი ჭარბობენ.

(ი. სტალინი, საბოლოო სიტყვა მე-10 პარტყრილობაზე-პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ნაც. საკითხში, გვ. 14—ნ.

)

უფლებრივი თანასწორობა ჩვენ ვალიარეთ და მას ცხოვრებაშიც ვატარებთ, მაგრამ უფლებრივ თანასწორობას, რომელსაც რესპუბლიკების განვითარების ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და ფაქტიურ თანასწორობას

შუა დიდი ზღუდე არსებობს. ჩვენს საბჭოთა ფედერაციაში ყველა ჩამორჩენილ ერებს და ტომებს ფორმალურად იმდენივე უფლებები აქვთ, რამდენითაც მოწინავე ერები სარგებლობენ. მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ ერებს არა ჰყავთ თავის პროლეტარები, მათ ჯერ არ განუცდიათ წარმოების განვითარება, ჯერ არც კი დაუწყვიათ იგი, რის გამოც ისინი სავსებით ვერ სარგებლობენ იმ უფლებებით, რომელნიც მათ რევოლუციამ მიანიჭა. ამხანაგებო, ეს უფრო ყურადსაღები საკითხი არის, ვიდრე სკოლის საკითხი. აქ ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ თუ სკოლისა და ენის საკითხი პირველ რიგში იქნა წამოყენებული, ამით ყველაფერი გადაიჭრება. ასეთი აზრი სიმართლეს მოკლებულია, ამხანაგებო, სკოლებით მარტო ფონს ვერ გავალთ, სკოლებიც იქნება გავრცელებული, ენაც, მაგრამ ფაქტიური უთანასწორობა კვლავ დარჩება ყოველგვარ უკმაყოფილებისა და შეხლა-შემოხლის მთავარ მიზეზად. ამ შემთხვევაში მარტო სკოლით და ენით ვერ გაინთავისუფლებთ თავს. აქ საჭირო არის ნამდვილი, სისტემატური, გულწრფელი პროლეტარული დახმარების გაწევა ჩამორჩენილ ერებისადმი კულტურულ და მეურნეობის აღორძინების საქმეში. საჭიროა, რომ სკოლებისა და ენის გარდა რუსეთის პროლეტარიატმა ზომები მიიღოს იმისათვის, რომ განაპირა ადგილებში, კულტურულად ჩამორჩენილ რესპუბლიკებში—ისინი ჩამორჩენილი არიან თავისი სურვილით კი არა, არამედ იმიტომ, რომ წინად მათ უყურებდნენ, როგორც ნედლი მასალის წყაროს,—წარმოება მოვაწყოთ და განვავითაროთ.

(ი. სტალინი, ნაციონალური საკითხი, გვ. 15—16.)

მე ვლაპარაკობდი აგრეთვე ნაციონალური კულტურის განვითარებაზე აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში. მაგრამ რა არის ნაციონალური კულტურა? როგორ შევათავსოთ იგი პროლეტარულ კულტურასთან? განა ჯერ კიდევ ომის წინ არ ლაპარაკობდა ლენინი, რომ ჩვენ გვაქვს ორი კულტურა—ბურჟუაზიული და სოციალისტური, რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგი არის რეაქციული ლოზუნგი ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობს მოწამლოს მშრომელთა შეგნება ნაციონალიზმის შხამით? როგორ შევათავსოთ ნაციონალური კულტურის მშენებლობა, სკოლების და კურსების მშობლიური ენაზე განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობიდან კადრების გამომუშავება სოციალიზმის მშენებლობასთან, პროლეტარული კულტურის მშენებლობასთან? ხომ არ არის აქ გარდაუვალი წინააღმდეგობა? რასაკვირველია, არა! ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას. ეს სრული სიმართლეა. მაგრამ ისიც მარტივია, რომ პროლეტარული კულტურა, თავის შინარსით სოციალისტური, ეროვნების, ყოფაცხოვრების და სხვ. განსხვავების მიხედვით, სხვადასხვა ფორმას და გამოხატულებას ღებულობს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხთა შორის. თავისი შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური,—ასეთია ის საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა კი არ სპობს ნაციონალურ კულტურას, არამედ აძლევს მას შინაარსს. და პირიქით, ნაციონალური კულტურა კი არ სპობს პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას. ნაციონალური კულტურის

ლოზუნგი იყო ბურჟუაზიული ლოზუნგი მანამდე, სანამ ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია იდგა და ერების კონსოლიდაცია ბურჟუაზიული წყობილების პირობებში ხდებოდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი პროლეტარულ ლოზუნგად იქცა მის შემდეგ, რაც პროლეტარიატი მოექცა ხელისუფლების სათავეში, ხოლო ერების კონსოლიდაცია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიმდინარეობს. ვისაც არ ესმის ამ ორი სხვადასხვა ვითარების ეს პრინციპიალური განსხვავება, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ლენინიზმს და ვერც ნაციონალური საკითხის რაობას ლენინიზმის თვალსაზრისით.

ლაპარაკობენ (მაგ. კაუცკი) ერთი საკაცობრიო ენის შექმნაზე და ყველა დანარჩენი ენის გაქრობაზე სოციალიზმის პერიოდში. მე ნაკლებად მწამს ერთი ყოვლის შემცველი ენის თეორია. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილება ლაპარაკობს ამ თეორიის წინააღმდეგ და არა მის სასარგებლოდ. დღემდე ისე ხდებოდა, რომ სოციალისტური რევოლუცია კი არ ამცირებდა ენების რაოდენობას, არამედ ამრავლებდა, ვინაიდან იგი კაცობრიობის უფართოესი დაბალი ფენების ამოძრავებით და მათი გამოყვანით პოლიტიკურ სცენაზე, ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებს მთელ რიგ ერებს, რომელნიც წინად უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყვნენ. ვინ იფიქრებდა, რომ ძველი მეფის რუსეთი შესდგებოდა არა ნაკლებ 50 ეროვნებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფისაგან? მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ძველი ბორკილები, ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი მიჩაგრული ხალხები და ეროვნებანი და მისცა მათ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება. დღეს ლაპარაკობენ ინდოეთზე, როგორც მთლიან ერთეულზე, მაგრამ არ შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ ინდოეთში რევოლუციის ქარიშხალის ამოვარდნის დროს სცენაზე გამოჩნდება მრავალი ათეული წინად უცნობი ეროვნება, რომელთაც აქვთ თავისი განსაკუთრებული ენა, თავისი განსაკუთრებული კულტურა. და თუ ლაპარაკია სხვადასხვა ერებს შორის პროლეტარული კულტურის დანერგვაზე, ცხადია, ეს დანერგვა მოხდება იმ ფორმებში, რომლებიც შეეფერება ამ ერების ენას და ყოფა-ცხოვრებას.

ამას წინად მე მივიღე წერილი ბურიატელი ამხანაგებისაგან. ისინი მთხოვდენ ამეხსნა სერიოზული და რთული საკითხები საკაცობრიო და ნაციონალურ კულტურათა ურთიერთობის შესახებ. აი ეს წერილი:

> „დაბეჯითებით გთხოვთ განგვიმარტოთ შემდეგი, ჩვენთვის მეტად რთული და სერიოზული საკითხები. კომუნისტური პარტიის საბოლოო მიზანია ერთი საკაცობრიო კულტურის შექმნა. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ გადასვლა ნაციონალური კულტურებიდან, რომლებიც ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების ფარგლებში ვითარდებიან, ერთიან საკაცობრიო კულტურაზე? როგორ უნდა მოხდეს ცალკე ნაციონალური კულტურების თავისებურებათა ასიმილაცია (ენა და სხვ.)?“.

მე ვფიქრობ, რაც ზევით ვთქვი, შეიძლება გამოდგეს პასუხად ბურიატელ ამხანაგების მიერ დასმულ საჭირბოროტო კითხვაზე.

ბურიატელი ამხანაგები იყენებენ ერთი საკაცობრიო პროლეტარული კულტურის შექმნის პროცესში ცალკე ეროვნებათა ასიმილიციის საკითხს. უეჭველია, ზოგიერთმა ერმა შეიძლება განიცადოს ასიმილაციის პროცესი და

ისინი, ალბათ, ვერც ასცდებიან ამ პროცესს. ასეთი პროცესები წინადაც ყოფილა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ერის ასიმილაციის პროცესი კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს საწინააღმდეგო პროცესს—მთელი რიგი ძლიერი ერების განმტკიცებას და განვითარებას, რადგან ასიმილაციის ნაწილობრივი პროცესი ეროვნებათა განვითარების საერთო პროცესის შედეგს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ცალკე ეროვნების შესაძლებელი ასიმილაცია კი არ არყევს, არამედ ადასტურებს იმ სავსებით მართებულ დებულებას, რომ პროლეტარული საკაცობრიო კულტურა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს და ასაზრდოებს ნაციონალურ კულტურას ისევე, როგორც ნაციონალური კულტურა კი არ სპობს, არამედ ავსებს და ამდიდრებს საერთო საკაცობრიო პროლეტარულ კულტურას.

(ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 158—60.)

პარტიაში გადახრებთან ბრძოლის სურათი სრული არ იქნება, თუ არ შევეხეთ პარტიაში არსებულ გადახრებს ნაციონალური საკითხის სფეროში. მე მხედველობაში მაქვს, პირველი, გადახრა ველიკოროსული შოვინიზმისაკენ და, მეორე, გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ. ეს გადახრები იმდენად შესამჩნევი და შემტევი არ არიან, როგორც „მემარცხენე“, ან მემარჯვენე გადახრა. მათ შეიძლება ვუწოდოთ მცოცავი გადახრები. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ. არა, ისინი არსებობენ და, რაც მთავარია, იზრდებიან. ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა. ეჭვს გარეშეა, რადგან კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საერთო ატმოსფერა შეუძლებელია არ იწვევდეს ნაციონალურ უთანხმოებათა ერთგვარ გამწვავებას, რაც თავის ანარეკლს პოულობს პარტიაში. ამიტომ საჭიროა გამოვააშკარავოთ და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ამ გადახრების ფიზიონომია.

რაში მდგომარეობს ველიკოროსული შოვინიზმისკენ გადახრის არსებობა ჩვენს თანამედროვე პირობებში?

ველიკოროსული შოვინიზმისაკენ გადახრის არსებობა მდგომარეობს მისწრაფებაში გვერდი აუხვიონ ენის, კულტურის, ყოფა-ცხოვრების ნაციონალურ სხვადასხვაობას; მისწრაფებაში მოამზადონ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაცია; მისწრაფებაში ძირი გამოუთხარონ ნაციონალურ თანასწორუფლებიანობის პრინციპს და სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას აპარატის ნაციონალიზაციის, პრესის, სკოლისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საქმეში.

ამ ტიპის უკლონისტები ამასთან გამოდიან იქიდან, რომ, ვინაიდან სოციალიზმის გამარჯვების დროს ერები უნდა გაერთიანდენ, ხოლო მათი ნაციონალური ენები მთლიან საერთო ენად უნდა გადაიქცენ, დადგა დრო მოვახდინოთ ნაციონალურ განსხვავებათა ლიკვიდაცია და ხელი ავიღოთ წინათ დაჩაგრულ ხალხების ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკაზეო. ამასთან ისინი იმოწმებენ ლენინს, არა სწორად მოყავთ მისი ციტატები, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ამახინჯებენ ლენინის აზრს და ცილს სწამებენ მას. ლენინმა სთქვა, რომ სოციალიზმში ეროვნებათა ინტერესები ერთ

მთელში შეერთდებიან,—ხომ არ გამოდის აქედან, რომ დროა ბოლო მოეღოს ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებს... ინტერნაციონალიზმის იმტერესებისათვის? ლენინმა 1913 წელს ბუნდის წევრებთან გამართულ პოლემიკის დროს სთქვა, რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიული ლოზუნგია,—ხომ არ გამოდის აქედან, რომ დროა ბოლო მოეღოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალურ კულტურას... ინტერნაციონალიზმის ინტერესებისათვის? ლენინმა სთქვა, რომ სოციალიზმის დროს ნაციონალური ჩაგვრა და ნაციონალური საზღვრები ისპობა,—ხომ არ გამოდის აქედან, რომ დროა ბოლო მოეღოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური თავისუფლებისათვის ანგარიშის გაწევის პოლიტიკას და გადავიდეთ ასიმილიაციის პოლიტიკაზე... ინტერნაციონალიზმის ინტერესებისათვის? და ასე შემდეგ და სხვა ამგვარი.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს გადახრა ნაციონალურ საკითხში, რომელიც თან ინტერნაციონალიზმის ნიღაბს და ლენინის სახელს იფარებს, არსებითად წარმოადგენს ველიკოროსული ნაციონალიზმის ყველაზე მოქნილ და ამიტომ ყველაზე საშიშარ სახეს.

პირველი, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ ნაციონალური განსხვავებანი უნდა გაქრენ, ხოლო ნაციონალური ენები სოციალიზმის მსოფლიო მაშტაბით გამარჯვებამდე უნდა შედუღდენ საერთო ენად ერთ სახელმწიფოს ფარგლებში. ლენინი, პირიქით, რაღაც პირდაპირ საწინააღმდეგოს ამბობდა, სახელდობრ იმას, რომ „ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის... ჯერ კიდევ ძალიან და ძაბიან დიდხანს დარჩება მსოფლიო მასშაბით პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შემდეგაც კი“ (ტ. XXV, გვ. 229). როგორ შეიძლება ლენინი დავიმოწმოთ და ამავე დროს ეს მისი ძირითადი მითითება დავივიწყოთ?

მართალია, ერთ-ერთი ყოფილი მარქსისტი, ხოლო დღეს რენეგატი და და რეფორმისტი, ბ-ნი კაუცკი ამტკიცებს რაღაც პირდაპირ იმის საწინააღმდეგოს, რასაც ლენინი გვასწავლის. ლენინის წინააღმდეგ კაუცკი ამტკიცებს, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას ავსტრია-გერმანიის გაერთიანებულ სახელმწიფოში წარსული საუკუნის ნახევარში შედეგად მოყვებოდა ერთი საერთო გერმანული ენის გაჩენა და ჩეხების გაგერმანელება, რადგან „მარტოოდენ ბორკილებისაგან განთავისუფლებული გაცვლა-გამოცვლის ძალა, მარტოოდენ თანამედროვე კულტურის ძალა, რომელიც თან მიჰქონდათ გერმაველებს, ყოველივე ძალდატანებითი გერმანიზაციის გარეშე გერმანელებად გადააქცევდა ჩამორჩენილ ჩეხთა წვრილ ბურჟუებს, გლეხებს და პროლეტარებს, რომელთაც ვერაფერს მისცემდა მათი დაბეჩავებული ეროვნება“ (იხ. „რევოლუცია და კონტრრევოლუცია“-ს გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა). გასაგებია, რომ ასეთი „კონცეპცია“ სავსებით ეთანხმება კაუცკის სოციალ-შოვინიზმს. სწორედ კაუცკის ამშეხედულებებს ვებრძოდი მე 1925 წელს ჩემი გამოსვლის დროს აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში. მაგრამ ნუ თუ ჩვენთვის, მარქსისტებისათვის, რომელთაც გვსურს ბოლომდე ინტერნაციონალისტებად დავრჩეთ, შეიძლება ეჭნეს

რაიმე დადებითი მნიშვნელობა თავგასულ გერმანელი სოციალ-შოვინისტის ამ ანტიმარქსისტულ ლაყბობას? ვინ არის მართალი,—კაუცკი თუ ლენინი? თუ კაუცკი მართალია, მაშინ რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ ასეთი შედარებით ჩამორჩენილი ერები, როგორც ბელოროსები და უკრაინელებია, რომელნიც უფრო ახლო დგანან ველიკოროსებთან, ვიდრე ჩეხები გერმანელებთან, კი არ გარუსდენ საბჭოთა კავშირში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შედეგად, არამედ, პირიქით, აღორძინდენ და განვითარდენ, როგორც თვითმყოფი ერები? რით ავხსნათ, რომ ისეთი ერები, როგორიც არიან თურქმენები, ყირგიზები, უზბეკები და ტაჯიკები (ქართველებსა, სომხებსა და აზერბეიჯანელებზე და სხვ., რომ არ ვილაპარაკოთ), თავისი ჩამორჩენილობის მიუხედავად, არა თუ არ გარუსდენ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებასთან დაკავშირებით, არამედ, პირიქით, აღორძინდენ და განვითარდენ, როგორც თვითმყოფი ერები? განა ცხადი არაა, რომ ჩვენი პატივცემული უკლონისტები, გამოედავენ რა მოჩვენებით ინტერნაციონალიზმს, კლანჭებში ჩაუვარდენ კაუცკისებურ სოციალ-შოვინიზმს? განა ცხადი არაა, რომ როცა ისინი იბრძვიან ერთი საერთო ენისათხის ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, საბჭოთა კავშირის ფარგლებში, არსებითად ცდილობენ აღდგენილ იქნეს წინად გაბატონებული ენის, სახელდობს—ველიკორუსული ენის, პრივილეგიები? სადაა აქ ინტერნაციონალიზმი?

მეორე, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და ეროვნებათა ინტერესების ერთ მთელში შედუღება ეროვნულ სხვადასხვაობათა მოსპობას უდრის. ჩვენ მოვსპეთ ეროვნული ჩაგვრა, მოვსპეთ ეროვნული პრივილეგიები და დავამყარეთ ეროვნული თანასწორუფლებიანობა. ჩვენ მოვსპეთ სახელმწიფოებრივი საზღვრები ამ სიტყვის ძველი გაგებით, სამოქნო სეტები და საბაჟო ზღუდეები საბჭოთა კავშირის ერებს შორის. ჩვენ დავამყარეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამით მოვსპეთ ეროვნული განსხვავებანი: ეროვნული ენები, კულტურა, ყოფა-ცხოვრება და სხვ.? ცხადია, რომ არ ნიშნავს. მაგრამ თუ ეროვნული განსხვავებანი, ენა, კულტურა, ყოფა-ცხოვრება და სხვ. რჩება, განა ცხადი არაა, რომ ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების მოსპობის მოთხოვნა ახლანდელ ისტორიულ პერიოდში რეაქციურ მოთხოვნას წარმოადგენს, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესების წინააღმდეგ? ესმით თუ არა ჩვენს უკლონისტებს, რომ დღეს ნაცრესპუბლიკების და ოლქების მოსპობა ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა მილიონიან მასებს წავართვათ შესაძლებლობა იქონიონ სკოლა, სასამართლო, ადმინისტრაცია, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები მშობლიურ ენაზე, წავართვათ მათ შესაძლებლობა ეზიარონ სოციალისტურ მშენებლობას? განა ცხადი არაა, რომ მოჩვენებითი ინტერნაციონალიზმის გამოდევნებაში ჩვენი უკლონისტები კლანჭებში ჩაუვარდენ რეაქციურ ველიკოროს შოვინისტებს და დაივიწყეს სრულიად, სრულიად დაივიწყეს პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში კულტურული რევოლუციის ლოზუნგი, რომელსაც ერთნაირი ძალა აქვს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებისათვის, როგორც ველიკოროსებისა, ისე არა ველიკოროსებისათვის?

მესამე, ლენინს არასოდეს არ უთქვამს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნაციონალური კულტურის განვითარების ლოზუნგი რეაქციური ლოზუნგია. პირიქით, ლენინი ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ დაეხმარებოდით საბჭოთა კავშირის ხალხებს თავისი ეროვნული კულტურის განვითარებაში. ლენინის, და არა სხვა ვისიმე, ხელმძღვანელობით შეადგინა და მიიღო პარტიის X ყრილობამ რეზოლუცია ეროვნული საკითხის შესაგებ, სადაც პირდაპირ ნათქვამია, რომ:

„პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს არაველიკოროს ხალხთა მშრომელ მასებს დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმაროს მათ: ა) განავითაროონ და განამტკიცონ თავისი საბჭოთა სახელმწიფოებრივობა იმ ფარგლებში, რომლებიც შეეფერება ამ ერების ნაციონალურ ყოფა-ცხოვრებითი პირობებს; ბ) განავითაროონ და განამტკიცონ თავის მშობლიურ ენაზე მომჭმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილი ადგილობრივი პირებისაგან, რომელნიც იცნობენ ადგილობრივ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას და ფსიქოლოგიას; გ) განავითაროონ თავისი პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საზოგადოდ კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი მშობლიურ ენაზე; დ) მოაწყონ და განავითაროონ როგორც საერთო-საგანმანათლებლო, ისე პროფესიულ-ტექნიკური ხასიათის კურსების და სკოლების ფართო ქსელი მშობლიურ ენაზე".

განა ცხადი არ არის, რომ ლენინი სავსებით და მთლიანად იცავდა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნაციონალური კულტურის განვითარების ლოზუნგს?

განა ცხადი არ არის, რომ ნაციონალური კულტურის ლოზუნგის უარყოფა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნიშნავს საბჭოთა კავშირის არაველიკოროს ხალხთა კულტურული ამაღლების აუცილებლობის უარყოფას, საყოველთაო-სავალდებულო განათლების აუცილებლობის უარყოფას ამ ხალხებისათვის ამ ხალხების რეაქციურ ნაციონალისტთა სულიერ მონობაში მოქცევას?

ლენინს ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში, მართლაც, მიაჩნდა რეაქციურ ლოზუნგად. მაგრამ განა შეიძლებოდა სხვანაირად? რა არის ნაციონალური კულტურა ნაციონალური ბურჟუაზიის ბატონობის დროს? თავისი შინაარსით ბურჟუაზიული და თავისი ფორმით ნაციონალური კულტურა, რომლის მიზანსაც შეადგენს მასების მოწამვლა ნაციონალიზმის შხამით და ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცება. რა არის ნაციონალური კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის დროს? თავისი შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა, რომლის მიზანსაც შეადგენს მასების ინტერნაციონალურად აღზრდა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება. როგორ შეიძლება ამ ორი პრინციპულად სხვადასხვა მოვლენის ერთმანეთში არევა მარქსიზმთან კავშირის გაუწყვეტლად? განა ცხადი არ არის, რომ ლენინი, როდესაც იგი ებრძოდა ბურჟუაზიული წყობილების დროს ნაციონალურ კულტურის ლოზუნგს, ილაშქრებდა ნაციონალური

კულტურის ბურჟუაზიული შ ი ნ ა ა რ ს ი ს წინააღმდეგ და არა მისი ნაციონალური ფორმის წინააღმდეგ? სისულელე იქნებოდა გვეთქვა, რომ ლენინი სოციალისტურ კულტურას უყურებდა როგორც უ ე რ ო კულტურას, რომელსაც არა აქვს ესა თუ ის ნაციონალური ფორმა. ბუნდელები ერთ დროს, მართლაც აწერდენ ლენინს ამ უაზრობას. მაგრამ ლენინის თხზულებებიდან ვიცით, რომ იგი სასტიკ პროტესტს აცხადებდა ასეთი ცილისწამების წინააღმდეგ და გადაჭრით გაემიჯნა ამნაირ უაზრობას. ნუ თუ ჩვენი პატივცემული უკლონისტები ბუნდელების კვალს გაყვენ?

რაღა დარჩა ყოველივე ნათქვამის შემდეგ ჩვენი უკლონისტების არგუმენტებიდან?

არაფერი, გარდა ინტერნაციონალიზმის დროშით ჟონგლიორობისა და ლენინისათვის ცილის დაწამებისა.

ვინც ველიკოროსულ შოვინიზმისაკენ იხრება, ბრმად ცდება, როცა ფიქრობს, რომ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში არის ნაციონალური კულტურების დაშლის და ლიკვიდაციის პერიოდი. პირიქით, საქმე სულ საწინააღმდეგოდაა. ნამდვილად პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭოთა კავშირში არის შინაარსით სოციალისტურ და ფორმით ნაციონალურ კულტურათა ა ყ ვ ა ვ ე ბ ი ს პერიოდი. მათ, ცხადია, არ ესმით, რომ ნაციონალურ კულტურათა განვითარება უნდა გაიშალოს ა ხ ა ლ ი ს ი ძ ლ ი ე რ ი თ მშობლიურ ენაზე საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების შემოღებით და გავრცელებით. მათ არ ესმით, რომ მხოლოდ ნაციონილური კულტურების განვითარების დროს შეიძლება ჩამორჩენილი ეროვნებანი ნამდვილად ეზიარონ სოციალისტური მშენებლობის საქმეს. მათ არ ესმით, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურების განვითარების ხ ე ლ ი ს შ ე წ ყ ო ბ ი ს და მ ხ ა რ ი ს დ ა ჭ ე რ ი ს ლენინური პოლიტიკის საფუძველი.

შეიძლება ვისმე უცნაურად ეჩვენოს, რომ ჩვენ, რომლებიც მომხრენი ვართ იმის, რომ მომავალში ნაციონალური კულტურები შ ე დ უ ღ დ ე ნ ერთ საერთო (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურაში, ერთ საერთო ენით, ამავე დროს მხარს ვუჭერთ ნაციონალური კულტურების ა ყ ვ ა ვ ე ბ ა ს ახლანდელ მომენტში, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. მაგრამ ამაში არაფერია უცნაური. ხელი უნდა შეუწყოთ ნაციონალურ კულტურებს განვითარდენ და გაიშალონ, გამოავლინონ მთელი თავისი პოტენცია, რათა შევქმნათ პირობები მათი შედუღებისათვის ერთ საერთო კულტურაში ერთი საერთო ენით.

ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების აყვავება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ერთ ქვეყანაში მათი, შ ე დ უ ღ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ერთი საერთო სოციალისტური (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურაში, ერთ საერთო ენით, როდესაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში და სოციალიზმი შეიჭრება ყოფა-ცხოვრებაში,—სწორედ ამაში მდგომარეობს ნაციონალური კულტურის საკითხის ლენინური დაყენების დიალექტიურობა.

შეიძლება სთქვან, რომ საკითხის ასე დაყენება „წინააღმდეგობრივია“. მაგრამ განა ასეთ „წინააღმდეგობრივობას“ არ შეიცავს ჩვენში სახელმწიფოს საკითხი? ჩვენ სახელმწიფოს კვდომის მომხრენი ვართ და ამავე დროს მხარს ვუჭერთ იმას, რომ გაძლიერდეს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე უფრო მძლავრ და ყველაზე უფრო ღონიერ ხელისუფლებას ყველა დღემდე არსებულ სახელმწიფო ხელისუფლებასთან შედარებით. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი განვითარება სახელმწიფო ხელისუფლების კვდომისათვის პირობების მომზადების მიზნით,—აი მარქსისტული ფორმულა. ეს „წინააღმდეგობრივია“? დიახ. „წინააღმდეგობრივია“. მაგრამ ეს წინააღმდეგობა თვით ცხოვრებაშია და ის მთლიანად გამოხატავს მარქსისტულ დიალექტიკას.

ან, მაგალითად, ლენინური დაყენება საკითხისა ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თვით გამოყოფამდე. ლენინი ზოგჯერ ნაციონალური თვითგამორკვევის თეზისს გამოხატავს მარტივი ფორმულის სახით: „გამოყოფა გაერთიანებისათვის“. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ — გაყოფა გაერთიანებისათვის. ეს პარადოქსადაც კი მოსჩანს. მაგრამ ეს „წინააღმდეგობრივი“ ფორმულა გამოხატავს მარქსისტული დიალექტიკის იმ ცხოველ სიმართლეს, რომელიც ბოლშევიკებს შესაძლებლობას აძლევს აიღონ ყველაზე მიუდგომელი სიმაგრენი ნაციონალური საკითხის სფეროში.

ასევე უნდა ითქვას ნაციონალური კულტურის ფორმულის შესახებ: ნაციონალური კულტურების (და ენების) აყვავება პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ერთ ქვეყანაში იმ მიზნით, რომ მომზადდეს პირობები მათი გაკრობისა და ერთ საერთო სოციალისტურ კულტურად (და ერთ საერთო ენად) შეერთებისათვის მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში.

ვინც ვერ გაიგო ჩვენი გარდამავალი დროის ეს თავისებურება და „წინააღმდეგობრივობა“, ვინც ვერ გაიგო ისტორიული პროცესების ეს დიალექტიკა, ის მარქსიზმისათვის დალუპულია.

ჩვენი უკლონისტების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ესმით და არ სურთ გაიგონ მარქსისტული დიალექტიკა.

ასეთია საქმის ვითარება ველიკოროსულ შოვინიზმისაკენ გადახრის გარშემო. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს გადახრა გამოხატავს წინად გაბატონებული ველიკოროსი ერის მომაკვდავი კლასების მისწრაფებას დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები.

აქედან წარმოსდგება ველიკოროსული შოვინიზმის საფრთხე, როგორც მთავარი საფრთხე პარტიაში ნაციონალური საკითხის ხაზით.

რაში მდგომარეობს ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის არსობა? ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის არსობა მდგომარეობს მისწრაფებაში განცალკევდენ და ჩაიკეტონ თავისი ნაციონალური ნაჭუჭის ჩარჩოებში, მისწრაფებაში მიჩქმალონ თავის ერის შიგნით კლასობრივი წინააღმდეგობანი, მისწრაფებაში დაიცვან თავი ველიკოროსული შოვინიზმისაგან სოციალისტური მშენებლობის საერთო ნაკადიდან განდგომის გზით, მისწრაფებაში არ დაინახონ ის, რაც აახლოვებს, აერთიანებს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა

მშრომელ მასებს, და დაინახონ მხოლოდ ის, რასაც შეუძლია მათი ერთიმეორისაგან დაშორება.

ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატავს წინათ დაჩაგრულ ეროვნებათა მომაკვდავი კლასების უკმაყოფილებას პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით, მათ მისწრაფებას განცალკევდენ თავის ნაციონალურ სახელმწიფოში და დაამყარონ იქ თავისი კლასობრივი ბატონობა.

ამ გადახრის საფრთხე იმაშია, რომ ის ნერგავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ასუსტებს საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთა ერთიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციონისტებს.

ასეთია ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის არსობა.

პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს ამ გადახრასთან და უზრუნველყოს აუცილებელი პირობები საბჭოთა კავშირის ხალხთა მშრომელი მასების ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

ასეთია საქმის ვითარება გადახრების შესახებ ჩვენს პარტიაში, „მემარცხენე“ და მემარჯვენე გადახრების შესახებ საერთო პოლიტიკის სფეროში, გადახრების შესახებ ნაციონალური საკითხის სფეროში.

(ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, პოლიტიკური ანგარიშიდან, გვ. 658—63.)

ბარათების მეორე ჯგუფი ეხება ნაციონალურ საკითხს. ერთ-ერთი ბარათი, რომელსაც მე ყველაზე უფრო საინტერესოდ ვთვლი, ადარებს ნაციონალური ენის პრობლემას ჩემს მოხსენებაში XVI ყრილობაზე იმ განმარტებას, რომელიც მოცემულია ჩემს გამოსვლაში აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში 1925 წელს,—და თვლის, რომ აქ არის ერთგვარი გაურკვევლობა, რომელიც გაფანტული უნდა იქნესო. „თქვენ,—ამბობს ბარათი,—მაშინ ილაშქრებდით სოციალიზმის პერიოდში (ერთ ქვეყანაში) ნაციონალური ენების სიკვდილისა და ერთ საერთო ენის შექმნის (კაუცკის) თეორიის წინააღმდეგ, ახლა კი თქვენს მოხსენებაში XVI ყრილობაზე აცხადებთ, რომ კომუნისტები ნაციონალური კულტურების და ნაციონალური ენების ერთი საერთო ენის მქონე ერთ საერთო კულტურაში გაერთიანების მომხრენი არიან (სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების პერიოდში),—ხომ არ არის აქ გაურკვევლობა?“

მე ვფიქრობ, რომ აქ არ არის არც გაურკვევლობა, არც რაიმე წინააღმდეგობა. ჩემს გამოსვლაში 1925 წელს მე ვილაშქრებდი კაუცკის ნაციონალ-შოვინისტური თეორიის წინააღმდეგ, რომლის თანახმად პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას გასული საუკუნის ნახევარში გაერთიანებულ ავსტრია-გერმანიის სახელმწიფოში უნდა გამოეწვია ერების შედუღება ერთი საერთო გერმანული ენის მქონე ერთ საერთო გერმანელ ერად და ჩეხების გაგერმანება. მე ვილაშქრებდი ამ თეორიის წინააღმდეგ, როგორც ანტიმარქსისტული, ანტილენინური თეორიის წინააღმდეგ, და ვეყრდნობოდი ისეთ ფაქტებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირში, რომლებიც აბათილებენ ამ თეორიას. მე ეხლაც ვილაშქრებ ამ თეორიის წინააღმდეგ, როგორც ეს ჩანს ჩემი საანგარიშო მოხსენებიდან XVI ყრილობა-

ზე. ვილაშქრებ, რადგან თეორია ყველა ენის შედუღებისა, ვთქვათ, საბჭოთა კავშირში, საერთო ველიკოროსულ ერად ერთად-ერთი საერთო ველიკოროსული ენით არის ნაციონალ-შოვინისტური თეორია, ანტილენინური თეორია, რომელიც ეწინააღმდეგება ლენინიზმის ძირითად დებულებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნაციონალური განსხვავებანი არ შეიძლება მოისპოს უახლოეს პერიოდში, რომ ისინი ჯერ კიდევ დიდხანს უნდა დარჩენ—პროლეტარული რევოლუციის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგაც კი. რაც შეეხება ნაციონალური კულტურების და ნაციონალური ენების უფრო შორეულ პერსპექტივას, მე ყოველთვის იმ ლენინური აზრს ვადექი და ახლაც ვადგევარ, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როდესაც სოციალიზმი განმტკიცდება და შევა ყოფა-ცხოვრებაში, ნაციონალური ენები აუცილებლად უნდა შეერთდენ ერთ საყოველთაო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება არც ველიკოროსული, არც გერმანული, არამედ იქნება რაღაც ახალი ენა . ამის შესახებ მე აგრეთვე გარკვევით განვაცხადე ჩემს მოხსენებაში XVI ყრილობაზე.

სად არის აქ გაურკვეველობა და, სახელდობრ, რისი განმარტებაა აქ საჭირო?

როგორც ჩანს, ბარათის ავტორებს სავსებით ვერ გაუგიათ სულ ცოტა ორი რამ.

მათ, უწინარეს ყოვლისა, ვერ გაუგიათ ის, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შევედით ამ პერიოდში, ერები არა თუ ქრებიან—არამედ, პირიქით, ვითარდებიან და აყვავებას იწყებენ. მართლაც, შევედით თუ არა ჩვენ უკვე სოციალიზმის პერიოდში? ჩვენს პერიოდს ჩვეულებრივ უწოდებენ გარდამავალს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ. მას გარდამავალი პერიოდი ეწოდებოდა 1918 წელს, როდესაც ლენინმა თავის შესანიშნავ წერილში „შემარცხენე“ ბავშვობის შესახებ“ პირველად დაახასიათა ეს პერიოდი მისი სამეურნეო ცხოვრების ხუთი წყობით. მას გარდამავალი ეწოდება ახლაც 1930 წელს, როდესაც ზოგიერთი ეს წყობა, როგორც დრომოჭმული, უკვე იძირება, ხოლო ერთ-ერთი წყობა, სახელდობრ ახალი წყობა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში, გაუგონარი სისწრაფით იზრდება და ვითარდება. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს ორი გარდამავალი პერიოდი ერთი-და-იგივეა, რომ ისინი ძირიანად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? ცხადია, რომ არ შეიძლება. რა გვქონდა ჩვენ 1918 წელს სახალხო მეურნეობის დარგში? დანგრეული მრეწველობა და ასანთებლები, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, როგორც მასიური მოვლენის უქონლობა, „ახალი“ ბურჟუაზიის ზრდა ქალაქში და კულაკობის ზრდა სოფლად. რა გვაქვს ჩვენ ახლა? აღდგენილი და რეკონსტრუქციის გზაზე შემდგარი სოციალისტური მრეწველობა, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების განვითარებული სისტემა, რომლებსაც უკავია მთელი ნათესის 40 პროცენტზე მეტი საბჭოთა კავშირში, მხოლოდ საგაზაფხულო ნათესების ხაზით, მომაკვდავი „ახალი“ ბურჟუაზია ქალაქად, მომაკვდავი კულაკობა სოფლად. აქაც გარდამავალი პერიოდია. აქაც გარდამავალი პერიოდია. და ისინი მაინც ძირიანად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. და მაინც არავის არ

შეუძლია უარყოს, რომ ჩვენ ვდგევართ უკანასკნელი სერიოზული კაპიტალისტური კლასის, კულაკობის კლასის, ლიკვიდაციის წინ. აშკარაა, რომ ჩვენ უკვე გამოვედით გარდამავალი პერიოდიდან მისი ძველი გაგებით და შევედით მთელ ფრონტზე პირდაპირი და გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში. აშკარაა, რომ ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში, ვინაიდან დღეს სოციალისტური სექტორის ხელშია მთელი სახალხო მეურნეობის ყველა სამეურნეო ბერკეტი, თუმცა სოციალისტური საზოგადოების აშენებამდე და კლასობრივ განსხვავებათა მოსპობამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ. და მაინც, მიუხედავად ამისა, ნაციონალური ენები არა თუ ქრებიან ერთდებიან ერთ საერთო ენად, არამედ, პირიქით, ნაციონალური კულტურები და ნაციონალური ენები ვითარდებიან და ყვავდებიან. განა აშკარა არ არის, რომ თეორია ნაციონალური ენების გაქრობისა და შეერთებისა ერთ საერთო ენად ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ფართოდ გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის არსებობის პერიოდში, არის უმართებლო, ანტიმარქსისტული და ანტილენინური თეორია?

მეორე, ბარათის ავტორებს ვერ გაუგიათ, რომ ნაციონალური ენების გაქრობის და მათი ერთ საერთო ენაში შეერთების საკითხი არ არის შინასახელმწიფოებრივი საკითხი, არ არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი, არამედ საერთაშორისო საკითხი, სოციალიზმის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვების საკითხი; ბარათის ავტორებს ვერ გაუგიათ, რომ არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში და სოციალიზმის გამარჯვება საერთაშორისო მასშტაბით. ლენინი ტყუილა კი არ ამბობდა, ნაციონალური განსხვავება ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება პროლეტარიატის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვების შემდეგაც კი. ამას გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც დამოკიდებულება აქვს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ეროვნებებთან. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედის უკრაინა, მაგრამ არის სხვა უკრაინაც, რომელიც შედის სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედის ბელოროსია, მაგრამ არის სხვა ბელოროსიაც, რომელიც შედის სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში. ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ უკრაინული და ბელოროსული ენის საკითხი შეიძლება გადაიჭრას ამ თავისებური პირობების გარეშე? აიღეთ, შემდეგ საბჭოთა კავშირის ეროვნებანი, რომლებიც მოსახლეობენ მის სამხრეთ საზღვარზე, აზერბეიჯანიდან ყაზაკსტანამდე და ბურიატ-მონღოლეთამდე. ყველა ისინი იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც უკრაინა და ბელოროსია. გასაგებია, რომ აქაც მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ეროვნებათა განვითარების თავისებური პირობები. განა აშკარა არ არის, რომ ყველა ეს და მათი მსგავსი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ნაციონალური კულტურების და ნაციონალური ენების პრობლემასთან, არ შეიძლება გადაიჭრას ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, საბჭოთა კავშირის ფარგლებში?

აი როგორაა საქმე, ამხანაგებო, ნაციონალური საკითხის მხრით საერთოდ და ხსენებულ ბარათში ნაციონალური საკითხის დასმის მხრით კერძოდ.

(იქვე, გვ. 933—71.)

ნაციონალური საკითხი. აქაც აგრეთვე, ნაციონალური საკითხის დარგში, ისე როგორც სხვა საკითხების დარგში, პარტიის ერთი ნაწილის შეხედულებებში ადგილი აქვს არევ-დარევას, რომელიც ერთგვარ საფრთხეს ქმნის. მე ვლაპარაკობდი კაპიტალიზმის ნაშთების გამძლეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში გაცილებით უფრო გამძლეა ნაციონალური საკითხის დარგში, ვიდრე რომელიმე სხვა დარგში. ისინი უფრო გამძლეა, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა ქარგად შეინილბონ თავი ნაციონალური კოსტიუმით. ბევრი ფიქრობს, რომ სკრიპკინის შეცოდება ცალკეული შემთხვევაა, საერთო წესიდან გამონაკლისია. ეს არ არის მართალი. სკრიპკინის და მისი ჯგუფის შეცოდება უკრაინაში გამონაკლისი არ არის. ასეთივე ნაღრძობები ემჩნევა ცალკე ამხანაგებს სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებშიც.

რას ნიშნავს გადახრა ნაციონალიზმისაკენ,—სულ ერთია, საქმე ეხება გადახრას ველიკოროსული ნაციონალიზმისაკენ თუ გადახრას ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ? ნაციონალიზმისაკენ გადახრა არის მუშათა კლასის ინტერნაციონალური პოლიტიკის შეგუება ბურჟუაზიის ნაციონალისტურ პოლიტიკასთან. ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატავს, „თავისი“, „ნაციონალური-ბურჟუაზიის ცდებს, რომ ძირი გამოუთხაროს საბჭოთა წყობილებას და აღადგინოს კაპიტალიზმი. ორივე გადახრის სათავე, როგორც ხედავთ საერთოა. ეს არის ლენინური ინტერნაციონალიზმისაგან დაშორება. თუ გსურთ ბრძოლის ცეცხლი მიმართული იყოს ორივე გადახრის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა უნდა ურტყათ ამ სათავეს, იმათ, რომელნიც შორდებიან ინტერნაციონალიზმს, სულერთია საქმე ეხება ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ გადახრას თუ ველიკოროსულ ნაციონალიზმისაკენ გადახრას (მჭუხარე ტაში).

დაობენ იმაზე, თუ რომელი გადახრა წარმოადგენს მთავარ საფრთხეს, ველიკოროსული ნაციონალიზმისაკენ გადახრა თუ ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ გადახრა? თანამედროვე პირობებში ეს არის ფორმალური და ამიტომ ფუჭი დავა. სისულელე იქნებოდა მოგვეცა ყველა დროისა და პირობისათვის გამოსადეგი მზა-მზარეული რეცეპტი მთავარი და არამთავარი საფრთხის შესახებ. ასეთი რეცეპტები საერთოდ არ მოიპოება ბუნებაში. მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ის გადახრა, რომლის წინააღმდეგ შეწყვიტეს ბრძოლა და რომელსაც ამგვარად საშუალება მისცეს გაზრდილიყო სახელმწიფო საფრთხემდე (ხანგრძლივი ტაში).

უკრაინაში ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად გადახრა უკრაინულ ნაციონალიზმისაკენ არ წარმოადგენდა მთავარ საფრთხეს, მაგრამ როდესაც ხელი აიღეს მასთან ბრძოლაზე და საშუალება მისცეს მას იქამდე გაზრდილიყო, რომ იგი ინტერვენციონისტებს დაუკავშირდა, ეს გადახრა მთავარ საფრთხედ იქცა. საკითხი მთავარი საფრთხის შესახებ ნაციონალური საკითხის სფეროში წყდება არა ცარიელი ფორმალური დავით, არამედ მოცემულ მომენტში საქმის მდგომარეობის მარქსისტული ანალიზით და იმ შეცდომების შესწავლით, რომლებიც დაშვებულია ამ სფეროში.

(ი. სტალინი, საანგარიშო მოხსენება 17 პარტყრილობას, გვ. 78—80.)

ლიტერატურა

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი

1. მანიფესტი კომუნისტური პარტიისა, თარგმანი მალ. ტროშელიძის, სახელგამი, 1931 წ.
2. წერილები, სახელმწ. გამომცემლობა, 1923 წ. ვ. ადორატსკის წინასიტყვაობით.
3. Brife an A. Bebel, W. Libknecht, K. Kautsky und andere, I, 1933.
4. Сочинения т. IV.
5. Gesamtausgabe, erste abt., b. 5, Die Deutsche ideologie, 1845—1846. Moskov, 1933.
6. Архив К. Маркса и Фр. Энгельса т. II.
7. Сочинения, том XVI.

კ. მარქსი

8. კაპიტალი, I ტ., თარგმანი გერმანულიდან მალ. ტროშელიძის რედაქციით, სახელგამი 1930 წ.
9. კაპიტალი, III_1 ტ., მალაქია ტროშელიძის რედაქციით, თარგმანი გერმანულიდან ფ. გოგიჩაიშვილის, სახელგამი 1932 წ.
10. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, მ. ტროშელიძის რედ. თარგმანი ფ. გოგიჩაიშვილის, სახელგამი 1932 წ.
11. გოთას პროგრამის კრიტიკა, მალ. ტროშელიძის რედ., თარგმანი გ. გამყრელიძის, სახელგამი 1932 წ.
12. წერილები, სახ. გამომცემლობა.
13. კრიტიკული შენიშვნები ადოფ ვაგნერის წიგნზე, კ. ორაგველიძის წინასიტყვაობით, ტფილისი 1933 წ.

ფრ. ენგელსი

14. ანტი-დიურინგი, მ. ტროშელიძის რედ., თარგმანი გ. ქიქოძის, სახელგამი 1933 წ.
15. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, მ. ტროშელიძის რედ., თარგმ. გ. ქიქოძის, სახელგამი 1932 წ.
16. წერილები კუგელმანისადმი, 1934 წ., პარტგამომცემლობა.
17. Naturdialektik, რუსულად Архив К. Маркса и Фр. Энгельса, ტ. II, 1925 წ., იგივე, Диалектика природы, 1932 წ., აქედან რამდენიმე ადგილი მოთავსებულია მ. გოგიბერიძის „ისტ. მატერიალიზმის ქრესტომატიაში“, ტფილისი, 1929 წ.

ვ. ლენინი

18. თხზულებანი, 13 და 18 ტ., მამია ორახელაშვილის რედაქციით, სახელგამი.
19. რჩეული ნაწერები, ტ. 2 და 3, ფ. მახარაძის რედაქციით, სახელგამი 1933 წ.
20. ეროვნული საკითხი, თხზ. 19 ტ., 1924 წ. სახ. გამომცემლობა.
21. Сочинения, том 13, 17, 16, 18.
22. Избр. пр., 2 и 3 т.
23. О национальном вопросе, 1925 г. Госиздат.

ი. სტალინი

24. ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეექვსე რუსული გამოცემიდან, პარტგამომცემლობა, 1933 წ.
25. პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ნაციონალურ საკითხში, მოხსენება X პარტყრილობაზე, პარტგამომცემლობა, 1933 წ.
26. ნაციონალური საკითხი, მოხსენება პარტიის მე-12 ყრილობაზე, 1923 წ.
27. საანგარიშო მოხსენება პარტიის მე-17 ყრილობას, პარტგამოც., 1934 წ.
28. Марксизм и национальный вопрос, сб. статей, 1920 г.

ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
САЗАКЛЕМО КРЕДАЧЕЛО САХ. УНИВЕРСИТЕТИ 1934.

ი. აბულაძე

ტერმინი „გურჯი“-ს ეტიმოლოგიისათვის.[1]

წმინდა კულტურულ-ისტორიული საკითხების შესწავლისათვის სხვა ისტორიულ მასალებთან შედარებით, არა ნაკლები, თუ არა მეტი, მნიშვნელობა ეძლევა ძველ გეოგრაფიულ ნომენკლატურას, რადგან ამა თუ იმ ეროვნული ერთეულის, როგორც ნამდვილ, ქართულის, ისე უცხო, სახელწოდების ეტიმოლოგიაში მტკიცედ არის დაცული უტყუარი ცნობები ამა-თუ-იმ ერის მეზობელ ერებთან უთიერთობის ისტორიის შესახებ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულმცოდნეობის ლიტერატურაში ადგილობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლის საქმეს დღემდის, არა თუ მეტისმეტად მცირე,—შეიძლება ითქვას,—თითქმის არავითარი ყურადღება მიქცეული არა აქვს.

ამ ხუთი წლის წინად, მე ხელი მოვკიდე სპარსულ-ქართულ ბგერათა შესატყვისობის შესწავლას, და ამ დროს, სხვათაშორის, ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა საქართველოს ნომენკლატურისათვის ხმარებულმა სპარსულ-არაბულმა გეოგრაფიულმა სახელწოდებამ, რომლის აზრი და წმინდა სპარსული ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, ჩემ მიერ მისთვის ჩაკვირვებისა და სათანადო ბგერებრივი ანალიზის შემდეგ, ჩემთვის ცხადი შეიქნა, და ახლა მე მსურს გავჩერდე ჩემი აღნიშნული კვლევა-ძიების მიღწევების ერთ ნიმუშთაგანზე ანუ სახელდობრ, მოკლედ აღვნიშნო და გაუსვა ხაზი სიტყვა „ქართველი“-ს აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული ტერმინის „გურჯი“-ს ეტიმოლოგიას.

როგორც ცნობილია არაბები და სპარსელები ქართველს უწოდებენ Gurd-i-ს „გურჯი“-ს და, აქედანვე, თვით საქართველოს—გურჯისტანს Gurdistan-ს, სპარსული სუფიქსით ستان, stan რომელიც ჟღერის ადგილის აღმნიშვნელ ქართულ სუფიქსს ეთ-ს.

საკითხავია, მაშასადამე, თუ სად უნდა ვეძებოთ სიტყვა „გურჯი“-ს ეტიმოლოგია?

როგორც მე უკვე აღნიშნული მაქვს,[1] ჩვენს უძველეს მატიანეში და მის ძველ სომხურ თარგმანში, მეტის-მეტად წმინდად არის დაცული ეპითეტი „გორ-

[1] წაკითხული იყო ტფილისში საჯაროდ საუნათმეცნიერო საზ. კრებაზე 1928 წლის 2 აპრილს.

[2] ჩემი რეცენზია კორნ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის 1-ელი ტომის შესახებ: „ქართული სიტყვა“ 1923 წ. №№ 16, 18, 19.

გასალი", სომხ. **Գուրգասար**, რომელიც არის იგივე სპარსული „გორგასარი", რაც ჰნიშნავს **მგელთავას**, ვინაიდან გურგსარები მგელთავიანები და საგსარები ძაღლთავიანები ძველ სპარსულ ლეგენდებში და „შაჰ-ნამე"-ში ირანელთა ფანტასტიურ მტრებად ითვლებიან და არიან, მაშასადამე, *თურანელთა აღმნიშვნელი ეპითეტები,—იმ თურანელებისა, რომელთაც სპარსელები მთელს თავის ისტორიულ წარსულში თავიანთ მოსისხლე მტრებად სახავდენ*[1].

ჩვენის აზრით, ამავე სპარსული წყაროდან გამომდინარეობს ეს ქართველის აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული სახელწოდება „გურჯი"-ც, რომელიც აშკარად იგივეა, რაც ევხტანგის ეპითეტის „გორგასარი"-ს პირველი ნაწილი „გორგ", resp. არაბიზ. „გურგ"—**მგელი**.

და მართლაც:

ამ სიტყვის ამგვარი გეოგრაფიული სახელწოდების ფუნქციით ხმარებას მთელს სპარსულ ისტორიულ წარსულში მეტისმეტად გარკვეული სახე აქვს. ჩვენ სრული საბუთი გვაქვს აღვნიშნოთ უხსოვარი დროიდან დაწყებული დღემდე ამ სიტყვის ფორმის თანდათანი გავითარების ყველა ეტაპი.

როგორც უკვე ზემორე შევნიშნეთ, ირანის უხსოვარი დროიდან ნაანდერძევ ლეგენდარულ ამბებში გორგსარებად სახავდენ ირანელები თავიანთ მოსისხლე მტრებს თურანელებს.

ესევე ძველი ირანული ტრადიცია ნათლად არის წარმოდგენილი ირანის ნამდვილ ისტორიაშიც: დავიწყოთ ირანის ისტორიის უხსოვარი დროიდან:

ჩვენ გვაქვს იმის უეჭველი საბუთი, რომ სამუალო აზიიდან ახლად მოსული მიდიელებისა და, საერთოდ, არიელი სპარსელების მოძრაობა ირანის აღმოსავლეთის ნაწილიდან დასავლეთისაში თავდაპირველად ხდებოდა ჩრდილოეთის ერთად-ერთი მთავარი გზით: ეს გზა მიდიოდა იმავე მიმართულებით, რომლითაც გადიოდა, საერთოდ, მთავარი გზა დასავლეთის აზიიდან აღმოსავლეთისაში, სახელდობრ, ირანის მაღლობის ჩრდილოეთით მოსაზღვრე მთების სამხრეთის ფერდობის დასწვრივ, რადგან კასპის ზღვის სამხრეთის სანაპირო დაკავებული ჰქონდა ა. წ. არაარიული ნათესაობის ტომებს, რომლების გამოც ამ გზით მგზავრობა მეტისმედად საშიში იყო.

უეჭველია ისიც, რომ ეს მოძრაობა დაიწყო ჯერ კიდევ მე-VII-ე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, რადგან არიული საკუთარი სახელები გვხვდება უკვე სარგონის წარწერებში 721—705 წწ-ამდე[2], და აი სწორედ ამ დროს ჩნდება ეს ჩვენთვის საინტერესო არიული სიტყვა,—სახელწოდება ჰირკანია, რომელიც იგივეა, რაც ძველ-სპარსული Vrkana—მგელთა ქვეყანა,—მგელთა—სიტყვისაგან Vehrek—Vehreka, ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსით ana. ამნაირად ყველასათვის ცხადია, რომ ჰეროდოტეს ჰირკანია (1,125) იგივეა, რაც ძველი სპარსული Vrkana, ანუ „მგელეთი",—როგორც ეს დღეს ცნობილია, საზოგადოდ, ირანმცოდნეობის ლიტერატურაში.

---

[1] Th. Noeledecke, Das Jranische Nationalepos, 32 და ჩვენი: ვეფხისტყაოსნ-ის 22-ე გამოცემის შესავალი, გვ. XXX, შენიშვნაში.

[2] В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, გვ. 54.

როგორც ვიცით, დარიოზის მამამ დარიავუშ ვიშტასპამ 518 წელს ჩვენს ერამდე, წმინდა სპარსული ტომის—პართელების—აჯანყების ჩაქრობასთან ერთად, ჰირკანელების აჯანყებასაც ბოლო მოუღო. მაგრამ, როგორც ჩანს, ამაზე ადრეც ირანელებთან ჰირკანელების ბრძოლას ხანგრძლივი და სასტიკი პროცესი უნდა განეცადა, რადგან მათმა მიწა-წყალმა უხსოვარი დროიდან დაიმსახურა სპარსული „ჰირკანია“-ს, ანუ „მგელეთი-“ს სახელწოდება.

აი სწორედ დაახლოებით ამ ხანებში ყოველშემთხვევაში ჩვენ ვხვდებით ამ წმინდა ძველსპარსულ გეოგრაფიულ ტერმინს „ჰირკანია“-ს, საითკენაც, აკად. ბარტოლდის გამოკვლევით[1], მიდიოდა ჩრდილოეთის მთავარი გზა კომისენე-ს (არაბ. კუმისი) მხრიდან კასპის ზღვისაკენ, სახელდობრ, კასპ-ის ზღვის შეშრთე მდინარე გურგენ-ის ნაპირებამდე.

აქ საყურადღებოა ის, რომ, როგორც მდინარე გურგენი, ისე თვით კასპის ზღვა, ძველად ატარებდენ ამავე გურგ-ის შემცველ სიტყვებს, რადგან კასპის ზღვასაც გურგანის ზღვა ეწოდებოდა.

არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დაახლოებით მეხუთე საუკუნის ნახევარში ფარსის ტომის, ანუ, უკეთ, წმინდა სპარსული ეთნოგრაფიული ჯგუფის, შერევისაგან სპარსეთის მიწა-წყალზე დამკვიდრებულ მასებში შეიცვალა ტერმინი Vehrek-vrk—წმინდა სპარსულ „გორგ“-ად.

მართლაც, ამ წმინდა სპარსული ტომის მოძრაობა ირანის აღმოსავლეთის ნაწილიდგან დასავლეთისაში, როგორც ცნობილია, ხდებოდა მეორე მთავარი გზითაც, სახელდობრ, ეს იყო სამხრეთის გზა, რომელიც, აკად. ბარტოლდის გამოკვლევით, გადიოდა სეისტანიდან ქირმანამდე და იქიდგან ფარსამდე, რადგან ჰეროდოტე უკვე[2] აკუთნებს მათ ავრეთვე ჰედრუსებსა და ქირმანებს (1,125).

ამავე სპარსული ტომის დიალექტის გავლენით აიხსნება, ჩვენის აზრით, ის, რომ არაბთა ეპოქაში უკვე სახელწოდება „ჯრკანია“ იხმარებოდა ახალი სპარსული ფორმით ﮔﺮﮔﺎﻥ Gorgan, რადგან ჯ-იაფეის არაბ. ﮔ-იმად გადაბგერების თანახმად, მას არაბულად ეწოდება ﺟﺮﺟﺎﻥ Durdan ან სპარსიზირებული არაბული Dordan—ჯორჯან-ი.

ამნაირად ცხადზე უცხადესია ის, რომ „ჯრკანია“,—„გორგან“-ი ან „გურგანი“ და უკანასკნელისაგან არაბული „ჯურჯანი“ (შეად. სპარს.-ქართ. „ჯორჯან“-ი, ან ქართიზირებული „ჩორჩანი“)—არის ის ადგილი, სადაც უხსოვარი დროიდან ბინადრობდენ არაარიული, და, მაშასადამე, სამხრეთით ახლად დამკვიდრებული წმინდა არიელი სპარსელების მოსისხლე მტრები, რომლებსაც ამ თაეიანთ ახალ მეზობლებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ[3].

[1] Ibid., 3.
[2] Ibid., 59.
[3] შემდეგშიაც მუდამ გზა კუმისით იმდენად საშიშარი და გაუვალი იყო ამ სპარსელი ტომებისათვის არაბებისაგან გურგანის დაპყრობამდე, ანუ, უკეთ, 717 წლამდე,—როდესაც ადგილი ჰქონდა ამ დაპყრობას,—რომ ხორასანის ერისთავები ვერ ბედავდენ ჩრდილოეთის მთავარი გზით მგზავრობას, რის გამოც ეს უკანასკნელები იძულებული იყვნენ, ქირმანს გამგზავრების დროს, სამხრეთის სპარსეთით ემგზავრათ იხ. В. Бартольд, op. cit. გვ. 56.

ეხლა მივმართოთ ბგერებრივ ანალიზს, რომ დავინახოთ, თუ როგორ სავსებით მართლდება 𐬜𐬭𐬐 ის 𐬜𐬭𐬀-ად („Gurg"-ის „Gurd"-ად) გადასვლა.

ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა გამოვიძიოთ, მთელი წყება ფაქტების მიხედვით, ამ ჩვენთვის საინტერესო სპარსული სახელწოდების „გურჯ"-ის ფორმათა თანდათანობითი ცვალება, ძველირანულიდან დაწყებული, ვიდრე ახალ სპარსულამდე.

ასე, მაგ., ჩვენა გვაქვს ძველსპარსული Vrkana (Vehrk, Wurk) აქედგანვე Υρκανια (ჰეროდოტესი) და ახალსპარსული იდენტიტეტები Gorgan და Gurdan, ან არაბიზირებული Durdan და სპარ. ᵒ-ს გამოთქმით Dordan. ხოლო ტერმინში „გურჯი" Gurd-i ჩვენა გვაქვს ნახევრად არაბიზირებული სიტყვა, სრულიად არაბიზირებული Durd-i-ს („ჯურჯ"-ის) ნაცვლად, რადგან, სიტყვის არაბიზაციის დროს, ყველაზე მეტად ექვემდებარება ცვალებას განაპირა ბოლო ასო g, რასაც აშკარად ვხედავთ წმინდა სპარსული სახელების არაბიზირების მაგალითებზე ტაბარიდან და სხვა უფრო ძველი სპარსული ძეგლებიდან:

ასე, მაგ., ჩვენა გვაქვს buzurd სპარ. bozorg-ის ნაცვლად, აგრეთვე Bahram Dur (ბაჰრამ ჯურ-ი) სპარს. B.-Gur-ის ნაცვლად.

თვით Gurd-i ქართველის მნიშვნელობით წარმოდგენილია მეზობელი ერების ენებზე მთელი წყება სხვაობებით:

ასე, მაგ.; ჩვენა გვაქვს:

1) სომხ. վիրք Virq ძველსპარსული Vehrk+q მრ. რიცხვის სომხ. დაბოლოებით, ასე რომ Verkq ისაგან გვაქვს სომხ. Verq [1]—საქართველო,—ფორმა, რომელიც არსებითად წარმოადგენს Vrkana-ს ანუ ჰეროდოტეს ჲრკანია-ს იდენტიტეტს.

2) არაბ. Durd, სირ. Gurz და არაბიზ. Durzân, Durdân და სირ. Gurzân.

3) რუსული Грузин და Грузия.

ამ ფორმებში ყველაზე ძველი, რასაკვირველია, არის სომხ. վիրք, რადგან იგი ყველაზე ახლოა ძველ ირანულ, Wrkana—ზე და ბერძნულ Υρκανια—ზე [2] შემდეგ მიდის არაბულ—სირიული ფორმა Gurz და Durzân (ახალ სპარსული gorg და gurg—იდან) და არაბიზ. Gurd ანუ Durd, სადაც ჩვეულებრივ, ისევე როგორც ქართულ ნიადაგზე გუტურალი ჴ (G) გადადის ან პალატალ ძ—იმად, ან j—Z-ად.

---

[1] Marquart—მარქვარტი ZDMG—ში, 1895, 632 შენიშვნაში—Hyrcanoi=Wirk Iberer=ამბობს: Υρκανοι ist hier Wiedergabe des Armenischen Namens der Iberer, plur Wirk, persisch Warč Gurg და სხვა. იქვე სქოლიოში: so گرگ heisst das Volk bei spätern Arabern, z. b. jakut, IV, 251 (ჯორ) 18 ft. arabische Form ist aber جرزان

[2] მარქვარტი (იხ. წინა შენიშვნა სხოლიოში) სრულიად საფუძვლიანად უახლოებს ურთმანეთს ფორმებს სომხ. wirk და ჰეროდოტეს Υρκανιε. ეს უკანასკნელი კი არის სრული იდენტიტეტი ძველირანული Vrkana-სი, რაც მგელეთს აღნიშნავს.

ხოლო რაც შეეხება რუსულ ფორმას Грузия—ას, ეს არის იგივე არაბულ -სირული Gurz—Gurd—იდანვე მიღებული, სადაც ასოები u და r გადასმულ-გადმოსმულია ერთი მეორის ალაგას, და, მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ მეტათეზისთან.

მაგრამ ყველა ეს კიდევ ცოტაა.

ქართველისთვის ამ სპარსულ ტერმინს gorg, resp gurg,—ქართული სახელმწიფოებრივობის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდში,—მეტის მეტად რეალური მნიშვნელობა ჰქონდა.

ასე, მაგ., ქართულ მატიანეში სიტყვა „გორგ" ხვდება ისეთი ლეგენდარული პიროვნების ეპითეტის შემადგენლობაში, როგორიცაა ვახტანგ გორგასალი.

როგორც ვიცით, უძველეს ქართულ მატიანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ" (მე-X-ე ანუ, უკეთ, მე-IX-ე საუკ). ხვდება მხოლოდ ეპითეტი „გოლგასარი", მაგრამ თვით ლეგენდა ვახტანგ გორგასალის შესახებ, როგორც ჩანს, არსებობდა უფრო ადრე.

მართლაც,—ფორმა „გოლგასარ"-ი ნათლად მოწმობს, რომ მე-IX-ე საუკუნეში ჯერ კიდევ კარგად ესმოდათ მოცემული ეპითეტის აზრი და მნიშვნელობა, რადგან აქ სწორი ფორმით არის შენახული მისი მეორე ნაწილი „სარ"—sar—თავი, მის პირველ ნაწილში „გორგ"-ში რ-ე კი გადავიდა ლ-სად, ქართული ფონეტიკის თანახმად: ქართულში ნარნარები ლ და რ ერთიდა იმავე სიტყვის სხვადასხვა მარცვლებში ხშირად ერთი მეორეს ვერ იტანს იმშემთხვევაში, თუ 2 რ ან 2 ლ ხვდება, რითაც აიხსნება გორგასარ—ის პირველ ნაწილში „გორგ"-ის „გოლგ"-ად ქცევა. მაგრამ მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრება"-ში (IX საუკ). ეს სიტყვა ხვდება უკვე ფორმით გორგასალ-ი, სადაც 1-ელ ნაწილში ფორმა „გოლგ" შეცვლილია „გორგ"-ად, მაგრამ, ამასთან ერთად მის მეორე ნაწილში „სარ"-ში „რ" გადავიდა „ლ"-ასად.

ქართული მატიანის ძველსომხურ თარგმანში სათაურით *Համառօտ պատմութիւն վրաց*—ჩვენ უკვე ვხვდებით არაბიზირებულ ფორმას „გურგასალ" ე. ი. წმინდა სპარსული ფორმის—„გორგ"-ის ნაცვლად გვხდება „გურგ. დასასრულ, ქართლის ცხოვრების ვახტანგ VI-ის რედაქციის თითქმის ყველა უგვიანეს ხელნაწერებში,—ვახტანგის შესახებ მოთხრობის სათაურში,—გვხვდება „გურგასლანი", რაც მგელლომ-ს მნიშნავს, რის შესახებ აკად. ბროსე აკეთებს შენიშვნას სქოლიოში მისი გამოცემის ტექსტისათვის [1]. თვითეული ამ სხვაობათაგანი იძლევა მთელი ეპოქის აშკარა ანარეკლს:

ასე, მაგ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შემდგენელს ჯერ კიდევ კარგად ესმოდა ეპითეტის გოლგასარ-ის მნიშვნელობა, რადგან ეს ეპითეტი ნასესხები იყო ძველ-ირანული ლეგენდიდან გურგსარების შესახებ, რაც აშკარად ჩანს ისეთი სწორი ფორმისაგან, როგორიცაა „გოლგასარი, სადაც ქართული ხალხური ენის ნიადაგზე „რ" პირველ ნაწილში გადავიდა „ლ"-ასად. სრულიად

[1] გვ. 108, შენიშვნა 1-ელი: M-ss—ცხოვრება გურგასლანისა.

აგრეთვე შვენიერად ესმოდათ ეს სიტყვა არსებული მატიანეების შემდგენლებსაც, სადაც მემატიანე, ერთის მხრით, მის მიერ მოტანილი სპარსული ფრაზის—dur āz Gorgasal,—რომელსაც ვითომდა წარმოსთქვამდენ სპარსელები ვახტანგის დანახვაზე ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში,—შესახებ—იძლევა მის სწორ განმარტებას სიტყვებით: „მიჰრიდეთ თავსა მგლისასა", მაგრამ, ბოლორეს მხრით, შემდეგში—ფორმაში „გორგასალ", როგორც ჩანს, მეორე ნაწილი „ასალ" გაგებულ იქნა, როგორც თათრული სიტყვა „ასლან"—ლომი და, ამგვარი გაგების თანახმად, უკვე შექმნილა ლეგენდა იმის შესახებ, რომ ვახტანგ გორგასალმა გაიკეთა თავისთვის ჩაბალახი ოქროსაგან, რომლის წინა მხარეზე გამოხატული იყო მგელი, უკანა მხარეზე კი—ლომი, რისთვისაც მას სპარსელებმა უწოდეს „გურგასალი". შემდეგ აქედანვე გამიღებულ იქმნა ძველსომხური თარგმანით ფორმა *վուրգասալ*—და ამ უკანასკნელისაგან კი—„გურგასლანი".

მართალია, ჩვენი მატიანეების ვახტანგის შესახებ ამბები საერთოდ წმინდა ლეგენდარულ ცნობებს წარმოადგენენ, მაგრამ, პროფ. ვ. ბოლოტოვის მახვილგონიერი შენიშვნით, მათში შეუძლია იპოვოს მოცემული საკითხით დაინტერესებულმა მკვლევარმა ისტორიული გადმოცემის ჩანასახიც [1].

აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის გარემოება, რომელსაც ყველაზედ ადრე მიაქცია ყურადღება იმავე ბოლოტოვმა, სახელდობრ, იმას, რომ ვახტანგ გორგასალი ამავე დასახელებული ეპითეტით „გორგასალი"-თ არ იცის ბიზანტიურ-რომაულმა წყაროებმა [2].

ამ წყაროებით, ვახტანგის მეფობის მთელს სივრცეზე 446—499 წლებამდე, და მას შემდეგაც, ივერიის მეფეებად დასახელებული არიან ორი გურგენ, რომელთაც ბრძოლა აქვთ სპარსელებთან ქრისტიანობის აღსარებისათვის და, განსაცდელის დროს, თავს აფარებენ ბიზანტიის მეფეებს. პროკოპი კესარიელის მოწმობით, პირველი ამ ორ გურგენთაგანი, დევნილი სპარსთა მეფის კობადის (ანუ კავადის) მიერ ქრისტეს აღსარებისათვის, იძულებული გახდა ეთხოვა შველა იუსტინე 1-ლისაგან 522 წელს, მაგრამ, სანამ ბიზანტიელები მას მიეშველებოდნენ, სპარსეთის ჯარი უკვე შემოიჭრა და გაბატონდა საქართველოს მიწა-წყალზე. უბედური მეფე სახლობით და ამალით გაიქცა ლაზიკაში, იქიდან კი გადასახლდა ბიზანტიაში, სადაც მისმა ორმა შვილმა—პერანიოსმა და ბაკურმა დაასრულეს თავიანთი დღენი ბიზანტიის მეფის სამსახურში გენერლებად [3]. ივერიაში ამ დროს ბატონობდნენ სპარსნი და არ აძლევდნენ ქართველებს ნებას აერჩიათ საკუთარი მეფე.

რამდენიმე წლის შემდეგ, ბიზანტიელ მწერალთა თეოფანესა და იოანე ეფესელის მოწმობით [4], გამეფდა მეორე გურგენი, რომლის დროსაც ივერნი

---

[1] Проф. Болотов, Рецензия на кандидатское сочинение студента Г. Гамрекелова—„Церковные Ведомости" 1907 г. № 7 стр. 215—217.

[2] Ibid.

[3] Ibid.

[4] Ibid.

571 წელს ხელმეორედ განუდგნენ სპარსელებს და მიიღეს იუსტინე მე-2-ის ქვეშევრდომობა. ეს გურგენიც გაიქცა კონსტანტინოპოლს და ტახტი ისევ ცალიერი დარჩა. ქართლის ცხოვრებით კი, ამ დროს ჩვენში მეფობდა ბაკურ მე-III-ე, რომლის სიკვდილის შემდგომაც მისი შვილები, მცირე წლოვანობის გამო, ვერარ ადიან ტახტზე, და მხოლოდ 575 წლიდგან ტახტზე ავიდა პირველი ბაგრატიდი კურაპალატი.

ახლა ვიკითხოთ, თუ რას გვეუბნება ჩვენ ეს ვახტანგ გორგასლის ეპითეტების სხვადასხვაობა ჩვენს მატიანეთა კრებულებში ერთის მხრით, და მისი მეფობის შესახებ ცნობათა სხვადასხვაობა ჩვენს მატიანესა და უცხოელ ბერძნულ-რომაულ წყაროებში მეორეს მხრით?

ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ქართული ეროვნული ფანტაზიის შემოქმედების სინთეტიურობასთან, ანუ, უკეთ, რამდენიმე პირის ერთ პირად გარდაქმნასთან, სხვადასხვა პიროვნებათა ერთ პირად განსახიერებასთან.

ამიტომაც აქ ყოვლის უწინარეს ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თავისი შინაარსით და აზრით სახელი გურგენ, (ძველ სომხ. resp. *վրկան* სრულიად იგივეა, რაც ვახტანგის ეპითეტი გორგასალი. ასე, მაგ, გურგენ,—resp. გურგინ,—ზოგჯერ გულისხმობს მგლის სახე დროშას, ან სამოსელს, რომელსაც ატარებდნენ ირანელები თურანელებთან ბრძოლაში. ეაგრამ, აგრეთვე ჩვენ ვიცით, რომ ეს სახელი წარმომდგარია იმავე სიტყვისაგან „გორგ“ (არაბიზ. გურგ და გურჯ—მგელი და აღნიშნავს მგლის მსგავსს), ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ ეპითეტის მატარებელი გმირი მეფე შემდეგში, ისევ იმავე სპარსული ეპიური ამბების გავლენის ნიადაგზე, თანდათან გარდაიქცა ზღაპრულ გმირად და აქ, ჩვენის აზრით, აშკარად შეინიშნება სამი მთავარი ფენა, სახელდობრ:

1. გარდაქცევა 2 გურგენის ერთ პიროვნებად.

2. ძველირანული ზღაპრული ეპითეტის „გორგასარ“-ის გაქართულება ფორმით „გორგასარი“, ან „გორგასალი“.

3. წარყვნა ქართულ ხალხურ ნიადაგზე ცნების „გორგასალი“, რომელიც აღნიშნავდა მგელთავას, და გაჩენა მის ნაცვლად ფორმის „გურგასლანი“ მგელ-ლომის მნიშვნელობით, სიტყვებისაგან: 1) „გურგ“ (ე. ი. ო-ნის უ-ნად ქცევით, ანუ არაბიზირებით) 2) თათრ. „ასლან“—ლომი, და გაჩენა, ამ უკანასკნელ ფორმასთან დაკავშირებით, ზემორე დასახელებული ლეგენდის მგელლომის შესახებ.

ამნაირად, ვახტანგის ეპითეტში „გორგასალ“-ი, რომელიც წარმოადგენს სპარსული „გორგსარ“-ის ქართულად გადმოცემას, ჩვენს წინ არის ქართული ეპიური პიროვნებისათვის მიკუთნებული ნამდვილი შემკრებელობითი სახელწოდება, რომელიც გამოხატავს სამშობლო მიწაწყლის მტრებთან გმირულ ბრძოლას, და აქ ჩვენთვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტს:

ქართული სახელმწიფოებრიობის და ეკლესიურობისათვის ბრძოლის პერიოდში წარმოშობილი იმ ხანგრძლივი მტრული ურთიერთობის გამო, რომელსაც

ადგილი ჰქონდა ქართველებსა და სპარსელებს შორის, უკანასკნელებში ჩნდება სპარსულ-არაბული ტერმინი ﮔﺮﺩ Gurd-i, რომელიც ნიშნავს ქართველს და რომელიც არის არა სხვა, თუ არა იგივე ირანულ-სპარსული ტერმინის „გორგსარ"-ის შემადგენლობაში შემავალი,—როგორც მისი პირველი ნაწილი,—სპარსული სიტყვა ﮔﺮ —„გორგ" resp. გურგ მგელი, —მასში უკანასკნელი ﺭ— იაფის არაბულ ﻍ—იმად შეცვლით და ბოლოში სპარსული ﮒ ნისბეთის (წარმოშობის ﻱ) მიმატებით.

21/III—34 წ.

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საიუბილეო კრებული სახ. უნივერსიტეტი 1934.

ა. პრიგოვინი

დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის წარმოშობა

დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმი წარმოადგენს ფეოდალიზმის, როგორც საზოგადოებრივი ფორმაციის, მხოლოდ ერთ-ერთ სახეობას. დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ განვითარებას ევროპის ხალხებისას, რომლებიც ბინადრობენ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე (დასავლეთით ატლანტის ოკეანედან დაახლოებით ელბა-ვლეთის სიგრძედის მიოცდაჩვიდმეტე მერიდიანამდე, სამხრეთით — ხმელთაშუაზღვიდან დაახლოებით სკანდინავიამდე ჩრდილოეთში) და ფეოდალიზმის ეპოქაში შევიდენ დასავლეთის რომის იმპერიის ვარვარიზაციის შედეგად. დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმი, ამრიგად, ჩაისყალიბდა რომაული და გერმანული „სამყაროების“ თავისებური სინთეზის შედეგად — „სინთეზის“, რომლის შესახებაც ლაპარაკობს მარქსი[1].

ეს სინთეზი მჭლავნდება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზთან დაკავშირებით, რომლებიც შეიქმნა, ერთის მხრივ, დასავლეთის რომის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოების ანტიური წესის კრახის შედეგად და, მეორეს მხრივ, ძველ გერმანულ საზოგადოებაში ტაციტის მიერ აღწერილ ეპოქიდან ე. წ. „ხალხთა დიდი გადასახლების“ ეპოქაში შეჭრის დროისათვის.

საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ჩამოყალიბებულნი რომის იმპერიაში დაცემის ხანისათვის, რომლის ნიშნები უკვე III ს. ჩანდა, დაკავშირებული იყო სოციალური რევოლუციის დასაწყისთან ანტიურობაში, რომელმაც იფეთქა მონათმფლობელური საზოგადოების ეპოქისა და ფეოდალიზმის ეპოქის შუა.

სოციალური რევოლუციის ძირითად ღერძს ანტიურობაში წარმოადგენდა მონათა რევოლუცია, რომელმაც „მოახდინა მონათმფლობელთა ლიკვიდაცია და გააუქმა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა“ (სტალინი). მონათა რევოლუცია, რომელიც მზადდებოდა რომის იმპერიის მთელს მანძილზე, ინასკვებოდა პარცელების აჯანყებებთან ჭალაჭად და სიფლად. რომის იმპერიის დაცემის დროისათვის მონათა რევოლუცია ვითარდებოდა უღარიბესი გლეხების, კოლონების, ნებით განტევებულთა, ხელოსნების და ბარბაროს ჯარისკაცების აჯანყებებთან თავისებური „კავშირის“ საფუძველზე. მონათა რევოლუ-

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 28, 1932 წ.

ცია აძლიერებდა ანტიური საზოგადოების მთავარ წინააღმდეგობას და ძირს უთხრიდა მის საფუძვლებს. მონათა რევოლუცია ქალაქისა და სოფლის პარცელების და ყველა ჩაგრულთა მოძრაობასთან ერთად თავისი მახვილით მიმართული იყო მონათმფლობელური სისტემის წინააღმდეგ და ამ რევოლუციის თითოეული აზვირთება მონათმფლობელურ საზოგადოებას, განწირულს მისი განვითარების იმანენტური კანონებით, აახლოვებდა დაღუპვასთან. სწორედ მონათა რევოლიუციამ და ქალაქისა და სოფლის ჩაგრულთა მოძრაობამ შექმნეს წინაპირობები იმ პროცესების განვითარებისათვის, რომლებიც უკვე ჩანასახში მოასწავებდენ წარმოების ანტიური სისტემის უარყოფას.

მ... წ. „რომის იმპერიის კრიზისი", რომელმაც თავი იჩინა III საუკუნეში, პირველყოვლისა გამომჟღავნდა ფეოდალური ტენდენციების განვითარებაში. გამოდის რა წინააღმდეგ იმ ისტორიკოსებისა, რომლებიც დგანან „ციკლიურობის" პოზიციებზე, მსგავსად ედ. მეიერისა, [1] და პროფ. პეტრუშევსკის [2] სტილის მოდერნიზატორების [3] წინააღმდეგ, ისტორიკოსების, რომელნიც ცდილობენ, როგორც მაგ. ე. მეიერი, რომის იმპერიის წყობილებაში დაინახონ უკვე ფეოდალიზმის ეპოქა, ან, როგორც მაგ. პეტრუშევსკი, რომის იმპერიის დაცემის ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობაში—მომავალ ფეოდალურ ურთიერთობათა უკვე მზამზარეული დასაწყისი დასავლეთ ევროპაში და ამრიგად, ა. დოპშის [4] მსგავსად დაასაბუთონ ხაზოვნობა განვითარებისა ანტიურობიდან ფეოდალიზმისაკენ, მარქსისტულ ისტორიოგრაფიას ამავე დროს არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს ეს ფეოდალური ტენდენციები. სულ სხვა საქმეა, რომ ეს ფეოდალური ტენდენციები, როგორც ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, არა თუ არ წარმოადგენენ მთლიანად შემდგომ ეპოქაში გაბატონებულ ფეოდალურ ურთიერთობათა ჩანასახს, არამედ თავისთავად მათ ვერ შესძლეს შეექმნათ იმ ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურა, რომელთანაც ჩვენ გვაქვს საქმე დასავლეთ ევროპის ზემოთაღნიშნულ ტერიტორიებზე ე. წ. „საშუალო საუკუნეების" ეპოქაში. ამრიგად, ჩვენი ანალიზი უნდა დაიწყოს ამ ფეოდალური ტენდენციების გამორკვევიდან და იმ გარემოებათა ნათელყოფიდან, რომელთაც განსაზღვრეს მისი შეზღუდული ხასიათი.

---

[1] Ed. Meyer, Geschichte des Altertums, m. II, Eienleitung, გვ. 81—86.; მისივე — ძველი ქვეყნის ეკონომიური განვითარება.

[2] დ. მ. პეტრუშევსკი, საშუალო საუკუნეების ევროპის ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, გვ. 137—138.

[3] M. Rostovtzeff, The Social and economic history of thePomon Empire, Oxford, 1926 წ. IX — XII. ან გ. სალვიოლი (იხ. მისი, კაპიტალიზმი ანტიურ ქვეყანაში, სამეურნეო ცხოვრების ისტორიის ეტიუდი, ხარკოვი, 1918 წ).

[4] აგრარულ ურთიერთობათა სწორხაზოვნობის შესახებ იხ. მისი Wirtschaftliche und soziale Grudlagen der europäischen kulturentwicklung, ტ. I. გვ. 234, 336, 384 და „Die Wirtschaftentwichiung der karolieger zeit, ტ. I. გვ. 348, აგრეთვე, Die Mar kginossenschaft der karolindreit, გვ. 411 და შემდეგი. ამheung საკითხებში დოპში საერთოდ მიდის ფიუსტელ დე კულანჟის გზით (იხ. მისი წინასიტყვაო ბა „ძველი საბერძნეთის საზოგადოებრივი წყობილების ისტორიის" მეორე გამოცემისათვის, 1904 წ. გვ. XVII).

ანტიური საზოგადოების კრახის ეპოქის ისტორიკოსს პირველ ყოვლისა საქმე აქვს რომის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიურ კრიზისის უშუალო შედეგებთან — ფულად ურთიერთობათა სისტემიდან ნატურალურზე გადასვლის სახით. ყველას ახსოვს ფულადი სისტემის — ფისკის სისტემის კრახთან დაკავშირებული კრიზისის აღწერა ასეთ მკაფიო ფორმებში მოცემული ჯერ კიდევ სალვიოლის მიერ![1] ფულის კრიზისმა აიძულა გაბატონებული კლასები გადასულიყვნენ ნატურალურ გადასახადის სისტემაზე და ხარკის რეგულიარულად მიღების უზრუნველსაყოფად მათ მოუხდათ მიმართვა ე. წ. „ლიტურგიის“ სისტემისათვის. არ დავიწყებთ დავას იმის შესახებ, თუ რამდენად მართალი არიან ისტორიკოსები, რომლებიც „ლიტურგიის“ სისტემაში ხედავენ ძველი ელინური წერების აღდგენას (პეტრუშევსკი[2] და სხვ). ყოველშემთხვევაში, ლიტურგიის სისტემა სინამდვილეში წარმოადგენდა „პირად და ქონებრივ იძულებითი და სავალდებულო ვალდებულებათა“ სისტემას,[3] რომლებიც გაბატონებულმა კლასებმა დააკისრეს თავიანთ ქვეშევრდომთ თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ლიტურგიის სისტემა, არსებითად რომ ვთქვათ, დაიწყო უკვე დიოკლეტიანეს დროს, როცა შემოღებულ იქნა მიწის გადასახადი capitatio terrena — და მასთან მჭიდროთ დაკავშირებული სულობრივი დაბეგვრა — capitatio humana.[4] დიოკლეტიანეს ახალი საგადასახადო სისტემა ფაქტიურად ათანაბრებდა მარეობას ლატიფუნდიების პატრონთა და, მასთან ერთად სახელმწიფოს წინა შე. ამრიგად, გადასახადის ახალ ფორმებს უნდა უზრუნველეყო ნატურალური გადასახდელის რეგულიარულად შემოსვლა. დიოკლეტიანეს ამ ახალ ღონისძიებასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა კურიალთა წოდების ორგანიზაცია მუნიციპალურ ოლქის წვრილ მემამულეთა ელემენტებიდან: კურიელები თავისი ქონებით პასუხისმგებელი იყვნენ გადასახადის წესიერათ და სრულად შემოტანისათვის მათთვის მინდობილ მუნიციპალურ ოლქში, მაგრამ „ლიტურგიისამ სისტემას არსებობა შეეძლო მხოლოდ ქვეშმარიტ მწარმოებლების შეცვლილი მდგომარეობის საფუძველზე. მართლაც, ქვეშმარიტ მწარმოებელთა მდგომარეობა თვალსაჩინოდ შეიცვალა უკვე საიმპერატორო რეჟიმის პირველი ორი საუკუნის მანძილზე.

სისტემა მიწის იჯარით გაცემისა პატარა ნაკვთებით (როგორც შენიშნავს გვერ კიდევ მომსენი) იყო ისეთივე ძველი, როგორიც თვით იტალია, მაგრამ ანტიური საზოგადოების კრიზისამდე მიწის იჯარის სისტემას ეჭირა ან სავსებით უმნიშვნელო ან მეორეხარისხოვანი ადგილი, თუმცა რომის იმპერიის კრიზისის დროიდან ლატიფუნდიის მფლობელი იყო — ან ყოველშემთხვევაში ითვლებოდა — თავისი მიწის ნაკვეთის სრულ მესაკუთრედ, მაგრამ ის იძულებული

[1] გ. სალვიოლი, აღნიშ., თხზ., IX თავი, გვ. 164 და შემდეგი.
[2] აღნიშნული თხზ., გვ. 12.
[3] იქვე.
[4] დ. მ. პეტრუშევსკი, საშუალო საუკუნეების ევროპის ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, გვ. 13 და ფიუსტელ დე კულანჟის აღნიშნული თხზულება, ტ. II, გვ. 56.

იყო მიემართა იჯარის სისტემისათვის, რომლის შედეგად ჩვენ ვხდებით პირველ კოლონებს, რომლებიც გადასახადს იხდიდენ ნატურით. ე. წ. caloni partiarii, იმავ დროს თავდაპირველად იყვნენ კერძო მესაკუთრეთა ლატიფუნდიების თავისუფალი მოიჯარადრენი — coini liberi.

არ დაკმაყოფილდენ რა ამ ღონისძიებებით გაბატონებული კლასები იძულებული გახდენ საიმპერატორო და სასენატორო saltus'-ებზე არსებული ურთიერთობანი გაევრცელებიათ კერძო მესაკუთრეთა ლატიფუნდიებზეც. დიდ როლს სალტუსებში თამაშობდენ მიწის წვრილი მოიჯარადრენი, რომლებიც კერძო მესაკუთრეთა ლატიფუნდიების მოიჯარადრეთაგან განსხვავებით ითვლებოდენ მამულთან თანდაყოლილებათ — originarii. Origo-ს სისტემა, რომელიც კოლონებს მიაწერდა მიწას, ემყარებოდა იმას, რომ ნებით განტევებულთათვის და გაღატაკებულ გლეხებისათვის უკვე მათი მდგომარეობის მიხედვით სავალდებულო იყო მიწერილი ყოფილიყვენ რომელიმე მაგნატის მიწაზე. ამას უნდა დაემატოს საიმპერატორო სალტუსებზე მთელი ქონების იჯარათ შესყიდვის სისტემის შემოღება ყველა ხარკისა და გადასახდელის სალტუსისათვის დაქვემდებარებულ მოსახლეობისგან აკრეფის უფლებით — conductores სისტემის შემოღება. როგორც ცნობილია, კონდუქტორების სისტემა აგებული იყო ვადიანი — „ჩვეულებრივ 29 წლის ვადით" — იჯარის საფუძველზე, რაც იურიდიულად იყო დასაბუთებული ორმხრივი ხელშეკრულებით — locatio conductio. [1]

ნამდვილ მწარმოებელთა მდგომარეობა conductores სისტემასთან დაკავშირებით დასაწყისში განისაზღვრებოდა მუდმივი წესდებით, რომლის თანახმად დამოკიდებულ მწარმოებელთა ვალდებულებაში შედიოდა ორი დღის მოხვნის, ორი დღის ფარცხვის და ორი დღის მკის ბეგარა წელიწადში. ნამდვილ მწარმოებელთა მძიმე მდგომარეობას საკონდუქტორო სისტემის დროს, — მათ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, იხილავდენ, როგორც originarii მამულიდისადმი, მისგან განუყოფელს, — მოწმობს კონფლექტი, წარმოშობილი იმპერატორის კოლონებს შორის ტუნისში II ს. უკანასკნელ მეოთხედში იმპერატორ კომმოდის დროს. ეს კონფლიქტი, როგორც ცნობილია, გადაწყდა კოლონების სასარგებლოდ. [2], მაგრამ უკვე ანტიური ქვეყნის კრიზისის დროისთვის სალტუსის მოიჯარადრეთა მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუარესდა: conductores გადაიქცენ საიმპერატორო მამულების სრულუფლებიან პატრონებათ, რომლებიც, როგორც dominus განაგებდენ სალტუსის მიწაზე მობინადრე გლეხ-მოიჯარადრეთა სიკვდილ-სიცოცხლეს. ამრიგად, ჩვენ შევდივართ გაშლილ კოლონატის სისტემაში.

კოლონი, როგორც აღნიშნავს ენგელსი [3], იყო „საშუალო საუკუნების ყმების წინამორბედი", მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს,

---

[1] ფიუსტელ დე კულანჟი, აღნიშნ. თხზ., ტ IV, „ალლოდი და სოფლის მამული", გვ. 74 და შ.

[2] გ. პრიგოროვსკი, საკოლონატო ურთიერთობათა განვითარება რომის იმპერიაში, მოსკოვის უნივ. „უჩ. ზაპ.", კრებ. 38, 1909 წ., გვ. 48,65; ფიუსტელი დე კულანჟი, აღნიშნული თხზ., ტ. IV, გვ. 546.

[3] ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 135.

რომ ბატონ-ყმობა უსათუოდ კოლონატის გზით წარმოიშვა. გაბატონებული კლასები, რომლებიც უკვე ავგუსტოსის ეპოქიდან განიცდიდნენ მუშა-ხელის კრიზისს, შემდეგ III—IV ს.ს. შეუდგენ თავისუფალ მოიჯარადრეების coloni liberi—გადაქცევას მიწაზე მიწერილათ, მიმაგრებულებათ-colgoni orinarii—იმპერატორ ანასტასიუსის (V საუკუნის შაუხანა) კანონებით ყოველი თავისუფალი მოიჯარადრე, რომელმაც 30 წელი დაჰყო რომელიმე მიწის ნაკვეთზე, სრულიად კარგავდა მისი დატოვების უფლებას. იუსტინიანეს კანონმდებლობა, როგორც ცნობილია, მთლიანად დადგა მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე.

ზედმეტია დაწვრილებით შეჩერება კოლონების მიწაზე მიმაგრების უკვე ცნობილ ფაქტებზე. V და VI საუკუნეების იმპერიის კანონმდებლობამ მხოლოდ დაადასტურა პროცესი გლეხის გადაქცევისა „მიწის მონათ" — Servus terrae [1], გაკვირვებას იწვევს, რომ პროფ. ვინოგრადოვი კოლონატს თვლიდა გლეხობისათვის სასარგებლო ინსტიტუტად, რომელიც მას ანთავისუფლებდა ბიუროკრატ მოხელეების ტლანჭ შევიწროებისაგან და ანიჭებდა მას წყნარ საყუდარს „ერთად-ერთ მშვიდობიან თავშესაფარს [2]"—ლატიფუნდიას, რომელზედაც ის იყო მიმაგრებული.

ასეთი იყო ძირითადი ცვლილებები, მომხდარი დაცემის ეპოქის რომის იმპერიის აგრარულ ურთიერთობათა წყობილებაში, დაკავშირებული „ლიტურგიის" სისტემასთან. საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს დავეთანხმოთ პეტრუშევსკის, თითქო ნამდვილი მწარმოებელთა ეს მიმაგრება ლატიფუნდიების მიწაზე იყო სისტემა ბეგრისა, რომელიც „სახელმწიფომ დააკისრა თავის ქვეშევრდომებს საკუთარ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად" [3]. ჩვენ უფლება გვაქვს აღნიშნული ანონიმი განვმარტოთ, როგორც სისტემა, მიმართული მონათმფლობელთა კლასის დასაცავად.

კოლონატის გვერდით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ანტიურ საზოგადოების კრახთან დაკავშირებით გავრცელებული სისტემა ემფიტევზისისა, რომელიც წარმოადგენდა რომის იმპერიის ევროპულ ნაწილში გავრცელებულ (დაახლოებით IV ს-ში) საიჯარო ურთიერთობათა ახალ სახეს. მიტოვებულ ან გამოფიტული მიწის ნაკვეთებს საიჯაროდ აძლევდენ გლეხობის უფრო შეძლებულ ელემენტებს განსაზღვრული ვადით მიწის ყოველგვარ გადასახადისაგან განთავისუფლების პირობით, შემდეგ კი—ნატურალურ და ფულად გადასახადთა ერთხელ და სამუდამოთ დადგენილ რაოდენობის საფუძველზე. ამ შეღავათების სამაგიეროთ მოიჯარადრეს—colonus emphiteosus—უნდა აემაღლებია მიღებული მიწის ნაკვეთის კულტურა და ამრიგად ხელი მოეკიდებია წინად

[1] ფიუსტელ დე კულანჟი, აღწ. თხ., ტ. IV, ალლოდი და სოფლის მეურნეობა მეროვინგების ეპოქაში, გვ. 68; მისივე, Recherches sur quelques problèmes d'histoire, გვ.1—32, Rostovzeff, Studien zur Geschichte des römischen Kolonates, „Сов. "Мир", 1911, იანვარი—თებერვალი.

[2] პ. ვინაგრადოვი, ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობა ლანგობარდთა იტალიაში, ЖМНП, 1880, იანვარი, გვ. 280—289.

[3] აღნიშნული თხზ. გვ., 120.

მიტოვებული ან ცარიელი მიწის გამოყენებისათვის ანუ emphitevsis „დარგვისათვის“[1]. „დარგვის“ სისტემა ჯერ საიმპერატორო მიწებზე წარმოიშვა და შემდეგ კერძო მესაკუთრეთა მიწებზე გავრცელდა.

სრულიად ბუნებრივია, რომ გარდა ლატიფუნდიების სისტემისა, რომლებიც მუშავდებოდა ძველებურად—მონათა შრომის საფუძველზე, გარდა conductores და კოლონატის სისტემისა, დაბოლოს—გარდა „ემფიტევზისისა“, არსებობდა კიდევ წვრილი პარცელების გლეხური საკუთრება. რომის სამართალმა აგრარულ ურთიერთობათა ეს სისტემა წარმოშობილი წარმოების ანტიური წესის კრახის შედეგად, აღნუსხა ლატიფუნდიების მიწის დანაწევრების სახით, სახელდობრ საბატონო ნაწილად—dominium, მიწაზე საკუთრების უფლებით—proprietas, ექსპლოატაციის, მიწის სარგებლობის უფლებით—ususfructus, მიწის ფლობის უფლებთ—possessio. სწორედ ამ წმინდა იურიდიულ განსაზღვრათა საფუძველზე ფიუსტელ დე კულანჟი ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ყოფილიყო მდგომარეობა, როცა „ერთი და იგივე მიწის ნაჭერი ეკუთვნოდა სამ პირს: ერთის ხელში იმყოფებოდა საკუთრება ანუ განკარგულების უზენაესი უფლება—dominium, მეორეს ჰქონდა მფლობელობა, რეალური ექსპლოატაციის უფლება—dominium utile; მესამეს, დაბოლოს, გადაეცემოდა იჯარით, ე. ი. დამუშავება“[2]. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სახელოვან ფრანგ მედუვისტის ეს სქოლასტიური ვარჯიშობა, რომელიც მხოლოდ ჩრდილავს ნამდვილ ურთიერთობის საწარმოო საშუალებების მესაკუთრეთა და ნამდვილ მწარმოებლებს შორის, მისთვის იმიტომ არის საჭირო, რომ დაასაბუთოს თეორია ხაზოვანი განვითარებისა ანტიურობიდან ფეოდალიზმისაკენ. სინამდვილეში ისტორიულ სინამდვილეს არ ახსოვს proprietas-ის possessio-საგან განცალკევებული არსებობა, არ ახსოვს საკუთრების უფლების ექსპლოატაციის უფლებისაგან განცალკევებული არსებობა. ურთიერთობა ნამდვილ მწარმოებელსა და ლატიფუნდიის მფლობელს ანუ conductores შორის, რომელიც იმალება თერმინის ქვეშ—ususfructus—წარმოდგენილია არა უბრალოდ მიწის ნაყოფით სარგებლობის, არამედ ტიპიურ ექსპლოატაციას მიწის მფლობელის მხრივ არა ეკონომიური იძულების საფუძველზე. საქმეს ვერ შველის აქ ვერც მიდგომა პეტრუშევსკისა, რომელიც ცდილობს ახსნას ფიუსტელ დე კულანჟი possessores-ის განმარტებით, როგორც „თერმინის, რომლითაც ჩვეულებრივ აღნიშნავდენ უფრო მსხვილ მფლობელებს, შესაძლოა, მათის სახით გულისხმობდენ უფრო შეძლებულ გლეხებს, რომლებიც თავისი მდგომარეობით ახლო იდგენ წვრილ მემამულეებთან“[3]. მაგრამ განა შეძლებულ გლეხებს არ ჰქონდათ საკმაო ფარგლებში proprietas, საკუთრების უფლება?.

ზემოთ განხილული ურთიერთობანი არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა ფეოდალურად: წარმოების ფეოდალური წესი წარმოადგენს მუშა ხელისა და საწარმოო საშუალებების შეერთების ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ნამდვილი

---

[1] ფიუსტელი დე კულანჟი, რომის კოლონატი.

[2] ძველ საბერძნეთის საზოგადოებრივი წყობილების ისტორია, ტ. V, ფეოდალური წყობილების დასაწყისი, 1910 წ. გვ., 86.

[3] ს. მ. პეტრუშევსკი, აღნ. თხზ., გვ. 134.

მწარმოებელი, მომარაგებული იარაღებით და წარმოების საშუალებით, არა ეკონომიური ძალადობის შედეგად იძულებულია მემამულის მიწაზე იმუშავოს და მისცეს მას, როგორც მიწაზე მიმაგრებულმა, არა მარტო ზედმეტი, არამედ მუცილებელი პროდუქციის ნაწილიც. ზემოთ განხილული ურთიერთობანი წარმოადგენენ ისეთ ურთიერთობათ, რომლებიც ჯერ კიდევ გამომდინარეობდენ ანტიური წყობილების წარმოების წესიდან და მის მიმართ ჯერ კიდევ თავისთავად არა ანტაგონისტურია. ასეთივე არა ანტაგონისტური ურთიერთობას წარმოადგენდა აგრეთვე მემამულის გადაქცევა ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლად, მისი გადაქცევა, როგორც ამას ბურჟუაზიული მედიევისტიკის ენაზე ალნიშნავენ, „საჯარო უფლებრივ და კერძო უფლებრივ“ ხელისუფლების სუბიექტად. თავისთავად ამ ურთიერთობათ მხოლოდ უნდა გაეშაგრებია — და მართლაც ამაგრებდენ — ძირგამოთხრილ ბატონობას მონათმფლობელური კლასებისა, რომლებიც დასაღუპავად იყვნენ განწირული ანტიურ საზოგადოებაში ჩანერგულ წინააღმდეგობათა და მონათა რევოლუციების შედეგად.

აგრარულ ურთიერთობათა წყობილებაში მომხდარ ამ ცვლილებებს აძლევდენ ფეოდალური ცვლილებების ტენდენციების ხასიათს, დაკავშირებულს იმ თავისუფალ გლეხთა ბედთან, რომლებიც მთლიანად არ მოხვდენ კოლონატის სისტემაში. ბედი agricolae (მიწადმომქმედთა), rustici (გლეხების), agricolae vel vicani propria possidentes (მიწადმომქმედთა ანუ სოფლელების, რომლებსაც საკუთრება ჰქონდათ)[1] მოეწყო ისე, რომ მათთან ერთად სცენაზე გამოჩნდა ფეოდალური ურთიერთობანი ნამდვილი მნიშვნელობით, რომელიც კოლონატსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მკაფიო ფეოდალურ ხასიათს აძლევდა.

მე მხედველობაში მაქვს possessio precaria, პრეკარული ურთიერთობანი და ურთიერთობანი patrocinium. დამახასიათებელია, რომ ეს ახალი ურთიერთობანი არ იქნა აღიარებულდი რომის საერთო ხახელმწიფოებრივი სამართლის მიერ, „პრეკარიუმი“, როგორც ამას ჩვეულებრივ განსაზღვრავს ბურჟუაზიული მედიევისტიკა, არის ის, რაც „მთხოვნელს სარგებლობაში გადაეცემა მისი დაბეჯითებითი თხოვნის გამო“[2]. ამრიგად Precaria-ს ხატავენ, როგორც „წყალობის აქტს“ მიწის პატრონის მხრივ.

წარმოშობილი თავდაპირველად, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის ფორმა[3] (სესხის ურზუნველსაყოფად მოვალე გადასცემდა თავის მიწის ნაკვეთს და კრედიტორისაგან უკან მიიღებდა მას უკვე „წყალობის“ სახით), პრეკარიუმი შემდეგში გადაიქცა პატრონატის თავისებურ სისტემად. გლეხი, მეტწილად წვრილი მიწადმომქმედი-პარცელი, ეპოქის პრობებში, თავისი მიწის ნაკვეთის

---

[1] სილოვანი მარსელიდან წვრილ პარცელებს უწოდებს კიდევ rescalae, მიწის ნაკვეთს ფლობელთ — agelli. ფიუსტელ დე კულანჟი, აღნ. თხზ., ტ. V, გვ. 144.

[2] ი. მ. გრეევსი, ფეოდალიზმი, ლექციები ს.-პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, 1903 წ.

[3] პრეკარიუმის სესხის შედეგად წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს რომაელი იურისტი ულპიანი, ფიუსტელ დე კულანჟი, აღნ. თხზ., ტ. V, გვ. 128.

და დამოუკიდებელი არსებობის დაკარგვის საფრთხის პირობებში, ცდილობდა ეს თავისი მიწის ნაჭერი მსხვილი მემამულის მფარველობის ქვეშ მოექცია. ამნაირად გლეხი-პარცელი იძულებული იყო თავისი მიწა გადაეცა მსხვილი მიწადმფლობელისათვის და თვითონ ამ მიწით ესარგებლებია პრეკარულ საფუძველზე. გლეხი-პრეკარისტი განსაზღვრული ბეგარის საფუძველზე სარგებლობს ჯერ თავისი მიწით, შემდეგ კი დამატებითი ნაკვეთით, რომელსაც მიწადმფლობელისაგან იღებს მესაკუთრის „წყალობით“. ასე ამრიგად პრეკარიუმმა გლეხი-პარცელი გადაქცია *მდიდარ მიწათმფლობელისაგან დამოკიდებულ, მისი საჭმახურისათვის მზად მყოფ კაცად (homo).*

სილვიანი მარსელიდან დახლოებით ამავე ურთიერთობებზე გვიამბობს, როგორც ურთიერთობებზე patrocinium, რომლის შედეგად მესაკუთრე გლეხები „ხდებიან მდიდართა ქვეშევრდომებად და გადადიან მათ ხელისუფლებასა და ქვეშევრდომობაში“. პრეკარული ურთიერთობანი წარმოადგენენ საშუალებას წვრილი გლეხების მიწების მობილიზაციისა მსხვილი მემამულეების ხელში, საშუალებას იმისა, რომ გლეხი პარცელი, რომელიც რომის იმპერიის მთელ მანძილზე გადაურჩა ყოველგვარ იერიშებს, რომელმაც გაუძლო კოლონათ გადაქცევის რეალობის, შეებორკა, ახლა თავისუფალი მესაკუთრე გადაექცია viri patentes-იგან დამოკიდებულ კაცად. პრეკარულ უფლებებით სარგებლობის შედეგად განსაკუთრებით გამდიდრდა ეკლესია, რომელმაც შეიძინა უდიდესი მიწის საკუთრებანი. პრეკარული ურთიერთობანი, ეჭვს გარეშეა, უკვე წარმოადგენდენ ფეოდალურ ურთიერთობათა ჩანასახს, თუმცა ისინი რომის ეპოქაში გვევლინებოდენ ჯერ კიდევ ფეოდალური ტენდენციების სახით.

რომ დავამთავროთ ანალიზი იმ ცვლილებების, რომლებიც მოხდა წარმოების ანტიური წესის კრახის შედეგად, საჭიროა მოკლეთ მაინც მოვიგონოთ ცვლილებები, მომხდარი საქალაქო ცხოვრებაში. წარმოების ანტიურ წესს საფუძვლად უდევს სოფლის მეურნეობა—სოფელი; ქალაქი მრეწველობასთან ერთად ყოველთვის წარმოადგენდა მხოლოდ აგრარულ ურთიერთობათა წყობილების დამატებას. რომის იმპერიის კრიზისმა კიდევ უფრო განამტკიცა სოფლისთვის მთელი სამეურნეო ცხოვრების ცენტრის უფლება. „ქალაქმა რომის იმპერიის არსებობის უკანასკნელი საუკუნებში დაჰკარგა თავისი წინანდელი ბატონობა სოფელზე,—აღნიშნავს ენგელსი,—და ვერ დაიბრუნა იგი გერმანელების ბატონობის პირველ საუკუნეებში“ [1]. მრეწველობის და მასთან დაკავშირებული ქალაქის მიერ თავისის როლის დაკარგვის პროცესმა, ეჭვს გარეშეა, თავისი გაშოხატულება ჰპოვა გაბატონებული კლასების პოლიტიკაშიც, რომელიც ცნობილია „წოდებათა დამონების“ სახელწოდებით.

პირველ ყოვლისა სახეში უნდა ვიქონიოთ ხელოსანთა კოლეგიის ჩაბმა იმავ გაბატონებული კლასების სამსახურში მათი ყმად გადაცქევის საფუძველზე. მიანიჭა რა პირველ ხანებში კოლეგიებს მთელი რიგი შეღავათები (მაგალითად, განთავისუფლება სამხედრო სამსახურიდან და ზოგიერთ გადასახადებისაგან) სახელმწიფო ხელისუფლებამ მოსთხოვა ხელოსანთა გაერთიანებებს

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ.166.

მიეღოთ თავის თავზე სახელმწიფო სამადნოების დამუშავების, სახელმწიფო მანუფაქტურებში მუშაობის, საზოგადოებრივ შენობათა შეკეთების, ქალაქის სათბობით და სასურსათო პროდუქციებით მომარაგების ვალდებულება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავისი ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე მოეხადათ ნატურით. მაგრამ, როცა კრიზისთან დაკავშირებით კოლეგიის ვალდებულებამა განუწყვეტლივ ზრდა იწყო, პრივილეგიები კი მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, მაშინ დაიწყო ხელოსნების მასიური გაქცევა კოლეგიებიდან. ამის საპასუხოდ წინად თავისუფალი ხელოსნები გადაქცეულ იქნენ collegiati-ად დათ, არამედ თავიანთი მემკვიდრეებითურთ. მაგრამ, როცა ხელოსნების გაქცევა არ შეწყდა, სახელმწიფომ, როგორც ცნობილია, მიმართა ყველა უსახლკარო მაწანწალების დაჭერას და მათ იძულებით ჩაბმას კოლეგიებში, ყოველივე ამას უნდა დაემატოს ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის მიერ შემოღებული სარეწაო გადასახადი კოლეგიის წევრებზე, ცნობილი „ხრიზარგირის“ [1] სახელწოდებით. ხელოსნების ყმებად გადაქცევასთან ერთად ასეთივე ბედი ეწია სურსათ-სანოვაგით მოვაჭრეებსაც და ხომალდების პატრონებს, რომლებიც აწარმოებდენ საზღვაო და სამდინარეო ტრანსპორტს—ნავიკულარიებს. ამრიგად ყმად გადაქცეული ხელოსნები ძველ მონებთან ერთად გახდენ ნამდვილი მშრომელები, რომლებიც მუშაობდენ საიმპერატორო მანუფაქტურებში, მომსახურეობას უწევდნენ კარის, არმიისა და მოხელეების საჭიროებას. მანუფაქტურის სათავეები იდგა იმპერატორის პროკურატორი, რომელზედაც მიმაგრებული იყო მონათა familia და მოყმე ხელოსანთა კოლეგიების გარკვეული რაოდენობა. ამ ღონისძიებათა შედეგად წვრილი ხელოსანი პარცელი ალმოჩნდა არა მარტო ჩაბმული, არამედ მიმატებულიც გახრწნის გზაზე დამდგარ მონათმფლობელურ საზოგადოებაზე. მართალია, ხელოსნები თავის მდგომარეობას უხმოდ როდო იყვნენ შერიგებული და იბრძოდენ მის წინალმდეგ დასაწყისში დაჭორწინებაზე უარის თქმით, რომ არ გაემრავლებიათ შთამომავლობა, რომელსაც ასეთივე მძიმე ხვედრი ემუქრებოდა. შემდეგში კი ხელოსნები—collegiati—გახდენ ანტიურობაში სოციალური რევოლიუციის აქტიურ მონაწილეებათ. ბურჟუაზიული ისტორიკოსები „წოდებათა ყმად გადაქცევის“ ამ სისტემას ხსნიან მხოლოდ, როგორც საგადასახადო ფისკალურ პრესის გამძაფრების აუცილებელ შედეგს [2]. მეორენი, როგორც მაგალითად დ. მ. პეტრუშევსკი, მზად არიან დაინახონ მასში „სახელმწიფო სოციალიზმის სისტემა“, წარმოშობილი შედეგად არა „რაიმე გარკვეული თეორეტიული პროგრამისა, რომელიც გამომდინარეობს იდეოლოგიურ წინამძღვრებიდან, არამედ გამოწვეული იყო ცხოვრების მკაცრი მოთხოვნილებებით და ძლიერ შორს არის თეორეტიულ გრძნობისა და სოციალურ ოცნებიდან“. „ცხოვრების ამ მკაცრ მოთხოვნილებებს, პეტრუშევსკის მიხედვით წარმოადგენდა „სახელმწიფო სოციალიზმის“ მისწრაფებები „რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში ... ყოველი კაპიტალი გამოერიცხა საშეურნეო ბრუნვიდან და იძულებული გაეხადა იგი ქონების სახით ... მომ-

[1] ფიუსტელ დე კულანჟი, აღნ. თხზ., ტ. II, გვ. 57 და 73
[2] მაგ. გ. სალვიოლი, აღნიშნულ ნაშრომში.

სახურეობა გაეწია სახელმწიფოსათვის მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ... შედეგად მუნიციპალურ მიწის მეურნეების თითქმის მთელი კლასი ... სრულიად გაღატაკდა და გაქრა"[1].

აქ, გარდა ანტიურ ქვეყანაში კაპიტალიზმის რაღაც სისტემის დანახვის ვულგარიზატორული ცდებისა a' la პეტრუშევსკისა და ძმათა მისთა მხრივ, თვალში გვხვდება მონათა რევოლუციების უგულვებელყოფა, რეოლუციების რომლებიც ნადაგს აცლიდენ და ძირს უთხრიდენ ანტიურ საზოგადოების სისტემას. მართალია, რომ ვალდებულებათა სიმძიმის და ძალადობის გამო კოლონები სტოვებდენ თავის მეურნეობას და თავის შემამუშავებლებს; მართალია, რომ ხელოსანთა და სავაჭრო კოლეგიების წევრები ხდებოდენ დეზერტირებად, მაგრამ ისინი დეზერტირობდენ არა უბრალოდ სხვა ადგილებში, არამედ თავიანთი რიგებით ავსებდენ პრობარბაროსულ პარტიების კადრებს[2]. მონა-ინსურტენციების კადრებს.

ამ სინთეზის მეორე ელემენტს, რომელიც მთლიანად გვიშლის ანტიურობაში სოციალური რევოლუციის პრობლემას, წარმოადგენდა ძველი გერმანული საზოგადოების სოცილ-ეკონომიური ურთიერთობანი და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული „ვარეარიზაციის" პრობლემა.

უკვე ტაციტის ეპოქაში ჩვენ ძველ გერმანელებს ვხდებით სასოფლო თემის სტადიაზე, რომლის „დუალიზმმა" პირველყოფილ კომუნისტურ საწარმოო ურთიერთობებთან ერთად განსაზღვრა საოჯახო საკუთრების წარმოშობა, უთანასწორობის განვითარება და შრომის პარცელიაციის შემდგომ პროცესთან დაკავშირებული გაძლიერება მონობისა; სალიური სამართლის ეპოქაში, ე. ი. არა უადრეს V-ს., ამავე „დუალიზმს" მოჰყვა განვითარება ბატონ-ყმობისა (გავიხსენოთ მარქსის შენიშვნა, რომ „მიწადმოქმედება ყმების შემწეობით წარმოადგენდა წარმოების ტრადიციულ წესს" ძველ გერმანელებში)[3], განვითარება დამოკიდებულობისა თემის წევრებს შორის და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, ჯერ კიდევ გვაროვნულ ფორმებში წარჩინებულთა წოდების და ტომობრივი გაერთიანებათა წარმოშობა[4]. ამრიგად, ძველში გერმანული მარკის „დუალიზმმა" წარმოშვა აგრეთვე ფეოდალური ტენდენციები, რომლებიც, ამასთან ერთად, თავიდანვე იყვნენ ასეთი და არა დანაწატი მონათმფლობელური ურთიერთობისა, ვინაიდან ისინი მოწმობდენ ძველ გერმანული საზოგადოების საწარმოო ძალების პროგრესს და ბუნებრივ განვითარებას კლასობრივი საზოგადოების შექმნის გზაზე.

ტაციტის ეპოქიდან ხალხთა გადასახლების დრომდე ძველმა გერმანულმა საზოგადოებამ დიდი წარმატებები მოიპოვა ცივილიზაციის გზაზე, კერძო საკუთრების გამარჯვებისთვის წინამძღვრების შექმნის გზაზე.

---

[1] საშუალო საუკუნეების ევროპის ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, გვ. 131—132.

[2] Salvian, Die Gubernacione Dei, VII, მოჰყავს მრავალი ფაქტი დახმარების აღმოჩენისა ბარბაროსებისათვის დაჩაგრული მოსახლეობის მხრივ და უცხოელთადმი სიმპატიების შესახებ. იხ. ფიუსტელი დე კულამჟ, აღნ. თხზ., ტ. გვ. 694—695.

[3] პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 23, 1933 წ.

[4] ვ. ჭ. კოვალევსკი, დასავლეთ ევროპის ეკონომიური ზრდა, ტ., I.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს წარმატებები, დაკავშირებული ნატურალურ ურთიერთობებიდან გაცვლაზე გადასვლასთან. თუ პლინიუსის და ტაციტის დროს რომაელების ვაჭრობა გერმანიის შიდა ოლქებთან თითქმის ნულს უდრიდა, უკვე ავგუსტოსის შემდგომი საუკუნეების განმავლობაში რომის საქონელი, ვაჭრო ხომალდები ჩრდილოეთის ზღვის და აგრეთვე ხშირად ბალტიის ზღვის სამხრეთ სანაპიროების მუდმივ სტუმრებს წარმოადგენდენ. „რომის საქონელი, რომელიც გერმანიაში სხვადასხვა გზით შედიოდა,—აღნიშნავს ენგელსი,—შესდგებოდა საოჯახო მოწყობილობიდან, სამკაულებიდან და ტუალეტის საგნებიდან და სხვ. საოჯახო მოწყობილობაში იყო ბრინჯაოს თასები, საწონის ზომა, ფიალები, ჯურჭელი, სამზარეულო ჭურჭლეულობა, საცრები, კოვზები, მაკრატლები, სურები და სხვ., ცალკე, ჭურჭლები ოქროდან და ვერცხლიდან, თიხიდან გაკეთებული სანათურები, რომლებიც გავრცელებული იყო; სამკაულები, გაკეთებული ბრინჯაოდან, ოქროდან და ვერცხლიდან; მანიაკები, თავსამკაულები, ხელსაბამები და ბეჭდები, ჩვენი გულის ქინძისთავის მსგავსი საკინძურები; ტუალეტის საგნებს შორის ვხდებით სავარცხლებს, ჩქიფებს, საყურეებს და სხვ., რომ არ ვილაპარაკოთ საგნებზე, რომელთა დანიშნულება სადაოა. ამ ფაბრიკატების უმრავლესობა, ბორზეს მოწმობით, წარმოიშვა I-ს. რომში გაბატონებულ გემოვნების ზეგავლენით“ [1]. სავაჭრო ბალანსი რომთან სწორდებოდა მონებისა და პირუტყვის გამოტანით: მოთხოვნილება მონებზე, დაპყრობითი ომების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ხომ ძლიერ თვალსაჩინო შეიქნა რომში. შემდეგ უნდა აღინიშნოს ბალტიის ზღვაზე ნაოსნობის წარმატებები, რომელმაც III-ს. მეორე ნახევარში მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია: სახელდობრ ამ პერიოდიდან იწყება საქსონელთა საზღვაო თავდასხმები გალლიის და ბრიტანეთის სანაპიროებზე.

გაცვლა-გამოცვლის განვითარების ეს წარმატებები სავსებით შეეფერებოდა პროგრესს წარმოების დარგში. არქეოლოგიური აღმოჩენანი ტაშბერგის ჭაობში, რომლებიც ეკუთნიან 220—250 წ.წ. პერიოდს, ყველაზე ნათელ წარმოდგენას იძლევიან ჩრდილოეთ გერმანიის ლითონის დამმუშავებული ინდუსტრიის აქვე უნდა მიუმატოთ დამწერლობის მდგომარეობა II ს. პირველ ნახევარში, გამორკვეული რუნიულ დამწერლობის ნიმუშების პოვნის შედეგად. არქეოლოგიურ აღმოჩენებს საქმე აქვთ შესანიშნავ ქსოვილებთან, კოხტა ქალამნებთან და სხვადასხვა მოხდენილობად გაკეთებულ შესაბმელ მოწყობილობასთან, რომლებიც მოწმობენ მრეწველობის თვალსაჩინო პროგრესს გერმანელებში ტაციტის ეპოქის შემდეგ. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ლითონის დამმუშავებელი მრეწველობის წარმატებები. III-ს. დასაწყისიდან ლითონის დამუშავებელმა მრეწველობამ გადადგა შემდგომი ნაბიჯები წინ და, როგორც ჩანს, გავრცელდა გერმანიის მთელს ტერიტორიაზე: V საუკუნის დამლევისათვის უკვე სწარმოებდა რკინის, ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის წესიერი დამუშავება, თან რომაელების მსგავსად, გერმანელები სჭრიდენ ოქროს ფულებს ანაბეჭდებით ერთი მხრიდან—ბრაკტეატებს.

[1] ფ. ენგელსი, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი: „ძველ გერმანელთა ისტორიის ზოგიერთი მიმოხილვა“.

VI და VII ს.ს. ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა გამოიყო უკვე, როგორც მრეწველობის ცალკე შტო. ამას მოწმობს „ბარბაროსთა, სიმართლენი“: „ალამანის სიმართლე“ ლაპარაკობს მჭედლებზე, კეროთ მჭედლებზე, რომლებიც ამზადებენ ხმლებს და ოქროსა და ვერცხლის საქმეთა ხელოსნებზე [1]; „ბავარიის სიმართლე“ ეკლესიაში, ჰერცოგის სასახლეები, სამჭედლოები ან წისქვილში ჩადენილ ქურდობისათვის აწესებს მაღალ ჯარიმას [2]; „ფრიზთა სიმართლე“ მოყმე მჭედელს აფასებს დაახლოებით სამჯერ უფრო ძვირად ჩვეულებრივ ყმასთან შედარებით.

გარდა ლითონის დამუშავებული მრეწველობისა, გერმანელებმა ტაციტის [3] ეპოქის შემდეგ, ეჭვს გარეშეა, წარმატებები მოიპოვეს თიხის ჭურჭლეულობის წარმოების საქმეში და შუბის წარმოების დარგშიც.

დაბოლოს, ჩვენ უკვე ვხედავთ რუნიული დამწერლობის საყოველთაო გავრცელებას და გამოყენებას. „ტაშბერგში ნაპოვნ საგნებს შორისო,—აღნიშნავს ენგელსი,— არის ხმლის ქარქაში და ფარის აბზინდი, რუნიული ნიშნებით. იგივე ნიშნები გვხვდება ვალახიაში ნაპოვნ ოქროს ბეჭედზე, აბზინდებზე ბავარიიდან და ბურგუნდიიდან, დაბოლოს, უძველეს რუნიულ ქვებზე სკანდინავიაში. ეს არის უფრო სრულქმნილი რუნიული ალფავიტი, რომლიდანაც შემდეგში წარმოიშვა ანგლო-საქსონური რუნიული ნიშნები; იგი შეიცავს შვიდი გრაფიკული ნიშნით მეტს ვიდრე ჩრდილოეთის რუნიული სტრიქონი, რომელმაც შემდეგში ბატონობა მოიპოვა სკანდინავიაში და გვაუწყებს, რომ არსებობდა რაღაც უფრო ძველი ფორმა ენისა, ვიდრე ჩრდილოეთის დიალექტის სახით ჩვენამდე მოღწეული“ [4]. ენგელსის ამ მოსაზრებამ ენის რაღაც უფრო ძველი ფორმის არსებობის შესახებ ახლა სრული დასაბუთება ჰპოვა ნ. ი. მარრის შრომებში.

დაბოლოს, გერმანელებმა იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე მიწადმოქმედების და მესაქონლეობის დარგშიც. გადასვლას ბინადრობაზე, როგორც მუდმივ მდგომარეობაზე, მოსახლეობის უდიდეს ზრდას მოჰყვა ახალი მიწების გამოყენება, შექმნა პირუტყვის ახალი ჯიშების—ცხენების, დიდი თეთრი ხარის. ამრიგად „ამით უკვე ისახება,—აღნიშნავს ენგელსი,—მთელი რევოლუცია მესაქონლეობაში და, ამით გარმანელთა მიწადმოქმედებაში“ [5].

უკეთებთ რა ჯამს ძველი გერმანული საზოგადოების 400 წლის განვითარებას ტაციტის დროიდან ე. წ. ხალხთა დიდ გადასახლებამდე, შეგვიძლია აღვნიშნოთ ვაჭრობის განვითარება რომთან, განვითარება მშობლიური მრეწველობისა, რომელიც უკვე გამოვიდა რომის ნიმუშებისათვის მიბაძვის თავდა-

---

[1] Leges Alamanrum, ed. K. Lehman.

[2] Leges Baivariorum, hrsg. vnn Merkel

[3] Lex Salica, დ. ნ. ეგოროვის გამოცემა, ძველ დასავლეთ-ევრობის სამართლის საკანონმდებლო ძეგლების კრებული, ვინოგრადოვისა და ვლადიმირსკი-ბუდანოვის რედაქციით, ნაკ. 1, კიევი, 1906 წ.

[4] ფ. ენგელსი, ძველ გერმანელთა ისტორიის ზოგადი მიმოხილვა (გამოუქვეყნებელი ხელთნაწერი).

[5] იქვე.

პირველ სტადიიდან და შემდეგ დამოუკიდებლად ვითარდებოდა, მოსახლეობის რაოდენობის ძლიერი ზრდა და ამასთან დაკავშირებით მიწების მაძიებელ ტომების ახალი გადასახლებანი.

ამ პროგრესმა წარმოების დარგში თავისი გამოხატულება პოვა შემდგომ სოციალურ-საზოგადოებრივ ურთიერთობათა დარგში. უძველესი სათემო ორგანიზაცია ეხებოდა მთელს ტომს, რომელსაც ეკუთვნოდა ტომის მიერ დაკავებული მთელი ტერიტორია; შემდეგ ტერიტორია გადავიდა გარკვეული ოლქის მოსახლეობის ხელში; შემდგომ განვითარებას მოჰყვა ის, რომ ოლქის მოსახლეობამ თავისი სამინდვრო და სატყეო მარკები დაუთმო ცალკე სასოფლო თემს; ახლა მხოლოდ თავისუფალი მიწა დარჩა ოლქის საკუთრებაში. ასეთ პირობებში სისხლით ნათესაური კავშირი თანდათანობით გაქრა და მათ უფრო და უფრო მეტად ცვლიდა ტერიტორიალური კავშირი. ამრიგად ტომი „გადავიდა ოლქების მეტ ნაკლებად მტკიცე კონფედერაციად როგორც ჩანს, ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდენ გერმანელები,—აღნიშნავს ენგელსი,—ხალხთა გადასახლების ეპოქაში. ალამანთა შესახებ ამას გარკვევით მოწმობს ამიან მარტელინი; სახალხო სიმართლეებში ყველგან გამოსჭვივის ეს ურთიერთობანი; საქსები განვითარების ამ საფეხურზე იმყოფებოდეა უკვე კარლოს დიდის დროს; ფრიზები კი —ფრიზთა დამოუკიდებლობის დაცემამდე“ [1]. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ აგრარული ურთიერთობანი მოწმობდენ მნიშვნელოვან წარმატებებს კერძო საკუთრების განვითარების მიმართულებით.

ძველი გერმანული საზოგადოების შემდგომი ევოლუცია უკვე დაკავშირებული იყო ე. წ. „ხალხთა დიდ გადასახლებასთან,“ როცა ძველ გერმანელთა „მღელვარე მასები“ შეუჩერებლად გაიშალენ „ახალ ტერიტორიაზე, მის ყველა კუთხეებში, ხმელეთზე ისევე, როგორც ზღვაზე.“ [2] ბარბაროსების მიერ რომის იმპერიის დაპყრობა წარმოადგენდა მხოლოდ ანტიური საზოგადოებრივი წყობილების დამხობის განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც ჯამს უკეთებდა ხანგრძლივ კლასობრივ ბრძოლას მონათმფლობელური საზოგადოების ძირითად კლასებს შორის. მართლაც, როგორც ურყევად დაამტკიცა ნ. ი. მარრმა, [3] ვარვარიზაციის პრობლემა წარმოადგენდა არა გადასახლების და ამრიგად ახალ ოლქებში თავიანთი კულტურის მექანიკურად გადატანის პრობლემას, არამედ პრობლემას ახალ ურთიერთობათა მომწიფებისა ხალხში, რომელიც ამ ტერიტორიაზე იმყოფებოდა ჯერ კიდევ ხალხთა დიდ გადასახლებამდე. ამრიგად

---

[1] ენგელსი, ძველ გერმანელთა ისტორიის ზოგადი მიმოხილვა (გამოუქ. ხელთნაწერი).

[2] იქვე.

[3] „პროცესი გაცილებით უფრო სერიოზულია, ვიდრე სესხება ან მოგზაურობა-ხეტიალი. გარეგანი ინდივიდუალური რიგის მოვლენები, უფრო არსებითია, ვიდრე შეჩვეულ ადგილებიდან გარეგან მიზეზების ზეგავლენით სტიქიურად მოწვეეტილ „რასიულად“ უცხო წარმოშობათა მიგრაციები უცნობ ქვეყნებში ასეთივე, როგორც იგულისხმება, იზოლიაციაში საზოგადოებრივად ჩამოყალიბებულ მოსახლეობით. მაშასადამე, საქმე შეეხება უფრო რთულ მსოფლიო ხასიათის ურთიერთმოქმედების, უფრო ადრინდელ დასახლებულობას“ (იაფეტური თეორიის ენობრივი პოლიტიკა და უდმურტთა ენა, გვ. 35).

გაგებული დაპყრობის შედეგად წარმოების ანტიური წესის პირობებში და ლუპეის გზაზე მყოფმა წვრილმა გლეხობამ და ხელოსანმა-პარცელებმა მიიღეს საშუალება „მარკაზე“ დაყრდნობით გადაერჩინათ თავი და გამაგრებულიყვენ, როგორც თავიანთი იარაღების და წარმოების პატრონები. აი რატომ არის, რომ ბარბაროსებს, უფრო სწორად—საზოგადოებრივ ეკონომიურ ურთიერთობებს, რომლებიც დამახასიათებელია მათვის რომის იმპერიაში შეჭრის დროიდან, აგრეთვე ურთიერთობებს, საფუძვლად დადებულს „სინთეზისათვის,“ რომელმაც დასაწყისი ჩაუყარა დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმს, წამყვანი როლი ეკუთვნის.

გერმანელების ზეგავლენა ხალხებზე, რომლებიც ბინადრობდენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, როგორც ხალხთა დიდ გადასახლებამდე, ისე მის შემდეგ, მთელს მანძილზე არ ყოფილა ერთნაირი. იღნიშნავს რა დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის განვითარების სხვადასხვა სახეობას, ენგელსი ხაზს უსვამს მისი განვითარების შემდეგ ეტაპებს: „დარსებული საფრანგეთში, განვითარებული შემდეგ ნორმანდიაში ნორვეგიელ დამპყრობის მიერ, კიდევ შემდეგ გაუმჯობესებული ნორმანების მიერ ინგლისში და სამხრეთ-იტალიაში, იგი თავის იდეას ყველაზე უფრო დაუახლოვდა იერუსალიმის ეფემერულ სამეფოში“[1].

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფეოდალიზაციის ანგლო-საქსონური გზა.

რომის იმპერიის ბატონობის ხანაში ბრიტანეთი რჩებოდა დიდი იმპერიის სუსტად რომანიზირებულ პროვინციად. III საუკუნის ნახევრიდან ბრიტანეთი განიცდის საქსების, ანგლების, იუტების და ფრიზების თავდასხმათ, და V საუკუნის ნახევარში გერმანელები მთელი ტომობით სახლდებიან ბრიტანიაში, ცეცხლით და მახვილით სპობენ ადგილობრივ კელტ მოსახლეობას და მათთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამ პერიოდიდან დაახლოებით ჰერკოგ ვილჰელმ უკანონოდ შობილის ტახტზე ასვლამდე (1066 წ.) გრძელდება, არსებითად რომ ვსთქვათ, ანგლო საქსური პერიოდი.

ანგლო-საქსთა საზოგადოების საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება ბრიტანეთში შეჭრის დროისათვის, არსებითად რომ ვსთქვათ, ბევრით არაფრით განირჩევა ურთიერთობათაგან, რომლებიც აღწერილი აქვს ტაციტს: განვითარების იმავე საფეხურზე მყოფი ანგლო-საქსური საზოგადოება, როგორზედაც იმყოფებოდენ ტაციტის მიერ აღწერილი გერმანელები, სასოფლო თემის „დუალიზმს“ გამოხატავდა, როგორც საზოგადოებრივ და პოლიტიკური წყობილების საფუძველს თავისუფალ მოთემეების—„კერლების“ სახით, დამოკიდებულ —„ერლების“ სახით. ანგლო-საქსური საზოგადოების შემდგომი დიფერენციაციის პროცესს, დაკავშირებული ფეოდალიზაციის უფრო ღრმა პროცესებთან, მოჰყვა ის, რომ ურთიერთობამ ერთის მხრივ ერლებსა და მეორეს მხრივ კერლებსა და ლეტებს შორის არსებითი ცვლილებები განიცადა. მონის შრომის განვითარებამ, რამაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ბრიტანეთის

[1] 1895 წ. 12/III წერილი კონრად შმიტს, წერილები ადორაცკის რედაქციით, 1932 წ. გვ. 414.

[2] პ. ვინოგრადოვი, საშუალო საუკუნეების მამული ინგლისში სპბ. 1911 წ., გვ. 119—124.

დაპყრობის და კელტ მოსახლეობის ყმებად გადაქცევის შემდეგ, განსაზღვრა თავისუფალი თემის წევრის—კერლის ბედ-იღბალიც. გადის კერლი, სათემო ნაჭერ მიწის დაახლოებით 120 აკრის[1] ზომის მფლობელიდან გადაიქცა $^1/_4$ გადის—ვირგატის, ბოვატის (ნახევარ-ვირგატის) და კიდევ უფრო ნაკლები ზომის ნაკვეთების მეპატრონეთ [2]. საშუალო ანგლო-საქსის ექსპროპრიაციის ეს პროცესი, ეჰვს გარეშეა, დაკავშირებული იყო მიწის მობილიზაციის პოლიტიკასთან, რომელსაც ერლები დაუბრკოლებლად ატარებდენ არაეკონომიურ იძულების საფუძველზე. მართლაც, ამ ეპოქაში რაოდენობა ვალდებულებისა, რომელთაც თავდაპირველად ასრულებდა კერლი ნატურალურ ბეგრათა მთელი სისტემის, სასამართლო გადასახადთა და სამხედრო მოვალეობათა სახით, მნიშვნელოვანად გაიზარდა, [3] ლეტების რიგები კი, მონობის არსებობასთან დაკავშირებით, უფრო და უფრო იცვლებოდა თავისუფალთა ხარჯზე. ამრიგად, მიწა გადაიქცა ძალაუფლების და ამასთან ერთად აგრეთვე სოციალური ბატონობის წყაროდ.

დიდ როლს ამ ცვლილებებში, რომლებიც დაკავშირებული იყო წარჩინებულ ანგლო-საქსთა მიწების მობილიზაციასთან და თავისუფალი კერლების ექსპროპრიაციასთან, თამაშობდა ანგლო-საქსური თემის ბედი. ანგლო-საქსთა საგვარეულო კავშირი ძლიერ იყო შერეული ჯერ კიდევ ანგლო-საქსური ისტორიის დასაწყისში. 300-წლოვანმა ბრძოლამ ბრიტებთან კიდევ უფრო შეარყია საგვარეულო ორგანიზაცია. რაც შეეხება მსხვილი მიწად მფლობელობის წარმოშობის პროცესს, ჯერ კიდევ მორეულ წარსულში არსებული მიწის განაწილების სისტემის secundum dignacionem წყალობით ანგლო-საქსმა ერებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავისი მამულები და ბოძების სისტემის შედეგად, რაც ფართოდ განვითარდა უსექის დინატიის ხელისუფლების ქვეშ ინგლისის გაერთიანების შემდეგ, ისინი გადაიქცენ ნამდვილ მაგნატებად. რაზმელები თავის მხრივ არ იგებდენ მეფის მიერ ნაბოძებ მიწებს და ამრიგად იქმნებოდა ფეოდალური იერარქიის სოციალური კიბე. ამ იერარქიის წყაროს წარმოადგენდა ნაიძულევი, თუმცა ფორმალურად ნებაყოფლობითი აღიარება თავის დამოკიდებულებისა მეფის დომენისაგან და აგრეთვე წარჩინებულ ანგლო საქსთა მიწების დამოუკიდებელ თავისუფალ თემის წევრების და თვით მთელი სოფლების მხრივ. ასე ვითარდებოდა mundium-ის სისტემა, სისტემა თავისებური „კომმენდაციისა," რის შედეგადაც უმიწაწყლო ან მცირე მიწაწყლის მქონე გლეხი ხდებოდა დამოკიდებული, დგებოდა მიწადმფლობელის, ახლა უკვე გლაფორდის კერძო მფარველობაში. მაგრამ გარდა უმიწაწყლოებისა, რომლებიც გლაფორდისგან იღებდენ არა მარტო მფარველობას, არამედ მიწასაც, მფარველობაში გადადიოდენ ისეთებიც, რომლებიც ფლობდენ საკუთარ ძიწას და ზოგიერთ გარემოებათა გამო იძულებული იყვნენ თავისი მიწა ბატონის მფარველობაში მოექციათ [4]. უესექსის მეფის აინის, ზეფე ატელსტანის სიმართ-

[1] P. Vinogradoff, English society in the Eleventh Gentury, გვ. 146—147.
[2] P. Vinogradoff, The growth of the manor. გვ. 165—185.
[3] იქვე, გვ. 227.
[4] P. Vinogragoff, English society in the Eleventh centuru, გვ. 41, 43, 932, 235, 236.

ლენი მოწმობენ კომმენდაციების გავრცელებას არა მარტო უმიწაწყლოთა შორის, არამედ მთელს სოფლებზე. უფრო მეტი, ატელსტანის კანონები იძულებულს ხდიან იმათ, ვინც არ იმყოფება კერძო ხელისუფლების ქვეშ, მონახონ თავისთვის ლორდი. ანგლო-საქს გლაფორდების ხელში იმყოფებოდა უკვე არა მარტო წმინდა პოლიციური რწმუნებები, არამედ იურისდიკციებიც, ე. წ. „სოკა", „ფირმის" უფლება და, დაბოლოს, „იმუნიტეტები," რომელთაც ფართოდ არიგებდენ ანგლო-საქსთა მეფეები.

დიდი მნიშვნელობა ანგლო-საქსთა საზოგადოების ფეოდალური მიწათმფლობელობის ბედისათვის ქონდა შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის პრობლემას. ადგილი სახალხო ლაშქრის, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს ბრიტანეთის დაპყრობის დასაწყისში „ფაირდის" (fyrd) სახით, დაიკავა ფეოდალურმა ლაშქარმა [1]. ანგლო-საქს ერლებს ყავდათ რაზმები gesith—ებიდან, რომელთაც მათი ბელადების მიერ მიწები ქონდა ნაბოძები და ამავე დროს ვალდებული იყვენ თავისი ბატონის ბრძანებით გამოცხადებულიყვენ მთლიანად შეიარაღებული, შემდეგში სამხედრო საჭიროებებისათვის. მიწების დარიგების ამ სისტემამ შექმნა პროფესიონალურ მეომართა ზედაფენა „ტენების" სახით. უესსექსელების ხელისუფლების ქვეშ ინგლისის გაერთიანების შემდეგ „ტენების" როლი არა ჩვეულებრივად გაიზარდა იმის შედეგად, რომ განვითარდა სისტემა გენეფისტების, რომელიც თავდაპირველად მეფის ფონდებიდან რიგდებოდა შემდეგ, დარიგება მიწების, მთელი სოფლებისა და ოლქების გადაცემა კერძო ხელისუფლებაში, უშუალოდ იყო დაკავშირებული სამხედრო ძალების ორგანიზაციასთან. ასე შეიქმნა მდგომარეობა, რომ ყველა, ვინც კი ფლობდა ხუთ გაიდა მიწას, ვალდებული იყო გამოცხადებულიყო ცხენით და სრულიად შეიარაღებული და, ამრიგად, მას უყურებდენ როგორც მეფის მოლაშქრეს, ე. ი. იმავე ტენს. შემდეგში ტენები გაითქვიფენ გლაფორდებში და ანგლო-საქათა საზოგადოება მკვეთრად გაიყო ნამდვილ მწარმოებელთა გლეხთა მასად და ფეოდალების სამხედრო და მმართველ კლასად და, როცა ერლების ძველი საგვარეულო არისტოკრატია გაითქვიფა მოლაშქრეებში და ერლების ადგილზე ფეოდალთა კლასი გაჩნდა ტენების სახით, უკანასკნელნი კი, როგორც ცნობილია, გაითქვიფენ გლაფორდებში, ჩვენ უკვე გვაქვს განვითარებული ფეოდალიზმის სისტემა. ამ პერიოდს შეესაბამებოდა თემის შემდგომი ექსპროპრიაცია, როცა გლაფორდი თემის მიწებზე აწყობდა თავის საკუთარ საბატონო ჭვნას და თემის თავისუფალ და ეკონომიურად დამოკიდებელ წევრებს აიძულებდა ემუშავნათ ფეოდალური საზოგადოების ნამდვილი მწარმოებლების უფლებების საფუძველზე. მართალია, ანგლო-საქსური განვითარება თვალსაჩინოდ განსხვავდება კონტინენტალურისაგან: ინგლისის სასოფლო თემი ფეოდალიზმის ეპოქაშიც კი არ გადაქცეულა მთლიანად ბატონყმურ თემად, არამედ განაგრძობდა არსებობას და შენარჩუნებული ქონდა თავისი მრავალრიცხოვანი ფუნქციები. უფრო მეტი, გლეხების მიწებს შორის გაბნეული საბატონო მიწა—terra dominica—აიძულებდა მემამულეს დამორჩი-

[1] Maitland, Domesday and beyond, გვ. 305, 308.

ლებოდა წესებს თემისას, რომელიც მათთან ერთად აერთიანებდა გლეხთა მიწებსაც.

ასეთი იყო სურათი ანგლო-საქსური განვითარებისა ნორმანთა დაპყრობის დროისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ ანგლო საქსებმა ბრიტანიაში მოახერხეს არა მარტო შეენარჩუნებიათ თავისი ძველ გერმანული საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარებისათვის დამახასიათებელი თვისებები, არამედ აგრეთვე გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნებში მოეხდინათ ადგილობრივ კელტ მოსახლეობაში არსებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყობის „გერმანიზაცია.“ ასეთ პირობებში ანგლო-საქსთა ბარბაროსული სამეფო თავისი სტრუქტურით წააგავდა ტაციტის ეპოქის და შემდგომი დროის ძველ გერმანულ საზოგადოებას.

საჭიროებას არ წარმოადგენს განსაკუთრებით დაწვრილებით შეჩერება იმ არგუმენტების გარჩევაზე, რომელთაც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია აყენებს იმის სასარგებლოდ, რომ ანგლო-საქსური ფეოდალიზმი შეზღუდულია მხოლოდ იმით, რომ „პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს პოლიტიკური ხელისუფლებიდან, გლაფორდის ფართო მნიშვნელობით პოლიტიკური უფლებებიდან მოსახლეობის მიმართ და მისი მამულისა სასოფლო თემისადმი, რომელსაც ჩვენთვის უკვე ცნობილი გზით ეკვრის მემამულის კარმიდამო, როგორც მამულის სამეურნეო ორგანიზაცია“ (პეტრუშევსკი).[1] საკმაოდ ნათელია, რომ მიწადმფლობელობის სისტემა, დაკავშირებული ერლების, გლაფორდების და ტენების ინსტიტუტთან, წარმოადგენს მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფეოდალური ბატონობისა და დამორჩილების საწარმოო ურთიერთობათა პოლიტიკური ფორმების მხოლოდ ცალკე ეტაპებს არა მარტო პოლიტიკურ დარგში, არამედ პირველ რიგში ეკონომიურ დარგში. არ არის საჭიროებაც აგრეთვე განსაკუთრებით შეჩერება პეტრუშევსკის თეორიაზე ინგლისში ფეოდალურ ურთიერთობათა წარმოშობის შესახებ თავისუფალი შრომის საფუძველზე: არსებული წყაროები საკმაოდ ადასტურებენ ანგლო-საქსთა საზოგადოებაში „საშინელ სამსჯავროს“ აწერამდე მონობის გავრცელების არსებობას; მეორეს მხრივ, ლეტების ინსტიტუტის და დამოკიდებულების სხვა ფორმების განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ არა ეკონომიური იძულების ისეთი მძლავრი წყაროს საფუძველზე, როგორიც იყო მონობა.

საწინააღმდეგო იყო ოსტგოტთა ბარბაროსულ სახელმწიფოს განვითარება. ოსტგოტები დასახლდენ იტალიაში მხოლოდ 200—300 ათასი კაცი-რაოდენობით და ერთბაშად მოექცენ მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობის მდგომარეობაში, რომელიც დასახლებული იყო უზარმაზარ სივრცეზე. ბარბაროსების ამ გათქვეფას იტალიის მოსახლეობაში ხელს უწყობდა ოსტგოტების მშვიდობიანი შეპრა ქვეყანაში, დაწყებული ჯერ კიდევ V საუკუნეში. დასახლდენ რა როგორც სამხედრო მობინადრენი, რომლებიც ვალდებული იყვენ ემსახურათ რომის ხელისუფალთათვის, ოსტგოტებმა ჩქარა მიიღეს თავის გან-

[1] საშუალო საუკუნეების საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნარკვევები, სახ. გამომც., 1922, გვ. 210.

კარგულებაში მიწის საკუთრების 1/3 დე. წინანდელი ჯარისკაცის ეს გადაქცევა მიწის მესაკუთრედ ფეოდალიზაციის ტენდენციების განვითარებასთან ერთად, რაც დაეტყო იტალიაში ისე, როგორც რომის იმპერიის სხვა ოლქებში, მიმდინარეობდა ჯერ კიდევ შეიოჰრამდე და არ შეჩერებულა ვარვარიზაციასთან დაკავშირებით. ფეოდალური ტენდენციები ოსტგოტთა შორის საგრძნობად გაძლიერდა ბოძების სისტემის შედეგად, რასაც ფართოდ მიმართავდა მეფე და ბარბაროსთა დიდებულნი. ასეთ პირობებში ოსტგოტთა ზედაფენებისათვის, არ წარმოადგენდა სიძნელეს შეგუება იტალიაში არსებულ ეკონომიურ ურთიერთობებთან. აქ უნდა დაემატოს კიდევ რომის სამიწადმოქმედო ტეხნიკის შეთვისების შედეგები. ამრიგად, ოსტგოტთა დიდებულებმა მოახერხეს დაემორჩილებიათ თავისთვის ეკონომიური და არაეკონომიური იძულების გზით ჭეშმარიტი მწარმოებლები, როგორც ბარბაროსთა რიგებიდან, ისე წინანდელ გლეხ-რომაელებიდან: არაეკონომიური იძულების ზრდას ხელს უწყობდა კიდევ პოლიტიკა ბარბაროსულ სახელმწიფოსი, რომელმაც უარი სთქვა საალგილ-მამულო ურთიერთობაში ჩარევაზე და, ამრიგად, დააკანონა ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა მემამულესა და კოლონს შორის.

ერთად-ერთი სერიოზულ ცვლილება ეკონომიურ ცხოვრებაში, რაც დაკავშირებული იყო იტალიის ვარვარიზაციასთან, იყო მიწის საკუთრების დაქუცმაცება და საშუალო და წვრილ დამოკიდებულ, ნახევრად დამოკიდებულ და თავისუფალ მიწის მესაკუთრეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფების წარმოშობა. ამ ცვლილებების შედეგად რომის თავისუფალი სოფელი გლეხ-პარცელთან ერთად, რომელიც ვარვარიზაციამდე უბადრუკ მდგომარეობაში იმყოფებოდა, აღორძინდა და განმტკიცდა.

ამრიგად, ოსტგოტთა შემოსევას თითქმის არავითარი არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია იტალიის საზოგადოებრივ წყობილებაში იმის გამოკლებით, რაზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ წარმოების ანტიური წესის გახრწნასთან დაკავშირებით. მართალია, ფეოდალური ტენდენციები, რომლებიც აქ ვითარდებოდა, გამაგრდა გერმანელ დიდებულთა რომის საზოგადოების ზედაფენებთან შეერთების და მოთემეების წინანდელ გლეხ-რომაელებთან შეერთაბის შედეგად, მაგრამ ძველი რომის სახელმწიფო მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის თითქმის მთლიანად დაცვას ძველ (ვარვარიზაციამდე არსებულ) საზოგადოებრივ ურთიერთობებთან ერთად, შედეგად მოჰყვა ძველი გერმანული საზოგადოებრივი წყობილების სრული რომანიზაცია.[1] ცალკე ცვლილებებს სამხედრო საქმის რეორგანიზაციის სახით—სამხედრო საქმის ფუნქციების გადაცემა რომის ლეგიონების ხელიდან დამპყრობელ გოტების ხელში—რომის სახელმწიფო მმართველობის ძველი აპარატის დამსხვრევას არ შეუცვლია საერთო ხასიათი ოსტგოტთა სოციალური წყობილების შეგუებისა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რომლებიც რომაელებს ქონდათ დაპყრობამდე, მართალია, ოსტგოტთა სამეფომ იარსება მხოლოდ VI ს. ნახევრამდე, როცა იგი დაიპყრო ბიზანტიამ და ამ თვალსაზრისით მან მხოლოდ შედარებითი

[1] დ. მ პეტრუშევსკი, ალნ. თხზ., გვ. 212—214.

გავლენა მოახდინა იმ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა საერთო ხასიათზე, რომლებიც ევროპაში ვარვარიზაციის შედეგად წარმოიშვა.

ვარვარიზაციის და, ამრიგად, ფეოდალიზაციის დამთავრების ანგლო-საქსურ და ოსტგოტურ გზასაც თავის შინაარსად ქონდათ განვითარება „სინთეზისა," რომელიც საფუძვლად ედო დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმს, მაგრამ ანგლო-საქსური გზა, მისთვის დამახასიათებელ „გერმანულ" ურთიერთობათა პრიორიტეტით და ოსტგოტური გზა „რომაულ" საფუძვლების ჭარბობით ტიპიური იყო მხოლოდ დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმის სახეობათა წარმოშობისათვის, რომლებიც დამახასიათებელია ცალკე ქვეყნებისათვის. დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმის ბედი, ფეოდალიზმის განვითარება, საკუთარი მნიშვნელობით, დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე დაკავშირებულია იმ პროცესებთან, რომლებმაც განვითარება იწყეს ფრანკთა სამეფოს ტერიტორიაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენგელსი თვლის, რომ დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმი „შეიქმნა დასავლეთ საფრანგეთში."

ფრანკთა სამეფოს ტერიტორიაზე მთლიანად განხორციელდა ის „სინთეზი," რომელზედაც ლაპარაკობდა მარქსი.

სუსტად დასახლებულ და ცარიელ-ტიალ ადგილებში კომპაქტურ მასებით დაბინადრებული ფრანკები თავიდანვე უფრო ხელსაყრელ პირობებში იყვნენ ჩაყენებული ძველ გერმანული წყობილების ძირითადი ელემენტების შესანარჩუნებლად, ვიდრე ოსტგოტები. ფრანკებმა, რომლებიც მოვიდენ როგორც დამყრობნი, ხელთ იგდეს სახელმწიფო ე. წ. „ფისკალური" მიწის უზარმაზარი სივრცეები, რომლებიც ჯერ კიდევ დაპყრობამდე არ იყო განაწილებული. დატაცებული მიწა პირველ რიგში განაწილებული იქნა ფრანკ დიდებულთა შორის, „პირველ საქმედ ფრანკთა მეფისა, რომელიც უბრალო მთავარ სამხედრო სარდლიდან გადაიქცა ნამდვილ ხელმწიფედ, იყო—როგორც აღნიშნავს ენგელსი,—ამ სახალხო კუთვნილების გადაქცევა სამეფო ქონებათ, მისი წართმევა ხალხისათვის და დარიგება საჩუქრად ან სალენო მფლობელობაში გადაცემა თავისი ლაშქრისათვის" [1]. ფრანკებს რომის იმპერიის ტერიტორიაზე დახვდათ ურთიერთობანი, განსაზღვრული ფეოდალური ტენდენციების განვითარებით. ვარვარიზაციას არ შეუჩერებია ეს პროცესი, რის შედეგი ფრანკთა სამეფოს ტერიტორიაზე იყო საადგილმამულო ურთიერთობათა შექმნა: მამული შეიქნა სამეურნეო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ცენტრი და ამასთანერთად არა მარტო კოლონის უფლებათა საფუძველზე მყოფ წინანდელი რომაელი გლეხის, არამარტო მფარველობაში მყოფ მესაკუთრის და, დაბოლოს, თავისუფალ მესაკუთრე—პარცელის, არამედ აგრეთვე თავისუფალ ფრანკის ბედ-იღბალის ბატონ-პატრონი. მარქსისტულ-ლენინურმა ანალიზმა სწორედ უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ მიმდინარეობდა ფეოდალური საზოგადოების ახალ საწარმოო ურთიერთობათა ჩამოყალიბება, მით უფრო, რომ ფეოდალურ ტენდენციებს, რომლებიც რომში ვითარდებოდენ ვარვარიზაციამდე, არ შეეძლოთ მოეცათ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, წარმოების ფეოდალური წესი იმ სახით, რო-

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 154.

გორსაც ჩვენ ვხედებით გაბატონებულს დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმის ეპოქაში. წარმოების ფეოდალური წესის დადგენილება ეს პროცესი მიმდინარეობდა ერთის მხრივ ჰეშმარიტ მწარმოებელთა მდგომარეობის შეცვლის და მეორეს მხრივ იმ ახალ პოლიტიკური ფორმების და საწარმოო ურთიერთობათა შედეგად, რომლის წყალობითაც ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე მდგომმა გაბატონებულმა კლასმა შესძლო ჰეშმარიტ მწარმოებელთა მიწის ექსპროპრიაცია და მათი დახლართვა არაეკონომიური იძულების სისტემით.

პირველ ყოვლისა ყურადღების ღირსია ცვლილებები, რომლებიც მოხდა ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროიდან დარჩენილ ჰეშმარიტ მწარმოებლებთა კატეგორიებში: მონებში, ნებით განტევებულებსა და კოლონებში. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ხომ იმ ფაქტიდან, რომ ეს კატეგორიები არსებობდენ რომის ეპოქაში და ან, ადრეული საშუალო საუკუნოების ეპოქაშიც, დღემდე აკეთებს დასკვნას ანტიურობიდან ფეოდალიზმისაკენ განვითარების ხაზოვნობის შესახებ!

არ არის საჭირო განსაკუთრებით გავაგრძელოთ სიტყვა იმაზე, რომ მონობა უფრო და უფრო მეტ წარმატებას აღწევდა ფრანკთა საზოგადოებაში. უკვე ენგელსის მიერ მოცემული დახასიათებიდან შეიძლებოდა დანახვა, რომ ძველი გერმანელები ძლიერ ადრე ვაჭრობდენ მონებით და ამრიგად ისინი ეწეოდენ ახალი მონების წარმოებას. ფრანკთა დიდებულნი ყოველ საშუალებით სარგებლობდენ მონათა კადრების შესავსებათ (ომები სხვა ხალხებთან, ურთიერთ შორის ომები, მონათა გაყიდვა და სხვ. ძალადობის სხვადასხვა გვარი ფორმები, რომლებიც გამომდინარეობდენ დანაშაულისათვის არსებულ სასჯელთა სისტემიდან, ვალების გადაუხდელობისათვის და თვით მწვავე პატერიალური გაჭირვებიდან, რაც იწვევდა ნებაყოფლობით მონობას[1]. გრიგოლი ტურიდან და V-VI ს. ს. მთელი რიგი ფორმულები უდაოთ მოწმობენ კაბალურ ურთიერთობათა სისტემას, რომელთაც თავის შედეგათ ქონდათ მონობა[2]. მიუხედავათ ამისა, პროცესი მონობის განვითარებისა ფრანკებში და სხვა გერმანელ ხალხებში სრულიად არ ნიშნავდა, რომ ანტიურ მონებსა და ძველ გერმანული საზოგადოების მონებს შორის არ ყოფილა არავითარი განსხვავება და რომ ვარვარიზაციის პროცესს არ მოჰყოლია ცვლილებები იმ და ამ მონების მდგომარეობაში.

ცვლილებები პირველ ყოვლისა გამოიხატა იმაში, რომ წინანდელი მონები, საოჯახო მონების გამოკლებით, დ ა ს მ უ ლ ი ი ქ ნ ე ნ მ ი წ ა ზ ე. მონა, რომელმაც მიიღო ნაჭერი, დროთა ვითარებაში უერთდება მისთვის მიცემულ მიწის ნაჭერს. VI ს. მონებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები ხშირად აღინიშნება მათზე მიმაგრებული მონების სახელით. შემდეგ, იმ დროს ოფიციალური დოკუმენტები აჭრელებულია servi casati ანდა mansuarii სახით დასახლებულ მონათა კატეგორიებით [3]. ბუნებრივია, რომ მიწაზე მიმაგრებული მონა, რომელიც იურიდიულად

---

[1] ფიუსტელ დე კულანჟი, საფრანგეთის საზოგადოებრივ წყობილების ისტორია, ტ. IV გვ. 335—338.

[2] Formulae, Rosière-ს გამოცემა, მომყავს ფილსტელ დე კულანჟის მიხედვით, აღნ. თხზ. გვ. 341—349

[3] ფიუსტელ დე კულანჟი, აღნ. თხზ. ტ. IV, გვ. 458—459.

არ იყო განთავისუფლებული თავისი ბატონის ძალაუფლებიდან, ეკონომიური განვითარების პირობებში იღებდა უფრო და უფრო მეტ ეკონომიურ დამოუკიდებლობას; არ იყო გამორიცხული შესაძლებლობა ამ მონის საბატონო ბეგარაზე და ხარკზე გადასვლისა და, ამრიგად, მისი გადაქცევისა, ყმად. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ პირველ რიგში სჭარბობდა საბატონო ბეგარის ურთიერთობანი. მნიშვნელობა არ აქვს, რომ ისეთ დოკუმენტებში, როგორიც აის ადამიანთა და მფარველთა სიმართლენი (VII—VIII ს. ს.) ლაპარაკია საბატონო ბეგარაზე და ხარკზე. ალამანთა სიმართლის 22 მუხლის ძალით ხომ მონა ვალდებული იყო თავისი სამუშაო დღის ნახევარი მოეხმარებია მებატონის მიწაზე მუშაობისათვის და მხოლოდ დღის მეორე ნახევარი შეეძლო ემუშავა თავის ნაკვეთზედ. როგორც არ უნდა ყოფილიყო ხარკის რაოდენობა, ის ყოველ შემთხვევაში გაცილებით უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ასეთი საბატონო ბეგარა. ბავარიის სიმართლე ითვალისწინებს უკვე კვირაში სამი დღის განმავლობაში მუშაობას მემამულეზე და სამი დღის განმავლობაში თავისთვის [1]. რაც შეეხება მითითებას, რომელიც გვხდება აბატ ირმინონის პოლიტიკაში, ხარკის ფართოდ გავრცელებაზე, საბატონო ბეგრის სამუშაოთა გამოანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო მინდვრად მუშაობა, არამედ აგრეთვე მუშაობა, დაკავშირებული ხელოსნურ წარმოებასთან, რომლებიც უნდა შეესრულებიათ სენ-ჟერმენ დე პრეს მამულის ჰეშმარიტ მწარმოებლებს. ასე ამრიგად, მონობა იმპერიის ვარვარიზაციის შემდგომ ეპოქაში იყო ერთერთი გზა სერვაჟის—ბატონობის წარმოშობისა. სერვაჟის წარმოშობის მეორე გზას წარმოადგენდა გზა, დაკავშირებული ნებით განტევების ევოლუციასთან. რომ არ ვილაპარაკოთ იმ ნებით განტევებულთა კატეგორიებზე, რომლებიც თავისი განთავისუფლების შედეგად მეფის ან მისი რწმუნებულის თანდასწრებით იღებდენ სრულ პირად დამოუკიდებლობას თავისუფლად დაბადებულის [2] უფლებათა ფარგლებში—ე. წ. განთავისუფლება „დენარიუმის“ საშუალებით, ან ის ნებით განტევებულნი, რომელთაც ათანაბრებდენ რომის მოქალაქეებთან (civis Romanus), [3] მაშინ თავისუფლების მინიჭება არ ხდიდა მონას სრულიად თავისუფლად, არამედ აქცევდა მათ დამოკიდებულ ადამიანებად. ამ კატეგორიებს უნდა მიეკუთნოს კატეგორიები: liberti, tributarii, liti [4] და „საეკლესიო და სამეფო ხალხი“ (humines ecleslastici [5], homines regii [6]). ყოფილ მონათა ყველა ეს კატეგორიები, რომლებიც იურიდიულად განთავისუფლებული იყვნენ, განაგრძობდენ დარჩენას სინიორისგან პირად დამოკიდებულებაში და მათი პიროვნების მდგომარეობის გაურკვევლობის გამო მერყევ მდგომარეობაში

[1] Lex Alemanorum, 22 და Lex Baiuwariorum, I, 3, მომყავს ფიუსტელ დე კულანჟის მიხედვით, ალნ. თხზ. ტ. 414.
[2] ფიუსტელ დე კულანჟი, ალნ. თხზ., ტ. IV, გვ. 370—377.
[3] იქვე, გვ. 387—389, 398—404.
[4] ფიუსტელ დეკალანჟი, ალნ. თხ. ტ. IV, გვ. 415—417.
[5] იქვე, გვ. 418—424.
[6] იქვე, გვ. 425—429.

რჩებოდა მათი საკუთრებაც. როგორც ცნობილია, მონის განთავისუფლების პროცესს, მის გადაქცევას ნებით განტევებულად, თან ახლდა მიწის მიცემა მისთვის. გასაგებია, რომ მიწის გამოყოფა ნებით განტევებულისათვის წარმოადგენდა არა შედეგს გაბატონებული კლასების მოწყალებისა, არამედ შედეგს იმისას, რომ ისინი ამაში დაინტერესებულნი იყვნენ: ნებით განტევებულნი საერთოდ და მთლიანად ასრულებდენ იმავე ვალდებულებებს, რასაც მონები, შესაძლოა, იმ განსხვავებით, რომ საბატონო ბეგარის ხარჯთან შედარებით ნაკლები ადგილი ეჭირა და მას უფრო ინტენსიურად ასრულებდენ. „ტრიბულარიუმის“ სახელწოდება ხომ დაკავშირებულია იმასთან, რომ თვით განტევებულს უნდა გადაეხადა tributum [1] ე. ი. ხარჯი, ბეგარა. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში მიჯნა მიწაზე გადაყვანილ მონებსა და ნებით განტევებულთა შორის არსებითად წაიშალა.

ამრიგად mansuarii, tributarii-ს ინსტიტუტები წარმოადგენდენ ადრინდელ ფორმებს ფეოდალურ ურთიერთობათა, რომელშიც მოექცენ წინანდელი ეპოქის ჰეშმარიტი მწარმოებლები დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის წარმოშობის ეპოქაში. მაგრამ ჰეშმარიტ მწარმოებელთა ძირითადი მასა შეიქმნა იმ ცვლილების შედეგად, რომლებიც განიცადეს კოლონებმა, პარცელიარულმა გლეხობამ—რომის იმპერიის მემკვიდრეებმა—და თავისუფალმა ფრანკებმა.

„გერმანელებისათვისო,—წერს ენგელსი,—ახალი აშბავი იყო, რომ თავისუფალი ხალხი იჯდა არა საბატონო და არა თავის საკუთარ მიწაზე. მართალია, გალლიაში და საერთოდ რომის სამართლის ბატონობის ოლქებში გერმანელები საკმაოდ ხშირად ხვდებოდენ მოიჯარადრეების სახით თავისუფალ რომაელებს,—მაგრამ, რომ თვით მათთვის არ იყო საჭირო მოიჯარადრებათ გახდომა და რომ მათ შეძლება ჰქონოდათ ყოფილიყვენ თავიანთ საკუთარ მიწაზე,—ამაზე თვით გერმანელები ზრუნავდენ ტერიტორიის ოკუპაციის დროს. მაშასადამე, მანამ, სანამდე თავისუფალი ფრანკები გახდებოდენ ვისიმე მფლობელი, მათ რაიმე გზით უნდა დაეკარგათ მიწის ოკუპაციის დროს მიღებული ალლოდი და მათ საკუთარ წრეში უნდა წარმოშობილიყო უმიწაწყლო თავისუფალ ფრანკების კლასი“ [2].

ალლოდის დაკარგვის და უმიწაწყლო ფრანკთა კლასის წარმოშობის პროცესი ვითარდებოდა სწორედ მიწადმფლობელობის კონცენტრაციის პროცესთან დაკავშირებით; უკანასკნელი კი დაკავშირებული იყო წინანდელ პრეკაროულ ურთიერთობათა საფუძველზე აღმოცენებულ ინსტიტუტებას განვითარებასთან.

ფრანკთა ეპოქაში „პრეკარიუმი“ უკვე აღნიშნავდა მიწის ბოძებას, რომელსაც აძლევდენ ყოველ ხუთ წელში განმეორებით წერილობითი თხოვნის საფუძველზე. პრეკაროულ ხელშეკრულების ვადები მეტად სხვადასხვა იყო—ცნობილია, როგორც მთელი სიცოცხლის დროის ვადით, ისე მარად მემკვიდრეობითი პრეკარუმები. პრეკარუმულ ურთიერთობათა განვითარება ფრანკთა ეპო-

---

[1] იქვე, გვ. 484.

[2] ფრ. ენგელსი, ძველ გერმანელთა ისტორიის ზოგადი მიმოხილვა (გამოუქვ. ხელნაწერი).

ქაში პირველ რიგში გავრცელდა უმიწაწყლო ფრანკთა კლასზე, რომელიც წარმოიშვა განუწყვეტელ დაპყრობითი ომების, იმპერიის დაყოფის გამო წარმოშობილ სამოქალაქო ომების შედეგად ე. წ. „მეამბოხეების“ და თავისუფალ ფრანკთა მიწების კონფისკაციის საფუძველზე. შემდეგ, პრეკარულ ურთიერთობაში დგებოდენ უკვე მსხვილი მიწის მესაკუთრეებიც საერო და სასულიერო პირებიდან, რომელთაც სამსახურისთვის მეფეები მიწებით აჯილდოებდენ. „პრეკარიუმი“ რომელიც ვრცელდებოდა სხვადასხა გვარ პირთა მიწებზე, მსხვილზე და წვრილზეც, იწვევდა ფლობის სხვადასხვა გვარი სახეების წარმოშობასაც—დაწყებული „წმინდათი“, ე. ი. ისეთით, რომელსაც არავითარი ვალდებულებები არ ეკისრებოდა, „საძაგლებამდე“-ე. ი. „გლეხურამდე“. თავდაპირველად პრეკარიუმი არ იყო დაკავშირებული მისი მიმღების პირად დამოკიდებულებასთან, თუმცა ზოგჯერ პრეკარულ ურთიერთობას მოსდევდა მოვალეობანი დაკავშირებული რეალურ ვალდებულებეთან (საბატონო ბეგარა). [1] პრეკარულ დამოკიდებულებას მეტ წილად მოსდევდა ეკონომიური დამოკიდებულება, რომელიც ემყარებოდა მსხვილ მესაკუთრის მფარველობაში გადაცემული მიწის მფლობელობაზე. პერკარული ურთიერთობები თავისუფალი ფრანკის მიწას აჯაჭვებდა მებატონის მიწაზე, და მის მდგომარეობას განსაზღვრავდა დამოკიდებულების სისტემა, რომელიც იქნებოდა წარჩინებულთა და მათ ახლობელთა შორის.

შემდეგში პრეკარიუმი გადადის beneficium-ში. ბენეფიციუმი გამოხატავდა უკვე ისეთი სახის მფლობელობას, რომელთანაც დაკავშირებული იყო იჯარის გადახდა, სამსახური ან, ყოველ შემთხვევაში, მზად ყოფნა სამსახურისათვის. პრეკარიუმის მსგავსად არც ბენეფიციუმი წარმოადგენდა ერთი სახის მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა ს, როგორც ფლობის ვადის, ისე ზომის თვალსაზრისაც. ბენეფიციუმის ზრდა უალრესად მჭიდროთ არის დაკავშირებული იმასთან, რომ ნატურალურ ურთიერთობათა ბატონობის პირობებში მეფის მოხელეები-გრაფები, და მათი თანაშემწენი—თავის სამსახურისთვის იღებდენ მიწას, რომელსაც ისინი თვლიდენ მეფისგან განსაკუთრებული წყალობის სახით მიღებულ პირადი გამდიდრების წყაროდ [2]. შემდეგში, კაროლინგების დროის (IX ს.), ბენეფიციუმების განვითარებას მოჰყვა სრული თავისუფალი საკუთრების თითქმის მთლიანად განდევნა. ამრიგად, ბენეფიციუმის შედეგად, როგორც აღნიშნავს ენგელსი „მაგნატები თვითონ გახდენ გვირგვინის მყრობლებად“. ბენეფიციუმი უკვე წარმოადგენდა ფეოდის ჩანასახს. ბენფიციუმისა და ფეოდისათვის საერთო იყო ბენეფიციალურ ურთიერთობათა შეწყვეტა, როგორც მებატონის ისე ბენეფიციარის სიკვდილის შემთხვევაში; როგორც ბენეფიციების, ისე ფეოდის დაკარგვის პირობები ზუსტად იყო განსაზღვრული და ბევრ რამეში ერთნაირი იყო. „ბენეფიციებით შექმნილ საზოგადოებრივ იერარქიაში, რომელიც გვირგვინიდან მსხვილ ბენეფიციარების—საიმპერიო თავდადების წინამორბედთა საშუალებით მიდიოდა საშუალო ბენეფიციარებისაგან შემდგომი თავად-აზნიურობისაკენ, მათგან კი თავისუფალ და არა თავისუფალ გლეხობისაკენ, რომლებიც მეტ წილად არ

[1] ფიშტელ დე კულანჟი, აღნ. თხზ. ტ. V., ფეოდალური წყობილების დასაწყისი, გვ. 133 —194.

[2] იქვე, გვ. 240—245.

იყვნენ სამარკო თემების წევრნი, ჩვენ ვხედავთ,—ხაზგასმით აღნიშნავს ენგელსი,—შემდგომი კარჩაკეტილი ფეოდალური ურთიერთობის საფუძვლებს".

ფეოდალური იერარქიის საშუალებით ჩვენ შევდივართ ფეოდალურ საწარმოო ურთიერთობათა ეპოქაში; „მიწის საკუთრების იერარქიული სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული რაზმების სისტემა თავადობას აძლევდა ძალაუფლებას ყმებზე" [1],—ფეოდალურ იერარქიაში ჩამარხული იყო ეკონომიური საფუძველი არა ეკონომიური იძულების ბატონობისა ფეოდალურ ეპოქაში.

ფეოდალურ საწარმოო ურთიერთობათა განვითარების შემდგომი პროცესი მიმდინარეობდა ახალი ინსტიტუტის—ვასსალიტეტის ორგანიზულის გზით. როგორც ენგელსი აღნიშნავს ხაზგასმით, „ბენეფიციუმს აკლდა ის ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებული იყო პირადი დამოკიდებულების განმტკიცებასთან. თუ შემდგომი დროის ლენური მამული ყოველ შემთხვევაში წარმოადგენს სასამსახურო მამულს და ავალდებულებს ლენურ დამოკიდებულებაში მყოფს შეასრულოს სამხედრო სამსახური ლენის პატრონის მიმართ, ბენეფიციუმს ჯერ კიდევ არ მოეპოება მეორე ამ ნიშნებიდან, პირველი კი სრულიადაც არ არის სავალდებულო. აი ეს დანაკლისი ელემენტი მოცემულია ვასალიტეტში-ინსტიტუტში, რომელიც თავდაპირველად წარმოიშვა წამხედრო სამსახურის საჭიროებიდან, რასაც იმ ეპოქაში ასრულებდენ ნატურალური ვალდებულების სახით: მიწის მესაკუთრე ან ჭეშმარიტი მწარმოებელი დგებოდა პირად დამოკიდებულებაში და ვალდებული იყო საკუთარი გულმკერდით დაეცვა ომში თავისი ბატონი. ცვლილებებმა, რომლებიც ვარვარიზაციამ გამოიწვია ადმინისტრაციულ და სამხედრო წყობილების დარგში, რომელთაც საფუძვლად ედო ახლად შექმნილი სისტემა მსხვილი მიწადმფლობელობისა, კონფისკაციების და ახალ ბოძებათა ზრდამ, უზრუნველყვეს ვასსალიტეტის გაჩენა. ბენეფიციუმი დამოკიდებულებაში აყენებდა მიწას და იურიდიულად არ ემუქრებოდა პიროვნებას, ვასსალიტეტმა დამოკიდებული გახდა პიროვნებაც და იურიდიულად არ ცვლიდა წინანდელ ურთიერთობას მიწის დარგში. „ბენეფიციუმი,—ხაზგასმით აღნიშნავს ენგელსი,—ყოველ შემთხვევაში, იყო გარდამავალი და ამასთან ერთად ყველგან არა ერთდროულად წარმოშობილი ფორმა." ასეთ პირობებში ბენეფიციუმი შემდეგში გადავიდა ვასსალიტეტში, და ამრიგად პირად დამოკიდებულებას მოჰყვა დამოკიდებულება მიწის მხრივაც, მიწის მხრივ დამოკიდებულება კი ავტომატიურად იწვევდა პიროვნების დამოკიდებულებასაც. ეს იყო უკვე თითქმის ფეოდი. გაშლილი სახით ფეოდალური საწარმოო ურთიერთობანი გამოჩნდა უკვე მაშინ, როცა ბენეფიციუმის და ვასალიტეტის ურთიერთობათა გაერთიანებას მიენიჭა იმუნურ ურთიერობათა ხასიათი.

უკვე ვასსალიტეტის შემოღება დაკავშირებული იყო თვალსაჩინო ცვლილებებთან თავისუფალ მფლობელთა მდგომარეობაში.. „მფლობელები, რომლებიც წინად იურილიულად თანასწორუფლებიანი იყვნენ თავის მამულის პატრონთან,—აღნიშნავს ენგელსი,—რა ძლიერადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი ეკონომიერად დამოკიდებული მისგან, ახლა მის ქვეშევრდომებად გადაიქცენ

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, თხზ. ტ IV, 1933 წ. გვ. 14,

უფლებრივადაც. ეკონომიურმა დამოკიდებულებამ პოლიტიკური სანქცია მიიღო, მამულის პატრონი გადაიქცა სენიორად, მფლობელები გადაიქცენ მის კაცებად; ბარონი გახდა „კაცის“ უფროსად. თავისუფალთა იურიდიული თანასწორუფლებიანობა ქრება; ჭეედა ფენა ხალხისა, რომელთა სრულ თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას ძლიერი ხიანი მიაყენა უკვე მათთვის თავისი საგვარეულო მამულის მემკვიდრეობით ფლობის უფლების წართმევამ, ეშვება კიდევ ერთი საფეხურით დაბლა უფრო ახლო არათავისუფლებისაკენ“.

ეჰვს გარეშეა, რომ პრეკარული ურთიერთობანი, ბენეფიციალური და ვასსალური, წარმოადგენდენ მხოლოდ საშუალებას მიწების მობილიზაციისა მსხვილი მესაკუთრეების ხელში, ქმნიდნენ მწარმოებელთა ექსპროპრიაციის საწყისებს და ძირითად ეტაპს არაეკონომიური ძალადობის სისტემის ზრდაში. „ასე სულ უფრო და უფრო იფანტებოდა სწორუფლებიან თავისუფალ ფრანკთა ფენა,—აღნიშნავს ენგელსი,—თუ მიწის საკუთრების თანდათანობით დაკარგვამ აიძულა მათი ერთი ნაწილი მოქცეულიყვენ ვასალურ დამოკიდებულებაში ახალი მსხვილი მემამულეებისაგან, მეორე ნაწილი სამხედრო სამსახურში აშკარად დაღუპვის შიშმა აიძულა ბატონ-ყმურ მდგომარეობაში გადასვლა ერჩია“.

ბუნებრივია, რომ არათავისუფალი მოსახლეობის ძლიერმა ზრდამ, რასაც აღნიშნავს ისეთი დოკუმენტები, როგორიც არის ებბატ ირმინონის პოლიპტიკი, უდიდესი ცვლილებები მოახდინა ფრანკთა საზოგადოების კლასობრივ ურთიერთობაში[1]. განმტკიცებულ ფეოდალურ საზოგადოებას დამოუკიდებლად გამხდარ მსხვილ მიწადმფლობელთა წოდებასთან, მათ თავისუფალ ვასსალებთან ერთად საქმე ჰქონდა კიდევ არათავისუფალთა კლასთან, რომელიც უფრო და უფრო ნთქავდა თავისუფალ ფრანკთა ნაშთებს.

ასე გამოიყურება დასავლეთ-ევროპის ფეოდალიზმის გინეზისის პრობლემა მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით. დამოკიდებულ და არათავისუფალ მწარმოებელთა კლასი წარმოიშვა არა შედეგად იმისა, რომ კოლონატის, პრეკარული ან პატროცინიალური ურთიერთობანი უბრალოდ იქნა გადატანილი რომის იმპერიის ეპოქიდან ე. წ. „საშუალო საუკუნეების“ ეპოქაში; ყმა გლეხების კლასი წარმოიშვა არა შედეგად იმისა, რომ წარმოების ანტიური წესის კრახთან დაკავშირები წარმოშობილი ყველა ფეოდალური ტენდენციები უბრალოდ გადაიზარდა ბატონ-ყმურ ურთიერთობაში, არამედ ახალ, უფრო რთულ პროცესთან დაკმშირებით, რომელიც გამოიწვია ნაწილობრივ ძველი ფეოდალური ტენდენციის შეთვისების და ახალ ურთიერთობათა განვითარების საფუძველზე მომხდარმა ცვლილებებმა, როგორც ჩვენ დავინახეთ ფრანკთა სამეფოს მაგალითზე. „ამგვარად შექმნილმა გარემოებამ [რომის იმპერიის დაღუპვა და მისი დაპყრობის ბარბაროსების მიერ ა. პ.] და მის მიერ გამოწვეულმა დაპყრობათა საორგანიზაციო ფორმამ გერმანული ჯარების სტრუქტურის ზეგავლენით განავითარეს ფეოდალური საკუთრება.“[2] უკანასკნელი დებულების დამამტკიცებელ სა-

[1] ნ. გრაციანსკი, დასავლეთ ევროპა საშუალო საუკუნეებში, სოციალ-ეკონომიური ისტორიის წყაროები. 1925 წ., გვ. 74—79.

[2] ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, თხზ. ტ. IV, გვ. 14.

ბუთს, დაბოლოს, წარმოადგენს ფაქტი დამოუკიდებელ თავისუფალ მიწადმომქმედთა შენარჩუნებისა ფეოდალურ ევროპაში. უკვე „კაპიტულიარიუმს მამულთა შესახებ“ საქმე აქვს მასების, ე. წ. ფრანკების თავისუფალ მფლობელებთან (მუხლი მე-4ე) [1]. სენ-უერმენის მონასტერის უკვე ხსენებულ პოლიპტიკში გვხვდება თავისუფალ მასების მფლობელები, რაზედაც ყურადღებას აქცევს ინგლისიც [2]. დაბოლოს, მამულთა ფარგლებს გარეშე რჩებოდენ თავისუფალი თემები, რომლებშიც ფეოდალები საკმაოდ ფართოდ პოულობდენ დამოკიდებულ მწარმოებელთა ახალ კადრებს.

წინად თავისუფალ ფრანკების ფეოდალური საზოგადოების ჭეშმარიტ მწარმოებლებათ გადაქცევის პროცესი ხდებოდა შედეგად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც თან სდევდა შეთქმულებები, არათავისუფალთა და გლეხთა აჯანყებები. კარლოს დიდმა საშინელი სისასტიკით ჩააქრო რომის საეპისკოპოზოს დამოკიდებულებაში მყოფ მფლობელთა აჯანყება; ლიუდევიკ კეთილმსახური 821 წლის კაპიტულიარუმში გვიამბობს მონების აჯანყებაზე ფლანდრიაში და მანეპისკში (მდ. ლისის ზემონაწილში); 846 და 866 წ. წ. საჭირო შეიქნა მაინცის საეპისკოპოზოს დამოკიდებული ხალხის აჯანყების ჩაქრობა. ამგვარი აჯანყების ჩაქრობის შესახებ ბრძანებები მეორდება შემდეგ კაპიტულიარიებში, დაწყებული 779 წლიდან. ასეთივე პასუხი გასცეს ყმად გადაქცევის თავზე მოხვეულ პოლიტიკას საქსონიის გლეხებმაც სტელლონგების აჯანყების დროს. „ის გარემოება, რომ VIII ს. დამლევიდან და IX ს. დამდეგიდან არათავისუფალთა, მათ რიცხვები აგრეთვე მიწაზე გადაყვანილ მონების ვალდებულებები უფრო და უფრო გამოიხატება გარკვეულ ფარგლებში, რომლებიც არ შეიძლებოდა გადადებული ყოფილიყო და რომ კარლოს დიდი ამ ს შესახებ კატეგორიულ წინადადებებს იძლევა, – მიუთითებს ენგელსი, – როგორც ჩანს, იყო არათავისუფალი მასების ამ საშიში მოქმედების შედეგი.“ ამრიგად, ყმად გადაქცეული გლეხების კლასობრივი ბრძოლა განსაზღვრავდა ფეოდალურ ვალდებულებათა სიმაღლესაც. ამრიგად, უკვე ადრეული ფეოდალიზმის ეპოქაში დაიწყო გლეხთა მძლავრი მოძრაობა, შემდეგში გადაიქცა „ყმა გლეხების რევოლუციად“, რომელმაც მოახდინა „მემამულეთა ლიკვიდაცია და გააუქმა ექსპლოატაციის ბატონ-ყმური ფორმა“ (სტალინი).

გლეხობის ძვლებზე, „მოსპობით უბრალო თავისუფალ ფრანკთა წოდებისა, რომელიც გალლიის დაპყრობის ეპოქაში შეიცავდა ფრანკთა ტომის მთელ მასას, და ხალხის მსხვილ მიწათმფლობელთა, ვასსალების და ყმების ფენებად დაყოფის ფასად,—აღნიშნავს ენგელსი,—კაროლინგებმა შექმნეს ახალი ფეოდალური რომის იმპერია“ [3].

---

[1] ნ. გრაციანსკი, აღნ. თხზ. გვ. 62.

[2] ფრანკის ეპოქაში ჭეშმარიტ მწარმოებელთა მდგომარეობის შეცვლის პრობლემის შესახებ იხ. ნ. ნ. როზენტალის წერილი: „დასავლეთ-ევროპის საზოგადოებაში ფეოდალიზმის წარმოშობის პერიოდში ექსპლოატაციის ფორმების განვითარების საკითხისათვის (V—IX ს. ს.)“.

[3] ფ. ენგელსი, ძველ გერმანელთა ისტორიის ზოგადი მიმოხილვა (ხელთნაწერი).

მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის
ЗА МАРКСИСТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ
საუბილეო კრებული უნივერსიტეტი 1934

ფაქტები და დოკუმენტები

აკად. ნ. მარრის წერილი გიორგი წერეთლისადმი[1]

პატივცემულო ბატონო გიორგი

ბ-ნო გიორგი

თქვენი წერილი დაგვიანებით მივიღე მაგრამ ადრეც რომ მოსრულიყო, ველადას გავაწყობდი, რადგან „ცენზურა“ დავტოვე, იძულებული ვიყავ დამეტოვა: იანვარს აქეთ ცენზორს ეძებენ—უფრო სათნო პირს და ჯერ არ უპოვიათ. არ მგონია, რომ თქვენთვის საინტერესო იყოს, თუ როგორ მათქმევინეს მშვიდობით, და იმიტომ ნათქვამს ვკმაყოფილობ. თქვენი რომანის[2] „იღბალი“ ახლა თქვენი ცენზორის ნებაზე დარჩება დამოკიდებული, თუ აქ ზეგარდმო შთაბერვით გადაწყვეტა არ ისურვეს საქმის. არ ვგონებ ცაგარელს[3] მიმართონ, მომავალ ცენზორს კი—ჩემ სამაგიეროს—ქართულის ცოდნა არ მოეთხოვება. ვწუხვარ, რომ თქვენ რომანს ველარ დავეხმარები. „ქვალისთვის“[4] ძალიან მადლობელი ვარ. საინტერესოა, რომ სომეხთა და ქართველთა შორის აღორძინებულ სიძულვილეს დანელებას ცდილობთ, როცა მომავალ არჩევნებზე სწერთ. რაც უნდა იყოს, ქართველები და სომხები მუდამ მეზობლად დარჩებიან და სამომავლოდ ეგი იმუშავებს, ვინც ქართველებს და სომხებს შორის სიმძულვარის ხნარევის ამოღებას ისურვებს. თორემ ვეჭვობ რაოდენ ხნარევს სილრმეს და სიფართოვეს ჰმატებენ, იმოდენად მეტსაშიშარი იქნება ორივე მხარესთვის, იმოდენად გაადვილდება მათი შიგ ჩაკვენა, და განა სულ ერთი არ არი, ქართველობა სამარის ძირში იქნება თუ თავში, მაინც ხომ სამარეში დარჩება. ჩემი სიტყვები, რასაკვირველია, ნ. მარრის ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ცნობილი ბელეტრისტის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის წერილზე. ამ უკანასკნელმა წერილი ნ. მარრს, კავკასიის კომიტეტის მიერ აკრძალული მისი რომან „გულქანის“ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში გადაგზავნასთან დაკავშირებით გაუგზავნა.

[2] გ. წერეთლის რომანი „გულქან“ კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ 1899 აიკრძალა. „გულქანი“ არა სრული ტექსტით 1899 წელს გამოქვეყნდა.

[3] ქართული ლიტ-რის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

[4] ეხერ „ქვალი“ ამ წერილის დაწერის პერიოდში გ. წერეთლის ფაქტიური რედაქტორობით გამოდიოდა. „ქვალის“, „ივერიის“ და „ნაკადულის“ ოფიციალური რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა იყო, გ. წერეთლის მეორე ცოლი.

კვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები ყურ მოჭრილ ყმასავით სხვის კეთილდღეობას უნდა შეჰყურებდეს და თავის ნამდვილ ინტერესებს ზურგს უქცევდეს! მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ რაც მშვენიერი გაკვეთილები მისცენ ქართველებსა ეროვნული დევნის, ეროვნულ წაქეზებას ხელი არ მიჰყონ არც ერთი ერის მიმართ.—იქნებ მოვაწყინე. თქვენ მეუღლეს ჩემგან მოწიწებითი თაყვანისცემა.

პატივისმცემელი თქვენი

ნ. მარრი.

პეტერბურგი. 3, 15 [1].
Раз'ѣзжая, (?) 46.

ნიკო მარრი

ქართველთა სამეცნიერო აკადემია

შენიშვნები: **ი. მეგრელიძე**

ქართულ სამეცნიერო აკადემიის დაარსებისათვის ზრუნვა, ჯერ კიდევ 1905—1906 წელს დაუწყიათ; მასში მონაწილეობა მიუღია ნ. მარრს, რომელსაც საამისო პროექტიც კი შეუდგენია.

ხანა, რომელსაც აკადემიის ეს პროექტი ეკუთვნის ნ. მარრის მიერ 45 წლის განმავლობაში წარმოებულ მუშაობის ერთი მშვენიერი მომენტთაგანია; 1905 წელს, როცა კავკასიაში რევოლუციის ცეცხლი ენთო ნ. მარრი საქართველოში ყოფილა ჩამოსული. მას მონაწილეობა მიუღია არალეგალურ კრებებში, დასწრებია მიტინგებს [2]. ამ რევოლუციონურ მოძრაობას მარრმა უძღვნა უკვდავი წიგნაკები, რომლის გამოქვეყნება იმ დროს სახიფათო საქმე იყო.

ჯერ კიდევ მაშინ, ნ. მარრი იბრძოდა რუსული დიპყრობელური და შოვინისტური ნაციონალიზმის წინააღმდეგ. სწორედ ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა ცნობილი წერილი „ქართველთა ეროვნება“ [3]. ამ წერილით მარრმა გაანადგურა დეკაროზ ი. ვოსტორგოვის გამოსვლა, რომელიც შეეცადა ქართველთა ეროვნების დამცირებასა და შეურაცყოფას. ნ. მარრი იბრძოდა აგრეთვე იმ ქართველ დიდმპყრობელების წინააღმდეგ, რომელთა უმრავლესობა მეგრულს დამახინჯებულ და დამტვრეულ ქართულად თვლიდა [4] და სხვ.

---

[1] ნ. მარრის წერილს თარიღი არ უზის, მაგრამ როგორც შინაარსიდან ირკვევა ის დაწერილი უნდა იყოს 1897 წელს, რადგან სწორედ ამ წელს გადაგზავნა გ. წერეთელმა„ გულჭანი“ პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში ნებართვის მისაღებად.

[2] თ. ჟღენტი, 1905 წ. გურიაში. მე-3 გამოც. ტფილისი 1931 წ. გვ. 58.

[3] ქართველთა ეროვნება, წერილი პროფ. ნ. მარრისა. ამ წერილის ქართ. თარგმანი გამოიცა იმავე წელს (1905 წ.) ჟუთაისში, იგივე რუსულიდან გადაიბეჭდა ნ. მარრის წიგნში „История Грузии (культурно—исторический набросок). По поводу слова прот. И. Воторгова о грузинском народе“, გამოც. «ამირანი» ალ. არაბიძე, ს—პეტერბურგი, 1906 წ.

[4] ნ. მარრი, მეგრული ენა. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. № 2772–2773.

მოიპოვება ცნობები, რომ საქართველოში აკადემია ძველად მე-11—12 საუკუნეშიც არსებობდა. მაგ. იყალთოს აკადემია, რომელიც დაარსა არსენ იყალთოელმა და გრემის[1]. მართალია, მათი არსებობის უტყუარი ცნობები არ არის, მაგრამ არსებობს წყაროები, სადაც ისინი იხსენიება.

მიუხედავათ ამისა იყალთოს და გრემის აკადემია არ იყო ის, რასაც მეცნიერებათა აკადემია ეწოდება. 1905 წელში სწორედ ამ უკანასკნელის შექმნისათვის ზრუნავდენ, მაგრამ რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით მისი განხორციელება შეუძლებელი გახდა, მაგრამ ამით არ გათავებულა ქართულ აკადემიის დაარსებაზე ფიქრი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული აკადემიის შექმნის საქმეს სათავეში ჩაუდგა აკად. ნ. მარრი და მისი მეთაურობით ჩამოყალიბდა „ს. ს. რ. კ. მეცნიერებათა აკადემიის ა. კ. ფილიალი“, რომელშიც ქართულ განყოფილებას მთავარი ადგილი უჭირავს. ეს განყოფილება აერთიანებს: ტფილისის ბოტანიკურს, გეოგრაფიულს, ქიმიურს, ნიადაგ-მცოდნეობის, კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტებსა და გეოლოგიურს და ბიოლოგიურ სექტორებს, და მას სათავეში უდგას ნ. მარრი.

„საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ა. კ. ფილიალის“ საფუძველი გახდა აკად. ნ. მარრის მიერ 1918 წელს ტფილისში დაარსებული „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი“.

1905 წელს „ქართულთა სამეცნიერო აკადემიის“ დაარსებაზე, რომ ცდა იყო და საამისო პროექტის შედგენა ნ. მარრს სთხოვეს, ამის შესახებ ცნობები მისსავე ნაწერებში მოგვეპოვება, მაგრამ აქამდე ცნობილი არ იყოს შეადგინა თუ არა და თუ შეადგინა რას წარმოადგენდა იგი. აი ახლა ეაქვეყნებთ იმ პროექტს, რომელიც მაშინ შეუდგენია. პროექტი დღემდე ინახებოდა ნ. მარრის უამრავ გამოუქვეყნებელ ხელნაწერებში, საიდანაც ბევრი სავსებით გამზადებულია და ცალკეულ დასრულებულ შრომებს წარმოადგენენ. პროექტი საბოლოოდ გამომუშავებული არაა. შემონახული ფურცლები გადაუთეთრებელი შავია, რომელშიც მრავალი გადახაზული ადგილია.

წამკითხველისათვის ნათელი იქნება, რომ ამ დაუმთავრებელ შენიშვნებში, მშვენიერად მოუხაზავს „ქართველთა სამეცნიერო აკადემიის“ მოქმედების არე და ისიც კი არ გაუშვია მხედველობიდან, თუ რა ფინანსური შესაძლებლობა იყო საამისოდ საჭირო, და ბიუჯეტი როგორ უნდა განაწილებულიყო. პროექტში მეცნიერებათა აკადემიის მთელი სისტემაა ჩამოყალიბებული და გათვალისწინებულია მაშინდელი შესაძლებლობები. ნ. მარრს აკადემიისათვის მიზნად დაუსახავს ახალი ძალების მომზადება, რისთვისაც პროექტში გათვალისწინებულია მაზე ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის საჭირო ზომები. ახლა ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მაშინ კადრების მომზადებაზე ნაკლებად ზრუნავდენ. ნ. მარრს შეუდგენია შინაარსით აკადემიასთან ასპირანტურის ჩამოყალიბების სისტემა, რის მსგავსაც არ ქონებია ადგილი, თვით მაშინდელ „რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში“. რაც მთავარია, ჯერ კიდევ იმ დროს ალუნიშნავს, რომ „ქართველთა სამეცნიერო აკადემია“, არ უნდა ყოფილიყო ქართული ნაციონა-

[1] ქ. ჯიქელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I. 1923 წ. გვ. 85.

ლური კარჩაკეტილი აკადემია: არამედ აკადემიას მიზნად უნდა დაესახა: „ხელის შეწყობა საზღვარ გარეთ ცნობილ მეცნიერთათვის, მიუხედავათ მათი გვარტომებისა“... რაზედაც ძნელად დათანხმებოდენ აკადემიის დაარსების მომფიქრებელთა ჯგუფში შემავალი ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები.

პროექტი დაწერილია ჩვეულებრივი რვეულის სივრცის ქახალდის 6 გვერდზე. მასში წერის პროცესში მთელი რიგი შესწორებებია შეტანილი, რაც შიგნევა ხაზგადასმული, რომელსაც აქ ვიძლევით შენიშვნების სახით, სადაც შენიშვნა გაკეთებულ სიტყვის მიმყოლად იგულისხმება თითოეული ხაზგადასმული სიტყვა ან წინადადება.

ქაღალდზე, რომელშიაც ნაწერი გვერდებია ჩადებული, აწერია რამდენიმე წლის შემდეგ დასმული თარიღი: „1905-6 წელი“. დედანი იმახებია აკად. ნ. მარრის ბიბლიოთეკის საკუთარ ხელთნაწერებისა და დოკუმენტების განყოფილებაში.

ქართველთა სამეცნიერო აკადემია.

1. ქართველთა სამეცნიერო აკადემიას მიზნად აქვს აწინაწყოს მთელს ქართველ ერში შესწავლა ვითარცა საზნეო და სამოქალაქო მეცნიერებათ (მათ შორის ისტორიის, ფილოსოფიის, კანონის, პოლიტიკის, ეკონომიის, არქეოლოგიის და ფილოლოგიის), ეგრეთვე ბუნებათ მეტყველების სრული მეცნიერული დარგისა.

2. ქართველ ერის დღევანდელ მეცნიერულ ჩამორჩენილობის[1] ან საქართველოს შესწავლის ევროპაშიაც უარსებობის მიმხედვარე ქართველთა სამეცნიერო აკადემია, იმრავალკეცებს თავის მოღვაწეობას და თავის უთავადეს მიზნის მისაღწევად შრომის სხვა და სხვა გზას ადგია:

ა)[2] წმინდა აკადემიური შრომა დასახელებულ მეცნიერებათ წრეში,[3] ძიება და გამოკვლევა ახალი აზრების ან ახალის ნივთების და მათი ბეჭდვით გამოქვეყნება ქართულად.

ბ)[4] ხელის შეწყობა საზღუარ გარეთ ცნობილ მეცნიერთა,[5] მიუხედავათ მათი გვარტომობისა, ყოველგვარ მეცნიერულ შესწავლაში სრულიად საქართველოსი და[6] მთელი[7] ქართველი ერის,[8] დაკვირდევება განსაკუთრებით შესაძინევ მეცნიერულ გამოკვლევათ[9] რომელიმე ევროპიულ ენაზე, ოდეს იგინი შეეხებიან საქართველოს.[10]

---

[1] აქ დაუწერია და გადაუხაზავს: „მიმხედვარე ქართველთა სამეცნიერო“

[2] გადაბაზულია: „ქართველთა სამე, პირველი, გზა დარგი, ორიგინალური საკუთარი მეცნიერული“

[3] წაშლილია: „საკუთარი გამოკვლევათ ბეჭდვა“

[4] წაშლილია: „მეორე გზა. მომზადება ეროვ. ყოველგვ. ევროპიულ, მომზადება აგმდე“

[5] წაშლილია: „თათვის, ების, გინდ საზოგადოთ უცხოელთა“.

[6] დაუწერია და გადაუხაზავს: „მისი ე.“

[7] გადაუხაზავს: „მისი“

[8] გადაუხაზავს: „დაფასება და“

[9] გადაუხაზავს: „გვარტელ, რომელიმ“

[10] აქის შემდეგ ახალი აბზაცით ახალ გვერდზე იწყება ისევ გადახაზული: „ბ) შედგენა თანამშრომელთა ყოისა სხვად-სხვა ენებისაგან გადმოსათარგმნად სამეცნიერო თხზულებათ გადმოსათარგმად“.

გ) შედგენა თანამშრომელთა წრისა ჯეროვნად მომზადებულ პირთაგან ახვადასხვა კერძო ცოდნაში,[1] რომელთა[2] დაევალება მეცნიერების იმა და ამა დარგის[3] შესახებ მკაცრი მეცნიერული კილოთი ან თავისებური ან ნათარგმ სახელძღვანელოთ ქართულად შემუშავება.[4]

დ) ქართველ[5] ნიჭიერ მოსწავლეთ მაღალ სასწავლებლებში[6] თვალყურის დევნება, მათი[7] მეცნიერულ[8] მიმართულების და წარმატების[9] დასაჯილდოვებლად სტიპენდიების დანიშვნა და თან შეძლებისამებრ ხელძღვანელობა, ან ყოველშემთხვევაში[10] წარმოდგენილ რეფერატების განხილვა, რათა ქართველთა სამეცნიერო აკადემია, კვალ და კვალ მიმდევარი (გახდეს)[11] წარჩინებულ ახალგაზდების მეცნიერული წვრთნისა და დაწინაურებისა,[12] შემძლე იყოს,[13] ჯეროვნად მომზადებულ ძალთა შეძენისა თანამშრომელთა წრის და[14] შემდეგ თვით აკადემიის შესავსებლად ან გასაფართოებლად.

3. ქართველთა აკადემია შესდგება თორმეტ მეცნიერებაში ცნობილ პირთაგან, რომელთაგან თვითეულ პირს ჰქვია აკადემიის წევრი.

4. ეს და ეს პირი არიან პირველნი წევრნი.

5. აკადემიას ყავს თავმჯდომარე და საბჭო;

ა) საბჭო შესდგება: თავმჯდომარისაგან, თავმჯდომარის თანაშემწისაგან, ორი[15] მდივნისაგან და ხაზინადარისაგან.

ბ) აკადემიის თავმჯდომარე და საბჭოს,[16] წევრები ირჩევენ თავისვე წრისაგან.

6.[17] ახალ წევრებს აირჩევს აკადემია საზოგადო კრებაზე წევრებისა, იმ პირთაგან, რომელთ თავი გამოუჩენიათ[18] ერთ და ერთს ან ერთზე მეტს შტოში აკადემიის სამიზნო მეცნიერულ შესწავლისა.[19]

7. აკადემიას თავის მიზნის განსახორციელებლად აქვს წლიური სახარჯო თანხა 200.000 მანეთი.

---

[1] პირველად დაიწერია: „ცოდნათა".
[2] მიყვება გადახაზული: „საქმის მიხედვით ან წლიური".
[3] მიყვება გადახაზული: „მკაცრი მეცნიერული კილოთით საკუთარი სახელმძღვანელოთ შე."
[4] გადახაზულია მიმყოლი: „საკუთარი ძალით თავისებურთა"
[5] ხაზგადასმულია „მოსწავლ"
[6] მიყვება გადახაზული: „ხელის მოწყობა თვალის დევნა"
[7] წაშლილია „წარმა".
[8] ასევე: „წარმატების".
[9] ასე „ხელძღვ".
[10] დაშლილია მიმყოლი: „თვალისდ„
[11] გადახაზულია სიტყვა: „ეგრეთ"
[12] ხაზგადასმულია: „გულსავსებით"
[13] ხაზგადასმულია: „უშიშრად, შეძენის"
[14] შემდეგ ხაზგადასმულია: „თვით"
[15] ხაზგადასმულია: „სეკრეტ"
[16] ხაზგადასმულია მიმყოლი სიტყვები: „აკადემია ირჩევს თავის"
[17] ხაზგადასმულია სიტყვა: „შემდეგი"
[18] ხაზგადასმულია: „ამა თუ იმ მეც ერთს ან მეტს"
[19] ხაზგადასმულია: „რომელთაგან"

8. აკადემიის წლიური თანხიდან იხარჯება ფული შემდეგ საგანზე:

ა)[1] ბეჭდვის მოთხოვნილებაზე,

ბ) მეცნიერულ გამოკვლევათ ხელის შეწყობაზე ან[2] მეცნიერთ დაჯილდოებაზე,

გ) აკადემიის წევრთა[3] ჯამაგირზე, სრულზე და დანაკლისზე,

დ) თანამშრომელთ დასაკმაყოფილებლად წლიურად ან შრომის-დაგვარად.

ე) მეცნიერთა დასაჯილდოებლად,

ვ) მაღალ სასწავლებელში ნიჭიერ და მშრომელ განვითარებულ ახალგაზდა ქართველების სტიპენდიებზე[4],

ზ) საბჭოს[5] მიწერ მოწერაზე.

წლიური სახარჯი თანხის ნაშთი გადაიდობა სამერმისო მოულოდნელ[6] მოთხოვნილებათ დასაკმაყოფილებლად.

9. თითო წევრი ქართველთა სამეცნიერო აკადემიის წლიურად იღებს 3.000 მანეთს, უკეთუ მხოლოდ დასახელებულ აკადემიის წევრობას ასრულებს, წინამდეგ შემთხვევაში თანახმად ამა და ამ წესისა...

10. თანამშრომელთ ენიშნება ან წლიური ჯამაგირი 800[7] მანეთიდან 1200 მანეთამდე ან შრომის მიხედვით თაბახობით ან სხვა გვარ დაფასებით.

11. სამეცნიერო ჯილდო თითო საგანზე არ აღემატება 500—600 მანეთს (200, 300, 400, 500). საჭიროა ცალკე წესდება.

12. სტიპენდია სამეცნიერო აკადემიის არის ორგვარი:

ა) მაღალ სასწავლებელთ ჯერ დაუმთავრებელთათვის, გარდა გზის ხარჯისა.[8] [600 მ.].

ბ) მაღალ სასწავლებელთ დასრულებულთათვის, ოდეს განსაკითარებლად კიდევ განაგრძნობენ სწავლას, ორს-სამს წელიწადს, გარდა გზის ხარჯისა[9] [900 მ.].

13. აკადემიის მართველობა ეკუთვნის აკადემიის საბჭოს და[10] წევრთა საზოგადო კრებას.

---

[1] იწყება ხაზგადასმული: „სტი“

[2] ხაზგადასმულია: „ცნო“

[3] გადახაზულია: „ჯილდ“

[4] ამას მიჰყვება ხაზგადასმული: „ნაშთი წლიური თანხისა იხახება“.

[5] წაშლილია მიმყოლი: „და მის წევრ“

[6] გადახაზულია სიტყვა: „სახარჯ“

[7] 800 აწერია თავზე, კვეშ ხაზგადასმულ 600-ს.

[8] აქ გვერდის ფოლიოზე ნაანგარიშევია და მიწერილი ჯერ-500 მ. შემდეგ ის გადასწორებია 600-ად და ეს თანხა აქვს მხედველობაში წლიურ სტიპენდიათ.

[9] გვერდის მარცხენა ფოლიოზე ნაანგარიშევია ასე: 75, 12, 150, 75, 900 შემდეგ ეგ გადახაზულია და გვერდის მარჯვენა ფოლიოზე მიწერილია: 900.

[10] გადახაზულია: „აგრე“

14. აკადემია ირჩევს[1] კორესპოდენტებს[2] და საპატიო წევრებს, რომელთ აკადემიის საქმის წარმოებაში ან ახალ წევრების ამორჩევაში ხმა არ ეკუთვნისთ.

15. საბჭოს შეუძლია განივითაროს[3] და შეივსოს წესდება რომელიმე დამატებითი კანონით ან განკარგულებით[4] გადათვლილ ძირითად მუხლთა მიხედვით და დაცვით, და თან[5] უარყოს აგრე დამატებით წარმოშობილი ახალი მუხლი, უკეთუ[6] ცოცხალი საქმე და აკადემიის ნამდვილი ინტერესი მას მოითხოვს.

---

[1] ხაზგადასმულია შემდეგ: „მიხედვით და და დაცვით"

[2] გადახაზულია: „ეგრეთვე"

[3] ხაზგადასმულია: „უკეთუ საზოგადო კრება ნებას დართავს"

[4] მიმყოლი სიტყვები გადახაზულია: „საპატიო წევრ თანაშრომელს და", შემდეგ ქვლავ გადახაზულია: „კორესპოდენტ წევრებს და აგრეთვე საპატიო წ"

[5] ხაზგადასმულია მიმყოლი: „ეგრეთვე"

[6] მიმყოლი ორი სიტყვის ქვეშ ხაზგადასმულია: „კანონდებ კანონდებულება"

შინაარსი

1. შესავალი	IX
2. დ. კარბელაშვილი (დოკენტი) აკად. ნიკო იაკობის-ძე მარრი	XV
3. ი. ი. მეშჩანინოვი (აკადემიკოსი) ახალი მოძღვრება ენის შესახებ	1
4. ლ. მელიქსეთ-ბეგი (პროფესორი) თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის	27
5. მ. ჩხაიძე ენის პოლეონტოლოგია და პოლეონტოლოგიური მეთოდი	45
6. მიხ. ჩიქოვანი საიდუმლო ხალხური ენა	63
7. აღ. ღლონტი რატომ შეირყა წერილობითი წყაროების ავტორიტეტი	73
8. მიხ. ჩხენკელი გაკვრით სადაო საკითხებზე	91
9. მიხ. ჩიქოვანი ფირალის ეპოსი გურიაში	109
10. ს. ყენტი აკად. ნ. მარრი, ქართული ენის მკვლევარი	143
11. ლ. მელიქსეთ-ბეგი (პროფესორი) ტოპონიმიკური შტუდიები	151
12. ი. მეგრელიძე დიდოურ-ქართულ ენობრივ ურთიერთობიდან	165
13. ი. ნ. მარრი (პროფესორი) „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის	185
14. ი. ფრანკ-კამენეცკი (პროფესორი) „მადლიერი მკვდარი“	193
15. მარქსიზმის კლასიკოსები ენისა და აზროვნების პრობლემების შესახებ	201
16. ი. აბულაძე (პროფესორი) ტერმინი „გურჯის“ ეტიმოლოგიისათვის	292
17. ა. პრიგოჟინი (პროფესორი) დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის წარმოშობა	301
18. ფაქტები და დოკუმენტები	127

СОДЕРЖАНИЕ

стр.

1. Введение IX
2. Д. П. Карбелашвили (доцент)
   Академик Николай Яковлевич Марр XV
3. И. И. Мещанинов (академик)
   Новое учение о языке 1
4. Л. М. Меликсет-Беков (профессор)
   К изучению памятников материальной культуры и топонимики Триалии-Цалки 27
5. М. Чхаидзе
   Палеонтология языка и палеонтологический метод 45
6. М. Я. Чиковани
   Таиный народный язык 63
7. А. А. Глонти
   Почему покалебался авторитет письменных источников 73
8. М. Чхенкели
   Вскользь о спорных вопросах 91
9. М. Я. Чиковани
   Разбойничий эпос в Гурии 109
10. С. М. Жгенти
    Акад. Н. Я. Марр, как исследователь грузинского языка 143
11. Л. М. Меликсет-Беков (профессор)
    Топономические штудии 151
12. И. В. Мегрелидзе
    Из Дидойско-грузинских языковых взаимоотношений 165
13. Ю. Н. Марр (профессор)
    К толкованию одного места „Вепхисткаосани“ 185
14. И. Г. Франк-Каменецкий (профессор)
    „Благодарный мертвец“ 193
15. Классики Марксизма
    О проблемах языка и мышления 201
16. Ю. И. Абуладзе (профессор)
    К этимологии термина „Гурджи“ 293
17. А. Г. Пригожин (профессор)
    Возникновение западноевропейского феодализма 301
18. Факты и документы 327

Tables des matières

Pages


1. Avant-propos IX
2. D. Karbélaschvili (doz.)
   L'académicien Nicolas Marr XV
3. J. Meschtschaninov, (académicien)
   La nouvelle doctrine linguistique 1
4. L. Mélikset-Bek (professeur)
   Sur l'étude des monuments de culture matérielle et toponymique de Thrialethe-Tzalka 27
5. M. Tschkhaidzé
   Paléontologie de la langue et méthode paléontologique 45
6. Michel Tchikovani
   La mystérieuse langue populaire 63
7. A. Glonti
   Qu'est ce qui ébranla l'autorité des sources écrites? 73
8. Michel Tschkhenkéli
   En passant sur les questions controversées 91
9. Michel Tchikovani
   L'épopée du brigand en Gourie 109
10. S. Jghenti
    Nicolas Marr, investigateur de la langue géorgienne 143
11. L. Mélikset-Bek, (professeur)
    Études toponymiques 151
12. J. Mégrélidzé
    Des rapports linguistiques entre le géorgien et le didoen 165
13. J. Marr (professeur)
    Interprétation d'un passage de Vephqhis-tqaosani („L'homme en peau de tigre") 185
14. Frank-Kaménetzki (professeur)
    „Le mort reconnaissant" 193
15. Les classiques du marxisme
    sur le problèmes de la langue et de la pensée 201
16. J. Abouladzé (professour)
    Étymologie du terme „Gourdji" 293
17. A. Prigojine (professeur)
    Les origines de la société féodale dans l'Europe occidentale . . 301
18. Faits et documents 327

ტექრედაქტორი—მ ი ხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი
ს. ს. ნ.—50688
ქ. ფ.—72×110
გადაეცა წარმოებას—7/III

ხელმოწერილია დასაბეჭდათ—10/IV
ტირაჟი—2050
შეკვეთა № 436
მთაავლიტი—№ 139

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“-ს სტამბა.




30